114
1978

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ენციკლოპედია

2 1978

ეროვნული

ეროვნული ლიტერატურულ-მხატვრული
და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი

წელიწადი 55-ე № 2 თებერვალი, 1978 წ.

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის ორგანო

ეროვნული ბიბლიოთეკა

ZJ8866

შინაარსი

ლ. ი. ბრეჟნევი — მცირე მიწა 3

თეიმურაზ ჯანგულაშვილი — სწორუპოვარო არმიავ გმირთა! ლექსი . . 40

შალვა ძირია — „თქვენ ჰაერში, ჩვენ — მიწაზე“ 41

გიორგი ციციშვილი — ცლილი სიხარბესა შენსა!... მოთხრობა. გაგრძელება . 46

ზაურ ბოლქვაძე — ლექსები 67

რევაზ ჯაფარიძე — მძიმე ჯვარი. რომანი. გაგრძელება 72

თამარ ერისთავი — ლექსები 108

ლია სტურუა — ლექსები 114

ჯუმა აბუბა — სტუმარი. მოთხრობა. თარგმ. ნ. მიშველაძისა და ლ. მრელაშვილისა 118

ალექსანდრე ჟუთათელი — სიზმარი. ლექსი 162

კრიტიკა და ჟურნალისტიკა

ვენორი ქვაჩახია — მატერიალურიც, მორალურიც! 163

ვლადიმერ ჯიბუტი — ლეო ქიაჩელის ლიტერატურული შეხედულებები . 174

იონა ანდრონოვი — ზაქსენჰაუზენის ტუსალი. დოკუმენტური ნარკვევი . . 178

წიგნების მიმოხილვა

ჯანსუღ ღვინჯილია — გზა ფართოვდება 189

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა

კ. მარქსის სახ. სოფ. სსრ
საბჭოთაშუა რესპუბლიკ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მთავარი რედაქტორი გიორგი ნატროშვილი.

საredaქციო კოლეგია:

ი. აბაშიძე, რ. ამაშუკელი (მთ. რედ. მოადგილე), ხ. ბერულავა, ო. გიგინეიშვილი, მ. ლეგანიძე, ლ. მრელაშვილი, ა. სულაკაური, ა. ჟუთათელი, ხ. შანშიაშვილი, დ. შენგელაია, ნ. ფულეისკირი, ვ. ფულუკიძე, ო. ჭილაძე, ბ. ხარანაული, რ. ჯაფარიძე, ბ. ჯიბლაძე.

ტექრედაქტორი რ. ჩაკვეტაძე.

რედაქციის მისამართი:
თბილისი, რუსთაველის პროსპექ. № 12.

ტელეფონები: რედაქტორის — 93-55-11
რედაქტორის მოადგილის — 93-55-13, განყოფილებების — 93-55-15, 93-55-17, 93-55-20.

გადაეცა ასაწყობად 6/I-78 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 15/II-78 წ., ანაწყობის ზომა $7^1/_4 \times 12$, ქაღალდის ფორმატი $70 \times 108^1/_{16}$, ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 12, პირობითი ნაბეჭდი ფურცელი 13, სააღრ.-საგამომცემლო თაბახი 16,58.

უე 08083. ტირაჟი 17.000. შეკვ. 38.

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. № 14.

© საქ. ცკ-ის გამომცემლობა, 1978.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

4 თებერვალს 35 წელი შესრულდა მცირე მიწაზე დესანტის გადასხმისა და ბრძოლის დაწყებიდან.

მრავალი მკითხველის თხოვნით ვბეჭდავთ ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის მოგონებას „მცირე მიწას", რომელიც ჟურნალ „ნოვი მირის" 1978 წლის მეორე ნომერში გამოქვეყნდა.

ლ. ი. ბრეჟნევი

მცირე მიწა

1.

ომის დროს დღიური არ მიწერია. მაგრამ 1418 ქარცეცხლიანი დღე და ღამე დაუვიწყარია. იყო ეპიზოდები, შეხვედრები, ბრძოლები, იყო ისეთი წუთები, რომლებიც, ისევე როგორც ყველა სხვა ფრონტელს, არასოდეს არ წაშლება მეხსიერებიდან.

დღეს მინდა გიამბოთ ომის ერთ შედარებით პატარა უბანზე, რომელსაც ჯარისკაცებმა და მეზღვაურებმა მცირე მიწა შეარქვეს. ის მართლაც „მცირეა" — ოცდაათ კვადრატულ კილომეტრზე ნაკლები. თანაც დიადია, როგორც შეიძლება დიადი გახდეს თუნდაც ერთი მტკაველი მიწა, როცა იგი თავდადებულ გმირთა სისხლით არის მორწყული. მკითხველმა სწორად რომ შეაფასოს ვითარება, ვიტყვი: იმ დესანტის დღეებში ვინც უბე გადაკვეთა და მცირე მიწაზე გადავიდა, ყველამ ორდენი მიიღო. არ მახსოვს არც ერთი გადასვლა, რომ ფაშისტებს ასობით ჩვენი ადამიანი არ დაეხოცოთ და წყალში არ ჩაეხრჩოთ. და მაინც 12-15 ათასი საბჭოთა მეომარი მუდამ იყო მტრისათვის გამოგლეჯილ პლაცდარმზე.

1943 წლის 17 აპრილს კიდევ ერთხელ დამჭირდა მცირე მიწაზე გადასვლა. ის დღე და რიცხვი კარგად მახსოვს და მგონია, არც ერთ მცირემიწელს არ დაავიწყდება: იმ დღეს ჰიტლერელებმა ოპერაცია „ნეპტუნი" დაიწყეს. თვით სახელწოდება ნათელს ხდიდა მათ გეგმებს — გადავეყარეთ ზღვაში. დაზვერვის მონაცემებით ჩვენ ეს ვიცოდით, ვიცოდით, რომ ჩვეულებრივს კი არა, გადამწყვეტ, გენერალურ შეტევას ამზადებდნენ.

და ჩემი ადგილი იქ იყო, წინა ხაზზე, ნოვოროსიისკის სანახებში, კონცხად რომ შეჭრილიყო ცემესის უბეში. მცირე მიწის ვიწრო პლაცდარმზე.

სწორედ აპრილში დამნიშნეს მე-18 არმიის პოლიტგანყოფილების უფროსად. გაითვალისწინეს რა მომავალი ბრძოლები, იგი სადესანტოდ გარდაქმნეს, ორი მსროლელთა კორპუსით, ორი დივიზიით, რამდენიმე პოლკით, სატანკო ბრიგადით გააძლიერეს და ოპერატიული თვალსაზრისით შავი ზღვის ფლოტის ნოვოროსიისკის სამხედრო-საზღვაო ბაზას დაუქვემდებარეს.

ომში ვერ აირჩევ, სად იომო, მაგრამ, უნდა გამოვტყდე, დანიშვნამ გამახარა. მე-18 არმიას მუდამ იქ გზავნიდნენ, სადაც ძალიან ჭირდა, მას განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდნენ, და მე, როგორც იტყვიან, იქ ვათენებდი და

ვალამებდი. სარდალ კ. ნ. ლესელიძესთან და სამხედრო საბჭოს წევრ ს. ე. კოლონინთან კარგა ხანია საერთო ენა გამოვნახე. ასე რომ, ფრონტის პოლიტსამმართველოდან ამ არმიაში გადაყვანამ მხოლოდ დააკანონა საქმის ფაქტიური მდგომარეობა.

უბის გადაცურვა მხოლოდ ღამით ხდებოდა. გელენჯიკის საქალაქო ნავმისადგომთან, ანუ, როგორც კიდევ უწოდებდნენ, ოსვოდოსკის ნავმისადგომთან რომ მივედი, ნაპირზე თავისუფალ ადგილს ვერ ნახავდით, მიჯრით იდგნენ სხვადასხვა ტიპის გემები. ხალხი ჩამსხდარიყო, ტვირთიც უკვე ჩაეტვირთათ. მე სეინერ „რიწაზე“ ავედი. ეს იყო ძველი რამ ვარცლი, თევზის სუნ-გამჯდარი, საფეხურები უჭრაჭუნებდა, ბორტები და პლანშირი ჩამოღადროდა, გემბანი ჭურვის ნამსხვრევებითა და ტყვიით ჰქონდა დაცხრილული. ეტყობოდა, კარგად ემუშავა ომამდე, და არც ახლა ადგა კარგი დღე.

ზღვიდან გრილი ქარი ქროდა, ციოდა. სამხრეთში, საერთოდ, სიცივე უფრო ძნელი გასაძლებია, ვიდრე ჩრდილოეთში. ვერ გეტყვით რატომ, მაგრამ ასეა. სეინერი ჩვენს თვალწინ ცოცხლდებოდა. მეომრები სხვადასხვა ადგილას და სხვადასხვა სიმაღლეზე დგამდნენ ტყვიამფრქვევსა და ტანკსაწინააღმდეგო თოფებს, ყველა ცდილობდა მოხერხებული კუთხე ეპოვნა, თუნდაც თხელი ფიცრით გადატიხრული, ოღონდ დახურული ყოფილიყო ზღვის მხრიდან. მალე სამხედრო ლოცმანი ამოვიდა და ყველაფერი ამოძრავდა.

რაღაც უცნაურად გამოიყურებოდა ეს ყოველივე, თითქოს უწესრიგოდ მიუყრიათო რეიდზე. მაგრამ ასე იყო მხოლოდ პირველ წუთებში. თითოეულმა გემმა ზუსტად იცოდა თავისი ადგილი. პირველი „რიწა“ მიდიოდა, უკან კი თუხთუხით მისდევდნენ, როგორც ვეძახდით, მოტობოტები — № 7 და № 9, სეინერმა ისინი ბუქსირზე აიყვანა, დანარჩენი გემები ქარავნად გაიჭიმნენ ერთმანეთისაგან 400-500 მეტრზე, და კურსი მცირე მიწისაკენ ავიღეთ. გზაში „საზღვაო მონადირეები“ გვიცავდნენ.

გზას სამი საათი უნდოდა, და მე ვიფიქრე გავსაუბრებოდი ახალ მებრძოლებს, უკეთ გამეცნო ხალხი. საერთო საუბარი ვერ აეწყო. მედესანტეებმა უკვე დაიკავეს გემბანზე თავთავიანთი ადგილი და მათი დაშლა არ მინდოდა. გადავწყვიტე ჯგუფებისათვის ჩამომეარა. ზოგ-ზოგს ვეკითხებოდი, ზოგ-ზოგს უმეტესად რეპლიკებით ვეპასუხებოდი, ხანაც მებრძოლებს ჩამოვუჯდებოდი ხოლმე სასუბროდ. დავრწმუნდი, რომ ხალხი ძირითადად ცეცხლგამოვლილი იყო, ბრძოლა სწყურიოდათ. მე კარგად ვიცოდი, რომ საჭირო იყო ჯარისკაცებთან საუბარი, მაგრამ ვიცოდი სხვა რამეც: ზოგჯერ ჯარისკაცისთვის საუბარზე უფრო მეტი მნიშვნელობა აქვს იმის შეგნებას, რომ პოლიტმუშაკი, პოლიტიკური ხელმძღვანელი მათთან ერთად არის, მათ ჭირსა და საფრთხეს იზიარებს. და ამას მით უფრო მეტი მნიშვნელობა ენიჭებოდა, რაც უფრო მწვავდებოდა საბრძოლო ვითარება.

წინ შორს, ნოვოროსიისკის თავზე, წითლად ღუოდა ცა. ისმოდა არტილერიის ყრუ გუგუნი. ამას უკვე შეჩვეული ვიყავით, ჩვენს მარცხნივ საზღვაო ბრძოლა იყო გაჩაღებული. როგორც შემდგომ მითხრეს, ჩვენი და გერმანელთა ტორპედიანი კატარღები გადაჰყროდნენ ერთმანეთს. მე სავალი ბოგის მარჯვენა ღია ფრთაზე ვიდექი ლოცმანთან ერთად; თუ არ ვცდები, სოკოლოვი იყო გვარად.

— მებრძოლები, — მიამბობდა იგი, — დესანტში მხოლოდ ერთხელ მიდიან, კატარღები კი ყოველ ღამეს, და ყოველი ღამე ბრძოლაა. შევეჩვიეთ. ჩვენ, ლოცმანები, განსაკუთრებულ პასუხისმგებლობას ვგრძნობთ ყველასათვის. არსებითად, ხშირად, როგორც იტყვიან, ალღოთი მიგვყავს გემები. ხმე-

ლეთზე მესანგრეები ჯერ დაზვერავენ დანაღმულ ველს, გასასვლელებს გაკეთებენ და შემდეგ გულდაჯერებით მიჰყავთ ხალხი. ჩვენს გზას კი გერმანელები განუწყვეტლივ ნაღმავენ — თვითმფრინავებიდანაც და გემებიდანაც. სადაც ღუშინ მშვიდად გაიარე, დღეს შეიძლება ნაღმს წააწყდე.

რაც უფრო ვუახლოვდებოდით ცემესის უბეს, მით უფრო ძლიერდებოდა ბრძოლის გუგუნი. ღამღამობით პლაცდარმს ხშირ-ხშირად არ ბომბავდნენ, აქ კი ზღვის მხრიდან მტრის ბომბდამშენები ტალღებივით მოდიოდნენ, მათს გუგუნს აფეთქებათა გრიალი ახშობდა, და კაცი იფიქრებდა, თვითმფრინავები უჩუმრად გვეპარებიანო. ისინი პიკირებდნენ და მაშინვე გაეცლებოდნენ ხოლმე იქაურობას. მებრძოლები გამხნევდნენ, წარბი შეკრეს, მალე ჩვენც სინათლეში აღმოვჩნდით.

გადაცურვის დროს ღამის წყვდიადი საერთოდ შედარებითი ცნება იყო. ნაპირიდან გერმანელთა პროჟექტორების შუქი იფრქვეოდა, თითქმის განუწყვეტლივ დაგვნათოდა თავს „ფარნები“ — გამანათებელი შუშხუნები, რომლებსაც თვითმფრინავებიდან ჰყრიდნენ. საიდანღაც მარჯვნიდან მტრის ორი ტორპედიანი კატარღა გვეკვეთა, მათ ძლიერი ცეცხლით დაჰხვდნენ ჩვენი „საზღვაო მონადირეები“. ყოველივე ამასთან ერთად ფაშისტური ავიაცია ნაპირის მისადგომებს ბომბავდა.

ჩვენს გარშემო, ხან შორს, ხან ახლოს ეცემოდა ბომბები და ცაში აჰქონდა უზარმაზარი წყლის სვეტები, რომლებიც პროჟექტორებითა და სხვადასხვა ფერის სატრასირებელი ტყვიებით განათებული, ცისარტყელის ფერებით ელვარებდა. ყოველ წუთს ველოდით დარტყმას, და მაინც მოულოდნელი აღმოჩნდა იგი. უცბად ვერც კი მივხვდი, რა მოხდა. ჩვენს წინ გრიალი გაისმა, ცეცხლის სვეტი აღიმართა. მეგონა, გემი გასკდა-მეთქი. არსებითად ასეც იყო: ჩვენი ტეინერი ნაღმს წააწყდა, მე და ბოცმანი ერთმანეთის გვერდით ვიდექით და აფეთქებამ ორივე ერთად აგვისროლა ზევით.

ტკივილი არ მიგრძვნია. დაღუპვაზე ნამდვილად არ მიფიქრია, ყოველგვარი სიკვდილი მინახავს, და ჩემთვის აქ ახალი არა იყო რა, და თუმცა ნორმალური კაცი სიკვდილს ვერასოდეს ვერ შეეჩვევა, მაგრამ ომი გვაიძულებს ყოველ წუთს გვახსოვდეს, რომ ჩვენც შეიძლება ასეთი ბედი გვეწიოს. ზოგჯერ წერენ, კაცს ამ დროს თავისი ახლობლები აგონდებაო, მთელი ცხოვრება თვალწინ გაუელვებსო და იგი ასწრებს რაღაც მთავარს ჩასწვდეს საკუთარი თავის შესახებო. შესაძლოა ასეც იყოს, მაგრამ მე იმ მომენტში მხოლოდ ერთმა აზრმა გამიელვა: ოღონდ ისევ გემბანზე არ დავეცე-მეთქი.

ბედად წყალში ჩავარდი, ტეინერიდან საკმაოდ შორს. ამოვყვინთე, დავინახე, რომ ის უკვე იძირებოდა. ხალხის ნაწილი, ისევე როგორც მე, აფეთქებამ ვადმოყარა, სხვანი თვითონ ხტებოდნენ წყალში. მე სიყმაწვილიდანვე კარგად ეცურავდი, რაც უნდა იყოს, დნეპრზე გავიზარდე, და წყალში ყოჩაღად ეგრძნობდი თავს. ამოვისუნთქე, მიმოვიხედე და დავინახე, რომ ორივე მოტობოტს ბუქსირები მოეხსნათ, ძრავები ჩაერთოთ და ნელა გვიახლოვდებოდნენ.

მე № 9 ბოტთან აღმოვჩნდი, იქვე მოცურდა ლოცმანი სოკოლოვიც. ხელი ჩავჭიდეთ მისადგომ ძელს და გემზე ასვლას ვშველოდით იმათ, ვისაც თოფ-იარაღაკიდებულს უჭირდა წყალზე გაჩერება. ბოტიდან ისინი ზემოთ აჰყავდათ. და რამდენადაც მახსოვს, არც ერთს არ გადაუყრია იარაღი.

პროჟექტორებმა მოგვაგნეს, ჩაგვიჭირეს, და შიროკაია ბალკის რაიონიდან, მისხაკოს დასავლეთით რომ არის განლაგებული, არტილერიამ დაგვიშინა. ზუსტად ვერ ისროდნენ, მაგრამ აფეთქება აქეთ-იქით ახეთქებდა ბოტს. გრია-

ლი არ ცხრებოდა, მაგრამ მოულოდნელად ჩვენს ირგვლივ შეწყდა ჭურვების აფეთქება. ეტყობა, ჩვენმა ზარბაზნებმა დასცხეს მოწინააღმდეგის ბატარეებს. და ამ გუგუნში შემომესმა გაჯავრებული კაცის შეძახილი:

— რა მოგვიდა, დაყრუვდი? მოიტა ხელი!

როგორც შემდეგ გამოირკვა, მეორე სტატიის ზემდეგმა ზიმოდამ შემოიძახა და გამომიწოდა ხელი, წყალში სამხრეულებს ვერ ხედავდა, და ამას არც ჰქონდა რაიმე მნიშვნელობა ასეთ ჟამს. სადესანტო მოტობოტები, როგორც ცნობილია, ღრმად არ სხედან წყალში. ძელს ჩავეჭიდე, ზემოთ ავხტი და ვიღაცის ღონიერი ხელი წამეშველა.

მხოლოდ ახლა ვიგრძენი სიცივე: აპრილი შავ ზღვაზეც კი ვერაფერი დროა საბანაოდ. სეინერი აღარ ჩანდა. მებრძოლები ტანსაცმელს წურავდნენ და ჩუმად ილანძღებოდნენ: „ეშმაკმა დალახვროს ეს ოხერი ფრიცი!.“ თანდათან ყველა მიჩუმდა. ყუთებსა და ტომრებს შორის მოეწყვნენ. ზოგი იკუნტებოდა, ზოგიც პირქვე წვებოდა, თითქოს ამ ამბავს შეეძლო შველა. მთავარი ხომ ჯერ წინ იყო. მთავარი იყო ბრძოლა, რომელშიც ახლავე უნდა ჩავბმულიყავით.

და უეცრად ამ ტრაგიკულ ვითარებაში, აფეთქებებისა და ცეცხლოვანი ტრასების შუქზე გაისმა სიმღერა. მღეროდა ერთი მატროსი, მახსოვს, ძალიან ბრგე ვაჟკაცი; ეს იყო მცირე მიწაზე შობილი სიმღერა, იგი ეძღვნებოდა აი ასეთი მებრძოლების უდრეკ ნებისყოფასა და ძალას, ახლა ამ ბოტზე რომ იყვნენ. მე ვიცოდი ეს სიმღერა, მაგრამ ამჟამად ასე მგონია, პირველად სწორედ მაშინ გავიგონე-მეთქი. მეხსიერებაში ჩამრჩა სტრიქონი: „იმ ხის ქერქის ჯამფილებით რკინის ვაჟკაცნი ცურავენო“.

თანდათან წამოწიეს თავები, დაწოლილნი წამოსხდნენ, ჩამომსხდარნი წამოდგნენ, და აი ვიღაც აჰყვა. არასოდეს არ დამავიწყდება ეს წუთი: სიმღერამ გაამხნევა ხალხი. იმ წუთას განცდილის მიუხედავად ყველამ იგრძნო სიმტკიცე, საბრძოლოდ განეწყო.

მალე ბოტი ფსკერზე გასრიალდა და ჩვენ ნაპირზე დავიწყეთ გადახტომა. მკაცრად გაისმოდა ბრძანება, მებრძოლებს ტყვია-წამლით და იარაღით სავსე ყუთები გადმოჰქონდათ, სხვანი მხარზე შეიგდებდნენ და სირბილით მიაქანებდნენ საფარისაკენ — აქ დაცაცხანება საჭირო არ არის, ტყვია გაჩქარებს. ისინი ყრიდნენ ტვირთს და უკან მორბოდნენ, ყველაფერი ეს ტყვიის ზუზუნში, ბომბების გრიალში ხდებოდა. ნაპირიდან კი უკვე მოჰყავდათ საკაცეებით საევაკუაციოდ გამზადებული დაჭრილები, რომლებიც ჩვენს შევსებას უნდა შეეცვალა.

დამრეცი ნაპირი ქვით იყო დაფარული, მის უკან კი აღმართულიყო ფრიალო კლდე, რომელშიც ნიშები მოჩანდა. სწორედ იქამდე უნდა მიგვეღწია, რომ ტყვიას დავმალვოდით, შემდეგ კი კიდევ ათ-თხუთმეტ მეტრზე ავცოცებულიყავით და ჩავმხტარიყავით ტრანშეაში, რომელიც მცირე მიწის სიღრმეში მიგვიყვანდა. და თუმცა, ვიმეორებ, მთავარი ჯერ კიდევ წინ გველოდა, ხალხმა აქ უფრო მშვიდად იგრძნო თავი. აქედან გასასვლელებით შეგვეძლო პლაცდარმზე მებრძოლ ნებისმიერ ნაწილთან, ლამის ნებისმიერ ქვეგანაყოფთან მისვლა.

გადაცურვა ყოველთვის სახიფათო იყო, რისკს არ იყო მოკლებული არც გემზე ყოფნა, არც გადმოტვირთვა, არც ნაპირის გადარბენა, არც ფრიალოზე ასვლა, მაგრამ ყოველთვის, როცა მცირე მიწაზე ჩავიდოდი, ვფიქრობდი ხოლმე: როგორ უნდა გადმომსხდარიყვნენ აქ ჩვენები, როცა ახლანდელი მხსნელი თავშესაფრების ადგილას გერმანელთა ტყვიამფრქვევები იდგა, გასასვლელებში კი მედესანტეებისათვის უჩინარი ჰიტლერელები დარბოდნენ

ავტომატებითა და ხელყუმბარებით? ყველას, ვისაც მოაგონდებოდა, რომ იმათ, პირველებს, ბევრად უფრო უჭირდათ, ალბათ ეს ძალას მატებდა.

და მაინც, როგორც ცნობილია, ჩვენ მცირე მიწა ზუსტად იმდენ ხანს შევინარჩუნეთ, რამდენ ხანსაც საჭირო იყო საბჭოთა სარდლობის გეგმით, — 255 დღეს. როგორ გავიტანეთ თავი მაშინ, სწორედ ეს მინდა გიამბოთ.

2.

ჩვენ ომი არა გვჭირდებოდა, მაგრამ როცა დაიწყო, დიდი საბჭოთა ხალხი ეაქკაცურად ჩაება აგრესორების წინააღმდეგ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში.

მახსოვს, 1940 წელს პარტიის დნეპროპეტროვსკის საოლქო კომიტეტში თათბირზე შევკრიბე ლექტორები. მაშინ მე განსაკუთრებულ ყურადღებას ვუთმობდი სამხედრო-პატრიოტულ პროპაგანდას და სწორედ ამაზე გვქონდა ლაპარაკი. თუმცა როგორც მოგეხსენებათ, გერმანიასთან თავდაუსხმელობის ხელშეკრულება იყო დადებული. გაზეთებში ქვეყნდებოდა სურათები მოლოტოვისა და ჰიტლერის, რიბენტროპისა და სტალინის შეხვედრების შესახებ, ხელშეკრულება საჭირო დროს გვაძლევდა, რათა გაგვეძლიერებინა ქვეყნის თავდაცვისუნარიანობა, მაგრამ ეს ყველას არ ესმოდა, და აი ნათლად მახსოვს, წამოდგა თათბირის ერთ-ერთი მონაწილე, კარგი ლექტორი, გვარად სახნო და ჩკითხა:

— ამხანაგო ბრეჟნევ, ჩვენ ხალხს უნდა ავუხსნათ, რომ თავდაუსხმელობის ხელშეკრულება სერიოზულად არის დადებული, და ვისაც არ სჯერა, იგი პროვოკაციულ ლაყბობას ეწევა. ხალხს კი, მაინცდამაინც, არ სჯერა. რა ვქნათ? ავუხსნათ თუ არ ავუხსნათ?

საკმაოდ რთული ხანა იყო, დარბაზში ოთხასი კაცი იჯდა, ყველა ჩემს პასუხს ელოდა, დიდი ფიქრის დრო კი არ მქონდა.

— აუცილებლად უნდა ავუხსნათ, — ვუპასუხე მე, — იქამდე უნდა ავუხსნათ, ამხანაგებო, სანამ ფაშისტურ გერმანიაში ქვა ქვაზე არ დარჩება!

მაშინ მე დნეპროპეტროვსკის საოლქო კომიტეტის მდივანი ვიყავი თავდაცვითი მრეწველობის დარგში. და თუ სხვა ვინმეს უფლება ჰქონდა არხეინად ყოფილიყო, მე ყოველდღიურად იმაზე უნდა მეფიქრა, რა უნდა გვექნა. მე ბედმა მარგუნა ბევრი დიდმნიშვნელოვანი და სასწრაფო საქმე თავდაცვის ისეთი მძლავრი კომპლექსის ორგანიზაციისა და კოორდინაციის დარგში, როგორიც იყო მაშინ სამხრეთი უკრაინა, კერძოდ დნეპრისპირეთი.

ქარხნები, რომლებიც სრულიად მშვიდობიან პროდუქციას ამზადებდნენ, სამხედრო რელსებზე გადადიოდა, ჩვენი მეტალურგები ითვისებდნენ სპეციალური მარკის ფოლადებს, მე მიხდებოდა სახალხო კომისარიატებთან დაკავშირება, მოსკოვში გადაფრენა, ოლქის გაუთავებელი შემოვლა. ჩვენ არ ვიცოდით, რა იყო დასვენების დღე. ოჯახში ხანდახან თუ შევივლიდი. მახსოვს 1941 წლის 21 ივნისს ღამით გვიანობამდე შემოვრჩი საოლქო კომიტეტში, შემდეგ კი სამხედრო აეროდრომზეც ვიყავი, რომელსაც დნეპროპეტროვსკის მახლობლად აშენებდნენ. ამ სტრატეგიული მნიშვნელობის ობიექტს კონტროლს უწევდა ცენტრალური კომიტეტი, დღედაღამ მუშაობდნენ, მხოლოდ დილით დავბრუნდი სამშენებლო მოედნიდან.

სახლს რომ მივუახლოვდი, დავინახე, სადარბაზოსთან მანქანა უდგას კ. ს. გრუშევოის, რომელიც მაშინ საოლქო კომიტეტის პირველ მდივანს ცვლიდა. მაშინვე მივხვდი: რაღაც მოხდა-მეთქი. ფანჯრებში შუქი ენთო და ეს უცნაუ-

რად ჩანდა გარიჟრაჟებულზე. მან გამოიხედა, ხელით მანიშნა, ამოდიო, და უკვე კიბეზე ვიგრძენი რაღაც არასასიამოვნო. და მაინც შევკრთი, როცა გავიგონე სიტყვა: „ომი!“ აი ამ წუთს, როგორც კომუნისტმა, მტკიცედ და ურყევად გადავწყვიტე, სად უნდა ვყოფილიყავი. ცენტრალურ კომიტეტს ვთხოვე ფრონტზე გავეგზავნე — ჩემი თხოვნა იმავე დღეს დააკმაყოფილეს: სამხრეთის ფრონტის შტაბის განკარგულებაში გამგზავნეს.

მე მადლიერი ვარ ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტისა იმისათვის, რომ მოიწონა ჩემი მისწრაფება — ომის პირველი დღეებიდანვე მოქმედ არმიაში ვყოფილიყავი.

მადლიერი ვარ იმისათვის, რომ 1943 წელს, როცა ჩვენი მიწა-წყლის ნაწილი განთავისუფლებული იყო, ანგარიში გაუწიეს ჩემს თხოვნას — არ გამოვეწვიე ფრონტიდან იმ სხვა ფრონტელ პარტიულ მუშაკებთან ერთად, რომლებსაც ზურგში გზავნიდნენ ხელმძღვანელ სამუშაოზე. მადლიერი ვარ იმისთვისაც, რომ 1944 წელს დააკმაყოფილეს ჩემი თხოვნა — არ დავენიშნე უფრო მაღალ პოსტზე, რომელიც ჩამომაშორებდა უშუალო საბრძოლო მოქმედებას, არამედ ომის ბოლომდე დავეტოვებინე მე-18 სადესანტო არმიაში. მე მამოძრავებდა ერთადერთი გრძნობა — დამეცვა ჩვენი მიწა-წყალი, მემუსრა მტერი ყველგან და ყოველ ადგილას, მივსულიყავი ბოლომდე, სრულ გამარჯვებამდე. მხოლოდ ასე შეიძლებოდა ქვეყნად მშვიდობის დაბრუნება.

მე-18 არმიასთან არის დაკავშირებული ჩემი საფრონტო ცხოვრება, და იგი სამუდამოდ მშობლიური დარჩა ჩემთვის. მე-18 არმიის რიგებში ვიბრძოლი კავკასიის მთებში იმ დროს, როცა იქ სამშობლოს ბედი წყდებოდა. ვიბრძოლი უკრაინის ველებზე, გადავდიოდი კარპატის ქედებს, ვმონაწილეობდი პოლონეთის, რუმინეთის, უნგრეთისა და ჩეხოსლოვაკიის განთავისუფლებაში. ამ არმიასთან ვიყავი მცირე მიწაზეც, რომლის როლი მნიშვნელოვანი იყო ნოვოროსიისკისა და მთელი ტამანის ნახევარკუნძულის განთავისუფლებაში.

ხდება ხოლმე, კაცი ზოგჯერ ისეთ გარემოებაში მოხვდება, სადაც ერთი წლის მანძილზე იმდენს ნახავს, შეიტყობს, იგრძნობს, რამდენისთვისაც სხვა დროს მთელი ცხოვრებაც არ ეყოფოდა. ეს პლაცდარმი იმდენად აღსავსე იყო მოვლენებით, ბრძოლები კი ისეთი ფიცხელი და განუწყვეტელი გახდა, გეგონებოდა 255 დღეს კი არა, მარადისობას შეადგენდა. და ყოველივე ეს ჩვენ გადავიტანეთ.

გეოგრაფიული თვალსაზრისით მცირე მიწა არ არსებობს. გასაგები რომ გახდეს მომდევნო ამბები, ნათლად უნდა წარმოვიდგინოთ ეს კლდოვანი მიწის ნაგლეჯი, უშუალოდ რომ ეკვრის წყალს. მისი ფრონტის სიგრძე 6 კილომეტრს შეადგენდა, სიღრმე — სულ ოთხ კილომეტრ-ნახევარს და რადაც უნდა დაგვჯდომოდა საჭირო იყო ამ მიწის შენარჩუნება.

როგორ გაჩნდა პლაცდარმი? ნოვოროსიისკი ეკვრის ცემესის უბეს, რომელიც ღრმად არის შეჭრილი მთებში. იქ ორი ცემენტის ქარხანაა — „პროლეტარი“ და „ოქტომბერი“. გამოღმა ჩვენ ვიყავით, გაღმა — გერმანელები. 1943 წლის დამდეგისათვის მთელი მარცხენა ნაპირი მოწინააღმდეგეს ეპყრა. მაღლობებიდან იგი კონტროლს უწევდა ჩვენი ფლოტის მოძრაობას, და უნდა წაგვერთმია მისთვის ეს უპირატესობა. და აი იშვა აზრი, მოდით, ვცადოთ დესანტის გადასხმა და ხელთ ვიგდოთ ნოვოროსიისკის გარეუბანი. ეს არა მარტო უფრო საიმედოდ დაიცავდა უბეს მის წყლებში მტრის შემოჭრისაგან, არაუნდ მთელ მომდევნო ბრძოლებსაც გაგვიადვილებდა.

ჰიტლერელებს ეს კარგად ესმოდათ. ვეცდები, თავი არ შეგაწყინოთ ციფრებით, ერთს კი მოვიყვან ახლა. პლაცდარმს, როცა ხელთ ვიგდეთ, ფაშისტები

განუწყვეტლივ უტევდნენ, ზედიზედ აყრიდნენ ჭურვებსა და ბომბებს, რომ არაფერი ვთქვათ ავტომატისა და ტყვიამფრქვევის ცეცხლზე, და გამოანგარიშებულია, რომ მცირე მიწის ყოველ დამცველზე 1.250 კილოგრამი ეს მომაკვდინებელი ლითონი მოდიოდა.

პლაცდარმზე იბრძოდა მე-18 სადესანტო არმიის თითქმის ორი მესამედი. და ჩემი დროის უმეტეს ნაწილს მცირე მიწაზე ვატარებდი. ასე რომ, იმ მომაკვდინებელი ლითონის კილოგრამებიდან ჩემთვისაც იყო გათვალისწინებული რაღაც ნაწილ ».

ვფიქრობ, მცირე მიწაზე დესანტის გადასხმა და იქ გამართული ბრძოლები სამხედრო ხელოვნების ნიმუშად გამოდგება. ჩვენ გულმოდგინედ ვარჩევდით ადამიანებს, სპეციალურად ვამზადებდით მათ. გელენჯიკში ვიწრო კონცხზე ვავარჯიშებდით მოიერიშე ჯგუფებს, ვასწავლიდით ტყვიამფრქვევებიანად წყალში ხტომას, კლდეზე ცოცვას, მოუხერხებელი მდგომარეობიდან ხელყუმბარის ტყორცნას. მებრძოლებმა აითვისეს ყველა სახეობის ნადავლი იარაღის ხმარება. ისწავლეს დანის სროლა და კონდახით ბრძოლა, ჭრილობის შეხვევა და სისხლის შეჩერება. ისინი იხსომებდნენ პირობითს სიგნალებს, დაოსტატდნენ თვალახვეულთ დაეტენათ ავტომატის დისკოები, სროლის ხმით განესაზღვრათ, საიდან უშენდნენ ცეცხლს. უამისოდ შეუძლებელი იქნებოდა ეს გაბედული დესანტი და განსაკუთრებით პირველი ღამის შეტაკება — ყველაფერი სიბნელეში უნდა მომხდარიყო, ალღოთი.

პირველ ჯგუფში, რომელსაც საგანგებო დანიშნულების რაზმი ეწოდა, მხოლოდ მოხალისენი მიგვყავდა, და მხოლოდ ისეთნი, ვინც უკვე გამოიჩინა გმირობა. დესანტის მეთაურად მაიორი ც. ლ. კუნიკოვი დანიშნეს. ამ ჭკვიან და ძლიერ კაცს ჯერ კიდევ წინა ბრძოლებში მივაქციე ყურადღება, როცა საზღვაო ქვეითი ჯარის ბატალიონს მეთაურობდა. პოლიტნაწილში მოადგილე იყო უფროსი ლეიტენანტი ნ. ვ. სტარშინოვი, ხოლო შტაბის უფროსი — მაიორი თ. ე. კოტანოვი, რომელმაც ასევე კარგად გამოიჩინა თავი საბრძოლო საქმეებში. შემდგომში სამივემ საბჭოთა კავშირის გმირის წოდება მიიღო. კუნიკოვმა — სიკვდილის შემდეგ (იგი დესანტის გადასხმის მეოთხე დღეს დაიღუპა), ხოლო სტარშინოვმა და კოტანოვმა — უკვე მცირე მიწის მომდევნო ბრძოლებში.

რაზმის შექმნის დროს მათ უფლება მისცეს ნოვოროსიისკის სამხედროსაზღვაო ბაზის ნებისმიერ ნაწილებში შეერჩიათ ხალხი. ეს უფლება, რა თქმა უნდა, გამონაკლისი, მაგრამ საჭიროებით ნაკარნახევი იყო. ჩვენ გვესმოდა, რომ ასეთ დესანტში მეტად დიდი იყო თითოეული მებრძოლის როლი. ასე შეიკრიბა ხუთი მოიერიშე ჯგუფი, რომლებიც 250-კაციან რაზმში გაერთიანდნენ. უმძიმესი განსაცდელის ჟამს ისინი წინა ხაზზე უნდა ყოფილიყვნენ, და ამათ მოიხადეს კიდეც თავიანთი ვალი.

1974 წელს ნოვოროსიისკის მუზეუმში ჩემი ყურადღება მიიპყრო საგულისხმო დოკუმენტმა. ეს გახლდათ პატაკი, რომელიც ეკუთვნოდა უფროს ლეიტენანტს, ვ. ა. ბოტილიოვს, რომელიც იმავე ღამეს გადავიდა პლაცდარმზე როცა კუნიკოვი. იგი წერდა: „მოგახსენებთ, რომ პირველ მოიერიშე ჯგუფში მიკლულია 1, დაჭრილია 7 კაცი. აქედან საკ. კპ (ბ) კანდიდატი — მოკლულია 1 კაცი, საკ კპ (ბ) კანდიდატი — დაჭრილია 4 კაცი, კომკავშირელი — დაჭრილია 2 კაცი, უპარტიო — დაჭრილია 1 კაცი. სარდლობის მიერ დასახული პირველი საბრძოლო ამოცანა შესრულდა. ჯგუფის პოლიტიკურ-მორალური მდგომარეობა კარგია“.

აქ უფდგილი არ იქნება გავიხსენოთ, რომ დიდი სამამულო ომის ფრონ-

ტებზე მამაცთა სიკვდილით დაეცა სამი მილიონი კომუნისტი. და ხუთი მილიონი საბჭოთა პატრიოტი შეემატა პარტიის რიგებს ომის წლებში. „მინდა კომუნისტად წავიდე ბრძოლაში!“ — ლეგენდად ქცეული ეს სიტყვები ლამის ყოველი შეტაკების წინ მესმოდა, და მით უფრო ხშირად, რაც უფრო ფიცხელი ბრძოლა გველოდა. რა შეღავათი უნდა მიეღო კაცს, რა უფლებები უნდა მიენიჭებინა მათთვის პარტიას სამკვდრო-სასიცოცხლო შერკინების წინ? მხოლოდ ერთი პრივილეგია, მხოლოდ ერთი უფლება, მხოლოდ ერთი მოვალეობა — პირველი წასულიყო იერიშზე, პირველს შეეშვირა მკერდი ტყვიისათვის.

გადასხმის წინ რაზმმა ფიცი დადო. კომუნისტმა კუნიკოვმა ყველანი ჩააწკრივა პატარა მოედანზე, ერთხელ კიდევ შეახსენა, რომ ოპერაცია უაღრესად სახიფათოა, და გააფრთხილა: ვინც ფიქრობს, რომ ვერ გაუძლებს განსაცდელს, შეუძლია დესანტს არ გამოჰყვეს. მას არ გაუცია ბრძანება, რომ ასეთებს, ვთქვათ, სამი ნაბიჯი გადაედგათ წინ. თავმოყვარეობა არ შეულახა, და თქვა:

— გთხოვთ, ზუსტად ათი წუთის შემდეგ კვლავ დაეწყოთ. ვისაც საკუთარი თავის იმედი არა აქვს, მწყობრში ნუ ჩადგება. მათ თავთავიანთ ნაწილებში გავგზავნით, როგორც სწავლების კურსგავლილთ.

როცა რაზმი დაეწყო, მხოლოდ ორი კაცი გვაკლდა.

დღესაც, ათწლეულების შემდეგ აუღელვებლად ვერ წაიკითხავთ საჯარო ფიცს, რომელიც ზღვაში გასვლის წინ დავდეთ. „მივდივართ რა საბრძოლველად, — ნათქვამი იყო იქ, — ჩვენ ფიცს ვდებთ სამშობლოს წინაშე, რომ სწრაფად და გაბედულად ვიმოქმედებთ, სიცოცხლეს არ დავზოგავთ მტერზე გამარჯვებისათვის. ჩვენს ნებისყოფას, ჩვენს ძალ-ღონეს და ყოველ წვეთ სისხლს გავიღებთ ჩვენი ხალხის ბედნიერებისათვის, შენთვის, უსაყვარლესო მამულო... ჩვენი კანონი მხოლოდ წინსვლა არის და იქნება...“

როცა ფიქრებით ვუბრუნდები იმ ბობოქარ დღეებს, როცა ვიხსენებ ამ ეაქკაცურ ფიცს, მუდამ სულიერ მღელვარებასა და სიამაყეს ვგრძნობ. ისტორიას მრავლად ახსოვს ცალკეულ პიროვნებათა საქმენი საგმირონი, მაგრამ მხოლოდ ჩვენს დიად ქვეყანაში, მხოლოდ ჩვენი პარტიის წინამძღოლობით, საბჭოთა ადამიანებმა დაამტკიცეს, რომ მათ მასობრივი გმირობის ძალა შესწევთ.

3.

ამრიგად, დადგა დესანტის გადასხმის ღამე. კარგად მახსოვს, რა განწყობილება სუფევდა ნავმისადგომთან. არც ერთი მოღუშული სახე არ მინახავს, მხიარული სახეებიც კი ჰქონდათ, მოუთმენლობა ეწერათ ზედ. მეზღვაურები ყუთებს დაარბენინებდნენ და გაიძახოდნენ: „პოლუნდრა!“, მახსოვს ერთ მათგანს ვკითხე: პოლუნდრა რას ნიშნავს-მეთქი?

თურმე, „ფრთხილად“ ყოფილა. ასე გავიგე ამ სიტყვის მნიშვნელობა.

1943 წლის 3 თებერვლის ღამე ძალზე ბნელი იყო. მედესანტეებით სავსე კატარღები ჩუმად გავიდნენ გელენჯიკიდან ცემესის უბისკენ. იქიდან, გაშლის პუნქტიდან, მათ სასიგნალო რაკეტების გასროლისთანავე მიაშურეს ნაპირს. ამავე დროს სანაპირო ზოლს, რომელიც წინასწარ ჰქონდათ ამოღებული მიზანში, ცეცხლი დაუშინა ჩვენმა არტილერიამ. აფეთქების გრიალს შეუერთდა „კატიუშების“ (ომის პრაქტიკაში პირველად ტრალერ „სკუმბრიაზე“ დაამონტაჟეს ეს რეაქტიული დანადგარი) ცეცხლოვანი ზალპები. ორმა ტორპედიანმა

კატარღამ დიდი სიჩქარით გადაუჭრა გზა სადესანტო გემებს და კვამლის ფარდა დატოვა, რათა ნაპირიდან ზუსტად ვერ დაეშინათ ცეცხლი. საგუშაგო კატარღამ თევზის ქარხნის მიდამოებს დაუშინა ჭურვი, რათა ჩაეხშო მოწინააღმდეგის საცეცხლე წერტები, რომლებიც საარტილერიო იერიშს გადაურჩა. როცა კუნიკო

გულარული ნაწილების სარდლობის გეგმების სრული შესაბამისობით. ასე იყო მცირე მიწაზეც, სადაც ხუთივე რაზმს ხელმძღვანელობდა პარტიის ნოვოროსიისკის საქალაქო კომიტეტის მდივანი პ. ი. ვასევი, რომელსაც მჭიდრო კავშირი ჰქონდა ჩვენს შტაბთან.

საერთოდ კი, კიდევ ერთხელ ვიმეორებ, დესანტი მცირე მიწაზე შეიძლება სამხედრო ხელოვნების ნიმუშად მივიჩნიოთ. პირველი მოიერიშე რაზმის ვადასხმის წარმატება, ძალების ოპერატიული ზრდა, პოლკებისა და კორპუსების წინსვლა ძლიერ გამაგრებულ, დანაღმულ ნაპირზე — ყოველივე ეს მოითხოვდა ქვეითი ჯარის მესანგრეთა ნაწილების, მეზღვაურებისა და არტილერისტების ზუსტ ურთიერთმოქმედებას. უმცირესი შეცდომაც კი არ უნდა მოსვლოდათ „ომის ღმერთებს“, ბევრ ადგილას ჩვენი ნაწილები მტრის ნაწილებს ლამის ხელყუმბარის სროლის მანძილზე მიუახლოვდნენ. კიდევ უფრო რთულად ჰქონდათ საქმე მფრინავებს. მახსოვს, ჩვენი ავიაციის თავდასხმების წინ მებრძოლები პერანგებს ფენდნენ სანგრების ბრუსტვერზე, რათა თავიანთი წინა ხაზი აღენიშნათ.

უნდა ითქვას, უადრესად არახელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობა გვქონდა. ჩვენ ხელთ იყო ნაპირის ვიწრო ზოლი — გრძელი, შიშველი და მოსწორებული, გერმანელების ხელში კი იყო ყველა მაღლობი, ტყე, შეიძლება იკითხოთ. როგორღა გადარჩნენ ადამიანები, თუ მათ უშენდნენ ასობით ტონა მომაკვდინებელ ლითონს, თუ მოწინააღმდეგის ძალები ბევრად აღემატებოდა ჩვენსას, თუ გარშემორტყმული მთებიდან მტერი ხელისგულივით ხედავდა მცირე მიწას. ყოველივე ამას უპირისპირდებოდა გამოცდილება, სიდინჯე, ზუსტი ანგარიში და ყოველდღიური შრომა.

იმხანად კარგად გავიგე, რომ ომი, ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, გოლიათური შრომაც ყოფილა. ეს არის გუშინდელი მეტალურგების, ზეინკლების, მეშახტეების, მხვნელ-მთესველების, კომბაინერების, მეჯინიბეების, მშენებლების, ხუროების შრომა, იმ ხალხის შრომა, რომელმაც ჯარისკაცის ფარაჯა ჩაიცვა. ეს არის არა მარტო ერთგულებისა და მამაცობის, არამედ უდიდესი გამძლეობის, შეუპოვრობის, ცოდნის, საზრიანობის გამოვლინება.

არსებითად, მთელი მცირე მიწა მიწისქვეშა ციხე-სიმაგრედ გადაიქცა. 230 საიმედოდ შენიღბული სამეთვალყურეო პუნქტი გახდა მისი თვალი, 500 საცეცხლე თავშესაფარი — მისი დაჯავშნული მუშტი; გათხრილი იყო ათობით კილომეტრი გასასვლელი, ათასობით სასროლი უჯრედი, სანგარი და ხვრელი. გაჭირვება გვაიძულებდა, გაგვეყვანა შტოლნები კლდოვან გრუნტში, აგვეშენებინა ტყვია-წამლის მიწისქვეშა საწყობები, მიწისქვეშა ჰოსპიტლები, მიწისქვეშა ელექტროსადგური. გაჭირვება გვაიძულებდა გვევლო ზოლოდ ტრანშეებით, ეს ადვილი არ არის, მაგრამ თავს გამოყოფ თუ არა — დაიღუპები. ყველანი დიდხანს ვისხედით, და მერე,როცა ფაშისტებმა უკანდახევა დაიწყეს, ზოგიერთი მებრძოლი, როგორც ჩვენ ვუწოდებდით, „მჯდომარე სენით“ დაავადდა.

საინჟინრო ჯარები საოცარ საზრიანობას იჩენდნენ. აფეთქებათა შედეგად წარმოშობილ ორმოებს, რომელთაგან ზოგიერთი უფრო ქვაბულს ჰგავდა, მესანგრეები ტრანშეებს უერთებდნენ და ბლინდაჟებად აქცევდნენ. ხულისგულისოდენა მცირე მიწაზე შეიქმნა თავდაცვის სამი ხაზი, რომლებსაც ერთმანეთისაგან თითო კილომეტრი აშორებდა. ყოველი მათგანის გასწვრივ დანაღმული ველები იყო. საიმედოდ მოქმედებდნენ მიწისქვეშა კავშირგაბმულობის ხაზები. ექვს მეტრ-ნახევარ სიღრმეზე კლდეში შეჭრილი დესანტის საკომანდო

ბუნქტს შეეძლო მალულად, გასასვლელებით გაეგზავნა ჯარები იქ, სადაც საშიში მდგომარეობა იქმნებოდა.

სტანიჩკის რაიონში ჩვენ ფაქტიურად არ გვქონია ნეიტრალური ზოლი, მოწინააღმდეგე თხუთმეტ-ოც მეტრზე იყო ჩვენი პოზიციებიდან, მაგრამ, იქ რომ მივდიოდი, ვხედავდი, რომ ამ უბანზეც წინა ხაზი — მუდმივი საფრთხისა და საშიშროების ხაზი მჭიდროდ დანაღმული და მავთულხლართებით შემოღობილი იყო. სამუშაოების დროს მესანგრეებს ზოგჯერ ხელჩართული ბრძოლა უხდებოდათ.

გამაგრებული პლაცდარმი თავისებური ციხე-ქალაქი გახდა. ქუჩებიც კი გაჩნდა — ჰოსპიტლის, მესანგრის, ქვეითის, მატროსის. აქ არ იდგა არც ერთი სახლი, არავინ იცის, ვინ დაარქვა ეს სახელები, რომლებიც მაინც არ იყო შემთხვევითი. მაგალითად, მესანგრის ქუჩა — ეს ცეცხლისაგან დაცული ხევი იყო, ჰოსპიტლის ქუჩა ბორცვიანი ადგილი, რომელსაც გამუდმებით უშენდნენ ტყვიას და იქიდან მებრძოლები ხშირად ჰოსპიტლებში ხვდებოდნენ. გამაგრებებს ტყვიის წვიმაში ვაშენებდით, არ გვქონდა არც მექანიზმები, არც საშენი მასალები, მაგრამ ჩვენი მარჯვე ბიჭები დიდ საზრიანობას იჩენდნენ მიწისქვეშ. საფუძვლიანად, მამაპაპურად დასახლდნენ იქ — ეტყობოდათ, რომ არსად არ აპირებდნენ წასვლას. ყველას, ვინც ამ სიმაგრეს აგებდა, შეგვიძლია გმირი ეუწოდოთ.

განსაკუთრებით გულთბილად მახსენდება შუახნის მესანგრეები. მათ არ გზავნიდნენ მტრის დასანახად ნაღმური ღობურების დასადგმელად, „მოხუცები" თითქოსდა ჩვეულებრივ, მშვიდობიან საქმეს აკეთებდნენ: გელენჯიკიდან რამდენიმე კილომეტრზე ჯანხოტის მახლობლად, ტყეს ჩეხავდნენ, ტივებად კრავდნენ და ღამ-ღამობით მცირე მიწისკენ აცურებდნენ. მაგრამ, არ იკითხავთ, როგორ აცურებდნენ! ბნელი ღამეები ცემესის უბეში, როგორც მოგახსენეთ, არასოდეს არ გვინახავს. უიარაღო ტივებს ცეცხლს უშენდა არტილერია. ცეცხლზე ვერც პასუხს გასცემდნენ და ვერც მანევრირება შეეძლოთ მოუხერხებელი ტვირთით მენაღმეებს. ისინი ჩადიოდნენ ცივ წყალში და მორებზე ხელჩაკიდებული განაგრძობდნენ გზას, თუ ტივს ჭურვი მოხვდებოდა, წყალშივე კრავდნენ მას, ოღონდ არ დაეკარგათ ძვირფასი ხე-ტყე. თუ ბუქსირი იძირებოდა, რაკეტებით პირობითს სიგნალს იძლეოდნენ და ელოდნენ, სანამ რომელიმე მოტობოტი მოვიდოდა, აი როგორები იყვნენ ეს „მოხუცები".

მკითხველს შეიძლება ისეთი შთაბეჭდილება შეექმნას, თითქოს პლაცდარმზე ათასობით ადამიანის ცხოვრება მხოლოდ იერიშებით, დაბომბვებით, ხელჩართული შეტაკებებით ამოიწურებოდა, არა, ხანგრძლივი დროის მანძილზე აქ დამკვიდრდა ცხოვრება, სადაც ყველაფერს თავისი ადგილი ჰქონდა, რითაც ჩვეულებრივ ცხოვრობს ადამიანი. კითხულობდნენ და უშვებდნენ გაზეთებს, აწყობდნენ პარტიულ კრებებს, ზეიმობდნენ დღესასწაულებს, უსმენდნენ ლექციებს. ჭადრაკის ტურნირიც კი გამართეს. გამოდიოდნენ არმიისა და ფლოტის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლები, მუშაობდნენ მხატვრები ბ. პროროკოვი, ვ. ციგალი, პ. კირპიჩევი, რომლებმაც თავდაცვის გმირთა დიდი გალერეა შექმნეს.

მახსოვს, ერთხელ ცენტრალური კომიტეტის ბრიგადა გვეწვია. სტუმრად მოსულნი პირველად მოხვდნენ ჩვენს პირობებში და მთხოვეს გამეცნო მათთვის მცირე მიწის მებრძოლები. ამჯერად ტორპედიანი კატარღით გავედით, დავიძარით თუ არა, ჩვენებმა შუშხუნა გაუშვეს. ეს სიგნალი იყო: ჩვენები არიან თუ მტრები. გერმანელები კი, როცა ადგილს ვუახლოვდებოდით განუწყვეტლივ გვიშენდნენ. მათ კიდული ქვემეხები ჰქონდათ, ამიტომაც ნაპირს უნდა

მივკროდით, კიდეზე გაგვევლო. ისევ სკდებოდა ჭურვები, სულ ახლოს ჩვენ-გან, რომ არ გცოდნოდა, შენ გიმიზნებენ, არაჩვეულებრივი სილამაზე იყო. პლაცდარმზე იდგა მეფე-ზარის მსგავსი საზღვაო შორსმსროლი ბატარეა. მცირემიწელებმა იგი საკომანდო პუნქტად გადააქციეს. ჩვენ მოგვიხდა ტყვიე-ბის ზუზუნში გვევლო, მე უკვე შეჩვეული ვიყავი, სტუმრებზე კი, ჩემი აზრით, ამან ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა. დამახსომდა ერთი მეზღვაური, უცებ წყვდიადიდან რომ გამოგვეცხადა და რაღაც ტვირთი მოჰქონდა.

— ცოტა მომეშველე, ძმაო, — მთხოვა მან, — ყველასთვის მიმაქვს.

როცა ახლა მესამედი საუკუნის შემდეგ გაგონდება, თუ რა გადახდათ ჩვენი არმიის მებრძოლებს, მეთაურებს, პოლიტმუშაკებს, ზოგჯერ არც კი გჯერა, რომ ყველაფერი ეს ნამდვილად იყო, რომ ყველაფერ ამას გაუძლო ადამიანმა. დიახაც გავუძელით, ყველაფერს გავუძელით. ყველაფერი გამოვ-ცადეთ და გავიმარჯვეთ. გავანადგურეთ ფაშისტები.

იმ დღეს, როცა მცირე მიწაზე მოსკოვიდან ჩამოსულები მივიყვანე, მე თითქოს თვითონაც სხვა თვალით შევხედე ჩემთვის ყოველივე ჩვეულსა და ნაცნობს. წინათაც ვხედავდი ყოველივე ამას, აქ კი დავინახე — მუდმივი სიკვ-დილის საფრთხეც, აუტანელი სიძნელეებიც და ჩვენი მეომრების უსაზღვრო გმირობაც.

რა თქმა უნდა, ზოგჯერ ძალიან გვიჭირდა. ჩვენ მოწყვეტილი ვიყავით დიდ მიწას, არ გვყოფნიდა მარილი, შეფერხებებით ვიღებდით პურს. მთელ ქვეგანაყოფებს ვგზავნიდით ტყეში ველურ ნიორზე. მეორე მხრივ, სინესტე იყო ამ კატაკომბებში, დამღამობით მებრძოლები სიცივით იყინებოდნენ, და პოლიტგანყოფილების მუშაკები იძულებული იყვნენ ეზრუნათ გათბობისათვის. შეეკვეთათ „ბურჟუიკები“, შეეგროვებინათ შეშა. და მაინც მცირე მიწა საბ-ჭოთა მიწად რჩებოდა, ადამიანები კი ადამიანებად რჩებოდნენ. ისინი ადგენდ-ნენ გეგმებს, ხუმრობდნენ, იცინოდნენ, დაბადების დღეებსაც კი იხდიდნენ. წაგალითად, 15 თებერვალს, ესე იგი პირველი გადასხდომის შემდეგ მეთერთ-მეტე დღეს, ერთ-ერთ მედესანტეს შალვა თათარაშვილს 23 წელი შეუსრულ-და. მისმა განუყრელმა მეგობარმა პეტრე ვერეშჩაგინმა თავისი ავტომატის დისკოდან 23 ვაზნა აჩუქა. ეს უძვირფასესი საჩუქარი იყო, რადგან ვაზნები არ გვყოფნიდა, მტრის მორიგ იერიშს კი ველოდით.

ამ ცხოვრებაში, სიკვდილის გვერდით, ბევრი რამ, ერთი შეხედვით, შეუ-თავსებელი იყო ომთან. ერთხელ საზღვაო ქვეითი ჯარის 255-ე ბრიგადის პო-ლიტგანყოფილების უფროსმა ი. დოროფეევმა ბრიგადაში დათვალა საქალა-ქო, რაიონული და სასოფლო საბჭოების თხუთმეტი დეპუტატი. გადავწყვი-ტეთ მოგვეწვია სესია. რა პრობლემების გადაწყვეტა შეეძლოთ მათ? რა თქმა უნდა, ეს იგივე პრობლემები იყო, რომლებიც მშვიდობიან დღეებში უნდა გადაიჭრას, — მოსახლეობის საჭიროებანი, საყოფაცხოვრებო მომსახურება. პირველი საკითხი, რომელიც მათ გადაჭრეს, იყო აბანოს მშენებლობა. და ააშენეს კიდეც! როგორც ამბობენ, არასამუშაო დროს ააგეს საუცხოო პატარა აბანო. ერთხელ მეც წამიყვანეს იქ. თუმცა ორთქლის აბანო პატარა გახლდათ, მაგრამ ორთქლი ბლომად იყო.

მცირე მიწაზე დიდ პატივში იყო საზრიანობა, მიხვედრილობა, მახვილგო-ნიერება. და ასეთი ადამიანები ბევრი გვყავდა. მახსოვს, ერთ მარჯვე ჭაბუკს, რომელიც რაღაც საქმეზე გელენჯიკში გაგზავნეს, მთებში უპატრონო ძროხა ეპოვნა და გადაეწყვიტა, მცირე მიწაზე მივიყვანო. კიდევაც მოიყვანა და ნა-ვის მეთაურს სთხოვა, გადამაყვანინეო. ყველას გაეცინა, მაგრამ იდეას მხარი დაუჭირეს: დაჭრილებს რძე ექნებოდათ. ჰოდა, საღ-სალამათი მოიყვანეს. სა-

იმედო საფარში მოათავსეს, რძეს აბარებდნენ ჰოსპიტალს ,რომელიც ყოფილი მეღვინეობის საბჭოთა მეურნეობის სარდაფში იყო განლაგებული.

მაგრამ მთავარი განა რძე იყო? ძროხას დიდი სიხარული მოჰქონდა ადამიანებისათვის, განსაკუთრებით იმათთვის, ვინც სოფლიდან მოვიდა ფრონტზე. ყოველი საარტილერიო ცეცხლისა თუ დაბომბვის შემდეგ მებრძოლები გამორბოდნენ, რომ შეეტყოთ, ძროხა გადარჩა თუ არაო, ხომ არ დაიჭრაო, ეალერსებოდნენ. ადვილი არ არის ყოველივე ამის ახსნა, მაგრამ ასეთი მშვიდობიანი არსება უდიდესი დაძაბულობის ვითარებაში ეხმარებოდა ადამიანებს შეენარჩუნებინათ სულიერი წონასწორობა, მოაგონებდა მათ, რომ ყოველგვარი სიხარული დაუბრუნდება ადამიანს, ~~ცხოვრება გრძ~~ელდება, ოღონდ საჭიროა მისი დაცვა.

კარგი საჩუქარი მიიღეს მცირემიწელებმა 1943 წლის 1 მაისის აღსანიშნავად. გარიჟრაჟზე მათ სიხარულის შეძახილი აღმოხდათ და სახეზე ნათელი ღიმილი გადაეფინათ. ღამით ბრიგადის განლაგების სხვადასხვა ადგილას მებრძოლებს წითელი დროშები აღემართათ. დილით ისინი ყველამ დაინახა და, რაღა ოქმა უნდა, გერმანელებმაც.

მახსოვს, რა დიდი შთაბეჭდილება მოახდინა შავ-თეთრი კინოს ხანაში ეკრანზე წითელი ალმის გამოჩენამ კინოფილმ „ჯავშნოსან პოტიომკინში“. აქვე, ბომბებითა და ჭურვებით გადათხრილ, ყუმბარის ნამსხვრევებით მოფენილ ეამქვარტლულ და გასისხლიანებულ მცირე მიწაზე, მტრის გარემოცვაში აღმართულმა დროშებმა ყველა გააოცა. აღფრთოვანებული ხმები გაისმა ამ ტანჯულ მიწაზე. პირადად თითოეულისათვის ეს რაღაც ძალიან ძვირფასი იყო. აღელვების პირველმა წუთებმა გაიარა და ყველა სიხარულმა მოიცვა, იცინოდნენ სიხარულისაგან, თავიანთი ძალის შეგნების გამო: „შეხედე წყეულო ფაშისტო! ახლა ფეხები არ მომჭამო!“

4.

აპრილის ბრძოლები, ამ გადასვლას რომ მოჰყვა, როცა წყალში ბანაობა მომიხდა, უსასტიკესი იყო მცირე მიწაზე. სწორედ ამ ბრძოლებზე გიამბობთ ახლა.

ფაშისტების მიერ მომზადებულ ოპერაციას „ნეპტუნს“, მათი ჩანაფიქრით, მთლიანად უნდა მოეღო ბოლო ჩვენი პლაცდარმისათვის. სპეციალურად ამისათვის იქმნებოდა ვეტცელის ჯარების დამკვრელი ჯგუფი, რომელშიც შედიოდა 27 ათასამდე კაცი. მას უნდა ემოქმედა 1200 თვითმფრინავის, ასობით ქეემეხისა და ნაღმსატყორცნის მხარდაჭერით. დაგეგმილი იყო აგრეთვე ზღვიდან ოპერაცია, რომელსაც არანაკლებ ხატოვანი სახელწოდება ჰქონდა — „ბოქსი“. „ბოქსის“ ჯგუფში შეიყვანეს ტორპედიანი კატარღების ფლოტილიები და წყალქვეშა ნავები. მათ ევალებოდათ გადაეჭრათ ჩვენი საზღვაო კომუნიკაციები და გაენადგურებინათ საბჭოთა ჯარები მას შემდეგ რაც მათ ზღვაში გადაჰყრიდნენ. ასე წარმოედგინათ მათ ეს ყოველივე.

მცირე მიწაზე 17 აპრილს დაწყებული ბრძოლები მზარდი ძალით ვითარდებოდა. მოწინააღმდეგე ყოველ დღე აბამდა ბრძოლაში ახალ ძალებს. დაღაადრიან იწყებდნენ ცეცხლის დაშენას მისი მძიმე ბატარეები. ამავე დროს ცაში გამოჩნდებოდნენ ხოლმე თვითმფრინავები. ისინი პირდაპირ დაგვტრიალებდნენ თავს, ტალღებად მოდიოდა 40—60 მანქანა და ბომბს უშენდა თავდაცვის მთელ სიღრმეს და მთელ ფრონტს. ჩქაროსნულ ბომბდამშენებს მოსდევდნენ მოპიკირეები — ისინიც ტალღებად, შემდეგ მოიერიშეები. ყოველი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეს ეს საათობით გრძელდებოდა, რის შემდეგაც ტანკებისა და ქვეითთა ჯარის იერიშები იწყებოდა.

ფაშისტები გვიტევდნენ თავდაჯერებით, რადგან ეგონათ, რომ კვამლში გახვეულ მცირე მიწაზე უკვე არაფერი ცოცხალი არ შეიძლებოდა დარჩენილიყო. მაგრამ მათი იერიში გააფთრებულ წინააღმდეგობას აწყდებოდა, და ისინი უკან იხევდნენ, თან ასობით გვამს ტოვებდნენ. მაშინ ყველაფერი ხელახლა იწყებოდა. ისევ გვიშენდნენ მძიმე ბატარეები, ისევ ღმუოდნენ მოპიკრეები, მძვინვარებდნენ მოიერიშეები, ასე მეორდებოდა დღეში რამდენჯერმე.

ბომბდამშენ და საიერიშო ავიაციას ზურგს უმაგრებდნენ ავიაგამანადგურებლები. ცაში მოწინააღმდეგის დიდი უპირატესობის გამო ჩვენი ავიაგამანადგურებლები, თუმცა კი ზარალს აყენებდნენ მას, მაგრამ დაბომბვის შეჩერება არ შეეძლოთ. საბჭოთა ბომბდამშენები არ ჩნდებოდნენ მტრის პოზიციებზე, რაც საშუალებას აძლევდა მას გადაეჯგუფებინა ნაწილები და მომზადებულიყო იერიშებისათვის. ასე გრძელდებოდა სამ დღეს — 21 აპრილამდე. ეს იყო ვადა, რომელშიც გერმანელ-ფაშისტთა სარდლობას გათვალისწინებული ჰქონდა მცირე მიწის საბოლოო განადგურება.

ჰიტლერი, რომელმაც გადაწყვიტა ზღვაში გადაეყარეთ ფრონტის ამ უბანზე რისკს არ მოერიდა. მძიმე მდგომარეობა იქმნებოდა. მაშინ მე-18 არმიის სამხედრო საბჭომ, პრაქტიკულად კი მე, შევადგინე მიმართვა-წერილი მცირემიწელებისადმი. ამ წერილმა სანგრები და ბლინდაჟები მოიარა. ადამიანები ხელს იჭრიდნენ და სისხლით აწერდნენ მას ხელს. მოგვიანებით ერთი ცალი ი. ბ. სტალინს გავუგზავნე, რომ სცოდნოდა როგორ ომობენ მებრძოლები.

„მტრისთვის გამოგლეჯილ ერთ მტკაველ მიწას ქალაქ ნოვოროსიისკთან,— ნათქვამი იყო წერილში. — ჩვენ „მცირე მიწა“ ვუწოდეთ. პატარაა იგი, მაგრამ ჩვენია, საბჭოთაა. იგი მორწყულია ჩვენი ოფლით, ჩვენი სისხლით, და ჩვენ არასოდეს და არავითარ მტერს არ დავუთმობთ მას. ვფიცავთ ჩვენს საბრძოლო დროშებს, ჩვენს ცოლებსა და შვილებს, ჩვენს საყვარელ სამშობლოს. ვფიცავთ, რომ გავუძლებთ მტერთან მომავალ შეტაკებებს, გავანადგურებთ მის ძალებს და გავწმენდთ ტამანს ფაშისტი არამზადებისაგან. მცირე მიწას ჰიტლერელთა დიდ სასაფლაოდ გადავაქცევთ!“.

ფაშისტთა შემოტევის პირველ დღეს უმაღლესი მთავარსარდლობის მთავარი ბანაკის კატეგორიული მითითება მივიღეთ: რადაც უნდა დაგვჯდომოდა, შეგვენარჩუნებინა პლაცდარმი, მთავარი ბანაკი, რომელსაც ეს ტამანის ნახევარკუნძულის განთავისუფლების გასაღებად მიაჩნდა, დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა მას და თვალყურს ადევნებდა ბრძოლების მსვლელობას.

18 აპრილს ჩრდილოეთ კავკასიის ფრონტის შტაბში, რომელსაც გენერალ-პოლკოვნიკი ი. ე. პეტროვი სარდლობდა, გაფრინდა მთავარი ბანაკის წარმომადგენელთა ჯგუფი მარშალ გ. კ. ჟუკოვის მეთაურობით. იმავე დღეს სამხედრო-საზღვაო ფლოტის სახალხო კომისართან ნ. გ. კუზნეცოვთან და სამხედრო-საჰაერო ძალების სარდალთან ა. ა. ნოვიკოვთან ერთად ისინი ჩამოვიდნენ მე-18 სადესანტო არმიის შტაბში. ეს მაცნობა შტაბის ერთ-ერთმა პოლკოვნიკმა, რომელიც მცირე მიწაზე ჩამოვიდა, და დასძინა:

— მარშალს უნდოდა თქვენი ნახვა.

— ეს რა, ბრძანებაა? — ვკითხე მე.

— ასეთი ბრძანება მისგან არ მიმიღია, — მიპასუხა პოლკოვნიკმა, — მაგრამ მითხრა, რომ თქვენთან საუბარი სურდა.

გულახდილად რომ გითხრათ, მეც მინდოდა საუბარი: ჩვენ ყველას ძალიან

გვაწუხებდა მტრის უპირატესობა ცაში. ჩემი თვალსაზრისი ამის თაობაზე გერმანელთა იერიშის პირველ დღესვე გავუზიარე ჩვენს სარდალს კონსტანტინე ლესელიძეს, დაბეჯითებით ვთხოვე ავიაციის მხარდაჭერა, ამაზე ვესაუბრე სამხედრო საბჭოს წევრს სიმონ ექვთიმეს ძე კოლონინსაც, რომელსაც ყოველთვის პატივს ვცემდი. ორივე გაბედული, პრინციპული, გამოცდილი კაცი იყო, ორივე დამეთანხმა, და მე ვიფიქრე, რომ ჟუკოვს, რა თქმა უნდა, მოახსენებდნენ ავიაციის მდგომარეობას. ჩემთვის კი უმჯობესი იყო გაჭირვების ჟამს არ მიმეტოვებინა პლაცდარმი, ასეც მოვიქეცი, დავრჩი მებრძოლებთან მცირე მიწაზე. შემდეგ თავის მემუარებში გ. კ. ჟუკოვი წერდა: „მაშინ ყველას გვაწუხებდა ერთი საკითხი — გაუძლებდნენ თუ არა საბჭოთა მეომრები განსაცდელს, რომელიც წილად ხვდათ მათ უთანასწორო ბრძოლაში მტერთან, რომელიც დღედაღამ უტევდა ციდან და არტილერიის ცეცხლს უშენდა პლაცდარმის დამცველებს“. მარშალი აგრეთვე წერდა, რომ სწორედ ამის თაობაზე სურდა სცოდნოდა ჩემი თვალსაზრისი, გაუძლებდნენ თუ არა ჩვენი მეომრები ასეთ ჯოჯოხეთს, თუნდაც კიდევ ორიოდ დღეს, რადგან მთავარმა ბანაკმა უკვე განახორციელა სერიოზული ღონისძიებანი ჩვენს დასახმარებლად.

და მართლაც, ორი დღის შემდეგ სურათი მკვეთრად შეიცვალა. ზედიზედ ჩამოვიდა სამი ავიაკორპუსი მთავარი ბანაკის რეზერვიდან. ისინი ჩამოსვლისთანავე ებმებოდნენ ბრძოლაში. წითელვარსკვლავიანმა ავიაგამანადგურებლებმა უწინარეს ყოვლისა მცირე მიწის ცა ჩაკეტეს. ბომბებმა გადათხარეს მტრის საბრძოლო პოზიციები. ახლა საჰაერო ბრძოლები თანაბარი ძალების პირობებში მიმდინარეობდა, შემდეგ კი უპირატესობა ჩვენ მხარეზე გადმოვიდა, რადგან მფრინავებმა მტრის რამდენიმე აეროდრომი დაბომბეს.

მიჭირს იმის გადმოცემა, თუ რა ხდებოდა ცაში. სადაც გაიხედავდი, ხან ცალ-ცალკე, ხან რგოლებად სამკვდრო-სასიცოცხლოდ ებრძოდნენ ერთმანეთს ჩვენი და გერმანელთა თვითმფრინავები. ჩამოგდებული მანქანების შავი ბოლოები ერთმანეთს ჰკვეთავდა და მიწაზე ეშვებოდა. სამი დღის ბრძოლის მანძილზე ჩვენმა მფრინავებმა მცირე მიწაზე მტრის 117 თვითმფრინავი ჩამოაგდეს. ამ გააფთრებულ შეტაკებათა ამბავი დაწვრილებით აქვს გაშუქებული თავის წიგნში ბრძოლების მონაწილეს ა. ი. პოკრიშკინს.

ჩვენს პლაცდარმზე წყდებოდა ნოვოროსიისკისა და ტამანის ბედი, და გერმანელ-ფაშისტთა სარდლობა მოწინავე ხაზზე სულ ახალ-ახალ ნაწილებს გზავნიდა. რვა დღე-ღამეს თითქოს კოშმარში იბრძოდნენ მცირემიწელები, სანამ ძალა არ გამოელია მტერს, სანამ მტრის ძალების ნარჩენები თავიანთ საწყის პოზიციებზე არ გაიძურწნენ. მაგრამ ბრძოლის კულმინაციური მომენტი დადგა 1943 წლის 20 აპრილს, და, რა გინდ უცნაურადაც უნდა მოგეჩვენოთ, ეს დღე ჩემთვის დაკავშირებულია ერთ სასაცილო მოგონებასთან .

საზღვაო ქვეითი ჯარის 225-ე ბრიგადაში პოლიტგანყოფილების უფროსად გვყავდა მ. კ. ვიდოვი. გონივრულად, ყოჩაღად იბრძოდა, მებრძოლებზე ზემოქმედების დიდი ძალა ჰქონდა, ხოლო მეთაურის საყვედურზე, ტყუილუბრალოდ თავს ნუ სწირავო, უპასუხებდა: „მე კომისარი ვარ, ვიღაც ჩანჩურა ხომ არ გგონივართო!“ ჰოდა, აი, 19 აპრილს ღამით მ. კ. ვიდოვმა შეკრიბა პოლიტმუშაკები, შეაჯამა ბრძოლის შედეგები, შემდეგ კი იკითხა, იცით თუ არა ფაშისტები ასე გააფთრებით რატომ იბრძვიანო. რატომაო და, უპასუხა მან, ხვალ ფიურერის დაბადების დღე აქვთო. უნდათ ბოლო მოგვიღონ, რომ საჩუქარი მიართვან. კარგი იქნებოდა ეს თარიღი ჩვენც აღგვენიშნაო.

სანამ სხვადასხვა წინადადებაზე მსჯელობდნენ, მაშინ ჯერ კიდევ ნაკლებად ცნობილმა მხატვარმა ბორის პროროკოვმა დახატა სურათი, რომელიც მა-

კ. მარქსის სახ. ნაკ. სსრ ხალხთშორის რესპუბლიკ.

შინვე ყველამ მოიწონა. ღამით მან ზეწარზე გამოხატა ღორისმაგვარი საფრთ-ხობელა, რომელიც კავკასიიდან გარბის. ღორს ყველასათვის ნაცნობი ულვაში და თმა ჰქონდა — ჰიტლერის კარიკატურა საუცხოო გამოვიდა. ზეწარს გაუ-კეთეს ჩარჩო და ნეიტრალური ზოლის წინასწარ შერჩეულ ადგილას დადგეს, თანაც საიმედოდ გაამაგრეს.

20 აპრილს დილით გარშემო მთებიდან, ყველა თავიანთი პოზიციიდან ჰი-ტლერელებმა დაინახეს ეს მილოცვა. როგორც ჩვენები ვარაუდობდნენ, თავი-ანთი ფიურერისათვის სროლას გერმანელები ვერ ბედავდნენ. კარგა ხანი გავი-და, სანამ ისინი ბჭობდნენ, თუ რა ექნათ. ბოლოს ჩარჩოსაკენ სხვადასხვა მხრიდან წამოხოხდნენ ფაშისტები. მაგრამ ადგილი ხომ შერჩეული იყო: ნა-ხევარი დაიხოცა, დანარჩენები კუდამოძუებულნი გაიქცნენ. ასე მოხდა. იმ დღეს სამჯერ, სანამ „საჩუქარს“ მათი არტილერიის ჭურვები არ მოხვდა.

— ეგრე მოუხდება მაგას! დასცხე! — ხარხარებდნენ მებრძოლები.

სიცილი მრისხანე ძალაა, ადამიანთა ოპტიმიზმს მოწმობს, სულიერი სი-ჯანსაღის ნიშანია. მას შემდეგ, რაც იერიში მოვიგერიეთ, ერთ-ერთ უბანზე, ტრანშეაში დოროფეევთან ერთად მივდიოდი და საცეცხლე უჯრედთან სიცი-ლი მოგვესმა. მივედით: თურმე იქ საუბრობდა ახალგაზრდა აგიტატორი სერ-ჟანტი, ბრძოლის შედეგებს ვაჯამებთ, ამხანაგო პოლკოვნიკო! —მომახსენა მან.

— მერე როგორი შედეგებია.

ტყვიამფრქვევთან შეჯგუფულმა მებრძოლებმა მუჯლუგუნი გაჰკრეს სერჟანტს. თქვი, თქვიო, მან ჯერ, ცოტა არ იყოს, დაირცხვინა, მაგრამ ამხანა-გებმა გაათამამეს.

— ჰიტლერი იკვეხნიდა, რომ ზღვაში გადაგვყრიდა. ჰოდა, ჩვენი უკრაინ-ული არაკითა ვთქვი, რასაც მან მიაღწია. წავიდა სანადიროდ, მოკლა დათ-ვი, გაატყავა მელა, შინ მოიტანა კურდღელი, დედამ დაკლა იხვი და მოხარშა მახოხი. გასინჯა და პირი გაუმწარდა.

ჯარისკაცებთან ერთად სიამოვნებით ვუსმენდი მხიარულ ჭაბუკს. მისი უბრალო არაკი, ალბათ ამ მომენტში უფრო მეტს ნიშნავდა და უფრო ძლიერ მოქმედებდა, ვიდრე საომარი მოქმედების ყველაზე სერიოზული გარჩევა. ეს მით უფრო იყო საჭირო, რომ ის დღე, ვიმეორებ, ყველაზე მძიმე იყო მცირე მიწაზე მთელი ყოფნის განმავლობაში. იწვოდა მიწა, ხრჩოლავდა ქვა, ლღვე-ბოდა ლითონი, ინგრეოდა ბეტონი, მაგრამ ფიცის ერთგულ ადამიანებს ამ მი-წიდან უკან არ დაუხევიათ. ასეულები აკავებდნენ ბატალიონების შემოტევას, ბატალიონები მუსრს ავლებდნენ პოლკებს. ვარვარებდა ტყვიამფრქვევის ლუ-ლა. დაჭრილები არ ეპუებოდნენ სანიტრებს და ხელყუმბარებს უშენდნენ ტან-კებს, ხელჩართულ ბრძოლაში კონდახებითა და დანებით ებმებოდნენ, გეგო-ნებოდა, ბოლო არ უჩანს ამ ბრძოლასო. იქ, სადაც ყველაფერი მტრის გვამებით იყო მოფენილი, ჩნდებოდა ახალი მწკრივები. მათ ანადგურებდნენ და კვლავ მოვდინებოდნენ რუხ-მწვანე სილუეტები. და რა გასაკვირია, რომ ერთ-ერთი იერიშის დროს მე-8 გვარდიული მსროლელი ბრიგადის მებრძოლს აღმოხდა: „ეს რა არის ,მიდიან ხომ არ ამოდიანო“.

ჰიტლერელებს იმ დღეს ძალების დიდი უპირატესობა ჰქონდათ, ჩვენ დიდად დავზარალდით, და არაერთხელ გამიელვა აზრმა: რამდენი ჩვენი ჭაბუკი დაიღუპება ამ მიწაზე, რამდენი მათგანი ვერ დაბრუნდება შინ. ომში სიბრა-ლულის საკითხი რთული საკითხია. ომი სასტიკი რამ არის, და აქ სიკვდილი ვარდაუვალია. აქ თუ ვინმე შეგეცოდა, ეს იმას ნიშნავს, რომ მის ნაცვლად სხვა გაგზავნო. აქ ერთი ზნეობრივი გამართლებაა — მხარში ედგე მებრძო-

ლებს გაჭირვების ჟამს, გაიზიარო მათი ხვედრი. და ყველაფერი უნდა იღონო, რაც შეგიძლიან, რათა დაიცვა ისინი უმაქნისი რისკისაგან, შეუმსუბუქო ჭირვარამი.

ომის წლების შემორჩენილ დოკუმენტებს შორის არის ერთი დირექტივა, რომელსაც მე ვაწერ ხელს. მოგვიანებით 1943 წლის დამლევს, კიევთან ბრძოლების დღეებში იგი ყველა პოლიტორგანოს, თითოეულ პოლიტმუშაკს დაეგზავნა. მაგრამ ის, რაც შიგ წერია, ჩემთვის უმთავრესი საქმე იყო მთელი ომის განმავლობაში:

„მუდამ იზრუნეთ და გაუფრთხილდით მებრძოლთა ძალ-ღონესა და ჯანმრთელობას. ჯარისკაცების შეუფერხებელი უზრუნველყოფა ცხელი კერძითა და ადუღებული წყლით ურღვევი წესი უნდა იყოს. უმკაცრესი კონტროლი უნდა გავუწიოთ, რომ ყველაფერს, რასაც სახელმწიფო მებრძოლებისა და ოფიცრებისათვის გამოყოფს, მთლიანად იღებდნენ ისინი. ამ მხრივ უზრუნველ და ცუდმოსაქმე ადამიანებს მკაცრად უნდა მოვკითხოთ. განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს სანიტარიულ დაწესებულებათა მუშაობას. შენაერთების პოლიტგანყოფილებებმა უნდა გამოყონ სპეციალური მუშაკები, რომლებიც პასუხს აგებენ ბრძოლის ველიდან დაჭრილთა ევაკუაციისა და მათთვის დროული სამედიცინო დახმარებისათვის“.

და დღეს, იმ ბრძოლებიდან მრავალი წლის შემდეგ, რაგინდ მოუცლელიც უნდა ვიყოთ, მოვალენი ვართ მუდამ გვახსოვდეს ისინი, ვინც ომში იყო. ზრუნვა და ყურადღება არ მოვაკლოთ მათ, დავეხმაროთ საყოფაცხოვრებო საქმეებში — ეს ხელისუფლების ორგანოების, ყველა მოქალაქის მორალური ვალია, ეს ჩვენი ცხოვრების კანონია.

5.

უნდა ვიფიქროთ, რომ მკითხველი ჩემგან მოელის საუბარს პარტიულ-პოლიტიკურ მუშაობაზე, მაგრამ არსებითად სწორედ ამაზე მაქვს უკვე დიდი ხანია ლაპარაკი. იმიტომ, რომ მცირე მიწის მეომართა სიმტკიცე ამ მუშაობის შედეგი იყო, იმიტომ, რომ მოგვარებული იყო პლაცდარმი, ზრუნვა მებრძოლთა ძალ-ღონისა და ჯანმრთელობის დაცვისათვის, დროზე გამოგზავნილი ავიაკორპუსები, სიმშვიდის მომენტში მხიარული ხუმრობაც, უდიდესი გამბედაობა იერიშების დროს, ისიც, რომ ადამიანები ბოლომდე ადამიანებად რჩებოდნენ, — ყოველივე ეს პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის შედეგი იყო. ამრიგად, მისი გამოყოფა საერთოდ თხრობიდან ძნელია და ალბათ არც არის საჭირო.

რით გავზომოთ, როგორ შევაფასოთ პოლიტიკური ხელმძღვანელის საქმიანობა ფრონტზე? სნაიპერმა მოსპო ათობით ჰიტლერელი — სახელი და პატივი მას. ასეულმა მოიგერია იერიში, დაიცვა პოზიცია — პატივი და დიდება ასეულის მეთაურსა და მის მებრძოლებს. დივიზიამ გაარღვია მტრის თავდაცვა, გაათავისუფლა დასახლებული პუნქტი — მეთაურის სახელი აღინიშნება უმაღლესი მთავარსარდლის ბრძანებაში. მაგრამ დიდია პოლიტმუშაკის დამსახურებაც, რომელიც იდეურად აიარაღებდა მებრძოლებს, განუმტკიცებდა მათ სამშობლოს სიყვარულის დიად გრძნობას. უნერგავდა თავიანთი ძალის რწმენას, აღაფრთოვანებდა გმირობისათვის.

ნამდვილი პოლიტმუშაკი არმიაში ის კაცია, რომლის გარშემო თავს იყრიან ადამიანები, მან ზედმიწევნით იცის მათი გუნება-განწყობილება, საჭიროებანი, იმედები, ოცნებები, იგი მიუძღვის მათ თავდადებისათვის, გმირობისათ-

ვის. და თუ გავითვალისწინებთ, რომ ჯარების საბრძოლო სულისკვეთება ყოველთვის იყო ჯარების სიმტკიცის უმნიშვნელოვანესი ფაქტორი, სწორედ პოლიტმუშაკს მივანდეთ ყველაზე ბასრი იარაღი ომის წლებში. იგი აკაჟებდა მეომართა სულსა და გულს, უამისოდ კი ვერც ტანკები, ვერც ზარბაზნები, ვერც თვითმფრინავები გამარჯვებას ვერ მოგვიტანდა.

ასე იყო ყველგან, ომის ძნელ უბნებზე კი, ისეთ უბნებზე, როგორიც მცირე მიწაა, ძნელია გადაჭარბებით შეაფასო ამ მუშაობის მნიშვნელობა. იყო მომენტები, როცა მებრძოლებს ეგონათ, დიდ მიწას მოწყვეტილი ვართო და უნდა ჩაგვენერგა მათთვის, რომ მოწყვეტა არ ნიშნავს მოკვეთას, რომ დაშორება არ ნიშნავს დავიწყებას. უნდა გვეჩვენებინა, რომ ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლა წარმოებს ყველა ფრონტზე, რომ უდიდეს დახმარებას გვიწევს მთელი ქვეყანა. ეს-ეს არის მოგერიებული იერიში უნდა დაგვეკავშირებინა იმ დიად ბრძოლასთან, რომელსაც მთელი საბჭოთა ხალხი ეწეოდა.

აქ ბრტყელ-ბრტყელი სიტყვები კი არ იყო საჭირო, არც დარბაზები გვქონდა ამისათვის, არამედ გულახდილი, კაცური და, მე ვიტყოდი, გულითადი საუბარი. მე ვმონაწილეობდი მეტ წილ პარტიულ კრებებში, რომლებიც იმართებოდა საბრძოლო შენაერთებსა და ნაწილებში, ისედაც ხშირი ურთიერთობა მქონდა მებრძოლებთან. ჩვეულებრივ მეხერხებოდა ჯარისკაცებთან და ბატროსებთან საერთო ენის გამონახვა, თუმცა ამისათვის არავითარ განსაკუთრებულ ხერხს არ მივმართავდი. სერიოზულ საქმეებზე ვლაპარაკობდით თუ ვხუმრობდით, ვცდილობდი უბრალოდ მოვქცეულიყავი, მოთმინებიდან არ გამოვსულიყავი. და ყოველთვის სიმართლეს ვამბობდი, რაც უნდა მწარე ყოფილიყო იგი. ვიტყვი, რომ ოფიცერთა შორის იყვნენ ისეთები, რომლებიც ცდილობდნენ ალალმართლებად მოეჩვენებინათ თავი. მებრძოლები, რა თქმა უნდა, მაშინვე გრძნობდნენ ხელოვნური ძმაბიჭობის სიყალბეს, და მაშინ უკვე გულახდილობას მათგან ალარ მოელოდნენ.

ჩვენი პოლიტგანყოფილების მეტ წილ მუშაკებს, პოლიტხელებს, კომორგებს, აგიტატორებს შეეძლოთ სწორი ტონის გამონახვა, ავტორიტეტი ჰქონდათ მოპოვებული ჯარისკაცთა შორის და საჭირო იყო ადამიანებს სცოდნოდათ: ის, ვინც მათ გამძლეობისათვის მოუწოდებდა, გაჭირვების ჟამს მხარში ამოუდგებოდა, მათთან ერთად დარჩებოდა და იარაღით ხელში გაუძღვებოდა წინ. მაშასადამე, ჩვენი მთავარი იარაღი იყო საქმით — ბრძოლაში პირადი მაგალითით განმტკიცებული მგზნებარე პარტიული სიტყვა. აი რატომ იყო, რომ პოლიტმუშაკები შეიარაღებული ძალების სული და გული გახდნენ.

რასაკვირველია, ისინი მონაწილეობდნენ შეტევითი თუ თავდაცვითი ოპერაციების მომზადებაში. ისინი აუცილებლად მონაწილეობდნენ საომარი მოქმედების გეგმების შემუშავებაში. მე, მაგალითად, არ მახსოვს შემთხვევა, რომ გენერალ ლესელიძეს თუ არმიების სხვა სარდლებს, რომლებთანაც ერთად მიომია, არ გაეთვალისწინებინოთ ჩემი თვალსაზრისი ან შესწორება, ზოგჯერ ფრიად არსებითი, მაგრამ ომში ბრძანებას მეთაური იძლევა, ეს მისი პრეროგატივაა, და თუმცა პოლიტმუშაკსაც შეუძლია გასცეს ბრძანება, ამ უფლებით, ჩემი აზრით, მან მხოლოდ საგანგებო შემთხვევებში უნდა ისარგებლოს.

მოვიყვან მაგალითს, ერთ-ერთ პარტაქტივზე, რომლის ჩატარება მე მოვიხდა. მებრძოლები რიგებად ისხდნენ მიწაზე. შუა მოხსენების დროს ჩენ უკან არცთუ ისე შორს, გერმანელთა ჭურვი გასკდა. ჩვენ გავიგონეთ, როგორ მოჰქროდა იგი. ჩვეულებრივი ამბავი იყო. მე განვაგრძე საუბარი, მაგრამ ორიოდე წუთის შემდეგ გასკდა მეორე ჭურვი, ამჯერად უკვე წინ. ადგილიდან არავინ არ დაძრულა, თუმცა ხალხი გამოცდილი იყო. ესმოდა, რომ ჩვენ არტილე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რიის „ჩანგალში“ მოგვაქციეს. მესამე ჭურვი, როგორც ფრონტზე ამბობდნენ, ჩვენი იყო. აი სწორედ ამ დროს გავეცით ბრძანება.

— ადექით! მარცხნივ ხევისაკენ სამასი მეტრი სირბილით — იარ!

მუშაობა სხვა ადგილას დავამთავრეთ, მესამე ჭურვი მართლაც იმ ადგილას გასკდა, სადაც ჩვენ ვისხედით. პოლიტხელ ვ. ტიხომიროვთან ერთად უხმოდ ვბრუნდებოდით იქიდან.

— არავინ არ განძრეულა, — თქვა მან. — აი ხალხი.

მეც ამაზე ვფიქრობდი.

ამგვარ საგანგებო შემთხვევებში ბრძოლა იყო ეს თუ შესვენება, პოლიტმუშაკს უფლება აქვს და მოვალეა გასცეს ბრძანება. ყოველდღიურ მუშაობაში კი ბრძანება მისთვის გამორიცხული უნდა იყოს — მხოლოდ ახსნა-განმარტება და დარწმუნება. თანაც ეს მუშაობაც უნარიანად და ტაქტით უნდა წარიმართოს. კაცი კიდეც რომ ცდებოდეს, არავის არა აქვს უფლება დაჰკიცლოს და შეურაცხყოს. ძალზე მძულს, კაცი კაცს რომ დაუცაცხანებს, ეს არც ისე გავრცელებული ჩვეულებაა, მაგრამ ზოგი დღემდე ვერ გადაეჩვია ამას. როგორც სამეურნეო, ისე პარტიულ ხელმძღვანელს უნდა ახსოვდეს, რომ მისი ხელქვეითები მხოლოდ და მხოლოდ სამსახურებრივი ხელქვეითები არიან. რომ ისინი დირექტორს ან გამგეს კი არ ემსახურებიან, არამედ პარტიისა და სახელმწიფოს საქმეს. და ამ მხრივ ყველა თანასწორია. ის, ვინც თავს ნებას აძლევს გადაუხვიოს ჩვენი წყობილებისათვის ამ ურყევ ჭეშმარიტებას, სამუდამოდ იტეხს სახელს, ილახავს ავტორიტეტს. და ვინც შესცოდავს, პარტიული, ადმინისტრაციული, და, ბოლოს იურიდიული — ყოველგვარი პასუხი უნდა მოეთხოვოს, მაგრამ არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება შევლახოთ ადამიანის თავმოყვარეობა, დავამციროთ მისი ღირსება.

ასე ვფიქრობ დღეს, ამ წესს ვიცავდი ომის წლებშიც, ამ სულისკვეთებით ვცდილობდი აღმეზარდა პოლიტგანყოფილების აპარატი, რომლის ხელმძღვანელობა მე მომიხდა. არ შემიძლია არ ვთქვა, რომ ეს იყო პარტიული მუშაობის სკოლაგავლილ მებრძოლ ოფიცერთა ერთსულოვანი კოლექტივი, რომლებსაც ჰქონდათ გამოცდილებაც და ცოდნაც, გამოირჩეოდნენ ინიციატივით, პირადი მამაცობით. სიცოცხლეს სწირავდნენ ბრძოლებში. იქ, სადაც ამას მოითხოვდა ვითარება. ყველა ვერ მოესწრო გამარჯვებას, მაგრამ თითოეულმა მათგანმა პირნათლად მოიხადა თავისი ვალი.

კეთილი გრძნობით ვიხსენებ ამ ადამიანებს. ომის განმავლობაში ბევრი მადლობა გამომიცხადებია მათთვის, ხელმოწერილი მაქვს ბევრი ჯილდოების ფურცელი, დასჯით კი, როგორც მახსოვს, არავინ არც ერთხელ არ დამისჯია. და განა იმიტომ, რომ ასეთი „კეთილი“ ვიყავი, პირიქით, არავითარ შელავათს არ ვაძლევდი. თუნდაც მთელი დღე-ღამე ემუშავათ. ვიცოდი, რომ თამამად შემეძლო დავყრდნობოდი თითოეულ მათგანს, და იმათაც არასოდეს არ უმტყუნიათ ჩემთვის. და მაინც მკითხველმა წარმოდგენა რომ იქონიოს ჩვენს ადამიანებზე, დავასახელებ თუნდაც ზოგიერთს.

ერთ-ერთი ჩემი მოადგილე, პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების უფროსი იყო ს. ს. პახომოვი. ყოველგვარ ვითარებაში დინჯი კაცი, ერთი შეხედვით ზოზინაც კი გეგონებოდათ, მაგრამ, როცა საქმე მოითხოვდა, წარმოუდგენლად ენერგიული ხდებოდა და დიდ გამბედაობას იჩენდა. მან იცოდა იმ ერთადერთი სიტყვის მიგნება, რომელიც სწორედ მაშინ ყველაზე უფრო სჭირდებოდა მებრძოლს. ამიტომ სხვებზე უფრო ხშირად ვაბამდი მას სამხედრო ნაბჭოს მიმართვებისა და სხვა უმნიშვნელოვანესი დოკუმენტების მომზადებაში.

ლექტორი და პროპაგანდისტი იყო უაღრესად მომხიბლავი მაიორი

ა. ა. არზუმანიანი, რომელსაც არა მარტო ფართო გონებრივი ჰორიზონტი, ძრამედ დიდი იუმორის გრძნობაც ჰქონდა, რაც არასოდეს არ არის ზედმეტი. უკვე მაშინ ჩანდა, რომ ეს არაჩვეულებრივი კაცი იყო, და კი არ გამკვირვებია, გამიხარდა, როცა ომის დამთავრების შემდეგ შევიტყვე, რომ არზუმანიანი აკადემიკოსი, შემდეგ კი სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის წევრიც გამხდარა.

არზუმანიანივით კარგი პროპაგანდისტი იყო ი. პ. შჩერბიცკიც, რომელიც ჯერ კიდევ ომამდე ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი გახდა. საფუძვლიანი ცოდნა ჰქონდა გ. ნ. იურკინსაც. სხვათა შორის, მისი მაგალითით შეიძლება ვიმსჯელოთ პოლიტგანყოფილების მუშაკთა ვაჟკაცობაზე. ჯერ კიდევ ნოვოროსიისკის შეტევითი ოპერაციის დროს უშუალოდ ბრძოლის ველზე შავი ზღვის ფლოტის სარდალმა იგი საბრძოლო წითელი დროშის ორდენით დააჯილდოვა. და, რაკი ამბავს გადვუხვიე, დავძენ, რომ ამ ბრძოლაში მონაწილეობისათვის ასევე დიდად იყო შეფასებული მე-18 არმიის პოლიტგანყოფილების ყველა მუშაკის როლი.

ჩვენ გვქონდა საკუთარი საარმიო გაზეთიც „ზნამია როდინი“, რომელიც ოპერატიულად ეხმაურებოდა მცირე მიწის ამბებს. მას ელოდნენ სანგრებში, ტრანშეებში და ხელიდან ხელში გადადიოდა. ბევრჯერ მიმიღია მონაწილეობა სარედაქციო თათბირებში, მისაუბრია რედაქტორ ვ. ი. ვერხოვსკისთან და სხვა თანამშრომლებთან. ყოველთვის პატივს ვცემდი ჟურნალისტებს, რადგან ვიცოდი: ბრძოლების დროს ისინი მუდამ ჯარებში იყვნენ, დესანტებად მიდიოდნენ, სადივერსიო ჯგუფებში, მოენეთა დატყვევებაში მონაწილეობდნენ.

გაზეთის აპარატი და მისი ავტორთა აქტივი ძლიერი იყო. შტატის თანამშრომელთა გარდა, როგორიც იყო, მაგალითად, მომავალი საბჭოთა კავშირის გმირი, „პრავდის“ კორესპონდენტი ს. ბორზენკო, ჩვენს გაზეთში თანამშრომლობდნენ ბ. გორბატოვი და პოეტი პ. კოგანი.

ჩვენთან არმიაში სხვა მწერლებიც ჩამოდიოდნენ. და ბოლოს, მინდა ისიც ვთქვა, თუ რა დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ჯარისკაცებისათვის საკუთარი, შინაური პოეტის მახვილ სიტყვას, ანდა ნახატს პატარა საბრძოლო ფურცელში. იმიტომ, რომ ეს სიტყვა, ეს ნახატი უშუალოდ მათდამი იყო მიმართული. მახსოვს, დილაადრიან წინა ხაზიდან ვბრუნდებოდი და ორი ქალიშვილი შემომხვდა, ისინი ზღვის მხრიდან მოდიოდნენ. ერთი ტანმორჩილი, წელზე კოხტად ქამარშემორტყმული ძალზე წითური იყო. მხედრულად მომესალმნენ, და მე გზა განვაგრძე. ჩემს თანაშემწეს კომკავშირის ხაზით პირობა მივეცი, ხალხს ხუთ საათზე მივიღებ-მეთქი, რათა დახოცილთა ნაცვლად კომორგებად დაგვემტკიცებინა ისინი. და აი სწორედ ეს წითური ქალიშვილი გამომეცხადა, ხელში ქაღალდების დასტით.

საიდან ხართ-მეთქი — ვკითხე.

— მეზღვაურთა ბატალიონიდან.

— როგორ გექცევიან ისინი?

— კარგად.

— ხომ არ გაწყენინებენ ხოლმე?

— არა, რას ბრძანებთ!

თურმე მხატვარი ყოფილა. იქვე გაშალა თავისი საბრძოლო ფურცლები. ახლაც თვალწინ მიდგას ნახატი და წარწერა: „რაო, ვასია, კუდს იძუებ“?

მცირე მიწაზე გაგზავნა ამ ქალიშვილმა — მარიამ პედენკომ თითონ ითხოვა, გადასხდომის პირველი დღეებიდანვე დესანტში იყო. ტყვიის წვიმაში გამოჰყავდა დაჭრილები, შესვენების წუთებში კი სანგრიდან სანგარში დაჰქონდა

გაზეთები, კონვერტები, ქაღალდი, ესაუბრებოდა ჯარისკაცებს, კითხულობდა ლექსებს. მას ყველა მცირემიწელი იცნობდა და უყვარდათ. ერთ-ერთ საუკეთესო აგიტატორად მიაჩნდათ. ხელნაწერი გაზეთი „პოლუნდრა“ თვითონ მოიფიქრა. იმასაც კი ახერხებდა, რომ რამდენიმე ეგზემპლარად „გამოეცა“. და მებრძოლები კითხულობდნენ, სანამ არ დაიფლითებოდა. ყოველთვის ერთსულოვანი ხარხარი მოისმოდა იქიდან, სადაც იმ გაზეთს ათვალიერებდნენ და კითხულობდნენ.

მოგვიანებით, როცა ნოვოროსიისკში შევდიოდით, მარიამი დაიჭრა, მაგრამ იმკურნალა და კვლავ მებრძოლ ნაწილს დაუბრუნდა. მისი გმირობა სამი საბრძოლო ორდენით აღინიშნა. მერე მოითხოვა გაეგზავნათ კიევში, როცა იქ ყველაზე ფიცხელი ბრძოლები იყო. ერთხელ თვალში მომხვდა გაზეთში (არ მახსოვს, „პრავდა“ იყო თუ „იზვესტია“) მისი სტატია „სიყვარული“. შეიძლებოდა გეფიქრა, ალბათ, რაღაც სენტიმენტალური ამბავიაო. თურმე არა. ლაპარაკი იყო სამშობლოზე, სამშობლოს სიყვარულზე.

მამულის საკეთილდღეოდ მარიამ პედენკო არც თავის ყმაწვილქალობას, არც სიცოცხლეს არ ზოგავდა. დღიურში, რომელიც მერე გამოქვეყნდა, იგი მცირე მიწის შესახებ წერდა: „ამოძვრები მიწიდან, გადახედავ ქვეყანას და გული ხარობს. რა კარგია სიცოცხლე! ირგვლივ ველები გადაუხნავს ომის სასტიკ მანქანას. ყველგან სახლების ნანგრევები და გაყვითლებული სისხლის ლაქებია გადაბუგულ, ნაფლეთებად ქცეულ მიწაზე. ვერ მოასწრებ მზით დატკბობას, რომ უკვე გესმის: „თვითმფრინავი!“ და ისევ ჩაძვრები შენს დარანში, სადაც ნესტი გეცემა სახეში, სადაც ჰილზის ჭრაქების ჭვარტლში ძლივს ცნობ შენს მეგობრებს“.

ისევე როგორც ბევრი გმირი, მარიამიც ვერ მოესწრო ჩვენს დღეებს. ამ მშვენიერ ადამიანს რომ ვიგონებ, ვფიქრობ ჩვენი სამშობლოს მრავალ სხვა შვილზე — ქალებზე, რომლებიც მამაკაცებთან ერთად იზიარებდნენ ომის ჭირ-ვარამს. ჩემთვის ისინი საბჭოთა ქალის სიდიადეს განასახიერებენ.

6.

შეტევა... აპრილის ბრძოლების შემდეგ ამ სიტყვით ცხოვრობდა მთელი არმია ჯარისკაცით დაწყებული და სარდლით დამთავრებული. ყველამ ბევრი სიმწარე ვნახეთ, როცა მტერს მშობლიურ სოფლებსა და ქალაქებს ვუტოვებდით, დამპყრობლებისადმი სიძულვილმა შეგვიპყრო, ხანგრძლივი ალყის თვეებში და წმიდათაწმიდა შურისძიების დაუძლეველი წყურვილი დაგვეუფლა.

„როდისღა იქნება?“ — კითხულობდნენ მებრძოლები, მეთაურები, პოლიტმუშაკები, და არც უმატებდნენ სიტყვა „შეტევას“, რადგან უამისოდაც ცხადი იყო რასაც გულისხმობდნენ. ამაზე პასუხის გაცემა შეიძლებოდა მხოლოდ ერთი სიტყვით: „მალე“. შეტევის დღე და გეგმა მკაცრად იყო გასაიდუმლოებული. მაგრამ, რომ მზადდებოდა, ამის დამალვა შეუძლებელი იყო, ან რა დასამალი იყო!

მძლავრი შეტევისათვის უაღრესად ხელსაყრელი ვითარება იქმნებოდა. ყველა ფრონტზე ინიციატივა წითელი არმიის ხელში გადავიდა. ფაშისტურმა სარდლობამ სამუდამოდ დაკარგა ის უპირატესობანი, რომლებიც მოულოდნელმა თავდასხმამ და სამხედრო ტექნიკის სიჭარბემ შეუქმნა. 1943 წელს გმირმა ზურგმა ფრონტს გაუგზავნა 24 ათასი ტანკი და თვითმავალი ქვემეხი, 35 ათასი თვითმფრინავი, 130 ათასი ზარბაზანი. ჩვენ უკვე გვქონდა უფრო სრულყოფილი იარაღი, ვიდრე მტერს, თანაც დიდი რაოდენობით. ამის

შედეგად, როცა 1943 წლის ზაფხულში რამდენიმე დიდი ბრძოლა მოვიგეთ, ჩვენმა არმიამ 300 კილომეტრით წაიწია დასავლეთისაკენ ფრონტის ცენტრალურ ნაწილში, ჩვენთან სამხრეთში კი — 600 კილომეტრით.

რა ვითარებაში იშვა ნოვოროსიისკის იერიშის იდეა?

სტალინგრადის ბრძოლის შემდეგ ჰიტლერმა იგრძნო, რომ შეიძლება კიდევ უფრო სერიოზულ ალყაში მოხვდეს და განსაკუთრებული ძალით ჩაეჭიდა სამხრეთის პლაცდარმს. მას ესმოდა: ტამანის დაკარგვას აუცილებლად მოჰყვებოდა ყირიმის დაკარგვა, ეს საფრთხეს შეუქმნიდა მის ჯარებს უკრაინაში. ტამანი რომ შეენარჩუნებინათ, ფაშისტებმა მძლავრი თავდაცვითი პოზიცია შექმნეს. იგი შავი ზღვიდან აზოვის ზღვამდე იყო გადაჭიმული, შედგებოდა დანაღმული მინდვრებით, ტანკსაწინააღმდეგო მავთულხლართებით, ნაყარით „ძოტებითა“ და „დოტებით“, ჯავშნიანი საცეცხლე წერტილებით დაფარული ორი ზოლისაგან.

ჩვენ გვერდით იბრძოდა ა. ა. გრეჩკოს არმია. მან პირველმა იგრძნო ფაშისტთა გააფთრებული წინააღმდეგობა. აიღებდა ერთ ბორცვს — შეჩერდებოდა. აიღებდა კიდევ ერთს — ისევ შეჩერდებოდა. მახსოვს, ლესელიძე, კოლონინი, მე და პოლკოვნიკი ზარელუა ნაბდებზე ვიწექით. დასვენების დრო გვქონდა და ვბჭობდით, შექმნილ ვითარებაზე ლესელიძემ თქვა:

— იცით რა? ტამანისა და ყირიმის აღების გასაღები ეს ბორცვები კი არა, ნოვოროსიისკის აღებაა. მოდით, მთავარ ბანაკს ვთხოვოთ მოგვცეს შევსება — 17-20 ათასი კაცი. მოვემზადოთ და დავიწყოთ იერიში.

სწორედ ასე მოვიქეცით. ლესელიძემ მოსკოვში დარეკა, ჩვენი ინიციატივა მოიწონა მთავარსარდლობამ და გლადკოვის დივიზია მოგვცეს. და აი ამით დაიწყო.

ნოვოროსიისკი გერმანელების წინააღმდეგობის მთავარი კვანძი გახლდათ. ფრონტის ხაზის გასწვრივ მძლავრი სიმაგრეების გარდა მათ უამრავი საყრდენი პუნქტი შექმნეს თვით ქალაქში. დიდი საცხოვრებელი სახლები, ქარხნები, ელევატორი, ვაგზალი აღჭურვილი იყო საცეცხლე საშუალებებით, მთელი უბნები გადაკეთილი იყო გასასვლელებით, ქუჩებში დგამდნენ ბარიკადებს. განსაკუთრებით ძლიერი იყო გამაგრებული ნავსადგური.

გერმანელ ფაშისტთა სარდლობას ეგონა, რომ კარგად იცნობდა საბჭოთა ჯარების ტაქტიკას. წინააღმდეგობის დიდ კვანძებს პირდაპირ კი არ ვიღებდით, უკნიდან ვუვლიდით, მაშასადამე, ნოვოროსიისკს რომ ამაგრებდნენ, იერიშს ამ ადგილას ისინი მაინც არ მოელოდნენ. მოტყუვდნენ. ჩვენი ტაქტიკის თავისებურება მისი მოქნილობა იყო. ერთ-ერთი მიზეზი, რომელმაც გვაფიქრებინა სწორედ ნოვოროსიისკში გაგვერღვია მტრის თავდაცვითი პოზიციები, მიუღლოდნელობის ფაქტორი გახლდათ.

მე-18 არმიამ იმ დროისათვის სადესანტო ოპერაციების დიდი გამოცდილება შეიძინა და, ჩვენი აზრით, ქალაქისათვის, შეიძლებოდა დაგვერტყა არა ორი მხრიდან, როგორც წინათ ვვარაუდობდით, არამედ სამი მხრიდან — ცემესის უბის მარჯვენა და მარცხენა ნაპირებიდან — ესე იგი მცირე მიწიდან და ცემენტის ქარხნების მხრიდან, აგრეთვე ზღვიდან დიდი დესანტით, რომელიც სრულიად მოულოდნელი იქნებოდა მოწინააღმდეგისათვის. სწორედ ასეთი გეგმა მივიღეთ.

მზადდებოდა კიდევ ერთი სიურპრიზი. დიდი დესანტი, ცხადია, დიდმა ხომალდებმა უნდა გადასხან, მათ კი ძალზე ყურადღებით ადევნებდა თვალს მტერი. და აი გადავწყვიტეთ პატარა გემებით გადაგვესხა ჯარი, გარდა ამისა, ვემზადებოდით, რომ ტორპედოები დაგვეშინა სანაპირო სიმაგრეებისათვის.

ადრე ტორპედო ნაპირისათვის არავის არ დაუშენია: ისინი გათვალისწინებული ყოფილა საზღვაო ბრძოლისა და გემების ჩაძირვისათვის. იმისათვის, რომ ტორპედოები ამოქმედებულიყო ჩანაფიქრის მიხედვით, მეკატარღეებს დიდი ჯაფა დაადგათ.

თუ მტერი გეგმას მიგიხვდა, ცნობილია, რომ იმთავითვე თითქმის განწირული ხარ. ამიტომ პირველი ამოცანა იყო საიდუმლოს უმკაცრესი დაცვა. აეკრძალეთ ოპერაციასთან დაკავშირებული ყოველგვარი მიმოწერა. მის შემუშავებაში უაღრესად ვიწრო წრე მონაწილეობდა. დაიწყო გულმოდგინე დაზვერვა, იგი, ჩვენი ჩანაფიქრები რომ არ გამჟღავნებულიყო, ფართო ფრონტით მიმდინარეობდა. წარმოებდა მუშაობა მტრის დეზინფორმაციისათვისაც, რამდენიმე გაწაფულად შესრულებულმა ღონისძიებამ მტერი დააჯერა, თითქოს ისევ იუჟნაია ოზერეიკის რაიონში მზადდებოდა დესანტი.

ოპერაციის პარტიულ-პოლიტიკურ უზრუნველყოფას ნაკლებ მნიშვნელობას არ ვანიჭებდით, ვიდრე მის საბრძოლო მომზადებას. გადავწყვიტეთ იერიშის დაწყებისათვის რადაც უნდა დაგვჯდომოდა ყველა ნაწილში გვყოლოდა კარგად დარაზმული პარტიული ორგანიზაციები. ამიტომ კომუნისტებს შეტევის ყველაზე პასუხსაგებ უბნებზე ვგზავნიდით. განსაკუთრებით ვარჩევდით ხალხს სადესანტო ნაწილებისათვის. ამ ნაწილებში კომუნისტები და კომკავშირელები 60-70 პროცენტს შეადგენდნენ.

მე პოლიტგანყოფილების მუშაკთა უფრო გონივრულ განაწილებაზეც ვფიქრობდი: თითოეული მთავანი ოპერაციის მთელი პერიოდისათვის გარკვეულ ჯარის ნაწილზე იყო მიმაგრებული. მოგვიანებით, დივიზიებსა და პოლკებში რომ ვხვდებოდი მათ, ვხედავდი, რომ ისინი უდიდესი მგზნებარებით იბრძოდნენ და თავიანთი საბრძოლო სულისკვეთებით აღანთებდნენ სხვებსაც. ბევრი პოლიტმუშაკი გადმოგვყავდა რეზერვიდანაც, რათა ბრძოლების დროს სწრაფად შეგვეცვალა მწყობრიდან გამოსულნი. პარტორგებს ორ-ორი, კომორგებს — სამ-სამი მოადგილე ჰყავდათ. ამრიგად, იმას მივაღწიეთ, რომ ყველა ქვეგანაყოფის შემადგენლობაში ყოველთვის ყოფილიყვნენ პარტიული და კომკავშირული ხელმძღვანელები.

როგორც ნოვოროსიისკის განთავისუფლების შემდეგ გამოირკვა, კარგი სამსახური გაგვიწია ჩვენ მიერ შემუშავებულმა „მედესანტის სამახსოვრომ". შესავლის რამდენიმე აბზაცში ლაპარაკი იყო საბჭოთა არმიის წარმატებებზე ყველა ფრონტზე, ჰიტლერელთა მხეცობაზე, იმაზე, რომ დადგა ჩვენი დროც — გამანადგურებელი დარტყმა მიგვეყენებინა მტრისათვის, შური გვეძია მისი ყველა ბოროტმოქმედებისათვის. შემდეგ ვიძლეოდით პრაქტიკულ რჩევა-დარიგებებს. მოკლედ შევახსენებდით, თუ როგორ უნდა მოიქცეს მებრძოლი გემში ჩაჯდომის მომენტში, თვით გემზე, გადასხდომისა და ბრძოლის დროს. ჩვენ ვცდილობდით წინასწარ გვესწავლებინა მებრძოლებისათვის, თუ როგორ უნდა მოქცეულიყვნენ გაუთვალისწინებელ ვითარებაში. სამახსოვრო თითოეულ მედესანტეს გადავეცით.

„სამახსოვროს" იდეა ნანესხები მქონდა სამოქალაქო ომის დროის სამხრეთის ფრონტის მებრძოლებისაგან, რომლითაც მეტად დაინტერესებულა იმ დროს ვ. ი. ლენინი და მისი განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ადგილებიც აღუნიშნავს. სხვათაშორის, მისი იმ რამდენიმე დებულებით, რომლებსაც განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია ვლადიმერ ილიას ძემ, ვსარგებლობდით მთელ პარტიულ-პოლიტიკურ მუშაობაში. მაგალითისათვის მოვიყვან სამახსოვრო სტრიქონებს:

„ამხანაგო კომუნისტო!... შენ პირველი უნდა ჩაება ბრძოლაში და ტყვია-

სკნელი გამოხვიდე. შენ ფრონტზე უნდა აღზარდო წითელარმიელთა მასა. მაგრამ ყოველ წუთში უნდა შეგეძლოს შაშხანის ხელში აღება და პირადი მაგალითით უჩვენო, რომ კომუნისტს შეუძლია არა მარტო კეთილშობილურად იცხოვროს, არამედ ღირსეულადაც მოკვდეს!“.

იერიშის მომზადების დღეები და ღამეები მაგონდება როგორც ყველაზე ღაძაბული მუშაობის, უმძიმესი დატვირთვის პერიოდი. მაგრამ როგორ განსხვავდებოდა ეს მცირე მიწაზე ალყის დღეებისა და ღამეებისაგან. მუშაობა არ გვემძიმებოდა, დატვირთვა გვახარებდა, ყოველი ახალი შეხვედრა ადამიანებთან ძალას გვმატებდა. დესანტის ავანგარდობა ითხოვა საზღვაო ქვეითი ჯარის ცალკე ბატალიონმა, მცირე მიწაზე პირველი გადასხმის გმირების ვ. ა. ბოტილიოვისა და პოლიტნაწილში მისი მოადგილის ნ. ვ. სტარშინოვის მეთაურობით. სწორედ ამ ბატალიონს გადავეცით ალამი, რათა აღემართათ იგი პირველ მაღალ შენობაზე, რომელსაც ნოვოროსიისკში წავართმევდით მტერს. ალამი რომ ჩაიბარა, უდიდეს პატივად მიიჩნია ეს მეორე სტატიის ზემდეგმა. ახალგაზრდა კომუნისტმა ვლადიმერ სმორჟევსკიმ. გაბედულმა მზვერავმა, პირველი დესანტის ბრძოლების გმირმა, ნდობით გულაჩუყებულმა ვლადიმერმა ამხანაგებს შეჰფიცა: „ჩირქს არ მოვცხებ მეზღვაურის ღირსებას!“

და ბოლოს, არმიის სარდალმა კ. ნ. ლესელიძემ შეკრიბა მეთაურები, რომლებიც უნდა გასძღოლოდნენ ჯარებს საიერიშოდ, და გამოაცხადა დროს „ს“— იერიშის საათი და წუთი 9 სექტემბრის ღამით. აქ საბოლოოდ დაზუსტდა თითოეულის ამოცანა. შემდეგ ოპერაციის დაწყებამდე ნახევარი დღით ადრე ჩრდილოეთ კავკასიის ფრონტის სარდალმა ი. ე. პეტროვმა მოიწვია არმიისა და ფლოტის მეთაურთა შემადგენლობის გაფართოებული თათბირი, სადაც თითოეულმა მოახსენა რომ მზად არის.

ყველა მსროლელ ნაწილში, სადესანტო რაზმში და გემებზე შეტევამდე ერთი საათით ადრე გაიმართა მიტინგები. ძალიან ბევრი რამ გვქონდა სათქმელი მებრძოლებისათვის, მანამდე ხომ ამაზე ლაპარაკი არ შეიძლებოდა. მაშასადამე, ყველაზე საჭირო სიტყვები უნდა შეგვერჩია. მე ბევრ მიტინგს დაესწარი. დავრწმუნდი, რომ იერიშის შესახებ ბრძანებას ჯარისკაცები უდიდესი კმაყოფილებით და, მე ვიტყოდი, სიხარულით შეხვდნენ.

დადგა დრო, რომელსაც ყველანი 255 დღე-ღამეს ველოდით. სარდლის სამეთვალყურეო პუნქტი მოეწყო მარკოთხის ქედზე. აქედან ხელისგულივით მოჩანდა ცემესის უბე, ნავსადგური, და ქალაქის მნიშვნელოვანი ნაწილი.

ღამეა. ოპერაციის დაწყებამდე კიდევ არის დრო, მაგრამ აქ უკვე ბევრმა ხალხმა მოიყარა თავი. აქ არიან არმიის სარდალი, შტაბის უფროსი გენერალი ნ. ო. პავლოვსკი და შტაბის ოფიცერთა ჯგუფი, არტილერიის სარდალი, გენერალი გ. ს. კარიოფილი და მისი თანაშემწეები, სხვა გვარეობათა ჯარების სარდლები. დაძაბულ სიჩუმეს ტელეფონის ზარი არღვევს ხოლმე, მზვერავებმა მოგვახსენეს, მტრის არავითარი მოძრაობა არ შეინიშნებაო. დროდადრო კანტიკუნტად გაისმის ქვემეხის სროლა, სადღაც სკდება უმისამართო ჭურვი — და ისევ სიჩუმე ისადგურებს. რატომღაც ხმადაბლა, ლამის ჩურჩულით ვლაპარაკობთ. ოფიცრები და გენერლები წამდაუწუმ დასცქერიან საათს.

და აი დადგა დრო „ს“ — 2.44. ვიცოდი, რომ ამ წუთს დაიქუხებდა 800 ქვემეხი და 227 „კატიუშა“, ცაში აიჭრებოდა 150 ბომბდამშენი. რა თქმა უნდა, წარმოდგენილი მქონდა დარტყმის ძალა, მაგრამ იმან, რაც გავიგონე, გაოცა. გეგონებოდა, ქვეყანა იქცევაო.

„არტილერიის მომზადება თხუთმეტ წუთს გაგრძელდა. ამ ხნის მანძილზე

წინასწარ გათვალისწინებულ მიზნებს 35 ათასი ჭურვი დავაყარეთ. იერიშზე გადავიდნენ მცირე მიწის საზღვაო ქვეითი ჯარისკაცები და მსროლელი ნაწილები — ტყუილად როდი გვეკავა ამდენ ხანს სანაპირო ზოლის ეს ძვირფასი ერთი მტკაველი მიწა. მეორე მხრიდან იერიში დაიწყეს ცემენტის ქარხნების რაიონიდან. ბრძოლაში ჩაება, როგორც გათვალისწინებული გვქონდა, საზღვაო დესანტიც.

ქალაქში გაჩენილმა ხანძრებმა გაანათა ცემესის უბე. მე გავცქეროდი წყვდიადს გელენჯიკის მხარეს, მაგრამ მხოლოდ ნავსადგურის მახლობლად დავინახე იმ „გამრღვევი" კატარღების პირველი ჯგუფი, რომლებმაც უდიდესი სიჩქარით ჩაიქროლეს და მოსპეს დაბრკოლებანი. ეს მოხდა არტმომზადების დაწყებიდან ექვსი წუთის შემდეგ. გაჩნდა პირობითი ნიშანი — „გზა ხსნილია". რამდენიმე წუთის შემდეგ უბეში უდიდესი სიჩქარით შემოიჭრნენ კატარღები, რომლებმაც მძიმე ტორპედოს ცეცხლი დაუშინეს დასავლეთისა და აღმოსავლეთის მოლებს. თავზარდამცემმა დარტყმამ მიანგრ-მოანგრია სანაპირო გამაგრებანი. ნაპირი კვამლსა და ცემენტის მტვერში გაეხვია. ამან დაიფარა გადამსხმელი კატარღები მტრისაგან, და ზუსტად თხუთმეტი წუთის შემდეგ, ესე იგი არტმომზადების დამთავრების მომენტში ბოტილიოვის ბატალიონი უკვე ნავმისადგომთან იბრძოდა. ნახევარ საათში მტრის სასტიკ ცეცხლში გადასხდა დაზგის ტყვიამფრქვევებით ,ნაღმსატყორცნებით, ტანკსაწინააღმდეგო თოფებით შეიარაღებული 800 კაცი.

ყველაფერი აირდაირია ცემესის უბეში, სხვადასხვა მხრიდან მოქროდნენ კატარღები და მოხვევისას ყალყზე აყენებდნენ ტალღებს, გეგონებოდათ, ესენ არის ერთმანეთს შეეჯახებიანო. მაგრამ ყველაფერი ზუსტად იყო გაანგარიშებული. ტორპედიან კატარღებს მოჰყვებოდნენ ქვემეხიანი ნავები, საგუშაგო კატარღები, სეინერები — თითოეული გემი თავისი მარშრუტით მიდიოდა. ზედიზედ შევუტიეთ ხე-ტყის, ელევატორის, ნავთობჩასასხმელ და საიმპორტო ნავმისადგომებს. აფეთქებებისა და ხანძრების ცეცხლი კარგად ანათებდა უბეს ნავსადგურის რაიონში. აქ, მართლაც რომ, თუხთუხებდა წყალი.

როგორც კი ბოტილიოვის ბატალიონმა ხელთ იგდო ხე-ტყის ნავმისადგომი, ცემენტის ნავმისადგომს დააცხრა 1339-ე მსროლელი პოლკი ს. ნ. კადანჩიკის მეთაურობით. და თუმცა მთელმა პოლკმა, ვერ მოახერხა გადასხდომა, მაგრამ ისინი, ვინც ნაპირს მოეჭიდა, საბრძოლო აღტკინებით ეკვეთებოდნენ ხოლმე მტრის გამაგრებებს. დილით მათ ხელთ იგდეს ძლიერი საყრდენი პუნქტი — ცემენტის ქარხანა „პროლეტარი". მეორე ღამეს მათ პოლკის დანარჩენი ქვეგანაყოფები შეუერთდნენ.

სამეთვალყურეო პუნქტში განუწყვეტლივ რეკავდა ტელეფონი. ყველა შენაერთთან საიმედო კავშირი გვქონდა. უაღრესად მშვიდად და მტკიცე რწმენით ხელმძღვანელობდა ბრძოლას არმიის ნიჭიერი სარდალი. ბრძოლის დროს ოპერატიულად გადააჯგუფებდა ხოლმე ნაწილებს, შეჰყავდა რეზერვები, გზავნიდა მაშველ ძალას იქ, სადაც საფრთხე იქმნებოდა.

პირველ წუთებში თავზარდაცემული მტერი გონს მოეგო. ცეცხლით ალაპარაკდა თითოეული სახლი, თითოეული უბანი. ჰიტლერელებმა განსაზღვრეს ჩვენ მიერ ხელში ჩაგდებული პლაცდარმის საზღვრები და არტილერიის ცეცხლი დაუშინეს მას. მაგრამ არტილერია ახლდა ჩვენს შემტევ ნაწილებსაც. ჩვენმა მფრინავებმა ისე დაგეგმეს თავიანთი მოქმედება, რომ ზედიზედ ჩაშოეყარათ ბომბები მტრის მიერ დაკავებულ ტერიტორიაზე. ცაში განუწყვეტლივ იყვნენ მეშტურმეები — ერთ დღეში ისინი ექვს-შვიდ გაფრენას აწყობდნენ.

მეორე ღამეს ელექტროსადგურის რაიონში გადასხდა 1337-ე პოლკი. მათთან ერთად გადავიდა 318-ე მსროლელი დივიზიის მეთაური პოლკოვნიკი ვ. ვ. ვრუცკიც. მაგრამ მასთან კავშირი დაირღვა. სარდალს სახეზე ვამჩნევდი შეშფოთებას. ასეული, ბატალიონი კი არა, თითქმის მთელი დივიზია, თანაც მთავარი დარტყმის მიმართულებით გაყვანილი, არაფერს გვატყობინებდა.

ლესელიძემ ბრძანა პასუხისმგებელი ოფიცერი გაეგზავნათ ელექტროსადგურის რაიონში, მოენახა ვრუცკი, გარკვეულიყო ვითარებაში და დაუყოვნებლივ მოეხსენებინა. მე დავფიქრდი და შევთავაზე სარდალს ეს საქმე ჩემი მოადგილისათვის — პახომოვისათვის დაევალებინა. სარდალი კარგად იცნობდა მას და სწრაფად დამეთანხმა, მაგრამ ოპერატიულ განყოფილების უფროსს უბრძანა განყოფილებიდან მისთვის კაპიტანი პუშიცკი გაეყოლებინა.

— წაიყვანეთ ჩემი „ვილისი“, თქვა მან.

მათ უნდა შეეღწიათ ქალაქში წინა ხაზის გავლით, გვერდი აექციათ ზონისათვის, რომელსაც ძლიერ ცეცხლს უშენდნენ, ეპოვათ ვრუცკი, გამოცდილი თვალით შეეფასებინათ ყველაფერი, აღენიშნათ რუკაზე და რაც შეიძლება ადრე დაბრუნებულიყვნენ. საბედნიეროდ, ორივე უვნებელი დაბრუნდა. თუმცა სარდლის მანქანა, რომელიც მათ ქარხანა „ოქტიაბრის“ რაიონში დატოვეს, დაბომბეს. მათ მრავალი დაბრკოლება გადალახეს, ნაპირის გასწვრივ გაყვანილ წყალსადინარ მილში გაძვრნენ და გამოვიდნენ რომელიღაც მოედანზე, რომლის პირდაპირ იყო ელექტროსადგური, მარჯვნივ კი გრძელი შენობა, საიდანაც ფაშისტები განუწყვეტლივ გვიშენდნენ ცეცხლს. ელექტროსადგურამდე შვიდასიოდე მეტრი რჩებოდა, მაგრამ გზა იქითკენ მხოლოდ ღია მოედნის გავლით ან ქვანახშირის გროვის უკან მდებარე შენობის გაყოლებით მიდიოდა. გადაწყვეტილება სწრაფად მიიღეს. პუშიცკი ქვანახშირის ბორცვების უკან მიცოცავს, პახომოვი კი თავქუდმოგლეჯილი გარბის საშიში უბნის გავლით. მერე ის სერიოზულად გვარწმუნებდა, მსოფლიოს საუკეთესო სპრინტერიც კი ვერ დამეწეოდაო. თუმცა სახიფათო იყო, მაგრამ იმავე გზით დაბრუნდნენ, თან ერთი კი არა, ორი რუკა და დაზვერვის პატაკები მოიტანეს და ამით საშუალება მოგვცეს არმიის სამხედრო საბჭოსათვის მიგვეწოდებინა ცნობები ვითარების შესახებ. სამწუხაროა ცნობაც მოგვიტანეს: პოლკოვნიკ ვრუცკის მძიმე კონტუზია მოსვლოდა, თვალიც დაუკარგავს და ხელშიც დაჭრილა. მაშინვე ყველაფერი ვიღონეთ დივიზიის ინ ნაწილების დასახმარებლად, რომლებიც ნელა, მაგრამ მტკიცედ მოიწევდნენ წინ. დივიზიის მეთაურის მოვალეობის შესრულება დროებით შტაბის უფროსს დავაკისრეთ.

ქუჩებში ბრძოლები იყო გაჩაღებული, ზედიზედ მოდიოდა ცნობები: აღებულია ვაგზალი და იქ აღმართულია საზღვაო ალამი; აღებულია „ნაცრისფერი სახლი“; აღებულია „წითელი სახლი“; ჩვენები შეიჭრნენ სკოლაში; განთავისუფლებულია 103-ე უბანი... მაგრამ ყოველ ამას თან სდევდა სამწუხარო ცნობებიც: მოკლულია 318-ე დივიზიის პოლიტგანყოფილების უფროსი პოდპოლკოვნიკი ა. ტიხოსტუპი... მოკლულია არმიის პოლიტგანყოფილების ინსტრუქტორი მაიორი პ. ისაევი... მოკლულია არმიის პოლიტგანყოფილების ინსპექტორი მაიორი ა. ცედრიკი... მანამდე ცოტა ხნით ადრე დაიღუპა მ. ვიდოვი, მოგვიანებით ანაპასთან დაიღუპა 83-ე საზღვაო ბრიგადის პოლიტგანყოფილების უფროსი კ. ლუკინი.

მახსენდება, ჩვენ ერთად შევიარეთ რუმინელთა ერთ-ერთ ბლინდაჟი, რომელიც ქვიშიან ნაპირზე აეშენებინათ. ძალიან ცხელოდა, და ლესელიძეს, მე, ზარელუასა და ლუკინს გვინდოდა ცოტა ხნით მაინც ჩრდილს შევფარებო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დით. მაგრამ ბლინდაჟიდან ისმოდა რაღაც შარიშური, განუწყვეტელი ტაკა-ტუკი, ოღონდ სულ ჩუმად. მე ვთქვი:

— ეს ალბათ საათის მექანიზმია. ეტყობა, ბომბი ჩაუდვიათ. მოდით, გავიდეთ აქედან.

და ჩვენ ჰაერზე გამოვედით, ბლინდაჟს მოვშორდით, ნაბადი დავაფინეთ და დავწექით. ლუკინიც იქვე, სულ ახლოს დაწვა. შორს ცვივოდა ბომბები, მთელი ნაპირი ქვიშის ბარხანებში გახვეულიყო. აფეთქებათა გრუხუნი რომ შეწყდა, წამოვდექით. ამხანაგს დავუძახე:

— ლუკინ! ლუკინ!

დუმს. მივედი — და მკვდარია. არც ერთი ნაკაწრი, არაფერი არ ეტყობოდა. ჰაერის ტალღას მოეკლა.

მაგრამ მეგობარს რა მოკლავს, ძმებო,
მხოლოდ შენ გვერდით იგი აღარ დგას,
თავის სისხლს ველარ გაგიზიარებს,
ვერც მოიუფლებს შენს წყლის მათარას...

კარგად უთქვამს პოეტს, გონებით ყველაფერი მესმოდა: ბრძოლაა, და ესხვერპლი გარდუვალია. მაგრამ გულში აუტანელ ტკივილს ვგრძნობდი. თვითონ ვწერდი წერილებს ქვრივებს, ჩემი ერთი მუჭა მიწა აყრია ამხანაგების საფლავებს, ჩემი ავტომატის ცეცხლის ხმა გაისმოდა სამგლოვიარო სალუტის ზალაში. პარტიის ერთგული შვილები იყვნენ, პარტიის სახელით მოუწოდებდნენ ისინი მეომრებს სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლისათვის, მოუწოდებდნენ სიცოცხლე არ დაეზოგათ სამშობლოსათვის. და ბრძოლაში ისინი პირველნი უჩვენებდნენ იმის მაგალითს, რასაც მოუწოდებდნენ სხვებს, აღაფრთოვანებდნენ მებრძოლებს. მათ ბოლომდე შეასრულეს ლენინის განაწესი — პირადი მაგალითით დაამტკიცეს, რომ კომუნისტს შეუძლია არა მარტო კეთილშობილურად იცხოვროს, არამედ ღირსეულადაც მოკვდეს.

7.

ექვს დღე-ღამეს გრძელდებოდა ბრძოლები ნოვოროსიისკში, არ ჩამოვთვლი ნაწილების და შენაერთების ნომრებს, არ მოვიყვან ციფრებს — იერიში დაწვრილებით არის ასახული სამხედრო-ისტორიულ ლიტერატურაში. მთავარია სხვა რამ: მეომართა შეტევითი აღტკინება, კეთილშობილური მძვინვარება ისეთი დიდი იყო, რომ მათ უკვე ველარაფერი შეაჩერებდა. ყოველდღიურად და ყოველ საათს მხედრული გმირობის მოწმენი ვიყავით. ერთი ამბავი მაინც უნდა გიამბოთ.

საზღვაო ქვეითი ჯარისკაცების ასეულმა სამჯერ წარუმატებლად მიიტანა იერიში ფაშისტთა გამაგრებებზე. ასეულის მეთაურმა ივანოვმა გადაწყვიტა შეექმნა ნებაყოფლობითი მოიერიშე ჯგუფი გარღვევისათვის. ჯგუფში შევიდა თერთმეტი კაცი ასეულის პარტორგის ვალიულინის და კიდევ ოთხი კომუნისტის მეთაურობით. გადამწყვეტი დარტყმით მათ გაარღვიეს მტრის თავდაცვა, და მათ მიჰყვნენ მებრძოლები, მაგრამ ქუჩის ბოლოს ფლანგის ცეცხლმა შეაჩერა მათი წინსვლა. მაშინ ვალიულინმა ზემდეგ დიაჩენკოს უთხრა: „ტყვიამფრქვევი რომ დადუმდება, საიერიშოდ დარაზმე მებრძოლები“. და გაცოცდა ზედ სარდაფის სარკმელთან, საიდანაც ტყვიამფრქვევს გვიშენდნენ, იგი დაეცა, მაგრამ გასისხლიანებული მაინც ეკვეთა ამ სარკმელს. პოზიცია ავიღეთ.

სალახუტდინ ვალიულინს კარგად ვიცნობდი მცირე მიწიდან. იგი საუკე-

ეესო პარტორგი გახლდათ. ხელს ვაწერდი მისი დაჯილდოების ფურცელს და ეფიქრობდი ასეთი გმირობის არსზე, უდავოა, კაცმა იცოდა, რომ ნაღდი სიკვდილი ელოდა. მაგრამ არა მგონია ,ამ დროს გაეფიქრა „ახლა გმირობას ჩავიდენო“. არა, ეს ვაჟკაცობა თვალში საცემი კი არა, სიტყვაძუნწი, მე ვიტყოდი, მოკრძალებულია, რომელსაც განსაკუთრებით აფასებდა, თუ ვიმსჯელებთ რომან „ომი და მშვიდობის“ მიხედვით, ლ. ნ. ტოლსტოი. და გმირობა ამ სიტყვის ტოლსტოისეული გაგებით იყო: ადამიანი იქცევა ისე, როგორც უნდა იქცეოდეს, მიუხედავად ყველაფრისა.

რა თქმა უნდა, სიკვდილის შიში ჩვეულია ადამიანისათვის, ეს ბუნებრივია. მაგრამ კრიზისულ ჟამს გადაწყვეტილება თითქოს თავისთავად მოდიოდა და მთელი წინა ცხოვრებით იყო მომზადებული. მაშასადამე, არის რაღაც მიჯნა, რაღაც წამი, როცა პატრიოტ მეომარში სამშობლოს წინაშე ვალის შეგნება ახშობს შიშის გრძნობასაც, ტკივილსაც, სიკვდილზე ფიქრსაც, მაშასადამე, ვმირობა ანგარიშმიუცემელი მოქმედება კი არ არის, არამედ იმ საქმის სამართლიანობისა და სიდიადის რწმენა, რომლისთვისაც კაცი შეგნებულად სწირავს სიცოცხლეს.

„ომის სამართლიანობის რწმენა, წერდა ვ. ი. ლენინი სამოქალაქო ომის წლებში, იმის შეგნება, რომ საკუთარი სიცოცხლის განწირვა აუცილებელია საკუთარი ძმების კეთილდღეობისათვის, სულიერად ამხნევებს ჯარისკაცს და აიძულებს არნახული გაჭირვება გადაიტანოს... ეს იმით აიხსნება, რომ თოფქვეშ დამდგარმა ყოველმა მუშამ და გლეხმა იცის, რისთვის იბრძვის და შეგნებულად ღვრის თავის სისხლს სამართლიანობისა და სოციალიზმის გამარჯვებისათვის“.

ლენინის ეს ჩინებული სიტყვები ღრმად და ზუსტად გვიჩვენებს ხალხის ზნეობრივი ძალის სათავეებს, ჩვენი ხალხის იმ უკვდავი გმირობის სათავეებს, რომელიც მან დიდი სამამულო ომის წლებში ჩაიდინა სამართლიანობისა და სოციალიზმის გამარჯვებისათვის.

16 სექტემბერს მოსკოვმა სალუტი მისცა ჩრდილოეთ კავკასიის ფრონტისა და შავი ზღვის ფლოტის მამაც ჯარებს. დიადი ორთაბრძოლა დამთავრდა. მოშიშვლებულ უბანზე, სადაც პატარა სოფელი სტანიჩკა მდებარეობს, ჩვენმა მეომრებმა გაუძლეს შვიდთვიან ალყას და გაიმარჯვეს, ჰიტლერელებს ეკავათ დიდი ქალაქი, რომელიც აუღებელ ციხესიმაგრედ გადაექციათ, და ჩვენ ისინი ვქვს დღეში გავყარეთ იქიდან.

სამშობლომ დიდად შეაფასა ქალაქის განმათავისუფლებელთა უმაგალითო გმირობა და მამაცობა. ცხრამეტ შენაერთსა და ნაწილს ნოვოროსიისკის საპატიო სახელი მიენიჭა. ათასობით ჯარისკაცი და ოფიცრები საბჭოთა კავშირის ორდენებითა და მედლებით დაჯილდოვდა. რამდენიმე ათეულ მეომარს, რომლებმაც განსაკუთრებული გმირობა გამოიჩინეს, საბჭოთა კავშირის გმირის საპატიო წოდება მიენიჭა.

ნოვოროსიისკის დესანტი, რომელშიც ყველა გვარეობის ჯარები მონაწილეობდნენ, ერთ-ერთი უდიდესი დესანტი იყო დიდ სამამულო ომში.

ნოვოროსიისკის ბრძოლა გასული ომის ისტორიაში შევიდა როგორც გაბჯარჯვებისადმი, მხედრული მამაცობისა და სიქველისადმი საბჭოთა ადამიანების უდრეკი მისწრაფების, ლენინური პარტიისადმი, სოციალისტური სამშობლოსადმი უსაზღვრო ერთგულების ერთ-ერთი მაგალითი.

უმაღლესი მთავარსარდლობის ბრძანებას რადიოთი ვისმენდი ნახევრად დანგრეულ შენობაში, სადაც პარტიის საქალაქო კომიტეტი მოთავსდა. ქალაქის მოსახლეობის მიტინგი არ მოგვიწყვია: მოსახლეობა არ იყო. მერე ქუჩებ-

ში ჩავიარეთ. არც ქუჩები იყო. მხოლოდ ნანგრევები ჩანდა. მთელი ქალაქი ნაცარტუტად ქცეულიყო. რომელიღაც სარდაფში ერთი მოხუცი დედაკაცი ვიპოვეთ კატასთან ერთად, ეს იყო და ეს. მახსოვს, იქ იყო კიდევ ელევატორი, იქვე მეზღვაურთა კლუბი. წინადღეს ფაშისტებმა ჩვენები ხელთ იგდეს, ამ ადგილას მორეკეს, ნავთი გადაასხეს და დაწვეს. შემზარავი ამბავია.

მესაანგრეები მუშაობდნენ. ათასობით ნაღმს, ფუგასს, აუფეთქებელ ბომბსა და ჭურვს პოულობდნენ და ქალაქგარეთ გაჰქონდათ. გლეჯდნენ წარწერებს: „ყოველი მცხოვრები, რომელიც ქალაქში აღმოჩნდება, ადგილზე დაიხვრიტება“. ფაშისტებს ეშინოდათ ჩვენი ადამიანებისა... მეზღვაურთა კლუბის წინ კარტოფილი ეთესა. აქ წინ გავედი. კოლონინი მეუბნება:

— სად მიძვრები?

— შენ სამხედრო საბჭოს წევრი ხარ, — ვუპასუხე მე, — მე კი პოლიტგანყოფილების უფროსი. მე ორი ნაბიჯით წინ უნდა ვიარო.

ნოვოროსიისკის განთავისუფლების შემდეგ გვინდოდა ოდნავ მაინც მოგვეთქვა სული, მაგრამ არც ერთი საათით არ შეიძლებოდა გაჩერება. წარმატებულმა იერიშმა მთელ პლაცდარმზე შეტევის შესაძლებლობა მოგვცა. გერმანელები თავქუდმოგლეჯილი გაურბოდნენ ჩვენი ჯარების დაუოკებელ შეტევას, ჩვენ ავიღეთ ეგრეთ წოდებული ეშმაკის კარი, და ანაპის გზა ხსნილი იყო. ჰიტლერული სარდლობა იძულებული გახდა ოპერაცია „კრიმჰილდა“ (ტამანის ნახევარკუნძულიდან ჯარების გეგმაზომიერი გადასროლა) შეეცვალა „ბრუნჰილდათი“ (საჩქაროდ ევაკუაციით). მაგრამ ვერც ამ ზღაპრულმა ქალბატონმა უშველა.

გარიჟრაჟისას გზაზე მივქროდით და შეგვატყობინეს, წინ ჩვენი ავიაცია გერმანულ ნაწილებს უტევსო. მანქანაში ვიყავით კოლონინი, ზარელუა, მე და ადიუტანტი კრავჩუკი. როგორც ჩანს, უკვე გამომიმუშავდა ალღო, რომელიც ბრძოლის ქარცეცხლში უვითარდება ადამიანს, და შევძახე:

— ბიჭებო, ახლა დაგვბომბავენ!

მანქანიდან გადმოვცვივდით და იქვე გზის პირას ჩავწექით, და მაინც ძლივს გადავურჩით ჩვენსავე ავიაციას. მაგრამ აქ მფრინავს ვერაფერს დააბრალებ. მაშინ ყველა შეტევითმა აღტკინებამ შეიპყრო. ყველანი წინ მივისწრაფვოდით.

1943 წლის 21 სექტემბერს ჩვენი არმიის სატანკო და ქვეითმა შენაერთებმა მძლავრი დარტყმით გაათავისუფლეს ქალაქი და ნავსადგური ანაპა — მტრის წინააღმდეგობის მთავარი კვანძი ყირიმის გზაზე. შეტევა იმდენად თავბრუდამხვევი იყო, რომ დამპყრობლებმა მთელი ავლადიდება, მთელი ნაძარცვი და ზღვაში გასასვლელად გამზადებული ნავთობით სავსე 16 გემიც კი მიატოვეს.

ჩვენი ჯარების შეტევის ძალა დღითიდღე მატულობდა. ენთუზიაზმი ბრძოლებში შეძენილ გამოცდილებასთან ერთად მძლავრი, უძლეველი ძალა იყო. მაგრამ არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება ითქვას, თითქოს წარმატებას იოლად ვაღწევდით. ჩვენ გზას გვიღობავდნენ გააფთრებული, ძლიერი, კარგად შეიარაღებული ჰიტლერელთა ნაწილები. დროის მოგების მიზნით მათ გულმოდგინედ გაემაგრებინათ თავიანთი უკანასკნელი პოზიციები ყირიმის მისადგომებთან, განწირულთა გააფთრებით ებღაუჭებოდნენ თითოეულ დასახლებულ პუნქტს, თითოეულ მაღლობს. და მხოლოდ ჩრდილოეთ კავკასიის ფრონტის არმიების, შავი ზღვის ფლოტის ხომალდების, საზღვაო ქვეითი ჯარისა და ავიაციის და აზოვის ფლოტილიის განუწყვეტელი შეტევის შედეგად 1943 წლის 9 ოქტომბერს ტამანის ნახევარკუნძული საბოლოოდ გავათავისუფლეთ.

ქერჩის სრუტის ნაპირზე ჩვენ ვნახეთ სურათი, რომელმაც შეგვზარა ჰიტლერელთა მხეცობით. მეთაურთა ჯგუფთან ერთად მე გავცქეროდი მოწინააღმდეგის მიმავალ სატრანსპორტო გემებს, რომლებიც ძლივს მოჩანდა დურბინდში. ჩვენ კარგად ვხედავდით, როგორ გადაუჭრეს მათ გზა ჩვენმა ბომბდამშენებმა და ავიაგამანადგურებლებმა. მაგრამ როგორც კი მივიდოდნენ მიზანთან, თვითმფრინავები უკან ბრუნდებოდნენ. ვერაფერი ვერ გაგვეგო. მერე პილოტებმა მოგვახსენეს: ხომალდების გემბანები ბავშვებითა და ქალებით აუვსიათ. მფრინავებს არ შეეძლოთ ბომბის დაშენა: გემბანზე ძალით არეკილი ხალხი საფარი იყო ფაშისტებისათვის, რომლებიც ტრიუმებში მოკალათებულიყვნენ.

წინ ყირიმი იყო. ჯარებს წაუკითხეს ჩრდილოეთ კავკასიის ფრონტის სარდლობის 1943 წლის 9 ოქტომბრის № 51 ბრძანება.

„სახელოვანი და სახელმოხვეჭილია მე-18 არმიის ჯარების საბრძოლო გზა, — ნათქვამი იყო ბრძანებაში. — გმირული ბრძოლები მცირე მიწაზე, მისხაკოში, ნოვოროსიისკის მთებში, ნოვოროსიისკის — ქალაქისა და ნავსადგურის მამაცური და გაბედული იერიში — აი მე-18 არმიის დიდების გზა. მე-18 არმიის ჯარებმა, რომლებმაც ხელთ იგდეს ქალაქები ანაპა და ტამანი, პირველმა შეასრულეს ტამანზე მტრის განადგურების საბრძოლო ამოცანა“.

1943 წლის 31 ოქტომბერს ღამით ქერჩის სრუტეში გავიდნენ სადესანტო გემები, რომლებზეც იყვნენ 318-ე, ახლა უკვე ნოვოროსიისკის მსროლელი დივიზიის მებრძოლები. ძლიერ შტორმში, განუწყვეტელ საარტილერიო ცეცხლში გაიარეს მათ დანაღმული ოცდაათკილომეტრიანი ზოლი და წარმატებით გადასხდნენ ყირიმის ნაპირას ქერჩის მახლობლად მდებარე მეთევზეთა დაბა ელტიგენის რაიონში.

გადასხდომის წინ უმაღლესი მთავარსარდლის ბანაკის წარმომადგენელმა მარშალმა ს. კ. ტიმოშენკომ გვითხრა, 318-ე დივიზიის დესანტის წარმატება ყირიმის განთავისუფლების საწინდარიაო. როგორც ვიცით, მისი სიტყვები სავსებით გამართლდა.

აი, არსებითად ყოველივე, რაც ჩემთვის დაკავშირებულია „მცირე მიწის“ ცნებასთან. ეს არის დიდი სამამულო ომის ერთი ფურცელი. მხოლოდ ერთი, მაგრამ დაუვიწყარი ფურცელი.

უმაღლესი მთავრსარდლის ბრძანებით ჩვენ ეშელონებში ვსხდებოდით და მე-3 უკრაინის ფრონტის განკარგულებაში მივდიოდით. მცირე მიწაზე ბრძოლების შემდეგ, ნოვოროსიისკის იერიშის შემდეგ ეს, ლამის დასვენებად გვეჩვენებოდა .მაგრამ ომში ცხოვრება სწრაფად იცვლება, ბედი თურმე სხვას გვიქადდა.

1943 წლის 6 ნოემბერს ჩვენმა ჯარებმა გაათავისუფლეს კიევი და ათ დღეში 150 კილომეტრით წაიწიეს დასავლეთისკენ, ბევრი დასახლებული პუნქტიდან, მათ შორის ჟიტომირიდან და ფასტოვიდან გააძევეს მოწინააღმდეგე. გადაჭრილი იყო დიდმნიშვნელოვანი კომუნიკაციები, რომლებიც „ცენტრისა“ და „სამხრეთის“ არმიათა ჯგუფებს აკავშირებდა. აშკარა იყო, რა საშიშ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ ჰიტლერელთა ჯარები. გერმანელ ფაშისტთა სარდლობამ, რომელმაც ახალი ძალები გადმოისროლა საფრანგეთიდან, ჟიტომირისა და ფასტოვის სამხრეთით თავი მოუყარა თხუთმეტამდე სატანკო, მოტორიზებულ და ქვეით დივიზიას. ნათელი იყო ჰიტლერის გეგმაც — შემოეტია სამხრეთ-დასავლეთიდან, მოესპო ჩვენი პლაცდარმი დნეპრის მარჯვენა ნაპირზე და კვლავ დაეპყრო კიევი. ფაშისტებმა მოახერხეს გარღვევა და მეორედ აიღეს ჟიტომირი.

სწორედ ამ გარღვევის ლიკვიდაცია, მოწინააღმდეგის წინსვლის შეჩერება ებრძანა ჩვენს მე-18 არმიას, კატუკოვის სატანკო არმიასა და სხვა შენაერთებს.

გზაში ჩვენ პირველი უკრაინის ფრონტისკენ გადავუხვიეთ, რომელსაც გენერალი ნ. თ. ვატუტინი სარდლობდა. მტერი ამ დროისათვის უკვე ჟიტომირის გზატკეცილის 74-ე კილომეტრზე იყო და უკრაინის დედაქალაქისაკენ მოიწევდა.

ეშელონი, რომელშიც სამხედრო საბჭო, არმიის შტაბი და პოლიტგანყოფილება იყო, პირველი გავიდა. მას კვალში ედგნენ არმიის შენაერთებისა და ნაწილების ეშელონები. ჩქარა მივდიოდით და მხოლოდ ორთქლმავლების გამოსაცვლელად ვჩერდებოდით. ღამით გავიარეთ ბაგლეის სადგური — ეს სულ ექვს კილომეტრზეა დნეპროძერჟინსკიდან. შევჩერდით მეორე სადგურში, ასევე ძალიან ახლოს. და აი მე დავუბრუნდი მშობლიურ ადგილებს.

ვაგონიდან გამოვედი, ქარი ქროდა, ციოდა, ირგვლივ წყვდიადი იყო. გავცქეროდი ამ წყვდიადს და ასე მეგონა, მშობლიური „ძერჟინსკის“ — იმ ქარხნის კვამლის სუნს ვგრძნობდი, სადაც მამაჩემი მუშაობდა, სადაც დაიწყო ჩემი შრომითი გზა — ჯერ მეცეცხლური ვიყავი, შემდეგ კი ძალური საამქროს ინჟინერი. ისე გამიწია იქით გულმა, ისე მომწყურდა თუნდაც ერთი დღით, თუნდაც ერთი საათით, რამდენიმე წუთით მაინც გადამეხედა იქაურობისათვის. წინადღეს დედის წერილი მივიღე, უკვე დაბრუნებულიყო ევაკუაციიდან. წერილში იგრძნობოდა, რომ ბევრი რამ გადაეტანა.

მაგრამ შეჰკივლა ორთქლმავალმა, სწრაფად შევახტი ვაგონს, და შინ დაბრუნება, ახლობლების ნახვა ბევრად გვიან მომიხდა, უკვე ომის შემდეგ...

8.

ჩვენი ეშელონი გოსტომელის სადგურში განტვირთეს, შტაბი სოფელ კოლონშჩინაში განლაგდა.

იქ იშვიათად მიხდებოდა ყოფნა, განუწყვეტლივ დავქროდი უახლოეს სადგურებში, ვჩქარობდი ეშელონების გადმოტვირთვას, უწინარეს ყოვლისა — არტილერიისას, რათა ტყის ზოლში განგველაგებინა იგი ჟიტომირ-კიევის გზატკეცილის გაყოლებით.

11 დეკემბერს დაახლოებით ღამის პირველ საათზე არმიის შტაბის ოპერატიული განყოფილების უფროსის მოადგილემ პოდპოლკოვნიკმა ნ. ა. სოლოვეიკინმა დამირეკა: მტერმა მოახერხა გარღვევა სოფელ სტავიშჩის რაიონში. ეს ჩვენგან სულ რამდენიმე კილომეტრზე იყო.

დავუკავშირდი ლესელიძესა და კოლონინს. სარდალს უკვე დაერაზმა მსროლელი პოლკი, უკვე მოდიოდნენ ამ ადგილისაკენ ტანკები, მაგრამ გარღვევის რაიონში ერთ საათზე ადრე ვერ მოაღწევდნენ. გადავწყვიტეთ მათ მოსვლამდე იქ გაგვეგზავნა შტაბის მთელი ოფიცერთა შემადგენლობა. ეს უკიდურესი ღონისძიება იმიტომ იყო აუცილებელი, რომ არავითარ შემთხვევაში არ შეიძლებოდა საშუალება მიგვეცა მტრისათვის ჩაეკეტა კიევის გზატკეცილი და გამაგრებულიყო იქ.

სოლოვეიკინის დარეკვის შემდეგ მაშინვე ვუბრძანე განგაში მიეცათ პოლიტგანყოფილების ოფიცრებისათვის. სარდალს სულ სამიოდე წუთს ველაპარაკე და, როცა ყურმილი დავდე, კმაყოფილმა დავინახე: ავტომატებითა და ხელყუმბარებით შეიარაღებული ოცდაათიოდე კაცი უკვე გამზადებული იყო. გავნაწილდით, ვინ საით წავიდოდა.

მე თან გავიყოლიე ადიუტანტი ი. კრავჩუკი და ერთი მეავტომატე. თადარიგიანმა შოფერმა მოასწრო მანქანაში ჩაეწყო ოცდაათიოდე ხელყუმბარა, მთელ ქუჩაზე გუგუნებდნენ მომართული მანქანები. უახლოესი პოლკის საკომანდო პუნქტს მივაშურეთ, სრულიად აუცილებელი ცნობები მივიღეთ და სწრაფად განვაგრძეთ გზა. წინა ხაზიდან კილომეტრ-ნახევარზე ნაღმსატყორცნის ძლიერი ცეცხლის გამო იძულებული გავხდით მანქანა დაგვეტოვებინა. სწრაფად წავედით იქით, საიდანაც სროლის ხმა მოდიოდა. და მალე ტრანშეას გადავაწყდით. დაჭრილები კვნესოდნენ, ყმაწვილი ლეიტენანტი რაღაცის თქმას ლამობდა. ოციოდე მეავტომატე ბრუსტვერზე მიწოლილი ისროდა. შიგადაშიგ გაისმოდა დაზგის ტყვიამფრქვევის მოკლე ჯერი. სიბნელიდან შეშინებული ხმა შემომესმა:

— უნდა დავიხიოთ!

— ხმა ჩაიწყვიტე, ლაჩარო! — შეუძახა ლეიტენანტმა.

ამ დროს ჯერ არ ვიცოდი, როგორი იყო აქ ვითარება. არ ვიცოდი, რომ ტრანშეის ეს მეორე ხაზი ფაშისტების იერიშის შემდეგ პირველ ხაზად ქცეულიყო. არ ვიცოდი, რომ მტერს გადაეწყვიტა გამაგრების შესაძლებლობა არ მოეცა ჩვენთვის და კვლავ წამოეწყო იერიში. ეს მაშინ გავიგე, როცა დავიხახე, ქვეითთა მეჩხერ ცეცხლში მოკლე გადარბენებით მოიწევდნენ ფაშისტები, ავტომატს გვიშენდნენ და ეგრეევე წვებოდნენ, როგორც კი ჩვენი ტყვიამფრქვევი აკაკანდებოდა.

ლეიტენანტი დავამშვიდე და ვუბრძანე, გადაეცა ყველასათვის, სულ რამდენიმე წუთს გაეძლოთ: მანქანებით მოდის ქვეითი პოლკი, მთელი სიჩქარით მოქრიან ტანკები, გახარებულმა ლეიტენანტმა მებრძოლებს მიაშურა, მეორე მხარეს კი იგივე ამბავი ახარა კრავჩუკმა. მახსოვს, გაუთავებლივ იმეორებდა:

— ეს კომისარია, პოლიტგანყოფილების უფროსი!

ჩვენს არმიაში უკვე კარგა ხანი იყო აღარ არსებობდა კომისრების ინსტიტუტი, კარგა ხანია იყო ჯარებში არ გაეგონათ თვით სიტყვა **კომისარიც**, მაგრამ კრავჩუკს იგი ამ მომენტისათვის ყველაზე შესაფერისად მოეჩვენა.

ომის მანძილზე ბევრჯერ მინახავს მტერი ასე ახლოს, მაგრამ ეს ღამის ბრძოლა განსაკუთრებით ჩამრჩა მეხსიერებაში. რაკეტების შუქზე ჰიტლერელები, რომლებიც მოფარებულ ადგილებში იმალებოდნენ, გორაკიდან გორაკისაკენ გადარბოდნენ. ისინი სულ უფრო და უფრო გვიახლოვდებოდნენ და მათ უმთავრესად ჩვენი ტყვიამფრქვევი აბრკოლებდა. ერთ-ერთი გადარბენის დროს იგი კვლავ აკაკანდა და უეცრად დადუმდა. ახლა მხოლოდ კანტიკუნტად გაისმოდა მებრძოლთა სროლის ხმა. გერმანელები უკვე აღარ წვებოდნენ — თავს იმხნევებდნენ შეძახილებითა და განუწყვეტელი ცეცხლით, ისინი შემართულნი მორბოდნენ ტრანშეისაკენ. ჩვენი ტყვიამფრქვევი კი მდუმარებდა, რომელიღაც ჯარისკაცმა გვერდზე გადასწია მოკლული მეტყვიამფრქვევე. ბეირფასი იყო ყოველი წამი და ვეცი ტყვიამფრქვევს.

მაშინ ჩემთვის მთელი სამყარო მიწის იმ ვიწრო ზოლში მოექცა, რომელზეც ფაშისტები მორბოდნენ. არ მახსოვს, რამდენ ხანს გაგრძელდა ეს. ერთი აზრი დაეუფლა მთელ ჩემს არსებას: უნდა შევაჩერო! მგონი, არ მესმოდა ბრძოლის გრიალი, არ მესმოდა ბრძანებანი, რომლებიც ჩემ გვერდით გაისმოდა. მხოლოდ რაღაც მომენტში შევნიშნე, რომ ის მტრებიც ეცემიან, რომლებსაც მე არ ვუმიზნებდი. ეს უკვე ჩვენი მაშველი მებრძოლები ისროდნენ, რომლებმაც სულზე მოგვისწრეს. მახსოვს, ერთ-ერთი მათგანის ხელი შეეხო ჩემს ხელს:

— ამხანაგო პოლკოვნიკო, ადგილი დაუთმეთ მეტყვიამფრქვევეს.

მიმოვიხედე: ტრანშეა სავსე იყო ჯარისკაცებით. ისინი ჩვეულად, მარჯვედ, საქმის ცოდნით იკავებდნენ პოზიციებს. და საოცრად მშობლიურნი, საოცრად ახლობელნი მეჩვენენ ეს უცნობი ადამიანები! რა თქმა უნდა, ჩვენ შევაჩერეთ ჰიტლერელები. მალე კი საბჭოთა ჯარები ზვავივით დააცხრნენ თავს, გაათავისუფლეს ჟიტომირი და განაგრძეს შეტევა. ჯარისკაცულ ძმობაზე, საბრძოლო მეგობრობაზე, რომელიც ჩვენს არმიაში სუფევდა, იმაზე, თუ როგორი პატრიოტები იყვნენ მებრძოლები თავიანთი ნაწილებისა, საგანგებოდ მინდა ეილაპარაკო.

ნებისმიერი შეტაკება, ყოველი ბრძოლა, სადაც უნდა ხდებოდეს, — ეს არის ცეცხლი, სისხლი და სიკვდილი. და მაინც, როცა ფიქრობ სხვადასხვა რაიონის ბრძოლებზე დნეპროპეტროვსკიდან პრაღამდე, უნებურად წარმოგიდგება თვალწინ სურათები, რომლებიც მკვეთრად განსხვავდება ერთმანეთისაგან. აი ბარვენკოვო-ლოზოვსკაიას ოპერაცია — და ხედავ ადამიანებს, რომლებიც ლოვლში ეფლობიან, რომლებსაც სუსხიანი ქარი აქცევს. აი ბრძოლები მცირე მიწაზე — აფეთქებებისაგან თუხთუხებს ცემესის უბის წყალი, სადაც აქეთ-იქით ეხეთქებიან ჯარით სავსე პატარა გემები. სოხუმის გზატკეცილი კი ხედ ზღვის პირამდე მტვრის კორიანტელში გახვეულიყო. მტვრით იყო სავსე ჰაერი, მტვერში იდგა სახლები, ქვემეხები, მანქანები, მტვერი მძიმე ფენად იდო ხეებზე, რომელთა ტოტები დაეზნიქა სიმძიმით. მტვერი ჩექმის ყელიდან ტერფამდე ჩადიოდა, ტანსაცმელში ატანდა და სხეულზე გეწებებოდა. ჩვენ მას საჭმელ-სასმელთან ერთად და პირდაპირ ნატურალური სახით ვყლაპავდით.

აი ასეთ მტვრიან, მზით გახურებულ გზაზე, ჭურვების ბათქაბუთქში მანქანით მივდიოდი ერთ-ერთ დივიზიაში, რომელიც ბრძოლისათვის ემზადებოდა. მანქანა გაიჭედა სავსე გზაზე, მე გადმოვედი შემოსავლელის მოსაძებნად. და დავინახე, რომ გზის პირას სერჟანტი და ჯარისკაცი ხმამაღლა კამათობდნენ. საინტერესო ამბავი გამოდგა.

ჯარისკაცი თურმე ჰოსპიტლიდან ბრუნდებოდა და მიმართვა ჰქონდა სარეზერვო ნაწილში. გზაში განზრახ ჩამორჩენოდა ჯგუფს და გამოქცეულიყო. მდევრად გამოგზავნილი სერჟანტი დასწეოდა სხვა ნაწილში, სადაც დაჭრამდე მსახურობდა. ასეულის მეთაური გაერკვა კონფლიქტში და თავის ყოფილ მებრძოლს უთხრა: რას იზამ, სერჟანტს უნდა გაჰყვეო. ჰოდა, წამოვიდნენ. მაგრამ გზაში ჯარისკაცი გაბრაზდა: არ წამოვალ, მორჩა და გათავდა, ჩემს ნაწილში დავბრუნდებიო.

— მაგას ბრძანება ჩვენს პოლკში აქვს, — მიპასუხა კითხვაზე სერჟანტმა.

—ბრძანება არ შეასრულა, ფიცი გატეხა. წესით გასასამართლებელია, ეგ კიდევ ჯიუტობს.

— არა, ამხანაგო მეთაურო, არ გამიტეხია, — ხვეწნით მითხრა მებრძოლმა. — მე ხომ ზურგში არ გავქცეულვარ, ჩემს ნაწილში წავედი.

— სად არის შენი ნაწილი?

— შიგ შუა ცეცხლშია, ფრიცების იერიშს ელოდება, ესენი კი, — ზიზღით ვადახედა სერჟანტს, — ახლა მოდიან გონს.

ამბა ჩაუფიქრდით. კაცს სრულიად კანონიერ საფუძველზე შეუძლია ბრძოლაში არ წავიდეს. ყოველ შემთხვევაში, ვადა აქვს, და ჯერ არავინ იცის, როდის მოუხდება წასვლა. ეს კი ვერ ისვენებს, ბრძოლა სწყურია. რა დასკვნები შეგვიძლია გამოვიტანოთ ამ, ერთი შეხედვით, კერძო ფაქტიდან? ჯარისკაცს სჯერა თავისი მეთაურებისა და პოლიტიკური ხელმძღვანელებისა, სჯერა თავისი ამხანაგებისა, რომლებთანაც ერთად დაზვერვაში თუ იერიშზე მიდის. თორემ, რად უნდოდა თავისი ნაწილი. გარდა ამისა, ეტყობა, თვითონაც ღირ-

სეულად ეჭირა თავი ბრძოლაში. ლაჩარი რომ ყოფილიყო, სხვა ნაწილში წავიდოდა, სადაც მისი სულმოკლეობის მოწმენი არ იქნებოდნენ. ცუდი ჯარისკაცი, რომელიც ამხანაგებს არ უყვართ, თავს არ გაიცხელებს მათთან დაბრუნებისათვის.

მაშ, ეგებ, ეს განსაკუთრებული ასეულია, ადამიანებს რომ იზიდავს? არა. მთელი საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტის სიგრძეზე, სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების ყველა სამედიცინო-სანიტარულ ბატალიონში წამდაუწუმ გაისმოდა: ჩემს ნაწილში მინდა! თავისი ასეული, პოლკი, დივიზია მებრძოლებს განსაკუთრებულად, საუკეთესოდ, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით, მშობლიურად მიაჩნდათ. გამოდის რომ, მთელი ჩვენი არმია „განსაკუთრებული“ ნაწილებისაგან ყოფილა შემდგარი.

მაგონდება სხვა ფაქტი, კიდევ უფრო განსაცვიფრებელი. ისევ შეტევა იყო, ჯარები ეშელონებში სხდებოდნენ, მე კი გადავწყვიტე ჰოსპიტალში შეშეარა. პირველ პალატაში ოცდაათიოდე კაცი იყო, უმთავრესად მოსიარულენი, მე გამოვეთხოვე, ვუთხარი, რომ ჩვენ განვაგრძობთ ფაშისტების მუსრვას, ბალე გამოჯანსაღდით და დაგვეწიეთ-მეთქი. ყველა ერთად ალაპარაკდა: აუცილებლად დაგეწევითო. მომდევნო პალატაში მძიმედ დაჭრილნი იწვნენ. ექიმმა გამაფრთხილა, მარჯვნივ პირველი რომ წევს, ლეიტენანტი, განწირულიაო. გაზოვან განგრენას ვეღარ შეაჩერებ. მივუახლოვდი. ლამაზი ხუჭუჭი შავი თმა, შავი წარბები, ცისფერი თვალები სიკვდილით შეპყრობილ ალმოდებულ სახეზე... ვკითხე, რამე სათხოვარი ან სურვილი ხომ არა გაქვს-მეთქი.

— მაქვს, ამხანაგო პოლკოვნიკო, მაქვს. დამეხმარეთ, რომ, თუ გადავრჩი, ჩემს ნაწილში დამაბრუნონ.

უცბად ვერ ვუპასუხე. მღელვარება დავიოკე და ვუთხარი, ნუ გეშინია, აუცილებლად დაგეხმარები-მეთქი. ვკითხე, რომელ ნაწილში იბრძოდა, როგორ დაიჭრა. უკვე გამოვეთხოვე, ის იყო უნდა გამოვსულიყავი, რომ მომესმა:

— გამოდის, რომ არ დამეხმარებით, ამხანაგო პოლკოვნიკო?

— რატომ, აუცილებლად...

— თქვენ ხომ ჩემი გვარიც კი არ ჩაგიწერიათ.

და ისევ ვერ გამოვნახე პასუხი. მედიცინის და წამომეშველა.

— აი მე ვიწერ, — უჩვენა მან ქაღალდის ფურცელი, — გვარსაც, წოდებასაც, ნაწილის ნომერსაც. ხედავთ?

მე ხელი გავუწოდე ფურცელის გამოსართმევად და წავიკითხე: „დროა წახვიდეთ“. სწრაფად შევინახე პლანშეტში და ლეიტენანტს გადავხედე, იღიმებოდა. რაღაც მომაწვა ყელში. ომის დროს არაერთგზის გამიგონია ეს სიტყვები: „ჩემს ნაწილში მინდა“. მაგრამ ვერასოდეს ვერ დავივიწყებ ამ ლეიტენანტსა და მის ესოდენ არამხედრულ სიტყვას — „დამეხმარეთ“ და სოხუმის გზატკეცილზე შეხვედრილ ჭირვეულ ჯარისკაცს.

რა გოლიათური სული აქვთ! რა უხილავი, მაგრამ უსაზღვრო სიყვარული აქვთ სამშობლოსი, რაოდენ წყურვილი ამოძრავებთ მისი დაცვისა, და სრულიად არ ფიქრობენ საკუთარ სიცოცხლეზე. მე შემძრა ჯარისკაცის არა თვით თხოვნამ, არამედ იმან, როგორ გამოხატა მან ეს თხოვნა. კი არ ყოყოჩობდა თავისი გმირობით, თითქოს თავს იმართლებდა, თითქოს ისეთ რაღაცას მთხოვდა, რაც მხოლოდ მას, მის პირად ინტერესებს ეხებოდა.

რა უნდა მეპასუხა ჯარისკაცისთვის მტვრიანი გზის პირას? ყოველგვარი წესდებით, სამხედრო დისციპლინის კანონების მიხედვით მას ბრალი მიუძღოდა. ომში არ შეიძლება, რომ ყველა თვითონ ირჩევდეს სამსახურის ადგილს. არ შეუძლია „საკუთარი სურვილით“ გათავისუფლდეს და სხვა ადგილას გა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დავიდეს. კანონით, მოვალე ვიყავი სამსახურის გასავლელად გამეგზავნა. იქ, სადაც მიმართვა ჰქონდა. მაგრამ ვყოყმანობდი.

— აბა, რა გიყოთ? — ვკითხე ჯარისკაცს, რადგან მართლა არ ვიცოდი, რა მექნა.

— გამგზავნეთ ჩემს ნაწილში, ამხანაგო მეთაურო. მე პარტიაში უნდა შევიდე! მაშინ ვერ მოვასწარი გაფორმება, ჰოსპიტალში ამოვყავი თავი, ახლა განცხადებაც შევიტანე და ისევ გამომკრა კვანტი იმ ოხერმა ფრიცმა. ამათთან კი, — ისევ გადახედა სერჟანტს, — არავინ არ მიცნობს.

ამ სიტყვებმა ბოლო მოუღო ჩემს ყოყმანს. ადიუტანტს ვთხოვე, ჩაეწერა მისი გვარი და ორივე ჯარის ნაწილის ნომერი. ჯარისკაცს დავპირდი: ხვალ იქნება-მეთქი ბრძანება შენი გადაყვანის შესახებ. ახლა კი გაჰყევი სერჟანტს— ბრძანების დარღვევის უფლება არავის არა აქვს. სწორედ ბრძანებით დაუბრუნდები-მეთქი შენიანებს. ჯარისკაცმა ვერ დაფარა, არც სურდა დაეფარა თავისი სიხარული. წელში გაიმართა, ყოჩაღად მომცა მხედრული სალამი და მკითხა:

—შეიძლება წავიდე?

კვლავ და კვლავ ვრწმუნდები, რაოდენ მართალი იყო ვ. ი. ლენინი, როცა უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა მასებთან კავშირს, მუშებთან, გლეხებთან, ჯარისკაცებთან ყოველდღიურ ურთიერთობას. რამდენი სერიოზული, მასშტაბური დასკვნა გამომიტანია გზაში, დასვენების დროს, საბრძოლო პოზიციებზე მებრძოლებთან შეხვედრებისა და საუბრების შედეგად. ასე იყო ჰოსპიტალში იმ შეხვედრისა და სოხუმის გზატკეცილზე ჯარისკაცთან შემთხვევითი საუბრის შემდეგაც. მე, რა თქმა უნდა, დაპირება შევასრულე. მაგრამ, გარდა ამისა, გადაწყდა: ჰოსპიტლიდან გამოწერის შემდეგ შეძლებისდაგვარად ხალხი თავთავიანთ ნაწილებში დაებრუნებინათ.

1944 წლის 11 თებერვალი ჩემთვის მწარე დღე იყო. მოსკოვში ვგზავნიდი მძიმედ დაავადებულ არმიის სარდალს. ექიმებმა მითხრეს: დიდი იმედი არა გვაქვსო. ათი დღის შემდეგ კონსტანტინე ნიკოლოზის ძე ლესელიძე გარდაიცვალა.

ფრონტზე კაცი მალე იცნობა, ხელად გამოჩნდება, ვინ რად ღირს. ლესელიძე ერთ-ერთი უნიჭიერესი მხედართმთავარი იყო, რომელიც საბჭოთა ადამიანის საუკეთესო თვისებებს განასახიერებდა. მკაცრი და დაუნდობელი მტრის მიმართ, კეთილი და გულისხმიერი მეგობრებისადმი, ნამუსის კაცი, სიტყვის კაცი, მახვილი გონების კაცი, ხალისიანი და მამაცი — ასეთი ჩამრჩა ნეხსიერებაში ჩემი მებრძოლი მეგობარი და თანამოსანგრე კონსტანტინე ლესელიძე.

მომდევნო ხანაზე ბევრი რამ შემიძლია გიამბოთ, შემიძლია მთელი წიგნი დავწერო, რადგან ათასობით კილომეტრი გზა და ომის მრავალი თვე ჯერ კიდევ წინ იყო. მაგრამ დღეს მინდა ერთხელ კიდევ აღვნიშნო ერთი რამ: მცირე მიწის ხსოვნა, მცირე მიწაზე მიღებული წრთობა და გამოცდილება თან გაგვყვა მე და ჩემს თანამებრძოლებს უკანასკნელ გასროლამდე. მებრძოლთა მგზნებარებას, უსაზღვრო მამაცობას, პატრიოტიზმს დაემატა სიდინჯე, მოწიფულობა, ზუსტი ანგარიში, ომის ცოდნა, და ყოველივე ამან გამარჯვებამდე მიგვიყვანა.

ვათავისუფლებდით რა გზადაგზა სოფლებსა და ქალაქებს, ფიცხელა ბრძოლებით გავიარეთ კიევის, ვინიცის, ხმელნიცკის, ჩერნოვცის, ლვოვისა და უკრაინის სხვა ოლქები და მივადექით კარპატებს. აქ ფაშისტებმა გამოიყენეს ბუნებრივი დაბრკოლებანი და ააგეს თავდაცვის ძლიერი ხაზი „არპადი". მაგ-

რამ ვეღარავითარი დაბრკოლებანი ვეღარ შეაჩერებდა წითელ არმიას. კავკასიონის მთებში ბრძოლის დროს შეძენილმა გამოცდილებამ გადაგვალახვინა კარპატის უღელტეხილები, შეგვამსხვრევინა მტრის თავდაცვის თითქოსდა მიუვალი კედელი.

ახლა პოლიტმუშაკებმა მართლაც რომ დაკარგეს დღისა და ღამის ანგარიში. არ წყდებოდა ბრძოლები, და ჯარებში არც ერთი წუთითაც არ კვდებოდა პარტიულ-პოლიტიკური მუშაობა. ამასთანავე უნდა დავხმარებოდიო ადგილობრივ ამხანაგებს, იატაკქვეშეთიდან გამოსულ კომუნისტებს, მოგვეწყო ახალი ცხოვრება. ზედიზედ ხორციელდებოდა დიდი პოლიტიკური ღონისძიებანი, პარტიული კონფერენცია, პროფკავშირული ყრილობა, ახალგაზრდობისა და ქალთა კონფერენციები. თავისუფლების ატმოსფერომ პოლიტიკური აქტივობისათვის დარაზმა იმიერკარპატის უკრაინის მთელი მოსახლეობა. იგი ჩვენ, როგორც განმათავისუფლებელ ძმებს, ისე გვხვდებოდა. ყველგან იქმნებოდა სახალხო კომიტეტები, მზადდებოდა მათი პირველი ყრილობა. შემდეგ, ყრილობაზე, დავინახე, რა უდიდესი ენთუზიაზმით მიიღეს ისტორიული გადაწყვეტილება მშობლიურ უკრაინასთან იმიერკარპატის შემოერთების შესახებ.

ძნელია დაივიწყო, რა ზარ-ზეიმით შეხვდნენ ჩვენს ჯარებს რუმინეთის, უნგრეთის, პოლონეთის, ჩეხოსლოვაკიის ხალხები. ამ ქვეყნების განთავისუფლებაში სხვა შენაერთებთან ერთად სახელოვანი მე-18 სადესანტო არმიაც მონაწილეობდა. აი, სად ვერ შეაფასებდი გადაჭარბებით პოლიტიკურ მუშაობას. ათწლეულების განმავლობაში სწამებდნენ ცილს ჩვენს პარტიას იმპერიალისტები. ათწლეულების განმავლობაში ხალხებს საოცარი მონაჩმახით უჭედავდნენ თავს ჩვენი ცხოვრების, ჩვენი ადამიანების შესახებ. და აი საბჭოთა ადამიანები განმათავისუფლებლად მოევლინა ევროპას. არაფრით არ უნდა შეგველახა ეს დიდი ჰუმანური მისია, და ჩვენმა მეომრებმა არც შელახეს იგი. ყველგან ხედავდნენ, რომ ესენი იყვნენ უანგარო, კეთილშობილებით აღსავსე, ჰუმანური და სამართლიანი, ომის ქარცეცხლში გამოვლილი ადამიანები.

უძნელეს — 1941 წელს ჩვენ გვწამდა, რომ გამარჯვება მოვიდოდა. ახლა ჩვენ ვიცოდით: გამარჯვებამდე რამდენიმე დღეღა რჩებოდა. მოვლენათა მთელმა მსვლელობამ მოგვამზადა ამისთვის. და მაინც, როცა ეს გამარჯვება მოვიდა, გაგვაბრუა სიხარულმა. მე მგონი, ჯერჯერობით ვერავინ ვერ გამოხატა სიტყვით ეს სიხარული. და არც მე ძალმიძს გიამბოთ ყოველივე, რითაც აღივსო ჩვენი გული 1945 წლის 9 მაისს. გეტყვით მხოლოდ! ეს დღე უბედნიერესი დღე გახდა ჩემს ცხოვრებაში.

ესეც კია, ჩვენი მე-18 სადესანტო არმიისათვის ომის უკანასკნელი დღე რამდენადმე გვიან დადგა — 12 მაისს. უკვე ხელმოწერილი იყო აქტი ფაშისტური გერმანიის უსიტყვო კაპიტულაციის შესახებ, ჩვენ კი ჩეხოსლოვაკიის ტერიტორიაზე განვაგრძობდით გაკერპებული მტრის ნარჩენების განადგურებას.

დაუვიწყარია ჩემთვის ზეიმის დიდებული აქტიც — წითელ მოედანზე გამარჯვების აღსანიშნავად გამართული პარადი. სიხარულითა და სიამაყით წავიკითხე ბრძანება იმის შესახებ, რომ მე-4 უკრაინის ფრონტის გაერთიანებული პოლკის კომისრად ინიშნება ფრონტის პოლიტსამმართველოს უფროსი გენერალი ბრეჟნევი. ძვირფას რელიკვიად ვინახავ დღემდე ხმალს, რომლითაც პარადზე ჩავიარე სარდლობასთან ერთად, წინ რომ მიუძღოდა ჩვენს გაერთიანებულ პოლკს.

ასე ახდა ჩემი ოცნება — მოვსწრებოდი გამარჯვებას. ამას ოცნებობდა მილიონობით საბჭოთა ჯარისკაციც. რომლებიც არა მარტო სამკვდრო-სასიცოცხლოდ იბრძოდნენ მშობლიური მიწა-წყლის დასაცავად, არამედ ღირსეულად ატარეს გამარჯვების დროშა ომის ძნელ გზებზე და ბერლინში რაიხსტაგის გუმბათზე ააფრიალეს.

* * *

ჩვენი გამარჯვება კაცობრიობის ისტორიის მაღალი მწვერვალია. მან გვიჩვენა ჩვენი სოციალისტური სამშობლოს სიდიადე. გვიჩვენა კომუნისტური იდეების ძლევამოსილება, თავდადებისა და გმირობის გასაოცარი ნიმუშები— ყოველივე ეს უეჭველად ასეა. მაგრამ დაე იყოს მშვიდობა, რადგან იგი ძალზე სჭირდებათ საბჭოთა ადამიანებს, და საერთოდ ქვეყნად ყველა პატიოსან ადამიანს.

უკანასკნელ დღემდე ვმარხავდით ერთგულ ამხანაგებს, მთელ გზაზე ვხედავდით ფაშისტური მხეცობის კვალს, ვხვდებოდით თვალცრემლიან დედებს, უნუგეშო ქვრივებს, მშიერ-მწყურვალ ობლებს. და დღეს რომ მკითხოს ვინმემ, რა მთავარი დასკვნა გამოვიტანე მე, რომელმაც ომი პირველი დღიდან უკანასკნელ დღემდე გამოვიარე, ვუპასუხებდი: იგი აღარ უნდა განმეორდეს, ომი არასოდეს აღარ უნდა მოხდეს.

ბედნიერია პოლიტიკოსი, ბედნიერია სახელმწიფო მოღვაწე, როცა შეუძლია მუდამ ის ილაპარაკოს, რასაც ნამდვილად ფიქრობს, აკეთოს ის, რაც მას ნამდვილად საჭიროდ მიაჩნია, იღვწოდეს იმისათვის, რაც ნამდვილად სწამს. როცა მშვიდობის პროგრამა წამოვაყენეთ, როცა ბევრ საერთაშორისო შეხვედრაზე ომის საფრთხის თავიდან აცილების ინიციატივები გამოვიჩინეთ, მე იმას ვაკეთებდი, იმას ვესწრაფვოდი, იმას ვამბობდი, რაც ღრმად და ბოლომდე მწამს, როგორც კომუნისტს.

და, ალბათ, სწორედ ეს არის მთავარი დასკვნა, დიდი ომის გამოცდილებიდან რომ გამოვიტანე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თეიმურაზ ჯანგულაშვილი

სწორუპოვარო არმიავ გმირთა

მოქცეულია ცეცხლის ალყაში
პირველი სამშობლო თავისუფლების,
ძველმა სამყარომ ვერცხლის ქარქაშით
იძრო მახვილი. შავი ღრუბლები
ჩამოწვა. აღსდგა ხალხი მართალი,
მამულის კედლები მკერდებით შეკრეს.
ყველა სიმართლის მთავარსარდალი —
ლენინი
ხელს აწერს არმიის დეკრეტს!
გავყვები კორჩაგინს ვარსკვლავქუდიანს,
დნეპრის პირებზე ვხვდები კიკვიძეს,
მესაყვირობას შევთხოვ ბუდიონს
და ჩაპაევის რაზმში ვიღვიძებ.
თეთრთა ბანდები. ინტერვენტები.
შიმშილი. სიკვდილის ქარი ცივი.
რისხვად ვენთები. დილად ვთენდები
ყირიმით, ციმბირით, ცარიცინით.
ვაშა! ნამუსრევი მტრები გარბიან...
დიდება დროშას შუქით შემოსილს!
და მერე მეთერთმეტე არმიას
იმ დროშით მოვყევ საქართველოში.
... ასე დაიბადა არმია ჩვენი —
რევოლუციის ფარი და მახვილი,
სოციალისტური სამშობლოს მცველი,
მართალი
თავისი მშობელი ხალხივით.

...ივნისი, ცხრაასორმოცდაერთი...
მაისი, ცხრაასორმოცდახუთი...
ოთხ წელს ხიშტებზე ნაბჯენი მკერდი.
ბერლინში დროშის აღმართვის წუთი,
გმირობა მართლაც გაუგონარი,
დიდება მართლაც საკაცობრიო!..
შენ გასდე ხიდი დიდი მომავლის,
შენ დაიხსენი მთელი მსოფლიო!
...რა ცეცხლი ჩაგვინთე უწვერულ ბიჭებს,
იმ სასტიკ ომში რომ
ასე ვიქარბუქეთ...
შენს მწყობრში ისევ მხნედ მიაბიჯებს
ფარაჯაჩაცმული ჩემი სიჭაბუკე.
ჩემს სიტყვას აცვია მხედრის სამოსი,
სტრიქონში გრგვინავს საბრძოლო
ხმა ბუკის...
შეგსრულებია წელი სამოცი
და კვლავ ზღაპრული ხარ მზეჭაბუკი.
მესმის ხმა შენი ლეგიონების,
ჩვენს გულს სინათლედ დაშენებული.
შეფარებულან ჩრდილში ომები,
შენი სიმძლავრით დაშინებული.
გულით მივულოცო დღეის დღე, მინდა,
შენს ყველა რიგითს, ოფიცერს, სერჟანტს.
სწორუპოვარო არმიავ გმირთა
დიდება შენდა! დიდება შენდა!!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შალვა ქირია
საბჭოთა კავშირის გმირი, ავიაციის თადარიგის გენერალ-მაიორი

„თქვენ ჰაერში, ჩვენ—მიწაზე"

მთელმა საბჭოთა ხალხმა, მთელმა მოწინავე კაცობრიობამ დიდი ზეიმით აღნიშნა საბჭოთა არმიის შექმნის მეხამოცე წლისთავი; ამ საყოველთაო-ხახალხო დღესასწაულის დღეებში ჩვენ თვალს ვავლებთ ჩვენი ლეგენდარული არმიის მიერ განვლილ სახელოვან გზას, მისი მატიანის გმირულ ფურცლებს.

ფიქრში ცოცხლდებიან გარდასულ ბრძოლათა დღეები...

ცხრაას ორმოცდაერთი წელი... ოცდაექვსი აგვისტო... იმ დღეს არასასიამოვნო ამბავი შეგვატყობინეს — მტერს ჩვენი თავდაცვის ხაზი გაერღვია ველიკიე ლუკის ჩრდილოეთით და გასაოცარი სისწრაფით მიიწევდა ოსტაშკოვოსაკენ. კიდევ ერთი დღე და ანდრიაპოლის აეროდრომს აშკარა საფრთხე დაემუქრებოდა. მფრინავები გულჩახვეულნი, კუშტად დააბოტებდნენ მანქანებს შორის, ამინდიც განწყობილების შესაფერისი იყო — წვრილად და მომაბეზრებლად ცრიდა.

დივიზიის მეთაურთან გამომიძახეს. მაშინვე საკომანდო პუნქტისაკენ გავეშურე. მიწურში შევედით თუ არა, წეხისამებრ წარვუდექი უფროსს. დივიზიის მეთაური შესასვლელთან, კუნძზე იჯდა. თავი დამიქნია და დაჯექიო, — მანიშნა. მეც დავჯექი.

— ალბათ, ხვდებით რისთვისაც გამოგიძახეთ, — დაიწყო რუდენკომ.

მე უხერხულად შევიშმუშნე.

რუდენკომ განაგრძო: — ისევ თქვენ, მფრინავებმა უნდა გვიშველოთ. მთელს დივიზიაში ოთხი ბომბდამშენია, მათი მეთაური კი თქვენა ხართ... — რუდენკომ სული მოითქვა, ან განგებ გააკეთა პაუზა, და შემომხედა.

— გისმენთ, ამხანაგო პოლკოვნიკო, — გუთხარი მე.

— ჰოდა, აი, გვინდა რომ სწორედ ამ ოთხმა თვითმფრინავმა მიიტანოს იერიში სადგურ სკვორცოვოზე... მოწინააღმდეგის საკმაოდ დიდი ძალაა ამ რაიონში თავმოყრილი...

— დაბომბვის სიმაღლე? — ვიკითხე მე.

— სამი ათასი მეტრი, — გამოცოცხლდა პოლკოვნიკი, — ჰაერიდან ოთხი ავიაგამანადგურებელი დაგიფარავთ.

რუდენკო გაჩუმდა. იგი წამით სადღაც, ჩემს მიღმა იყურებოდა... უცებ ისევ გავიგონე მისი რბილი მკვერდისმიერი ბარიტონი:

— ამოცანა ნათელია?

— დიახ, ამხანაგო პოლკოვნიკო, — მივუგე მე. — ნება მომეცით შევასრულო...

— რა თქმა უნდა, — ისევ გამისწორა თვალი რუდენკომ, — ოღონდ მანამდე ავიაგამანადგურებელთა ჯგუფის მეთაურს მოეთათბირეთ, შეთანხმდით დეტალებზე... სადაცაა ისიც გამოჩნდება...

ავიაგამანადგურებელთა პოლკი ჩვენგან არც თუ ისე შორს იყო დაბანაკებული. თითქმის ყველა მფრინავს ვიცნობდი.

ოთხმა ბომბდამშენმა და ოთხმა ავიაგამანადგურებელმა კურსი აღმოსავლეთისაკენ აიღო. სამიათას მეტრ სიმაღლეზე ვიმყოფებოდით. ჩვენს ქვეშით ჩანდა ველიკიე ლუკისა და ბოლოგოეს დამაკავშირებელი საკვანძო სადგური — ტოროპეცი. ჯერ კიდევ შორიდანვე შევნიშნეთ მის ირგვლივ დაჯგუფებული გერმანელების ქვეითი ჯარი, ტანკები, არტილერია, ავტომანქანები.

— მოემზადეთ! — ვაცნობე მფრინავებს და

პაუზის შემდეგ განვაგრძე, — დავბომბავთ პირდაპირ, მოუმზადებლად, სწრაფად...

ბრძანების გაცემა და მტრის „მესერების“ გამოჩენა ერთი იყო. ისინი უკვე ჩვენს ავიაგამანადგურებლებს უტევდნენ. თორმეტამდე იყვნენ. ოთხი ოთხის წინააღმდეგ გაპირდაპირდა. დანარჩენებმა ჩვენზე — ბომბდამშენებზე მოიტანეს იერიში.

სამიზნეს ძებნა არ იყო საჭირო: ირგვლივ მტრის თვითმფრინავები ტრიალებდნენ, ხოლო სადგურის მთელი ტერიტორია თითქოს ხელისგულზე მედო. დაყოვნება აღარ შეიძლებოდა.

კურსი მარცხნივ ავიღე და დავიწყე სადგურის დაბომბვა. დანარჩენებმაც მომბაძეს.

მტრის განლაგებებს არეულობა დაეტყო: ჩვენი ბომბებისაგან ავარდნილმა ალმა ჰორიზონტი გადაკეტა. ჩვენი მისია შესრულებული იყო, მაგრამ ბომბებისაგან დაცლილებს ახლა თავის გადარჩენაზე უნდა გვეზრუნა. ქვემოდან მტრის არტილერია გვავიწროებდა, ჰაერი — „მესერშმიტებით“ იყო სავსე... მოდი და თუ ბიჭი ხარ, ნუ დაგასხამს სიმწრის ოფლი! უცებ ჩემს წინ გაიელვა „მესერის“ კუდმა. საიდან გაჩნდა იგი ასე მოულოდნელად, ვერ მივხვდი. ჩემმა შტურმანმა ტყვიამფრქვევების ცეცხლი შეაგება, მაგრამ „მესერშმიტი“ რაღაც უცნაურად შეჯანჯღარდა და ქვეშ მოგვექცა. უკან მომყოლ ეკიპაჟებს მითითებებსა და ბრძანებებს ვაძლევდი. მათ გადარჩენაზე ვფიქრობდი და ისე გავეროე, საკუთარი საფრთხე გადამავიწყდა.

— ჩვენი თვითმფრინავი იწვის! — გაისმა შტურმანის შეშფოთებული ხმა.

ჰო, იწვის. ახლა მეც ვხედავ.

— გადახტით! — გავძახი შტურმანს და რადისტს. თან პარაშუტს ვსინჯავ. წამიც და მეც ჰაერში ვარ... მაგრამ დიდხანს ფრენა აღარ დამჭირებია. ისე დაბალზე ვყოფილვარ, პარაშუტის გაშლა და ხეთა კენწეროებში გაბლანდვა ერთი იყო. რბილად დავეცი.

ტყეში, პირველ რიგში, შტურმანისა და რადისტის ძებნა დავიწყე.

როგორც იყო მოვნახე. ისევ ერთად ვიყავით მთელი ეკიპაჟი. ოღონდ, უთვითმფრინავოდ. ერთად დავადექით გზას.

გავწვალდით, გავიტანჯეთ. თანაც რადისტი დაჭრილი იყო. სუნთქვა უჭირდა, არ მახსოვს რამდენი გავიარეთ, ამახობაში დაღამდა კიდეც.

შევთანხმდით, რომ ბნელში სიარულს აზრი არ ჰქონდა. თანაც დაღლილ-დაქანცულებს დასვენებაც არ გვაწყენდა.

დაველოდეთ განთიადს. ცა ოდნავ შეთეთრდა თუ არა, ისევ დავიძარით.

ნახევარი კილომეტრიც არ გვქონდა გავლილი, რომ უცებ, ჩვენს წინ სამი ავტომატმომარჯვებული ჯარისკაცი ამოისვეტა.

„ჰენდე ჰოხ!“ — დაიბუბუნეს მათ. მაშინვე ვიცანით — ჩვენები იყვნენ. „აბა, რა ჰენდე ჰოხი აგიტყდათ, — გაგვეხარდა ჩვენ, — მადლობა ღმერთს, რომ თქვენ გადაგეყარეთ, ძმებო“.

ამან მთლად გააცოფა სერჟანტი.

„ვიცით, რანაირი რუსებიც ხართ, აბა ხელები ასწიეთ და გადაყარეთ პისტოლეტები“.

რკალში მოგვიქცეს და „წინ იარეთო“, გვიბრძანეს. არ გვენდნენ. ეს გასაგებიც იყო — გერმანელები ხშირად აგზავნიდნენ დესანტებს.

— გასულ კვირასაც ასე არ იყო? — გადაულაპარაკა ზემდეგმა თავის ხელქვეითს. — ტოროპეცთან ორი ასეთი ვაუბატონი არ გამოგვეცხადა? დიდხანს ამტკიცებდნენ, რუსები ვართო, მაგრამ ჩვენს დაზვერვას მოატყუებ? ვერ მოატყუებ... ჰოდა, ამათაც სადაც ჯერ არს, იქ მიაბრძანებენ...

— თანაც ეს რუსულიც რა კარგად უსწავლიათ! — დაიბუბუნა მეავტომატემ.

— ჩქარა დაავიწყებენ! — დაუსვა წერტილი ზემდეგმა.

ხელებაწეულნი მივაბიჯებდით... ერთი პირობა ვიფიქრე, მოდი, ერთს ლაზათიანად შევიგინები-მეთქი. მაგრამ თავი შევიკავე. რას იზამ, ყველა თავისი მოქმედებისათვის აგებს პასუხს. ჩვენი „დამტყვევებლები“ სწორად იქცეოდნენ.

როგორც იყო, მივაღწიეთ დანიშნულ ადგილს, შეგვიყვანეს რომელიღაც ქოხში. ხის დაბალ მაგიდაზე ნავთის ლამპა ბუუტავდა. ჩრდილიან მხარეს კაპიტანი იჯდა. ზემდეგმა ჩვენს შესახებ მოახსენა, „რუსული იცით?“ — ასწია დაღლილი ქუთუთოები კაპიტანმა. ჩვენ რიგრიგობით წარვუდექით. კაპიტანმა ირონიულად ჩაიცინა. მე გული მომივიდა, „აბა, რად გინდათ ეს კომედია, — ვიყვირე მე, — დარეკეთ ანდრიაპოლის აეროდრომზე. იქ შეიტყობთ ჩვენს ვინაობასაც...“

კაპიტანმა კეფა მოიფხანა. „აქ ნაღდად სხვანაირადაა საქმე, ამხანაგო ეფრემოვ, — მიმართა მან ზემდეგს. — აბა, ერთი შემაერთეთ დივიზიის საკომანდო პუნქტს“. ჩვენ კი გადაბრუნებულ ყუთებზე მიგვანიშნა — დაჯექითო.

აგაშენა ღმერთმა, ძლივს არ მოვითქვით სული?!

ანდრიაპოლის აეროდრომიდან ჯერჯერობით არავითარი ცნობა არ იყო. ეტყობა, ვერ უკავშირდებოდნენ. ქოხში თბილოდა და სითბომ ძილისათვის განგვაწყო. მაგრამ რას ჩათვლემდი, როცა წარამარა შემოდიოდნენ მეკავშირეები, ოფიცრები, ოცმეთაურები. ქოხში ბატალიონის საკომანდო პუნქტი იყო განლაგებული. პატაკები მოწმობდნენ, გარშემო მრისხანე, სისხლისმღვრელი ბრძოლები წარმოებდა.

ცოტა ხნის შემდეგ ისევ ის ზემდეგი აისვეტა ჩვენს წინ, საოცარი მორიდებით შეგვათვალიერა და, როგორც იყო ძლივს ამოხლანძა —

„მაპატიეთ, ამხანაგო კაპიტანო, წელან უხეშად რომ მოგექეცითო“.

— მაშ, ყველაფერი გაირკვა? — ვკითხე მე.

— გაირკვა, — გაიმეტა ღიმილიც. — ხომ იცით, რა დროცაა. გერმანელები ყოველი მხრიდან გვიტევენ. დესანტების დაჭერას ვერ ავუდივართ... ამ ოხრებს რუსებისაგან ვერც გაარჩევ, დიდებულად ლაპარაკობენ ჩვენს ენაზე!

გამოგვიყვეს მანქანა. საერთოდ, მანქანა თუ ერქმეოდა ზის — 5-ს, ომის საშინელ გზებზე საკმაოდ ნაწანწალებსა და ფერდებშელეწილს. ბოდა, წარმოიდგინეთ, რა დღეში იყვნენ დაჭრილები, რომლებსაც ამ მანქანის ძარაში ათავსებდნენ.

საკმაოდ ბნელოდა.

ჩემი ყურადღება ამაზრზენმა ყვირილმა მიიქცია.

ვილაც დაჭრილი ცალკე იწვა. არავინ ეკარებოდა.

— არ მიუახლოვდე, — წამატანეს ხელი, რაკი შემატყვეს დაჭრილისაკენ მივიწევდი. — საწყალს ჭურვი ბარძაყში აქვს გაჩრილი... შეიძლება აფეთქდეს...

ამისთანა სასწაულიც ხდებოდა ფრონტზე!

იდგა ხალხი მოშორებით, უსმენდა დაჭრილის მოთქმას და მიახლოვებას ვერ ბედავდა.

— მესანგრეებს უნდა დავუძახოთ! — თქვა ვილაცამ. — ხვანაირად არ მოგვარდება ეს ამბავი.

ღმერთმა უწყის, სანამდე გაგრძელდებოდა ეს დავა ,რომ შეკრებილთ ჯარისკაცულ ფარაჯაში გამოწყობილი ქალი არ გამოყოფოდა. იგი სწრაფად მიუახლოვდა დაჭრილს, მოქაჩა ნაღმი და განზე მოისროლა. მაგრამ ნაღმი არ აფეთქებულა.

— გადარჩა! — შვებით ამოვისუნთქეთ ყველამ და დავიძარით.

მხოლოდ განთიადისას მივაღწიეთ ანდრიაპოლს.

ორმა მძიმედ დაჭრილმა გზაზე დალია სული.

შეწუხებულნი დავემშვიდობეთ მანქანის მძღოლს და ხუთი კილომეტრი ფეხით ვიარეთ აეროდრომამდე.

პოლკის მეთაურმა ტერეხოვმა მაშინვე აცნობა დივიზიის მეთაურს: ქირიას ეკიპაჟი უთვითმფრინავოდ გვეახლა. მსროლელი რადისტი მძიმედ დაჭრილია, მისი გაგზავნა ჰოსპიტალში მოგვიხდებაო.

ცოტა ხანს კიდევ ილაპარაკეს. მერე პოლკის მეთაურმა ყურმილი დადო და შემხედა: ამხანაგო კაპიტანო, ახლავე სასადილოსაკენ გაწყით... თუმცა მეც თან უნდა გამოგყვეთ და დივიზიის მეთაურს თავად მოახსენებთ ყველაფერსო.

...დივიზიის მეთაურმა კი ჯერ ხელზე მიმანიშნა.

— რამდენი ხანია რაც არ გისაუზმიათ?

— ორი დღე იქნება...

იმ ღამეს ჩვენ ე. წ. „საველე სანატორიუმში“ გაგვამწესეს, გვითხრეს, დაისვენეთო.

ჩვენი დასვენება მართლაც სასწაული იყო.

ანდა, რა „საველე სანატორიუმი“ აგვიტყდა ამ გაქანებული ომის დროს?! წესიერად ჩაძინებულიც არ ვიყავით, რომ მორიგე ოფიცერმა განგაში გამოაცხადა.

— მანქანები გველოდებიან, სასწრაფოდ რუეკში უნდა გადავიდეთ.

— რუეკში? — ძლივს დავაღწიე ძილის ბურანს თავი.

— არ გესმით არტილერიის კანონადა? როცა აქეთ მოვდიოდი, გერმანელები ხუთ კილომეტრში იყვნენ აეროდრომიდან. ახლა შეიძლება აეროდრომზეც არიან...

რუეკში გვიბრძანეს, ჯგუფებად დავყოფილიყავით და გარკვეულ რიცხვში გამოვცხადებულიყავით ქალაქ პეტროვსკში.

პეტროვსკისკენ გზა მოსკოვის გავლით იყო.

ჯგუფის ხელმძღვანელები, მე, კორეენკო და სლივკო მატარებელს გავყევით. საშინელი გრძნობა დაგვეუფლა: მოსკოვს ვუახლოვდებოდით და ახე გვეგონა, ფრონტიც ფეხდაფეხ მოგვყვებოდა.

იმხანად პირველად ვნახე აეროსტატები, ჰაერგადამღობები.

მთელი მოსკოვი აეროსტატების ბადეში იყო გახვეული.

მტერი სულ უფრო და უფრო მოიწევდა დედაქალაქისაკენ.

მოსკოვიდან პეტროვსკამდე ხელის ერთი დადება თუ იყო, მაგრამ ჩვენ ამ ერთი მტკაველა მანძილის გავლას ოთხი დღეღამე მოვუნდით: გზა აუწერლად გადატვირთული იყო.

ეშელონებს მოჰყავდა ევაკუირებული მოსახლეობა, უპირატესად — ლენინგრადიდან.

ერთ-ერთ ასეთ სადგურზე ვილაც მოხუცი გვიახლოვდება.

— ვითომ მორჩა ყველაფერი? ვითომ გათავდა? აღარ არის საშველი? — გვეკითხება. თვალები კი ცრემლითა აქვს სავსე. — ვითომ აიღებენ მოსკოვს ის წყეულები?

ჩვენ გვერდით ყავარჯნიანი ჯარისკაცი დგას. ორი დღე იქნება, ჰოსპიტალიდან გამოეწერა. გაგულისებული ქაჩავს წეკოს და ვიდრე რაიმეს მოვიფიქრებთ, ჩახლეჩილი ხმით ეუბნება:

— აბა, ეგ რამ გაფიქრებინა, მამილო? ნუთუ შენ არ იცი, მოსკოვს ჩვენ არავის დავუთმობთ!

ჩვენ აღარაფერი გვითქვამს...

ან რას იტყოდი, როცა მოწოლილი ბოღმის ბურთი გვიშლიდა ლაპარაკს?... ... ომგამოვლილმა ჯარისკაცმა კი ყველას მაგივრად გასცა პასუხი.

* * *

1943 წელი... ოცდაათ ივნისს საკომანდო პუნქტზე გამომიძახეს.

— საპასუხისმგებლო დავალებაზე უნდა გაგაგზავნოთ, — მითხრეს იქ. — თქვენთვის უკვე „პო-2-ს" ამზადებენ. ინჟინერი გაფრთხილებულია. მეკავშირეთა პოლკის მეთაურთან ერთად გაფრინდებით. დანიშნულების პუნქტს სოფელი ტონენკოე ჰქვია. — მიჩვენეს რუკაზე. — აეროდრომის მოსამსახურე ათასეული უკვე ამზადებს მოედანს...

— უკვე წასულები არიან? — გამიკვირდა.

— კარგახანია, რადიოსადგურიც გავაგზავნეთ. ერთი სიტყვით, თქვენ პოლკის მისალებად მოედანი უნდა მოამზადოთ. გაფრინდებით ესკადრილებად...

მე თავი დავუქნიე და წასვლის ნებართვა ვითხოვე.

ტონენკოეს მომავალი აეროდრომი ჯერჯერობით ცხრაასი მეტრის სიგრძის მინდორი იყო მხოლოდ. ბუჩქნარი ამოსათხრელი იყო, თხრილები ამოსავსები.

აეროდრომის მომწყობ სპეციალისტებს ჯერ საუცხოო მიწური აეგოთ.

...როცა ტონენკოეში ჩავფრინდი, საათის ისრები სამს უჩვენებდნენ. დავათვალიერე მოედანი, მესტარტეთა რაზმს სასტარტო მოედნის გაჭრა დავავალე. რადიოსადგური შესაფერისი ინსტრუქციით შევნიღბეთ და პოლკის მეთაურს შიფრით ვაცნობე — დავალება შესრულებულია-მეთქი.

ჩვენი თვითმფრინავების გამოჩენამდე ადგილმდებარეობის დათვალიერებას შევუდექი. როგორც ვთქვი, ირგვლივ ყველაფერი გადახრილი იყო. ტრანშეები და სანგრები ერთმანეთში გადახლართულიყვნენ. ტანკები საგულდაგულოდ ჩაემარხათ — შორიდან ამოჩრილ ლულებს ვერც დაინახავდი. ერთი სიტყვით, აეროდრომის გარშემო დაბანაკებული ჯარი მტრის დასახვედრად მზად გახლდათ.

მფრინავის ფორმაში რომ დამინახეს, ერთმა ზემდეგმა თავი ვერ შეიკავა.

— ბიჭებო, შეხეთ, ავიაცია გვაკლდა და ისიც გვეწვია.

შემომეხვივნენ.

ათასი კითხვა დამაყარეს: ვინ ვარ... საიდან ვარ... ვისთან ვფრინავ... მტრის რამდენი თვითმფრინავი მაქვს პირად ანგარიშზე და რა ვიცი, კიდევ რა...

ბოლოს, ერთმა თმაშალარა ეფრეიტორმა, მამაშვილურად დამკრა მხარზე ხელი.

— ეჰეი, შვილოსა, — მითხრა რაღაცნაირი დაუეჭეილი ხმით, — იმ ფრიცების ენა მე ყველაზე უკეთ ვიცი — პირველი დღიდან ფრონტზე ვარ... ჰოდა, ჩემი თხოვნაა, თქვენ მარტო ჩვენს თავს ზემოთ იფრინეთ, იფრინეთ და მეტი არაფერი გინდათ... თქვენი ერთი გამოჩენა და ფრიცების სოროებში ჩაძვრომა, ერთია... ჩვენ კი სწორედ იმ სოროებში მივუვარდებით და ამოვუუყავთ... მე მგონი, ამას დიდი მათემატიკა არ უნდა... მე გამეცინა.

—მაშ, ფრიცს ჰაერში რომ შეეხვდებით, თავი დავუკრათ მხოლოდ? — ეფრეიტორი შეიშმუშნა. ულვაშები აიპრიხა.

— ეგრე არ გამოდგება. მათთან ბრძოლის ენა ჩვენც ვიცით, მფრინავებმაც.

— სწორია, კაპიტანო! — წამოიძახეს აქეთ-იქიდან, — ეგრე მეგობარო, მუსრეთ ფრიცები. თქვენ ჰაერში, ჩვენ — მიწაზე...

— ეს ხომ უფრო მარტივი მათემატიკაა? — გაიღიმა ზემდეგმა.

— ეგეც მართალია. — ისევ იპრეხდა ულვაშს ბრძოლებგამოვლილი ეფრეიტორი.

ერთი საათის შემდეგ აეროდრომს პირველი ესკადრილია მიუახლოვდა. სწრაფად დაეშვნენ, აეროდრომის თავზე დიდხანს ტრიალი არ შეიძლება — არც მტრის დაზვერვა ზის გულხელდაკრეფილი!

რა მისვედრა უნდოდა — დიდი ბრძოლებისათვის ვემზადებოდით. ჩვენი აეროდრომიდან ბარე ფრონტის ხაზამდე ნემსი არ ჩავარდებოდა, იმდენი სამმარი ტექნიკა და ქვეითი ჯარი იყო დაბანაკებული.

არც მტერი იყო გაუუჩებული. ორი ივნისიდან გერმანელების ავიაციამ გაახშირა დაზვერვითი ფრენა.

ფრონტზე სისხლისმღვრელი ბრძოლები გრძელდებოდა. ამ ბრძოლებში მტრის ავიაციამ 350-ზე მეტი თვითმფრინავი დაკარგა. ისე რომ, კურსკის რკალთან გერმანელებმა მხოლოდ ორი ათასი თვითმფრინავი დააგროვეს. ჩვენი ავიაცია გაცილებით სჭარბობდა.

* * *

ახლა, წლების გადასახედიდან ჩემი შორეული სიჭაბუკე ვერცხლით მოვარაყებულ ჩარჩოში ჩასმულ სურათს მაგონებს: ხომ მძიმე წლები იყო. ხომ იმდენი გაჭირვება გავიარე ჩემს საავიაციო პოლკთან ერთად, მაინც სიამაყით ვიყურები უკან: ომმა ჩამოქნა ყოველი ჩვენთაგანის პიროვნება, კაცობის უალატო ყალიბში შეგვადუღაბა და, რაც მთავარია, გვასწავლა სამშობლოს უსაზღვრო სიყვარული.

არ არსებობს დიდი და პატარა ბრძოლა.

ყველა ერთნაირად მნიშვნელოვანია და სახიფათო.

ოდესმე ჩემთვის, ალბათ უფრო დაწვრილებით აღვწერ ყოველივეს.

მაგრამ ახლა, არ შეიძლება არ გავიხსენო ჩემი უკანასკნელი საბრძოლო დავალება.

ცხრაას ორმოცდა ხუთი წელი... შვიდი მაისი... თვითმფრინავების სადგომზე შტაბის მორიგე ოფიცერი გამოცხადდა. მე მეძებდა.

— ამხანაგო ქირია, — მითხრა მან, —

ტელეფონთან სასწრაფოდ გიბარებთ კორპუსის მეთაური.

მაშინვე გავსწიე შტაბისაკენ.

გაღადებულ ყურმილს დავწვდი და წესისამებრ ვუპასუხე.

განწყობილება ხალისიანი მაქვს.

მორჩა, დამთავრდა ომი. დამთავრდა მღელვარე დღეები, ცეცხლოვანი კილომეტრები, ციდან კვილ-კვილით დაშვებული ბომბები...

მაშ, რად დავჭირდი კორპუსის მეთაურს?

— პირადად თქვენ მეტად საპასუხისმგებლო დავალებას გაძლევთ,

სმენა დავძაბე...

— გისმენთ, ამხანაგო კორპუსის მეთაურო.. რაში გამოიხატება ჩემი დავალება? იგი მიხსნის: სარდლობამ მიიღო ცნობა, რომ სამხრეთიდან ვენის მიმართულებით კურსი აქვს აღებული უცნობი ტიპის თვითმფრინავს. თვითმფრინავი ოთხმოტორიანია და მძიმე ქვემეხებითაა აღჭურვილი. მის სალონში რამდენიმე მგზავრი იმყოფება. როგორც ვარაუდობენ, საკმაოდ მაღალი ჩინის მიტლერელები არიან.

„ესეც შენი ომის დასასრული — ვფიქრობ, — ცხადია, ისევ ბრძოლა მიწევს“ მაგრამ კორპუსის მეთაური მაფრთხილებს:

— არავითარი მსხვერპლი, თვითმფრინავი რომელიმე ჩვენს აეროდრომზე უნდა დასვა.

— კი, მაგრამ, რომ არ დამემორჩილოს?

— სწორედ იმიტომ გამოგიძახეთ... გესმით... უნდა დასვათ და მორჩა... ვის წაიყვანთ მეწყვილეთ?

— აბა, რა ფიქრი უნდა ამას, ცხადია, — იგორ ვასილევსკის.

— კარგია, — მეთანხმება კორპუსის მეთაური. მზადება ნომერი ორი! ოლონდ არ დაგავიწყდეთ, რაც გითხარით...

თითქმის მთელი დღე თვითმფრინავებთან გავატარე — ბრძანება არ მოსულა.

მოლოდინზე საშინელი ქვეყნად არაფერია. ჩვენზე ამბობენ, მოლოდინი და მფრინავი ტყუპისცალები არიანო. არ დაიჯეროთ, ეს გარეგნულად არ ვიმჩნევთ, თორემ სულში...

როგორც იყო საკომანდო პუნქტიდან ნიშანი მოგვცეს.

ღამდება. ღრუბელთა კიდეები მეწამულადაა შეფერადებული.

მოულოდნელად, ჩვენგან მარცხნივ ოთხმოტორიანმა ურჩხულმა ამოჰყო თავი. „დორნიეს“ მივამსგავსე. თითქმის მფრინავის კაბინას მივუახლოვდი, ფრთების რხევით მივანიშნე, დაჯექი-მეთქი.

თქვენც არ მომიკვდეთ, ყურიც არ გაბარტყუნა.

ისევ ვიმეორებ მანევრს — არავითარი რეაგირება.

— რა ვქნა, — ვუკავშირდები სარდლობას. — უცხო თვითმფრინავი არ გვემორჩილება.

— ეცადეთ... როგორმე... — მკარნახობენ მიწიდან.

იგორს ვუკავშირდები.

— იგორ, შენ მარჯვნიდან მოუახლოვდი, მე — მარცხნიდან, ჩავკეტოთ. შესაშინებლად პარალელური ცეცხლი გავუხსნათ.

ასეც მოვიქეცით.

ბინდნარევ ცაზე ტყვიამფრქვევების ჯერი ძალზე ეფექტური იყო, თანაც, ისე ახლო გაუარა კაბინას, შევშინდით კიდეც — ხომ არ მოვახვედრეთ თქო.

მაგრამ ჯერჯერობით ყველაფერი რიგზე იყო.

უცხო თვითმფრინავმა სიჩქარეს მოუმატა. ცოტაც და მოკავშირეთა ტერიტორიაზე აღმოჩნდებოდა.

ისევ დავუკავშირდი სარდლობას.

იქიდან პასუხს აყოვნებდნენ — ეტყობა ვერ მიუღიათ ერთიანი გადაწყვეტილება. არადა, მტრის თვითმფრინავი ნაღდად გვისხლტება ხელიდან.

— რაც მოსახდენია, მოხდეს! — ჩავძახე იგორს და აქეთ-იქიდან ამოვუდექით „ურჩხულს“.

კიდევ ერთხელ მივეცით დაჯდომის ნიშანი და მფრინავმა ისევ სცადა ხელიდან გასხლტომა.

ჯერ ზარბაზნიდან ვესროლეთ. მერე ტყვიამფრქვევებიდან. ასე ახლო მანძილიდან აცილება შეუძლებელი იყო — „ურჩხულის“ მოტორებიდან სქელი კვამლი ავარდა. პიკირებით დაეშვა დედამიწისაკენ. შორიახლო გავყევით. და როცა დედამიწიდან ხუთასი მეტრი დარჩა, ერთბაშად ავიღეთ მარჯვნივ და აეროდრომისაკენ გავსწიეთ.

როცა უკან მოვიხედეთ, უზარმაზარ ცეცხლის ალს მოვკარით თვალი. ეს მტრის თვითმფრინავის ნარჩენები ბოლავდა.

ეს ჩემი ოცდამეთერთმეტე ჩამოგდებული თვითმფრინავი იყო. ოცდამეთერთმეტე და უკანასკნელი.

* * *

დიდი ხანია დამთავრდა ომი.

ბევრი ჩემი მეგობარი სამოქალაქო ავიაციაში დარჩა, ბევრიც მშობლიურ კერას დაუბრუნდა — თავის უწყინარ საქმიანობას მიჰყო ხელი.

ხდება ხოლმე, შევიკრიბებით ფრონტელი მეგობრები. პურს გავტეხთ.

ფრონტულ სიმღერებს გავიხსენებთ და არ შეიძლება ჩვენს შეხვედრაზე ასეთი სადღეგრძელო არ წარმოითქვას:

— დაე, ჩვენი სამშობლოს ცა მუდამ უღრუბლო და უშფოთველი იყოს!

ეს პატარა მოგონება მეც ამ სიტყვებით მინდა დავამთავრო.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გიორგი ციციშვილი

სძლიე სიხარბესა შენსა!..

მოთხრობა

ნიშნობის შემდეგ ლიკა კიდევ უფრო გაუშინაურდა ზენკლიაანთ ოჯახს. ისე დღე არ გავიდოდა, ნომავალი მოყვრები არ მოენახულებინა. დრო და დრო, როცა გუნებაზე დადგებოდა დიასახლისობდა კიდეც. მართალია, მთელი მისი დიასახლისობა ტკბილეულის დამზადებითა და ნამცხვრების გამოცხობით იფარგლებოდა, მაგრამ ამ საქმეს კოხტა საპატარძლო ისეთი რიხითა და ფართი-ფურთით აკეთებდა, გეგონება, ერთი ტორტის სიტკბო თუ გაფუება მათი ოჯახების ბედსა წყვეტდა.

ლიკა რომ ჭრელ წინსაფარს გადაიცვამდა, გაზქურასთან დადგებოდა, რისირეცხობას დაიწყებდა, — მალალოს და მალხაზს მოსვენება ეკარგებოდათ. საპატარძლო მოკლე-მოკლე განკარგულებებს ტყვიამფრქვევის ჯერივით აყრიდა, „დამეწვებაო" — გაჰყვიროდა, ფეხებს აბაკუნებდა, თვალებს აბრიალებდა, საქმროსაც და სადედამთილოსაც ზევით-ქვევით იორღებივით დაარბენინებდა; ხან მიხაკ-დარიჩინსა და შაქრის ფხვნილზე აგზავნიდა, ხან კვერცხის გულს ითხოვდა, ხანაც ვანილს, და ვინ იცის კიდევ რას.

მალალოს ნამცხვრების და ტორტებია ამდენი სახელი თავის დღეში არ გაეგონა. ეს „ჟოზეფინაო", „ნაპოლეონიო", „კარაკულჩაო", „იდეალიო", „ფანტაზიაო" — კაცს ტვინი აუდუღდებოდა.

იმ წელს ლიკამ არც მურაბების გაკეთება დაანება მალალოს; „ახლა მურაბებს ვინ აკეთებს, ყველა კომპოტებზე გადავიდაო".

სამამამთილოს გორიდან ასი ნახევარკილოიანი შუშის ქილა ჩამოატანინა, სურამში რეზინაშემოვლებული თუნუქის ხუფები აყიდინა, თბილისში რაღაც მაშისმაგვარი იარაღი აშოვნინა, მდუღარეში ქილის ჩასაყოფად. ხუფების დასახური ხელსაწყო კი თავის სახლიდან მოიტანა. მერე მალალო და მალხაზი თანაშემწეებად დაიყენა და კომპოტის ასივე ქილა სარდაფში თაროებზე გაამწკრივა. რისი კომპოტი გინდა აქ რომ არა ყოფილიყო, — ბლის თუ ალუბლის, მსხლის თუ ატმის, ქლიავის თუ მიწავაშლასი.

მაგრამ ლიკას მთავარი გატაცება მაინც სხვა იყო. მალხაზს რაღაც იმპორტული ელექტროსაწური აყიდინა და წვენების კეთებას შეუდგა.

ვაშლის, მსხლის ან რომელიმე სხვა ხილის დაწურვას რომ დაიწყებდა, ვეებერთელა გროვიდან ორიოდე ჭიქა წვენს ვამოადენდა, უამრავ ნარჩენებს კი სანაგვეში ყრიდა!... კიდევ კარგი გამოწურულ ჩენჩოს მალალო მაშინვე ღორებს ჩაურბენი-

* გაგრძელება. იხ. „მნათობი" № 1

ნებდა ხოლნე, თორემ ამოდენა სარჩო სულ ტყუილად უნდა დაკარგულიყო.

ასევე უყაირათოდ იცოდა ბალ-ალუბლის წვენად ქცევაც. ჯერ წვენს გამოადენდა, მერე მის აქაფებას იწყებდა. ზაპბარიანი სადღვებელას ცემით თვითონ რომ დაიღლებოდა, მალხაზს გადაულოცავდა და სანამ არ დაღლიდა, არ მოეშვებოდა.

ამ ნათქვეფს „მუსი“ ერქვა. მასზე უფრო მეტად არაფერი არ მოსწონდა პეტროვიჩის ასულს. მაღალ ჭიქებში ჩაასხამდა, თავის ყაყანა დობილებს ჩამოურიგებდა, შიგ ჩალის ღეროებს ჩაუდგამდა და ისინიც ფეხი-ფეხზე შემოდებულები აქაფებულ წვენს იმ წვრილი ჩალის ღეროებიდან ნებიერად წრუპავდნენ.

„მუსსა“ და ნაყინს იმდენს ჭამდა, ზომა არ იცოდა. ეს წვნიკი გოგონა დღეში ორ კილომდე ნაყინს ათავებდა. მალალო სულ იმას ნატრულობდა, ერთი მანახა, ნუთუ თავის სახლშიაც ასეთი დაუნაყრებელი მჭამელი არისო...

მაგრამ იმ ზაფხულს მალალომ მანამდე ვერ მოისვენა, სანამ საყვარელი მურაბები არ მოხარშა. დიდ გაჭირვებაში იყო: არც სარძლოს წყენა უნდოდა და ვერც ჩვეულებას თმობდა — ბავშვობიდან იყო მურაბების ხარშვას დაჩვეული.

ბოლოს მაინც მონახა გამოსავალი: თავისი ორი ვეება სპილენძის სამურაბე ტაშტი მეზობლიანთ გადაიტანა და მურაბები იქ მოხარშა. პირველი შემთხვევა იყო, რომ საოჯახო საქმეს ქურდულად აკეთებდა.

ვერ წარმოედგინა, როგორ უნდა გაეძლოთ შვინდისა თუ მაყვლის, ვარდისა თუ ღოღნაშოს, ბადრიჯნისა თუ კაკლის მურაბის გარეშე, გოდერძი ხომ ერთ დაჯდომაზე ერთ პატარა ქილას ათავებდა. ლავაშს გრძლად დაახვევდა, ქილაში სტუცავდა, კარგად ჩააბუჟბუჟებდა და პირისკენ გააქანებდა. ყოველივე ამას ისე სწრაფად აკეთებდა, მურაბის არც ერთი წვეთი ნიკაპზე არ დაეცემოდა. საოცარი ოსტატობით ამოჰქონდა მურაბა ქილიდან, ხან ლავაშით, ხან თონეში ახლადგამომცხვარი პურის სქელი ყუით. სხვა ასე სუფთად და დაუღვრელად კოვზითაც ვერ ამოიღებდა.

საპატარძლოს თამამი დიასახლისობა მალალოს გულს უმღვრევდა. ახსოვდა დედის, ფაშფაშა დარეჯანას შეგონება „როგორც ეკლესია ერთმა ხელმა უნდა ააშენოს, ოჯახიც ერთი დიასახლისის ხელმა უნდა წარმართოსო. დამხმარე შეიძლება ჰყავდეს, მაგრამ უფროსი დიასახლისი ერთი უნდა იყოსო“.

ახლა კი მალალოს ველარ გაეგო, ვინ იყო უფროსი, იგი თუ მისი მომთხოვნი და განებივრებული საპატარძლო. აშკარად ჩანდა: ლიკა ისეთი ზნისა იყო, სამთავროს არავის გაუყოფდა და პატარძლობის ყავლი გაუვიდოდა თუ არა, უფროსობას ისე დაისაკუთრებდა, წარბსაც არ შეიხრიდა.

არც ლიკას მეტისმეტი ხელგაშლილობა მოსწონდა ძველ ყაიდაზე აღზრდილ მალალოს. ეს დალოცვილი ისე ხარჯავდა სურსათს, ისე უანგარიშოდ ირჯებოდა, გეგონება, ზენკლიაანთ ქონების განიავება სწადდა.

მარტო ის რად ღირდა, ოც-ოცდაათ კვერცხს ცილას გამოაცლიდა, გულს გადაქცევდა და ცილისაგან რაღაც ნამცხვარს აცხობდა.

მალალომ დიდხანს ვერ ისწავლა ან ნამცხვრის ნანდვილი სახელი; „ბუზეო“ თუ „ბეზეო“, ისე უცნაურად იტყოდა ხოლმე, ლიკა, რომ მალალო ვერაფრით ვერ იგებდა მის სწორ სახელწოდებას.

ზედმეტი ჩაკითხვა კი წესად არა ჰქონდა. ყოველი უადგილო შეკითხვა ხომ საკუთარი უვიცობის დადასტურება იყო, ამას კი ცეცხლზე უარესად უფრთხოდა გოდერძის თანამეცხედრე.

ჭირივით ეზარებოდა ეს წყეული ბეზეებუზე ნამცხვარი შავდათუაანთ ქალს. აბა, რა ნამცხვარი უნდა ყოფილიყო მარტო ცილისაგან? კვერცხში მთავარი გულია. ეს გოგო კი კვერცხის გულს სანაგვეში აქცევდა და მარტო ცილას ხმარობდა! განა ასეთი ხარჯი რონელიმე თავშენახულ ოჯახს ეკადრება? განა ეს ცოდო არ იყო?

ცოდო-მადლზე კი საკუთარი წარმოდგენა ჰქონდა ვახტანგ პეტროვიჩის ამპარტავან ასულს.

ერთხელ ლიკამ მალხაზი დასაქმა, მაგრამ მალხაზმა, რაღაც მიზეზით, თხოვნის

ასრულება დაუგვიანა. უნდა გენახათ რა ამბავი დააწია მაშინ ლიკამ თავის საქმროს: — „ზანტო კამეჩოო“, „ქართლელო ზაქოო“, „კანსქელო ზარმაცოო“, — ვინ იცის რეები არ უძახა... მალალომ ვეღარ გაუძლო გაგულისებული სარძლოს მიერ მისი შვილის ასეთ უდიერ მოხსენიებას, სარდაფში ჩავიდა და დიდხანს იმშრალა აცრემლებული თვალები. უნდოდა ერთი გემრიელად ეტირნა. მაგრამ ეშინოდა შვილმა ან სარძლომ არ ჩამომაკითხონო.

ჩანდა, რომ საპატარძლო არც გოდერძის ეხატებოდა მაინცა და მაინც გულზე, მაგრამ არ იმჩნევდა.

რამდენიც არ წამოიწყო მალალომ შორს გამიზნული ლაპარაკი, რათა ქვრის გუმანი გაერკვია, გოდერძი ეშმაკურად უძვრებოდა ხელიდან. ცოლის გრძელკუდა შეკითხვებს გვერდს უვლიდა, სიტყვას ბანზე უგდებდა.

— რამ დაგამუნჯა, რატომ არაფერს ამბობ, შე მამაცხონებულო, — შეუტია ერთხელ ქმარს მისი ხაზგასმული დასაიდუმლოებულობით გაბრაზებულმა მალალომ.

— ვითომ რა უნდა ვთქვა, რას მოელი ჩემგან? — დააშტერა გაანჩხლებულ ცოლს თავისი ვეება თვალები გოდერძიმ.

— არა მგონია, იყოს კიდევ სადმე ჩვენნაირად ბოთე ოჯახი, რძალი შესდიოდეთ და მის შესახებ არაფერი იცოდნენ...

— ეგა, ქალების საქმეა, წადი და გაიგე. ან ვის ელოდები, გულხელდაკრეფილი რატომა ზიხარ?

— ეეეჰ, უყურე ერთი ამასა, გულხელდაკრეფილიო! გულხელდაკრეფილი ჩვენი მტერი და დუშმანი ვნახე, აჰაანდე. ვითომ შენ რომ გაიკითხ-გამოიკითხო, თმები გაგცვივა?

— ეგა, ჩემი საქმე არ არის. გამიყვანე ახლა ამ სიბერის დროსა შარაგზაზედა და პეტროვიჩიაანთ ამბები მაკითხვინე...

— იყავი აგრე, რა მენაღვლება. როცა შემოგივა ალქაჯი ოჯახში, მაშინ ნახავ, რა დღეც დაგადგება. ისე გაგვიმწარებს წუთისოფელსა, მიქელ გაბრიელი გვენატრებოდეს...

— იქნება ეგრეც სჯობდეს, რაც ადრე ავიბარგებით ამ ქვეყნიდან, მით უკეთესი იქნება. მათუსალას ხნისა ჩემი მტერი გახდა...

— ღმერთს ნუ სცოდავ. ბიჭი ჯერ ფეხზე დაყენებული არა გვყავს. შენ თუ არ დააკვალიანე, სად იპოვის მეორე ეგეთ მრჩეველსა?

— ჰო, ერთბაშადა, სულ ჩემი რჩევით დადის ამ ქვეყნაღა.

— ჭკვიანური ურჩიე და გაივლის.

— მაგათი ჭკუა სხვა ყაიდისაა. ეგენი სულ სხვა რამეს დაეძებენ. ჩემი ჭკუა არ გამოადგებათ.

— ისე გამოდის, რომ ქალის ცნობაც კი არ შეგიძლიან! არ შეგიძლიან ურჩიო, მოიყვანოს თუ არ მოიყვანოს.

— დედაკაცო, ეხლა რაღა დროსაა? ი ქალი უკვე შინაურივით იქცევა, ეს სახლიც თავისად მიაჩნია, დღე-დღეზე ხელს მოაწერენ და ახლა ვურჩიო?

— მამა შენა ხარ, აბა, ვინ უნდა ურჩიოს!

— მაგანა თავის თავსა უკვე ურჩია და გაათავა! თავის დროზე არაფერი მკითხა და ახლა რა უნდა ვურჩიო?..

— კარგი, აგრე იყოს. რასაც გამოჩეკ, იმასაც ვნახავ, — გაბრაზებულმა მალალომ კარები გაიჯახუნა.

ლიკა რომ „მაგარი ხასიათის“ ქალი იყო, ეს ყველაფრიდან ჩანდა. ერთხელ, როცა ისა და მალხაზი აივანზე ისხდნენ, ახალგაზრდებს სამსახურიდან დაბრუნებული, ცოტა ღვინო ნაყლაპი გოდერძიც შეუერთდა. მალალომ რომ ნახა, ქმარი ახალგაზრდებს საბაასოდ შეუერთდაო, თვითონაც აივანზე ავიდა და ქმრის პირისპირ ჩამოჯდა.

ლიკა სელის სკამზე გაშოტილიყო. ფეხი ფეხზე შემოედო და მოკლე კაბის ქვეშ რომ არაფერი გამოსჩენოდა, მუხლებზე რაღაც ჭრელი ხელსახოცი გადაეფარებინა.

საპატარძლომ სამამთილოს ამოსუნთქვაც არ აცალა: ჩამოჯდა თუ არა სკამზე გოდერძი და გრძელი, ქშენით დაღლილა ფეხები წინ გაიწვდინა, ლიკა ქორივით ებდღვნა მას:

— ძია გოდერძი, რატომ მაგნიტაფონს არა ყიდულობთ?

— რასა? — ვერ გაიგო გოდერძიმ.

— მაგნიტაფონს. ახლა ოჯახი არ არის, რომ არა ჰქონდეს.

— აი, რადიოსავით რომ უკრავს, იმაზე ამბობ? — დააზუსტა გოდერძიმ.

— დიახ, რასაც გინდა ჩასწერ და მერე გაამეორებინებ...

— ჩვენ თუ რისიმე ყიდვა გვაკლია! — ჩაურთო მალალომ, — ესაო რადიოო, ესაო ტელევიზორიო, ესაო პრაიგრავატელიო, ესაო...

— მაშ როგორ გინდათ, დეიდა მალალო? — შეუტია ლიკამ, — ცხოვრებას უნდა მხარ და მხარ მიჰყვე.

— ვიყიდოთ. რა უნდა ღირდეს ისეთი, დიდი დიდი...

— ათასი მანეთი ღირს კარგი „გრუნდიგი“.

— ეგ რაღა მანქანაა? — გაიკვირვა გოდერძიმ.

— ფირმაა, გერმანული ფირმა, ყველაზე კარგ მაგნიტაფონებს ეგენი უშვებენ აუცილებლად „გრუნდიგი“ უნდა იყიდოთ.

— ათასი, ძველი ფულითა თუ ახლითა? — დაინტერესდა მალალო, რომელსაც ყველა თანხა ძველ კურსზე გადაყავდა.

— ახლითა, ახლითა, რით ვერ გაიგეთ, რომ ძველი კურსი ნოკვდა, აღარ არის!!

— ესე იგი, გამოდის რომა, ძველითა ათასი თუმანი ღირებულა? — გაიოცა მალალომ.

— დიახ! — ისე მიახალა სარძლომ, გეგონება, ნიშნს უგებსო.

— უი, დედაა! — გააგრძელა მალალომ და ხელი ლოყაზე შემოიდო.

— გამოსაშვები სისხლი უნდა გამოუშვა. რას იზამ, — ბეჭედი დაასვა გოდერძიმ და შვილს გადახედა, — რახან საყიდელია, ვიყიდოთ!

— აუცილებლად „გრუნდიგი“ უნდა იყოს, — მტკიცედ თქვა ლიკამ და ვაშლი ჩაკბიჩა.

— წადი, ბიჭო, ქალაქშია და ჩამოიტანე. — ნიუბრუნდა გოდერძი შვილს, — განა ჩემს სარძლოს მაგაზე ვაწყენინებ?

„გრუნდიგი“ მეორე კვირასვე ჩამოიტანეს. ჩამოიტანეს და იმ წყეულმა ლამის მთელი ზენკლიაანთ უბანი აიკლო. ისეთი მუსიკა ჰქონდა შიგ ჩაწერილი, ხან ხარი ბღაოდა, ხან მამალი ყიოდა, ხან კატა კნაოდა, ხან ვირი ყროყინებდა, ხანაც ვეფხვი იღრინებოდა ან ვიღაც გიჟი ღრიალებდა.

„გრუნდიგის“ ხმები ყველა ხმასა ჰფარავდა; აამღერებდნენ თუ არა, მეზობლიანთ ძაღლები ყმუილს იწყებდნენ, მალალოს ინდაურები ყავყავებდნენ, ქათმები კრიახობდნენ, მამლებს კი დრო ეშლებოდათ, უდროო დროს „ყიყლიყოს“ გაძახოდნენ.

„გრუნდიგის“ ყიდვიდან მეორე დღეს მალალო საოცრად აღშფოთებული დაუხვდა ქმარს და გულდაგულ შეუტია.

— ნეტავი რა გრჯიდა, ის წყეული მანქანა რომ ჩამოიტანე! განა ყველა მაგათი თხოვნა მაშინვე უნდა შევასრულოთ?

— რომელი მანქანა, დედაკაცო?

— რომელი და „რუნდიკია“ თუ რაღაც ეშმაკი?..

— ვითომ რატომ არ მოგწონს, მღერის თავისთვისა!

— ჰო, მაშა თავისთვისა, თავისთვისა კი არა ლამის დამაყრუოს, ისეთ ხმებს უშვებს, იკლებს აქაურობასა!..

— შენც აიღე და ყურს ნუ უგდებ ეგა მაგათი მუსიკაა, შენი ხომ არა...

— როგორ არ დაუგდო, როცა მაგისი ხმა მტკვარს გაღმა უწევს. მაგრამა მარტო მაგიტომ არ გეუბნები. ეგა, თურნე უზნეო ცეკვისათვის ყოფილა გამოგონილი!..

—ეჰე, კარგი ერთი, ნუ მოიგონებ რაღაცასა...

— დედის სული არ წამიწყდეს, ეგრე ყოფილა!

— როგორა? — დაინტერესდა გოდერძი.

— ამ დილასა, როცა აახმაურეს, ზემო სართულში ავედი, რაღაც დამჭირდა. ვხედავ ის ჩვენი ბიჭი ზის გადათხლაშული სკამზედა, ის არდასაცალებელი კი წინ უდგას და „რუნდიკის“ ხმაზედა ერთ ადგილას ხანხალებს, თან იმ თავის სამიწე თეძოებს აქეთ-იქით აქანებს. ისე ისვროდა თეძოებსა, იმნაირადა კაცი ბურთს ვერ გაისვრის! ჰო, ჰო, ჰო, როგორ აზანზარებდა,

როგორ აქანავებდა, როგორ იკლაკნებოდა, როგორ იგრიხებოდა! კაბა ზევით აწეოდა, ტიტველა ბარძაყები კიდევა ლამის ჭიპამდე მოუჩანდა. ეტყობა, მაგ მამაძაღლსა არაფერი არ აცვია! კაბა პირდაპირ ტიტველა ტანზე წამოუცვამს!!! არც საცვალი, არც წინდები, არც არაფერი!... დგას და გველივით აქეთ-იქით იხლანკება, თავის სამიწე თეძოებს აქანავებს...

— მაშ როგორ გინდა, დედაკაცო, ქალია თუ თეძოები არ გააქანა, ისე არაფერიც არ გამოვა, — გაიკრიჭა გოდერძი.

— უი, ჩასკდა შენი თავი, იკრიჭები ყველის ვაჭარივითა, ეტყობა, შენც იმ სულელი მუტრუკივითა მაგისთანა ურცხვი ქალები მოგწონს...

— დედაკაცო, იმ ქალსა მე ხომ არ ვირთამ, ი, ბიჭი ირთავს...

— ისიც შენი სისხლი სისხლთაგანია და ხორცი-ხორცთაგანი, კვიცი გვარზე ხტისო...

ლიკა კი თანდათან სულ უფრო და უფრო „ურცხვი" ხდებოდა....

მისი თანამი მოთხოვნები მარტო მალალოს როდი აგდებდნენ სასოწარკვეთილებაში, — გოდერძისაც გვარიანად აფიქრებდნენ.

„ჯერ ოჯახშიც არ შემოსულა და უკვე ისე ბრძანებლობს, გეგონება, თვითონ ბატონი იყვეს, ჩვენ კიდევ მაგისი ყმები", — არაერთხელ გაუფიქრია გოდერძის და გუნება საავდროდ შესცვლია.

ყველაზე ძალიან ყოფილ მეტივეს ის აფიქრებდა, რომ ვერც შვილს ამჩნევდა გულწრფელ სიყვარულს, გულწრფელ ლტოლვას პეტროვიჩის ასულისადმი.

არაერთხელ დაჰკვირვებია იგი იდუმლად შვილის საცოლესთან ქცევას და მის სიტყვაშიც, საქციელშიც რაღაც სიყალბე თუ ფარისევლური იერცვლა შეუნიშნავს.

ბუნებით მშვიდი, აუღელვებელი ჭაბუკი იყო მალხაზი. უყვარდა დიდიხნობით სიტყვის მოფიქრება. პასუხს უცებ არასოდეს არ მოგახლიდა. საქციელიც გაზომილი ჰქონდა, დაუფიქრებლად თითსაც არ გაანძრევდა, წარბსაც არ შეარხევდა.

ლიკასთან ყოფნის დროს კი მთლად შეცვლილი ეჩვენებოდა გოდერძის. სიტყვაც უფრო აჩქარებული, უფრო სწრაფი ჰქონდა, თვითონაც უფრო მოძრავი და აფორიაქებული ხდებოდა. ყველაფერზე ისეთი ასწრაფებული განმპასუხება გამოუდიოდა, გეგონება, ვიღაცას საზრიანობასა და ყოვლისმცოდნეობაში ეჯიბრებაო.

გოდერძი — მისი თვითშეფასებისა არ იყოს — უტყუარი ალღოს პატრონი გახლდათ და გონებაც არანაკლებ ბასრი ჰქონდა. აბა, როგორ გამოეპარებოდა შვილის ეს უცნაური ფერიცვალება. არ მოწონდა მალხაზის ასეთი გულისმოსაგები, ასეთი მაამებელი საქციელი.

ამის უკან რაღაც ფარულ ზრახვას თუ საიდუმლო მიზეზს ხედავდა და გულზე ეკლად ესობოდა შვილის მოქმედების ეს გულდაგულ დამალული სარჩული, მიზეზთა მიზეზი, რომელსაც იგი, სხვათაგან განსხვავებით მშვენივრად ხედავდა.

— ასე ჰგონია, რომ ვერ ვამჩნევთ, — ფიქრობდა გოდერძი, — მაგრამ ნურას უკაცრავად, ეგა ვერ დაიმალება. ადრე თუ გვიან გოგოც შეამჩნევს, როდემდე იქნება ეგრე შენიღბული? ხომ დადგება დრო, როცა თავისი ნამდვილი სახით წარუდგება თვალწინ, მაშინ? მაშინ რაღას იზამს? კაცსა ნიღაბი ბოლომდე რომ შველოდეს, ნამდვილი ადამიანობა და სიწრფელე ჩირადაც აღარ ეღირებოდა... ან ნეტავი რას გამოელის მაგ ქალისაგან? სულ ეგრე დაძაგრული ხომ ვერ იქნება, სულ უკან თათებზე ხომ ვერ იდგება ცირკის ძაღლივითა! ალბათ, ნხოლოდ დროებით ვარაუდობს ეგრე ყოფნასა, თორემ მთელი სიცოცხლისთვის რომ ჰქონდეს ნაანგარიშები, ალბათ, უფრო მშვიდად, უფრო გაზომილად მოიქცეოდა, — ყოველთვის ერთნაირად დაასკვნიდა ხოლმე შვილისა და სარძლოს ურთიერთობაზე ჩაფიქრებული ზენკლიშვილი.

გულში კი სიამისა და სიხარულის ნაცვლად, რაღაც ნაღველსა და შეშფოთებას გრძნობდა. რომ გეკითხა რა გაწუხებსო, ვერ გიპასუხებდა, მაგრამ რაღაც რომ ძმარავდა და ნაღველას უსიებდა, ეს კარგად იცოდა.

შვილის ახუნტრუცებას მალალოც კარგად ხედავდა.

ლიკას თანდასწრებით მალხაზი რომ

უფრო მოძრავი, მეტყველი, მხიარული და აღგზნებული ხდებოდა, მალალოს ჯერ კიდევ მათი პირველი შეყრის დროიდან ჰქონდა შემჩნეული.

მაგრამ ერთი ვერ გაეგო შავდათუაანთ ქალს: ალალი იყო შვილის ეს საქციელი თუ არა. ნამდვილი სიყვარული, საწადელ არსებასთან სიახლოვე ცვლიდა მას, თუ ძალად აჩვენებდა ასეთად თავს, გულწრფელი იყო ეს ყოველივე, თუ მოგონილ-გათამაშებული.

რაც დრო გადიოდა, მალალო უფრო და უფრო რწმუნდებოდა, რომ მისი შვილი ცბიერობდა, თითლიბაზობდა. ასეთი ფლიდი თუ იყო, არც კი წარმოედგინა.

მაგრამ ერთი მაინც ვერ გადაეწყვიტა: იყო თუ არა მალხაზის ეს საქციელი დასაძრახი?

ეტყობა, პეტროვიჩიანი ისე მოეძალნენ, ისე გააბეს მახეში, ისე დაუმოკლეს სადავეები, რომ ბიჭს სხვა გამოსავალი არა ჰქონდა. მაგრამ ერთიც ვნახოთ, რომ ჭაბუკმა ლაგამი აიწყვიტოს, ზურგი უქციოს გაზულუქებულ სასიმამროსაც, გაამპარტავნებულ სარძლოსაც და ყერყეტა სასიდედროსაც!

ამის გაფიქრებაზე მალალო პირჯვარს გადაიწერდა ხოლმე, რადგან სინდისი აწუხებდა: კარგად იცოდა, რომ გულში ამ საქმის სწორედ ასეთი შემოტრიალება სწადდა.

არა, არ ეხატებოდნენ შავდათუაანთ ქალს მომავალი მოყვრები და იმედს არა კარგავდა, რომ ეს საქმე როგორმე თავისთავად ჩაიშლებოდა.

სიმტკიცეს ვერა ხედავდა მალხაზისა და ლიკას კავშირში იშვიათი გეშის მქონე მალალო.

მაგრამ ყველაზე ძალიან ის უკვირდა, რომ შვილის ზეგავლენით თვითონაც უფრო ფლიდი გახდა. ხონ გულს არ ეფონებოდა პეტროვიჩიანი, განსაკუთრებით მისი თმებგადაგლესილი ქალიშვილი, მაგრამ ისეთი ამბით ხვდებოდა, ისე გულღიად ეგებებოდა და გულიანად ჰკოცნიდა, გარედან შემსედვარე იოტის ოდენა სიყალბესაც ვერ შეამჩნევდა.

ტყუილად კი არ უყვარდა მამამისს, კაკოლას, თქმა: ქალის კოცნა იუდას ამბორსა ჰგავსო; როცა გკოცნის, ან სწორედ მაშინ გღალატობს, ანდა სწორედ მაშინ ფიქრობს შენზე ძვირსაო... ალბათ ამიტომ, არავის არა ჰკოცნიდა კაკოლა. ეგ იყო მხოლოდ აღდგომა დღეს და ახალწლის ღამეს, როცა მეკვლედ თვითონვე დადგებოდა და ანთებულ ჩიჩილაკს სახლში შემოიტანდა, მხოლოდ მაშინ დაჰკოცნიდა ხოლმე სათითაოდ თავისიანებს.

ლიკა რომ სარძლოდ არ უნდოდა, ეს მალალომ პირველად მაშინ იგრძნო, როცა ნიშნობის მეორე დღესვე, პეტროვიჩის ასული ზენკლიაანთ სახლში საკუთარი წესრიგის დამყარებას შეუდგა.

სასადილო ოთახში, დარბაზიდან შემავალი კარის პირდაპირ, უზარმაზარი ტახტი იდგა. გოდერძიმ იგი საგანგებოდ შეუკვეთა ავეჯის ქარხანაში. სიგრძით ბარე ოთხი მეტრი იქნებოდა, სიგანეში კი ორსა სჭარბობდა. ტახტის მთელი სიგრძის გასწვრივ, კედელზე, ლამაზი სპარსული ხალი ეკიდა, შუაში ამოქარგული კუდგაშლილი ფარშავანგებით. თვით ტახტს კი დიდი ქართული ხალიჩა ეფარა და ზედ უამრავი ბალიში, ყურთბალიში და მუთაქები ეყარა. ზოგიერთი მუთაქა ისეთი დიდი და მძიმე იყო, კაცისთვის თავში რომ დაგეთხლიშა, მუხლებში ჩაიკეცებოდა. სწორედ ასეთ მუთაქებზე იყო თქმული ძველებური ანდაზა: — მოწიფულ გოგოს მუთაქა უნდა ესროლო, თუ არ წაიქცა, გასათხოვარი ყოფილაო.

სპარსულ ხალზე, შუიდან მარჯვნივაც და მარცხნივაც, ყანწები ეკიდა. შევერცხლილი ყანწი გოდერძის უსაყვარლესი ნივთი იყო და ყველაზე დიდ სამკაულადაც მიაჩნდა. ზემოთ პაწია ყანწები ეკიდა, მერე, ქვემოთ, თანდათან უფრო დიდდებოდნენ. ბოლოს, ორივე მხრივ ვერცხლის წვრილ ძეწკვზე ჯიხვის იმოდენა ყანწები ეკონწიალა, თითოში ალბათ, ორი ლიტრი ნაინც ჩადიოდა.

მაგრამ ყველაზე გასაკვირველი ჯიხვის ყანწი სულ ზემოთ, შუაში იყო ჩამოკიდებული: მისი ბოლო ხალზე გამოხატულ ფარშავანგამდე სწვდებოდა. სტუმრებს ამ ყანწის დალევა კი არა, მისი უბრალო და-

ნახვაც კი ზარავდა. გოდერძი სიამაყით ჩამოხსნიდა ხოლმე მას და ეშმაკური ღიმილით იტყოდა:

— ამაშია, ოთხი ლიტრა ჩადის, მაგრამ ჩვენა, თითო ჩავასხათ და იგრე დავლიოთო!

აი, სწორედ ამ ყანწებს ეტაკა პირველ ღღესვე საპატარძლო.

— ეს რა ველურობაა, ეს რა მეშჩანობაა! — გაიძახოდა იგი — განა მათი აქ დაკიდება შეიძლება? ეგენი კედელზე კი არ უნდა ეკიდონ, განჯინაში უნდა ეწყონ!..

და აკი შეინახა კიდეც განჯინაში. დიაღ, გოდერძის უკითხავად ჩამოხსნა და განჯინაში შეალაგა.

მაგრამ მალალომ არ დაუთმო: იფიქრა, ახლა რომ წინ არ აღვუდგე, მერე უფრო გამითამამდებაო და წავიდა თუ არა ლიკა, ყანწები მაშინვე განჯინიდან გამოალაგა და კვლავ კედელზე ჩამოჰკიდა.

მეორე მოსვლაზევე, დრო რომ იხელთა და მალალო გარეთ დაიგულა, ლიკამ ყანწები ისევ ჩამოხსნა და ახლა სხვა განჯინაში შეალაგა.

სახლში დაბრუნებულმა მალალომ, ყანწები ისევ ჩამოხსნილი რომ ნახა, ლოყაზე ხელი იტკიცა, ყანწები ბუზღუნ-ბუზღუნით მოძებნა და კედელზე ჩამოჰკიდა.

ამრიგად, პირველი უსიტყვო შეტაკება სარძლოსა და სადედამთილოს შორის, მეორის გამარჯვებით დამთავრდა. მაგრამ ერთი რამ სრულიად ცხადი გახდა: გადაიქცეოდა თუ არა ლიკა სარძლოდან, ნამდვილ რძლად, გამარჯვებას ასე ადვილად აღარავის დაუთმობდა.

ჯიქური მიტანება და მომთხოვნელობა არც ლიკას დედ-მამას აკლდა.

ქალბატონმა ვიოლამ ზენკლიაანთ სახლი თავისი დობილების შესაკრებ ადგილად აქცია. კვირა-შაბათს, როგორც წესი, დობილები აქ იყრიდნენ თავს და თუმცა დიასახლისს გამორჩეული ზრდილობით ექცეოდნენ, სულ „ქალბატონ მალალოს“ ეძახდნენ, ქალბატონები სწორედ თვითონ იყვნენ, მალალო კი მათი მოახლე გახლდათ. ამპარტავანი სტუმრების გარეგნული გაბდენძილობით შემცბარი მალალო მათ მართლაც რომ მოახლესავით ემსახურებოდა და გულუხვად უმასპინძლდებოდა.

აკადემიკოსის ცოლი თავის სქელწვივა ფეხებს (ძარღვები რომ ლურჯად დაჰბეროდა, და იმნაირად აჩნდა, გეგონება, ჯარედან რგვალი თასმელი შემოუჭერიაო), სკამზე შეაწყობდა, თვითონ ღრმა სავარძელში ჩაეფლობოდა და თავისი ბოხი, თუთუნისგან გაუხეშებული ხმით ისე იწყებდა ყველას კილვასა და ძაგებას, თითქოს მთელი საქვეყნო საქმეები მისთვის ჰქონდათ მინდობილი, გასასწორებელ-დასალაგებლად.

ყველაზე ბოლოს ვახტანგ პეტროვიჩმა გამოაჩინა თავისი ბრჭყალები...

შემოდგომის ერთ წყნარ საღამოს გადმობრძანდა იგი მომავალ მოყვრებთან. ენკენისთვე, აქაც და სხვაგანაც ყველაზე საყვარელი თვეა. ღვინობისთვის წვიმებისა და ტალახების დაწყებამდე ენკენისთვეში ჩინებული დარები იცის.

მზეც მხიარულად ანათებს, თუმცა ისე მცხუნვარე აღარ არის, და ღამეებიც კრიალა იცის. ჩამუქებული ცის თავანზე, ვარსკვლავებიც ყველაზე მკაფიოდ ისევ სექტემბერში კიაფობენ.

მაშინაც ასეთი წყნარი, უქარო საღამო იდგა.

ირგვლივ საოცარი სიმშვიდე დასადგურებულიყო, ჩამი-ჩუმი არ ისმოდა.

ასეთი სიმყუდროვე მხოლოდ სოფელმა იცის.

მართალია, სანება სოფელი აღარ გახლდათ, მაგრამ მისი განაპირა უბნები ჯერ კიდევ სოფლური წესით ცხოვრობდნენ. ამიტომ ზენკლიაანთ უბანში, გოხაზე, სიჩუმეც სოფლური იცოდა.

ღია აივანზე ორნი ისხდნენ, გოდერძი და ვახტანგ პეტროვიჩი. პატარა მაგიდაზე წნილეული, გუდის ყველი და ცვრიანი მწვადები ელაგათ. ღვინოს ნაწიბურებიანი პატარა ჭიქებით სვამდნენ, სამებაში „თლაშოის“ რომ ეძახიან. ვახტანგ პეტროვიჩი დადარდიანებული ეჩვენა გოდერძის. ორივე სდუმდა და ღვინოს ნება-ნება წრუპავდნენ.

— ეს ჩვენს ახალდანიშნულთ გაუმარ-

ჯოს, — თქვა ვახტანგ პეტროვიჩმა და ჭიქა გოდერძის მიუჭახუნა.

— სიკეთე მისცემოდეთ, ჯანის სისაღე ნუ ნოკლებოდეთ, სულ სტამბოლის კაჟივით იყვნენ, სიხარული და ბედნიერება არნადით სახვეტი ჰქონოდეთ, — დაილოცა გოდერძი და ჭიქა სულმოუთქმელად გადაჰკრა. ასე მხოლოდ არყის სმა იცოდა, ახლა რატომ მოეხასიათა, თვითონვე ვერ გაეგო.

— მართალია, ჯერ-ჯერობით მხოლოდ დანიშნულები არიან, მაგრამ კიდევ ერთი თვეც და ჯვარს დავწერთ. ესა, ალბათ, არც თქვენ გეეჭვებათ და არც ჩვენ. და რახან ასეა, მშობლებს ჰმართებთ თადარიგი დროულად დაიჭირონ... ქორწილის ყველა ხარჯს მე ჩენზე ვიღებ, ისეთი ქორწილი გადავუხადო, სულ საარაკოდ დარჩეს...

— როგორ თუ თქვენ იღებთ? — გაიკვირვა გოდერძიმ (იგი ჯერ კიდევ თქვენობით მიმართავდა მომავალ მძახალს), — რახან ვაჟიაანი ჩვენა ვართ, მაშ ქორწილიც ჩვენი გასამართია!..

— მოდი ეგ ერთი რამ მე დამითმე, და თუ გული გერჩის, შენ სხვა საქმით შეეწიე იმ ჩვენს კარგ შვილებს...

— აბა, რა ვიცი, — ხელი გაშალა გოდერძიმ. მერე თითქოს ძნელი ამოცანა მისცესო, კეფა მოიფხანა და დააყოლა: — კარგი. ბრძანე, რა გაქვს უზუნში...

— შორსმჭვრეტელობა და თავშენახულობა, ჩვენს დროში, ყველა ჭკვიან კაცსა მართებს. შენ რას იტყვი, ჩემო მომავალო მძახალო?..

— აბა, რა უნდა ვთქვა, სწორე ბრძანებაა...

— ახალგაზრდებს კი ეს არ ესმით და რომც ესმოდეთ, სხვის დაუხმარებლად არაფერი არ შეუძლიათ. ასე არ არის?

— ჭეშმარიტად რომ აგრეა. ახალგაზრდობა დაუდევარიც არის და უზრუნველიც. ახლა თუ კარგადაა, ასე ჰგონია მუდამაც კარგად ვიქნებითო...

— მაგრამ ჩვენ იმისთვისა ვართ, რომ ახალგაზრდები დავაკვალიანოთ, გზაზე შევაყენოთ, მყარი საძირკველი მივცეთ...

— ბატონი ბრძანდებით! — თითქოს საუთქმელს მიხვდაო, ისე ამოიძახა გოდერძიმ.

— და განა ჩვენს შვილებსა მტკიცე საძირკველი აქვთ?

— რატომაც არა აქვთ? — ვერ გაიგო გოდერძიმ, — განა ეს ყველაფერი, — მან ხელი თავის სახლკარსა და ეზო-კარმიდამოს მოავლო, — სულაც მაგათი არ არის, სულაც მაგათ არ დარჩება? მე და მალალო ცას ხომ არ შევაბერდებით?

— იცი რა გითხრა, ჩემო გოდერძი, შენცა და მეცა იმგვარი ხელობის ხალხი ვართ, ორივენი სასხლეტ ბილიკზე ვდგავართ!..

გოდერძიმ გაკვირვებით შეხედა თავის უცნაურ მოსაუბრეს. მას არც კი წარმოედგინა, რომ რაიკომის მდივანს, რომელიც მას ქვეყნის პატრონად და საჭეთმპყრობელად მიაჩნდა (რაიონის სამეურვეო ტერიტორიაზე მაინც), თავისი საქმე — ხალხის ხელმძღვანელობა, ხალხის ნეთაურობა — სასხლეტ ბილიკად მიაჩნდა.

— კომერცია და პოლიტიკა, — განაგრძობდა მდივანი, — ურა ცხენსა ჰგვანან, ვერ გაიგებ, როდის გადმოგაგდებენ უნაგირიდან... ჩვენს გადმოგდებას კი, ხომ იცი რა შეიძლება მოჰყვეს?.. გამიგე, აგრე არ არის?

— აბა, რა გითხრა, უფრო მაღლა დგახარ და, ალბათ, უფრო შორსაც იხედები.

— დიახ, დიახ, ჩემო გოდერძი, მართლაც უფრო შორს ვიხედები. დიდი გზა გამოვიარე და ალბათ იმიტომ. ერთი სიტყვით, ის მინდა გითხრა, რომ ჩვენს შვილებს უფრო მკვიდრი ნიადაგი უნდა გავუჩინოთ, და ნეტი საფუარიც მივცეთ...

— მე, ჩემის მხრივა... — დაიწყო გოდერძიმ.

— ვიცი, ვიცი, შვილისათვის რომ არაფერი გენანება. სწორედ ამიტომაც წამოვიწყე ეს ლაპარაკი. მაგრამ ახლა სულ სხვა რამ მინდა გითხრა: მოგეხსენება, მეგობრები ყველგანა მყავს, ალბათ, იმიტომ, რომ მთლად ცუდი კაცი არც მე გახლავართ. მეც ხშირად გამიწოდებია სხვისათვის დახმარების ხელი. იმ ჩემმა მეგობრებმა შემომითვალეს, რომ ვაკის პარკთან, ეგა თბილისში ეხლა ყველაზე კარგ ადგილად ით-

ვლება, კოოპერაციულ ამხანაგობაში ხუთოთახიანი ბინა შეუძლიათ გამომიყონ. ასეთ კოოპერატივში შესასვლელად ხალხი ფულს არ იშურებს და დიდ თანხასაც იხდიან. თქვენ კი, ჩემი სათრით, მუქთად შეგიყვანენ და მხოლოდ იმას განოგართმევენ, რაც ბინა ხარჯთაღრიცხვის მიხედვით ჯდება, ხომ გაიგე? მხოლოდ იმას, რაც ბინა ხარჯთაღრიცხვით ჯდება, და არც ერთი კაპეიკით მეტს. ეს რა არის, იცი?.. ძალიან დიდი შეღავათია და ძალიან დიდ საქმესაც გვიკეთებენ. ამიტომ მისი ხელიდან გაშვება არ შეიძლება. რა თქმა უნდა, მშენებლობის დამთავრების შემდეგ ბინის გამართვას კიდევ ფული და შრომა დასჭირდება, ნაგრამ ამას მე ჩემს კისერზე ვიღებ და სულ მალე ჩვენს შვილებს ხუთოთახიან ბინას ჩავაბარებ. ისეთი იქნება, გინდა ათას კაცზე გაშალე პურმარილი. მაგრამ ახლა სამუშაოები უნდა გავიყოთ. მე რაცა ვთქვი — ისა ჩემი წილი იყო; რაც შეეხება პაის შეტანას, ესე იგი იმ თანხისას, რაც ოფიციალურად ბინა ჯდება, ეს შენ უნდა იკისრო...

— ბატონი ბრძანდები. მაგაზე უკან როგორ დავიხევ?!

— აგაშენა ღმერთმა, ჩემო გოდერძი. შენისთანა ვაჟკაცისაგან სხვა პასუხს არც მოველოდი...

— ეგ რა დიდი ვაჟკაცობაა, შვილებსა ბინა გაუჩინო?..

— ჩვენს დროში ეგეც დიდ ვაჟკაცობად იქცა.

— ჰო, ეგა თქვი, თორემა...

— მაგრამ ამ საქმეს, ერთი სიძნელე ახლავს.

— რა სიძნელეა ნაგისთანა, რომა...

— მთელი საპაიო თანხა ერთად უნდა შევიტანოთ და, რაც მთავარია, დაუყოვნებლივ მივცეთ. კოოპერატივს ახლა ცოტა უჭირს, და...

გოდერძიმ ჩვეულებისამებრ ქეჩო მოიფხანა და თავისი ვეება თვალები სამძახლოს მიაპყრო:

— რა გაეწყობა, გამოსაშვებ სისხლს რაც უფრო აღრე გამოუშვებ, ისა სჯობია.

— კიდევ ერთი სირთულე ახლავს ამ საქმეს. თუმცა კაცმა რომ სთქვას, არავითარ სირთულეს ეს არ წარმოადგენს, მაგრამ მაინც წინასწარ უნდა შევთანხმდეთ. — ნათქვამია, ხვნაში გარიგება ჯობია, მკაში გარიგებასაო. ხომ ასეა?

— ნამდვილად ასე გახლავს.

— ის სახლი თუნდაც პირველ ხანებში, ჩემი ქალის სახელზე უნდა იყოს...

— ეგ, მითამ რათაო? — წარბქვეშიდან გახედა გოდერძიმ ვახტანგ პეტროვიჩს.

— ხომ არ შეშინდი, ჩემო მძახალო?

— რისი უნდა შემეშინდეს, მაგრამა ცოდო გატეხილი ჯობსო, განიკვირდა კია...

— რა არის აქ გასაკვირი?

— თქვენი ქალი ცოლი იქნება, ჩემი ბიჭი კი ქმარი. სახლ-კარი ქმრის სახელზე იწერება საქართველოშია, ათა-ბაბიდან აგრე მოდის და ჩვენც აგრე ვართ დაჩვეულები.

— მაგაში არ გეწინააღმდეგები. მაგრამ აქ სხვა ვითარებაა: ჩემი ქალი სამედიცინო ინსტიტუტის უფროსი მასწავლებელია, და გარდა მაგისა, თბილისშია გაწერილი. შენი ბიჭი კი, ჯერ ერთი, აქ არის გაწერილი და, მეორეც, — ვახტანგ პეტროვიჩი ცოტა შეიშმუშნა, — არ არის მაინცა და მაინც სასურველი, რომ პარტიული მუშაკის სახელზე კერძო ბინა ირიცხებოდეს...

— ის შენი ქალიც ხომ პარტიული მუშაკის შვილია?

— შვილი, სხვაა და თვითონ როცა ხარ, ის სხვა.

— ყველაფერი წინასწარ მოგიფიქრებია და აბა მე რაღა გითხრა, როგორც ჯობდეს, ისე მოვიქცეთ.

ეს სიტყვები ვახტანგ პეტროვიჩს აშკარად ესიამოვნა. მან გოდერძის ხელი გაუწოდა და რიხიანად შესძახა:

— მაშ, დაჰკარ!

და გოდერძიმაც ისე დაჰკრა, ხელისგულების ტკაცუნმა ბარემ სატიომდე ჩააღწია.

ასე დათქვეს: მეორე დილით, ვახტანგ პეტროვიჩი გოდერძის გამოუვლიდა, ფულს ჩაიბარებდა და იმავე დღეს თბილისში ჩავიდოდა, საპაიო თანხის კოოპერატივში შესატანად.

მართლაც, ყოველივე ისე მოხდა, როგორც წინასწარ მოილაპარაკეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გვიან საღამოთი მალხაზიც ჩანოვიდა. იგი მთელი კვირა რაიონის შორეულ სოფლებში იმყოფებოდა რაღაც შემოწმებაზე.

მოშიებული მალხაზი სუფრას უჯდა და გემრიელად ილუკმებოდა.

გოდერძი დინჯად მიუახლოვდა სასადილო მაგიდას და შვილს პირისპირ ჩამოუჯდა. გული არ უთმენდა, უნდოდა ახალი ამბავი ეხარებინა.

— დღეს დილითა ვახტანგ პეტროვიჩი იყო ჩვენსა...

— რა უნდოდა? — ყურები ცქვიტა მალხაზმა, მაგრამ ჭამა არ შეუწყვეტია.

— ასრე მოვილაპარაკეთ, რომა შენა და შენს საცოლესა საამხანაგო ბინა გაგიჩინოთ თბილისში...

მალხაზს ლუკმა ყელში გადასცდა და ხველება აუვარდა. ისე ჩაბჟირდა, ისე დაიძაგრა, რომ შეგეხედა შეგეშინდებოდა. ვერც სული მოეთქვა, ვერც ხმა ამოეღო. სახე შემწვარ კიბორჩხალასავით გაუწითლდა, თვალები გადმოვარდნაზე ჰქონდა. მარტო ხელებს ასავსავებდა და პირს შოშიასავით აღებდა.

გოდერძი ფეხზე წამოხტა, შვილთან მიიჭრა, თავისი მძიმე ხელი ბეჭებზე ბრტყლად დაჰკრა, იმავე წუთს ბიჭმა სული მოითქვა და ხმა ძლივს ამოიღო.

— რამდენი მიეცი? — ცრემლების წმენდით იკითხა მალხაზმა და ისევ ხველებაა მოჰყვა, მაგრამ ამჯერად ხმის დასაწმენდათ.

— ხუთი ათასი თუ ნანი.

— ესე იგი, ორმოცდაათი ათასი, ესე იგი, ნახევარი მილიონი ძველი ფულითა!? — ხმამაღლა ანგარიშობდა გაოგნებული მალხაზი. მას სახე დაჰგრძელებოდა, თვალები გაჰფართოვებოდა, მღელვარებას ვერ იოკებდა...

არც გოდერძის ადგა უკეთესი დღე. ღაწვები წამოწითლებოდა, თვალებში შიში ჩასდგომოდა. ისე შეჰყურებდა შვილს, გეგონება, მალხაზს რაღაც საშინელი და მიელი მისი ცხოვრების ამწეწ-დამწეწი უნდა ემცნო. სიჩუმე კარგა ხანს გაგრძელდა.

— რატომ, რატომ მიეცი უჩემოდ!? — ძლივს ამოსთქვა მალხაზმა და სკამის საზურგეს უღონოდ მიეყრდნო.

მაგრამ ძველ მეტივეს უკვე დაეძლია გულზე შემოწოლილი შიში, დაეოკებინა წამიერი სისუსტე. იგი ისევ ის ძველი გოდერძი იყო, — დინჯი, აუღელვებელი, მღელვარების ნატამალიც კი არ ემჩნეოდა, თითქოს, არაფერიც არ მომხდარიყოს.

— რა, შევცდი, რომ მივეცი? — ბუბუნა ხმით იკითხა ნან, — აბა, რა ვიცოდი, ვიფიქრე თქვენს სასიკეთოდ ვაძლევ-მეთქი.

— უჩემოდ არ უნდა მიგეცა! — ცხარედ ამოთქვა მალხაზმა და სკამიდან წამოიჭრა. დინჯი ჭაბუკი ეტყობა გრძნობებმა დაძალეს.

თუ მალხაზი სულ უფრო და უფრო ფიცხობდა, გოდერძი პირიქით, ძველ მეტივეს ჩვეული აუღელვებლობა თანდათან უბრუნდებოდა. ახლა მას პირველი უნებლიე აფორიაქების კვალსაც ვეღარ შეამჩნევდი.

— თქვენს ამბავსა, აბა, ვინ გაიგებს. — „თქვენში" გოდერძი, როგორც ყოველთვის, მთელ ახალგაზრდობასაც გულისხმობდა, — ერთ თვეში ქორწილი გაქვთ დათქმული, მაგრამ მე ახლაც არ ვიცი, დაჭეშმარიტებითა, ირთავ იმ ქალსა, თუ არ ირთამ?

— ხომ შეიძლება ისე მოხდეს, რომ არ შევირთო?! მაშინ ხომ ის ფულიც ბზესავით გადაყრილი დაგრჩება?

— როგორ თუ არ შეირთო?! ქალი დაწინდე, დელგა მიეცი, ნიშნობა გადაიხადე, მთელ ქვეყანას გააგებინე და ახლა აღარ ირთავ? განა ესა ნამუსია, განა ესა ჩვენს ოჯახს ეკადრება?..

გოდერძის მღელვარებისაგან მკერდი აუდიოდ-ჩამოუდიოდა, ბოლმა ახრჩობდა. ეს უკვე მეორე ტალღა იყო გაბრაზებისა...

— მამაჩემო, ეს საქმე მაინც დამანებე; მომეცი საშუალება როგორც მინდა, ისე გადავწყვიტო. ნუთუ, ესეც შენი ბრძანებით უნდა გავაკეთო?

— ნე კი არ გიბრძანებ, რჩევას გაძლევ, შე მამაძაღლო, შენა! ქალსა სახელი გაუტეხე და ახლა უკან იხევ. აბა, ეგ რა ვაჟკაცობაა!

— რა იცი, რომ სახელი ადრე არა ჰქონდა გატეხილი?

— ფუჰ, შენ კაცობასა! თუ გატეხილი ჰქონდა, შენ რაღას ეტორღიალებოდი, რატო ეძლეოდი, რატო ნიშნავდი, სახლში რათ შემოგყავდა?

— მაშინ არ ვიცოდი...

— ჰოოდა, თუ ასეა სიტყვის კაცი უნდა იყო, სიტყვას არ უნდა გადახვიდე. იმ ქალსა ხელი არ უნდა ჰკრა. მართალი თუ გინდა გითხრა, არც თვითონ ისა, არც მისი ოჯახი, მე გულზე არ მეხატებოდა და არც მეხატება. მე არასოდეს არა ვყოფილვარ თქვენი შეუღლების მწადი. მაგრამ, რახან ეგეთი ნაბიჯი გადადგი, რახან ქვეყანას გაგებინე, ახლა თავს ნუღა მოსჭრი! როგორიც არ უნდა იყოს, თუ კარგად ნიხედავ, ხელში დაიჭერ, გულს აჩვენებ, ტოლს გაუწევ — აუცილებლად გამოგადგება. დამიჯერე, არც ისეთი ცუდი უნდა იყოს, როგორიც შენ ახლა გეჩვენება. ნუ გააუბედურებ, ცოდოა! თუ მომავალში ვერ იქნა და ვერ შეთავსდით, ჯობს მერე გაეყარო, ვიდრე ახლა უგვირგვინოთ მიატოვო, როგორც ვატყობ, ფეხმძიმედაც უნდა იყოს შენგან...

— შენა, მამაჩემო, ეტყობა იმ ფულის დაკარგვა გენანება. — ცბიერი ღიმილით ჩაილაპარაკა მალხაზმა, — იმას კი აღარა ფიქრობ, რა მოჰყვება ჩემს ან ნაბიჯს.

მალხაზმა სიტყვის დამთავრებაც ვერ მოასწრო, რომ მაგიდაზე დათხლეშილი მუშტის ხმამ თოფის გასროლასავით შეაკრთო.

მალხაზმა მამას ახედა და გული გადაუქანდა: გოდერძის სახე შეშლოდა, თვალები ცეცხლს უკვესავდნენ, დამუშტული ხელები საფეთქლებთან მიეტანა, ნახტომისთვის გამზადებული ვეფხვივით წელში გაღუნულიყო და უკიდურესად დაძაგრული თავს ძლივს იკავებდა.

ახლა მეორე მუშტი დასთხლიშა ზენკლიშვილმა მაგიდას და ამჯერადაც ისეთი ხმა გააღებინა, გეგონება კვლავ თოფმა იჭექაო.

— ახლავე გამეცალე აქედან, შე ღორო, თორემ ჩემივე ხელით დაგახრჩობ ციხდალივითა! — დაიღრიალა გოდერძიმ და შვილისკენ ნაბიჯი წადგა.

ახლა კი იკადრა გაცლა მალხაზმა, კარები საჩქაროდ გაიხურა, კიბეზე სირბილით დაეშვა და ალაყაფს უკან გაუჩინარდა.

გოდერძის ყვირილსა და ხნაურზე, სად იყო და სად არა მალალო ამოიჭრა და გამშაგებულ-გამძვინვარებული ქმარი რომ დაინახა, მუხლი მოეკვეთა, კართან ულონოდ ჩაიკეცა...

გოდერძიმ რომ დაინახა, ცოლს გული შეუღონდაო, ერთბაშად მოთვინიერდა, მალალოს ეცა, ეს ამოდენა ქალი ბუმბულივით აიტაცა და ტახტზე დაასვენა. მერე გრაფინსა წვდა, წყალი სახეში ასხურა, ლოყებზე ხელები აუტყაპუნა, ყურები დაუსრისა,

მალალომ როგორც იქნა თვალები გაახილა.

ცრემლმორეული, სევდიანი, უსიტყვოდ შესცქეროდა იგი მის წინ ჩაჩოქილ მეუღლეს. მერე აკანკალებული ხელი თავზე სათუთად გადაუსვა და მიკნავებული ხმით უთხრა:

— არ იქნება, კაცო, ეგრე. მაგისთანა ტუქსვითა სულაც გადარევ იმ საცოდავ ბიჭსა. აბა, ახლა მაგის გულშიაც ჩაიხედე, ნამდვილი საკირე ექნება. შენი შვილი არ არის, ნუთუ არ გეცოდება?

— რომ მიყვარს და მეცოდება, იმიტომაც მეწვის გული, იმიტომ ვეონები, თორემა, ეგრე რომ არ იყვეს, მაგის პატრონი დედაცა, მივუგდებ რამდენიც საჭიროა, მერე ვკრავ ჭიტლაყსა, წავიდეს იაროს სადაც უნდა, გინდა რაიოკომის მდივანი გახდეს, გინდა მინისტრი.

— გონს მოდი კაცო, რაებს ამბობ, ეგრე რამ გაგაგულისა?

— როგორ თუ რამ, იცი რა მითხრა წეღანა?..

— რა გითხრა?

— ნითხრა რომაო... ასე მითხრა რომაო.. ეეჰ, — ჩაიქნია ხელი გოდერძიმ, — თუ მტყუანია, ღმერთმა ისევ მაგას მოკითხოს, თუ არა და, მე!

— მაინც რა გითხრა ისეთი, ემაგრე რომ აზავთებულხარ?

გოდერძიმ არ უპასუხა. ბოლთაობას მოჰყვა. კარგა ხანს იარა წინ და უკან. მერე

თითქოს რაღაც მოაგონდაო, სადავე მოწეულივით შედგა და გულში მჯიღის რტყმევით დაიძახა:

— ინ ქალს აღარ ირთავს, სიტყვა უნდა გატეხოს!...

სიჩუმე ჩამოვარდა. გოდერძი მოელოდა, რომ მალალო მაშინვე გამოეხმაურებოდა ახალ ცნობას, შეწუხდებოდა, ვიშვიშს შექმნიდა, მალხაზს გაამტყუნებდა — მაგრამ არავითარი ამის მსგავსი! მან დინჯად მოისმინა ქნრის სიტყვა, და როგორც ყველაფრიდან ემჩნეოდა, შვილის გამართლებაც კი სწადდა.

— მერე რა, კაცო, განა წინდაწინ არ ატყობდი, რომ მაგ საქმესა სასიკეთო პირი არ უჩანდა, რატომ გაიოცე?

— რატომ გავიოცე? — გოდერძი აშკარად გაკვირვებული ჩანდა. ზედვე ემჩნეოდა, რომ ცოლის სიტყვებმა დააბნია. იმასაც გრძნობდა, რომ მალალოს სიტყვა, არც უადგილო იყო და არც უმართებულო.

— ჰო, თუ ვერ შეთვისდნენ, ის არა ჯობია ანთავითვე თავთავისთვის წავიდ-წამოვიდნენ?

—წავიდ-წამოვიდნენ!.. — გასცინა გოდერძიმ.

— კაცო, შენი ვერაფერი გამიგია, არც ის გინდა, არც ესა. ამასწინეებზე შენ არ მეუბნებოდი, ნეტავი ეს საქმე ჩაიშალოსო?.. ახლა როცა იშლება, აღარც ეს გინდა?...

— ახლა გვიან არის დედაკაცო, იმ მამაძაღლმა ისე შორს შესტოპა, ცოდოა ი გოგო...

— მაგან რად შესტოპა, იმან შესტოპა!

— ვაჰ, დალოცვილო, ისა მაგის დაუხმარებლად თავისით ხომ არ დაორსულდებოდა!?..

— იჰ, ახლანდელი გოგოების დაორსულებისაც რა მითქვია, ისე ორსულდებიან და ისე იშლიან მუცელსა, თითქოს ეეხზედა ფრჩხილები დაეჭრათ. როგორც დაორსულდა, ისე გადაორსულდება.

—აი, მაგისთანები ხართ დედაკაცები. საკუთარი შვილის გულისთვინა ყველაფერს გასწირავთ. აბა, შენი გოგო ყოფილიყო და აგრე ექნათ, მაშინ კი ვნახავდი როგორ დაიქცევდი ქვეყანასა...

მალალომ ხმა გაკმინდა. გრძნობდა გულში, რომ მართალი არ იყო და ემწვავა ქმრის შენიშვნა.

— არა, ეს როგორ გამიბედა! რაები მითხრა, კაცოუ, რაები... — გოდერძის შვილთან შელაპარაკება ვერ დაევიწყებინა.

— აღარ იტყვი, ადამიანო, ისეთი რაები გითხრა, ეგრე რომ მოიშალე და ყალყზე დგები?

— რაები და... არა, უყურე ერთი მაგ მამაძაღლსა, ეგ როგორ ანოუვიდა პირიდან!

—ჰო, მითხარი, შენვე გეშეღავათება...

— რაები და, როცა ვურჩიე ნუ გააუბედურებ-მეთქი იმ ქალსა, იცი რა მითხრა?.. შენაო, ფული გენანებაო!.. მე, მე, ფული? მერე ისიც მაგისთვისა? სულაც მაგისთვის არ მინდა ყველაფერი, სულაც მაგისთვის არ ვიდგამ წელზე ფეხსა; ეგ როგორ გამიბედა, ეს როგორ შემომკადრა?!

მალალოს გაკვირვების ნიშნად ლოყაზე ხელი მიედო და ისე იდგა გამწარალ-გაშეშებული.

— არ დაიჯერო, რომ მაგანა ეგა გულითა გითხრა, — როდის როდის ამოთქვა მან.

— გულით მითხრა, თუ უგულოთა, ეგრე კი მითხრა და მთავარი ეს არის! შენაო ჩემს ბედნიერებაზე უფროო ფული გედარდებაო, აგრე არ გამოდის, მაგის სიტყვებიდანა? მე მაგასა, ჩემს ღვიძლსა, ჩენს სისხლსა, ჩემს ხორცსა — ფულში გავცვლი? მაგისთანა კაცი მნახა? განა მაგისთანა რამ უნდა მაკადროს!.. ფული რას მიქვია, თუ გინდა სულაც ერთ ღღეში დავწვავ, რაც კი რამ მაბადია...

— დამშვიდდი, შენი ჭირიმე, დაშოშმინდი, ნუ ქოთქოთობ, იმ ღღევანდელივითა გული არ გაგიხდეს ცუდათა, კაცის ფერი აღარ გადევს...

— არა, ძმაოსან, ახლა კი ვხედავ რომა, ინ დალოცვილ ღმერთსა ჩემთვის შვილი დანანებია და ეს ვიღაც მატაოცი მოუცია.

— უი, ეგ რა თქვი გოდერძი. ეგ რა ამოგვიდა პირიდან?

— ჰო, ღმერთმანი!

— ეს რას შევესწარ, დაიქცა ჩემი გაჩენის დღე!

— რაც არის და როგორც არის, ისა ვთქვი. აქამდე ვერ ვამბობდი, ახლა კი აშკარად ვამბობ. დიახ, აგრეა, შვილი დაიშურა ჩემთვის იმ დალოცვილმა ღმერთმა, და ეს უგულო კაცი მომცა!... დღესვე რომ დავიხოცნოთ ორთავენი, ალბათ, ერთი კურცხალი ცრემლი არ გადმოუგორდება თვალთაგანა, ოჰო, ოჰო, რა ცივია, რა ანგარიშიანია, რა უსიყვარულოა, ვის გამოემგვანა, ეგ მამაძაღლი, ეგა!?..

— გოდერძი, იცოდე, თუ კიდევ მითხარი მალხაზის ძაგება, ახლავე წავალ და იმ მთავარ მტკვარშია თავს დავიღრჩობ!..

— არ ვამბობ მართალსა, თუ?

— არა!!. ეგეთი სულაც არ არის. ეგა შენც კარგად იცი, მაგრამ ისე ხარ გაბოროტებული, რაებსა როშავ, თვითონვე აღარ გაგეგება...

— ჩემი არც ხათრი აქვს, არც სიყვარული!

— დამიდგეს თვალი, დამიდგეს თვალი, რაც იმას შენი ხათრი და სიყვარული აქვს...

— მაგასა მარტო თავისი თავის სიყვარული აქვს და მარტო საკუთარ თავის დარდი. ჩვენა მაგისთვინა... ეჰ, დამანებე, დედაკაცო, თავი...

— ცოდოა, დიდი ცოდოა, პირდაპირ ღვთის გმობაა, ეგეთი ლაპარაკი.

— თავისი წინსვლის მეტი აღარაფერი ახსოვს. ისეა მოწადინებული დიდკაცობასა, ლამის ქვეყანაზე ყველაფერი დაივიწყოს. ოღონდ დაწინაურება უხსენე და რაზედაც გინდა, იმაზე წავა...

— ყველას თავისი ნატვრა აქვს, აბა, მაშ როგორ გინდა? განა ვთქვათ, შენა, სიმდიდრე ნაკლებ გიყვარს? ან ქონებას ნაკლებ დაეძებ?

— დავეძებ, მაგრამ კაცობა არასოდეს დამიკარგავს, და რისმეს გულისთვის, არც ღორი გავმხდარვარ და არც მგელი!...

— ვითომაც, მაგან რატომღა დაჰკარგა?

— მაშ, რასაც ეგა იმ პეტროვიჩიანთ უპირებს, ისა კაცობაა? ან რაც მე, თავის მამასა, წელან მკადრა — ისა კაცობაა?

— ორივე ჩემ ჭირად გაჩნდით ამ ქვეყანაზე, შენა ვერცხლის მოყვარული, ის კიდევ თანამდებობისა...

— ფულის შოვნა თუ მინდოდა, ისევ ჰაგისთვის მინდოდა, ისე თავს არ გავიცხელებდი... ერთხელ რომ მითხარი, მიაფურთხე ეშმაკსა და სძლიე სიხარბესა შენსაო, მე კი ვძლევ, მაგრამ, აბა, მაგან სძლიოს თუ ბიჭია! აბა, დათრგუნოს დიდკაცობის ჭია, გულში რომ ჩაბუდებია, მოერევა? — ვერა, ვერ მოერევა!.. იმ დიდკაცობისთვისა ეგა შენც დაგთმობს და მეცა. აჰა, ვნახოთ, თუ აგრე არ მოხდეს! თუ არა და, ეს ულვაში მომპარსე...

გოდერძიმ ფანჯარას ხელი ღონივრად ჰკრა და ორივე ფრთა ჯახუნით გააღო.

ეტყობა ჰაერი აღარ ყოფნიდა. მერე იდაყვებით რაფაზე დაეყრდნო და კარში ცქერას მოჰყვა.

წინადღის ნზიანი ამინდი ერთბაშად შეცვლილიყო. ციოდა.

შემოდგომა ერთბაშად კარს მოსდგომოდათ. ნამდვილი შემოდგომა, ქარით, ფოთოლცვენით, ჭირხლით.

ალაყაფთან მდგარ ორ ვეება ჭადარს ფოთლები შეუმჩნევლად გაჰყვითლებოდა. ახლა მათ ქარი სწეწდა და აქეთ-იქით მიაფრიალებდა.

გოდერძი უცხოსავით მისჩერებოდა ჯერ კიდევ მის დაბადებამდე დარგულ ხეებს.

წვრილი წვიმა სცრიდა. მისი წვეთები ეკლებივით ისუსხებოდნენ. ცა მრისხანედ მოქუფრულიყო. ღრუბლები მსხვილ ნაგლეჯებად, ისე დაბლა მოსცურავდნენ, გეგონებოდა საცაა საკვამლე მილს წამოედებიანო.

დრო და დრო, წამოქროლილ ქარს წვიმის წვეთები ფანჯარაში შემოჰქონდა და სანთელწასმულ პარკეტის იატაკს ასველებდა.

მალალო თექის ნაჭრებზე შემდგარიყო, ფანჯარაში თავგამოყოფილ ქმარს ირგვლივ უვლიდა და იატაკს ამშრალებდა. გოდერძის კი არას ეუბნებოდა. სხვა დროს, რა თქმა უნდა, შეუყვირებდა, ფანჯრის დახურვას მოთხოვდა, მაგრამ ახლა არ უნდოდა ნისი შეწუხება.

— დეე, დაშოშმინდეს, გუნება გადაეყა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

როს, ამ საცოდავს, ამას, — ფიქრობდა მალალო, — მაინც როგორ გაუმეტებია იმ არგასაშვებს, როგორ დაუნდობლად მოქცევია!

გოდერძის წვიმისგან სახე და თმა ერთიანად დასველებოდა. წყლის წვეთები წურწკურით ჩამოსდიოდა ღაწვებსა და ნიკაპზე. ჭაღარა თმა ტყის კაცივით ასწეწოდა, შუბლზე ჩამოშლოდა, საფეთქლებთან სველ ბღუჯებად მიჰკრობოდა.

თვალები მინაბული ჰქონდა. ეტყობა, გული აწუხებდა, მაგრამ კერპი დევკაცი არას იმჩნევდა. ცივი, უსიამო წვიმით შუბლს იგრილებდა, გახურებულ სახეს ქარს უშვერდა.

დიდხანს იყო ასე გაყუჩებული. მალალო მის ახლო-მახლო ტრიალებდა, ეშინოდა ქმრის მარტო დატოვებისა. ასე უჩვეულოდ აღელვებული, რაც თავი ახსოვდა, ჯერ არ ენახა.

— გოდო, შემოგევლოს ჩემი თავი, არ გაცივდე, — გაუბედავად შეეხმაურა მალალო.

გოდერძი ფანჯარას დამჯერედ მოსცილდა, სააბაზანოში ჩავიდა.

შიდა კიბეზე რომ ეშვებოდა, ერთი-ორჯერ მუხლი ნოეკვეთა. მალალო მხარში ამოუდგა, ქმრის მკლავი კისერზე შემოიხვია და მას აქეთ აღარ მოსცილებია.

გოდერძიმ ჯერ ცხელი შხაპი მიიღო, მერე აბაზანა ნელთბილი წყლით გაავსებინა და დიდხანს იჭყუმპალა კამკამა წყალში. ნააბანოვარი კი თავის ვეებერთელა ოთახებსა და შუშაბანდში ბორიალს მოჰყვა.

თავგზა დაკარგულივით დადიოდა უკაცრიელ, სიჩუმედასადგურებულ ბინაში და ავეჯს ისე აკვირდებოდა, გეგონება პირველად ხედავსო. რაღაც მძიმესა და რთულზე შუბლშეჭმუხნული ფიქრობდა, აშკარად ემჩნეოდა, რომ ეს ფიქრი მტკივნეული იყო.

გვიან დაწვა. ღამე განუწყვეტლივ ბორგავდა. ძილში ვიღაცეებს ედავებოდა, უძახდა, ტუქსავდა. ერთი-ორჯერ მალხაზსაც შეძახა და მხოლოდ გამთენიისას მიყუჩდა.

მალალოს მთელი ღამე თვალი არ მოუხუჭავს. თან ლოგინში განძრევისა ეშინოდა. ქმარი არ გამოვაფხიზლოვო, თან გაუნძრევლობით იტანჯებოდა. დილას რამდენჯერმე მუხლებზე წამოიჩოქა და ზურგშექცევით მწოლიარე გოდერძის მიაყურადა, — ხომ სუნთქავსო. იგი ნელა ფშვენდა, ასე უჩუმრად დიდხანია არა ძინებია.

ქმართან წუხანდელი საუბრიდან მალალოს ერთი უცნაური სიტყვა ჰქონდა დარდად გამოყოლილი. გოდერძი რაღაც ფულს ახსენებდა. მალალოს უნდოდა ეკითხა — რა ფულზე ლაპარაკობდი წუხელიო, მაგრამ ეშინოდა ხელმეორედ არ ავაღელვოო. დიდხანს იყოყმანა. ბოლოს, ისევ ქალურმა ცნობისმოყვარეობამ დასძლია.

— გოდო, გუშინა ფულს რომ ახსენებდი ვახტანგ პეტროვიჩთან ერთადა, რა ფულზე ამბობდი?

გოდერძიმ ერთბაშად არ უპასუხა.

— სახლის ასაშენებლად მივეცი .

— რამდენი?

— ხუთი ათასი თუმანი.

— უი, დამიდგა თვალი. განა დაგიბრუნებს, მაგის ქალი თუ არ მოვიყვანეთ?

— იანგარიშე, რომ ის ფული უკვე დაკარგული გვაქვს.

— რათა კაცო, რათა, განა რა გვმართებს მაგ მელაძუასი! ამოდენა ფული წყალში რად უნდა გადავყაროთ?

— ეეჰ, — სახე დამანჭა გოდერძიმ — რათა, ესა ი შენ ნუტრუკ ბიჭსა ჰკითხე. ისე დახლართა საქმე, ეშმაკიც ვეღარ დაალაგებს...

იმ დილით სამსახურში დაგვიანებით მივიდა.

ბაზის შემოვლა უნდოდა, მაგრამ დაეზარა, სახსრებში რაღაც ტეხიარობას გრძნობდა, ტანში უსიამოდ ბზარავდა.

თავის განიერ მაგიდას მიუჯდა. ფეხები რაც შეეძლო წინ გაიწვდინა, ღიპი შუა უჯრას მიადო, ნებიერად გაიზმორა და მშვიდად ჩასთვლიმა...

ფეხების ბრაგუნნა და კარების ჯახანჯა გამოაფხიზლა. ზღურბლთან ისაკა იდგა. პალტო გახსნოდა, დალაქავებული შლაპა გვერდზე მოქცეოდა, ჩქარი სიარულისაგან მძიმედ ქშენდა.

— რა მოხდა, შე მამაცხონებულო, კინაღამ გული გამიხეთქე. ისე შემოიჭერი,

თითქოს სალდათი იყო და კაზარმაში შემორბოდე...

— რო იცოდე უფროსჯან, რა მახარობელი ვარ, ჩემთვის არაფერს დაიშურებდი!..

— სიხარულსა სიჭაბუკეში დავეძებდი, ახლა გინდა იყოს და გინდა არა.

— შენი შვილი რაიკომის მდივნად აირჩიეს...

გოდერძის ხმა ვერ ამოეღო, თვალები გაჰფართოვებოდა...

— ჯერჯერობით მესამეა, მაგრამ ხომ იცი როგორ მოხდება ხოლმე: ცოტა ხანში მესამესა პირველად აქცევენ, პირველსა კი ჭიტლაყს ამოჰკრავენ და პენსიაზე გააგდებენ, თანაც პერსონალურზე...

— ვინ გითხრა? — როგორც იქნა ამოიდგა ენა გოდერძიმ.

— ახლა, პრიამო ბიუროდან მოვდივარ!. ეტყობა, შენმა ბიჭმა ადრევე იცოდა, მაგრამ მალავდა. მაგათ აგრე იციან, ყველაფერს სეკრეტნად ინახავენ. მაგრამ ჩვენ მაინც ყველაფერს ვიგებთ, ზოგჯერ თვით მაგათზე უფრო ადრეცა...

ისაკა ენად იყო გაკრეფილი. აშკარად ეტყობოდა, რომ კარგ ხასიათზე ბრძანდებოდა. ფეხგაშოტილად მჯდარ გოდერძის ხან ერთი მხრიდან შემოუვლიდა, ხან მეორედან.

— რატომ არაფერს იტყვი, დავიჯერო არ გიხარია? — დააცქერდა მთავარი ბუღალტერი ბაზის მმართველს, — სხვა უშენოდ სულ დავლურს ჩამოუვლიდა! ხუმრობა საქმეა, შვილი რაიკომის მდივანი გყავდეს? ეი, უფროსოჯან გამოიღვიძე, რაღა, ნახე რა ამბები ხდება ქვეყანაზე...

გოდერძის კი ისევ წყეული საღამო უდგა თვალწინ და ისევ ის სიტყვები ჩაესმოდა, მალხაზმა რომ უთხრა: „შენა მამაჩემო ეტყობა იმ ფულის დაკარგვა გენანება და იმას კი აღარა ჰფიქრობ, რა მოჰყვება ჩემს ნაბიჯსაო“.

უგუნებოდ ნყოფმა მმართველმა დროზე ადრე მიატოვა ბაზა და სახლისკენ გაეშურა.

იცოდა, — რახან ასეთი რამ მოხდა, პურმარილის გაწყობას ვერსად წაუვიდოდა, განა ვახტანგ პეტროვიჩი შემთხვევას გაუშვებდა, რათა ახლად გამოჩეკილი მდივანი არ ედღეგრძელებინა!

მალალოსათვის უკვე ეცნობებინათ შვილის გადიდკაცების ამბავი. თავშალწაკრული და ხალათმოსხმული მეუღლე აივანზე დახვდა.

— რას იტყვი, სასიკეთოსკენ გადაიხარა მაგ ბიჭის საქმე, თუ არა? — კიბეზე ასვლისთანავე აძგერა კითხვა ცოლმა.

— ეეჰ, ჩემო მალალო, — თავი გადააქნია გოდერძიმ, — განა ამათ ამბავსა, ან ამათ გზასა და კვალსა აგრე ადვილად გამოიცნობ!.. მაგასა, სულ ადრე, სულ ადრე, მხოლოდ მერმის ამ დროს თუ შევიტყობთ.

— რა ვიცი, ყველა კი მილოცავს, ბარე ათი კაცი მომეჭრა კოცნა-ხვევნითა...

— რა ეკარგებათ, შენისთანა ქალის კოცნა რა ურიგოა.

— ეეჰ, სულ ქილიკაობაში ხარ, აღარც დრო გახსოვს და აღარც შენი წლოვანება.

— დედაკაცო, თადარიგი თუ დაიჭირე?

— რისი თადარიგი?

— არ იცი, რომა დღესა სტუმრიანობას ვერ გადავურჩებით? აი, ნახავ საცაა მოგრიალდებიან და მალარიჩს მოგვთხოვენ. რა გაეწყობა, უნდა დავხვდეთ, როგორც არ უნდა თქვა, დღესა მდივნიაანი გავხდით...

— მეხი კი დავათხლიშე ნაგათ მდივნობასა, ე, ჩვენა ჩვენთვინ დაგვაყენებდნენ, ის მირჩევნიან.

— აბა, ჰა, დატრიალდი შენებურად, ნურას დაიშურებ, რაც არ უნდა იყოს, შენი ბიჭისთვინა ესა დიდი წარმატებაა, დიდი წინსვლაა. ეგება ახლა მაინც დაწყნარდეს და დაშოშმინდეს...

— პირიქით რომ მოხდეს და მეტი მოიწადინოს?...

— ეგეც შეიძლება. მადა ჭამაში მოდისო...

მოსალამურდა თუ არა, ზენკლიაანთ ეზოში ოთხი „ვოლგა“ შესრიალდა.

სტუმრები დინჯად, უხმაუროდ გადმოლაგდნენ ნანქანებიდან და მოზაიკურ კიბეებს აუყვნენ. მათ ბეჟიკო ცქვიტინიძე მიუძღოდათ.

ორიოდე კვირის წინ იგი რაიკომის მეორე მდივნად დააწინაურეს. სწორედ მის

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამონთავისუფლებულ ადგილზე აირჩიეს ახლა მალხაზი.

შესასვლელ კარებთან ბეჟიკო შედგა, ვახტანგ პეტროვიჩს გზა უტია და უკან მიჰყვა. ამ ცერემონიალს ცქვიტინიძე უნაკლოდ ასრულებდა: როცა საჭიროდ ჩათვლიდა, მდივანს წინ გაუსწრებდა, თითქოს მოსალოდნელი საფრთხისაგან იცავდა, ხოლო როცა დარწმუნდებოდა, საშიში არაფერიაო, განზე გადგებოდა, ფეხს — ფეხზე ოფიციალურად მიაბაკუნებდა და პირველ მდივანს ისევ წინ გაუშვებდა. ამით მისადმი პატივისცემასაც აღნიშნავდა და ირგვლივ მყოფთაც აჩვენებდა, აი, როგორ უნდა უერთგულოთ უფროსსაო.

ვახტანგ პეტროვიჩმა გოდერძი გადაჰკოცნა. ბეჟიკოს ჯერი რომ დადგა, მანაც მდივნის მიბაძვით გოდერძი ჯვარედინად გადაჰკოცნა, მერე კი გამარჯვებული კაცის რიხით მასპინძელს მიაყვირა:

— ჰა, რას გეუბნებოდი, ჩემო თანდილოვიჩ, შენი ბიჭი დევის ნაბიჯებით წავა წინა-მეთქი, ხომ ახდა ჩემი წინასწარმეტყველება!... დღესა, ბატონო გოდერძი, ერთი მაგრად უნდა შევუბეროთ!..

იმ დამეს მართლაც ნაგრად „შეუბერეს“.

და მოხდა ისე, რომ მამა-შვილი კვლავ მარანში შეხვდნენ ერთმანეთს.

მარანი სარდაფის გადატიხრულ ნაწილში ჰქონდათ გამართული და როცა გოდერძის ღვინით სავსე ხელადები ამოჰქონდა, კარებში, შემთხვევით თუ წინასწარ გამიზნულად, მალხაზი შემოეფეთა.

თუმცა მალხაზი რაიკომის მუშაკებს მოჰყვა, მაგრამ გოდერძიმ ისე მოახერხა, რომ სტუმართა დახვედრისას, შვილს არ შეჰკერია და არც თვალი გაუსწორებია.

ახლა კი ისინი პირისპირ იდგნენ და ერთმანეთს წარბქვეშიდან შეჰყურებდნენ.

მალხაზი დარცხვენილი ჩანდა. გოდერძის კი სახე გამკაცრებოდა.

შვილმა პირველმა გაუღიმა მამას.

— მამი, ხომ არ მემდური?

— დამდურება უცხოებს შეჰფერით, მე ნაწყენი ვარ.

— ვიმსახურებ კიდეც. დაუფიქრებლად წამოვროშე რაღაცეები...

— კი არ წამოროშე, გულისთქმა ვერ დამალე.

— აბა, ეგ რა სათქმელია, განა ეგ არის ჩემი გულისთქმა?

— ალბათ ეგ არის. და ეს იმიტომ, რომ ყველა შენნაირი მოთავისე გგონია.

— არა, დედას გეფიცები.

— ფიცილი ტყუილის დასაფარი იარაღია, ვაჟკაცს ფიცილი არ უნდა ჭირდებოდეს. გამატარე...

— მანი, ნუ ჩამიშწარებ დღევანდელ დღესა...

— გამატარე, სუფრას ღვინო აკლია...

— არ გაგატარებ, სანამ არ შემირიგდები!

— უყურე ერთი ამასა!

— ბიჭოუ, — გოდერძიმ ღვინით სავსე ხელადები ბეტონის იატაკზე დადგა, ორივე ხელი შვილს მკლავებში მოხვია, თოჯინასავით გვერდზე გადააყენა, — შენა, ძმაოსან, რაიკომის მდივანი კი არა, მთავროობის თავმჯდომარეც რომ გახდე, ჩემოტელა გამოცდილება ნაინც არ გექნება... მე სიტყვის ამოთქმა მიჭირს, დალაგებით ლაპარაკი არ მეხერხება, თორემა გუმანი ათი შენოდენა მაქვს!.. რამეს რომ გისწორებ და გეუბნები, უნდა მეტი გულისყური მომაპყრო, ცუდსა და საზიანოს მე არას გირჩევ. ის კაცი, რაც შეუძლიან ზევით-ზევით გეწევა, შენა კიდევა მისი შვილი უმიზეზოდ რომ შეურაცხჰყო აუცილებლად ცუდკაცობაში ჩაგეთვლება, კაცი გამოიყენა და მერე უგვერდაო! დამიჯერე, ბიჭო დამიჯერე!..

— უმიზეზოდ რათა, მიზეზი ყოველთვის მოინახება...

— ამბობ მიზეზი გამოინახებაო?...

— აბა არა!

— გამოდის რომა, შარის მოდება გინდა და მიზეზს ეძებ!?

— შარისა რატომ, რაც ჩვენს შორის ვაიხიდა, ის მიზეზი მინდა დავიმოწმო.

— მიზეზი ისეთი უნდა იყოს, ყველასათვის ნიზეზობდეს. შენ რომ ადგე და შენი სიყვარული დაიმოწმო — აქამდე მიყვარდა, ამას იქით აღარაო, — განა ეს მიზეზად გამოდგება? ანდა მოწონება რომ

მოიშველიო, — აქამდე მომწონდა, ამას იქით არაო, — განა ეს მიზეზი იქნება? მაგ მოწონებასა და სიყვარულს რომ ნივყვეთ, ერიჰაა, ქვეყანაც დაინგრევა და ოჯახიც დაიშლება...

— ნუ წუხხარ, მამაჩემო, შენი შვილი არც ისეთი უგნური და უხეიროა, როგორიც შენა გგონია. როგორც საჭიროა, ყველაფერს ისე გავახერხებთ.

— გაახერხებ, არა?

— დიახ, გავახერხებ.

— ესე იგი, არ იშლი და არ იშლი?

— ვნახოთ, მამაჩემო, ვნახოთ, — თავის არიდება სცადა მალხაზმა, — როგორც გვიჯობს, ისე მოვიქცეთ.

— როგორც გიჯობს, ისე მოიქცევი, ხომა? — მაცდური ღიმილით ჩაეკითხა გოდერძი და თვალები მოჭუტა.

— დიახაც, დიახაც, — ვერ გაიგო შამის დამცინავი კილოვანება მალხაზმა. ლოყაზე სასწრაფოდ აკოცა, ხელადებს ხელი დაავლო და კიბეზე შურდულივით აიჭრა.

იმ ქეიფში რამდენიც არა თხოვეს მაპინძელს, სიმღერა ვერ ათქმევინეს. სამაგიეროდ, შვილმა აიწყვიტა ლაგამი და ისე მოილხინა, იქაურობა ცეკვა-სიმღერით აიკლო. ბოლოჟამს ზენკლიაანთ ერთი უცნაურობა დასჩემდათ: თუ მამა იყო გუნებაზე, შვილი იფხორებოდა, თუ შვილი მხიარულობდა, მამას ცხვირ-პირი ჩამოსტიროდა.

გოდერძი ამჯერადაც იჭვნეულად ზვერავდა გამხიარულებულ შვილსა და მის ყოველ მოძრაობას თვალმოუცილებლად აკვირდებოდა.

ერთი რამ აკვირვებდა ბერიკაცს: მალხაზი ძველებურად ეექლესებოდა პირველ მდივანს; სულ ირგვლივ უტრიალებდა, ყურადღებას არ აკლებდა, ისე დაფოფინებდა, თითქოს უნდა მტლად დაედოსო...

უკვირდა გოდერძის ეს უნარი ზრახვათა დამალვისა, გამიზნული მაამებლობისა, თავის მოკატუნებისა.

„უყურე ერთი, ამ მამაძაღლსა, რა ორპირობა შესძლებია. ნუთუ ყველა ახლანდელი ახალგაზრდა აგეთია? გულში რა უდევს და ცხადში კი რას აჩვენებს!“ — უკვირდა ყოფილ მეტივეს.

„უწინ უფრო პირდაპირი ხალხი იყო. ზრახვას ასე ოსტატურად ვერა მალავდნენ და არც ამდენი ზაკვა ჰქონდათ, — ფიქრობდა იგი და თვალწინ ხან შავდათუაანთ კაკოლა წარმოუდგებოდა, ხანაც მთლად გათეთრებული გოგიჩაანთ ედიშერა, — როგორ პირდაპირ სტკლიცავდნენ ხოლმე უარსაცა და თანხმობასაც! რაც არ მოწონდათ, თავდაყირაც რომ ჩამოგეკიდა, არ მოიწონებდნენ. მაგრამ თუ რამეს იწამებდნენ, სულაც რომ დაგეშანთა, სიტყვას არ გადავიდოდნენ. ესენი?... მაგრამ რა ესენი? განა მე და ჩემი თაობისანი უკეთესნი ვართ, განა ჩვენც მათი გზით არ მივდივართ?... მივდივართ, მაგრამ როდემდე? იმ მამაცხონებული კაკოლასი არ იყოს, ხომ ყველაფერსაც ბოლო აქვს, ზღვანიც კი დაშრებიანო“...

— ძალიან არ გავქაჩეთ შენი ვაჟკაცი! — ჩაესმა ამ დროს ზედ ყურთან ნათქვამი სიტყვა. თავზე ვახტანგ პეტროვიჩი წამოსდგომოდა და გულღიად უღიმოდა.

პირველი მდივანი კარგ გუნებაზე იყო. ღვინო მოჰკიდებოდა, მუცელი რუმბივითა ჰქონდა.

— ეგ კიდევ რაა, სულ ასე ვატარებთ გამარჯვებიდან გამარჯვებამდე! ეი, ცქვიტინიძე, დავლიოთ მომავალ გამარჯვებათა სადღეგრძელო! გამარჯვებაზე კარგი რაა ამ ქვეყნად, მარადი გამარჯვებით გევლოთ, ჩემო ტკბილო მეკობრეებო, ამ დალოცვილ ნიწაწყალზე, საქართველო რომ ჰქვია...

მალხაზმა მაშინვე აიტაცა მდივნის ეს სიტყვები და სიმღერა სჭექა: „ზოგან ირმების ჯოგია, ზოგან არწივნი ჰქრიან, არის ასეთი ქვეყანა, — მას საქართველო ჰქვიან! ერი პურადი გულადი, სტუმარს ღვთის კაცად სთვლიან, არის ასეთი ქვეყანა, მას საქართველო ჰქვიან“!

— ჩვენი შვილიშვილი, ჩემო გოდერძი, ყველაზე ბედნიერი კაცი უნდა იყოს ამ ქვეყნად. სირცხვილი არ იქნება, რომ ასეთი პაპების პატრონს რაიმე აკლდეს? — ვახტანგ პეტორვიჩი გოდერძის გვერდით მიუჯდა და ხელი გადაჰხვია.

— ვახტანგ პეტროვიჩ და გოდერძი თან-

ᲓᲘᲚᲝᲕᲘᲩ! — ᲘᲧᲕᲘᲠᲐ ᲐᲛ ᲓᲠᲝᲡ ᲑᲔᲭᲘᲙᲝ ᲪᲥᲕᲘᲢᲘᲜᲘᲫᲔᲛ, ᲞᲘᲠᲕᲔᲚ ᲛᲓᲘᲕᲐᲜᲡ ᲘᲒᲘ ᲗᲐᲛᲐᲓᲐᲓ ᲓᲐᲔᲜᲘᲨᲜᲐ ᲓᲐ ᲐᲛᲘᲗ ᲣᲨᲝᲛᲝᲓ ᲒᲐᲔᲑᲔᲓᲜᲘᲔᲠᲔᲑᲘᲜᲐ — ᲐᲒᲠᲔ ᲘᲧᲐᲕᲘᲗ ᲔᲠᲗ ᲬᲐᲛᲐᲡ! ᲐᲣᲭ, ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚᲝ ᲛᲫᲐᲮᲚᲔᲑᲝ, ᲠᲐ ᲣᲮᲓᲔᲑᲘᲗ ᲔᲠᲗᲛᲐᲜᲔᲗᲡ! ᲜᲔᲢᲐᲕᲘ ᲤᲝᲢᲝᲒᲠᲐᲤᲘ ᲬᲐᲛᲝᲛᲔᲧᲕᲐᲜᲐ, ᲠᲐᲡ ᲩᲐᲒᲮᲐᲢᲐᲕᲓᲐᲗ ᲔᲒᲠᲔᲕᲔ!..

ᲛᲓᲘᲕᲜᲝᲑᲐᲛ ᲙᲘᲓᲔᲕ ᲣᲤᲠᲝ ᲓᲐᲢᲕᲘᲠᲗᲐ ᲛᲐᲚᲮᲐᲖᲘ.

ᲖᲝᲒᲯᲔᲠ ᲛᲗᲔᲚᲘ ᲓᲦᲔᲔᲑᲘᲗ ᲘᲧᲝ ᲮᲝᲚᲛᲔ ᲠᲐᲘᲝᲜᲘᲡ ᲡᲝᲤᲚᲔᲑᲨᲘ ᲒᲐᲓᲐᲙᲐᲠᲒᲣᲚᲘ. ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲒᲝᲓᲔᲠᲫᲘᲡ ᲤᲮᲘᲖᲔᲚ ᲗᲕᲐᲚᲡ ᲐᲠ ᲒᲐᲛᲝᲭᲐᲠᲕᲘᲐ ᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲬᲐᲓᲘᲚᲘ — ᲣᲤᲠᲝ ᲛᲔᲢᲐᲓ ᲓᲐᲢᲕᲘᲠᲗᲣᲚᲐᲓ ᲬᲐᲠᲛᲝᲔᲓᲒᲘᲜᲐ ᲗᲐᲕᲘᲡᲘ ᲗᲐᲕᲘ, ᲕᲘᲓᲠᲔ ᲡᲘᲜᲐᲛᲓᲕᲘᲚᲔᲑᲨᲘ ᲘᲧᲝ.

„ᲛᲐᲠᲗᲐᲚᲘᲐ ᲘᲛᲓᲔᲜᲘ ᲛᲝᲪᲐᲚᲔᲝᲑᲐ ᲐᲦᲐᲠᲐ ᲐᲥᲕᲡ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲔᲢᲧᲝᲑᲐ ᲔᲡ ᲣᲮᲐᲠᲘᲐᲜ ᲙᲘᲓᲔᲕᲔᲪ, ᲐᲛ ᲒᲖᲘᲗ ᲤᲘᲥᲠᲝᲑᲡ ᲘᲛ ᲥᲐᲚᲘᲡᲒᲐᲜ ᲩᲐᲛᲝᲪᲘᲚᲔᲑᲐᲡ“, — ᲐᲠᲐᲔᲠᲗᲮᲔᲚ ᲣᲤᲘᲥᲠᲘᲐ ᲒᲝᲓᲔᲠᲫᲘᲡ.

ᲔᲠᲗᲘ-ᲝᲠᲯᲔᲠ ᲕᲐᲮᲢᲐᲜᲒ ᲞᲔᲢᲠᲝᲕᲘᲩᲛᲐᲪ ᲒᲐᲓᲐᲡᲪᲐ ᲛᲐᲚᲮᲐᲖᲡ ᲚᲘᲙᲐᲡ ᲓᲐᲜᲐᲑᲐᲠᲔᲑᲘ, — ᲡᲐᲓ ᲓᲐᲘᲙᲐᲠᲒᲔ ᲐᲡᲔ ᲣᲜᲐᲛᲣᲡᲝᲓᲝ.

ᲜᲐᲠᲗᲚᲐᲪ, ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲡᲔᲥᲢᲔᲛᲑᲠᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ, ᲠᲝᲪᲐ ᲚᲘᲙᲐᲡ ᲡᲐᲛᲔᲓᲘᲪᲘᲜᲝ ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲨᲘ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲐ ᲓᲐᲘᲬᲧᲝ, ᲘᲒᲘ ᲘᲥ ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲣᲠᲡ ᲐᲡᲬᲐᲕᲚᲘᲓᲐ, ᲛᲐᲜ ᲡᲣᲚ ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲯᲔᲠᲛᲔ ᲛᲝᲐᲮᲔᲠᲮᲐ ᲡᲐᲛᲔᲑᲐᲨᲘ ᲩᲐᲡᲕᲚᲐ. ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲘᲛ ᲘᲨᲕᲘᲐᲗᲘ ᲓᲦᲔᲔᲑᲘᲡ ᲣᲛᲠᲐᲕᲚᲔᲡᲝᲑᲐ ᲣᲥᲛᲐᲓ ᲬᲐᲣᲕᲘᲓᲐ, ᲠᲐᲓᲒᲐᲜ ᲛᲐᲚᲮᲐᲖᲘ ᲣᲛᲔᲢᲔᲡ ᲬᲘᲚᲐᲓ ᲐᲜ ᲠᲐᲘᲝᲜᲘᲡ ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲛᲔ ᲨᲝᲠᲔᲣᲚ ᲡᲝᲤᲚᲔᲚᲨᲘ ᲘᲛᲧᲝᲤᲔᲑᲝᲓᲐ ᲛᲘᲕᲚᲘᲜᲔᲑᲘᲗ, ᲐᲜᲓᲐ ᲠᲐᲘᲜᲔ ᲦᲝᲜᲘᲡᲫᲘᲔᲑᲐᲡ ᲐᲢᲐᲠᲔᲑᲓᲐ ᲓᲐ ᲛᲝᲣᲪᲚᲔᲚᲘ ᲘᲧᲝ.

ᲙᲐᲪᲘ ᲕᲔᲠ ᲘᲢᲧᲝᲓᲐ, ᲠᲝᲛ ᲔᲡ ᲒᲐᲠᲔᲛᲝᲔᲑᲐ ᲚᲘᲙᲐᲡ ᲛᲔᲢᲘᲡᲛᲔᲢᲐᲓ ᲐᲓᲐᲠᲓᲔᲑᲓᲐ, ᲐᲜᲓᲐ ᲐᲛᲬᲣᲮᲠᲔᲑᲓᲐ. ᲡᲐᲛᲐᲒᲘᲔᲠᲝᲓ, ᲕᲐᲮᲢᲐᲜᲒ ᲞᲔᲢᲠᲝᲕᲘᲩᲡ ᲡᲣᲚ ᲣᲤᲠᲝ ᲓᲐ ᲣᲤᲠᲝ ᲛᲔᲢᲐᲓ ᲔᲛᲩᲜᲔᲠᲝᲓᲐ ᲨᲔᲨᲤᲝᲗᲔᲑᲐ.

ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘᲪ ᲐᲠ ᲔᲪᲐᲓᲐ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲛᲓᲘᲕᲐᲜᲘ, ᲕᲔᲠᲐᲤᲠᲘᲗ ᲛᲐᲚᲮᲐᲖᲘ ᲕᲔᲠ ᲓᲐᲘᲛᲐᲠᲗᲝᲮᲔᲚᲐ, ᲠᲐᲗᲐ ᲛᲝᲐᲮᲚᲝᲔᲑᲣᲚ ᲥᲝᲠᲬᲘᲚᲖᲔ ᲓᲐᲗᲐᲗᲑᲘᲠᲔᲑᲝᲓᲐ ᲓᲐ ᲖᲝᲒᲘᲔᲠᲗᲘ ᲐᲣᲪᲘᲚᲔᲑᲔᲚᲘ ᲡᲐᲥᲛᲔ ᲛᲐᲡᲗᲐᲜ ᲔᲠᲗᲐᲓ ᲒᲐᲓᲐᲔᲬᲧᲘᲢᲐ. ᲠᲐᲘᲙᲝᲛᲨᲘ ᲡᲣᲚ ᲒᲐᲠᲔᲨᲔ ᲮᲐᲚᲮᲘᲗ ᲘᲧᲕᲜᲔᲜ ᲒᲐᲠᲨᲔᲛᲝᲠᲗᲧᲣᲛᲣᲚᲜᲘ, ᲡᲐᲮᲚᲨᲘ ᲡᲐᲡᲘᲫᲝ ᲐᲠ ᲔᲙᲐᲠᲔᲑᲝᲓᲐ, ᲮᲝᲚᲝ ᲪᲣᲓ-ᲣᲑᲠᲐᲚᲝᲓ ᲡᲐᲣᲑᲐᲠᲡ, ᲡᲐᲗᲐᲜᲐᲓᲝ ᲒᲐᲠᲔᲛᲝᲡ ᲒᲐᲠᲔᲨᲔ — ᲗᲕᲘᲗ ᲕᲐᲮᲢᲐᲜᲒ ᲞᲔᲢᲠᲝᲕᲘᲩᲘ ᲒᲐᲣᲠᲑᲝᲓᲐ.

ᲐᲛ ᲧᲝᲤᲐᲨᲘ ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲔᲠᲘᲪ ᲛᲘᲘᲬᲣᲠᲐ.

ᲐᲛ ᲬᲔᲚᲡ ᲒᲝᲓᲔᲠᲫᲘᲛ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲜᲐᲬᲘᲚᲘ ᲗᲐᲕᲙᲕᲔᲠᲘ ᲙᲘᲓᲔᲕ ᲣᲤᲠᲝ ᲛᲔᲢᲘ ᲛᲝᲜᲓᲝᲛᲔᲑᲘᲗ ᲓᲐᲐᲧᲔᲜᲐ. ᲓᲘᲓᲘ ᲮᲐᲠᲯᲘ ᲔᲚᲝᲓᲐ ᲑᲐᲖᲘᲡ ᲛᲛᲐᲠᲗᲕᲔᲚᲡ.

ᲒᲣᲚᲘᲡ ᲡᲘᲦᲠᲛᲔᲨᲘ ᲘᲒᲘ ᲘᲛᲔᲓᲡ ᲐᲠᲐ ᲰᲙᲐᲠᲒᲐᲕᲓᲐ, ᲠᲝᲛ ᲛᲘᲡᲘ ᲨᲕᲘᲚᲘ ᲘᲡᲔᲕ ᲠᲐᲘᲙᲝᲛᲘᲡ ᲛᲓᲘᲕᲜᲘᲡ ᲥᲐᲚᲡ ᲘᲠᲩᲔᲕᲓᲐ ᲓᲐ ᲪᲐᲚᲣᲦᲚᲐᲓ ᲡᲘᲐᲠᲣᲚᲡ ᲓᲐᲐᲜᲗᲐᲕᲠᲔᲑᲓᲐ. ᲐᲮᲚᲐ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲠᲐᲘᲙᲝᲛᲘᲡ ᲛᲓᲘᲕᲜᲘᲡᲗᲕᲘᲡ, ᲣᲪᲝᲚᲨᲕᲘᲚᲝᲑᲐ ᲛᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲣᲮᲔᲠᲮᲣᲚᲘᲪ ᲙᲘ ᲘᲧᲝ. ᲐᲙᲘ ᲐᲥᲐ-ᲘᲥ ᲙᲘᲓᲔᲪ ᲡᲫᲠᲐᲮᲐᲕᲓᲜᲔᲜ.

ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲜᲐᲗᲥᲕᲐᲛᲘᲐ ᲙᲐᲪᲘ ᲑᲭᲝᲑᲓᲐ, ᲦᲛᲔᲠᲗᲘ ᲘᲪᲘᲜᲝᲓᲐᲝ.

ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲔᲠᲛᲐ ᲗᲐᲕᲒᲖᲐ ᲐᲣᲑᲜᲘᲐ ᲒᲝᲓᲔᲠᲫᲘ ᲖᲔᲜᲙᲚᲘᲨᲕᲘᲚᲡ.

ᲘᲛ ᲓᲦᲔᲡ ᲓᲐᲤᲔᲗᲔᲑᲣᲚᲘ ᲘᲡᲐᲙᲐ ᲒᲝᲓᲔᲠᲫᲘᲡ ᲙᲐᲑᲘᲜᲔᲗᲨᲘ ᲨᲔᲔᲭᲠᲐ ᲓᲐ ᲗᲐᲕᲖᲐᲠᲓᲐᲛᲪᲔᲛᲘ ᲐᲛᲑᲐᲕᲘ ᲐᲣᲬᲧᲐ: ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲛᲓᲘᲕᲐᲜᲘ ᲒᲐᲓᲐᲐᲧᲔᲜᲔᲡᲝ...

ᲘᲛ ᲓᲦᲘᲓᲐᲜ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲯᲐᲠᲐ ᲙᲘᲓᲔᲕ ᲣᲤᲠᲝ ᲡᲬᲠᲐᲤᲐᲓ ᲓᲐᲢᲠᲘᲐᲚᲓᲐ... ᲧᲝᲕᲔᲚ ᲐᲮᲐᲚ ᲓᲦᲔᲡ ᲠᲐᲦᲐᲪ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲓᲐ ᲒᲐᲣᲒᲝᲜᲐᲠᲘ ᲜᲝᲰᲥᲝᲜᲓᲐ...

ᲯᲔᲠ ᲘᲧᲝ ᲓᲐ, ᲕᲐᲮᲢᲐᲜᲒ ᲞᲔᲢᲠᲝᲕᲘᲩᲘ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲛᲓᲘᲕᲜᲝᲑᲘᲓᲐᲜ ᲒᲐᲓᲐᲘᲠᲩᲘᲔᲡ, ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲨᲘ ᲒᲐᲘᲬᲕᲘᲔᲡ ᲓᲐ ᲘᲥ ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲦᲐᲪ ᲡᲐᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝ ᲣᲤᲠᲝᲡᲐᲓ ᲓᲐᲜᲘᲨᲜᲔᲡ.

ᲛᲘᲡ ᲛᲐᲒᲘᲕᲠᲐᲓ ᲡᲣᲚ ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲐ ᲙᲐᲪᲘ, ᲕᲐᲯᲐ ᲥᲐᲕᲗᲐᲠᲐᲫᲔ ᲒᲐᲛᲝᲒᲖᲐᲕᲜᲔᲡ. ᲗᲣᲛᲪᲐ ᲠᲐᲘᲝᲜᲨᲘ ᲛᲐᲡ ᲐᲠᲐᲕᲘᲜ ᲘᲪᲜᲝᲑᲓᲐ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲖᲝᲒᲘᲔᲠᲗᲛᲐ ᲡᲐᲛᲔᲑᲔᲚᲛᲐ ᲧᲝᲕᲚᲘᲡᲘᲪᲝᲓᲜᲔᲛ, ᲠᲐᲦᲪᲜᲐᲘᲠᲐᲓ ᲨᲔᲘᲢᲧᲝ, ᲠᲝᲛ ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘᲛᲔ ᲬᲚᲘᲡ ᲬᲘᲜ ᲘᲒᲘ ᲙᲝᲛᲙᲐᲕᲨᲘᲠᲣᲚ ᲡᲐᲛᲣᲨᲐᲝᲖᲔ ᲧᲝᲤᲘᲚᲐ, ᲮᲝᲚᲝ ᲑᲝᲚᲝ ᲝᲠ ᲬᲚᲔᲚᲘᲬᲐᲓᲡ ᲓᲣᲨᲔᲗᲘᲡ ᲠᲐᲘᲙᲝᲛᲘᲡ ᲛᲔᲡᲐᲛᲔ ᲛᲓᲘᲕᲜᲐᲓ ᲣᲛᲣᲨᲐᲕᲜᲘᲐ. „ᲛᲔᲡᲐᲛᲔ ᲛᲓᲘᲕᲐᲜᲘ ᲞᲘᲠᲓᲐᲞᲘᲠ ᲞᲘᲠᲕᲔᲚ ᲛᲓᲘᲕᲜᲐᲓ“ — ᲣᲙᲕᲘᲠᲓᲐᲗ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲐᲛᲑᲔᲑᲘᲡ ᲜᲝᲧᲕᲐᲠᲣᲚᲗᲐ ᲓᲐ ᲥᲐᲕᲗᲐᲠᲐᲫᲘᲡ ᲓᲐᲬᲘᲜᲐᲣᲠᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲖᲔᲖᲔᲑᲖᲔ ᲒᲐᲣᲗᲐᲕᲔᲑᲔᲚᲘ ᲡᲯᲐ-ᲑᲐᲐᲡᲘ ᲰᲥᲝᲜᲓᲐᲗ.

...ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲨᲘ ᲒᲐᲛᲒᲖᲐᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲬᲘᲜ, ᲕᲐᲮᲢᲐᲜᲒ ᲞᲔᲢᲠᲝᲕᲘᲩᲘ ᲓᲐᲡᲐᲛᲨᲕᲘᲓᲝᲑᲔᲚᲐᲓ ᲖᲔᲜᲙᲚᲘᲐᲜᲗ ᲔᲡᲢᲣᲛᲠᲐ. ᲙᲕᲘᲠᲐ ᲓᲦᲔ ᲘᲧᲝ ᲓᲐ ᲖᲔᲜᲙᲚᲘᲐᲐᲜᲘ ᲡᲐᲣᲖᲛᲔᲡ ᲣᲡᲗᲓᲜᲔᲜ. ᲛᲝᲰᲙᲠᲐ ᲗᲣ ᲐᲠᲐ ᲛᲐᲚᲮᲐᲖᲛᲐ ᲗᲕᲐᲚᲘ ᲛᲐᲜᲥᲐᲜᲘᲓᲐᲜ ᲒᲐᲓᲛᲝᲡᲣᲚ ᲧᲝᲤᲘᲚ ᲛᲓᲘᲕᲐᲜᲡ, ᲓᲔᲓ-ᲛᲐᲛᲐᲡ ᲮᲔᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲕᲡᲐᲕᲘᲗ ᲐᲜᲘᲨᲜᲐ, — ᲣᲗᲮᲐᲠᲘᲗ ᲛᲔ ᲡᲐᲮᲚᲨᲘ ᲐᲠᲐ ᲕᲐᲠᲝ, ᲥᲣᲓᲡᲐ ᲓᲐ ᲞᲐᲚᲢᲝᲡ ᲮᲔᲚᲘ ᲡᲢᲐ-

ცა, უკანა კარიდან გავარდა, ბაღი გადასერა, ღობეში დატანებულ ღრიჭოში გაძვრა და სადღაც გაუჩინარდა.

ვახტანგ პეტროვიჩი ჩაფიქრებული ჩანდა. ძველებური რიხი და ხალისი აკლდა. უფრო სადად და უბრალოდ იქცეოდა. რაკი თავისი მანქანა აღარა ჰქონდა, ბეჟიკო ცქვიტინიძის მანქანით მოვიდა და შოფერი ნაშინვე უკან გააბრუნა.

გოდერძი და ვახტანგ პეტროვიჩი, როგორც ეს უწინ უყვარდათ, ტაბლასავით დაბალ სამფეხა მაგიდას მიუსხდნენ. მალალომაც ძველებური გულხალვათობით გაუშალა პურმარილი, მაგრამ მამაკაცების სიტყვაძუნწ მასლაათს ძველებური უშუალობა და საუბრის წადილი აკლდა. ლაპარაკი არ გამოუდიოდათ. ამიტომ უფრო მეტად ყუჩად ისხდნენ, თავ-თავის საფიქრალს მიცემულნი.

თუ სამებაში ვინმე ფიქრობს, რომ მე გამიმეტეს და დამაქვეითეს, ძალიან ცდება. მე, დიდი ხანია ნათხოვნი მაქვს თბილისში გადაყვანა. ხანში შევედი, და რაღა დაგიმალო, ცოტა დავიღალე კიდეც. ხუმრობა ხომ არ არის, მეოთხედ საუკუნეზე მეტი ხანია კაცმა პირველ მდივნად იმუშაო. აღარ შენიძლიან როგორც ეს უწინ შემეძლო დარსა თუ ავდარში მინდორ-მინდორ ხეტიალი .ერთ სამმართველოს კი როგორმე მოვუვლი. გარდა ამისა, დროც მეტი მექნება ჩემ თავსა და ჩემს ოჯახს მივხედო.

მალხაზს გადაეცი, ამ კვირას თბილისში ჩამოვიდეს, და აუცილებლად მნახოს, მოსალაპარაკებელი ნაქვს... ისე კი, როგორც დავთქვით, ქორწილს მე გადავიხდი, ამასთან, ჩემს სიძეს ახალთახალ „ვოლგასაც" მივართმევ, უკანასკნელი გამოშვებისას. დეე, ცოლმაც და ქმარმაც საკუთარი ავტომანქანებით იგრიალონ ჩემი და შენი მტრების ჯინაზე...

გოდერძი თავჩაქინდრული იჯდა და ყვავლაფერზე თავს უქნევდა. მაგრამ ისე, რომ კარგად ვერ გაიგებდი, უბრალოდ აკანტურებდა თავს თუ მართლაც ეთანხმებოდა ვახტანგ პეტროვიჩის ნათქვამს.

მთელი თავისი გამოცდილების მიუხედავად იმ საღამოს ყოფილი პირველი მდივანი ისე წავიდა ზენკლიაანთ სახლიდან, რომ ვერც მალხაზის გუნება-განწყობილება შეიტყო და ვერც მის დედ-მამას წამოაცდევინა რაიმე ინედის მომცემი სიტყვა. „უყურეთ ერთი ამ ტეტიებს — ფიქრობდა გაბრაზებული ვახტანგ პეტროვიჩი — არ წამომიწყეს აქ ინგლისური დიპლომატია".

ახალი მდივნის დანიშვნამ კი მთელი სამება ააწრიალა.

თავისი ახალგაზრდობის მიუხედავად, ახალი პარტიული ხელმძღვანელი დინჯი, დაკვირვებული და უნარიანი კაცი გამოდგა.

იგი ადრიანი დილიდან გვიანობამდე საქმეს დასტრიალებდა და დაღლა არ იცოდა. ხალხშიც მალე გაერკვა, რაიკომსა და რაიაღსასკომში რამდენიმე კაცი შეცვალა., პირველ რიგში, ბეჟიკო ცქვიტინიძე გაისტუმრა სამებიდან, შემდეგ კი რაიაღმასკომის თავმჯდომარეც მიაყოლა. მათ ნაცვლად ერთი ადგილობრივი ახალგაზრდა დააწინაურა, ერთიც გორიდან გადმოაყვანინა.

ახალ მდივანს სულ სხვა მიდრეკილებები და სადარდებელი აღმოაჩნდა. კაბინეტში ნაკლებად იჯდა, მთელ დღეებს მინდვრებსა, ფერმებსა და საწარმოებში ატარებდა. სუფრაზე ჭიქით ხელში არავის უნახავს. ერთი თვეც არ იყო მისი არჩევიდან გასული, თვით უშორესი სოფლებიც კი ორ-სამჯერ მოინახულა. მკაცრი იყო, არავის არაფერს აპატიებდა, მაგრამ ხალხზე ზრუნვაც მეტი შეეძლო. სულ მალე ყველა სადავე ხელში დაიჭირა, რაიონის ნამდვილი ბატონ-პატრონი გახდა, საქმოსნებსა და თაღლითებს სასტიკად ებრძოდა, თვითონ კი უანგარო, პატიოსანი კაცის სახელი დაიგდო. ეს უკვე ბევრს ნიშნავდა.

მალხაზს ახალმა მდივანმა თავიდანვე კარგი თვალით შეხედა. მოეწონა მისი საზრიანობა, ენერგიულობა, თავმდაბლობა. მალხაზიც თავს არ იზოგავდა, პირველ მდივანს თვალებში შესცქეროდა, მის ყოველ დავალებას უნაკლო სიზუსტითა და მონდომებით ასრულებდა.

ბოლოდ ერთხელ ჰქონდა მალხაზს არასასიამოვნო საუბარი რაიონის ახალ ხელმძღვანელთან.

შუაღამე გადასული იყო. ორივე სახლში წასვლას აპირებდა და სწორედ მაშინ, როცა მალხაზმა დასამშვიდობებლად ხელი გაუწოდა, პირველმა მდივანმა, ვითომ სხვათაშორის ჰკითხა:

— მამათქვენი, „ლესსტროიტორგის“ ბაზის მმართველად მუშაობს?

მალხაზმა უცებ არ უპასუხა. გუნებაში გაუელვა: — „ვითომც, აქამდე არ იცოდი ვინც იყო მამაჩემი“. მაგრამ მდივნის ხმაში ვერავითარი საეჭვო კილოვანება ვერ შეამჩნია.

— დიახ, სწორედ იქ მუშაობს.

— როგორი კაცია? — ღიმილით ჰკითხა მდივანმა და როცა მალხაზმა მხრები აიჩეჩა, — აბა, რა გითხრაო, სახუმარო კილოთი დააყოლა: — მამები ყოველთვის კარგები გვეჩვენება, მით უფრო მამათქვენისთანა ყოჩაღი დარდიმანდები თუ არიან.

მალხაზს რატომღაც სიტყვა „გვეჩვენება“ აეკვიატა და მოსვენება არ მისცა. იმ დღეს რასაც კი არ აკეთებდა, სადაც კი არ წავიდა და რაზეც არ ლაპარაკობდა, სულ ეს წყეული სიტყვა ჰქონდა გონებაში გაჩხერილი.

ამ მოკლე გადალაპარაკებამ და, თითქოს, სულ უბრალო საუბარმა დიდ საგონებელში ჩააგდო გოდერძი ზენკლიშვილის მემკვიდრე. ავის მომასწავებელ ნიშნად მითვალა მან პირველი მდივნის ორი პაწია შეკითხვა და მასში თავისი ბედის საფრთხე დაინახა. მისი აზრით, ყოველივე ამას, ადრე თუ გვიან, აუცილებლად საზიანო შედეგი უნდა მოჰყოლოდა.

ამას ისიც აფიქრებინებდა, რომ ვაჟა ქავთარაძემ დიდი ბრძოლა გააჩაღა მანკიერებათა წინააღმდეგ. რაიონული გაზეთი სავსე იყო მამხილებელი წერილებით და საქართველოს ცენტრალური პრესიდან გადმობეჭდილი მასალებით უკანონობათა თუ დარღვევათა შესახებ.

ტელევიზიაში თითქმის ყოველ დღე უჩვენებდნენ „ოქროპირის“ ახალ-ახალ გამოშვებას, სადაც სულ იმაზე იყო ლაპარაკი, სად, ვინ, რა დააშავა.

გახშირდა აქტივის კრებები, პლენუმები, სხდომები, თათბირები, კონფერენციები.

რაიკომის ბიურო ძალზე ხშირად იკრიბებოდა, შუადღეზე დაწყებული სხდომები შუაღამემდე გრძელდებოდა.

თითქმის ყოველ ბიუროზე ვიღაცას ხსნიდნენ, ათავისუფლებდნენ, პასუხისგებაში აძლევდნენ, პარტიიდან რიცხავდნენ. სამაგიეროდ, ნიშნავდნენ და აწინაურებდნენ ახლებს, უპირატესად ახალგაზრდა მუშაკებს, ხდებოდა აპარატის ცვლა, მისი განახლება.

რაიონში ყველა დაძაბული და აღგზნებული ჩანდა. სამებაში სულ უფრო და უფრო ხშირად ჩამოდიოდნენ უცნობები, რათა ნაცნობთა თანამდებობები დაეკავებინათ.

რაიონის ცენტრიც და მთელი რაიონიც აფორიაქებულ სკას დაემსგავსა. აქამდე მეყუჩებულმა კრიტიკულმა შემართებამ ერთბაშად გაიღვიძა და მძაფრი შეტაკებანი ყოველდღიურობად აქცია.

ვაჟა ქავთარაძე არც თვითონ ისვენებდა და არც სხვას აძლევდა მოსვენებას. სისხამ დილიდან იწყებოდა მისი საქმიანობა — მუშაკთა გამოძახებით, პირადი მისვლა-მოსახულებით, სატელეფონო ლაპარაკით, კომისიების დაგზავნით, და ნაშუაღამევს ძლივს მთავრდებოდა.

რაიკომის და რაიაღმასკომის მუშაკებს, მთავარი სარაიონო დაწესებულებების თანამშრომლებს კვირა-უქმე აღარ გააჩნდათ, ხოლო მათ ხელმძღვანელებს უძილობით თვალები დასწითლებოდათ და მოსვენება დაჰკარგოდათ.

მალხაზსაც მძიმე დღე ადგა.

იგი თავიდანვე მიხვდა, რომ ახლა მისი ყოფნა-არყოფნის საკითხი წყდებოდა.

თუ მოახერხებდა და ადგილს შერჩებოდა, თუ ყველა ეს მძლავრი შეჯანჯღარებები უნაგირიდან ვერ ამოაგდებდნენ, მაშინ გზა მომავლისა ხსნილი აღმოჩნდებოდა, მაშინ იმედი ექნებოდა, რომ ბედის ბილიკი არსად გადაუტყდებოდა. მაგრამ, ღმერთმა ნუ ჰქნას, თუ...

ბედის ასეთ ბოროტ შემოტრიალებაზე ფიქრიც კი არ შეეძლო... რა კარგად აეწყო აქამდე ყველაფერი და განა ახლა შეიძლებოდა ამოდენა მონაგარის ერთბაშად დაკარგვა? და ისიც რისთვის; იმისთვის,

რომ ახალ მოსულს მამამისი თვალში არ მოუვიდა!..

ქავთარაძეს რომ გოდერძი არ მოსწონდა, ეს თავიდანვე ცხადი იყო, მაგრამ აი, პირადად მისადმი მდივნის დამოკიდებულება ვერაფრით ვერ გაეგო; ერთ დღეს რომ ფიქრობდა: „აუცილებლად მომინელებს ეს აფთარიო", მეორე დღეს იმედი ესახებოდა გულში და რაღაც წვრილმანი ნიშნების საფუძველზე ასკვნიდა: „არა, მგონი, არ უნდა ვყავდე ჯერ მთლად გამეტებულიო".

ეს შიში, ადგილზე შერჩენის ეს სურვილი, ძალღონს ჰნატებდა და ორმაგი ტვირთის ზიდვას უადვილებდა.

ბუნებით ფხიზელსა და ალღოიანს ადვილად შეეძლო სიახლით აღტაცება, მისთვის მხარის მიცემა. როცა ნახა რესპუბლიკის ახალი ხელმძღვანელობა და რაიონში ახლად მოვლენილი პირველი მდივანიც მთელ ყურადღებას ნაკლოვანებათა გამოსწორებას ახმარენო, თვითონაც ამ გზაზე შედგომა მოიწადინა და სამების რაიონში ერთ ყველაზე მძაფრ კრიტიკოსად, უარყოფით მოვლენებთან შეურიგებელ მებრძოლად გახდომა სცადა.

ყველა თავყრილობაზე მკაცრი კრიტიკით გამოდიოდა, არავის არ ინდობდა, ახალ ვითარებაზე ლაპარაკობდა და თავის მსმენელებს წესიერებისაკენ, შეურიგებლობისაკენ, პარტიული ნორმების აღდგენისაკენ მოუწოდებდა.

და, უნდა ითქვას, სწამდა კიდეც რასაც ლაპარაკობდა, რადგან თავი სრულიად უდანაშაულოდ მიაჩნდა და, მართლაც თავის სიცოცხლეში ჯერ არც ქრთამი აეღო, არც სახელმწიფო ქონება დაეტაცებინა, არც ექურდა და არც ეთაღლითა.

მაგრამ ეს რწმენა საკუთარ უცოდველობაში ერთ მშვენიერ დღეს ისე შეერყა, ლამის სამუდამოდ წაერთვა სურვილი სხვის დანაშაულზე ლაპარაკისა.

□ გაგრძელება იქნება □

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ზაურ ბოლქვაძე

მამულო, საყვარელო!..

მარტო შენ შემიმსუბუქებ
საფლავში ჩასვლის სიმძიმეს!..
იქაც გილოცებ, გიფიქრებ,
გისიზმრებ, — ისე ვიძინებ!..

სიკვდილშიც შენით გავივლი
ჩემი სამარის ვიწრო გზებს!..
თუ შენ მოკვდები, — მოვკვდები!..
თუ შენ იცოცხლებ, — ვიცოცხლებ!..

* * *

მარადიული ფიფქით დაგფიფქავს
და აგიჟრჟოლებს სულს მირაჟამდე —
კაცის და ღმერთის ერთად ნაფიქრი —
„სილაში ვარდი“ და „სილაჟვარდე“.

ლადო ასათიანი

გულს ანთებს და ახურებს,
და სულს ასანთლიანებს
ლექსი (ცხელი ზაფხული!)
ლადო ასათიანის!

პოეზია ტკბილ მგოსნის,
ფიქრით გადაგვიფიფქავს —
არსებობას — სიცოცხლის
და სიკვდილის იქითაც!..

* * *

მწუხრმა შემოდგომისა
დაბინდა რა მთა-გორი, —
სული ლექსმა მონისლა
რაბინდრანათ თაგორის!

გადაიხსნა ცა ვრცელი,
სულს ღვთის ლამპრით დანათის
ლექსი — ლოცვანაცრემლი —
დიდი რაბინდრანათის!

ეროვნული ბიბლიოთეკა

გურამ საღარაძე

სულ მთლად ჩამეღვარა
სულში თაკარა მზე!..
სუნთქვა შემეკრა და
სუნთქვა გამიხშირდა! —

ლექსებს კითხულობდა
გურამ საღარაძე!..
ჰქუხდა საქართველო
იმ ხმის ქარიშხლითა!..

ალმოჩენა ტელევიზორთან მრავალსერიიანი ფილმის დამთავრების შემდეგ

ძვირფასო მაყურებლებო!
მისმინეთ, რა დროს ძილია! —
აი, რა აღმოვაჩინე!
აი, რა უნდა გახაროთ:

ჩვენი ცხოვრება უთვალავ-
სერიიანი ფილმია! —
მას ცის ეკრანზე მუდმივად
უყურებს მთელი სამყარო!

გარდასულ დროთა პოეტის ალსარებანი

მე ვარ დაჭრილი არწივი,
ლექსებით ვიფრენ სიკვდილშიც!..
ვარ სისხლისაგან დაცლილი
და ჩემს სტრიქონებს სისხლი სდის!..

* * *

ყველამ იცოდეთ, ეს მინდა,
რომ ლექსის უკან ღმერთი დგას!
ცხოვნდების კაცი ლექსითაც,
არა პურითა ერთითა!

* * *

ლექსს მივეცი სიცოცხლე
სინათლედ და სიცეცხლედ!..
ის სიცოცხლე ცოტა ხნით
სიკვდილისგან ვისესხე!..

* * *

თუ საქართველოს ეჭირდები, —
თვით ღმერთსაც შევეჭიდები!

ეროვნული ბიბლიოთეკა

* * *

მე, მუხლმოყრილი,
დღედაღამე ვლოცულობ შენთვის —
ცრემლებით ჩემთა
თვალთა ამვსებო!..

ხანდახარ ვფიქრობ:
„ნუთუ, მართლა არსებობს ღმერთი?"
რაკი შენა ხარ,
მართლა არსებობს!

* * *

მე ერთხელ მერგო სიცოცხლე!
ერთხელ სიკვდილი მრგებოდეს!
არ მინდა, ბევრჯერ ვცოცხლობდე!
არ მინდა, ბევრჯერ ვკვდებოდე!

* * *

კლდის ცივ ნაპრალში ბჟუტავს ენძელა,
და საცოდავად უმზერს თებერვალს...
სული უეცარ სევდას ეძლევა:
მინდა მისვლა და სულის შებერვა.

მალე უნდა დაგტოვო,
ჩემო გულო — დაჭრილო!
დაბრუნება არ მთხოვო! —
არ ვარ შენთვის საჭირო!

ცა

ვარსკვლავებით დაწერილი
იფურცლება ცის რვეული,
მეწამულად გაწოლილა
ანდრომედას ნისლეული!..

ანდრომედას ნისლეული —
ზეცის დიდი საიდუმლო —
ფიქრად უნდა იგრძნეულოთ
და მფარველად დაიგულოთ!

ცა თავის თავს ჰგავს და არც ჰგავს,
ცა კი არა, ლირიკაა!..

და აცვია ცისკრის ვარსკვლავს
მკრთალი შუქის თბილი კაბა!..

მთვარე თუმცა მიწისაა,
მაინც სხივებმიმცხრალია!..
ყველა მნათობს მისი გზა აქვს, —
მიწისათვის ვის სცალია?!

ოცნებაა ცრემლი ცისა
და სათავეს მისგან იღებს!..
ცა ვილოცოთ! ჩვენ ცა გვიცავს!
გვწამდეს მისი წმინდა სიღრმე!

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიზმარი

გარდაიცვალა დედამიწა —
მწვანე პლანეტა —
ადამიანთა სამყოფელი
დედაცთომილი!..
დადგა მარადი უკუნეთი
ბნელთა ღამეთა!..
ზეცამ ჩაიცვა სამოსელი
შავი ქსოვილის!..

შვილები ადრე დაეხოცა!..
ვერვინ აცრემლდა!..
არავინ იყო მომსწრე
დედის გარდაცვალების!..
არ ჩამოსულა ნათესავი
სხივი არც ერთი, —
არც მზის, არც მთვარის,
არც ვარსკვლავების!..

* * *

თუმც სიცოცხლე და სიკვდილი
უკვდავებასთან გავრითმე,
მაინც იმ წუთებს მივტირი, —
უფალო, — შენ რომ ამინთე!

* * *

სიცოცხლის ცა იცელება,
აღტაცება გაქრა ძველი!..
ტკივილებით იწერება
ლექსი — გულის გამკაწვრელი!..

* * *

მიწა მწვანედ დაიწვა,
ცა განათდა ლოცვისფრად!
აჰა, გაყრა დაიწყო
სულისა და ხორცისა!..

მიწა დარდმა დადარდა,
ცას ეწყინა წყლულისფრად!..
აჰა, გაყრა დამთავრდა
ხორცისა და სულისა!..

ეროვნული ბიბლიოთეკა

* * *

გამათავეს ლექსის გზებმა,
გავათავე ლექსის გზები!..
ლექსი აღარ მესიზმრება,
ლექსსაც აღარ ვესიზმრები!..

* * *

შენ ზევითა ხარ, მე — ქვევით!..
მტირი, ცრემლებად მეფრქვევი!..
ნუ მტირი, გარდაცვლილი ვარ, —
ცრემლებში ვეღარ ვერკვევი!

გულ ი

სუყველაფერს განიცდიდა,
ათენებდა ღამეს თეთრად! —
ამიტომაც გამიცივდა,
ამიტომაც დამეფერფლა!..

* * *

არ მეკეთა ნიღაბი,
ძმებო, თქვენ რომ გხვდებოდით!
ოი, როგორ მიყვარდით,
როგორ გეფერებოდით!

* * *

სულ უნდა იცოცხლო,
იქუხო, იმძლავრო, —
სიცოცხლევ, — სიკვდილის
ლამაზო სიზმარო!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რევაზ ჯაფარიძე

მძიმე ჯვარი

რომანი ოთხ წიგნად

წიგნი მესამე

თავი VI

ძმასთან, ბატონიშვილ იოსებთან მოთათბირების შემდეგ სოლომონი უწმიდეს კათალიკოს ბესარიონსა და ეპისკოპოს მაქსიმე აბაშიძესაც ეთათბირა, ყურში ჩააწვეთა, ხომ არ აჯობებდა, ჯრუჭულის სადავო ხეობა მონასტრის საკუთრებად გამოგვეცხადებინაო. მღვდელმთავრები არც კი შეყოყმანებულან აზრი ისე მოუწონეს. მეფე ამან უფრო დააფიქრა, სახელმწიფო ბეჭდის მცველ გიორგი წულუკიძეს, თავის აღმზრდელს, ძველი გუჯრები ამოაქექინა, იქნებ ზურგის გამამაგრებელი რაიმე სიგელი ვიპოვნოთო და ბოლოს ოდესღაც მამულებით, ბაღ-ვენახებით, სათიბ-საძოვრებითა და ტყით განთქმული და მრავალრიცხოვან ბერ-ჭონაზონთა ნაღვაწით ცამდე ამაღლებული ჯრუჭის მონასტრის საბუთებიც მოითხოვა. მონასტრის საბუთები, მცირე გამონაკლისის გარდა, მდიდარი წიგნსაცავითურთ, თვით მონასტერში ინახებოდა და მათი გაცნობა, ოდითგანვე დაკვიდრებული წეს-ჩვეულების თანახმად, მსურველს მხოლოდ ადგილზე შეეძლო. სოლომონი კარის მწირველი მღვდლის, სვიმონ წერეთლის, ამ პასუხით დაკმაყოფილდა და მონასტრის საბუთების გაცნობა, რაც ასე საჭიროდ მიაჩნდა, შემდგომი დღეებისათვის გადასდო.

უწმინდესი კათალიკოსი ბესარიონი აღაფრთოვანა მეფის გადაწყვეტილებამ და სოლომონს გულში ხელმწიფურ სიბრძნეს უქებდა. ამავე აზრისა იყვნენ ეპისკოპოსი მაქსიმე აბაშიძე და ბატონიშვილი იოსებიც, რომელიც საწერეთლოდან ხელცარიელი დაბრუნდა და რცხვენოდა, რომ გვირგვინოსან ძმას იმედი სათანადოდ ვერ გაუმართლა.

ჯრუჭულის ხეობის სოფლების საეკლესიოდ გამოცხადება და ჯრუჭის მონასტრისათვის მიკუთვნება წლების განმავლობაში შექმნილი რთული მდგომარეობიდან ერთადერთი გონივრული და უხიფათო გამოსავალი იყო. ორივე მხარე, რაკი დაინახავდა და დარწმუნდებოდა, რომ მეფემ არც ერთ მოწინააღმდეგეს არ მიჰკერძა და სულის სარგო შუათანა გზა აირჩია, როგორმე გაუძლებდა ხეობაზე ხელის აღებით მიყენებულ ზარალს და თანხმობას უყოყმანოდ გამოაცხადებდა.

— ვგონებ სჯობს, დარბაზის ერი

* გაგრძელება .იხ. „მნათობი" № 1.

ჯრუჭის მონასტერში მივიპატიჟოთ და საქმეც საბოლოოდ იქ გადავწყვიტოთ! — უთხრა მეფემ კათალიკოს ბესარიონს და მაშინვე გასცა ბრძანება, ეს განკარგულება დიდებულებისათვის დაეგზავნათ.

პაპუნა და ქაიხოსრო წერეთლებმა, რომლებიც თავს სამეფო კარის ძასპინძლებად თვლიდნენ და ეს ასეც იყო, წინასწარვე გაისტუმრეს ჯალაბი და შინაყმები მონასტერში ბატონისა და დარბაზის ერის ჯეროვანი დახვედოის მოსაწყობად, თვით კი რჩეულ აზნაურთაგან შემდგარი ამალა და ჯარი იახლეს და სათავადოს საზღვარზე სოლომონთან შესაყრელად გაეშურნენ. წინასწარ დათქმული პირობისამებრ, შეხვედრა ნავარძეთის მეფე ალექსანდრესეულ სასახლეში უნდა მომხდარიყო, რომელიც ამჟამად ბატონიშვილ არჩილის საკუთრებას შეადგენდა, საიდანაც ყველა ერთად გაუდგებოდა გზას ჯრუჭის მონასტრისაკენ.

სოლომონმა სახლთუხუცესს საგანგებოდ დაავალა, რაჭაში მალემსრბოლები ეფრინა და ერისთავი როსტომი შესაფერი პატივით ჯრუჭის მონასტერში სათათბიროდ და სადავო საქმეების გადასაწყვეტად მოეწვია. როდესაც მამის მაგიერ სკანდის ციხეში ნაბერალი მეთოდე და გიორგი სარდალი ეახლნენ, მეფემ შუბლი შეიკრა და მარჯვენა თვალის ქუთუთო ჩვეულებისამებრ ავად აუპარპალდა, მაგრამ უკმაყოფილება ახლაც გულში ჩაიხვია და ხმამაღლა არაფერი უთქვამს. დარწმუნებული იყო, სხვაგვარად ფიქრი არც შეიძლებოდა, რომ ერისთავი, დანარჩენი შვილებითა და ჯარითურთ, ურომლისოდაც წესიდან ფეხს ვერ გამოადგმევინებდი ჯრუჭის მონასტერში დახვდებოდა. ფეხი განზრახ, წინდახედულად აითრია, გზადაგზა, სოფელ-სოფელ საჩივრებს იღებდა, ყველა გასარიგებელ საქმეს, სადამდეც კი ხელი მიუწვდებოდა, იქვე არიგებდა, ძველ, მამა-პაპურ და დროთა განმავლობაში ფერშეცვლილ ციხე-სიმაგრეებს ამოწმებდა, ვარაუდს იჭერდა, რომლის შეკეთება ღირდა და რომლის არა, ეკლესიებში პარაკლისებს ისმენდა, მრევლთან ერთად ლოცულობდა და ქვრივ-ობლებს განიკითხავდა. შემოდგომის წვიმიანი ამინდისა და ცივი ქარის მიუხედავად, მთელი საწერეთლო გარეთ იყო გამოფენილი. დიდი და პატარა, ერი და ბერი ჯრუჭის გზებსა და გზაწვრილებს მოაწყდა, სადაც შეიძლებოდა მეფესა და მის ამალას გამოევლო, შეჩერებულიყო ან სატრაპეზოდ დაესვენა. ალბათ არასოდეს ასე ნათლად და საცნაურად არ გამოჩენილა ქვეყნის შინაგანი მოშლილობა და მოუწყობლობა, როგორც ახლა, ღვთის ანაბარა დაყრილმა ხალხმა მეფე თავის კუთხეში მობრძანებული რომ დაიგულა და, თითქოს ცა გაიხსნაო, სამართლის გაჩენის იმედი გაეღვიძა. ძმა ძმას ედავებოდა, შვილი — მამას, ყმა — ბატონს, ბატონი— ყმას, მევალე — სარგებლის ურჩ გადამხდელს, ძრევლი — მღვდელს, მღვდელი — მრევლის ურწმუნოებას. დავობდნენ საზღვრის მოზიარის მიერ ქურდულად გადმოწეული სამანის, წყაროს, სარწყავი წყლის, ყანავენახში ან ეზოში შესასვლელი გზის, მემკვიდრეობის თაობაზე, ერთიმეორეს არ ინდობდნენ მტკაველი მიწის გამო, უჩიოდნენ მედიატორეთა ანგარებას, ეურჩებოდნენ საბატონო ბეგარას, ითხოვდნენ საურისა და საუდიეროს, აგრეთვე კომლის გაყოფისას მეფის ხაზინის სასარგებლოდ დაწესებული ერთდროული გამოსაღების გაუქმებას ან უკიდურესად შემცირებას, მებატონეების მიტაცებულ ყოფილ სამონასტრო და საეკლესიო ყმა-მამულის კვლავ ეკლესია-მონასტერთა წიაღში დაბრუნებას, დედისერთა შვილების ხელშეუხებლობას ლაშქარში ქუდზე კაცის გაწვევის დროს და მრავალ სხვა რასმე...

სოლომონი ხედავდა, რომ ყველა საჭირბოროტო საქმეს, ძალიანაც რომ ცდილიყო და დღე და ღამე გაესწორებინა, მარტო თავად ვერ გასწვდებო-

და, რადგან ზოგიერთი საქმე ისე იყო ჩახლართულ-ჩაბურდული, მისი გამოხსნა ორი-სამი გამოცდილი კაცის რამდენიმე დღის თავაუღებელ მუშაობას მოითხოვდა, საქმეებისა კი სათვალავიც დაეკარგა. ყოველი საქმის უკან ცოცხალი ადამიანი იდგა და ერთადერთ სამართლიან მსჯავრს, შვილსა და შვილიშვილსაც რომ უნდა გადასცემოდა, მხოლოდ და მხოლოდ მისგან, ღვთივ მირონცხებული მეფისაგან მოელოდა.

— სწავლული კაცები უნდა დავსხათ, ძველი ქართული სამართლის წიგნები უნდა გავაჩხრეკინოთ, ჩვენც მათთან ერთად დავსხდეთ, უცხოთა კანონების მცოდნენიც მოვიპატიჟოთ და ღვთის განგებით სამართალი დავადგინოთ, — ჰკადრა მიტროპოლიტმა იოსებმა ძმას, როდესაც ის უღვთოთ დაღლილი და თავისი დღიური ნაღვაწით ერთობ უკმაყოფილო ქეშიკების მიერ მორთმეულ ცხენზე ჯდებოდა. — სამართალი რომ ქაღალდზე იქნება დაწერილი და შენი ხელრთვით დამტკიცებული, მის გამრუდებას ვაგლახად ვეღარავინ გაბედავს!

— მაგას დიდი დრო უნდა, ძმაო იესე, — უპასუხა მეფემ, — ჯერ ან ის სწავლული კაცები სად არიან, ბჭობად რომ უნდა დავსხა, ანდა ისეთი რა სამართლის წიგნები შემოგვრჩა, რომ დღეს გამოგვადგეს.

მიტროპოლიტმა გიორგი ბრწყინვალის ძეგლის დება და ვახტანგ მეექვსის კანონთა კრებული გაიხსენა. ნაფლეთ-ნაფლეთ შემორჩენილი ძეგლის დებაც და მეფე ვახტანგის განთქმული სამართლის წიგნიც, რომლის ამოქმედება დიდ ჩრდილოელ მეზობელთან შეხიზნულ და მისსავე მიწას მიბარებულ ქართლის მაშვრალ ბატონს არ დასცალდა, სოლომონს სიყმაწვილეშივე გადაღეჭილ-დაზეპირებული ჰქონდა, შემდეგაც არა ერთჯერ დაჰბრუნებოდა და ყოველ მუხლს გონების სასწორზე სწონიდა, მაგრამ ზოგი რამ ისე არ ეთანხმებოდა საღ გონებას, ისე უსაბუთო და საიდანღაც ყურით მოთრეული ჩანდა, აშკარა გადასინჯვას მოითხოვდა და მის თვალში მთელ კრებულს შარავანდედი აკლდებოდა.

— მგლის შიშით ფარა არავის გაუწყვეტია, მეფეო, — თქვა იოსებმა. — უნაკლო მარტო ღმერთია, შეგვიწიოს იმის მადლი!

წოწოლა მთის წვერზე გადმომდგარ ჯრუჭის მონასტერს ნაშუაღამევს მიაღწიეს. სოლომონმა გზაში შეჩერება აღარ ინდომა, ვინაიდან უამისოდაც ბევრი დრო დახარჯა და მღვიმევიდან აქამდე თითქმის შეუსვენებლივ იარეს. გზა ზოგ ადგილას ჩახრამული, ჩამეწყრილი და გაფუჭებული იყო, ხიდებიც წყალს წაეღო, მათს აღდგენასა და შეკეთებაზე აღარავის ეფიქრა. ჯრუჭულა რამდენიმე ალაგას ცხენდაცხენ გადალახეს და მერე ისევ გამოღმა ნაპირზე გადმოვიდნენ. მეფეს საყვედური დასცდა. თითქოს ამას კიდევაც ელოდნენ და პასუხიც წინასწარ მომზადებული ჰქონდათო, წერეთლებმა თავი იმართლეს. მათი პასუხიდან ისე გამოდიოდა, რომ ხეობაში ალმა-ალმა მიმავალი ძველი საქარავნე გზა განზრახ იყო გაფუჭებული, ხიდებიც, სხარტალიდან აქეთ გადმოსულმა სოლომონმა იმ წყეულ ზაფხულს თავისი თვალით რომ ნახა, განზრახ ჩაენგრიათ, რათა ერისთავის მარბიელები, რომელთაგან წლის არც ერთ დროს მოსვენება არ იყო, უგზოობით მაინც შეეყოვნებინათ.

„ისევე ერისთავი! — გაიფიქრა სოლომონმა. — ისე სიტყვას არ იტყვიან, თუ ერისთავი რითმე არ გაკენწლეს და ანტექრისტედ არ გამოაცხადეს. ნეტავი თუ როდისმე გვეღირსება, ერთმანეთის კორტნას რომ თავს დაანებებენ და ღვთის მიერ ნაბოძებით დაკმაყოფილდებიან!“

მონასტერი ჩაძინებულ-ჩაბნელებული დაუხვდათ, მხოლოდ რომელიღაც ბერის განმარტოებულ სენაკში თუ გალავნის კარიბჭესთან ენთო ერთადერთი კანდელი და ღამის წყვდიადში

ისე თვალისმომჭრელად ციმციმებდა, როგორც ყომრალი ღრუბლებიდან გამომკრთალი ობოლი ვარსკვლავი.

ზემოთ, ეტყობოდა, ბოგირზე ბრიგინ-ბრიგინით გადმოსული რამდენიმე ასეული მხედრის გადაძახილ-გადმოძახილი და ცხენების ჭიხვინი გაიგონეს, ხეობაში ასე შორს რომ ისმოდა, ჯერ მიყუჩდნენ, ალბათ, სავარაუდებლად, თუ ვინ მოვიდა, მტერი თუ მოყვარე, შემდეგ მონასტრის ბერები, რომის წმიდა კონგრეგაციის პროპაგანდა ფიდეს მიერ გამოგზავნილი მისიონერი პატრები, მეფის დასახვედრად აქ წინასწარ თავმოყრილი წერეთლის შინაყმები და სახლეული მოსულთ მაშხალებით გამოეგებნენ. მთელი გზა, მონასტრისაკენ ტყე-ტყე რომ მიდიოდა, დღესავით განათდა. ახლომახლო სოფლებმაც გაიღვიძეს მდინარის ორივე ნაპირზე. აყეფდნენ კარმიდამოს ერთგული დარაჯი ძაღლები, უკუნეთში თანდათან გამოიკვეთა ირგვლივ შემოჯარული მთების მოხაზულობა, მონასტრის გალავანი, დიდრონი ცაცხვები გალავანს შიგნით და ფიქალით გადახურული წიწიბოიანი გუმბათები. სამრეკლოზე ზარს შემოჰკრეს. ზარის ხმა ყრუდ დაირხა, გაძლიერდა და ცასა და მიწას შორის განუწყვეტელ, თითქოსდა ხელშესახებ გუგუნად ჩამოდგა. ყველა წამით შედგა და სამგზის გადაიწერა პირჯვარი.

ისე ჰგავდა, რომ როსტომ რაჭის ერისთავისაგან ბაიბურიც არ ისმოდა. სოლომონი რისხვამ შეიპყრო. დანა პირს არ უხსნიდა. თუ როსტომი ახლაც ათეული წლობით სადავოდ ქცეული ჯრუჭულის ხეობის სოფლების ბედის გადასაწყვეტად არ ეახლებოდა და გააწბილებდა, რაღა თქმა უნდა, ისევ ღალატს აპირებდა, მეფესთან პირისპირ შეხვედრას ვერ ბედავდა და მათ შორის აწი მხოლოდ ტყვიას უნდა ეშუამდგომლა. ეს სწორედ ის იყო, რაც სოლომონს ყველაზე ნაკლებ სურდა, მითუმეტეს დღეს, როცა ოსმალთა ახალი ლაშქრობა უკვე კარზე იყო მომდგარი, თუმცა შურისძიების დაუცხრომელ ჟინს თავისი გაჰქონდა და გული ურჩი ერისთვის სამაგალითოდ დასჯას მოითხოვდა.

როსტომი არც მეორე დღეს გამოჩენილა. სოლომონს არ უნდოდა დაეჯერებინა, რომ ერისთავის სიჯიუტემ და თავხედობამ ამ ზომას მიაღწია. ეჭვიც კი შეეპარა, ვაითუ დროზე და სწორად არ აუწყეს ჩემი ნაბრძანებიო და სახლთუხუცესი ლომკაც ჯაფარიძე ახმობინა. ლომკაცს წინდახედულობა და სიფრთხილე გამოეჩინა, ერისთავისათვის გაგზავნილი წიგნის პირი დაეტოვებინა და ის მეფეს აახლა. აქ ყველაფერი სწორად იყო, ფრთხილ და ყველა საქმეში განუხრელი წესრიგის მოყვარულ სახლთუხუცესს არამცთუ დრო და ადგილი, ერისთავისათვის გაგზავნილ წიგნში მეფესთან შეყრის საათიც კი აღენიშნა.

სოლომონი განმარტოვდა. დილის ლოცვისა და პარაკლისის შემდეგ, რომელიც უწმიდეს კათალიკოს ბესარიონის მოწყალე ნებართვით მონასტრის წინამძღვარმა, არქიმანდრიტმა იოანემ გადაიხადა, წიგნსაცავში ჩაიკეტა და წინამძღვარს კარის მწირველი მღვდელი სვიმონ წერეთელი მიუგზავნა, შეპირებული საბუთები მოითხოვა. თითქმის არავის ენახა მეფე ასე მიუკარებელი და პირგამეხებული. თვით ეკლესიის საჭეთმპყრობელმა უწმიდესმა კათალიკოსმა ბესარიონმა და ძმამ, გენათელმა მიტროპოლიტმა ბატონიშვილმა იოსებმაც ვერ გაბედეს მისი მყუდროება დაერღვიათ და მოსათათბირებლად ხლებოდნენ.

შეშფოთდნენ ერისთვიშვილები — ნაბერალი მეთოდე და გიორგი სარდალი. ღამის დარჩენილი ნაწილი იარაღში ჩამჯდარმა, ტანთ გაუხდელად გაატარეს. ან ახლა შემოანგრევდნენ გაგულისებული მეფის კაცები კარს და ან ახლა. პარაკლისის დროსაც განმარტოებით იდგნენ ნათლისმცემლის ტაძარ-

ში. ეჩოთირებოდათ, ვაითუ ვინმემ შეგვამჩნიოს, კაბის ქვეშ რომ სატევარს ვმალავთო.

საღამოს მეფემ თავისი მღვდელმთავარი ძმა მიიხმო და მისიონერი პატრების მიღება ინება.

პატრები, რომელთაგან სამი — ქლაუდიო დე რეჯიელი, დონ იერონიმო ნორჩელი და ჯულიო ბონავენთურა კრიპტოლი, რომიდან სულ ახალი მოსული იყვნენ და ლიხთიმერეთის სინიორ მეფესთან შეხვედრას ეს მესამე კვირაა უშედეგოდ ელოდნენ, ხელმწიფეს მონასტრის წიგნთსაცავში წარუდგინეს. მისიონერებმა თავიანთებურად თაყვანი სცეს მეფეს და კედლის გასწვრივ წინასწარ ჩამწკრივებულ სკამებზე ნოკრძალებით ჩამოსხდნენ. ბერებს ქიშმირის შავი ანაფორები ეცვათ და მიწამდე დაშვებული კალთების ქვეშ ლანჩებგაცვეთილი ყელიანი წაღები მოუჩანდათ. ანაფორები ნიკაპქვეშ ყრუდ შეებნიათ, შიგნიდან კი ქობამოქარგული თოვლივით თეთრი გულისპირები ჰქონდათ გადმოშვებული, რაც მათს ფაქიზ, მშვიდ სახეებს კიდევ მეტ სიფაქიზესა და სიმშვიდეს ჰმატებდა. სუფთად პირგაპარსულთ თავზე ყველას ოთხკუთხა ქუდი ეხურა. პატრების სადა, თითქმის მთლად უბრალო ჩაცმულობა ეკლესიის მსახურთა სულიერი მოთხოვნილების სიმკაცრეზე, ასკეტობამდე მისულ თავშეკავებაზე მეტყველებდა. სოლომონს ეს ადრევე შენიშნული ჰქონდა, ახლა კი საგანგებო ყურადღება მიაქცია. ბერებს საქაო ქვეყანა თითქოს მხოლოდ იმდენად ახსოვდათ, რამდენადაც ეს სხვებისათვის იყო საჭირო, თავად ამ ქვეყნისაგან არაფერს მოითხოვდნენ და ყველაზე მცირედით კმაყოფილდებოდნენ.

სოლომონის მხრივ დარბაზობას უწმიდესი კათალიკოსი ბესარიონი დაესწრო. აქვე ბრძანდებოდნენ გენათელი მიტროპოლიტი ბატონიშვილი იოსები, ეპისკოპოსი მაქსიმე აბაშიძე და მონასტრის წინამძღვარი არქიმანდრიტი იოანე.

მეფესა და პატრებს შორის საუბარი ქართულად წარიმართა. სოლომონმა საყველპურო ბერძნულ-ლათინური იცოდა, თურქულს კი თითქმის გამართულად ფლობდა და უაღრესად განსწავლულ, მრავალი ენის მცოდნე პატრებთან შეეძლო თარჯიმნის დაუხმარებლად ესაუბრა, მაგრამ თავის შეწუხება არ დასჭირვებია, ვინაიდან ქართულად ლაპარაკი თვით უცხოელებმა შემოსთავაზეს და იგი ძალზე ძალდაუტანებლადაც წარმართეს.

სოლომონმა სინანული გამოთქვა, რომ გულით საყვარელ კაპუჩინელ ძმებთან შეხვედრა მოუცლელობის გამო აქამდე ვერ შესძლო, მაგრამ დღეის ამას იქით, თუკი წმიდა მამები ამას ინებებდნენ, როგორც ძმის, გენათელ მიტროპოლიტ იოსების პირით შეუთვალა, ამ ქვეყნად ქრისტეს მოადგილის, რომის პაპის მოციქულთ ყოველგვარ დახმარებასა და მხარდაჭერას აღმოუჩენდა.

კაპუჩინელმა ძმებმა მეფის სიტყვები დიდი სიამოვნებით მოისმინეს. რომის წმიდა კონგრეგაციის პროპაგანდა ფიდესაგან ქუთაისის კათოლიკური მისიონის პრეფექტად დანიშნულმა პატრმა ქლაუდიო დე რეჯიელმა ყველას მაგიერ მადლიერებით განაცხადა, სხვაგვარ მიღებასა და მოპყრობას იმერთა სინიორ მეფისაგან არც მოველოდით, ვინაიდან აქაურ მირონცხებულ მონარქთა და წმიდა პეტრეს ჭეშმარიტი სარწმუნოების მქადაგებელ უღირს ძმათა შორის დიდი ხანია, უანგარო ნდობა და ურთიერთგაგება სუფევსო. პატრმა აქვე მოწიწებით გაიხსენა ნიკიფორე ირბახი-ირუბაქიძე, ტომით ქართველი პატრიცი, ქუთაისის პირველი კათოლიკური მისიონის დამაარსებელი, თეათინელ . მამათა ორდენის წევრი და ლიხთიმერეთის კათალიკოს-პატრიარქი, რომელიც ქართველთა მეფის ელჩადაც კი იყო წმინდა რომში და პაპ ურბანო მე-

რვის ლოცვა-კურთხევის ღირსიც შეიქ-
ნა...

პატრმა ქლაუდიომ, ქრისტეფორე დე
კასტელი და დონ პიედრო ავიტაბილე,
ქართველი ერისათვის დიდად გარჯილი
კიდევ ორი თავდადებული მოღვაწე,
თავის დროზე მისიონერთა უაღრესად
განსწავლული პრეფექტები, ტომით იტ-
ალიელნი რომ მოიხსენია და სტუმრე-
ბსაც და მასპინძლებსაც გულში მათდა-
მი მადლიერების სანთლები აუნთო,
მეფეს მისი უწმიდესობა რომის პა-
პის, ბენედიქტ მეთოთხმეტის ბარათი მიართვა.

სოლომონმა ბარათი დიდის მოწიწე-
ბით მიიღო, ზედ ეამბორა, აღმოსავლ-
ური წესისამებრ, ორივე ხელით თავზე
დაიდო, ისევ ეამბორა და მხოლოდ
ამის შემდეგ გახსნა.

ბარათი, რაღა თქმა უნდა, ლათინურ
ენაზე, ბეჭდური ასოებით იყო შედგე-
ნილი და ბოლოში თვით პაპის — ბე-
ნედიქტ მეთოთხმეტის ხელრთვა და
ვატიკანის ბეჭედი ჰქონდა დართული.

„როდის აჯობებს წაკითხვა, ახლა,
ამათ თანდასწრებით, თუ შემდეგ?“ —
გაიფიქრა მეფემ და მზერა რატომღაც
გულაჩუყებულ და თვალებაწყლიანე-
ბულ კათალიკოსს მიაპყრო. ბესარიონს
ეგონა, ბარათის გადმოცემა უნდაო და
მეფისაკენ გადმოიხარა, მაგრამ სოლო-
მონმა თავი ისე დაიჭირა, თითქოს ეს
მოძრაობა ვერც კი შენიშნა, ხელი უკან
წაიღო და ხმამაღლა, ყველას გასაგო-
ნად გამოაცხადა:

— ჩვენ გვსურს, მისი უწმიდესობა
რომის პაპის წიგნი ახლავე წავიკითხ-
ოთ და ქართულ ენაზე გადმოვთარგმ-
ნოთ!

ამ სამსახურის გაწევა თვით პატრე-
ბმა დააპირეს. აქ თითქმის არავინ იყო
ისეთი, ქართული ზედმიწევნით რომ
არ სცოდნებოდეს. სოლომონმა ბერ-
ებს თავი დაუკრა მადლობის ნიშნად,
უნდოდა, პაპის ბარათი წასაკითხად და
გადმოსათარგმნათ ძმისათვის, ბატონიშ-
ვილ იოსებისათვის მიეწოდებინა, მაგ-
რამ გაახსენდა, რომ იესე გულის სიღ-
რმეში პატრების მოძულე ქართლის
მეფე თეიმურაზს თანაუგრძნობდა და
ბარათი ეპისკოპოს მაქსიმე აბაშიძის
ხელში აღმოჩნდა.

იმერეთის ანუ ბაშიაჩუკთა სინიორ
მეფეს, სოლომონს, ნეტარხსენებული
ალექსანდრეს ძეს, პაპი სალამს და
„ღვთის მადლის ნათელს“ უგზავნიდა
და აუწყებდა, რომ სინიორ მეფე სო-
ლომონის, ქრისტეს ჭეშმარიტი სარწ-
მუნოებისათვის ხმალჩაუგებელი მე-
ომრის შარავანდედით მოსილ სახელს
დასავლეთის ქრისტიანები პატივისცე-
მით წარმოსთქვამდნენ.

პაპი წუხდა, რომ ურჯულო აგარიან-
თა ბარბაროსული შემოსევები, რასაც
ევროპის უავგუსტოესი ხელმწიფეებიც
კი გაჭირვებით უმკლავდებიან, ძირფე-
სვიანად არყევდა უძველეს ქართულ
ქრისტიანულ ეკლესიას, მაგრამ იმედს
გამოთქვამდა, რომ ქრისტიანობის ქარ-
თველ აღმსარებელთა სული კვლავაც
არ გატყდებოდა და ისლამურ ნახევარ-
მთვარეს არ აღმართავდა იქ, სადაც
წმიდა ჯვარცმა ესვენა.. .

ბარათის მომდევნო ნაწილი რომის
სამოციქულო ეკლესიის ძალასა,
გავლენასა და ყოვლისმომცველობას
ეძღვნებოდა. პაპი შეუფარავი სიამაყ-
ით შენიშნავდა, რომ „რომი ყველ
ტომის სამშობლო და ღვთაებრივი მო-
ძღვრების მასწავლებელია“. ევროპის
უავგუსტოესი მონარქები გვირგვინს
იხდიან წმიდა პეტრეს ტახტის წინაშე
და პაპის ფერხთ კდემით ემთხვევიან.
თვით აზიის შორეული ქვეყნების მთა-
ვრებმა — იაპონიის, სპარსეთისა და
არაბეთის მეფეებმა მიმართეს რომს და
მეგობრობა შესთავაზეს. რომის წმი-
და ეკლესია ყოველი ღონით მოწადი-
ნებულია, სათნოება და სიკეთე დასთ-
ესოს მოყვასთა შორის, მოაქციოს ყვე-
ლა ერეტიკოსი, დედამიწის რომელ
კუთხეშიაც არ უნდა იყვნენ ისინი გაბ-
ნეულნი და შეაყენოს „ჩვენთვის ჯვარ-
ცმული მაცხოვრის“ ჭეშმარიტ გზაზე,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაცხოვრისა, რომელიც ერთბუნებოვანია და არამც და არამც ორბუნებოვანი, როგორც ქალკედონის საეკლესიო კრების შემდეგ ერეტიკოსი ბერძნები ღვთის გასარისხებლად და ზენაარის წყალობას მინდობილ ცხოვართა გზის დასაბნევად ამტკიცებენ...

ბარათის მესამე, დამაგვირგვინებელ ნაწილში უწმიდესი პაპი ბენედიქტე კაპუჩინელი ბერების გამო თხოვდა იმერთა სინიორ მეფეს და მისიონერ მამათა კრებულს „მეომარ ანგელოსთა გუნდის“ სახელით იხსენიებდა.

ვინ იყვნენ კაპუჩინელი ძმები?

— წმიდა მოციქულთა კვალად კაცთა მოდგმის მფარველად მოვლინებული მოღვაწენი, ქრისტეს მოძღვრების სიყვარულისათვის თავის სამშობლოში ტკბილი ცხოვრება რომ დაუგდიათ და მის სანაცვლოდ შორეულ უცხო ქვეყანაში მწირობა და მარადჟამს განსაცდელში ყოფნა აურჩევიათ.

„ნუთუ მოიპოვება სადმე ისეთი ბარბაროსი ერი, რომელმაც ესენი, უცხო ქვეყნიდან მოსულნი, სიყვარულით არ მიიღოს და ლუკმა და თავშესაფარი არ მისცეს? — წერდა პაპი. — მტრის ულმერთოება იმ ზომამდე ვერასოდეს მიაღწევს, რომ მათ გულში სიძულვილმა სძლიოს სიყვარულს. მათ უყვართ მტერნი თვისნი და ვინც სიკვდილს დაუპირებთ, იმათთვისაც შესთხოვენ მაღალ ღმერთს საუკუნო ბედნიერებას.

იმერეთის ანუ ბაშიაჩუკის მეფევ, უკეთუ ამ ბერებს მოუსმინეთ, მფარველობა აღმოუჩინეთ და ნება დართეთ, ქართველთა ქვეყანაში მოჰფინონ საღმრთო სიტყვის თესლი, დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, თქვენს სახელს მოხარული რომი კურთხევით მოიხსენიებს, ხოლო მეფეთა მამა და სარწმუნოების მცველი რომის პაპი თავის სამოციქულო კრებასთან და სამღვდელმთავრო ქალაქთან ერთად ღმერთს შეევედრება, თქვენს უდიდებულესობას მიანიჭოს ბედნიერი კურთხევა, რათა თქვენისთანა მეფემ მიიღოს უხვად ცხოვრების ნაყოფი და ეაცობრივი ტანჯვის სასყიდელი!“

— დაიწერა ჰრომს, სანტა მარიას დიდ ტაძარში, დღესა 10-ს, სექტემბერს, მაცხოვრის ჩუენის, ქრისტეს შობის შემდგომ 1755 წელსა, — დაასრულა მაქსიმე აბაშიძემ, თავი დაჰხარა, წიგნი მეფის წინ, ინკრუსტირებულ მაგიდაზე დასდო და უნებლიე მღელვარებისაგან დაცვარული შუბლი შეიმშრალა.

რომის პაპის მეგობრულმა ბარათმა, პაპის მიერ აღმოსავლეთის მუსულმანურ ბნელეთში ქრისტიანობის შენარჩუნებისათვის წარბშეუხრელი ბრძოლის აღიარებამ და მეფისადმი მიმართულმა გამამხნევებელმა სიტყვებმა ყველა დამსწრეზე, მათ შორის თვით სოლომონზე და ქართველ სამღვდელო პირებზე, წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა, მხოლოდ გენათელი მიტროპოლიტი ბატონიშვილი იოსები იჯდა დაძმარებული და წარბს არ იხსნიდა.

იოსებს ყურში მოხვდა პაპის ნაბრძანები ქრისტეს ერთბუნებოვნობის თაობაზე, რაც მართლმადიდებლური, ე. წ. ბერძნული ეკლესიის საფუძვლებს ძირფესვიანად ეწინააღმდეგებოდა და რაზედაც შემდეგ ორი, ურთიერთისაგან მკვეთრად განსხვავებული სარწმუნოებრივი მოძღვრება აშენდა. როგორ შეიძლებოდა, სინდისთან დანაშაულებრივი გარიგების გარეშე ერთი გექადაგა და ურყევ ჭეშმარიტებად გამოგეცხადებინა იქ, სადაც აქამდე, ათას წელიწადს, მეორე მეფობდა და ასევე ურყევ ჭეშმარიტებად იყო მიჩნეული! ეს ხომ იმის დანგრევას მოასწავებდა, რაც აქამდე სასოებით ეშენებინათ, რათა ყველაფერი ხელახლა დაეწყოთ?.

იოსებისათვის თავიდანვე გაუგებარი იყო, როგორ ახერხებდა ზოგიერთი საეკლესიო მოღვაწე, თუნდაც სამშობლო ქვეყნისათვის დიდად ვარჯილი სულკურთხეული კათალიკოსი ნიკიფორე ირბახი, მართლმადიდებლობისა

და კათოლიკობის შერიგებას, როგორ ახერხებდა, მართლმადიდებელი მრევლის მღვდელმთავარიც ყოფილიყო, ქალკედონის საეკლესიო კრების გადაწყვეტილებისთვისაც ეერთგულა და ქრისტეს ერთბუნებოვნობის დოგმაც სარწმუნოდ ჩაეთვალა. იოსების აზრით, ისინი, ვინც ამ შემრიგებლურ გზას ადგნენ, ან წმინდა წყლის თვალთმაქცები, პაპისავე სიტყვებით — ერეტიკოსები იყვნენ, ანდა ისეთი მოსაზრებებით ხელმძღვანელობდნენ, რომელთა გონებით წვდომა უბრალო ღვთისმოსავ მოკვდავთ არასოდეს არ უწერიათ.

მაგრამ რად არ გამომჟღავდა ეს აქამდე? რატომ ადრევე არ აღიკვეთა მამა-პაპური სარწმუნოების დამანგრეველთა უკეთური ჩალიჩი?

საამისო ბრალდებად ისიც კმაროდა, რომ ადგილობრივ ქრისტიანეთ პატრები ურწმუნოებად თვლიდნენ, ერთხელ უკვე მონათლულთ და წმიდა ზიარებამიღებულთ ხელმეორედ ნათლავდნენ, წირვა-ლოცვის ქართულ წესებს უგულვებელყოფდნენ, თავიანთებურად ასწორებდნენ და წინააღმდეგობის გაწევის მაგიერ, მოსახლეობაში, თვით მეფის კარზე და წარჩინებულთა შორისაც მრავალ თანამგრძნობსა და მხარდამჭერს პოულობდნენ.

მაშ, ქართული მართლმადიდებლური ეკლესია, ქრისტეს ცხოველმყოფელი ჯვარი არა ერთ ცეცხლსა და ტყვიის წვიმაში რომ გამოატარა და ერი სულის წაწყმედისაგან იხსნა, რიღასი მაქნისი და ტიკი-ტომარა იყო?

იოსები ხედავდა, რომ დღეს ხმის ამაღლება, თუნდაც პაპის მიერ გამოგზავნილი მეგობრული ბარათის მუხლობრივ განხილვა სასარგებლო შედეგს ვერ გამოიღებდა. სოლომონი იმ ქართველ მეფე-მთავართა რიცხვს ეკუთვნოდა, რომლებიც ცხრა მთას იქიდან მოსულ უცხოელ ბერებს უაღრესი მოწიწებით ეექცეოდნენ, ძოწყალე კალთას აფარებდნენ და ყოველი ღონით ცდილობდნენ მათთვის ყურადღება და პატივი არ მოეკლოთ. იმერთა ახალგაზრდა ბატონს, მსგავსად ყველა მისი წინამორბედისა, ნაკლებ ადარდებდა განსხვავება, აღმოსავლურ და დასავლურ ეკლესიებს ერთმანეთისაგან რომ თიშავდა და პატრების წირვა-ლოცვას ისეთივე სიამოვნებით ესწრებოდა, როგორც მართლმადიდებლურ პარაკლისებს, ქვეყნის ამა თუ იმ კუთხეში მეფის მობრძანებასთან დაკავშირებით რომ იხდიდნენ.

სოლომონი ამითაც როდი კმაყოფილდებოდა. ვარციხის სასახლის დარბაზებსა და პალატებში, მისი ბრძანებისამებრ, პატრების ხელით შესრულებული მრავალი სურათი და ჩანახატი დაჰკიდეს. არც ერთ მათგანს საღმრთო წერილთან საერთო არაფერი ჰქონდა. პატრები არ ერიდებოდნენ სურათებზე სულის წამწყმედი სიშიშვლის გამოხატვასაც კი და მნახველის ყურადღებას ამქვეყნიურ სილამაზესა და მაცთუნებელ მომხიბლველობაზე ამახვილებდნენ. აქ წამლადაც ვერსად იპოვნიდი სულის ამამაღლებელ გმობას ხორციელი ბიწიერებისა, რასაც კაპუჩინელი ძმები ყოველ გზაჯვარედინზე ქადაგებდნენ და ღვთისმოსავ ქალს თუ კაცს სხეულის დათრგუნვასა და მარტოოდენ სულისათვის ზრუნვას შთაუნერგავდნენ. პატრების სიტყვა და საქმე ერთმანეთს სცილდებოდა. რა ვუყოთ, თუ კერძო ცხოვრებაში საარაკო, სწორედ ასკეტურ თავშეკავებას იჩენდნენ და ამ ქვეყნიურ ცთუნებას, ყოველ ნაბიჯზე რომ ხვდებოდათ, მხოლოდ მათთვის დამახასიათებელი შეუპოვრობით უმკლავდებოდნენ. სამაგიეროდ, მათი ყალმით შესრულებული სურათები თვალნათლივ ამხელდნენ დათრგუნული სხეულის ჯანყს. მათეს სახარებაში შავით

თეთრზე სწერია: „რამეთუ ყოველნი, რომელი ხედვიდეს დედაკაცსა გულის თქუმად მას, მუნვე იმრუშა მის თანა გულსა შინა თვისსა“.

უწმიდესი პაპის ბარათის გაცნობით და რომის წმიდა კონგრეგაციის პროპაგანდა ფიდეს მიერ გაცემული რწმუნების სიგელების წარმოდგენით კაპუჩინელ ძმათა მისიონის დარბაზობა არ დასრულებულა. სოლომონმა მგზავრობის ამბის გამოკითხვა ისურვა და პატრებს ყურადღებით მოუსმინა.

შორეულ საქართველოში მომავალ მისიონერებს: ქლაუდიო დე რეჯიელს, დონ იერონიმო ნორჩელს და ჯულიო ბონოვენთურა კრიპტოელს პაპისა და წმიდა კონგრეგაციის ლოცვა-კურთხევა 11 სექტემბერს მიეღოთ და ძვირფასი დრო რომ უქმად არ დაეკარგათ, იმავე ღამეს ცხენებით გამგზავრებულიყვნენ ნეაპოლში, სადაც ალექსანდრიაში მიმავალი ხომალდი ელოდათ. ათას ენაზე მოზიმზიმე ალექსანდრიაში ორი კვირის ლოდინი მოხდომოდათ. ამ ხნის განმავლობაში კონსტანტინოპოლისაკენ ერთი ხომალდიც არ გასულა. ესპანეთში და აფრიკის ჩრდილო სანაპიროზე, — ღმერთო, აქ მშვიდობა ქენი! — რაღაც უცხო სენი მძვინვარებდა. აფრიკის სანაპიროზე სენი ესპანეთიდან გადასულიყო და რამდენიმე ქვეყანას უკვე მოსდებოდა. ხმელთაშუა ზღვის აუზის სახელმწიფოები შიშის ზარს მოეცვა. სენი თითქოს ცელით თიბავდა ადამიანებს, განსაკუთრებით ხალხმრავალ ქალაქებში და მკურნალობის აქამდე ნაცნობ არც ერთ ხერხს არ ემორჩილებოდა. სამი ხომალდი, რომლებზედაც საშინელმა სენმა იფეთქა, ბერებისა და ფორტებზე გამოფენილი ათასობით ალექსანდრიელი მოქალაქის თვალწინ ზღვაშივე ჩაეძირათ. ხომალდები რეიდზე იდგნენ. ვიდრე დათქმული დრო არ გაივლიდა და არ დარწმუნდებოდნენ, ბანზე ავადმყოფები ჰყავდათ თუ არა, ნავსადგურის ხელისუფალნი ლოცმანს არ აგზავნიდნენ და ხომალდებს ყურეში შემოსვლის ნებას არ აძლევდნენ. სამ დღეში, რაც იქ იყურყუტეს, უბედურებს იმდენი ხალხი დაეხოცათ, დამალვა უკვე შეუძლებელი გახდა. აიღეს და იალქნის ტილოში გახვეული მიცვალებულები ღამე ზღვაში გადაჰყარეს. მათდა სავალალოდ, ზღვაზე მოქცევა იყო. მიცვალებულები წყალმა ნაპირზე გამორიყა, სამი თუ ოთხი თვით ნავსადგურშიაც კი შემოატივტივა. ამან ხალხი სულ გადარია. იმისთანა ჟგლეთა შეიქმნა და მეორედ მოსვლა დატრიალდა, დედა შვილს არ აიყვანდა. რეიდზე მდგომი ხომალდების უკან გაბრუნებას ან ადგილზე ჩაძირვას მოითხოვდნენ. უკან გაბრუნებაზე ხომალდებმა უარი განაცხადეს. ხალხიც აღარ ჰყავდათ, რომ იალქნები გაეშალათ და ღია ზღვაში გასულიყვნენ. ამას გარდა, სურსათიც გამოლეოდათ და სასმელად გამოსადეგი მტკნარი წყალიც. ღამით ორი თავად აფეთქდა და მაშინვე ჩაიძირა. . დილა რომ გათენდა, მესამეს გაუფრთხილებლად სანაპირო ციხე-სიმაგრის ზარბაზნები დაუშინეს. ქრისტეს ტირილი იყო. გემბანიდან ნავები ჩაუშვეს წყალში და, ვინც ცოცხალი გადარჩა, შიგ ჩაცვივდნენ. ნაპირზე ვერც ერთმა ნავმა ვერ გამოაღწია, ყველა ჩაიძირა. პატრები მთელი ამ ხნის განმავლობაში შეუჩერებლივ ლოცულობდნენ, სანთლებს ანთებდნენ და უბრალოდ დაღუპულთა სულებს თვალცრემლიანნი მაღალ ღმერთს ავედრებდნენ. ქალაქი მაინც ვერ დამცხრალიყო. შიშისაგან გამხეცებული ბრბო, სენი არავინ შემოგვიტანოს და არ ამოგვჟუჟოსო, ნაპირიდან ქვებს ისროდა და ვაი იმისი ბრალი, ვინც წყლიდან თავს ამოჰყოფდა და ხმელეთთან მოახლოებას დააპირებდა!..

ამ ამბავმა ყველა შეაწუხა და ყველას თავზარი დასცა. მსგავსი რამ არც არსად გაეგონათ და არც სადმე ამოეკითხათ. სული მართლაც მწარე ყოფილა. ღმერთო, რას არ შეიძლება შეესწროს კაცი!

პატრებს რამდენიმე წუთი დასჭირდათ, სანამ დამშვიდდებოდნენ და შემდგომ სათქმელს თავს მოუყრიდნენ.

ყოვლის გამრიგე ღმერთმა, ეტყობა, საჭიროდ სცნო საქართველოში მათი მშვიდობით მოსვლა, რათა აქ, აღმოსავლეთის შორეულ ქვეყანაში, სადაც ამდენი მეგობარი და კეთილის მდომელი ეგულებოდათ, სასარგებლო მოღვაწეობა გაეჩაღებინათ და გზა სწორედ მაშინ გამოჩნდა, როცა ყოველგვარი იმედი უკვე გადაწურული იყო.

რეიდზე გემების ჩაძირვის მეოთხე დღეს კონსანტინოპოლისაკენ პირველი ხომალდი გავიდა. ხომალდი სარდინიის მეფისა იყო, ფრანგებს დაექირავებინათ, მარსელიდან მოდიოდა და კონსტანტინოპოლში იარაღ-საჭურვლის დიდი პარტია მიჰქონდა. ალექსანდრიაში საბაჟოს დაეკავებინა. ტვირთის კონფისკაციასაც აპირებდნენ, მაგრამ საქმეში ფრიდრიხ დიდის, პრუსიის მეფის, კონსული ჩაერია და ხომალდს გზის გაგრძელების ნება დართეს. კონსტანტინოპოლში წასვლის მსურველი და მოიმედე მგზავრი ბევრი იყო. ხომალდი ყველას ვერ დაიტევდა. თითქმის მთელი თავიანთი თანხა, რაც შინიდან გამოჰყოლოდათ და შავი ღღისათვის ინახავდნენ, კაპუჩინელმა ძმებმა კაპიტანს შესთავაზეს, მაგრამ ვიდრე მისმა უწმიდესობამ, ალექსანდრიის პატრიარქმა დოსითეოსმა კაცი არ გამოგზავნა და პატრების სასარგებლო შუამდგომლობა არ გასწია, ხომალდზე ფეხი არ შეადგმევინეს. ხუთი ღღე და ხუთი ღამე არყევდათ ზღვა. ღედის ხსენი აღარ შერჩენიათ. აღარავის ეგონა, თუ მიწაზე კიდევ ფეხს დაადგამდა. ესეც, როგორც სხვა ყველაფერი, ღვთის განგება იყო, დაილოცოს იმისი მადლი! ღელვა მანამდე არ ჩადგა, სანამ მარმარილოს ზღვიდან ბოსფორის სრუტეში არ შეცურდნენ და სიყვითლეშეპარულ მწვანე სერზე მეჩეთად გადაკეთებული აია-სოფიას ტანწერწეტა მინარეთები არ დაინახეს...

თავი VII

თუ ღრმად დაუკვირდებოდი, პატრების მონათხრობიდან კაცი საქმისათვის ფრიად საჭირო ბევრ დასკვნას გამოიტანდი და სოლომონიც ყურადღებად გადაიქცა. თვით ის გარემოებაც კი, რომ ალექსანდრიაში საბაჟოს მიერ დაკავებული ხომალდი პრუსიის მეფის, ფრიდრიხის, მოხელემ გაათავისუფლა, ერთი მხრივ ფრიდრიხის ძალასა და გავლენაზე მეტყველებდა, მეორე მხრივ კი ევროპის მეფე-მთავართა დაჯგუფებებში ჩრდილოეთის ამ ძლევამოსილი მონარქის ადგილზე მიუთითებდა. რაკი საფრანგეთი ოსმალთ იარაღ-საჭურველს აწვდიდა და ამ საქმეში მას პრუსიაც ხელს უწყობდა, მაშასადამე, ერთიცა და მეორეც, საფრანგეთიცა და პრუსიაც, სულთნის გაძლიერებას ესწრაფვოდა და ბრწყინვალე პორტას ევროპის განმგებელ გვირგვინოსანთა სხვა დაჯგუფების წინააღმდეგ ამზადებდა.

სოლომონს ოსმალთა კუთვნილი იარაღ-საჭურვლით დატვირთული ხომალდის ალექსანდრიაში დაკავებაც ბევრ რასმე ეუბნებოდა. რაკი ეგვიპტელებმა ამდენი გაბედეს და დაკავებული გემის ტვირთის ჩამორთმევა დააპირეს, მაშასადამე, პორტას კვლავ ეურჩებოდნენ და ნებაყოფლობით ხარკის გადახდაზე ჯერ ისევ უარს ამბობდნენ. ეს კი თავის მხრივ იმის მაჩვენებელი იყო, რომ ალეპოში ეგვიპტის დასაშინებლად მდგომ დიდ ვეზირს

ხელები კვლავ შეკრული ჰქონდა და ვიდრე ეგვიპტის საკითხს ან ისე არ გადაწყვეტდა და ან ასე, ჯარის გამოთხოვის მიზნით იქ ჩასულ ლევან აბაშიძისათვის ერთ კაკალ ჯარისკაცსა და ერთ ზარბაზანსაც ვერ გაიმეტებდა.

მაგრამ ვინ იყვნენ ისინი, ვის წინააღმდეგაც საფრანგეთი და პრუსია ოსმალეთს აიარაღებდნენ? ვითომ ავსტრია და რუსეთი? რა ძალებს ფლობდნენ მოკავშირეები? მარტო იყვნენ თუ გარდა ოსმალეთისა, გვერდში სხვა სახელმწიფოებიც ჰყავდათ ამოყენებული?

სოლომონი ერთობ კმაყოფილი დარჩა, რომ ზოგიერთი მისი ვარაუდი საფაშოს გზით არზრუმიდან მოსულმა დიდვაჭარმა ისხაკა თეთრუაშვილმაც დაამტკიცა და მფარველ მეფეს გულმოდგინედ მოგროვილი ცნობები ჩაუკაკლა. ისხაკა ბევრად უფრო გათვითცნობიერებული და დასავლეთის ამბებში გარკვეული კაცი აღმოჩნდა, ვიდრე სოლომონს ეგონა. ეს გასაკვირი არც იყო. გარდა ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებისა, თეთრუაშვილს ევროპის სავაჭრო გზებიც ფეხქვეშ გაგდებული ჰქონდა და თავისი ხელობის წყალობით ბევრი რამის წინასწარ გამოქექვა და შეტყობა უხდებოდა. თუ ვაჭარს დაუჯერებდი, საფრანგეთსა და პრუსიას გვერდში დიდი საზღვაო ქვეყანა ინგლისი უდგა, რომელიც თავისი ფლოტით და მრავალრიცხოვანი სახმელეთო ჯარებით საშიშ ძალას წარმოადგენდა, მაგრამ სამწუხარო ის იყო, რომ ინგლისის ქრისტიანი მეფე გიორგი პორტას მეგობრობდა და წინასწარ პირობას სდებდა, უკეთუ საპირისპირო ბანაკში ოსმალეთიც აღმოჩნდება, მე უარს ვიტყვი მის წინააღმდეგ იარაღის გამოყენებაზეო.

სოლომონმა ისხაკასაგან შეიტყო, რომ ავსტრიისა და რუსეთის იმპერატორებმა, მარია-ტერეზამ და ელისაბედ მეორემ, საღვთო კავშირი შეჰკრეს და პრუსიისა და ინგლისის წინააღმდეგ საფრანგეთსა და საქსონიას მოუწოდეს. საბოლოო შეთანხმება ჯერ მიღწეული არ იყო, თუმცა, ვინ იცის, შეიძლება კიდევაც შეთანხმდნენ. ხელმწიფეები და მათი კანცლერები მოლაპარაკების შედეგებს საიდუმლოდ ინახავდნენ და თავიანთ ნამდვილ ზრახვებს არავის უმხელდნენ. ოსმალეთი საქმეში არ ჩანდა. დასავლეთის მონარქთა მთელი გულისყური კონტინენტის შუა და ჩრდილო ნაწილზე იყო შეჩერებული.

სოლომონ მეფეს თეთრუაშვილმავე მოუტანა ფაშა ჰაჯი-აჰმადთან მიჩენილი მსტოვრის — ნატრია საჭურისის წიგნი. წიგნში ამჯერად საგულისხმო ბევრი არაფერი იყო. ნატრია რაბათის შინაურ ამბებს იტყობინებოდა. მხოლოდ ბოლოს დასძენდა, რომ ეს ერთი ხანია, ბატონიშვილი თეიმურაზი აღარ ჩანდა და მეფეს აღუთქვამდა, როგორც კი ხელახლა გამოჩნდება, მაშინვე გაცნობებთო. სომხის ტერტერას, ვისთანაც საჭურისი ბინად იდგა და ასულებს მწყემსავდა, ერთი ქალი უკვე გაეთხოვებინა და დღე-დღეზე მეორესაც ჯვარის დასაწერად ამზადებდა. ნატრიას ხვალ თუ ზეგ ამ უშიშარი ბინის დატოვება და სხვა თავშესაფრის ძებნა დასჭირდებოდა. სოლომონმა ბოქაულთუხუცეს ბერი წულუკიძეს დაავალა, რაიმე გზით საჭურისი ბიჭისათვის ცოტაოდენი თეთრი, ნახევარი წლის გასამრჯელო მიეწოდებინა და სანდო პირების საშუალებით მის მომავალ თავშესაფარსა და უშიშროებაზეც ეზრუნა.

ლიხთიმერეთის მთელი დარბაზის ერი, რომლის მონაწილეობისა და დასტურის გარეშე სოლომონი ხეობის საქმის გადაწყვეტას არ აპირებდა, რათა პასუხისმგებლობა ყველას თანაბრად გაენაწილებინა, მომდევნო დილას ჯრუჭის სანახებში მოგროვდა. გაუვალი ტყითა და ბუჩქნარით დაფარული ორივე ვიწრო ხეობა მონასტერს სამხრეთიდან და სამხრეთ-აღმოსავლეთი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დან რომ ჩაუდიოდა. ჯარით აივსო. საბ-ჭრობისას მოხვის თავდაღმართშიაც გამოჩნდა ჯარი. მჭიდრო გუნდებად შეკრული მოდიოდნენ, მოიმღეროდნენ და ლიხთიმერეთის პირველი სადროშოს ალამს მოაფრიალებდნენ. ხუთასიოდე მხედარი იქნებოდა. დამხვდურნი, უპირველეს ყოვლისა ერისთვიშვილები და მათი მხლებლები, თავისიანების ხმის გაგონებამ და გამოჩენამ ფრთები რომ გამოასხა და ერთბაშად გაამამაცა, მონასტრის გალავანს გადაადგნენ და თვალი მოიჩრდილეს.

ვინ იყვნენ მოსულთა შორის? ნუთუ ბატონმა მამამ ბოლოს მაინც გადაწყვიტა, მეფეს ხლებოდა და მცირედი ჯარით ჯრუჭს მოვიდა? ჯარი არცთუ ისე მცირე იყო. ამოდენა ლაშქარი, ცხენოსანი და ქვეითი, ამჯერად თვით მეფესაც არ ახლდა.

წიგნსაცავში ჩაკეტილ სოლომონს რაჭიდან ჯარის მოსვლა და მოხვის ბოლოზე დაბანაკება აუწყეს.

ვითომ თვით როსტომი მობრძანდა? მადლობა ღმერთს, თუკი ინება და თავი გაგვიყადრა! მეფემ ისე მოისმინა ეს ამბავი, თითქოს ერისთავის მოუთმენელი მოლოდინი არცა ჰქონოდეს და ვახუშტი ბატონიშვილისეული რუკის სინჯვა განაგრძო, რომელზედაც ფერადი ხაზებით შემოეკლოთ საუკუნეების განმავლობაში ჯრუჭის მონასტრის კუთვნილი, შემდეგ კი, სხვადასხვა დროს, მომიჯნავე მებატონეებისაგან მიტაცებულ-დასაკუთრებული სოფლები, ტყეები და სავარგულები.

მცირე სატრაპეზოში სამხარს შლიდნენ. ცოტა ხანმა რომ გაიარა, წიგნსაცავში პაპუნა წერეთელი შემოვიდა და მასპინძლური მოწიწებითა და თავაზით ბატონს ჰკითხა, ხელების დაბანას ინებებთ თუ არაო. სოლომონმა თვალი მოსწყვიტა მუხის სქელი ფიცრებისაგან შეკრულ მაგიდაზე გადაშლილ რუკას, თაფლის სანთლის, ვარდისწყლისა თუ ცხენის ოფლის გამაბრუებელი სუნი რომ ასდიოდა და პაპუნას კითხვის გამომხატველი მზერა მიაპყრო.

— ყაბარდოს ბატონის სიძე ერისთვიშვილი იაგორა და ალი-ანგიჩარი გეახლნენ, მეფეო... — მოახსენა თავადმა.

— თავად როსტომი? როსტომი არ ჩანს? — თავისდა უნებლიეთ ისე ხმამაღლა იკითხა მეფემ, მისი ხმა, ალბათ, კართან მოდარაჯე ხელშუბიანმა ქეშიკებმაც გაიგონეს და ერთმანეთს მიაჩერდნენ, ნეტავი შიგნით რა ხდებაო.

პაპუნა წერეთელი მიხვდა, მეფეს ისევ აემღვრა გუნება, ხმას დაუწია და ფრთხილად, თვით რომ არაფერი მოსწეოდა, გაღვივებულ ცეცხლს ფიჩხი დაუმატა:

— თავად როსტომი არ გახლავს, მეფევ ბატონო, დაუბარებია, რაღაცა ეშმაკად უქეიფოდ შევიქენი, ექიმებმა წურბელები დამასხეს გაფუჭებული სისხლის გამოსაშვებად და მეტადა ვწუხვარ, დღეისწორამდე ლოგინიდან რომ ვერ წამოვდგებიო.

„მაგის გაფუჭებულ სისხლს ჩემს მეტი ვერავინ გამოუშვებს!“ — გაიფიქრა ერისთავის ახალი თავხედობით საგონებელში ჩავარდნილმა მეფემ და წერეთელი დაითხოვა, ერთხანს ისევ მარტო დარჩენა არჩია.

რა გზას დასდგომოდა? ვისთვის ეკითხა რჩევა? დღეისწორამდე ეცადა, ვიდრე ერისთავი მოინებებდა და აქეთ პირს იზამდა?

მეფის გულისწყრომა მაშინ უფრო გაძლიერდა, როდესაც ნასამხრობებს, მწუხრის წირვის წინ, რომელიც ნათლისმცემლის ტაძარში მისიონერმა პატრებმა გადაიხადეს, ერისთვიშვილი იაგორა და რაჭის ციხეების ავან-ჩავანი, როსტომის უერთგულესი ყმა ალი-ენგიჩარი ეახლნენ და მდიდრულ ძღვენთან ერთად ერისთავის ბოდიშის წიგნი მოართვეს.

ჯრუჭულის ხეობის სოფლებს, რომელთა ბედის გადასაწყვეტად ერი და

ბერი აქ შეიკრიბა და ამდენი დრო წყალმა წაიღო, ერისთავი როსტომი წიგნში სიტყვის მასალადაც არ ახსენებდა. საქმეს, ეტყობოდა, გადაწყვეტილად თვლიდა. აბა, უარს ვინ გაუბედავდა და დიდ კახაბერისძეთა ნაშიერს ვინ ჰკადრებდა, ჯრუჭულის ხეობიდან ფეხი ამოიკვეთეო! ერისთავი, თითქოს სხვა საზრუნავი აღარაფერი დარჩენიაო, „მწყალობელ მეფე-ბატონს“ იქით ეპატიჟებოდა, როცა მოიცალო, თავი ნუ მოგიკვდება, იმ შენი კაი მამის ცხონებამ, აქეთაც გვინახულე, ბერიკაცს ნუ გამომეჯიბრებიო, ოღონდ განმეორებით უხდიდა ბოდიშს, რომ უახლოეს მომავალში, ავადმყოფობის გამო, ეგზომ საპატივცემო სტუმრის მიღება და ჯეროვანი გამასპინძლება არ შეეძლო.

ეს ხომ სილის გაწვნას უდრიდა! სოლომონი აილეწა. სისხლი სახეს მოაწვა და მხარში დიდი ხნის მივიწყებულმა ტკივილმა გაჰკრა.

როსტომ რაჭის ერისთავი თავს ისე იჭერდა, თითქოს იმერთა გვირგვინოსანი მეფის ქვეშევრდომი და ყმა კი არა, მისი ტოლი და სწორი მეზობელი ყოფილიყოს. ამითაც არ კმაყოფილდებოდა, აშკარად დასცინოდა, მამასაც გადაკრულად უხსენებდა, იწვევდა, აბა, თუ მართლა მეფე ხარ და გული გერჩის, დამანახე, რა შეგიძლიაო, მთელი ქვეყნის წინაშე აბუჩად იგდებდა და ისე ექცეოდა, როგორც მის კარზე სამადლოდ გაზრდილ ღარიბ ნათესავს.

„ან მე, ან ის!“ — სოლომონს გამდნარ ტყვიასავით ჩაესხა ტვინში მშფოთვარე ფიქრი და მაშინვე ძმა, გენათელი მიტროპოლიტი ბატონიშვილი იოსები მოიკითხა. სასწრაფოდ დარბაზის ერი უნდა შეეკრიბათ და მისი ერთობლივი გადაწყვეტილებით მხლებელი ჯარი აეყარათ. არა, არ შეიძლებოდა წაყრუება და ამდენის პატიება! რადაც არ უნდა დამჯდარიყო, რაჭის თავგასულ ბატონს სისხლით უნდა ეზღო ყველა ავკაცობა, ტახტისა და პირადად სოლომონის წინააღმდეგ რომ მიუძღოდა. უკან დახევა და გაუბედავობა საქმეს დაღუპავდა. ხვალ სხვები წამოჰყოფდნენ თავს, თუნდაც იგივე წერეთლები, არცთუ უსაბუთოდ წამოაყენებ-ინდნენ, თუკი ერისთავს ხელისგულზე კვერცხს უგორებ, ჩვენ რა დაბალი ღობე გვნახეო, განდგებოდნენ და თავთავიანთ ციხეებში შეიკეტებოდნენ, როგორც არა ერთჯერ განმდგარან და შეკეტილან.

თავადი პაპუნა ყველაფერს მიხვდა. მიხვდა, რომ დაჰკრა როსტომ რაჭის ერისთავის განკითხვის ჟამმა. ახლა იყო სწორედ საჭირო ბრძნული წინდახედულებისა, სიფრთხილისა და გონიერების გამოჩენა. დარბაზის ერში, შესაძლოა, როსტომს თანამგრძნობები და მხრის ამბმელები გამოსჩენოდა. თუ მთლად თანამგრძნობები და მხრის ამბმელები არა, ისეთები მაინც, ვინც რაჭაზე ცეცხლითა და მახვილით გალაშქრებას ტახტის საზარალო საქმედ ჩათვლიდა და მეფეს ფიცხელ განზრახვაზე ხელს ააღებინებდა. ეს საქმეს, რასაკვირველია, გაართულებდა, ვინაიდან დარბაზის ერის ერთსულოვანი გადაწყვეტილების მიღება გაძნელდებოდა. წერეთლები უკან უნდა მდგარიყვნენ, გაალმასებული სოლომონისათვის უნდა ეცლიათ და, ღვთის შეწევნით, სანთელ-საკმეველი თავის გზას არ დაჰკარგავდა.

პირველი საქმე, რაც პაპუნა წერეთელმა წიგნსაცავიდან გამოსვლისთანავე გააკეთა, ის იყო, რომ ძმა — ქაიხოსრო ცალკე გაიხმო და სხვათაგან ნამალევად მეფის გუნება-განწყობილების ამბავი გაანდო, გენათელი მიტროპოლიტი იოსები კი მხოლოდ ამის შემდეგ შეგზავნა მონასტრის წიგნსაცავში განმარტოებულ სოლომონთან. სალაშქროდ გამოწყობილი, თითქოსდა ბრძოლის ველიდან მოსული ზემომხრის სარდალი დაღვრემილი ჩანდა. უჩვეულოდ გამოცოცხლებულ, გაფაციცებულ

და გამეცადინებულ ძმას ხმააძოულღლებლივ მოუსმინა. სახეზე ერთი ნაკვთიც არ შესტოკებია.

— სხვა ამბავი ხომ არაფერი იცი? —ქაიხოსროს დუმილი და უსიტყვო მჭმუნვარება, რაც ამ მოძრავ, განუწყვეტელი მოქმედებისათვის გაჩენილ კაცს სრულიადაც არ ახასიათებდა, პაპუნას ავად ენიშნა.

— ეს არის, შემატყობინეს: თათარი დაგვეცა.

— თათარი? — ამ სიტყვის მნიშვნელობას თითქოს ერთბაშად ვერ მიხვდაო, პაპუნამ უანგარიშოდ გაიმეორა. — სად? როდის?

— გუშინწინ ღამ. სვირი და ობჩაა უკლიათ. უკეთეს დღეს არც ბაღდათს და დიმს დააყრიდნენ. აქეთ მოდიანო.

— ვაი, შენ ჩემო თავო! — სულ ცოტა ხნის წინათ ასე იმედით სავსე და მხნე პაპუნა წერეთელმა ყურები ჩამოყარა. — დავღუპულვართ და ეგ არის!

— მეფეს უნდა მოვახსენოთ! — მტკიცედ თქვა სარდალმა.

— მოიცა... ჯერ არაფერი იცის? თუ მცა...

— ვინ ეტყოდა! ბერი ლორთქიფანიძის გამოგზავნილი კაცი ჩემთან მოიჭრა და ეგერ იცდის. დავაფიცე, ჩემს უნებართვოდ არავის არაფერი უთხრა თუ არა, ოთხში ამოგიღებ მეთქი.

— ვაი შენს დედას, როსტომ ერისთავო, რას გოდოურჩი! — პაპუნას მაინც თავისი დარდი აწუხებდა — რაჭის ასაკლებად დაწყობილი გეგმები ვერ დაეთმო. — სწორად მოქცეულხარ, ქაიხოსრო. ახლა, თუ გიყვარდე, მე მაცალე.

— გვიანდება, პაპუნა, ბერი ლორთქიფანიძე და ზურაბ მიქელაძე ჯარის მიშველებას გვაჩქარიან. ჩვენ აქ ყველაფერი ვიღონეთ, რაც შეგვეძლო, გურიელსაც მეფის სახელით ვაახელით ლაშქრად წვევის წიგნი, მაგრამ იქიდან ჯერ არავინ ჩანსო. სანამ წყლის პირიდან აქ ამოვიდოდი, გაღმა სოფლებში კაცები ვაფრინე, მამასახლისები ლაშქარს თავს მოუყრიან. გახიზნვის თადარიგიც ხომ უნდა დავიჭიროთ. ძალიან ბევრი თუ არ არიან ეგ რჯულძაღლები, იქნება ვიმარჯვოთ და ჩვენს საბატონოში მაინც აღარ შემოვუშვათ. ჯარი აქაც გვიდგას ცოტა. იქნება იწამონ ღმერთი და რაჭველებიც მოგვეშველონ. მეფის ბრძანებას საით წაუვლენ! ახლა მთავარია მოკლეებზე ვიაროთ და სადმე მოხერხებულ ადგილზე დავხვდეთ მტერს.

— თათარს ვინ მოუძღვისო?

— ვინ იქნება, მაგას კიდევ კითხვა უნდა, პაპუნა?

— შენ ფიქრობ, ლევან აბაშიძე? არა, ქაიხოსრო, თუ გინდა, ხატზე დავიფიცებ! ბებერი აფთარი, ლევანი, უდროო დროს ლაშქრობას წამოიწყებს და თავის გამარჯვებას სასწორზე შეაგდებს? არ იფიქრო ეგ! ლევანი კიდევაც რომ გაბრიყვდეს და მოუთმენლობამ თვალები აუბას, ფაშა არ გაბრიყვდება და ჯარს არ გამოატანს. დაიხსომე ჩემი სიტყვა. სადაც არის ჩამოთოვს, შე კაცო, ზეკარზე რახანია თოვლი დევს. იქიდან აქ ამისთანაში დიდ ჯარს გადმოესვლება? შენგან მიკვირს სწორედ, ქაიხოსრო. ვთქვათ, გადმოვიდა, მოგვსპო და დაგვანელა. უკან გაბრუნება ხომ უნდა? მარტო ზარბაზნების, აღალოს და ნაოხრის თრევა თქვი შენ!

საომრად შეწკიპული ქაიხოსრო ძმის მიერ წამოყენებულმა დამაფიქრებელმა საბუთებმა ძალზე დააეჭვა და ზოგ რამეს უკვე სხვა თვალით შეხედა.

— პატარ-პატარა მარბიელი რაზმები არიან, — დარწმუნებით, თითქოს უტყუარი ცნობები ჰქონოდეს, განაგრძო პაპუნამ. — თავს მოვიჭრი, თუ ასე არ იყოს. ეტყობა, აქაც დაგვეცნენ, იქაც, ერთდროულად რამდენიმე სოფელი წაახდინეს და მიქელაძესა და ლორთქიფანიძესაც მიეცათ სალაპარაკო. ისინი თავს იზღვევენ, ქაიხოსრო, უნდათ. ხელი ამ კურთხეულს შეახოცონ. მიხ-

ვალ, ეტყვი, გოუბედავ, აგრე კი არა, ასე და ასეა საქმეო? შემოგწყრება, აქეთ დაგდებს ბრალს! შენ რომ მაგათ ადგილზე ყოფილიყავი, იმისთანა უკულმართი დროა, შენც აგრე მოიქცეოდი. ეგ მამაცხონებულები თან ხმალს იქნევენ და თან მეფეს ამადლიან, შემოგვხედე, დაგვინახე, რა ერთგულები ვართ ტახტისა და საქრისტიანოსი, სხვებს კი არ ვგავართო. მაცალე ერწამა. სანამდი მე არ მოგცემ ნიშანს თუ ჩვენი ძმობა გწამს, მეფესთან ენა არ დაასველო. მე ვიცოდე და იმან! ლორთქიფანიძის მალემსრბოლს და მის მომყოლებს სანდო ბიჭები მიუჩინე, თავადაც თვალი გეჭიროს. თუ ჩვენს უნებართვოდ ხმა ამოუღიათ...

სარდალი ახლა თავადაც ხედავდა, და გრძნობდა, რომ ლორთქიფანიძე და მიქელაძე სწორედ უდროო დროს გამოტყვრნენ და, სურდათ თუ არა სურდათ, თითქმის ბოლომდე მიყვანილი საშვილიშვილო საქმე ჩაფუშეს. თუნდაც ერთი დღე რომ ეცლიათ, ერთი, ერთადერთი დღე, ღმერთმანი, კმარიდა — გაგულისებული მეფე უკვე რაჭაში იქნებოდა ჯარითურთ შესული და, თუ ცა მთლად არ ჩამოემხობოდა, იქიდან მანამ არ გამოვიდოდა, ვიდრე ერისთავის ყველა ციხეს არ გასტეხდა, შოგ თავის მეციხოვნეთ არ ჩააყენებდა და თვით როსტომს ყელზე საბელშებმულს წინ არ გამოიგდებდა. აი, ეს იქნებოდა ნამდვილი საქმე, რომლის აღსრულებას ერისთავის ახლო თუ შორეული მეზობლები წლების მანძილზე ამაოდ ნატრობდნენ. რაც არ უნდა მომხდარიყო, ერისთავი ბოლოს მაინც მოგებული რჩებოდა ხოლმე და საქმე ისევ თავიდან უნდა გამოეწყოთ.

ყოვლის მცოდნე და ყველა დაბურულ საქმეში ჩახედულ ძმას ქაიხოსრო არ შეჰყამათებია, სიტყვაც არ უთქვამს, ახლა არც იყო ამის დრო, პაპუნას დარიგების შესასრულებლად და შეხაფერი განკარგულების გასაცემად გატრიალდა.

მონასტრის წიგნსაცავში ამ დროს სულ სხვა საუბარი გაიმართა. ბერეთლები რას არ მისცემდნენ, ოღონდ ზღაპრული უჩინმაჩინის ქუდის დახურვა, უჩუმრად წიგნსაცავში შესვლა და ამ საუბრის მოსმენა შესძლებოდათ!

— რაზე მეძახი, სოლომონ? — შინაურულად მიმართა გვირგვინოსან ძმას მიტროპოლიტმა, როცა შეატყო, კარის ჭრიალი ვერ გაიგონაო, მაგიდას შემოუარა და წინ დაუდგა.

ციებაშეყრილივით ფერწასული სოლომონი ტახტზე იჯდა, ერისთავის წიგნი ისევ ხელში ეჭირა.

— ეს წაიკითხე!

მიტროპოლიტმა წიგნი გამოართვა, გაშალა, ხელებს შუა გაჭიმა და სარკმელს გაჰხედა, საიდანაც დღის კაშკაშა სინათლე შემოდიოდა და სწორედ იმ ადგილას, სადაც სოლომონი იჯდა, ირიბ სვეტად ეშვებოდა. იოსებმა ბიჯი წარსდგა, სინათლის ჭავლში შევიდა და ფურცელი თვალებთან ახლოს მიიტანა. სოლომონმა აცალა, სანამ ის ბოლოში გავიდოდა და მხოლოდ ამის შემდეგ ჰკითხა:

— როგორ მოგწონს? პირდაპირ მითხარი!

იოსებმა თავი ასწია, ერისთავის წიგნი, რომელსაც ბატონი ასე აღეშფოთებინა, მაგიდაზე დასდო და გვირგვინოსან ძმას თვალებში შეჰხედა.

— თქვი, ჰო, პირდაპირ მითხარი, ამისათვის მოგიხმე!

მიტროპოლიტმა იოსებმა ძმას თვალი მოარიდა და თითქოს თავისთვის ჩაილაპარაკა:

— ვისურვებდი, ერისთავს გონიერება ეხმარა და მისი უმაღლესობა მეფისათვის უკეთესი წიგნი მოეწერა.

გაფითრებულ ღაწვებზე სოლომონს ალისფერი შეეპარა.

— თუ სულაც არ მოეწერა არავითარი წიგნი, თავისი ფეხით გვხლებოდა!

იოსები დაეთანხმა:

— რასაკვირველია, ეგ უკეთესი იქნებოდა.

— ახლა რას მირჩევ? რა გზას უნდა დავადგე?

— უნდა გავაკეთოთ ის საქმე, რისთვისაც აქ მოვსულვართ. კიდევ ხომ არ გადავდებთ, ერის წინაშე თავს სამასუარაოდ ხომ არ გავიხდით!

— მერე ერისთავის დაუსწრებლად?

— თუნდაც აგრე, სხვა რა გზა გვაქვს!

— შენ გგონია, რომ სხვა გზა არ არის? — სოლომონი ტახტზე შეინძრა, წამოდგა და ძირს ჩამოვიდა. — არის ერთი გზა! მე მგონია, იესე, ის გზა ერთი კი არა, ერთადერთია და თუ გვწადია, ქვეყანას ახალი არევ-დარევა და ქაოსი ავაშოროთ, იმ გზას უნდა დავადგეთ!

— რომელია ეგ მხსნელი გზა, სოლომონ? რას უნახავდი, რატომ აქამდე არ გამიმეღავნე?

მეფე შუა დარბაზში გაჩერდა, დინჯი შემოიდგა.

— ერისთვიშვილები და ალი-ენგიჩარი უნდა დავაპატიმრო და ყველა ციხის კაზემატში გამოვკეტო. მძევლად მეყოლებიან. როსტომს შევუთვლი. თუ არ მოსულა და ტახტის წინაშე მუხლი არ მოუდრეკია, ყველას თავს გავაგდებინებ, ან თვალებს დავთხრი!

იოსები შეკრთა და თითქოს არა სხვა ვინმეს, არამედ თვით მას უპირებდნენ თავის გაგდებინებას ან თვალების დათხრას, უკან დაიხია.

— მერე ამდაგვარი ვერაგობა ღვთისმოსავ მეფეს ეკადრება? ურჯულო ხომ არა ხარ! ვეჭვობ, ერისთავი მაგით შეაშინო და შენს ჭკუაზე გაატარო. როცა სიტყვა მისი საერისთავოს შეუვალობას შეეხება, როსტომს თავიც არ ეზოგება, არამც თუ შვილები. დაგავიწყდა, რა დღე დაათია საკუთარ სიძეს, სადმელის ციხის პატრონ ბუჭუტა იაშვილს, თეიმურაზ ბატონიშვილის სიძედ მოკიდება რომ ამოიგრა გულში? როსტომი კიდევაც რომ შეაშინო და ჩამოსვლაზე დაიყოლიო, რაც, თუ წინათგრძნობა არ მღალატობს, მისთვის სავალალოდ დასრულდება, ამათი, ერისთვიშვილების, შეპყრობა აგრე ხელწამოსაკრავი საქმე გგონია? ხუთასი კაცი ჯარი ახლავთ, სულ დარჩეული ვაჟკაცები. ბატონისათვის ყველა თავს დასდებს. ჩვენ ფიცის გამტეხებად და უპირულებად გამოვალთ მაგათ თვალში. სამ იმდენ ჯარს გაგვიჟლეტენ, რაც თვითონ არიან, ერისთვიშვილებს გზას მისცემენ და პირში ჩალაგამოვლებულს დაგვტოვებენ. მაშინ სადღა გინდა წახვიდე? ქვეყანაზე თავი გამოგვეყოფა?

— მართალი ხარ, იესე, ერისთვიშვილების შეპყრობა ადრევე უნდა მეფიქრა, თუნდაც სკანდის ციხეში, როცა მცირე ამალა ახლდათ და თავადაც მხოლოდ ორნი იყვნენ, მაგრამ რა ვიცოდი...

— ისე რომ, ეგ გზა, შენ რომ ხსნის ერთადერთ გზად მიგიჩნევია, არ გამოგვადგება, — რაკი მეფე ადვილად დაიყოლია და უგუნური ნაბიჯის გადადგმაზე ხელი ააღებინა, იოსებს მხნეობა მოემატა და გვირგვინოსანი ძმის დამოძღვრა კიდევ მეტი გაბედულებით განაგრძო. — შენის სიკეთით, სხვა გზა უნდა ვეძიოთ.

— პირდაპირ თქვი, რას მამარჩიელებ!

— მე უკვე ვთქვი, სოლომონ: ბოლომდე უნდა მოვიყვანოთ ის საქმე, რისთვისაც აქ მოვსულვართ და დარბაზის ერი შეგვიკრებია.

მეფე გრძნობდა ძმის სიმართლეს, გონების ძალას, გრძნობდა აგრეთვე, რომ თავად უმწეო იყო და მის ჰაგიერ ახლა მხოლოდ მღვდელმთავარი ძმა ფიქრობდა, სჯიდა, საბოლოო გადაწყვეტილებას იღებდა. თავისმა ამ უჩვეულო მდგომარეობამ სოლომონი შეაძრწუნა, საკუთარი არასრულფასოვნების შეგნება გულში ხანჯალივით გაეყარა და ქვეყანა თავდაყირა დაუდგა.

იოსებმა დაინახა, როგორ შექანდა მეფე და შეშინებულმა ხელი შეაშველა.

— სოლომონ! რა მოგვიდა, ექიმს ხომ არ მოვუხმო?

— არა... თვალებბრჭყვიალა დამესხა. კინალამ წავიქეცი. ახლა არა მიშავს რა...

— დაჯექი, ან წამოწექი აგერ, ქვეშაგებს შემოვატანინებ. მაგას უძილობა გიშვრება. რამდენჯერ გითხარი, ადალოცვილო, კიდევაც შემოგეხვეშ, და კაციშვილის არაფერი გეყურება.

— მოვეშვათ მაგას!.. დრო ოქროდ გვიღირს. საქმეზე მოვილაპარაკოთ. არ დაგიმალავ, ვილას ვუთხრა, შენ თუ არ გეტყვი: მართლა რაღაცა მემართება. ასე მგონია, თავი დამიცარიელდა. ხანდახან შიში მიპყრობს — ხომ არ მომწამლა ვინმემ...

— მოწამვლისაგან ღმერთმა დაგვიფაროს, სოლომონ, მაგრამ სიფრთხილე კი მართლა გვმართებს. მტერი ეუხანათია, არ დაგვინდობს. თუკი სადმე ფეხი წამოვკარით და წაქცეული დაგვინახა, მშიერი მგლების ხროვასავით მოგვესევა!..

თავი VIII

დარბაზის ერი, ერისთვიშვილები, რომელთაგან მხოლოდ ორი — გიორგი სარდალი და ნაბერალი მეთოდე მოვიდნენ, მესამე — ყაბარდოს ბატონის სიძე ერისთვიშვილი იაგორა და როსტომის ციხისთავი ალი-ენგიჩარი კი გარეთ, ჯართან დარჩნენ, მონასტრის წინამძღვარი არქიმანდრიტი იოანე, კარის მწირველი მღვდელი სვიმონ წერეთელი და მისიონერი პატრები, მეფის ბრძანებისამებრ, იმავე ღამეს წიგნსაცავში შეიკრიბნენ და სოლომონის ხელით შედგენილი წყალობის სიგელი მოისმინეს.

პაპუნა წერეთელს მეფე დაეშვიდებული ეჩვენა. წუთიერ აფეთქებას, რასაც თავად შეესწრო, უკვალოდ გაევლო. სოლომონს, ჩვეულებისამებრ, აფორიაქებული გრძნობები მოეთოკა და გაფითრებულ სახეზე შინაგან ბრძოლაში გამარჯვების დაღი აჩნდა. ეს ცუდი ნიშანი იყო. ასეთ დროს მეფეს შეეძლო, ცხვრის ქურქი წამოესხა, კბილები კი წინასწარ შეთვალთვალებული და განწირული მტრის დასაფლეთად აელესა, ანდა პირიქით: გოროზი იერი მიეღო და თვით ძმისმკვლელი კაენიც კი მაცხოვრისებური დიდსულოვნებით შეეწყნარებინა.

სოლომონს ოქროს სირმებით ქობაშემოვლებული მოკლე ქულაჯა ეცვა, ხავერდის მაღალი საყელო ღილკილოებით ყრუდ შეებნია, სახეზე ქულაჯის ჭიაფერი სცემდა და თითქოს შიგნიდან ანათებდა.

ვიდრე სიგელის წაკითხვას შეუდგებოდნენ, მეფემ კრებულს თვალი მოავლო და როგორც კი სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა, დათაფლული ხმით განაცხადა:

— რაჭის ერისთავმა ბატონმა როსტომმა, სტრატილატმა და ვიპატოსმა, წიგნი გვაახლა. უქეიფოდ ბრძანებულა. ამ ბოლო დროს რაჭის ბატონი უქეიფობას ხშირად უჩივის. ქვეყნის მართვაში მისი გამოცდილი ხელი გვაკლია. შევთხოვთ განგებას, ადრე და მალე გამოჯანმრთელებული გვაჩვენოს ტახტის ერთგული, ჩვენი ყველა მტრის რისხვა როსტომ ერისთავი!

— ამინ! — გაგრძელებულად ჩაიბუტბუტა უწმიდესმა კათალიკოსმა ბესარიონმა და წამსვე წამოჭარხლდა: მის გარდა ყველა მდუმარედ იჯდა, თვით ერისთვიშვილებიც კი, მეფის ამ აშკარად პირმოთნე, თუმცა სამსალაგარეულ ნატვრას და გადაკრულ საყვედურებს არც სამღვდელო პირთაგან და

არც ერისკაცთაგან არავინ გამოხმაურებია. კათალიკოსის უცაბედი შეცდომა და გაწბილება ყველამ შენიშნა, შენიშნა უპირველეს ყოვლისა პაპუნა წერეთელმა, რომელიც თვალს არ აშოლებდა მეფის სახეს, მაგრამ მხედველობის გარეთ არც სხვები რჩებოდა.

„ეს მამასაც აჭარბებს, ბიძეებსაც და ბაბუასაც, — ფიქრობდა ყველა ამათი მეფობის მომსწრე მოხუცებული თავადი. — გულში ერთს ფიქრობს და ენით მეორეს ქარგავს. თუ ყელი გამოგვჭრა და, ესენი მაინც ჩემებია, სად წამივლიანო, საქმითაც ეგ ინება... დილას ვერ გოუგებ, საღამოს რას ინებებს, ბრძანებს, გახურებულ თორნეში ჩაახედეთ ან ყელი გამოღადრეთო, თუ ალერსით თავზე ხელს გადაგისვამს, ამასთან მტრობა და თვალთმაქცობა ცეცხლთან თამაშია, არც მეტისმეტი გაშინაურება და გულში ჩახუტება ვარგა. ვინ უწყის, როდის წამოუვლის წყეული ჟინი!..“

„წყეული ჟინი“, პაპუნა წერეთელს ასე რომ აშინებდა, სოლომონს ახლა „წამოვლილი“ ჰქონდა, გულ-მუცელი ეწვოდა, მდუღარება ყელზე აწვებოდა, მაგრამ მღვდელმთავარ ძმასთან ნათათბირები საღ გონებას იყო მინდობილი, მტრის დასათრგუნავად ძალები არ ჰყოფნიდა და სიფიცხის აყოლით საკუთარი უღონობა რომ არ დაემტკიცებინა, სხვათა და სხვათა თვალში თავს გულუბრყვილო, მიმნდობ და მალემრწმენ კაცად სახავდა.

მას შემდეგ, რაც ერისთავისადმი დამოკიდებულება დარბაზის ერის წინაშე სიტყვიერად გამოხატა და ამით ერთი უპირველესი საქმე მოითავა, მეფე დიდებულთა და საეკლესიო მამათა ჯრუჭის მონასტერში თავმოყრის მიზეზს გადასწვდა. თვით ისინიც კი, ვინც სამეფო კართან ყველაზე უფრო დაახლოებული იყო და სოლომონს სიყრმიდანვე იცნობდა, არ მოელოდნენ, თუ ახალ[illegible]ერდა ხელმწიფე ასე ზედმიწევნით ერკვეოდა ძველი მიწათმფლობელობის ამბებში. მრჩევლებს თავუღებლივ ემუშავნათ და ქვეყნის გვირგვინოსანი ბატონი საჭირო საბუთებით ჭარბად მოემარაგებინათ. ეს მუშაობა არცთუ ახალი დაწყებული ჩანდა. სოლომონი, ეტყობოდა, საჭირო ცნობებს გზადაგზა აგროვებდა და ამ დღისათვის საგულდაგულოდ ემზადებოდა. ჯრუჭულის ხეობისა და მისი მომიჯნავე მიწების ასავალ-დასავალი მან თითქოს ხელისგულზე გადმოშალა და ძველის-ძველი სიგელ-გურჯები რამდენჯერმე დაიმოწმა.

პაპუნას გული გაუჩერდა. ვერ იტყოდი, რომ საქმეს კარგი პირი უჩანდა. სოლომონი ძალიან შორს გადასწვდა ამბებს: შორაპნის საერისთავო და არგვეთის მთავრები, არაბების შემოსევის დროს მოწამებრივად დაღუპული დავით და კონსტანტინე გაიხსენა. თუ გულში თავისი კეთილისმყოფელი წერეთლების სიკეთე ედო, სოლომონი ასე შორს არ უნდა წასულიყო, ვინაიდან იმ შორეულ დროს წერეთლები, ისევე როგორც ახლანდელი ლიხთიმერეთის ბევრი სხვა დაწინაურებული გვარი, დიდაზნაურებად არ იხსენიებოდნენ. ისინი ამ ორასიოდე წლის წინათ ამოტივტივდნენ ზემო იმერეთში და რადგან უციხონი და ღარიბები იყვნენ, იმთავითვე მეფის მოწყალე კალთას შეეფარნენ, მეფის ნასუფრალს იყოფდნენ და თუ მფარველ მეფეს მტერი მოერეოდა, ისინიც გამარჯვებული მტარვალის მძვინვარე შურისძიების მსხვერპლი ხდებოდნენ. სარწმუნოდ არავინ იცოდა, საიდან და როგორ გაჩნდნენ აქ, თუმცა თვით წერეთლები თავიანთ წარმომავლობას იმერეთში საიდანღაც გადმოხვეწილ დიდებულ წინაპარს უკავშირებდნენ. ზოგი ამბობდა და წერდა, ჰერეთიდან ჩამოსახლებული არიანო, ოდესღაც ჰერეთის დიდი მებატონეები ყოფილანო, მერე მეზობელი ხანების გაუთავებელი თავდასხმებისათვის ვეღარ

გაუძლიათ და ქვეყნის შუაგულისაკენ დაუხევიათო. სხვები ქართლის წერეთის მკვიდრებად თვლიდნენ. ვითომ იმერთა რომელიღაც მეფის დამხმარე ლაშქარში ეომოთ აგარიანების თუ ყიზილბაშების წინააღმდეგ, გმირული შემართებით თავიც გამოეჩინოთ და გაწეული სამსახურის სანაცვლოდ მეფისაგან აბაშიძის კუთვნილი არგვეთის ეს ნაწილი მიეღოთ სამემკვიდრეოდ.

მაგრამ, თუ ასე გაჰყვებოდი, ძირძველობით ვერც რაჭის ახლანდელი ერისთავები მოიწონებდნენ თავს. პაპუნა წერეთელი მრავალმხრივ განსწავლული კაცი იყო და ძველი საღვთო და საერო წიგნების ცოდნაში ტოლს თვით გიორგი წულუკიძესა და ეპისკოპოს მაქსიმე აბაშიძესაც არ უდებდა. ის ბრწყინვალე ერისთავნი, დიდი თამარის მეფობის ჟამს ერთ-ერთი უპირველესი ადგილი რომ ეკავათ სამეფოში და ვის დროსაც, თუ კედლის წარწერას ერწმუნებოდი, შიგ შუაგულ არგვეთში მღვიმევის მონასტერი აშენდა, სხვა გვარისანი, კახაბერისძენი იყვნენ. კახაბერიძეებს ყმა-მამული არგვეთშიაც ჰქონდათ, ეს კი არა, ზემო და ქვემო რაჭასთან ერთად ისინი მთელ ლეჩხუმს, მაშინდელ თაკვერსაც ფლობდნენ. კახაბერიძეების დამხობისა და დამდაბლების შემდეგ, რაც ნარინდავითის დროს მოხდა, რაჭის ერისთავთა გვარეულობა ბარე ორჯერ შეიცვალა, თვით საერისთავოც ბარე ორჯერ გაუქმდა, ვიდრე იმერთა დიდმა მეფემ, ბაგრატ მესამემ, იგი კვლავ არ აღადგინა და ერისთავად როსტომის წინაპარი ჩხეტიძე, იგივე ჩხეიძე არ დასვა. რაჭაშიაც ფრთებშეკვეცილ ერისთავ ჩხეტიძესა და მის ქვეშევრდომთ ქედგადმოღმა, საკუთრივ იმერეთში არაფერი ესაქმებოდათ, აქ არც ყმა-ყავდათ და არც მამული მოეძევებოდათ, ვარდა ათიოდე ნაჭერი ვენახისა, რომელსაც თვით ამუშავებდნენ, აქაურობის მფლობელ წერეთლებს ურთიერთ-გარიგებით დაწესებულ ბაჟს უხდიდნენ და გვიან შემოდგომაზე, ვიდრე ქედზე მიმოსვლა კიდევ შეიძლებოდა, ღვინო ცხენებით რაჭაში გადაჰქონდათ.

ეს ყველამ იცოდა, ამის მომსწრე და მხილველი ყველა იყო და ნუთუ ვისიმე გულის გასახარად და გადმოსაბირებლად დღეს შეიძლებოდა შავი თეთრად მოენათლათ, თეთრი კი შავად?

წყალობის სიგელმა, რომელიც მეფის ბრძანებით კარის მწერველმა მღვდელმა სვიმონ წერეთელმა წაიკითხა, ყველა დაადუმა და პირზე დიდი ბოქლომი დაადო.

მრავალსიტყვიანი შესავლის შემდეგ, როგორც საზოგადოდ მიღებული იყო, მეფე, იესიან-დავითიან-პანკრატოვანი, ოდიშის ბატონის ასულ დედოფალთ-დედოფალ მარიამთან, უწმიდეს კათალიკოს ბესარიონთან და ბატონიშვილებთან — გენათელ მიტროპოლიტ იოსებთან და არჩილთან ერთად, განიხილავდა და ითვალისწინებდა რა, რომ უკანასკნელი ათწლეულების მანძილზე ლიხთიმერეთში ურჯულო აგარიანმა იმძლავრა, ქრისტეს ჭეშმარიტი სარწმუნოება წარიწირა, ბევრი ეკლესია-მონასტერი გაუქმდა და შემოგარენი მათი გაუდაბურდა, ბევრი სხვა კი ავაზაკთა და მეკობრეთა თავშესაფარად გადაიქცა, ხოლო მონასტერთა კუთვნილი ყმა-მამული უპატრონობისა გამო დროთა განმავლობაში განიავდა და სხვა მფლობელების ხელში გადავიდა, თავისი და წინაპართა სულის საოხად, ზენაარის წინაშე გადაუდებელ მოვალეობად თვლიდა ეკლესიის საქმეებისათვის მიეხედა და, კერძოდ, ჯრუჭის მონასტერს უბრუნებდა ოდესღაც მისსავე საგამგებლო ყმა-მამულს და ამ ყმა-მამულს ახალი საბოძვრით ავსებდა.

სიგელში შემდეგ წვრილად იყო ჩამოთვლილი ამიერიდან ჯრუჭის მონასტრის განუყოფელ კუთვნილებად მიჩნეული ყველა სოფელი, მეკომურთა საერთო რიცხვის მითითება-

თურთ, სოფლების გარეთ მდებარე სახნავ-სათესი მიწები, ახოები, ტყეები და სათიბ-საძოვრები, საძებარი და უძებარი, წყარო-წისქვილი და სასაფლაოები...

გარდა წინასწარ განდობილებისა, საქმის ამგვარ შემობრუნებას დარბაზის ერში არავინ მოელოდა. ყველა სახტად დარჩა და რამდენიმე წუთმა ისე გასტანა, ხმა ვეღარავინ ამოიღო. ჯრუჭის მონასტრისადმი წყალობის სიგელის გამოცემით მეფე თავის ხელმწიფურ ნებას გამოხატავდა და ყველა ძველ და ახალ დავას წერტილს უსვამდა. ეს, ალბათ, ერთადერთი სწორი გადაწყვეტილება იყო და მას ტახტისა და ქვეყნის განუყოფელი ერთიანობისათვის მხოლოდ სარგებლობის მოტანა შეეძლო. რომელიმე მომჩივანის მხარეზე დადგომა, თუნდაც ის მომჩივანი ცამდე მართალი და სააღდგომო კრავივით უცოდველი ყოფილიყო, მეორე მხარის საბოლოო განაწყენებას და ტახტისაგან განდგომას გამოიწვევდა. ამას გარდა, ჯრუჭის მონასტრის სასარგებლოდ გაცემული სიგელი მეფეს ხელებს უხსნიდა, სხვა ეკლესია-მონასტრების კუთვნილი, ადგილობრივ მებატონეთაგან სხვადასხვა დროს მიტაცებული ყმა-მამულის კვლავ ეკლესია-მონასტრების წიაღში დაბრუნებისათვის ეზრუნა და იმათთვის, ვინც შეიძლება ამის გამო განაწყენებულიყო, პირზე ხელი მიეფარებინა.

როგორი იქნებოდა სოლომონის შემდგომი ნაბიჯი? საით უმიზნებდა მეფე და რის მიღწევა გადაეწყვიტა?

დარბაზის ერში თავმოყრილი დიდებულები, ქვეყნის უპირველესი მემამულენი, ბრმები უნდა ყოფილიყვნენ, ეს რომ ვერ დაენახათ და წინასწარვე ვერ განეჭვრიტათ. მათ თვალწინ და მათივე ხელისშეწყობით მეფის ხელისუფლება დღითიდღე იზრდებოდა და მტკიცდებოდა, თანდათან იჭრებოდა ცხოვრების ყოველ კუთხე-კუნჭულში. ყოველივეს იქვემდებარებდა, იმორჩილებდა და დაღმართში აგორებულ ქვასავით საშიშ სახეს იღებდა. ვინ იყო გიჟი-გადარეული, ამ ამბავს წინ ვადასდგომოდა და თავი გასასრესად დაედო! ეგეც რომ არა, მეფის გაძლიერების საწინააღმდეგოდ გადადგმული ყოველი ნაბიჯი, ტახტის დასუსტება, კვლავ ერისთავ-აბაშიძე-გურიელის წისქვილზე დაასხამდა წყალს და ქვეყნის ახალი არეულობაც ხვალინდელი დღის გათენებასავით გარდაუვალი გახდებოდა.

დარბაზის ერი ამჟამადაც მომხდარი ფაქტის წინაშე იდგა: ისღა რჩებოდა, უდრტვინველი მორჩილება გამოეთქვა და სიგელის იმ ადგილას, სადაც სინგურით იყო მიწერილი: „აღვწერე ესე კარის მწირველმა მღვდელმა სვიმონ წერეთელმა და მოწამეცა ვარ ამისი“, თავისი ხელრთვა და ბეჭედი დაერთო.

წყალობის სიგელმა, დღეის ამას იქით განუხრელი კანონის ძალას რომ იძენდა და მისი შემლახველი მეფისა და ეკლესიის მიერ ქრისტეს მცნების შემლახველად შეირაცხებოდა, სხვებზე ნაკლებ ერისთვიშვილები — გიორგი სარდალი და ნაბერალი მეთოდე გააკვირვა და შეაცბუნა. როსტომის კარზე, წესში, ეს ამბავი, ეტყობოდა, წინასწარვე იცოდნენ და მეფისა და დარბაზის ერის გადაწყვეტილებას, რაკიღა საშვილიშვილო დავა ერისთავის მოქიშპე წერეთლების სასარგებლოდ არ წყდებოდა, წინასწარვე შერიგებული იყვნენ. ვიდრე როსტომი ცოცხალი იყო, თავისი საკუთარი ხმა დარბაზის ერში არც ერთ ერისთვიშვილს არ ჰქონდა, მაგრამ ნაბერალ მეთოდესა და გიორგი სარდლის მეტყველი დუმილი და ამ დუმილში ჩაქსოვილი თანხმობა თვით ერისთავის თანხმობას წარმოადგენდა და ის ასედაც იქნა გაგებული.

უწმიდესი კათალიკოსი ბესარიონი სიხარულს არ მალავდა. მეფისათვის მიცემული სიტყვა, რომ საიდუმლო თათბირზე მიღებულ გადაწყვეტილებას საიდუმლოდ შეინახავდა, ბესარიონმა, მართალია, გატეხა და სოლომონის ზურგსუკან ყოველივე სანდო კაცების

პირით ძმას, რაჭის ერისთავ როსტომს აცნობა, მაგრამ ამან სასურველი შედეგი მოიტანა. ერისთავი არ აბობოქრებულა, არც რაიმე საწყენი შემოუთვლია. კათალიკოსი უტყუარი ალღოთი გრძნობდა, არც თვით მეფე მირისხდებაო. შესაძლოა, გულში დიდხანს ნატარები გეგმა სოლომონმა სწორედ იმ ანგარიშით გაანდო, რომ ეკლესიის საჭეთმპყრობელის თანხმობის მოპოების შემდეგ არაპირდაპირი გზით იგი როსტომ ერისთავისათვის მიეწვდინა, ერისთავის კარზე ნიადაგი მოესინჯა და თუ იქ აშკარა წინააღმდეგობას არ წააწყდებოდა, ამით ზრახვის კანონად გადაქცევა გაეადვილებინა.

ფეხებგამოკუზულ ინკრუსტირებულ მაგიდაზე ვერცხლის შანდალში ჩამაგრებული ქონის სანთელი ბრდღვიალებდა და თვალისმომჭრელად ანათებდა თოვლივით თეთრი ქაღალდის ფურცლებზე ოთხ პირად გადაწერილი წყალობის სიგელს, რომელიც უკვე დამტკიცებული იყო მეფის მიერ და სოლომონის ხელრთვა და ბეჭედიც ახლდა. დარბაისელნი სათითაოდ მიდიოდნენ მაგიდასთან, მოზვრის რქაში ბატის ფრთას აწებდნენ და სიგელს ხელს აწერდნენ.

თავი IX

მონასტრის გალავანში დაკავებულ მალემსრბოლებს, მათთვის გაუგებარი მიზეზის გამო მეფესთან შესვლის და დანაბარების დროულად გადაცემის საშუალებას რომ არ აძლევდნენ, ქვემომხრის სარდლის ახალმა მალემსრბოლებმა მონასტერშივე მოუსწრეს. გამართლდა პაპუნა წერეთლის წინასწარმეტყველება: სამეფოს ფარგლებში შემოჭრილი მარბიელი ლაშქარი არა სულთნის ნების აღმასრულებელი ასკერ-იანიჩრებისა აღმოჩნდა, არამედ ლეკებისა. თავისი და მსახურთუხუცეს ზურაბ მიქელაძის სახელით ბერი ლორთქიფანიძე ამჯერად სასიხარულო ამბავს იტყობინებოდა და დიდებულ მეფეს ბოდიშს უხდიდა, თავდაპირველად ყოველივე ისე ვერ გამოვიძიეთ, როგორც საჭირო იყო და ჩვენდა უნებლიეთ გული გავიხეთქეთო.

მარბიელი რაზმებისათვის, რომლებიც, სარდლების ვარაუდით, ოთხასხუთას კაცზე მეტი არ უნდა ყოფილიყო, ობჩაშივე შემოერტყათ ალყა, ნაძარცვი ქონება და ტყვეები დაეყრევინებინათ და ერთობ შეჭირვებულნი პატარ-პატარა ჯგუფებად დაექცევათ. კეტებით, ფიწლებით, თოხებით, ცელებით, ნამგლებით შეიარაღებული ქალი და კაცი, ბალღი თუ მოხუცი, ვისაც შინ სხვა რამ იარაღი არ აღმოაჩნდა, ლაშქართან ერთად ტყე-ტყე, ღელე-ღელე, მინდორ-მინდორ დაეძებდა უთავბოლოდ გაფანტულ მარბიელთ, კიდევაც პოულობდა და კინწისკვრით წინ მოერეკებოდა. ბევრი შეიპყრეს და მოღობილში მოაგროვეს. თქვენთან ბოდიში და ,ისე ყარს იქაურობა, კაცი ახლოს ვერ გაივლიო, ახლა ბრძანებას ველით, რა ვუყოთ ამ შეჩვენებულებს, თავები დავაყრევინოთ, თუ პირობა ჩამოვართვათ, რომ აწი აღარ შეგვაწუხებენ და გავუშვათ. საიდანაც მოვიდნენო. ხალხი ჩვენც ბლომად გამოგვაკლდა, მართალია, მაგრამ ასზე მეტი მომხვდური დავხოცეთო, ერთმა ამდენმა თხმელისციხემდე მოახერხა დახევა და ის იყო კიდევაც გაიღო ციხის კარი ლტოლვილების შესაფარებლად, მურყნარში ჩასაფრებული გურული მეთოფეები შეგვეწივნენ, სროლა ატეხეს

და თითქმის სამშვიდობოზე გასულებს პირი უკან აბრუნებინესო.

მეფემ მალემსრბოლები პირადად გამოჰკითხა. უნდოდა შეეტყო, ვინ სარდლობდა მოძმეთა საშველად ხანისწყლის პირზე მოსულ გურულებს, მთავრად ხელახლა დადგინებული მამია თუ გურიელის რომელიმე ქვეშევრდომი? თვით მამია მობრძანდაო, რომ აუწყეს, ეამა და კიდევაც გაუკვირდა: ნუთუ ფაშა ჰაჯი-აჰმადისა და ქართლ-კახეთის მეფეთა დაჟინებული თხოვნით კვლავ გურიელად აღზევებული მამია ახლა თავის მფარველ აგარიანებს გადაუდგა და იმერთა ტახტის მხარეზე აშკარად იბრძოდა?

მაგრამ აქ გასაკვირი და დაუჯერებელი არაფერი იყო. შეწყნარებული და ერთხელ და სამუდამოდ ჭკუანასწავლი გურიელი დიდხანს ეძებდა მარჯვე შემთხვევას, გვირგვინოსან ცოლისძმიშვილისადმი უყოყმანო ერთგულება დაემტკიცებინა და ძველი ლაქა, სინდისს რომ უმძიმებდა, თუნდ სისხლით მოერეცხა. არგვეთის ნაბატონარ ლევან აბაშიძისაგან, უკეთუ მომავალ ცილობაში ის გაიმარჯვებდა და ტახტზე თავის სასურველ კაცს აიყვანდა, სასიკეთოს არას მოელოდა. ყველაზე ნაკლებ სანდოდ რაჭის ერისთავ როსტომის მიერ სიძედ მოკიდებული, თათრის რჯულზე შემდგარი თეიმურაზ ბატონიშვილი მიაჩნდა. ცოლისძმიშვილი სოლომონი, ლიხთიმერეთის ახლანდელი მპყრობელი, ერთადერთი მეფე იყო, ვისაც შეიძლებოდა სხვაზე უმეტეს მინდობოდა და თავი უშიშრად ეგრძნო. გულში მტკიცედ ამოჭრილი სურვილი, რადაც არ უნდა დამიჯდეს, მეფეს ერთგულება უნდა დავუმტკიცოო, მამია გურიელს მაშინაც არ განელებია, საფაშოდან მობრუნებული ძველებურად შემომწყრალმა სოლომონმა ახლოსაც რომ არ გაიკარა. საბაჟოზე ზემომხრის სარდალი ქაიხოსრო წერეთელი შეხვდა და ვარციხემდე მოაცილა.

გურიელს ეჭვიც კი არ დაჰბადებია, რომ, რაკი გზად ქვეყნის ერთ-ერთი გავლენიანი და ტახტთან დაახლოებული დიდებული დაახვედრა, მეფის ბრძანებისამებრ გურიაშიც რომ თან უნდა ხლებოდა, სოლომონი ზარ-ზეიმით მიღებას თუ არა, მოყვრულ დარბაზობას მაინც უმართავდა. ეგონა, ჩემი მშვიდობით დაბრუნების მომლოდინე სახლეულიც უთუოდ ვარციხეში დამხვდებაო.

პირველი განცვიფრება, განცვიფრება კი არა, გაოგნება, გურიელს მაშინ ეწვია, როდესაც კარგამოკეტილ ვარციხის სასახლეში არამცთუ ოზურგეთიდან დაბარებული სახლეული და ზარ-ზეიმი, თვით მეფე სოლომონიც არ დაუხვდა. არა და, რამდენი რამ იყო სალაპარაკო და სათათბირო, რამდენი ღირებული ცნობისა და რჩევის მიწოდება შეეძლო!

შენც შემირცხვენიხარ და შენი რჩევებიცო, ეუბნებოდა თითქოს მომდურავი მეფე, ისევ იმას ურჩიე, ვისთვისაც აქამდე გირჩევია, მე კი როგორმე უშენოდ გავძლებ, ოღონდ დედიშენის შვილი ხარ, განდგომა კიდევ გაგიბედია — ვეღარც ფაშა დაგიხსნის ჩემი რისხვისაგან და ვეღარც თვით მამა-ღმერთიო.

მეფის მაგიერ სასახლეში სახლთუხუცესი ლომკაც ჯაფარიძე, ბოქაულთუხუცესი ბერი წულუკიძე, მისი უფროსი ძმა გიორგი და მსახურთუხუცესი ზურაბ მიქელაძე მოეგებნენ. რაღაც მიუკიბ-მოუკიბეს, მოუბოდიშეს, მეფე სანადიროდ ბრძანდება და ერთ კვირაზე ადრე შინ არ ველითო და მოსასვენებლად დილეგის საკანს მიმსგავსებული ორი პატარა ოთახი მიუჩინეს სასახლის პირველ სართულზე. გურიელს ელდა ეცა. ხომ არ მოტყუვდა, თავზე ნაცარი რომ წაიყარა და მეფისაგან პატიება ითხოვა? სოლომონი მის ჭაღარასაც არაფრად აგდებდა და ყველაფერს აკეთებდა, რომ შერისხული და ძალად შემორიგებული ნათესავი ყოვ-

ელმხრივ დაემცირებინა. ეს თვით დიდებულთა საქციელშიაც კი გამოსჭვიოდა, აქ, სამეფო კარზე, თავს შინაურ კაცებად რომ ასაღებდნენ და მეფის წყალობით გაზულუქებულნი გურიელს სწორედ პირუკუ გასაგები ხაზგასმული პატივისცემით ეპყრობოდნენ...

სამხრად ზემოთ აბრძანება სთხოვეს. აქაურობის ახალი ბატონ-პატრონების ნება-სურვილისა და გემოვნების მიხედვით გადაკეთებულ მეჯლისების დარბაზში, სადაც უკანასკნელად დიდი დედოფალი თამარი ინახულა და ის საბედისწერო ნაბიჯი გადასდგა, გურიის ბატონი დედოფალმა მარიამმა მიიღო. დედოფალი ახალი მობრძანებული იყო ქსენონიდან, აქვე, აჯამეთის ტყეში, გალავნის გარეთ, თავისი ნამზვითი ფულით რომ გაემართა და შიგ უშვილძირო და უსახლკარო სნეულთ ათავსებდა. ქსენონის შემხედვარე სასახლე ძრწოდა. ძრწოდა უფრო იმის გამო, რომ თავისნათქვამა დედოფალი ახირებულ ქველმოქმედებას იჩენდა, ლოცვა-ვედრებით და ეკლესიისათვის მსხვერპლის შეწირვით არ კმაყოფილდებოდა, მომაკვდავ ავადმყოფებს უბრალო მხევალივით თვით უვლიდა, საარაკო სულიერ სიმტკიცეს იჩენდა, მთელ დროს ქსენონში ატარებდა და გვერდიდან არც კარის მკურნალ პაპუჩა აბულაძესა და კაპუჩინელ პატრ მონსინიორ ლეონეს იშორებდა.

დარბაზობა ნაძალადევი გამოვიდა. სამეფო კარის მესვეურნი, უპირველეს ყოვლისა თვით დედოფალი მარიამი, ცხადია, გრძნობდნენ, ამნაირი უცხვირპირობა არ შეგვფერის და არც შეგვრჩებაო, მაგრამ თავს ვეღარ მორეოდნენ. მტრისას და ავისას, თითქოს წინ ძვირფასი მიცვალებული უსვენიათო, დიდებულებს, რომელთაც სამხრად უჩვეულოდ სახეშეშლილი ბატონიშვილი არჩილიც მოემატათ და ბიძას კრძალვით მხარზე აკოცა, გულხელი დაეჭდოთ და ხმას არ იღებდნენ. ოდიშის ბატონის ზვიად ასულს ფერი წასვლოდა. ოდნავ კეხიან, სიფრიფანა ცხვირსა და თითქოს ცვილისაგან გამოძერწილ ნატიფ ღაწვებში სინათლე გასდიოდა. ან ცოცხალი როგორღა იყო! გამუდმებით საშიშ ავადმყოფებთან ტრიალს და ამ უბედურთა მოვლა-პატრონობაზე თავგამოდებულ ზრუნვას მის სახეზე დაღი დაემჩნია.

მთავარმა თვით იყოჩაღა: თავს ძალა დაატანა და, როგორც ახლო ნათესავი და ქვეშევრდომი, მარიამს მიეახლა, ხელზე მოწიწებით ეამბორა, ზრდილობის გულისათვის, სხვებივით უბრად რომ არ მდგარიყო და რაიმე ეთქვა, ჯერ ჯანმრთელობის, ხოლო შემდეგ, კუდმოკვეცილი, ცივი და თავაზიანი პასუხი რომ მიიღო, ქსენონის ამბავი ჰკითხა. მარიამი გამოცოცხლდა, ღაწვებზე ვარდისფერმა გადაჰკრა და ნიშნად მადლობისა გურიელს ქვემოდან ზემოთ აჰხედა. ეტყობოდა, სანუკვარ საგანზე სიტყვის ჩამოგდება სიამოვნებას ჰგვრიდა და გურიელისადმი წამიერი მადლიერება ამან გამოიწვია.

„სასახლეში ჭმუნვას მისცემიან. — ფიქრობდა მამია გურიელი და დროს არ ჰკარგავდა, ყველასა და ყველაფერს აკვირდებოდა. — კარგი დღე სოლომონისაგან, ჩანს, არც თვით დედოფალს ადგას. ქსენონიც უთუოდ ამის გამო მოიგონა. დრო ხომ რითიმე უნდა მოკლას და მდაბიო ხალხიც თავის ღვთისნიერობაზე ალაპარაკოს! ეგ არც პირველი დედოფალია, ასე რომ იქცევა, და არც უკანასკნელი. დიდი თამარიც ხომ ქსენონის ხშირი სტუმარი იყო, თავის ხელსაქმეში აღებულ გროშებს დავრდომილებს და ღარიბ-ღატაკებს ურიგებდა. სოლომონის გული დღესაც იმ ბედდამწვარ ინალიშვილის ქალ თინათის ეკუთვნის. შეიძლება კაცმა ხატზე დაიფიცო, რომ ეს ასეა. დედოფალს პირი წყლითა აქვს სავსე. რა ჰქნას, თავის უბედურებას ვერავის უმხელს. მეფე არც ისე უგუნური ბრძანდება, სჯულიერ თანამეცხედრეს აშკარა განხეთქილების ჩამოგ-

დების საბაბი მისცეს. დადიანის ძე კაციას მეტი კი არ უნდა! მიზეზს მოიდებს და... აქ სხვებსაც ფრთები აქვთ მოკვეცილი. ბატონიშვილ არჩილს ვეღარ ვცნობ. ავად თუ იყო? აკი საუფლისწულო მამულში გაისტუმრაო? გიორგი და მამუკა არ ჩანან. რაიმე ფარსაგი რომ შეემთხვია, აქამდე გავიგებდი. ბატონი ოტია უნდა მომეკითხა. ნატავი კიდევ ცოცხალია ის სულძაღლი?"

ტაბლამაც თავშეკავებულად და უღიმღამოდ ჩაიარა, მხოლოდ სუფრის ვერცხლეულის კანტიკუნტი წკრიალი და სასმისებზე დახრილი საღვინე სურების რუკრუკი ისმოდა. დიდებულები და სეფექალები ჩურჩულით თუ გადაულაპარაკებდნენ ერთმანეთს თითოოროლა სიტყვას და მერე ისევ სამარისებური სიჩუმე მყარდებოდა. მისი უმაღლესობა დედოფალი უმადოდ შეექცა, ნიგოზსა და ძმარში გაკეთებული წითელი ფხალი წაციცქნა და გიორგი წულუკიძის მამაშვილური დაჟინებით თეფშზე წიწილის ფრთა გადმოიღო, მაგრამ როდესაც პირისფერი ფარჩის სადარბაზო კაბის შარიშურით წამოდგა და სხვებიც წინასწარ შეთანხმებულებივით წამოიშალნენ, ფრთა ისევ ხელუხლებელი იდო თეფშზე.

წერეთელი და წერეთლისანები გურიაში მანამდე დარჩნენ, ვიდრე გურიელობაჩამორთმეულმა მამიამ მთავრის სახელო კვლავ არ დაიმკვიდრა და ღვიძლი ძმის, აწ უკვე გურიელყოფილ გიორგის ერთგულთა ნაცვლად ოზურგეთის ციხეში თავის ერთგულებაზე ხელახლა დაფიცებული მეციხოვნეები არ ჩააყენა.

ახალი გურიელყოფილი, გიორგი, მისდა საბედნიეროდ, ჭკუადამჯდარი პიროვნება გამოდგა. თურმე ნუ იტყვი, თავიდანვე თვალს ადევნებდა ექსორიაქმნილი ძმის გაუთავებელ წოწიალს ერთის მხრივ ბეგლარბეგ ჰაჯი-აჰმადისა და მეორე მხრივ ქართლ-კახეთის მეფეთა კარზე, გულიც უგრძნობდა, ახალი წაჯექ-უკუჯექობა გარდაუვალია და იგი იმერთა მეფის თანხმობით, თუმცა მისივე ნების წინააღმდეგ უნდა მოხდესო. ხვედრი უდრტვინველად მიიღო. შინაურობაშიაც არ გაუმხელია, თუ თვალების დათხრისა შეეშინდა. არა და ეს მოსალოდნელი იყო. გიორგის მაღალი ღმერთი მოეხმარა, რომ მეფის ბრძანების აღმასრულებელ წერეთელს ვარციხიდან საამისო ბრძანება არ ჰქონდა. დაიმედებული, დრო მოვა, კეთილისმყოფელ მეფეს, სამუდამო წყვდიადისათვის რომ არ გამიმეტა, კიდევ დავჭირდებიო, ოზურგეთის ბრწყინვალე სასახლიდან, გორდის დადიანისეული სასახლის თარგზე რომ იყო აგებული, ერთ შორეულ და უშიშარ საუფლისწულო მამულში — სურებში გადასახლდა

მამიას მოსვენება დაეკარგა. დღისით ფხიზლობდა, ღამე კი კურდღელივით თვალგახელილს ეძინა. ხანდახან შიში ისე იძაბუნებდა, გურიელობის შესაძლო დაკარგვასაც აღარ ნაღვლობდა, ოღონდ გატყიურებული ძმა უცაბედად არ დასცემოდა და მთელი ოჯახი დედაბუდიანა არ ამოეწყვიტა.

მთავარს რა შეეძლო? მე შენ გეტყვი, მუდმივი ჯარი ჰყავდა, როგორც ახალციხის ფაშას, ანდა სალარო ჰქონდა ფულით სავსე, ჯარს ხელდახელ დაიქირავებდა და მტერს მტრულად დახვდებოდა! ერთადერთი მხსნელი ძალა, ერთადერთი საიმედო საყრდენი. ვისაც შინაური მოძალადისაგან დაცვა ხელეწიფებოდა, ისევ და ისევ ქვეყნის გვირგვინოსანი მპყრობელი იმერთა მეფე იყო და მამიასაც მეტი რაღა დარჩენოდა გარდა იმისა, რომ ყოველი ღონისათვის მიემართა, თუნდ გველის ხვრელში გაევლო და მეფესთან ძველი კეთილი ურთიერთობა აღედგინა. ლაშქრად წვევის წიგნმა, ბერი ლორთქიფანიძისაგან რომ მოუვიდა, ფრთები გამოასხა. ეს სწორედ ის იყო, რასაც ყოველ წუთს, ყოველ წამს მოუთმენლად ელოდა. მაშინვე დაგზავნა იასაულები,

ხუთასიოდე ცხენოსანი და ამდენივე ქვეითი შეკრიბა და იმერეთს მოაშურა...

მარბიელი ლაშქარი, სვირსა და ობჩას რომ მოსწვდა და ბაღდადსაც უწია, ერთი მოზრდილი რაზმი იყო ლეკებისა, რომლებიც ღვინობისთვის პირველს, მცხეთობა-სვეტიცხოვლობა დღეს, ალში გაჩნდნენ, მოულოდნელი თავდასხმისაგან შეცბუნებულ მეციხოვნე ჯარს იარაღი აჰყარეს, ციხე დაიკავეს და ქონგურზე თავიანთი ალამი გამოჰკიდეს.

მცხეთაში, სვეტიცხოვლის გალავანში და გალავნის გარშემო წლის ამ დღეს დიდძალი ხალხი იყრიდა ხოლმე თავს. საზეიმოდ ჩაცმულ-დახურული და მორთულ-მოკაზმული ყველა აქეთ მოეშურებოდა, ყველას აქეთ მოუხაროდა. სხვადასხვა ხმაზე რეკდნენ ზარები და ქვეყნის ოთხივე კუთხივ მოსული ერი და ბერი სიხარულსა და ნეტარებას ეძლეოდა. აქ ხვდებოდნენ ერთმანეთს ძველი ფიც-ვერცხლნაჭამნი, აქ აჩვენებდნენ ერთმანეთს საუღლედ შეგულებულ ახალგაზრდებს, საფუძველს უყრიდნენ ახალ მოყვრობასა და ნათელმირონობას. შორეული ქვეყნებიდან მოსული ვაჭრებიც ამ დღეს დაუდარებდნენ თავიანთ გამოჩენას და მტკვრის მთელ სანაპიროს, პომპეუსის ხიდიდან ვიდრე არაგვის შესართავამდე, წიწიბოიანი ჭრელ-ჭრელა კარვებითა და ფარდულებით მოჰფენდნენ. გახურებული ვაჭრობა ადრიან დილიდანვე იწყებოდა და დაბინდებამდე გრძელდებოდა. იღებოდა სამიკიტნოები. ბაყლებს, მეჭურჭლეებს, მეუნაგრეებს, მჭედლებს, ფეიქრებს, მენაბდეებს, მკალავებს, მექვაბეებს ძველი და ახალი ღვინო-არაყი, ქაშანური ჯამ-ჭურჭელი, ვერცხლით ნაჭედი ლეკური უნაგირები და ცხენის აღკაზმულობა, ნალ-ლურსმანი, თოფ-იარაღი და საოჯახო რკინეული, ხამის, მაუდისა და აბრეშუმის ნაირ-ნაირი ქსოვილები, სილამაზითა და გამძლეობით უცხოურს რომ არ ჩამოუვარდებოდა, თუშური ნაბდები, სხვადასხვა ზომის სპილენძის და თუჯის ქვაბები გარეთ გამოჰქონდათ და მუშტარს საკუთარ ნახელავს უქებდნენ. საყასბოების წინ ოსტატურად აქნილი ხორცის დიდრონ-დიდრონი ნაჭრები ეკიდა. ვინ ყიდდა, ვინ ყიდულობდა, ვიწრო შუკებსა და მისახვევ-მოსახვევებში ხალხის ტევა არ იყო...

მარბიელები გზაშივე გადაუდგნენ ჩარდახიან ურმებს, იქაურობა სისხლით მორწყეს, დედა-წული, სანოვაგე და პირუტყვი გაიტაცეს. მომხვდურთა ორი დიდი რაზმი ალაგობრივ დატრიალდა, გომსა, სურამსა და ალს შუა ყველა სოფელი უწყალოდ აიკლო, მესამე მომცრო გუნდმა კი ჭერათხევი გადავლო, ძირულას თავდაღმა დაჰყვა, ხუნევი, ბორითი, უბისა და შროშა ფეხით გადათელა, ვაკეებზე გავიდა და მწვანე სერებზე შეფენილ სვირსა და ობჩას მიმართა.

ჯრუჭს მიმავალ ბერი ლორთქიფანიძეს გოდოგნის ბოლოზე ამცნეს მტრის გამოჩენა და მანაც დაუყოვნებლივ გეზი იცვალა, ცხენდაცხენ ყვირილის მარცხენა ნაპირზე გადავიდა, ზურაბ მიქელაძესთან კაცი აფრინა, მომეშველეო და ვიდრე მაშველი მოვიდოდა, თვით აქ ჩასაფრდა. ძარცვა--ტყვევნაში გართულმა ლეკებმა მხოლოდ მეორე დღეს შეიტყეს, რაც მათ ზურგში ხდებოდა და როდესაც ნადავლით დამძიმებულნი უკან გამობრუნდნენ, თავს ღვთის რისხვა დაატყდათ: ერთი მხრიდან ბერი ლორთქიფანიძე და მეორე მხრიდან ზურაბ მიქელაძე, ვაჟებითურთ, მათ გარს შემოერტყნენ და ცოდვისკითხვა დაატრიალეს...

ჯრუჭის მონასტრის სამრეკლოზე აბობღებულმა გოგიელა მწყემსმა ზარს შემოჰკრა. მეფე და დიდებულები ნათლისმცემლის ეკლესიაში შეიკრიბნენ და ლოცვად დადგნენ. ამჯერად თვით უწმიდესი კათალიკოსი ბესარიონი წირავდა და ბოხი, სასიამოვნო ხმით მაღალ ღმერთს მადლობას ეუბნე-

ბოდა, რომ ღვთისმშობლის წილ-ხვედრი ქვეყანა არ მოიძულა და გულში ურჯულო და უსამართლო მტრის დამთრგუნველი ძალა ჩაუნერგა.

სოლომონს ხელში ანთებული სანთელი ეჭირა ცალი მუხლი მოეყარა და უსიტყვოდ მისჩერებოდა საკურთხევლის მარცხენა მხარეს დასვენებულ ღვთისმშობლის ხატს, რომელზედაც თავის ღვთაებრივ დედასთან ერთად ყრმა იესოც იყო გამოსახული. საკმევლის სუნით და მჭრქალი კვამლით ავსებული ტაძარი გუგუნებდა. სადღაც თაღებში ისმოდა მგალობელთა გაგრძელებული ვედრება: „უფალო, შეგვიწყალე, უფალო, შეგვიწყალე, უფალო, შეგვიწყალეეე...", კათალიკოსის ყოველ ახალ ღაღადისს რომ ერთვოდა და აგვირგვინებდა.

წირვა გაჭიანურდა. უწმიდესი ბესარიონი, როგორც ჩანდა, პატარებს ეჯიბრებოდა, ყოველ წესს შთაგონებული ასრულებდა და უცხოელ მამათა წინაშე ქართული წირვა-ლოცვის მთელ სილამაზესა და შთამბეჭდაობას წარმოაჩენდა. ამაოდ არ დამშვრალა. პატრები მართლაც მოხიბლული იყვნენ და სხვებთან ერთად გულმხურვალედ ლოცულობდნენ.

დღეს, დილითვე, სოლომონი და მისი ამალა ჩხარს უნდა გამგზავრებულიყო ქუთაისის ციხის კარიბჭესთან შეპყრობილ ტყვისმსყიდველთა საქმის განსახილველად და განაწესის დამრღვევთა ბედის განსაგებად. იქ ამაღამ ელოდნენ. ტყვისმსყიდველ ავაზაკთა საქმის გარჩევა სამჯერ თუ ოთხჯერ გადაიდო. რამდენჯერაც განსაბჭობად დასხდომა დააპირეს, სოლომონს იმდენჯერვე სხვა გადაუდებელი საქმე გამოუჩნდა. შეპყრობილ ტყვისმსყიდველთ, ერთი ორჯერ გაქცევაც რომ სცადეს და კოვზი ნაცარში ჩაუვარდათ, ამასობაში ახლებიც მიემატნენ. საქმის მეტი გადადება უკვე აღარ ეგებოდა და სოლომონმა კიდევაც დაიბარა, სამსჯავრო ჩხარში მოეწვიათ, მოედანზე. დამნაშავეებს იქ საჯაროდ განსჯიდნენ და თუ ბრალდება დაუდასტურდებოდათ, რაც საეჭვოდ არავის მიაჩნდა, განაჩენსაც იქვე, ერის თვალწინ, აღასრულებდნენ.

შუადღე უკვე მოტანებული იყო. ცას მოეღრუბლა, ძვალ-რბილის გამთოშავი ცივი ქარი უბერავდა და წვრილად სცრიდა, ორივე წერეთლის სახლეული და წვრილი აზნაურობა, მღვდლები, ბერ-მონაზვნები და შინაყმები გალავანში წამსვლელთა გამოსამშვიდობებლად და გზის დასალოცად გამწკრივებულიყვნენ. სოლომონმა ყველას მადლობა უძღვნა გულითადი მასპინძლობისათვის, კმაყოფილება გამოთქვა, რომ ხეობის საქმე კანონიერად გაათავეს, წერეთლებს რაჭის ერისთავთან შერიგება მიულოცა, მერე გაიღიმა და მოლარეთუხუცეს თავად პაპუნასა და ზემომხრის სარდალ ქაიხოსროს საქვეყნოდ უსაყვედურა, მხოლოდ თქვენი ბრალია, ეს მშვენიერი კრებული სასახლეში ასე იშვიათად რომ ჩანსო.

წერეთლის ქალები, ახალგაზრდებიც და ხანდაზმულნიც, გათხოვილნიც და გაუთხოვარნიც, უამისოდაც მოჯადოებული იყვნენ ახალგაზრდა მეფის თვალტანადობით, მიხრა-მოხრით, სიტყვა-პასუხით, დიდებული თავდაჭერით და უშუალობით, ახლა კი, მისი პირიდან ამოსული საქებარი სიტყვები რომ გაიგონეს, ყველას ერთბაშად თვალები გაუბრწყინდა და გული აუჩუყდა.

ორთავე ძმისა და სახლეულის მაგიერ თავადმა პაპუნამ წრფელი მადლობა გადაუხადა მეფეს და, როგორც მასპინძელმა, უმორჩილესად სთხოვა, აქაურობას კიდევ მრავალჯერ, ოღონდ ახლა უფრო მეტი ხნით სწვეოდა და ერთგული ქვეშევრდომები თავისი მობრძანებით გაეხარებინა.

წვიმა მატულობდა. გალავანში უკვე გუბეები დამდგარიყო, მაგრამ ადგილიდან ფეხის მოცვლას და სახურავქვეშ თავის შეფარებას არავინ აპირებდა.

— რაღას ვუცდით? — იკითხა მეფემ.

— ნამეტანი გაგვიავდარდა, ბატონო, — შეჰბედა ისევ თავადმა პაპუნამ, — დასოვლდებით გზაში და რაღა გვეშველება. გადაგვეწვიმა ერთიორი საათი, იჭიატებსა და...

— ჰა, რას იტყვი, ბატონო ქაიხოსრო? — მეფე მხარმარჯვნივ მდგომ აგიაშვილს მიუბრუნდა და კილოზევე შეეტყო, ცა ფეხად რომ ჩამოსულიყო, წასვლა მაინც გადაწყვეტილი ჰქონდა.

— როგორც შენ ინებებ, მეფეო...

— მაშ, უბრძანეთ, ცხენები მოგვგვარონ!

ის იყო, სხდებოდნენ კიდეც და ქარ-წვიმისაგან თავის დასაცავად ნაბდებსა და მოსასხამებში იფუთნებოდნენ, რომ ჯანღში გახვეული მონასტრის გალავანს უღვთოდ გაწუწულ მხედართა კარგა მოზრდილი გუნდი მოადგა, კარიბჭესთან მოგროვდა ჩამოქვეითდა და კარზე რახუნი ასტეხა.

ვინ უნდა ყოფილიყვნენ?

ჯერ ეგონათ, ქვემომხრის სარდალი ბერი ლორთქიფანიძე თუა და ობჩაში მტრის ძლევის შემდეგ მეფის მოსანახულებლად მოსულაო. ან იქნებ რაჭის ერისთავმა როსტომმა ინება და მეფესთან შესაყრელად ქედი გადმოვლო? მაგრამ ახლა რაღა დროს მოსვლა იყო, როდესაც ყველაფერი უკვე დამთავრდა?

— გადით, გაიგეთ, ვინ არის, კარს ისე ნუ გაუღებთ — ბრძანა სოლომონმა.

დარბაისელთ სალაშქროდ აღჭურვილი ქაიხოსრო წერეთელი გამოეყო და კარიბჭისაკენ, სადაც უკვე მიესწროთ მონასტრის მორჩილებს და მუხის ვეება ურდულებს ხსნიდნენ, ჩქარი ნაბიჯით გაემართა. ქაიხოსრო მალე მობრუნდა და მეფეს ცოტა არ იყოს შეშფოთებულმა მოახსენა:

— ალის ციხის მოურავი გახლავს, თქვენო უმაღლესობავ, პეპია ხაჩიძე...

— ალის ციხის მოურავი? პეპია ხაჩიძე? — გაიმეორა სოლომონმა. — აქ რამ მოიყვანა მერე ამისთანაში?

— წიგნი მოგართვა თეიმურაზ ქართლის მეფისაგან! — წერეთელმა უკვე მეტი იცოდა, მაგრამ მხოლოდ ამის თქმით დაკმაყოფილდა.

— რაღას აცდევინებ, ვერ შემოუშვი?

— ახლავე გეახლება!

მართლაც არ გაუვლია დიდ დროს, ყორანივით შავებში გამოწყობილი პეპია ხაჩიძე, რომელმაც იმერთა მეფეს ორჯერ უმასპინძლა ალის ციხეში, მაგრამ წინ სხვები, ქართლის დიდგვაროვანი თავადები, იდგნენ და ის, წვრილფეხა აზნაური, ვერავინ შენიშნა, სოლომონს წარუდგა, ორივე მუხლზე დაიჩოქა და აღმოსავლურ წესისამებრ თავი მიწამდე დაჰხარა.

— ადე, კაცო, — შესძახა სოლომონმა. — ყიზილბაში ხომ არა ხარ!

ალის ციხის მოურავი სწრაფად გაიმართა და ყველა აქ მყოფზე მთელი თავით მაღალი აღმოჩნდა. კარგა ხნის გაუპარსავ ხმელ-ხმელ სახეზე ტანჯვა და მწუხარება აღბეჭდვოდა. თმაშეთხელებულ შიშველ თავზე წვიმის მსხვილი წვეთები უზაპუნებდა და აქეთ-იქით წინწკლებად იბნეოდა.

— დიდებულო ბატონო, მწყალობელო მეფეო, — ჩახლეჩილი ხმით დაიწყო ხაჩიძემ, მათრახი სარტყელში გაირჭო და სიცივისაგან მოკრუნჩხული სველი თითები შავი ახალუხის ღილკილოებს მოუფათურა. — მიჯობდა, მიწა გამხეთქოდა და შენს წინაშე ურიგო ამბის მახარობელი არ გავმხდარიყავი. ლეკის უთვალავი ჯარი დაგვეცა. გაგვიტიალეს ქვეყანა. ალის ციხე წაგვართვეს. წაგვიბილწეს ქალი და რძალი. ახლა სხვილოსაც შემორტყმიან, შენი ჭირიმე, გორს ემუქრებიან. კახბატონი ერეკლე — ღმერთმა გვიდღეგრძელოს და დიდხანს გვიცოცხლოს! — ყაზახში ბრძანდება, ვაი რა დროს! შუშის ხანი გაკადნიერებულა, ხარკის გადახდაზე უარს გვეუ-

ბნებაო. დღეის სწორს გეახლა. ერთ კვირაში უკან ველოდოთ...

ახალმა ამბავმა, რომელიც ეს იყო გაიგონეს, ყველას თავზარი დასცა. იმ დიდი და საყოველთაოდ გახმაურებული სამხედრო წარმატებების შემდეგ, ქართლისა და კახეთის მეფეებს ბოლო დროს რომ ერგო, თეიმურაზიცა და ერეკლეც აქ ყველას სამშობლოს მხსნელ უძლეველ დევგმირებად დაესახა. გულის გულში თვით სოლომონიც კი ასე ფიქრობდა, ნუთუ მართლა გაბედა ვინმემ მათს საბატონო ქვეყანაში ცეცხლითა და მახვილით შეჭრა და ციხეების წართმევა!

სულ რამდენიმე პწკარისაგან შემდგარ წიგნში, რომლის ნახევარი ჩვეულებრივად მიღებულ სალამ-ქალაქსა და მამა-შვილურ ლოცვა-კურთხევას ეჭირა, მეფე თეიმურაზიც ამასვე იტყობინებოდა და ლაშქრით დაუყოვნებელ შეწევნას სთხოვდა იმერთა მეფეს — „შვილსა და ძმას, ჩვენი გულის ნაწილს, ჩვენს სისხლსა და ხორცს“...

ქართლის მხცოვანი ბატონის თავშეკავებული მუდარით აღსავსე წიგნმა სოლომონს კრიჭა შეუკრა. თვალწინ წარმოუდგა თითქოსდა დაბადების ძველთა-ძველი ფოლიანტებიდან ამოსული თმა-წვერგათეთრებული მაშვრალი ბერიკაცი, პირველად და უკანასკნელად სწორედ ალის ციხეში რომ ნახა, და ფიქრში მის სახეს დააკვირდა.

პეპია ხაჩიძის თქმით, დიდოელ და ჭარელ ლეკთა გაერთიანებულ ლაშქარს განთქმული ბელადები, ერეკლე მეფის ძველი მოსისხლე და მეშურნე ჩონჩოლ-მუსა და იტარისა სარდლობდნენ. ერთსაც და მეორესაც ბევრჯერ ეწვნიათ მწარე დამარცხება თიანეთში თუ მჭადიჯვართან და სამაგიეროს გადასახდელად ყველა მეზობელ მთიელ ტომს, აგრეთვე შაქი-შირვანის მმართველ ხანებს ქართველი მეფეების წინააღმდეგ საომრად აგულიანებდნენ და ეპატიჟებოდნენ. შუშის ხანის გამოსვლაც ლეკთა ამ ლაშქრობასთან უნდა ყოფილიყო დაკავშირებული. შინაგანმა უთანხმოებამ ურჯულოებს ხელი დიდად შეუშალა, შუშის ხანიც კარგახანს ყოყმანობდა, განდგომოდა თუ არა თავის მფარველ ერეკლეს, მაგრამ ძაღლმა ძაღლის ტყავი არ დახია, საერთო ენა ბოლოს მაინც გამონახეს — მეფე ერეკლე კახეთის რჩეული ჯარით ქვეყნის შორეულ კუთხეში გაიტყუეს, მარჯვე დრო იხელთეს და მცხეთობა-სვეტიცხოვლობა დღეს ქართლ-კახეთს შემოესივნენ.

— რას გვიბრძანებთ, დარბაისელნო? — მეფე დიდებულებს მიუბრუნდა, ყველას ერთად ჰკითხა, რამდენიმე წუთს აცალა, თუმცა ამჯერად პასუხს არავისაგან ელოდა, მერე მზერა ელჩად გამოგზავნილ ალის ციხის მოურავზე გადაიტანა და ხმადაბლა დაუმატა: — ვერა ხარ კარგი მახარობელი, ჩემო პეპია. სხვა რაღა ღონეა, ძველთაგანც ასე თქმულა, ძმა ძმას გაჭირვებაში ვერ მიატოვებს. დღეს მას უჭირს, ხვალ შეიძლება ჩვენ გაგვიჭირდეს!

— ჭეშმარიტი ბრძანება გახლავს, მეფევ!

— ძმა ძმისთვისაო — შავ დღისთვისაო!..

— შენი მუხლების ჭირიმე, ბატონო! — შეატყო, საქმე სწორედ ისე ეწყობა, როგორც მოველოდითო და გულის სიღრმიდან აღმოხდა ალის ციხის მოურავს.

— ნეტარხსენებული მამაჩემი ალექსანდრე დიდი მხედრობით ახლდა ქართლ-კახეთის მეფეებს განჯის ლაშქრობაში. ჩვენც გვმართებს და ვალდებულიც ვართ, მამა-პაპის პატიოსან კვალს მივდიოთ, — სოლომონი თითქოს ვიღაცის წინაშე თავს იმართლებდა და გულის კუნჭულში ჩასაფრებულ ურწმუნო თომას ებრძოდა, რაც შეუმჩნეველი არავის დარჩენია. —

ბატონო ქაიხოსრო! — მეფემ აგიაშვილს მიმართა. — ახლა უნდა გამოჩნდეს, ვის რა შეგვიძლია და ვის როგორ გვიძგერს გული სამშობლოს საკეთილდღეოდ. სამშობლო ერთი გვაქვს ქართველებს. ქართლ-კახეთის მტერი იმერეთის მტერია! მარჯვენა ხელს მოიჭრი თუ მარცხენას, ორივე ერთნაირად გეტკინება. თუ მტერი ქართლ-კახეთს მოერია, ღმერთმა ნუ შეგვასწროს იმ დღეს, ჩვენც ვორეული ვართ და ის არის!

მეფე იმ მხარეს შებრუნდა, სადაც მობორიალე ყომრალ ნისლში მონასტრის სამრეკლოზე აღმართული ჯვარი ბრწყინავდა და საერთო მოწონების შეძახილებში პირჯვარი გადაიწერა.

— ღმერთო ძლიერო, იესო მაცხოვარო, კეთილი ქენი, შეგვეწიე, მოგვეცი ძალა და უნარი, ვძლიოთ მტერთა ჩვენთა, ვინაიდან არა ბოროტ ვართ. ნუ აბოგინებ მომხვდურს ჩვენი ოფლითა და სისხლით მორწყულ წმიდა მიწაზე!..

— ამინ!.. — დააწიეს ერისკაცებმა და სამღვდელო პირებმა და მათაც პირჯვარი დაიწერეს. ყველაზე მეტ სიფიცხესა და გულმოდგინებას ალის ციხის მოურავი პეპია ხაჩიძე იჩენდა, პირჯვარს სასოებით იწერდა და წელში ორად მოდრეკილი თავს მიწამდე ხრიდა.

ქართლიდან მოსული მხედრები, დაღლილნი, შეცივებულნი და მშივრები, მეფის ბრძანებით, მაშინვე სატრაპეზოში მიიწვიეს გასათბობად და პურის საჭმელად, თუმცა პეპია ხაჩიძე გადაჭრით უარობდა, ირწმუნებოდა, თქვენმა სიცოცხლემ, არცა გვშივა, არცა გვწყურია, სიცივეს კი როგორმე გავუძლებთო და თავის მხლებლებთან ერთად მზად იყო, შორი გზა, ამდენი წვალებით რომ გადმოელახა, ახლავე უკან გაევლო და შავ დღეში მყოფ თავისიანებს დროზე მიშველებოდა. ხაჩიძის ხვეწნა-მუდარას ყური არ უგდეს; იარაღ-საჭურველი ჩამორთვეს და სატრაპეზოში, სადაც ჯერ კიდევ არ ჩანავლულიყო აბრიალებული შუაცეცხლი, ძალად შეიყვანეს.

მომზადებისა და დაძვრისათვის სოლომონმა მეტად მცირე დრო — დღისდარჩენილი ნაწილი, მთელი ღამე და ხვალინდელი დღე დასთქვა. ზეგ დილას, დილას თუ არა, მოშუადღევებულზე მაინც, ჯარი ქართლის გზას უნდა გასდგომოდა.

ლიხთიმერეთის ყველა კუთხიდან გამოწვეული ლაშქრის თავშესაყრელად ერთმანეთისაგან კარგა მოშორებული ორი ადგილი დაადგინეს.

რაჭა-არგვეთის, ანუ პირველი და მეორე სადროშოს ჯარები საწერეთლოს შუაგულში, სოფელ მერჯევში შეხვდებოდნენ ერთმანეთს და დათქმული ნიშნის მიღებისთანავე აქედან გაემართებოდნენ ჭერათხევის გზით ქართლს გადასასვლელად.

ვაკე იმერეთისა და ოკრიბა-ლეჩხუმის სადროშოები (ლეჩხუმი მხოლოდ სახელად იყო დარჩენილი, რადგან ის დადიანს ეკავა), რომელთა შორის თვით ციხისთავი და ქეშიკთუხუცესი აგიაშვილიც იქნებოდა, თავს შორაპანში, ძირულის პირზე მოიყრიდნენ, ქართლს ჩხერის გზით გადავიდოდნენ და, თუ ღმერთი ხელს მოუმართავდათ, მტერს სამხრეთ-დასავლეთიდან მიუხტებოდნენ.

ოთხივე სადროშოს, ერთად, სულ შვიდ-რვა ათასი მხედარი და ქვეითი მოლაშქრე უნდა გამოეყვანა ცხენუნაგირთა, აღალითა და მთელი კვირის სამყოფი საგზლითურთ. თუ ვინიცობაა, ლაშქრობა მეტ ხანს გასტანდა, ჯარის შესანახ ნუზლსა და თივა-ქერზე, როგორც ალის ციხის მოურავმა პეპია ხაჩიძემ ციხისთავ აგიაშვილს თავისი მეფის სახელით აღუთქვა, ქართლის ბატონ თეიმურაზს უნდა ეზრუნა.

ჯარმა მეორე დღესვე დაიწყო დენა მერჯევისაკენ. ბანაკი წუთ-წუთობით იზრდებოდა. ბევრი რაგვი მოიშალა და გადაითელა და საშემოდგომოდ, ზამთ-

რის პირზე ხელახლა ამწვანებული ბევრი სათიბი ცხენების საძოვრად გადაიქცა. თუ სხვა დროს ერთი ალიაქოთი შეიქმნებოდა და იქნებ ერთიმეორეზეც წაეწიათ, ახლა უბრალო საყვედურიც არავის დასცდენია. ომში მიმავალი კაცის ცხენს ბალახი როგორ დაეკავებოდა!

მოვიდა როსაფ მაჭავარიანი თავისი რჩეული ასეულით, მოვიდნენ ფალავანდიშვილები, მესხები, მცირე აბაშიძენი, გოშაძეები, დევდარიანები, გომართლები, იაშვილები, აბდუშელიშვილები...

დილაბნელზე წესიდან გამოგზავნილმა მალემსრბოლებმაც მოაწიეს.

როსტომ რაჭის ერისთავი, ლიხთიმერეთის სპასპეტი, პირველი სადროშოს სარდალი, მოულოდნელად გამოჯანმრთელებულიყო და თვით მოუძღოდა დიდ ჯარს. ეს „დიდი ჯარი", მალემსრბოლები რომ ახსენებდნენ, ოთხი ათასი მხედარი აღმოჩნდა, რომელიც როსტომს პირველი დაძახებისთანავე „ორთავ რაჭაში" შეეკრიბა და სანაქებოდაც შეეიარაღებინა. თვალს იტაცებდა რაჭველების ნაბდის კარვები, თოფ-იარაღი და კავკასიონის იალაღებზე ნასუქი ბედაური ცხენების ლაგამ-მოსართავი. ასე გასინჯეთ, რაჭველებს სამი საველე ზარბაზანიც კი ჰქონდათ, რასაც სხვა სადროშოები მოკლებული იყვნენ. ერისთავი ამაყობდა თავისი არტილერიით და სულ შიშობდა, მამასისხლად შეძენილი ზარბაზნები მტერს არსად დარჩენოდა. ამიტომ უკლებლივ ხუთასი მხედარი მუდამ ზარბაზნებს უტრიალებდა და უმალ სიცოცხლეს გასწირავდა, ვიდრე რაჭის ბატონის ნაქებ „არტილერიას" ვინმეს დაუთმობდა.

ლაშქარში მამას მხარს უმშვენებდნენ დიამბეგი მეთოდე, გიორგი სარდალი, ყაბარდოს ბატონის სიძე იაგორა, ბარძიმი, ნიკოლოზ და იოანე. შინ მარტო ნაბოლარა, არჩილ ბატონიშვილის კბილა დიმიტრი დაეტოვებინათ და ისიც მხოლოდ დედის ხვეწნა-მუდარის გამო; თქვენ ხომ არ იშლით და ყველა მიდიხართ, ეს ერთი მაინც დარჩეს ჩემდა იმედად, თავზე ჭერი არ დამაქციოთ, მტრისა და ავისას, კერია არ გამომიქროთო.

ვინ არ მიხვდებოდა, რომ დღენიადაგ მიუვალ ციხეებში შეკეტილი ერისთავი საკუთარი ჯარის სიმრავლეს გაემამაცებინა და კლდეკარებიდან უშიშრად გამოეყვანა. როსტომს ამჯერად ათას ხუთასი ან ორი ათასი მოლაშქრის გამოყვანა ევალებოდა, იქნებ ამდენისაც არა, მაგრამ თავი მოიქაჩლა, ურჩობა და სხვების წინაშე უპირატესობა სხვაგვარად გამოხატა, ორი ამდენი ჯარი შეკრიბა, თითქმის იმდენივე, რამდენის შეკრებაც დანარჩენ სამ სადროშოს დაეკისრა და მით მეფეს აგრძნობინა: ნუ დაგავიწყდება, რომ მე, როსტომ ერისთავი, მაინც სხვა ხილი ვარ, ჩემთან მოყვარობასაც და მტრობასაც სხვა წელი უნდაო.

ახალი შემორიგებული წერეთლები, რომელთა საბატონო მამულში ერისთავის ჯარი გზად შემოვიდა, რაჭის მფლობელს თავაზით შეხვდნენ, ფეხქვეშ ფიანდაზი დაუგეს და სასახლისაკენ წაუძღვნენ, სადაც სტუმარსაც და მასპინძლებსაც, ბატონი მეფე ელოდებოდათ.

ერისთავი დარახტული ცხენიდან ჩამოხდა, საძულველ მეზობლებს იმდაგვარი გულითადობით მიესალმა და მიეთილისმა, თითქოს მთელი სიცოცხლე მიხტომ-მოხტომასა და შეურიგებელ მტრობაში კი არა, მოყვარულ მისვლა-მოსვლასა და სიამტკბილობაში გაეტარებინოთ და, როდესაც ცხენი ჩამოართვეს, სასახლის კიბისაკენ მიმავალი სულ ოდნავ დაწინაურდა.

ტალავრის შეყვითლებული ფოთლებით დაჩრდილულ სასახლის ფართო აივანზე გადმომდგარი მეფე შორიდან ადევნებდა თვალს ამ კბილთა ღრჭენას და ცხვრის ტყავში გახვეული მგლის

დასახვედრად თავისდა უნებლიეთ ემზადებოდა.

კვლავინდებურად ჯანღონით სავსე, მაგრამ ტანდამძიმებულმა, უკვე სამოც წელს გადაცილებულმა როსტომ ერისთავმა კიბე დინჯად, შეუსვენებლივ ამოიარა, სალაშქროდ აღჭურვილი მეფის წინაშე მუხლი მოწიწებით მოიდრიკა, ძოწისფერი მოსასხამის კალთას ემთხვია, ხელმწიფეს ყინულივით ცივ ხელზე ეამბორა, ხოლო შემდეგ, სოლომონმა რომ საპასუხოდ მარჯვენა მხარზე აკოცა, უკუდგა და გვირგვინოსან ბატონს ლაშქრად წვეული ვაჟები წარუდგინა.

ერისთვიშვილები სათითაოდ, უმცროს-უფროსობის წესის დაცვით მიდიოდნენ მეფესთან, სწორედ ისე, როგორც მათი ღირსეული მამა, ახოვანებითა და ვაჟკაცური სილამაზით ჯერ კიდევ ყველას რომ ჩრდილავდა, თაყვანს სცემდნენ და აივანზე, სხვა დიდებულებსა და კარისკაცებს შორის, მოკრძალებულ ადგილს იკავებდნენ. ვინ წარმოიდგენდა, თუ ეს ისინი იყვნენ, ვის წინაშეც ყოველი მეზობელი თრთოდა, ვისი შიშითაც, როგორც ხალხში იტყვიან, ცაში ფრინველს ვერ გაევლო, მიწაზე კი ჭიანჭველას.

— ღმერთს მადლობას ვწირავ, ბატონო როსტომ, რომ საღსა და ჯანმრთელს გხედავ, — ძლივსშესამჩნევად შენიღბული ყვედრებით მიმართა მეფემ ერისთავს, ხელი გამოსდო და აივნის შუაგულისაკენ წაიყვანა, სადაც ურთხელის ფეხებმოხარატებულ ორ მრგვალ მაგიდაზე ხილეულით პირამდე სავსე ლანგრები იყო ჩამორიგებული და წყურვილის მოსაკლავად ყელწვრილი სურებით მაჭრობაში შესული ტკბილი ღვინოც იდგა. — დაგვანატრე თავი, თქვენი ყურადღება და თანადგომა დიდად გვაკლია!

ეს რომ თქვა, სოლომონს გაახსენდა, რომ როსტომის სახელის ახლომახლო ახირებული და ბრტყელი „დიდად გვაკლია“ მეორედ იხმარა და გულში უსიამოდ გაჰკრა ფიქრმა, ხეტავი შეამჩნია ვინმემ თუ არაო.

— რა გაეწყობა, ბოდიში უნდა მოვიხადო, დიდებულო მეფეო, —დარბაისლურად მიუგო როსტომმა, რომელმაც ეჭვადაც არ იცოდა, თუ რას გადაურჩენ მისი მგელკაცა შვილები ამ ორი-სამი დღის წინათ. — ეს სიბერე იმისთანა რამე ყოფილა, კაცი წინასწარ ვერ გაუგებ, ხვალ კიდევ გაგითენდება თუ არა. მიქელ-გაბრიელი თავს მალმალე მახსენებს. მეც აქა ვარ, ხე-ხე-ხე, ღვთის განგებას ქვე საით გავექცევი! რაც შეეხება შენს თანადგომას, ბატონო მეფევ, — ერისთავის სისხლმოჭარბებულ სახეზე თანდათან მიილია, თითქოს ვილაცის უჩინარმა ხელმა შიგნიდან ჩააქრო მოკრძალებული ღიმილის ნიღაბი. — ვგონებ, არ უნდა გაკლდეს, ვინაიდან მე და ჩემი ვაჟები, — ერისთავმა ამაყი მზერა იქით სტყორცნა, სადაც თავისი მოსწრებული შვილები ეგულებოდა, — მუდამ შენი ბედნიერი დროშის ქვეშ ვდგავართ!

ახლა სოლომონის ჯერმა მოაწია. ღაწვები ეწვოდა. „ჭინკაა! ამას რას გამოაპარებ!“ — ფიქრობდა გულში და ცდილობდა, გვირგვინოსნისათვის ეგზომ შესაფერი უდრტვინველი სიმშვიდე შეენარჩუნებინა. შეფარულ ყვედრებას თავადაც წაუყრუა. უდროო დროს, დიდი ლაშქრობის წინ, ამდენი ხალხის თანდასწრებით გულისნადების გამჟღავნება არ ეგებოდა. მანეულის სურნელოვანი წნელებისაგან მოწნულ ლანგარზე ქარვისფერი ყურძნის მტევანი წკიპად აიღო და ერისთავს გაუწოდა.

— გმადლობ, მეფეო, თავად მიირთვი! — როსტომმა თავპატიჟი გაიდო, მაგრამ არ ეწყინოსო, მტევანი მაინც გამოართვა, აღტაცებული მცოდნე კაცის თვალით დააკვირდა, მერე სინათლეზე გაჰხედა და ნახევრად ხუმრობის კილოზე შენიშნა: — რამდენჯერ ვთხოვე ჩემს ძვირფას მეზობლებს, ბატონ

პაპუნას და ბატონ ქაიხოსროს, იწამეთ ღმერთი, ამისი ნერგი გამომიგზავნეთ და, თუ გნებავთ, ყმად დაგიდგებითთქვა, მაგრამ ვერ ვეღირსე.

— როდის, როდის იყო ეგ, ბატონო როსტომ? — შორიდან მოაწვდინა ხმა პაპუნა წერეთელმა, რომელიც ახალგაზრდა ერისთავიშვილებში იდგა, თვალი და ყური კი აქეთ ჰქონდა. — როდი გახლავართ დაჩვეული თქვენს ყმობას. ისე, თქვენი ვენახების პატრონს აქაური მქავე ყურძენი რამ მოგაწონა! დაცინვას ნუ ინებებ, ცოდვა ვართ. თუკი მართლა მოგწონს, შენი ხმალი და ჩვენი კისერი, აგერ ბატონი მეფე და ეს კეთილშობილი კრებული იყოს მოწამე, გამოზაფხულზე ერთ კონა გახარებულ ნერგს გაახლებთ!

— ერთობ დამავალებთ, ჩემო პაპუნა, — ერისთავს ცრემლჩამდგარი თვალები უბრწყინავდა, ჩაბჟირებული ხითხითებდა და უნდოდა, მეფეც აეყოლიებინა. — ერთ კონას ორი ჯობია, მარა...

— ორი იყოს, ბატონო, სამი იყოს, მაგის ჯავრი გააქ? — არ დაიხია წერეთელმა.

ირგვლივ მყოფნი ყურს უგდებდნენ როსტომისა და პაპუნას სიტყვიერ კენწლაობას და ზრდილობის გულისათვის ღიმებოდნენ, მხოლოდ მეფე იდგა დაღვრემილი და ნაძალადევ მხიარულობაში არავითარ მონაწილეობას არ იღებდა.

ვითომც აქ არაფერი მომხდარაო, როსტომმა მტევანს ორად ორი კუმპალი შეაწყვიტა, ყურძენს გემო გაუსინჯა, მოწონების ნიშნად თავი ვადააქნია და მტევანი ისევ ლანგარზე დასდო.

— თუ არ იუკადრისებთ, ზოგი რამე ჩვენგანაც მიიღეთ, ბატონო პაპუნა. ერთ უღელ ხარს მოგართმევთ. მძახალმა მოგვიკითხა ყაბარდოდან. დანამდვილებით მოგახსენებთ, ამის ბადალი გამწევი პირუტყვი თქვენ არ გეყოლებათ, მე ვიცნობ აქაურ საქონელს...

— სამაგიერო პატივისცემა ჩვენზე იყოს, — წერეთელი არც ახლა ჩამორჩა. — ისე რავა წავხდებით...

— თქვენ რომ ერთიმეორეს მოიკითხავთ და ძღვენს გაუგზავნით, იქნება კეთილი ინებოთ და ჩვენც გვარგოთ რამე! — სოლომონმა გახუმრება სცადა და პირველმა გაიცინა. სხვებიც ხალისით აჰყვნენ. ყველაზე უფრო ხმამაღლა, ხველებ-ხველებით და როხროხით როსტომ ერისთავი იცინოდა და თვალებზე მომდგარ კურცხლებს იწმენდდა. ბოლოს დაწყნარდნენ, თან ერთმანეთს უთვალთვალებდნენ — არავის არ უნდოდა, სხვაზე ადრე გაჩუმებულიყო.

— სტუმრობა ნამეტურ გაგვიგრძელდა, თქვენო უმაღლესობავ, ბატონო მეფევ, — ნახევრად ხუმრობის კილოზე და ნახევრად საქმიანად თქვა როსტომმა. — მასპინძელი კი არ დაგვითხოვს, წასვლა თუ თავად არ მოვიგონეთ. ჩემი ჯარი უკვე წყალგაღმა იქნება.

— სწორად მოქცეულხარ რომ არ შეგიჩერებია, — მიუგო სოლომონმა და სახეზე ნაძალადევად მოგვრილი მხიარულების ნიშანწყალიც კი გაუქრა, კვლავ მიუწვდომლად შორეული და საშიში გახდა. — ახლა შეჩერების დრო არ არის! მერჯევში შევხვდებით? — მეფემ ეს იმ დროს ჰკითხა ერისთავს, როდესაც ის კიბეზე დასაშვებად ემზადებოდა, მაგრამ ჰკითხა როგორც კაცმა, ვის ხელშიაც განგების ნებით თავს იყრის მრავალი ათასი ქვეშევრდომის ბედი და იღბალი.

„თვალი მგონი მართლა უჭრის ამ ოხერს!“ — გაიფიქრა როსტომმა, ხმამაღლა კი ეს უპასუხა:

— მე პირდაპირ ვივლი, ბატონო მეფევ, მერჯევში გადასვლით გზა რაღაზე გავიმრუდო, ისედაც, შენი კარგა ყოფნით, ბევრი გამოვიარეთ!..

ერისთავს არ გაუმხელია, ანდა რისთვის უნდა გაემხილა, რომ უბეში თეიმურაზ ქართლის მეფისაგან გამოგზავნილი წიგნი ედო. ქართლის მეფე მას,

როგორც მირონცხებულ მეფეთა ტოლსა და სწორ დიდებულს, პირადად თხოვდა ომში შემწეობას „მამაცი და უღალატო რაჭველებით“, უკეთუ რაიმე მიზეზის გამო სოლომონი ფეხს აითრევდა და ლეკებთან ომში ჩაბმას არ მოიწადინებდა. რაჭის ბატონს ჩინებულად ესმოდა, რომ მეფე თეიმურაზის ეს უკანასკნელი წიგნი რაჭის ერისთავის საყურადღებოდ ადრე გამოთქმულ მისსავე შეგონებებს ეწინააღმდეგებოდა, მაგრამ იმასაც მიხვედრილი იყო, რომ ეს თეიმურაზს ვისიმე მტრობით ან ორპირობით კი არ მოსდიოდა, არამედ საკუთარი საბატონო ქვეყნის თავს დამტყდარი უბედურება ალაპარაკებდა.

სოლომონს კრინტი არ დაუძრავს, სიტყვა რაა, ერთი სიტყვითაც არ გამოუხატავს ყელს მოწოლილი უკმაყოფილება, თუმცა ერისთავის დაუცხრომელი მისწრაფება განცალკევებული მოქმედებისაკენ, თითქოსდა ის იმერთა მეფის ერთ-ერთი ქვეშევრდომი, ტახტის მოხელე, დარბაზის წევრი, სადროშოს სარდალი კი არა, ვინმე გარეშე დამხმარე ყოფილიყოს, გუნებას უმღვრევდა და რაჭის ურჩი მფლობელის წინააღმდეგ ძველებურად ამხედრებდა. დღეს როსტომმა ერთხელ კიდევ აჯობა, ერთხელ კიდევ გაიმარჯვა, ერთხელ კიდევ შეაყარა თვალებში ნაცარი და საქვეყნოდ აგრძნობინა, ჩემთან ხელი არა გაქვსო, რაჭის შიგნით მე ისეთივე მეფე ვარ, როგორიც შენ — იმერეთში და შენ იქ არაფერი გესაქმებაო; როცა აქეთ შემოგედავო და რაიმე მოგთხოვო, გულისწყრომა მაშინ გამოხატე, მანამდე კი, მოდი, ჩხუბი რომ არ მოგვივიდეს და ორივე არ დავზარალდეთ, ჩვენ-ჩვენს ტყავში დავეტიოთო. ესეც არ იკმარა, იმდენი ქნა, თავისი მძახალი ყაბარდოს ბატონიც კი ახსენა და ყველას გააგებინა, რომ ეს ძლიერი და ლაშქარმრავალი მებატონე დღედაღამ მზად იყო, კავკასიონის თოვლიანი ქედი გადმოელახა და ქრისტიან მოყვარეს ჭირსა თუ ლხინში გვერდში ამოსდგომოდა.

„ჯერ მაცალე, სულძაღლო როსტომ, — ფიქრობდა სოლომონი, სიმამრისეულ ზერდაგზე რომ ჯდებოდა. — შენი ყამიც დაჰკრავს. ქვეყანას არ აგარევინებ, იცოდე, აგრე გასწორ-გასწორ არ გაპარპაშებ, ადრე თუ გვიან ბაბუაჩემ ლევან აბაშიძის გზაზე გაგისტუმრებ. სიძედ მოკიდებული ბატონიშვილი თეიმურაზიც იქა გყავს და ვიმედოვნებ, არ მოგეწყინებათ, თავის შესაყოლიებელს იშოვნით რასმე!“

ისღა რჩებოდა, ზემომხრის სარდალი ქაიხოსრო წერეთელი აეჩქარებინა, რათა ერისთავის დაწინაურებულ ლაშქარს ჭერათხევზე გადასვლა და ქართლის თავქვეებზე დაშვება არ მოესწრო. როსტომისაგან ეს მოსალოდნელი იყო. ქართლ-კახეთის მეფეებისა და დიდებულებისათვის ხომ უნდა ეჩვენებინა თავისი ძალა და ერთგულება, ხომ უნდა დაემტკიცებინა, შიშველ-ტიტველი და გუდამშიერი იმერეთის მეფე კუდში მომჩანჩალებს და იმით კმაყოფილდება, რასაც მისთვის გავიმეტებო! თუ დაწინაურებას მთელი თავისი ლაშქრით ვერ შესძლებდა, ქაიხოსროს ერთი ან ორი ასეული მაინც უნდა გაეგზავნა, როსტომისათვის გზა მოეჭრა და რაჭველებს ზედ უღელტეხილზე ან უღელტეხილის მისადგომთან, გორაძირში დახვედროდა. ამით ერისთავს უნდა ეგრძნო, რომ ზედმეტი აჩქარება საჭირო არ იყო და მისი ლაშქარიც მეფესა და უმაღლესი სარდლობის მიერ შედგენილ გეგმას უნდა დაქვემდებარებოდა. მაგრამ ერისთავს ყური რომ არ ეგდო მეფის განკარგულებისათვის და გზა მაინც განეგრძო?

„ვერ გაბედავს, ამდენს ვერ გაბედავს!“ — ფიქრობდა სოლომონი და თითქოს თვით აპირებს წინ წასული ჯარის გამოდევნებასო, ცხენს აჩქარებდა.

ვახშმობა გადასული იყო, როდესაც ციცაბო აღმართში ჭენებით მიმავალი ცხენოსანთა რაზმი ომახიანმა შეძახი-

ლმა შეაჩერა. მხედრებმა სადავეები მოზიდეს ცხენებს, სვლა შეანელეს და ბოლოს სულ შედგნენ.

— ვინ ხარ, ვინ ყვირის აქ? — მჭექარე ხმით იკითხა ერთ-ერთმა მათგანმა, რადგანაც გზაზე ვერავინ დაინახა.

— ვინ უნდა ვიყოთ, ქრისტიანები ვართ, სანამდი ღმერთი არ გაგვწყრომია, პირჯვარს წალმა ვიწერთ, — უპასუხეს საფარიდან და ზედაც ხმამაღალი სიცილ-ხარხარი მოაყოლეს.

— რაჭველებო, ერისთავს ვეძებთ, ბატონ როსტომს, მეფის სასწრაფო ბრძანება გვაქვს გადასაცემი!

— რაკიღა აგრეა, შენც ჩვენი კაცი ყოფილხარ, ჯერ ჩამოდი, ერთი ყანწუკა დაგვილიე!

— რა დროს ყანწია, თქვე ოჯახაშენებულებო, დანა და ყელი ერთად გვაქ, ყანწების დასაცლელად წამოხვედით ამსიშორეს?

— სიშორე ყანწს ქვე რას უშლის, თავი ნუ მოგიკვდება! თუ ძარღვებში ღვინუკა არ ჩუხჩუხებს, ვერც ღმერთს ვარგეთ-ყე რამეს და ვერც მეფეს. ასე არ არი, სეფუნიკა? ერთი ყანწუკა დაგვიცალე, თითო მაგ პატიოსან ხალხსაც შეხვდება, ბევრი არც ჩვენა გვაქვს...

რიყის ქვით მოკირწყლულ საურმე გზაზე ორი უიარაღო კაცი ამობობღდა, თან ტიკჭორა ამოათრიეს, მხედარს ყანწი აუვსეს და მიაწოდეს.

— დალიე! ღმერთმა შეგარგოს! რა კაი ადგილას ჩვენ მივდივართ. ხვალ ამ დროს შეიძლება წყურვილიც გვახრჩობდეს და, შენ ჯვარი გწერია, წყალიც მოგვენატროს, თუ არა ღვინუკას ვინღა მოგვაშავებს!

მხედარმა, რაკი აღარ მოეშვნენ და ღვინო ხელში შეაჩეჩეს, რაღაც წაიბუტბუტა, მოკლედ დაილოცა, ყანწი მოიყუდა, დასცალა და ღვინის პატრონებს დაუბრუნა.

— ახლა მაინც იწამით ღმერთი, და მითხარით, კაცო, სად ვიძიბო როსტომ ერისთავი. მეფის სასწრაფო ბრძანება მაქვს გადასაცემი. მე როსაფ მაჭავარიანი ვარ, ეს ჩემი ხალხია, სხვები უკან მოგვდევენ.

როსაფს ვიღაც მასავით ახოვანი მოუახლოვდა, სადავე დაუჭირა, დაუკვირდა და ხელი გაუწოდა.

— გამარჯობა, როსაფ, ბატონო.

— გაგიმარჯოს! — მაჭავარიანი უნაგირიდან გადმოიხარა. — რომელი ბრძანდები?

—ვერ მიცანი, გატყობ. წესელი კაცი გახლავარ, ჩემო როსაფ, ერისთავის ყმა, გვარად მაისაშვილი.

— სახელი?

— გლახუნა მქვია.

— შენ თუ გლახუნა ხარ, კარქუნა ვინღა-ღა გეყოლებათ?

— რა ვიცი, ბატონო, ცხონებულმა ნათლიაჩემმა ასე დამანათლა, ღმერთმა ნათელი დაადგას იმ ქვეყანაში! შენი ქება ბევრჯერ მსმენია, შორიდან გიცნობ და გამოგემცნაურე.

— იცოცხლე, ჩემო გლახუნა! ფეხით მოდიხართ, კაცო, თუ ცხენებით?

— არა, შენი ჭირიმე, ამ სიშორეს ფეხით მტერმა იარა. ცხენუკეები მოფარებულში გვიყენია. ჩვენც იქ გახლდით, ვახშმად ვიჯექით. თქვენი ხმა შემოგვესმა, ამოღმართში რომ ამოდიოდით და იმისთვინ გადმოვედით აქეთ.

— წინ უნდა გამიძღვე, გლახუნა მაისაშვილო, და ერისთავთან მიმიყვანო. სადაც არის, თავზე დაგვათენდება და თუ ბატონ როსტომს ვეღარსად დავეწიე, — მაჭავარიანს უკვე ღრღნიდა ეჭვი, რომ კაცი, ვინც ერისთავის ყმა მაისაშვილად გაეცნო, თვით როსტომ რაჭის ერისთავი იყო, მაგრამ ეჭვის შემოწმების არავითარი საშუალება არ გააჩნდა და ორჭოფულად განაგრძო: — აღარ ვიცი, მის უმაღლესობა მეფეს რაღა პირით შევხედო!

— რა არის მაგისთანა საჩქარო, როსაფ ჩემო, იქნება ჩვენთვის გაგემხილა და, აგერ არა ვართ? — ბიჭებს გავაგზავნიდით და შევატყობინებდით!

„ვითომ ის არის?“ — როსაფმა მხე-

დველობა დაძაბა და მაისაშვილს დაა-კვირდა, მაგრამ უკუნი ღამე იყო და ამ სიბნელეში არამცთუ სახე, მისი ჩაცმულობა და იარაღიც ვერ გაარჩია.

— უსათუოდ პირადად უნდა ვინახულო, ასეთია მეფის ბრძანება!

— ჟინიანი კაცი ბრძანებულა ბატონი მეფე, ჩემო როსაფ, ყმის მეტისმეტი შეწუხება ყვარებია!

ენა დაიმოკლე შენ, ვიღაცა ხარო, უზანგზე შემართულ როსაფ მაჭავარიანს კინაღამ ხმამაღლა წამოსცდა ეს და ხელმა უნებლიეთ ხმლის ვადა მოძებნა. ასისთავის ხელის მოძრაობა სიბნელეში ალბათ, არავის შეუნიშნავს. ნასვამი რაჭველები შარზე იყვნენ, ჩხუბის საბაბს ეძებდნენ და ეს საბაბად გამოადგებოდათ. ღვინო შვრებოდა ამას თუ რაიმე წინასწარი განზრახვა? ჩხუბი უსისხლოდ არ გათავდებოდა და, შესაძლოა, ჯარში დიდი არევ-დარევა და აყალმაყალიც გამოეწვია. ვინღა დაგიდევდა, ვინ მართალი იყო და ვინ — მტყუანი! მეფე ერისთავს ვერ აწყენინებდა. ჯარში ერთსულოვნება რომ შეეინარჩუნებინა და უცაბედად ჩამოვარდნილი შინაგანი განხეთქილება აღეკვეთა, იძულებული გახდებოდა, ვინმე დამნაშავე მოეძებნა, მოეძებნა უსათუოდ თავისიანებს შორის და ხელმეორედ შემომწყრალი ერისთავის გულის მოსაგებად მთელი რისხვა სწორედ იმ დამნაშავის თავზე დაეტეხა.

მაგრამ ვინ იქნებოდა „დამნაშავე“?

როსაფს ხანისწყლის ხეობაში მომხდარი ხოცვა-ჟლეტა, საფაშოდან აგარიანთა ჯარის თანხლებით შინ მომავალი მეფის ბანაკის აკლება, სოლომონთან და მის მცირერიცხოვან მხლებლებთან ერთად სასწაულებრივი გადარჩენა და კორიშის ტყეში ღამის გათევა გაახსენდა. დამარცხებული და სასოწარკვეთილი მეფე მაშინ მზად იყო, ზვარაკი გაეღო, თუნდ ყველაზე ერთგული კაცი გაემეტებინა, ყველა ცოდვა მის ზურგზე აეკიდა და აგარიანების გული ისევ მოეგო...

როსაფმა სადავე მოზიდა, გახურებული ცხენი ყალყზე შეაყენა, ადგილზე შემოატრიალა და, როდესაც დარწმუნდა. სხვებიც კვალდაკვალ მომდევნო, აღმართში დაუზოგავად გააჭენა. რაც უნდოდათ, ის ეფიქრათ! ჩხუბს და ამაო სისხლისღვრას ისევ ეს ჯობდა. პირში ღვინის სიმჟავე და კუპრის მწკლარტე გემო დარჩენოდა, თავი უბრუოდა, თვალებბრჭყვიალაც ესხმოდა და ერთი წუთით თავის წადება მთელ სიცოცხლედ უღირდა. როსაფი წინაღამის უძილარი იყო, მოსვენება ვერც დღისით მოესწრო და ეჩვენებოდა, რომ ჭენებით ისედაც გახვითქულ ცხენს უსაშველოდ ამძიმებდა.

ყოველ ნაბიჯზე გუნდ-გუნდად მიმავალ ჯარს ეწეოდნენ და მაშინვე უკან სტოვებდნენ. ჯარს არც თავი უჩანდა, არც ბოლო. ასეულები და ათასეულები ერთიმეორეს მისდევდნენ და დროდადრო, ხან აქ, ხან იქ, ყიჟინას სცემდნენ, უნაგირზე არავის ჩამოეძინოს, ყიამეთში ცხენიდან არ გადმოვარდეს და არ დაშავდესო.

— ბატონო როსაფ!..

მაჭავარიანმა სადავე მოზიდა და სვლა შეანელა.

— ბიჭუა ვარ, ბატონო, სოფრომაძე...

— გხედავ! რა გინდა?

— მოგვეჭრა თავი, ვერ ვიცანით ის კაი დედმამიშვილი!

— ვინ, ბიჭო? — როსაფს უსიამოვნოდ გააჟრჟოლა, თითქოს მის მიერ ჩადენილი ყველაზე უფრო მდაბალი საქციელი გაახსენეს. — ვითომ ნამდვილად ერისთავი იყო?

— რავაც ახლა მე შენ გიყურებ ბატონო!

— მერე სად იყავი, ვერ მანიშნე?

— ვერსაით მოგიდექი, ბატონო!

— თუ ტიკჭორას უძუძგურებდი?!

— არ გავწყდე ცოლ-შვილით, მე ყლუპიც არ დამილევია, ის დალოცვილი მაშინ გათავდა, მე რომ მომიწია. სხვაში რაში მქონია იღბალი!...

— ხმა! გაიყოლე ორი-სამი მარჯვე ბიჭი და გაბრუნდი უკან!

— იმე! უკან, ბატონო?

— ქაიხოსრო ნახე.

— რა მოვახსენო, ბატონო?

— ნუ გოუმხელ. საწყენად დარჩებათ. ასე უთხარი, კორბოულიდან დამაბრუნა როსაფმა-თქვა. თავად წინ მიდის და ახლა გორაძირს გაცილებული იქნება-თქვა.

— მერე? რომ მკითხოს, ნახეთ და გააჩერეთ ერისთავი თუ არაო?

— შენც მართალი ხარ, — საგონებელში ჩავარდნილმა როსაფ მაჭავარიანმა ყბაზე მოისვა ხორკლიანი ხელი და ნიკაპი მოისრისა. — რა ვქნათ, ბიჭო, აბა?

— გავჩერებულიყავით, მოგვეცადა, უკან არი, შე დალოცვილო, წინ ხომ არა! აგერ არ ამეივლის?

— ეჰ, ჩემო ბაჭუა, ნეტავი შენ, მეტი რომ არაფერი გაგეგება!

ასეულმა გზა განაგრძო. ალმართში, მაყვლით გადავლილ ნამეწყრალზე დინჯად მიმავალ ლაშქარს გვერდი აუქცია და სულ მალე სოფლის თავში გავიდა. უკან დარჩენილი ვაკე აქედან ისე მოჩანდა, როგორც ხელისგულზე. კავკასიონის მთავარი ქედის ალაგ-ალაგ დაკბილული ლურჯი ზოლი მქრქალი ღრუბლებით დაფარულ ცას სიგრძივ კვეთდა და სადღაც მოდინახის ციხის უკან ნისლში იკარგებოდა. ხეები, სოფლები, ღობეები, საკვამურებიდან ამომავალი გამქვირვალე კვამლი თანდათან იღებდნენ თავიანთ ჩვეულებრივ მოხაზულობას. ცხენოსანი ჯარი კვლავ დინჯად მოიწევდა ამოღმართში. ერთს ულიმღამოდ გადმოხედავდნენ როსაფსა და მის მხლებლებს. ნეტავი აქ ვის ელოდებიანო და ღამენატეხნი გზას ისევ ტაატით განაგრძობდნენ.

□ გაგრძელება იქნება □

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თამარ ერისთავი

უკვლავეების ნამცეცები

1

თვალთა საოცარ სარკმელებში
გაკვესავს უცებ
გულის ქურიდან უნებლიედ გამოსხლეტილი
ნაპერწკლის ალი,
ალალბედად მიაგნებს იმ გულს,
რომელსაც ეძებს,
და მარტის ხნულში გაღვივებულ
თესლის სიმძაფრით
შესძრავს მის წიაღ დატკეპნილი
დღეების ბელტებს.
გაიელვებს და...
მარადისი გახდება წამი
ამ ორი ცეცხლის გადაკვეთის
გზაჯვარედინზე.

2

ქალაქის ბულბი
გადაიფრენს უცებ პეპელა
და დედამიწის დიდ მინდორზე,
მგზავრის წინაშე
მიიჩქმალება ყოველივე ფორმა და ფერი
პაწია ფრთების ფარფატის და
სითეთრის გარდა.

სად არიან ის მაღალი
რუხი სახლები, —
გლუვი კედლების უსახურობით,
რომ ნთქავდნენ წეღან ნაწილ-ნაწილ
ცის და მიწის მშვენიერებას...

ახლა ისინიც გალურსულან,
შერევიან უფორმო შორეთს,
სადღაც სულის ჭუჭრუტანიდან
უთვალთვალებენ ამ საოცრებას
და გრძნობენ რაღაც შეუცნობ.
ალღო-გუმანით,
რომ ამ პატარა სასწაულით იწყება ქვეყნად
ულამაზესი ტაძრის შენება.

* * *

წყალდიდობისგან გათხრილ ფართო კალაპოტში
მოწანწკარე მცირე მდინარეს
მოჰგავს ახლა
სიცოცხლე შენი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ალბათ, საოცრად
მშვიდ-ნარნარი იქნებოდა
ამ დაოკებულ მდინარეში
ტალღის ჩქრიალი,
რომ გახელებით ზურგზე ჯაგარს არ აუშლიდეს
და არ უფრთხობდეს მოსვენებას
იმ გარდასული ბობოქრობის
შმაგი სიზმარი.

* * *

კარები ღია დამრჩენოდა:
ზღვის ტალღების ნელი ჩქრიალი შემოდიოდა,
სიმშვიდის ფერი
და სივრცეების უსასრულობა შემოდიოდა,
ერთი ვარსკვლავის შორი ციალი შემოდიოდა...
და კარები აღარ მივხურე —
განა თუ ხშირად მეღირსება
ამქვეყნიური სასწაულის ავანსცენაზე
ასე უბრალოდ კარის გაღება.

* * *

მე ავიშენე აივნიანი პატარა სახლი,
რომლის ჭერქვეშაც მოფრინდება ერთ დღეს მერცხალი
და მოათავებს სვეტისთავის მოჩუქურთმებას
მონაცრისფერო, ხორკლიან ბუდით.
მერე კი, როცა დააღებენ ბარტყები ხახას
და მოპყვებიან უაზრო ჭყლოპინს დედის ლოდინში,
მე ჩამოვხსნი აივანზე ყველა ხარიხას,
რომ ნახტომი მერცხლის ბუდისკენ
ოცნებაშიც მოვუსპო კატას.

მე ავიშენე აივნიანი პატარა სახლი
და მოუთმენლად ველოდები მერცხლის მოფრენას;
მანამდე კი, დილა-საღამოს
რძით სავსე ჯამით
ვანებივრებ ჩემს ხატაურას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

* * *

მძიმე რამ ნივთის ასაწევად
    რომ დაიხრები,
ხელში კი მჩატედ რომ მოგყვება
    ის ნივთი უცებ
და შეგაცბუნებს...
ისე ვიგრძენი თავი შენთან განშორებისას.

* * *

მიერეკება ყოველივეს ფიქრი
    დროდადრო,
რაც კი გარეშე დანალექად შემორჩენია
    ხსოვნის ლაბირინთს,
და სტოვებს მხოლოდ სტალაქტიდებს
    მოგონებისას, —
ჩამოღვენთილებს გულის მღვიმეში.

* * *

ჩემს კოშკს
    მოჭრილი მტრის მკლავებივით
    აქვს აჩონჩხილი
    მოგონებების ყველა სიმწარე
    და სიხარული.
ოდეს დადგება
    ჟამი გუშაგის გამოცვლის და
    განძეულის გადაბარების,
    და მომიგზავნი მეჭურჭლეს შენსას,
    რომ მიითვალოს
    ჩემს სალაროში
    ფასეული რაც კი რამ არის, —
ვე არ ვიცი,
    რა გადასწონის —
    იგი, რაც სიმწრით მოვიპოვე,
    თუ, — რაც იშვა სიხარულისგან...

* * *

არა, არ მომხდარა არაფერი, —
დღე იყო ზამთრისა და თოვდა,
შფოთავდნენ ხეები ქალაქელი,
ზღვიდან ქარაშოტი ქროდა,
ზღვიდან მოფრინავდნენ თოლიები,
ფრთები ალებასტრის ჰქონდათ,
მთები მოდიოდნენ შორეული,
ზღვასთან გროვდებოდნენ ჯოგად.
მყივანი ჩიტების ორეული
ცაში გაკრთებოდა ზოგან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მარადი სიმწვანე ალმაცერი
საცერით სითეთრეს ცრიდა,
ცა იყო ზღვის მკერდზე დანაცერი
და ზღვა იწყებოდა ციდან;
ჰაერში ბრუნავდა სხვა ნამქერი
და სხვა სივრცეები თრთოდა,

გული უცაბედად ანამღერი
ბუდიდან გაფრენას მთხოვდა;
შფოთავდნენ ხეები ქალაქელი,
ზღვიდან ქარაშოტი ქროდა;
არა, არ მომხდარა არაფერი —
დღე იყო ზამთრის და თოვდა.

მირაჟი ცაში

ვერძისთავიან ვეება სფინქსებს
მიერეკება მწყემსივით ქარი,
ირღვევა ღრუბლის ასმაგი სისქე,
იღება თებეს ასივე კარი;

ასივე კარი იღება ისევ,
გარშემორტყმული მუნჯი მცველებით;
ვერ გააკვირვებ ღრუბლებს და სფინქსებს
ვერავითარი საკვირველებით.

ეუფლებიან სივრცეებს გაშლილს,
შიში არა აქვთ ამაოების,
თეთრ პირამიდებს აგებენ ცაში
თეთრი ღრუბლების ფარაონები.

ო, ნუ გგონია გაჰქრეს ყოველი ,
როდესაც ხორცით სულსა ვშორდებით,
სადაც ავიგეთ სვეტიცხოველი
მის თავზე ღრუბლად განვმეორდებით.

* * *

ბევრჯერ ამაოდ
სიმწრის ოფლში გაიწურები,
გზები ჩნდებიან—
როცა უკვე გადაბრუნდება
თურმე ურემი,

დაუხარჯავი გრძნობებივით
დაობდებიან
ძველ კიდობანში შენახული
შოთი პურები.

* * *

რამეთუ ღირს ვარ,
აღმაზევე, მომეც დიდება,
თუ ღირს ვარ, — დამგმე, შემაჩვენე
და ქვა მომაგდე,

უფსკრულთა შორის
ბონდის ხიდი არ გაიდება,
ჭეშმარიტებას არ სჭირდება
ბრიყვი ქომაგი.

* * *

ტყეში თუ არ ისმის ჩიტების გნიასი,
სულში თუ არ ისმის ზარების რეკვა,
სიმართლედ ვინ იტყვის სიმართლის
მეასედს,
რომ ასეთ სიცოცხლეს სიცოცხლე ერქვას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

* * *

გსმენიათ?
 როგორ ხმაურობს ჭუპრი,
როცა მატლობის ვადას ათავებს,
ხულ რომ დაგმანო კედლები კუპრით,
მაინც მიაკვლევს ფრენის სათავეს.

ასეთ გაფრენას ვეტყვი უპრიანს,
წვალება ღირდა ამისთვის, მართლაც,
მაგრამ ვაი მას, ვინც სულ ჭუპრია,
ან იბადება ჭუპრიდან მატლად.

ამენოტეპი და ტია

1

ოდეს სფინქსები ვლიდნენ
 თებეს უთოვლო გზაზე,
ოდეს კოლოსად თლიდნენ
 სეტის, ტუტმოსს და რამზესს, —

სამი ათასი წლის წინ
 ეს როგორ მოხდა, ვინ სთქვას,
ან საჭრეთელი ვისი
 გაუთამამდა კირქვას,

რომ ფარაონის სახე
 ღმერთთან მსგავსების ნაცვლად
კაცთან მსგავსებას ამხელს,
ყოფნა უხარის კაცად.

ოდეს ამონის ტაძრებს
 რთავდნენ ლოტოსის სვეტით,
და ქვაში ნაკვეთ რამზესს
 და ქვაში ნაკვეთ სეტის

თავი მოჰქონდათ ღმერთად,
 სძაგდათ სისუსტე კაცის,
იდგნენ ტაძრებში ერთად,
 ერთადერთობის განცდით;

სამი ათასი წლის წინ
 ეს როგორ მოხდა, ვინ სთქვას,
რომ ფარაონმა თვისი
 ღიმილი ანდო კირქვას...

2

ჭრიდა მოქანდაკე ქვის თეთრი ზოდიდან
 ერთი სიყვარულის ამბავს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზედმეტი გვირისტით ხელს როდი მოღლიდა,
მისდევდა უბრალო ლამბად
ქვას მოუსვენარი სიცოცხლის ელფერი
ისე, რომ სხეული ქალის
იყო მიდრეკილი კაცისკენ, — წელსქვევით
ოდნავ შებურცული რკალით.
მაგრამ მათს სახეზე დიდის რუდუნებით,
დიდი ხელოვანის იღბლით
აღბეჭდა გულიდან დაძრული უნებლივ
ნეტარი ღიმილის ხიბლი.

3

ნილოსთან, ამონის
ვეება ტაძრებში
ქვათა კოლოსებად დგანან
ტუტმოსი, მემნონი,
სეტი და რამზესი
და სახით ერთმანეთს გვანან;
და რწმენაც ერთი აქვთ
მათ უზენაესი,
რწმენითაც ერთმანეთს გვანან, —
რომ ქვეყნად ბატონობს
მახვილი ნალესი,
ვიდრე მზე ანათებს, მანამ.

4

აქ კი ირხევიან პალმის მარაონი,
ქვა ეჩურჩულება ნიავს,
სადაც სიყვარულის ორი ფარაონი —
ამენხოტეპი და ტია
ღიმილით ხვდებოდა ყოველ მზის ამოსვლას
ათბობდა გულების წყვდიადს,
და ეტოქებოდა, უთუოდ, ამონსაც,
ბევრი საუკუნის წიაღ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლია სტურუა

სათნოება

ეძღვნება ალბერ შვეიცერს, რომელმაც თავისი შეგნებული სიცოცხლე ღატაკთა და კეთროვანთა მკურნალობას შესწირა.

ამ ბოლოდროს
სულ უფრო ხშირად,
განსაკუთრებით, როცა წვიმა
დაალბობს ქუჩებს,
მძიმე ჯვარივით მხრებზე დამაწვება
გულგრილობის შავი ძილქუში,
ურწმუნოება და ქირქილი მოწაფეთა,
ბრინჯაოს მძიმე ჩარჩოებში ჩაწნეხილი
ნივთით წამება,
გამოცდა ნივთის ოქროსფერი მარწუხებით
და მინიშნება ტრაგიკულ ცეცხლზე,
როდესაც ბახი ოქროს მკერდით ეცემა მინას
და ნათელ სევდას გაამხელენ კლავესინები
მინორის ჭუპრში ჩასახული მენუეტისთვის...
მე სისხლისფერი კვართი მაცვია მონანიების,
ეს არის კვეთი,
რომლის წყალობით შედედდება
ნაგვიანევი სიყვარული მეგობართა და მოწაფეთა,
რადგან ყველაზე უნაღვლო სულშიც
საყოველთაო ელექტრონში ამოვლებული
ანთია კომში და თაფლის წვეთი...
ჯერ კი ისინი ზურგს მაქცევენ,
რადგან ეშინიათ,
გულგრილობის შავი და მკვრივი ბოლქვებიდან
არ გამოვგლიჯო
თანაგრძნობა, პური ან ქაცვი,
რომელზედაც ვარსკვლავიანი ცა წამოაცვეს.
მათ, ვისაც პოეტებს ეძახიან...
მათ სიტყვებში და მათ სახეზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

მე ვხედავ კედელს,
კედელი სუფთა ოქროსია
მე და არავის აღარ ვახსოვარ,
მაგრამ უეცრად,
ვიღაც მემაწვნე დედაკაცი ხსნის ჭინჭის ფუთას
და კაპიკიანს მიგდებს ხელში,
როგორც მათხოვარს...
წვიმა მაწვნიან ქილებში ატანს
და დედაკაცი, მობუზული, შავი, პატარა,
დგას და ასხივებს
მოწყალების ალისფერ უქმეს,
სახლში კი უდედო შვილები უყრია,
რომლებსაც მან გაუყო ლუკმა,
რომ არსებობის სევდიანი და ტკბილი პური
მოეცა ჩემთვის
და როცა ჩემს შვილს
ფრჩხილებისქვეშ ეკალი ეზრდება,
რომელსაც გასდის
სისხლი, ბალღამი და თაფლის წვეთი,
მე ვეხვეწები
თაფლის სინათლეს და მაწვნის დედას,
მათ უნარს შაქრად აღზევების და შედედების,
მიეცით ჩემს შვილს
არა ხორხი, უტკბესი ფიჭის,
არც ზღაპრულად ფერადი ხედვა,
არამედ კაცთა მარადი ხვედრის:
შიმშილის, შურის, ბოღმის და კეთრის,
მიტევების და განკითხვის ნიჭი...

ძაღლი

ერთმა მანქანიდან გადმოაბიჯა,
მეორემ — ლოგინის დაბამბული წიაღიდან,
მესამე სამშობლოს სადღეგრძელოს სვამდა
და მოწიწებით გააწყვეტინეს,
მოვიდა მეოთხე, მეხუთე, მეათე,
გახურებული შუბლები შეახეთქეს ქარს,
ყველას თითო ქვა ეჭირა ხელში...
ძაღლს გაქცევა არც უფიქრია,
მხოლოდ ცდილობდა აწვდენოდა კაცების ხელებს
და აელოკა,
მას ექვსი ლეკვი უცდიდა სარდაფში...
მანქანის პატრონმა ხმამაღლა იკითხა:
— რა შეუძლია მაწანწალა ძაღლს?
ის ლოკავს ხელებს, რომლებიც კლავენ
და მე არ მინდა, რომ ჩემი შვილი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნორმალური, ჯანსაღი ბავშვი
დღიდან დღემდე ხედავდეს ამას,
რადგან ძაღლი თუ შეეცოდა,
მერე კაციც შეეცოდება
და ჯერ თავის პურს გაუყოფს გლახაკს,
მერე ნივთებს, მერე მანქანას...
სიტყვა ყღერდა პათეტიურად
და აღელდნენ ოჯახის კაცები
და გაახსენდათ, რომ ბნელი სახლის
შუაგულში
გატრუნულიყო ფაშფაშა ცოლი,
მაძღარ ბავშვებზე გადაფოფრილი
და ყვაოდა შინდის მურაბა
ბროლის ჭურჭელში...
მათ აღგზნებულ, მხურვალე ტვინში
აწკარუნდნენ ვერცხლის კოვზები,
რადგანაც ზარებს ენები ჰქონდა დაგლეჯილი
და აღდგნენ კაცები ცოლ-შვილის დასაცავად
იმ სტიქიური უბედურებისგან,
რომელსაც ქვია
მიმტევებელი და უპასუხო სიყვარული...
ძაღლს პირველი ქვა თავში მოხვდა,
შინდის ტოტივით აყვავდა სისხლი ქვაფენილზე...
სარდაფში ექვსი ლეკვი იცდიდა...
ხოლო დილას რამდენიმე ბავშვის გულში
სევდის შავი ყვავილი გაიტოტა
და იმ დღის მერე მაწვალებს შიში,
რომ შეიძლება, ერთ მშვენიერ დღეს
მანქანის პატრონმა
ივითხოს უფრო პათეტიურად:
— რა შეუძლია მაწანწალა ძაღლს
და სევდიან ადამიანს?
და ქვა ეჭიროს მარჯვენა ხელში...

გარდაცვალება

მოულოდნელად გამოეღვიძა:
შავ და უაზრო უკუნეთში
თეთრი პეპელა შემოიჭრა —
მუსიკის ხელი,
ჩაძირული ბატისტის რუშებში...
ცაზე
გაფატრული ორღანი ეკიდა
და მარმარილოს მკვეთრი თითები
მუსიკის ნერვს აქუცმაცებდნენ,
ხოლო მაჯიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბატისტის თეთრი პეპლები ცვიოდა...
თვალისმომჭრელი პეპლებისგან შედგა სინათლე,
მაგრამ ბავშვებმა
მათთვის ჩვეული სისასტიკით
ქინძისთავებით მიაბნიეს
პეპლები ერთმანეთს
და ტკივილმა, ტლანქმა და მძიმემ,
საგანივით ჩახია სინათლის ქსოვილი
და ფსკერზე დაეცა...
უკანასკნელი მკვეთრი აზრი აეკვიატა:
პეპელას სისხლი დააჩნდება ბატისტის დროშას,
ზუსტად ისევე, როგორც ბავშვის...
სალბუნივით გრილი იყო მუსიკის ხელი
მკვდარი პეპლების ტანებისგან
შეკრული დილა თენდებოდა...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჯუმა აბუბა

ს ტ უ მ ა რ ი

მოთხრობა

„რატომ არ გამოიძებნა სხვა გამოსავალი? რამ შეუშალა ხელი?

რამდენჯერ გაუგონია ზაურყანს ეს კითხვები! რამდენჯერ! მოულოდნელად, როცა გულიანად იცინის, როცა სიხარულითაა სავსე, მაშინ ჩამოესმება ეს კითხვები და მხიარული სიცილი დაშრეტილი ნაკადულივით წყდება. არც ღამეს არჩევს, არც დღეს, ზოგჯერ თითქოს მიწის სიღრმიდან, ზოგჯერ ციდან მოესმის, მხოლოდ ინტონაცია იცვლება, სიტყვები და აზრი იგივე რჩება, წინათ, სანამ შორიდან ესმოდა, ეს ხმა სუსტი და მსუბუქი იყო, როგორც წისქვილის ღარიდან გადადებული ზედმეტი წყალი. მოახლოებული კი ბორბალზე მიშვებულ ჩქერსა ჰგავს. წინათ მურზაყანი დასცინოდა მას და თავიდან იშორებდა, მაგრამ რაც უფრო იპყრობდა მარტოობა, მით უფრო ძლიერდებოდა კითხვები. ამ ბოლო დროს კი ის ხმა ცარიელი დოლაბების ხრიალს აგონებდა. ამ შედარებამ ღიმილი მოჰგვარა. ჩვეულებად გადაექცა დასცინოს თავისივე ჩანაფიქრს. როგორც ცარიელი დოლაბები, ისე ჩემი გონება და გული სცვეთენ ერთმანეთს. ჰა-ჰა! მაგარი შედარებაა! საკუთარი თავის დაცინვაზე მეტი არაფერია. ეს დირგუნს უნდა უთხრას, თავის ნაწერებში გამოიყენებს. მაინც უყვარს სხვის ბეღელში ხელის ფათური. არა, სჯობია ეს შედარებები სამსონს მივცე. ის კი, დირგუნს მიჰყიდის. სულერთია მაინც ყველაფერს ყიდულობს და ჰყიდის. ეს რომ მაშინ მცოდნოდა, როცა გამომძიებელი ვიყავი, თვითონ გამოვიყენებდი. ახლა კი...

ზაურყანს ჰქონდა პროფესია, გამომძიებელი იყო. ამგვარ კითხვებს დიდი ხანია მიეჩვია. ყოველთვის სხვებს უსვამდა მათ—სად იყავი დანაშაულის ჩადენის დროს? რას ფიქრობდი? შემდეგ საით წახვედი? ვის შეხვდი? მან რა გითხრა? რა დასკვნა გამოიტანე? ყოველი ახალი საქმე — ახალ კითხვებს წარმოშობდა. აი, მის დანაშაულში ეჭვმიტანილი ზის. საუბრობენ დანაშაულზე, მაგრამ თანდათან, სხვა თემაზე გადაუხვიეს, გაერთნენ და უცებ ეჭვმიტანილისათვის მოულოდნელად, თითქოს შემთხვევით სიტყვამ მოიტანაო, დანაშაულზე ეკითხება. ასე აბნევდა მისი შეკითხვა ეჭვმიტანილს, თვითონ კი ამ შეკითხვით კმაყოფილი, მდუმარედ შესცქეროდა თავის მსხვერპლს. ახლა კი ეს კითხვები მისკენ შემობრუნდნენ.

„რატომ არ გამოიძებნა სხვა გა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოსავალი? რამ შეუშალა ხელი? ტრიალებენ ცარიელი დოლაბები. საფქვავი ჩამოილია. გაცვეთენ, დაღუპავენ ერთმანეთს, თუ საფქვავი დროზე არ მიაშველეს. კითხვებმა პასუხი უნდა იპოვონ. ერთ შეკითხვას მეორე მოსდევს. გაფანტე, მოიცილე, განდევნე და იცხოვრე, როგორც გინდა. ყველაზე თავისუფალი ის არის, ვინც თავის თავს ამ წყეულ კითხვებს არ უსვამს. თუ ვერ განდევნი ამ ფიქრებს, მაშინ უნდა შეეჩვიო, რადგან რასაც შეეჩვევი, თითქოს ვერც ამჩნევ. დრო კი გაივლის, ყველაფერს განკურნავს. მას ჯერ კიდევ ჰქონდა იმედი, რომ, ბოლოსდაბოლოს, კითხვები პასუხს რომ ვერ მიიღებენ, განედლდებიან და როგორც ხეს გამხმარი ქერქი, ისე შემოეცლებიან.

შეეგუა კიდეც მათ ზაურყანი. ხეებიც ხომ ეჩვევიან ღრიალით მოვარდნილ ნიაღვარს. „რატომ არ გამოიძებნა სხვა გამოსავალი, რა მოხდა? როგორ დაკარგე ყველაზე ძვირფასი ადამიანები, მაშინ, როცა სხვები, უდანაშაულოდ სხვის საქმეში გარეულები, ბევრჯერ გადაგირჩენია?

აქ, დასასვენებელ სახლში, მაღალი მთების მდუმარებაში, პირველსავე ღამეს გაიგონა მან ეს ხმები, მწოლიარემ ხელი გაიშვირა და კონიაკი დაისხა. სვამდა და ფიქრობდა იმაზე, თუ როგორ სვამდა. ავადმყოფიც კი, გულის შეტევისას, ასეთი სისწრაფით ვერ დალევდა წამალს. ყელს სწვავდა კონიაკი. არაფერს აყოლებდა, ასე მიეჩვია. იწვა წყნარად და სიგარეტს ეწეოდა.

რამდენი დრო გავიდა, რაც ჩვენ ერთიმეორეს დავშორდით? ორ წელზე მეტი. ეს ჩემი ბრალი არ არის. მდინარე ერთხელ გაჭრილ კალაპოტში მიედინება, გზას არ გადაუხვევს. ვიღაც ბრძენმა ერთხელ და სამუდამოდ, მშვიდად, აუჩქარებლად მიუჩინა კალაპოტი და ისიც ამ გზით მიდის. აი, ტელეფონი დგას, როგორც ყურებჩამოყრილი და დაღლილი ცხენი. მას შეუძლია შეაერთოს ორი ადამიანი, როგორც მზის სხივი აერთებს ცასა და მიწას. ოთახში შემოსვლისთანავე დააგდო ჩემოდანი და მას დაურეკა.

— აწანბას ბინაა? ზულფა მინდა. როგორა ხარ, ზულია? არა, მინდა ზულია დაგიძახო. ჰო, ჩამოვედი. როგორ ცხოვრობ? როგორაა ბიჭი? ერთი ჩემოდანი გატენილი ჩამოვიტანე. სადა ვარ? აქვე, შენს სახლთან ახლოს, ახლავე მოვალ. ნუ გეშინია, ვხუმრობ. ხვალ წავალ საბავშვო ბაღში და ბათალს ვნახავ.

მართალია, დარეკა, როგორც კი ოთახში შემოვიდა, მაგრამ საუბარი სულ სხვაგვარი გამოუვიდა. გარკვევით მხოლოდ ის თქვა, რომ ჩამოვიდა და შვილის ნახვა უნდა.

აქ, დაფარული, ჩაუმქრალი იმედით ჩამოვიდა. უკვე ერთი კვირაა. ეს ერთი კვირა წელიწადზე უფრო გრძელი და მძიმეა. ცხარე და დაძაბულია. ახლა შვილმა და ზაურყანმა შეიძლება ვერც კი იცნონ ერთმანეთი. იქნებ უკეთესიცაა, თუ არც შეხვდებიან? ვინ იცის, ნამდვილი მამა დაავიწყდა კიდეც და მამად სხვას თვლის? ოდესმე, როცა გაიზრდება, როცა თვითონ მიხვდება... შენ კი, მანამდე იჯექ გულხელდაკრეფილი... რა ვქნა?

ადგა , ფანჯარასთან მივიდა. ფარდა გადასწია. მთელი კვირა იმდენს ფიქრობდა შვილთან შეხვედრაზე, რომ დაიღალა. თითქო აღმა მისტოპავდა მოვარდნილ ნიაღვარში. იდგა ფანჯარასთან და ეწეოდა სიგარეტს. წუხელაც ვერაფრით ვერ დაიძინა, დაიღალა წოლით, ადგა. სინათლე არ აუნთია. დიდხანს იდგა ფანჯარასთან. მის წინ ქალაქი გაწოლილიყო, ზღვის ნაპირთან ჩახუტებული. აქ ცხოვრობს მისი ცოლ-შვილი. მათთვის ეს პატარა ქალაქი მშობლიური გახდა. აქ ისინი მასპინძლები არიან. თუ შინ ესტუმრები, კეთილი იყოს თქვენი მობრძანებაო, ეტყვიან. მე კი — დმერთმა სიკეთე ნუ მოგიშალოთ - მეთქი ვეტყვი, როგორც სტუმარს შეჰფერის.

ჩამოსვლის მეორე დღესვე იპოვა ის სახლი. ირგვლივ შემოუარა და ისე

შეისწავლა, თითქოს იერიშით მის აღებას და შიგ შეჭრას ლამობდა. მოსახვევის ბოლომდე მივიდა, მობრუნდა, კიბეზე ავიდა და კარებზე წარწერა წაიკითხა: „აწანბა მ. მ.“, ეს ზულფას ქმრის გვარია. ვითომ სხვა რამ საქმეზე მიდიოდა, ერთი სართულით მაღლა ავიდა. მერე გამობრუნდა, სასწრაფოდ დაეშვა კიბეებზე და დასასვენებელ სახლს მიაშურა.

სიგარეტი დაიფერფლა. ღამის სიბნელეს ნაცრისფერი შეეპარა და გაუფერულდა. განთიადისას ძლივს შეამჩნია ზღვის ნაპირთან საბავშვო ბაღი, ფართო ფანჯრებიანი თუთიის სახურავიანი დაბალი შენობა. ნუთუ, დღესაც არ მიიყვანს იქ მის შვილს თავისი მშვენიერი დედა? ოღონდ კარგად იყოს და დაე ნუ მიიყვანს. ზულფას არ უნდა, რომ ბავშვი ვნახო, ამიტომაც არ მიიყვანს. თუმცა რაღას ვადანაშაულებ იმ საცოდავს? ტყუილად ვლანძღავ. აი ისევ დავიწყე ჩემი თავის გამტყუნება. ბოლოს და ბოლოს, ვინაა დამნაშავე? თუ მდინარეს ბევრი მღვრიე ნაკადი ერთვის, ძნელი გამოსაცნობია, რომელმა უფრო მეტად აამღვრია.

მავთულის ბადითაა გარშემორტყმული საბავშვო ბაღის პატარა ეზო. მხრებჩამოყრილი დგას ჭიშკართან ტირიფი. უკეთესია მოჭრან ეს ხე და უფრო მხიარული რამ დარგონ.

პირველად რომ მივიდა ბაღთან, დიდხანს იდგა და ბადის იქით იცქირებოდა. ეზო სავსე იყო მოთამაშე ბავშვებით.

აღმზრდელს შვილის სახელი და გვარი უთხრა. აღმზრდელი ახალგაზრდა ქალი იყო, აუჩქარებლად და მშვიდად ლაპარაკობდა. მშვიდი რომ არ ყოფილიყო, ამდენ ბავშვებს ვერც მოუვლიდა — მათთან ერთ დღეშიც კი თავი გაგისკდება, ქალი დიდხანს იხსენებდა და ვერაფრით ვერ გაიხსენა იმ სახელისა და გვარის ბავშვი...

იქნებ საბავშვო ბაღში არც დაჰყავს შვილი? — გაიფიქრა ზაურყანმა. ის იყო, უნდა გამობრუნებულიყო, რომ ბედი სცადა და ბიჭის ფოტოსურათი ამოიღო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აღმზრდელმა ბოდიში მოიხადა, რომ ეს ბიჭუნა მაშინვე ვერ გაიხსენა, იგი მის ჯგუფშია, მაგრამ გუშინ, სადილის შემდეგ დედამ წაიყვანა და დღესაც არ მოუყვანია.

დღეს კიდევ მოვითმენ. ხვალ ალბათ, უეჭველად მოიყვანს.

ათი საათისთვის მოვა. ხვალაც, ისევე როგორც პირველ დღეს, ბადეში შეიჭვრიტება. ეს ბადე მისთვის ციხის გისოსებს დაემსგავსა! ხვალ უეჭველად იქ, დახვდება. თმახუჭუჭა, ცხვირაპრეხილი, ნეტავ ვის დაემსგავსა. რა თქმა უნდა, დედამისი უნაკლო არ არის, მაგრამ რაც შეეხება გარეგნულ მომხიბვლელობას, ვერ უსაყვედურებ. ცოდვად ჩამეთვლება, რომ დავმალო. ბათალიც ლამაზი იქნება. ალბათ, უკვე ველარც ვიცნობ.

ზაურყანმა წარმოიდგინა მათი შეხვედრა: — ღობის გარეთ მდგარს ხელში წითელი ჩემოდანი უჭირავს და ისე იღრიჭება, თითქოს მისი სიმინდი სხვაზე ადრე შემოვიდაო. ბათალი მეგობრებთან თამაშობს. ძლიერია, ჭიდაობაში ყველას სჯობნის. მისკენ იხედება. სისხლმა სისხლი იცნო. ილიმება. შემდეგ მორბის. თვითონ ხელში იტაცებს და გულში იხუტებს...

გაუმართლა. ძალიან მარჯვედ აირჩია ეს დასასვენებელი სახლი. ქალაქის თავზე მთას მიჰყუდებია. რა სიწყნარეა! ირგვლივ არცერთი შენობა არ ჭაჭანებს. ახლის აშენებაც არ შეიძლება. მთის წვერიდან ციცაბო ჩასასვლელია. აქ კი მოედანია ეზოსავით სწორი, თითქოს შემქმნელმა ფეხის მოსაკიდებლად დაიტოვაო. შორიდან რომ შეხედავ, შენდაუნებურად გაიფიქრებ, რომ ამ სახლს მარტოობა უყვარს.

ვინც არ უნდა ჩამოვიდეს აქ, ქალი თუ კაცი, პირველსავე დღეს უამბობენ ამ სახლის თავგადასავალს, თან ყოველთვის რაღაცას ამატებენ, თითქოს თუ ეს ამბავი არ ეცოდინება, ისე ვერ დაისვენებს. და ეს თქმულებაც ისე გაიზა-

რდა, როგორც ყოველი ლამაზი ქალის თავგადასავალი. თუ გინახავთ ლამაზი ქალი დიდი თავგადასავლის გარეშე? ყველა ცდილობს მის გაკენწვლას. ეს მათ სულიერ სიმშვიდეს ანიჭებს.

მართლაც, თვალს ახარებს ეს ლამაზად აშენებული სახლი. რაც უფრო დიდხანს აკვირდები, მით უფრო მეტ სილამაზეს ამჩნევ. ამბობენ, ერთი ლურსმანიც არა აქვს დარტყმულიო. ქაღალდისაგანაც ვერ გამოსჭრი ასე ლამაზად მოჩუქურთმებულ ლავგარდანებს. კარგი ადგილები აურჩევიათ მერცხლებს თავიანთი ბუდეებისათვის.

— დახე, სად აუშენებიათ!—ზაურყანის მზერას თვალი გააყოლა და ხმამაღლა სთქვა მეზობელმა დამსვენებელმა. ისინი ერთმანეთს არ იცნობდნენ, ორივენი ეზოში იდგნენ. ამ კაცს თავი ისე გაეპარსა, რომ მზეზე ულაპლაპებდა. — სახლს შეხედე, სახლს... მერცხლის ბუდეებს ყვავლგან ნახავ, ასეთ სახლს კი — ვერსად. სად და როგორ აუშენებიათ!.. — ლაპარაკობდა და ხშირად ისვამდა ხელისგულს მოკრიალებულ თავზე. აქო და ადიდა სახლის მშენებელი დურგლები, მათი ოსტატობა და ფანტაზია. შემდეგ კი იმაზე გადავიდა, რისი თქმაც თავიდანვე ეწადა.

— თუ მამაკაცი ხარ, ვაჟკაცი უნდა იყო! თუ ქალი გიყვარს, აი, ასე უნდა გიყვარდეს! — დაიწყო ისევ მთელი მონდომებით. მერე დიდხანს ქალწულისა და თავადის სიყვარულზე ჰყვებოდა — სხვათაგან გაგონილს. უამბო, რომ თავადს თავის დროზე შეერთო ცოლი, კარგი, კეთილშობილი გვარისა, მაგრამ ღმერთმა დასწყევლოს, სიყვარულმა ეს არ იცის. რა თქმა უნდა თავადი მშვიდად ცხოვრობდა, ხარობდა თავის ოჯახში მანამ, სანამ ერთი ქალწული არ შეუყვარდა. ქალმაც მიუხედავად თავადის ხანდაზმული ასაკისა, სიყვარულითვე უპასუხა. რა უნდა ექნა? მეორე ცოლს ხომ ვერ შეირთავდა... საყვარლად გაიხადა, საყვარლად! — მხიარულად ჰყვებოდა თავგადასავალი. — თუ მამაკაცი ხარ, ასეთი უნდა იყო. — მოვიდა აქ, ამოირჩია ადგილი და თავისი მშვენიერი შეყვარებულისთვის ააშენა ეს სახლი.

— სიყვარულში ქრთამი მისცა, სიყვარულიც მსხვერპლს მოითხოვს.

— ჰაი! — ჰაი! — გამოეხმაურა ზაურყანი.

— გაიხსენე, მეგობარო, რაინდები, მეკობრეები. ყველანი ათასი რისკითა და თარეშით შეძენილს თავიანთ სატრფოს ფეხებთან აწყობდნენ. ეს თავადიც იმათნაირი იყო. რამდენი წელი გავიდა მას შემდეგ და ამ სახლს თვალს ვერ მოსწყვეტ. წარმოიდგინე, რა იქნებოდა მაშინ! სატრფოს ნახვა რომ მოუნდებოდა, აქ მოდიოდა.

დამსვენებელმა მოსმენილი რომ ჩამოფქვა, ახლა თავისიც დაუმატა.

— თურმე, თავადს ერთი ცუდი ზნე სჭირდა — კარტის თამაში უყვარდა. თამაშის დროს თავის შეკავება არ შეეძლო. თურმე ეს სახლიც წააგო და მშვენიერი სატრფო უსახსროდ დატოვა.

ღიმილით უსმენდა ზაურყანი. უფრო კი იმას ადევნებდა თვალს, თუ როგორ ყვებოდა იგი ამ ამბავს და არა იმას, თუ რას ყვებოდა. კარტზე ლაპარაკი როგორც კი დაიწყო, სახის ფერიცა და ინტონაციაც შეეცვალა. ხშირად ასეთი რამ ჭორიკანებსა და ტყუილების მოყვარულთ ემართებათ. ტყუილისა და სიმართლის გარჩევა ზაურყანისათვის, როგორც გამომძიებლისათვის მთავარი იყო. თუმცა ამ წუთში მას ყველაფერი მხოლოდ პირადად თავისთვის სჭირდებოდა.

სიგარეტი დაიფერფლა და ოთახში ბოლი დადგა. ზაურყანის წინ ქალაქი ისე გადაიშალა, როგორც სცენა ფარდის ახდისას. დერეფანში ვიღაცის ნაბიჯების ხმა მოისმა. მეზობელი ოთახის კარი გაიღო და ისევ დაიხურა, იქ მცხოვრები მოხუცი, რომელსაც ჭადრაკის თამაში უყვარდა, გუშინ არც

ისე დიდი სურვილით გაემგზავრა შინ, რადგან საგზურის ვადა დაუმთავრდა.

ალბათ, წუხელ საღამოთი სხვა შემოასახლეს. ეტყობა, ჯერ ვერ შესჩვევია კარის გაღება-დაკეტვას. საკეტს აწვალებს. ერთი ღამეც რომ იყო სადმე, კარგი მეზობელი ბევრს ნიშნავს. იქნებ იქ ნაზი, ლამაზი ქალი შეასახლეს, სიყვარულის ფასი რომ იცის. აქ მყოფთა უმრავლესობა, როგორც ამ ერთ კვირაში გავიგე, ოჯახისაგან ჩემსავით თავისუფალია. რა მოხდება, რომ ეს ახალი მეზობელი ჩვენი სახლის ადმინისტრატორის მსგავსი ქალი აღმოჩნდეს? იქნება, ახლა სწორედ მან გააღო კარი? ძალიან ბევრს კი ამბობენ და გპირდებიან მისი თვალები. მეც ბევრი ვუთხარი თვალებით პირველ დღესვე. ჩემი პასპორტის ყოველ ფურცელს რამდენჯერმე კითხულობდა, როგორც სტუდენტი თავის ახლად მიღებულ დიპლომს. სულაც არ გაჰკვირვებია, წარბიც არ შეუხრია, როცა წაიკითხა, რომ მე ცოლშვილიანი ვარ. თუმცა გარეგნობაც აღარა მაქვს ჭაბუკისა. რამდენი წლისა ხარ, რას ამბობს პასპორტი? — ოცდაათის. მაშასადამე, უეჭველად დაოჯახებული ხარ. მისი თვალები მეუბნებოდნენ, რომ სიყვარულშიც ალბათ, უკვე ფხიზელი გონებით ვმოქმედებ. არაფერი მითქვამს, თვალებითვე ვუპასუხე, თვალებით ლაპარაკი ჩვენთვის, გამოცდილებისათვის, ყველაზე მოსახერხებელია. ეროვნება ხელს არ გვიშლის, თარჯიმანი არ გვჭირდება. სანამ ასე ვესაუბრებოდი და მხოლოდ ტუჩებს ვამოძრავებდი, თითქოს საკოცნელად ვემზადებოდი, მან ამოიკითხა, რომ ცოლშვილიანი ვარ და ჩვენი „თვალებით საუბარი“ თითქოს ყრუ კედელს წააწყდა. ჩვენი მზერა ამომშრალ ნაკადულს დაემსგავსა, მხოლოდ წყურვილი დარჩა. ეს ჩემთვის ახალი ხომ არ იყო, მაშინვე გადავაგორე ლოდი, რომელმაც ნაკადული დასწყვიტა. პასპორტი გამოვართვი და იმ გვერდზე გადავშალე, სადაც ეწერა, რომ ცოლთან გაყრილი ვარ, თავისუფალი, არა მარტო სინდისის, არამედ კანონის წინაშე. გადავშალე და მივაწოდე. სულ ეს იყო. მოწყურებული კალაპოტი გამოცოცხლდა. სიტყვებით კი რა ვუთხარი?

დრო რომ მოეკლა, ახლა სხვაც გაიხსენა.

„ჯერ კიდევ ადრე იყო. ბაღში ბავშვების მოყვანამდე ორი საათი დრო რჩებოდა. დღესაც თუ არ ვნახე, მეტს ველარ მოვითმენ. ჰო, რა ვუთხარი ადმინისტრატორს? მხოლოდ ერთი რამ.

—რა გქვია?

— ანა, — მიპასუხა, მამის სახელის გარეშე, თითქოს ძველ ნაცნობს თავისი სახელი მხოლოდ შეახსენაო. რას ნიშნავს მისი სახელი, ამ სახელის მქონე როგორ ქალებს იცნობს ისტორია, დავიწყე ლაყბობა, რომ დიდხანს მესაუბრა მასთან. ახლა სასაცილოდ მეჩვენება, რასაც მაშინ ვამბობდი. რაო, მართლა მომეწონა? ესეც ერთ-ერთი საშუალებაა გავიქცე, მივეცე თავდავიწყებას. თითქოს მინდოდა მეჩვენებინა, რომ რაღაც წამიკითხავს, რამდენიმე სიტყვა ვთქვი და წავიხუმრე კიდეც. ისიც გულღიად იცინოდა. მომეჩვენა, რომ მხოლოდ ორი კითხვის მიცემაღა მაკლდა: — „სად შევხვდეთ?“ „როდის?“ კიდევ კარგი, დროზე შევჩერდი. უეცრად შევამჩნიე, რომ სანამ ველაპარაკებოდი, შორიახლოს მდგომმა მამაკაცმა, რომელიც დამცინავად გვადევნებდა თვალს, პასპორტი და საგზური მიაწოდა. ანაზე ვიეჭვიანე კიდეც. ისევე ღიმილით ელაპარაკებოდა ამ უცნობს, როგორც მე. თითებს შუა ქვიშასავით გაიფანტა ჩემი იმედები. თუკი მაშინ გაქრა ყოველგვარი იმედი, მაშ ახლა საიდან გაჩნდა, როცა გავიფიქრე ის შემოვიდა-მეთქი? ამას ეწოდება იმედი, იმედის შემდეგ. ერთი იმედის შემდეგ მეორე ჩნდება, როგორც პირველის კვალი. ზულფას რომ გავშორდი, თუმცა ვიცოდი აღარ დაბრუნდებოდა, მაინც მქონდა იმედი, რომ ყველაფერი ისევ ძველებურად იქნებოდა. ხე რომ გახმება, მიწაში კიდევ დიდხანს ცოცხლობენ მისი ფესვები. ისინი მაინც იბ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რძვიან თავიანთი მემკვიდრეობისათვის, იბრძვიან, რომ კვლავ განახლდეს და აშრიალდეს სხვა ხეებს შორის. მაგრამ ამაოა ბრძოლა. არაფერი ეშველება გამხმარ ხეს. იმედი-გული გამხმარი აქვს ზაურყანს და ამიტომ დაეჩვია ფესვების დაცინვას. ეს ცოტათი შველის კიდეც. საკუთარი თავის დაცინვა ყველაზე საუკეთესო წამალია. გარდა ამისა, დღეს გულიანად ვიცინი იმაზე, რასაც გუშინ სიხარულით ვაკეთებდი. რას ვხუმრობდი მაშინ ადმინისტრატორ ქალთან? არ მიკითხავს, გვერდით იქნებ ქმარი ჰყავს, ან მოზრდილი შვილები, მე კი ვიდექი და ვნებით სავსე თვალებით მივშტერებოდი.

ჯარისკაცებივით ჩამწკრივებულ ფიჭვებს შორის მზის უძლური სხივები გამოსხლტა და ეზოს მოეფინა. იქ, სადაც ერთმანეთს უერთდებიან ზღვა და ცა, მსუბუქი ღრუბლები განლაგებულიყვნენ. ზამთრის სუსხგამოვლილი მცენარეულობა გაზაფხულის სითბოთი ცოცხლდებოდა. ახალგაზრდობის დროს სასაცილოდ ეჩვენებოდა, რომ იტყოდნენ ხოლმე — გაზაფხულზე სიყვარული იფურჩქნებაო. გაზაფხულზე მხოლოდ მცენარეები იფურჩქნებიან. მას უფრო შემოდგომა უყვარდა, ფოთოლცვენა, გადამფრენი ფრინველების ჟივილ-ხივილი, გაჭაღარავებული მინდვრების ცქერაში იყო რაღაც ამამაღლებელი, სევდისმაგვარი.

ფანჯარა გამოაღო.

ოთახში შემოჭრილ ზღვაურს თამბაქოს ბოლმა გზა დაუთმო.

ჯერ ჩაცმულიც არ იყო.

დასასვენებელ სახლს თავისი წესები ჰქონდა. დამსვენებლის დღე საათებით იყო დანაწილებული. როდის ადგეს, როდის ივარჯიშოს, როდის დაისვენოს... ყველაფრის დახსომება არც ისე ადვილი იყო.

ეზოში დილის გამამხნევებელი ვარჯიშით უკვე ძილს იფრთხობდნენ დამსვენებლები. მელოტიც აქ იყო. ნაბიჯს არ გადაუხვევს დასასვენებელი სახლის შინაგანაწესიდან. წესრიგს არ დაარღვევს, მაგრამ ენას კი ვერაფრით ვერ დაასვენებს.

ქვემოდან, ქვის კიბეებზე ანა ამოდიოდა. ერთფერი ზედა და ქვედატანი ემოსა, ხელითაც ისეთივე ფერის ჩანთას მოიქნევდა. ისეთი აღნაგობა, ტანის ისეთი მიმოხრა ჰქონდა, ერთბაშად შეეძლო მამაკაცის მოხიბვლა. მაშინ, როცა პირველად დაელაპარაკა, მხოლოდ თვალებში უმზერდა. იმ საუბრის შემდეგ კი ახლოსაც არ გაჰკარებია ზაურყანი, იკავებდა თავს. ერთმანეთს ებრძოდა გული და გონება, მაგრამ უკვე იმ ასაკში იყო, როცა გამარჯვება გონებას რჩება. აღარ სურდა ქალებთან კიდევ რაიმე ურთიერთობა ჰქონოდა. ამავე დროს საქმე, რისთვისაც ჩამოვიდა — დაესვენა და შვილი ენახა, საკმაოდ უვსებდა მთელ გულსა და გონებას.

დიახ, ბავშვის გამო მისი გული ქვად იქცა.

აუჩქარებლად შეუდგა ჩაცმას. დრო საკმაოდ ბევრი ჰქონდა. ეშინოდა საბავშვო ბაღის ჭიშკართან მოუხდებოდა ცდა: თითქოს ლამაზ გოგოსთან პაემანზე მიეჩქარებაო, დაჟინებით იხედებოდა სარკეში და პეწიანად იცვამდა. გაქათქათებული პერანგი, უახლესი მოდის ჰალსტუხი, ბრწყინვალე შავი კოსტიუმი — ვინ არ შეხედავდა და მზერას არ შეაჩერებდა მასზე. დილით შეიძლება სამსონმა დარეკოს. ვერ მოითმენს, აუცილებლად შეახსენებს თავის დახლს ორ დღეში ერთხელ. მიუხედავად იმისა, რომ სამსონი უფროს გამყიდველად მუშაობს, თუნდაც რკინის მაგივრად ოქროს ნიჩაბი შესთავაზონ, ზაურყანის გარეშე არც აიღებს და არც გაყიდის. რამდენჯერ უთხრა — რაც გინდა მოიტანე და როგორც შეგიძლია ისე გაყიდეო. ტყუილია, არ ესმის! უბრალო რაღაცაზეც დირექტორს უნდა დაეკითხოს. ეშინია მისი ძველი პროფესიის ჩრდილისაც. ჯერ კიდევ არ ენდობა მთლიანად. მომავალში ალბათ, გაუშინაურდება. მაშინ მეტი თავისუფლებაც ექნება, მშვიდად იცხოვრებს.

თუ ახლა ვერ მოუსწრებს, სამხრობისას ან საღამოს დარეკავს.

მაგიდაზე გასარეცხი პერანგი და სამმანეთიანი დადო დამლაგებლისათვის. დამლაგებელს უკვე მოელაპარაკა. ყოველ დილით ფულს უტოვებდა და ისიც ყველაფერს მონდომებით ასუფთავებდა.

ზაურყანი გარეთ გამოვიდა.

დერეფანში ქორფა ბალახივით ნაზი, წითელზოლიანი ხალიჩა ეგო. პირველი სართულიდან შემწვარი კარტოფილის სუნი ამოდიოდა.

ზაურყანი წითელი ჩემოდნის ქნევით ჩადიოდა კიბეებზე. გადაწყვიტა რესტორან „თოლიაში“ ესაუზმა, სადაც მისი „ძვირფასი პედაგოგი“ კისერა მუშაობდა ოფიციანტად.

კიბეზე ანას შეხვდა, რომელიც თავისი მეურნეობის ჩამოსავლელად ამოდიოდა ზევით.

— ააა, ჩვენი დამსვენებელი თავადი მიიპარება და დავიჭირე! — გაიღიმა ანამ, მაგრამ ზაურყანმა ისე მიამიტად შეხედა, რომ ქალს სახე შეეცვალა.

— მივიპარები? — მზერით მიუალერსა, — როგორ შემიძლია დავიმალო და გავიქცე, ანა? განა შენი მომხიბლავობა და მაგნიტივით მიმზიდველი სილამაზე სადმე კამიშვებს? არ გამიშვებს, ერთ ნაბიჯზეც არ გამიშვებს.

თავისთვის გაიფიქრა: „ნეტა საიდან მოდის ეს გაუთავებელი, ყალბი სიტყვები, ვერაფრით ვერ გადავეჩვიე“.

— მხოლოდ შემთხვევითი შეხვედრის დროს მამჩნევთ, სხვა დროს კი ღმერთმა იცის, სადა ხართ. დღეს ვითომ ჩემს დასატყვევებლად გამოეწყვეთ ასე კარგად?

თურმე ესეც რა ენაკვიმატი ყოფილა!

— სხვა დროს ძნელია თქვენი ნახვა. ამ ლამაზ სახლს ხომ თქვენ განაგებთ!

— არიან ისეთი დამსვენებლებიც, ზემოდან რომ დაგვყურებენ მარტო ჩვენ კი არა, ჩვენს დასასვენებელ სახლსაც. არ ეკადრებათ, ალბათ, ეს ბუდე.

— რატომ ამბობ ამას, ანა? ქალაქში საქმეები მაქვს. ჩავდივარ და თავს ვეღარ ვაღწევ. აქ რომ ყველაფერს ზევიდან ვუყურებდე, არც ჩამოვიდოდი. ჩვენს სასადილოშიც უკვე ვისიამოვნე, კარგ კერძებს ამზადებენ.

— თუ არ ვცდები, მხოლოდ ერთხელ. მიმტანები ჩივიან, სუფრას ტყუილად ვშლითო.

— ეს ერთადერთი ადგილია, სადაც მელოდებიან და აქაც არ მოვდივარ. ხედავ, არა ვარ ღირსი, რომ კარგად მექცეოდნენ. თუ არ შეწუხდებით, უთხარით, მათ, რომ დღესაც არ ვიქნები. — სთხოვა ზაურყანმა. მოესმა, თითქოს გულში რაღაც ალაპარაკდა. ამ ხმამ სახიდან ნიღაბი ჩამოაცილა. „ისევ ეს კითხვები... უმჯობესია შეხვედრას შევთავაზებ, სადაც მოისურვებს. გავესაუბრები. გულწრფელად რომ ლაპარაკობ, მთელი ქვეყნიერებაც სხვაგვარი გეჩვენება. არა, მოეშვი ამ საქმეს. შენ ხომ კარგად იცი, რა მოჰყვება ასეთ გულწრფელ საუბარს. თანაც თუ ის არ დაგთანხმდება, ტყუილად თავს დაიმცირებ და შეირცხვენ“.

— იცი რა ანა, ჯერ ვერ შევეჩვიე, ცუდად ვიცნობ ამ ქალაქს. მაგრამ შენ იცი, რომ მე აფხაზი ვარ და აფხაზეთი არც ისე დიდია. ჩვენ ყველანი თითქმის სისხლით ნათესავები ვართ. აქ ჩემი ახლობლები ცხოვრობენ, მინდა ისინი მოვინახულო — ერთმანეთში აურია ტყუილ-მართალი და ისეთი ტონით ალაპარაკდა, თითქოს რამე დანაშაული მიუძღოდა და თავს იმართლებდა. ძალიან ცდილობდა გულგრილი, უდარდელი გამომეტყველება მიეღო, მაგრამ ასეთი ლამაზი ქალის წინაშე მაინც ღელავდა და იბნეოდა. ვერ დასძლია მღელვარება. უნდოდა მარტოობის მოსაკლავად ანასთვის შეხვედრა ეთხოვა, მაგრამ მისი სილამაზე ახალგაზრდულად აფორიაქებდა. რაც შეეძლო უდარდელი სახე მიიღო, თავი შეიკავა და ამოღერღა:

— მაპატიე, რომ გავალებ, მაგრამ თუ

ვინმემ დარეკოს, უთხარი, საღამოს ვიქნები. ერთმა ვაჭრობის მუშაკმა, გამყიდველმა — სამსონმა უნდა დამირეკოს.

„რა საჭიროა იმის თქმა, ვინ დარეკავს? ალბათ, რომ მივახვედრო ქალი არ მირეკავს-მეთქი“.

—მეტი არავინ დარეკავს? — გამქირდავად ჰკითხა ქალმა და კიბეზე ასვლა განაგრძო.

—შეიძლება მეორემაც დარეკოს. დირგუნი ჰქვია. ცოტა ძმაკაცია, ცოტა მწერალი. შეიძლება მან დარეკოს.

— რას ნიშნავს, „ცოტა ძმაკაცია, ცოტა მწერალი“? გამოჯავრებით გაიცინა ანამ.

— იცი რა, მართლაც ასეა. მწერალიც ცუდია და ძმაკაციც. დიდი ხანია ვიცნობთ ერთმანეთს. ადრე, როცა ჰატარები ვიყავით, თითქმის ვმეგობრობდით. შემდეგ კი, როცა სწავლას მოვრჩი და გამომძიებლად დავიწყე მუშაობა, ერთხელ ვიხუმრე — როდემდე უნდა ატყუო სახელმწიფო და ხალხი-მეთქი. ეწყინა და ჩვენი მეგობრობაც გათავდა. გარდა ამისა, ხედავდა, რომ ჩემი ხელფასი მარტო მე ძლივს მყოფნიდა, ვერ ვეხმარებოდი და ჩამომშორდა. მეგობრებში კი ჩუმ-ჩუმად მანამ დამცინოდა, სანამ ჩემი ცხოვრება მთლიანად შეიცვალა. როცა მისი ერთი თვის ხელფასი მე შემეძლო ერთ დღეში გამეკეთებინა, გაიხსენა ძველი მეგობრობა და ისევ გადმოაბიჯა ჩემს ზღურბლს.

— მე, თქვენს ადგილზე, გავაგდებდი.

— ო, არა. ეს არც ისე ადვილია. არის მასში რაღაც ისეთი, რისთვისაც ვერ მოვშორდები. სხვა დროს აგიხსნით. რაკი აქა ვარ. არ შეიძლება არ ჩამოვიდეს, გაგაცნობ. მაინც საინტერესოა ნახო და ხელი ჩამოართვა ცოცხალ კლასიკოსს. გარეგნულად, ალბათ, მოგეწონება. დანარჩენისაგან კი გაათავისუფლა შემოქმედმა.

— ეს როგორ გავიგო?

— არასოდეს არ უგრძვნია აზრების სიმძიმე, არ უგრძვნია შემოქმედებითი წვა. მართალია, თავს მაბეზრებს, მაგრამ მივეჩვიე. პირში უფრო მეტს ვეუბნები, ვიდრე ახლა შენ გითხარი მის შესახებ.

— აქ დამალული კი, მისგანაც ისვენებ. გულახდილად რომ ვთქვა, გამიკვირდა კიდეც, რომ შენ აქ დასასვენებლად იმ კატასავით ჩამოხვედი, იატაკიდან ჭერზე რომ გადაბარგდა საცხოვრებლად.

— გარდა დასვენებისა, მე აქ სხვა საქმეებიცა მაქვს. ოღონდ ქალის გამო არა.

„ისევ თავს ვიმართლებ. ვკეკლუცობ, ვერ გადავეჩვიე. არა, უბრალოდ მისი სილამაზე მზის დაკვრასავით მაბრუებს“.

— ამ საღამოს ჩვენს საკონცერტო დარბაზში ცეკვები იქნება. მოხვალ?— ეტყობოდა, ქალს მასთან ცეკვა სურდა.

„ვეტყვი, რომ თუ თვითონაც აქ იქნება, მოვალ. წყეული ჩვეულება. რატომ? ნუთუ მეტი არაფერი მაქვს სათქმელი? მომბეზრდა ერთი და იგივე...“

— როგორ დაგიმალო და ცეკვები, სიმღერები, დროსტარება აბაზთქალაქშიც მომყირჭდა, — კიბეზე რამდენიმე საფეხურით აიწია მისკენ. „საოცარია, ხალი აქვს, როგორც ზულფას. ოღონდ ზულფას ყურთან აქვს, ამას კი ზედა ტუჩის კუთხეში.“

მხრებზე გადაფენილი ხაოიანი პირსახოცებით ჩაიარეს დამსვენებლებმა და მათ ალმაცერად გადახედეს. ხნიერი ცოლ-ქმარი იყო. ეტყობა ბავშვები დაზარდეს და განთავისუფლდნენ. ახლა, როგორც შეუღლების პირველ დღეებში, მხოლოდ ერთმანეთს ეკუთვნოდნენ და ყველგან ერთად იყვნენ.

— რა ქალაქი? აბაზთქალაქი? ასეთი ქალაქი აფხაზეთში არ გამიგია!

— ჰა, ჰა! შენ მართლაც არ იცი. შენ ხომ საგზურიდან გაიგე, საიდან ჩამოვედი. იქ, სადაც ნავმისადგომები ღრმადაა შეჭრილი ზღვაში, იხილავ მას და სოხუმი დაგავიწყდება. ერთმა ჩემმა მეგობარმა შეარქვა ეს სახელი. შხამიანი ენა აქვს. როდისმე მოეკითხება ამის გამო. თემური ჰქვია. მაშინ ერთად ვმუშაობ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დით გამომძიებლებად. მან კედლის გაზეთისთვის ფელეტონი დაწერა. ალბათ, სალტიკოვ-შჩედრინი ახალი წაკითხული ჰქონდა და ასეთი სათაური გაუკეთა: „აბაზთქალაქი და მისი მცხოვრებლები“. როცა ჰკითხეს რას ნიშნავს აბაზთქალაქიო, ასე განმარტა: აბაზი — ფული — 20 კაპიკიანი, ქალაქი — ქალაქი. ახლა თქვენ თვითონ მიხვდითო.

— მართლა ეშმაკურად მოუფიქრებია შენს მეგობარს.

— ჩემ ყოფილ მეგობარს.

— ახლა?

— ახლა, ახალი მეგობრები მყავს, ყოვლისშემძლე სამსონი და კლასიკოსი დირგუნი.

— აბაზთქალაქი! ჰა-ჰა-ჰა! — იცინოდა ანა.

— ამის გამო რა უკმაყოფილება შეხვდა რომ იცოდე, არ გაიცინებდი. „შეარცხვინა ჩვენი შესანიშნავი ქალაქი. თითქოს მხოლოდ ფულზე ფიქრობდეს. დაგვცინის, ქვეყნის სასაცილოდ გვხდისო“, — განრისხდა უფროსი. — „რას ნიშნავს აბაზთქალაქი, რა წაბილწვაო!“

გვეშინოდა, ყვირილისაგან ყელზე ძარღვები არ დახეთქოდა. „არაფერს ცუდს არ ნიშნავს, თქვენ ცუდად გაიგეთო“. — მშვიდად ამბობდა თემური, თითქოს არაფერი მომხდარიყო. — „აბაზთქალაქი ნიშნავს აფხაზეთის ქალაქს, „აბაზა“ — ბერძნულად აფხაზეთია, ქალაქი კი თქვენც იცითო“. უფროსმა ეს რომ გაიგონა, ცოტათი დაწყნარდა, დამშვიდდა, მაგრამ ერთმანეთს საკმაოდ დაუხეთქეს გულები და რა შედეგიც მოჰყვა, სხვა დროს გეტყვი.

„შევთავაზებ, საღამოს ვივახშმოთმეთქი. იქნებ რესტორანშიც დავპატიჟო? ეს კი ნიშნავს, რომ ისევ იქ მივიდე, საიდანაც წამოვედი.“

— ჩემოდანიც თანა გაქვს, იქნებ გარბიხარ? — ჰკითხა ანამ და გასაღებები ააჩხრიალა.

— ამაში ბავშვის ტანსაცმელებია. შვილთან მივდივარ სტუმრად. ხედავ, უკვე იმხელა ვარ, რომ ჩემი შვილი ცალკე ცხოვრობს და მამა მასთან სტუმრად მიდის.

— შვილი?

— დიახ, ერთადერთი, რაც ამ ქვეყნად გამაჩნია. ჩემი სისულელით ოჯახი დავკარგე.

„ხანდახან სენტიმენტალობა მომეახლება, არ ვიცი, საიდან, ზოგჯერ მინდა სრულიად უცნობი გამვლელი გავაჩერო, რამდენიც სურს, იმდენი ფული შევთავაზო და ვთხოვო მომისმინოს, ოღონდ ხელი არ შემიშალოს აღსარებაში“.

ზაურყანი ანასთან საუბარზე ფიქრობდა და ქვის კიბით ქალაქისკენ ეშვებოდა. ბოლოს მაინც უთხრა, რომ მასთან მარტო შეხვედრა სურდა. ქალმა არ უპასუხა, გაიღიმა და წავიდა. ახლა კი, თავის თავს სწყევლიდა, რომ თავი არ შეიკავა. გაიხსენა მთელი საუბარი. „რა საჭირო იყო აბაზთქალაქზე რამის თქმა. თუ ეს ამბავი გავრცელდა, თემურს საქმე გაუფუჭდება. უნდა მეთქვა, რომ ყველაფერი ეს ჩემი მოგონილია. გავერთობი ხოლმე საუბარში და მერე ყველაფერს ვროშავ. მიუტევებელია. უკვე ოცდაათი წლისა ვარ და დღემდე ვერ გამიგია, როდის უნდა ვიცრუო და როდის ვთქვა სიმართლე. ახლა უკვე სულერთია. ადრე კი ეს დიდ საშიშროებას მიქადდა. იქნებ მხოლოდ დიპლომით ვიყავი იურისტი? ჩემს მეგობარს დირგუნსაც აქვს ჯიბეში საბუთი, რომ ის მწერალია... რაც მე თვითონ ვავნე საკუთარ თავს, იმდენი სხვას არ უვნია ჩემთვის. ბაყაყი წყალს მიჰქონდა და თავს იმშვიდებდა — სულერთია, იქით მივცურავდიო. დასწყევლოს ეშმაკმა, ალბათ, რამდენი გადაიტანა კაცმა, რომ ასეთი ანდაზა გამოეთქვა. კიდევ რა წამოვროშე ანასთან? შვილზე ვუამბე. აი ეს კი კარგი ვქენი. ეს კარგი გულახდილობაა, სიმართლეა, რომელიც უნდა ითქვას. ვინც მე განათლება მომცა, უმთავრესი არ მასწავლა — სად რა უნდა ითქვას და რა — არა. როცა დავფიქრდები, რომ ჩვენ, ვისაც ვითომ სინდისი სუფთა გვაქვს, სხვის საქმეებს ვირკ-

ვევთ და ვაპატიმრებთ კიდეც, მინდა თავქუდმოგლეჯით სადმე გავიქცე-მეთქი, — არც ვაცივე, არც ვაცხელე და ასე მოვახსენე ჩვენს უფროსს. თემურმა ეს რომ გაიგონა, სიცილისაგან კინაღამ წაიქცა. შეხედა მას უფროსმა, შემდეგ მე მომიბრუნდა:

— მაშ, იტაცე ქუდზე ხელი და გაიქეცი, ვინ გიჭერს?

ამან უფრო გააცინა თემური. ახლა იგი მე დამცინოდა. უნდოდა ეჩვენებინა, რომ მიხვდა ჩემს საიდუმლოს. მაშინ პირველად შევიგრძენ, რომ სიცილით უფრო მეტის თქმა შეიძლება, ვიდრე გრძელი სიტყვით. ახლაც ყურებში მიდგას მისი სიცილი".

იგი ზღვის ნაპირს მიუყვებოდა. ეს ერთადერთი ქუჩა გასდევდა ქალაქს. თავიდან ბოლომდე. დანარჩენები, მოკლეები, მთებისკენ მიემართებოდნენ.

ზაურყანი შეჰყურებდა სახლებს და უკვირდა. ერთი ქათმის კვერცხებივით ჰგავდნენ ისინი აბაზთქალაქის სახლებს. გაეღიმა. ფანჯრები, აივნები, სართულები, სიმაღლე, სიგანე — ყველაფერი ისეთივე ჰქონდა. ყველაფერში ჩემი ქალაქის ასლია. რატომ არის ის აბაზთქალაქი? თუ არ იცი, რას ნიშნავს აბაზთქალაქი, აბა, მაშ რა იცი? ვინც აბაზთქალაქში არ ყოფილა, აფხაზეთს არ იცნობს. პირველი კვარტლიდანვე იცნობ. მარტო აივნებს შორის კი არა, აივნიდან ბოძებამდეც აბამენ მავთულებს. მერე ზედ თეთრეულს აშრობენ. თეთრი დროშებივით ფრიალებენ ზეწრები. მგონი სინგაპურში, ზუსტად არ მახსოვს რომელ ქვეყანაშია ასეთი ჩვეულება. იქნებ ის კარგიცაა. რა ვიცი. ცუდის — კარგისაგან და სწორის — მრუდისაგან გარჩევა არც ისე ადვილია. ვის სჭირდებოდა ჩვენი ძველი ჩვეულება. მადლობა ღმერთს, წარსულს ჩააბარეს. ძველად, ქალები თეთრეულს ისეთ ადგილას აშრობდნენ, სადაც მამაკაცის თვალი ვერ მისწვდებოდა. ქალის დასანიშნად ეზოში რომ შეხვიდოდი და უკან გამობრუნდებოდი, ვერ გაიგებდი, შინნაქსოვი ქსოვილი ეხებოდა მის სხეულს, თუ ნაზი აბრეშუმი, არაფერი ეს არ იცოდი. ახლა კი ყველაფერზე აგვეხილა თვალები. თვალებიდან შიშველ სხეულამდე, როგორც ჩანს, მცირე მანძილი ყოფილა.

მიდიოდა და ფიქრობდა ზაურყანი.

არსებობს გულის მოოხების ასეთი საშუალება, — შენს თავს თვით გალანძღავ და თვითონვე დასცინებ.

მიედინება მდინარე და მოულოდნელად კლდეს წააწყდება. რას იზამს კლდეს რომ დაეჯახება და ვერ მოერევა? შეიკუმშება, დატრიალდება, ახმაურდება, სიღრმეში შეიჭრება. შემდეგ დაწყნარდება და კლდეს, რომელიც დაბრკოლებად გადაეღობა, ლოკვას დაუწყებს.

ასე მსჯელობდა ზაურყანი. ეს ქალაქი აბაზთქალაქს აგონებდა. მასთან დაკავშირებული მოგონებები ცოცხლდებოდნენ...

...მაშინ ჯერ კიდევ ცოცხალი იყო დედა, ჯარისკაცის ქვრივი, რომელსაც ორი შვილი დარჩა: ზაურყანი და მისი უფროსი ძმა. მისი ძმა იძულებული გახდა სწავლისათვის თავი დაენებებინა და მწყემსად წასულიყო. დედა ოცნებობდა უმცროსი შვილი მაინც გამოეყვანა ხალხში. ხალხში გამოყვანა, მისი აზრით, განათლებისა და თანამდებობის მიღება იყო. ეს ოცნება მის ნაშრომ ხელისგულებზე, კიდევ უფრო ზრდიდა კოჟრებს. ეს ხელები აღარ ჰგავდნენ ქალის ხელებს. ზაურყანმა ახლა გაიფიქრა, რომ დედა იმ ქვეყნად მისით კმაყოფილი წავიდა. ახარებდა შვილის მაშინდელი თანამდებობა. როგორი ბედნიერი იყო თავისი ტკბილი სიბერით. შვილი განათლებული რომ დაუბრუნდა! მზად იყო მთელი სოფლისთვის დაეძახნა, ყველაფერი გაეჟლიტა მათ პატივსაცემად. თვითონ ზაურყანიც მზად იყო, ცაზე ასულიყო უკიბოდ.

პატარაობისას, მისი ოცნება ქალაქი იყო.

სოფელში ქალაქიდან ჩამოსულს რომ დაინახავდა, ისე მიაშტერდებოდა, რო-

გორც შორეული ვარსკვლავიდან ჩამოფრენილს.

გაიზრდება, თვითონაც ქალაქში წავა, იქ იმუშავებს, მეცნიერი გახდება, ბევრი წიგნი ექნება, შემდეგ ცოლს შეირთავს, ეყოლება შვილები. ზაფხულში მანქანით სოფელში ჩამოვა ცოლშვილიანად დედასთან და ძმასთან.

მაშინ მისი ოცნების ქალაქს აბაზთქალაქი არ ერქვა.

ახლა ეს ისე გაიხსენა, როგორც ღალატი სიყვარულში.

მგზავრი ცისკრის ვარსკვლავს შესციცინებს, თუმცა არ ფიქრობს და არც იცის, რას მოუტანს მას დღე.

ღმერთმა აცხონოს, ვინ იცის, იქნებ უკეთესიცაა, რომ დედას დიდხანს არ უცოცხლია. თვითონვე არ ამბობდა: — „თუ თქვენს უბედურებას არ მოვესწრები და ისე წავალ ამ ქვეყნიდან, სამოთხეში მოვხვდებიო?“ თუმცა საბრალო დედა რომ ცოცხალი ყოფილიყო, მისი ხათრით ბევრ რამეს შეურიგდებოდა ცხოვრებაში.

დედა ყველაფერს გააკეთებდა, რომ ჩემი ოჯახი შეენარჩუნებინა. ოჯახი რომ შემენარჩუნებინა, სამსახურიც შემრჩებოდა.

— ჰა, ჰა! როგორ ვოცნებობდი აბაზთქალაქზე! ასე მწყემსიც ვერ ოცნებებს მაღალმთიან საძოვრებზე!! — ხმამაღლა სთქვა ზაურყანმა და მიხედ-მოიხედა — ხომ არავის გაუგონიაო.

სწავლა რომ დაამთავრა, ამ ქალაქში გამოგზავნეს.

თითქოს გუშინ იყო, მაწანწალა ძაღლი რომ აეკიდა.

მაღაზიაში შევიდა. პური იყიდა და ძაღლს გადაუგდო.

— გაძეხი და მოუსვი სახლისკენ! — უთხრა ისე, თითქოს ადამიანს ეუბნებოდა.

ძაღლი უფრო დაჟინებით აეტმასნა. კუდამოძუებული ფეხდაფეხ მიჰყვებოდა, თითქოს ეუბნებოდა, ორთავეს ერთად ცხოვრება გაგვიადვილდებაო.

უბის წიგნაკი გადაშალა, მისამართები ჩაათვალიერა. ბინებისა და სახლების მისამართები იყო. ყველა განცხადება ადრევე გადმოწერილი ჰქონდა. სადაც მივიდოდა, შემდეგ ხაზს გადაუსვამდა ხოლმე, როგორც ადამიანებს ამოშლიან ხოლმე სიიდან სიკვდილის შემდეგ.

ერთგან ოთახი ჯერ კიდევ არ იყო გაქირავებული. მორიგდნენ, მაგრამ მოგვიანებით, როცა გაიგეს სად მუშაობდა, ნირი შეეცვალათ, პირი უშალეს. ეს მისამართიც ამოშალა.

ძაღლი კუდის ქიცინით გამოჰყვა გვერდით.

ერთმა დედაბერმა მის დანახვაზე რაღაც ჩაიბუტბუტა და ცხვირწინ კარები მოუჯახუნა. უნდოდა, რომ მისი მდგმური დაოჯახებული ყოფილიყო.

მასაც ხაზი უნდა გადაუსვას.

გზის პირას დეკორატიული დაფნა ხეივანივით გასდევდა ქუჩას. ეტყობა, ძაღლს ისევ მოშივდა, პირი ააწკლაპუნა. მოგშივდა არა? მეც არ ვიტყოდი უარს ჭამაზე, მაგრამ საიდან მოვიტანო? ჩემს წინ რომ ღომი და შემწვარი ქათამი იდოს თავისი საწებლით, შენ ზღურბლზე იდგე და არ გაჭამო, სხვა საქმეა. ახლა რა უნდა მისაყვედურო? არაფერია, მოითმინე, მოიძებნება ჩვენი წილიც ამ ქალაქში, რომლის კარებიც ჯერჯერობით ჩვენთვის დაკეტილია.

ერთი მისამართი მრავალსართულიან სახლში იყო.

ზაურყანი ძაღლს მიუბრუნდა.

რას ამეტმასნე? მომშორდი, მოუსვი შენს სახლში. თუ სახლი არა გაქვს, ფარდული ან გარაჟი მოძებნე, ბედს შეურიგდი და ღამე იქ გაათიე. ვერა ხედავ, რა გარაჟებია? ბევრ სახლს სჯობია. თუ ღამის გასათევი მაღლა სართულზე ვაშოვე, დამავიწყდები კიდეც.

ცოტა ხნის შემდეგ ჩამოვიდა კიბეზე.

ძაღლი ხის ქვეშ მოკუნტულიყო და ეძინა.

ჩუმად, რომ არ შეემჩნია, გვერდით ჩაუარა.

თითქოს სიზმარში დაინახაო, თვალისდახამხამებაში წამოხტა ძაღლი.

—თუ უკეთესი ვერ ვიშოვეთ, აქ მოვ-

ბრუნდებით. დიასახლისმა ზაფხულის შემდეგ მოსვლა შემომთავაზა. დამსვენებლები რომ წავლენ, ოთახები მერე განთავისუფლდებაო.

იქ ზაურყანი წელიწადზე მეტ ხანს ცხოვრობდა.

დედა საჭმელ-სასმელს რომ ჩამოიტანდა, დიასახლისსაც რაიმეს ჩამოუყოლებდა ხოლმე, რომ უკეთ მიეხედნა მისი შვილისათვის, ეზრუნა მასზე. — მშიერი, შეციებული მარტო ცხოვრობსო. ცოლი რომ შეერთო, გულზე მომეშვებოდაო.

მართლაც, სანამ ზაურყანი არ დაოჯახდა, დიასახლისი მზრუნველობას იჩენდა. მერე კი, მართალია ასაკში დიდი განსხვავება იყო, მაგრამ ორი ქალი ერთ ჭერქვეშ ვერ მორიგდა.

პირველ დღეს ულიმოდნენ ერთმანეთს, თითქოს მათი გულები ერთმანეთისადმი სიკეთით იყო სავსე, თანდათან ღიმილი, რომელსაც ძალისძალად აჩენდნენ სახეზე, აგვისტოს ნაგვალევი ბალახივით დაჭკნა და გაქრა, ზაურყანმა შეამჩნია, რომ მათი მოთმინების ფიალა უკვე ივსებოდა.

ქუჩაში გამოვიდა და მიიხედ-მოიხედა, თითქოს ის მაწანწალა ძაღლი ისევ ელოდებოდა.

ძველი უბის წიგნაკი გადაშალა. ახალი მისამართები ჩაიწერა და ქუჩას გაუყვა.

ამჯერად გაუმართლა და თავიანთი ბარგით იმ დღესვე გადაბარგდნენ სხვა ბინაში. დიდ სიძნელეს არ წარმოადგენდა მაშინ გადასვლა.

მოგვიანებით კი, ბათალი რომ დაიბადა და თავისი პრეტენზიები წამოაყენა, ნახევარ წელიწადში ისევ მოუწიათ ქუჩაში ბარგით სიარული. ახლა რომ იხსენებს, უკვირს. სანამ საკუთარი ჭერი არ ჰქონდათ, ნაკლებად ჩხუბობდნენ. ცხადია, ზულფა ხედავდა, რომ არ იყვნენ იმ ბინის პატრონები, სადაც ცხოვრობდნენ და მეურნეობას არ იწყობდა.

ან იქნებ, ეს იმიტომ ხდებოდა, რომ დედამისს არ შეეძლო მათთან სტუმრობა? ღამის გათევა უხერხული იყო და თუ ჩამოვიდოდა, მალევე უკან ბრუნდებოდა.

რითი ან როდის დაიწყო ეს ყველაფერი? ჩვენი ბედნიერების დღეებს გაზაფხულზე შემთხვევით გამხმარი ფოთოლივით გამოაკლდა ერთი. თითქოს სიცივემ დასუსხაო.

მას სხვა დღეებიც მიჰყვნენ.

ეს დაღუპული დღეები ერთმანეთს არა ჰგავდნენ, მაგრამ ისე იყვნენ გადაბმულ-გადახლართული, როგორც ანთებული კერის კვამლისაგან გამურული სახურავის კავ-კოჭები.

„მიათრევდნენ ერთმანეთს ეს დღეები და აი, სადამდე მიგვიყვანეს“ — თავისთვის გაიფიქრა ზაურყანმა და საათს დახედა.

ათს ხუთი წუთი აკლდა.

იგი საბავშვო ბაღს უახლოვდებოდა.

გადაწყვიტა არ შესულიყო. კიდევ ცოტა ხანს მოეცადა. ზულფამ ბათალი რომ მოიყვანოს? მისი თანდასწრებით არ უნდოდა შვილთან შეხვედრა.

რაც მართალია, მართალია, მას არ შეუქმნია ახალი ოჯახი. ეს თავად ზულფა ეძებდა ახალ ბედ-იღბალს და გათხოვდა კიდეც.

სულერთია, სჯობია, ქუჩაში შეხვედრა აიცდინოს.

ხოლო თუ ზულფა კი არა, ყოფილი სიდედრი მოიყვანს ბავშვს, მაშინ მითუმეტეს უნდა ერიდოს.

მართლაც, შეიძლება მან მოიყვანოს. ის ხომ მუდამ ქალიშვილის კალთას ებღაუჭება.

ზაურყანმა წარმოიდგინა ნასიდედრალისა და ახალი სიძის დამოკიდებულება. პირველ დღეებში, ალბათ, კრავივით მორიდებულად ელაპარაკებოდა, თან წარამარა თმებს ისწორებდა.

ვერაფრით ვერ წარმოიდგინა, ახლა რა ფერის თმები ექნებოდა.

თმის ფერს ყოველ თვეში იცვლიდა.

სოფელში კი ასეთები ძალიან უყვართ. ეშმაკმა დალახვროს, რისთვის უნდოდა ასე ყველასგან გამორჩეულიყო? ცხადია, ამით იმის თქმა სურდა, რომ უკეთესი ხვედრისათვის იყო გაჩენილი. მა-

ღალი, გაკნაჭული, ისე რომ იგრიხებოდა ხოლმე, როგორც შიმელა ქარის შემობერვაზე, შეეძლო მოსაუბრესთან, ნაბულზე დამდგარი ძაღლივით გაშეშებულიყო. ან კედელს აჰკვროდა უმანკო ბალღის სახით. და ჩუმად, ღიმილით ეთქვა ისეთი სიტყვა, როგორიც ადამიანის გულს გმირავს.

მარტში იცის ასეთი ამინდი. თითქოს არც ქარი ჰქრის, მზეა, მაგრამ სიცივე ძვალ-რბილში ატანს, კანზე ბუსუსებს გაყრის.

ალბათ, ახალ სიძეს ჯერჯერობით თქვენობით ელაპარაკება, მაგრამ თავის ხასიათს, ეჭვი არ არის, მალე გამოაჩენს.

გამხმარი, დანაოჭებული თითი დამიქნია მაშინ და ასე მითხრა: „მარტო შენს თავზე ფიქრობ, რომ არაფერი მოგაკლდეს, ხოლო რა უნდა შენს ოჯახს, რა სჭირდება, ეს თითქოს არც გეხება. თუ ოჯახის რჩენა არ შეგეძლო, ცოლი არ უნდა შეგერთო, დად. „შენს“ ის ხაზს უსვამდა, სჭიმავდა, მოულოდნელად მიწოდა „დად“, როგორც მამაკაცმა პატარა ბიჭს. არასოდეს გამიგონია ქალს ასე ელაპარაკოს. თითქოს თვითონ ბერი პაპა იყო, მე— პატარა ბავშვი. ახალი სიძე კი, ბებერივით მუხლებაკანკალებული, ალბათ, თქვენობით ელაპარაკება. ბებერი რომ არ იყოს, განა თადარიგში გადარიცხავდნენ? ეს რა ეჭვიანობა დავიწყე, — დატუქსა თავისი თავი ზაურყანმა. საოცარია, როგორაა ჩემში ყველაფერი გადაბმულ-გადახლართული. ჩემგან გამოხრული ძვალი რომ ვინმემ აიღოს, მაშინვე წართმევას მოვინდომებ. იქნებ, მისი ქმარი ბებერი სულაც არაა. იქნებ, ქმარს ისე ემორჩილება, რომ ყველა მის სურვილს თვალის დახამხამებაში ასრულებს. მე მხოლოდ ახლა მითხრეს, რომ თადარიგშიაო, რაც შეეხება ასაკს, მეც ხომ უფროსი ვარ ზულფაზე. არიან თადარიგის ოფიცრები, რომელთაც ორმოციც არ შესრულებიათ. მითხრეს, რომ ჩემი შვილი საკუთარივით უყვარს. ყველაფერი ეს გულმაც რომ არ დაიჯეროს, გონებით დაიჯერება, მაგრამ სხვა რამ ვერ წარმომიდგენია. როგორ შეუძლია ზულფას გააკეთოს მასთან ის, რასაც ჩვენ ვაკეთებდით სიყვარულის დღეებში...

უნდოდა რესტორან „თოლიაში“ შესულიყო და ესაუზმა, მაგრამ გვერდი აუარა. ჩამოსვლის მეორე დღეს იყო იქ. ყველაზე კარგ რესტორნად ითვლებოდა. კარგ კერძებს ამზადებდნენ. როგორც კი ზღურბლზე გადააბიჯა, კისერა ოფიციანტი დაინახა, თავისი ყოფილი მასწავლებელი. მისი ნამდვილი სახელი არ ახსოვდა. მხოლოდ მეტსახელი გაახსენდა, რომელიც ბავშვებმა შეარქვეს. კისერი ისე ჰქონდა მოღრეჯილი, თითქოს ჭუჭრუტანაში იხედებაო, გვერდულად, ქვემოდან ზევით იცქირებოდა. ისტორიას ასწავლიდა, მაგრამ ისტორიიდან მარტო ის იცოდა, რისი მოწმეც იყო, ან ყური მოეკრა. სოფელში შემთხვევით მოხვდა და მასწავლებლადაც ასევე შემთხვევით დანიშნეს.

დღესაც ახსოვს ზაურყანს, კისერამ კლასში შესვლისთანავე მაგიდას რომ მიაშურა, სწრაფად, თითქოს სკამს ართმევენო, ზედ დაჯდა და მერე იჯდა გაფხორილი, გაუნძრევლად. ხანდახან ცხვირს ჩაეჭიდებოდა, თითქოს ეჭვობდა მის სიმყარეში. საკმაოდ მოკლე ბიოგრაფია ჰქონდა პირველ გაკვეთილებზე, ასაკიც არ ჰქონდა დიდი, მაგრამ გაზაფხულის მდინარესავით თანდათან დიდდებოდა. წლის ბოლოს კი ბავშვების თვალწინ იჯდა და თვალებს ახამხამებდა კაცი, რომელმაც თავის ბუნაგში მოსპო ფაშიზმი, აფხაზეთში ჩამოაყალიბა კოლმეურნეობები, დაამყარა საბჭოთა ხელისუფლება, კაცი, რომელიც რუსეთ-იაპონიის ომში ცეცხლოვან რაშზე ამხედრებული თავს დააცხრა იაპონელებს და ქათმებივით წააცალა თავები, გმირი, ვისი დიდებაც მსოფლიოში გაისმა. მართლაც, მის მკერდზე რაღაც მედალიც ეკიდა. მაშინ, ომიდან დაბრუნებულებს მაინცდამაინც არავინ ეკითხებოდა, სად იყო და რას აკეთებდა, უბრალოდ ცდილობდნენ, მათთვის პატივი ეცათ. ბავშვებისათვის სულერთი იყო მედალი თუ ოქროს ვარსკვლავი. ამას კარგად იყე-

ნებდა კისერა, რომელიც სიცრუისა და ეშმაკობისათვის იყო გაჩენილი.

ეშმაკმა დასწყევლოს, რა ჰქვია, როგორ დამავიწყდა? როგორ უთხრა ერთ-ელ ბებერმა ჩაგუნამ?

„შენ, დად, მოხერხებულად ცრუობ, მაგრამ ერთი ნაკლი გაქვს, როცა ტყუილს ამბობ, მარჯვენა წარბი გითამაშებს, ეგ სინათლეს შეუჩვეველი თვალებიც ბუს თვალებივით დღის სინათლეზე გიხამხამებსო“. ბავშვებმაც გაიგონეს მოხუცის სიტყვები და კბილებქვეშ ქვედა ტუჩმოქცეულები სიცილს ძლივს იკავებდნენ.

ამის შემდეგ, კისერა, როგორც კი თავისი ბიოგრაფიის ახალ ფურცელს გადაშლიდა, ბავშვები ყურადღებით მიაჩერდებოდნენ მის მარჯვენა წარბს.

ზაურყანმა სოფელში რვა კლასი დაამთავრა, შემდეგ ქალაქის სკოლაში ვანაგრძო სწავლა და უმაღლესი განათლებაც მიიღო, მაგრამ კისერასი და მეს მსგავსთა მიმართ სიძულვილი არ გაუნელდა. ისეთი ზიზღით ოგონებდა მას, თითქოს ტანზე ლოკოკინა დასცოცავდა. ინსტიტუტში მისაღებ გამოცდებზე გამოჩნდება ხოლმე, ვინ ზრდიდა სოფლის ბავშვებს — „ხარაზი იყო, თუ დალაქი“.

რამდენიმე დღის წინ რესტორნის ზღურბლს რომ გადააბიჯა, მისი მზერა ამ კაცს მოხვდა, ცუდი სიზმარივით დავიწყებულს. დაინახა და არ ესიამოვნა. რაც არ უნდა იყოს, მისი მასწავლებელი იყო. არ შეშვენის მამაკაცს ასეთ ადგილზე მუშაობა. შეეძლო უკეთესი ადგილის შოვნა? იცნობს, დაუწყებს გამოკითხვას: სადაა, როგორ არის, რა დაამთავრა. ხალხს შეაგროვებს და მოუყვება როგორი კაცი გახდა მისი მოწაფე! გამდიდრდება მისი ბიოგრაფია. „მოდით, გაიცანით, აი, ასე ვზრდიდი ხალხის შვილებს!“

მისი კისერი მაინც არ გასწორებულა. ახლაც ისევე იხედება ქვემოდან ზევით, პატივისცემით და სიამაყით ილაპარაკებს ჩემზე. მე კი იძულებული ვიქნები, დავეთანხმო „დიახ, დიახ, რა თქმა უნდა, მახსოვხართ, როგორ დამავიწყდებით. როგორ ცხოვრობთ, ძვირფასო მასწავლებელო? აქამდე მახსოვს თქვენი ჭკვიანური გაკვეთილები. რა კარგად გვასწავლიდით ისტორიას. მთელი სოფლის ბავშვებს აუხილეთ თვალი“.

თითქოს შეუხორცებელ ჭრილობაზე შეეხნენო, დავიწყებული სიძულვილი ყელში ბურთივით მოაწვა. ალბათ, იმგვარადვე გაუმასპინძლდება, როგორც ასწავლიდა.

რესტორნის კარები მიიჯახუნა და გამობრუნდა. ლოკოკინა ხელზე გაცოცდა.

გველზე მეტად სძულდა ლოკოკინები. თუ გველს შეეჯახები, ან შენ მოკლავ, ან იგი დაგგესლავს. ლოკოკინისაგან კი გული გერევა...

ზღვიდან დაბერილმა ნიავმა გააგრილა ზაურყანი. კისერას სიძულვილი გაუნელდა, სხვაგვარი ფიქრები მოეჯარნენ.

არასოდეს არ მყოფნის მოთმინება და თავშეკავება, თითქოს უხედნელ ბედაურზე ვიჯდე. ხელში აღვირი მიჭირავს და ვცდილობ არ გადაიჩეხოს. მაინც ბევრი რამ მეშლება. რა დამნაშავე ვიქნები ახლა, როცა ზღვის ნაპირას ვდგავარ და ცუდს არაფერს ვაკეთებ, ქარმა რომ წამოუბეროს და ტალღებში გადამისროლოს? იქნებ კისერაც ჩვენს სოფელში თავისი სურვილით არ მოხვედრილა? როგორც კი მისმა გადმომსროლმა ტალღამ უკან დახევა იწყო, პირველი გაიქცა სოფლიდან. თურმე აქ უპოვია პური ჩვენი არსობისა. მაშინ სხვაგვარად შოულობდა პურს, ახლა სხვაგვარად.

ერთ წელიწადში ხეც იცვლება. შეიძლება ერთი წლის შემდეგ ამ საბავშვო ბაღის ჭიშკართან მდგარ ტირიფს ასე ძირს არ ექნეს დაშვებული ტოტები. შესაძლებელია, ვერც ვიცნო შვილი. მითუმეტეს ახლა, თანატოლებს შორის. მოველაპარაკები საბავშვო ბაღის გამგეს, წავიყვან ბავშვს. სანამ არ მოაკითხავენ, საღამომდე, ერთად ვიქნებით, კატერით ვასეირნებ. აი, იქამდე თოლიები რომ თეთრ ლაქებად მოჩანან. მოერგება რაც ჩავუტანე? მინდა ჩემი ხელით ჩავაცვა. ალბათ, სულ გადაეჩვია მამის ხე-

ლებს, — ასე ფიქრობდა ზაურყანი, როცა საბავშვო ბაღის ეზოში შევიდა.

საბავშვო ბაღის გამგე მსუქანი, ლოყებღაჟღაჟა ქალი იყო. ზაურყანს არ უყვარდა მსუქნები. მას ისინი ბუნებისაგან დაჩაგრულად მიაჩნდა. ხან ებრალებოდა, ხან ბრაზობდა. იცოდა, რომ არ იყო მართალი, მაგრამ მაინც ბრაზობდა, ადამიანს ჭკუა იმიტომ აქვს, რომ მუცლის ზომა იცოდესო. იცოდა, რომ სიმსუქნე ყოველთვის ზედმეტი ჭამისაგან არ არის, მაგრამ ბავშვობიდან გაუჯდა თავში ბოლმა მათდამი.

შედგა. ჩაახველა, რომ წერაში გართულ ქალს შეემჩნია.

მისმა ჩახველებამ მსუქანი ქალის ყურამდე ვერ მიაღწია.

კაბინეტის კარები ღია იყო.

აივანზე ბავშვები თამაშობდნენ.

ქალი რაღაცას ანგარიშობდა, კრებდა, აკლებდა, ზოგ ციფრებს შლიდა, ზოგს წერდა.

ზაურყანმა იფიქრა, ხუმრობას გამიგებსო, კაბინეტში შევიდა, სკამი მიიწია და დაჯდა.

— გადი გარეთ! წადი, ბავშვებთან ითამაშე. — თავაუწევლად თქვა ქალმა.

— საკმარისი ვითამაშე და ჩემი თამაშითაც საკმაოდ გაძღნენ, — უპასუხა ზაურყანმა ბავშვური ხმით.

—ვინა ხარ? — თავი ასწია ქალმა.

— დი-დი ბავშვი.

— კარგად ხუმრობ.

ზაურყანი ღიმილით უცქეროდა ქალს თვალებში. მერე მუხლებიდან წითელი ჩემოდანი აიღო და იატაკზე დადო.

— ხელი შეგიშალეთ, მაპატიეთ. თქვენთან ერთი საქმე მაქვს. კარგი ღიმზრდელები გყავთ...

— თუ მათ შორის ვინმე მოგეწონა, მალე თქვი... უნდა იჩქარო, ბედნიერებას დაეწიო, — თავისებურად იხუმრა ქალმა და მხოლოდ ახლა გააჯსენდა, რომ მის წინ მჯდომი უცნობია, რომ ის სტუმარია, რომ მასპინძლის მოვალეობა თავისას ითხოვს.

სკამმა საწყალობლად დაიჭრაჭუნა როგორც ხის უნაგირმა მძიმე ტვირთის ქვეშ. მაგიდა აძაგძაგდა.

ზაურყანი წამოხტა.

ქალმა თავისი კოტიტა თითებიანი ხელი გაუწოდა და მხოლოდ მისალმებისას შეათვალიერა მისი ჩაცმულობა. უეჭველად ხელმძღვანელობიდანაა. ალბათ, სამსახურის მანქანაც ელოდება.

კარებთან მიბაჯბაჯდა და დახურა, რომ ბავშვებს აივნიდან ხელი არ შეეშალათ. ფარდა ისე გაასწორა, თითქოს სურათის გადაღებას უპირებდა და განათებას ამოწმებდა. „ისევ წყეული ინსპექცია. ხომ იყვნენ ახლახან? ეს საიდანღა ჩამოვარდა!“

ზაურყანი არაერთხელ ჩავარდნილა ასეთ მდგომარეობაში. ჯერ გამომძიებლად ყოფნისას, სადაც არ უნდა შესულიყო, ისე შეჩოჩქოლდებოდნენ, როგორც ხეები ქარიშხალში. ტყუილად ეშინია ამ ქალს. ახლა მე ვარ იმათ ადგილზე, ვისაც ჩემი ეშინოდა. მოიფიქრა და გადაწყვიტა, სათქმელი პირდაპირ ეთქვა.

— აი, რისთვის, რა საქმისათვის მოვედი თქვენთან... აქ, თქვენს საბავშვო ბაღში... მგონი, თქვენ ზრდით ჩემს ბავშვს... როგორ გითხრათ, უფრო გასაგებად, მოკლედ, ის თქვენთანაა, აქ... მე ადრეც ვიყავი. ღიმზრდელს ფოტოსურათი ვაჩვენე... ძველი ფოტოა, მაგრამ იცნო. თქვა, რომ ეს ბავშვი აქ არის. ახლა ვეძებე ის ქალიშვილი და ვერ ვიპოვე. ბავშვიც ვათვალიერე, მაგრამ არა ჩანს. ალბათ, ვერ შევამჩნიე... — მიაყარა ზაურყანმა, რათა მალე გაეგებინებინა ქალისთვის, რომ ის შემოწმებაზე არ იყო მოსული.

გაუკვირდა ქალის შეშფოთება მასაც რომ გადაედო. წინათ, როცა რამე საქმის გამოსაძიებლად მიდიოდა, მშვიდი და ცივი იყო. მაშინ ჩემოდნის ნაცვლად საქაღალდე ეჭირა. ეტყობა, ის საქაღალდე მეტ თავდაჯერებულობას აძლევდა.

— როგორ, ეს ჩემი ბავშვია? — ვერ გაიგო ქალმა.

— არა, ბავშვი ჩემია. როგორც ჩვე-

ულებრივ მამებს ყავთ შვილები, — თუმცა ისევ იღიმებოდა, მაგრამ ქალის სიტყვებმა უკვე უკბინა.

— იცით, რა, ასე იმიტომ ვთქვი, რომ კარგად ვიცნობ ჩემი აღსაზრდელების მამებს, — ახლა უკვე მტკიცე ხმით ლაპარაკობდა ქალი. — სად მუშაობ, თუ ნებას მომცემ გკითხო?

„ვეტყვი ჩემს ძველ თანამდებობას, ისე დარბილდება, როგორც გამხმარი ტყავი ქონის წასმით“.

— ისეთი თანამდებობა არა მაქვს, ხალხს რომ შეეშინდეს. მშრომელებს ვემსახურებით. ვიბრძვით აღებული ვალდებულებების შესასრულებლად, — ადუღებულ რძესავით მოაწვა სიცილი. ტუჩებზე ცხვირსახოცი მიიფარა. ისეთი სახე მიიღო, თითქოს ახველებდა. ქალმა ვერ გაიგო, რა აკინებდა.

კარგა ხანს იცინა, მერე უცბად ნამდვილი გამომძიებელივით შეჩერდა და ჩაურთო:

— სამრეწველო საქონლის მაღაზიის გამგე ვარ. ყველაფერი, რაც ადამიანს სჭირდება ცხოვრებაში, შეგვიძლია მოგაწოდოთ, — გული ისევ სიცილით აევსო. თავი ვერ შეიკავა, ისევ მოიშველია თავისი სამსახური. აეკვიატა დღეს ეს ტონი და ვერ მოიშორა თავიდან. „ბევრს ვიცინი, ცუდად არ ამიხდეს“. რა უნდა გავიგო იმაზე ცუდი, რაც არ გამიგია? რა უნდა დამემართოს იმაზე მეტი, რაც მე ჩემს თავს არ დავმართე? სამსონი დამირეკავს, მეტყვის რომ საქონელი მოვიდა, მაგრამ საწყობში მხოლოდ ნიჩბებია, გეგმა გვივარდება. ამაზე უსიამოვნოს რას გავიგებ? რევიზორები თუ მოვლენ, იცის, როგორ უნდა დახვდეს. ახალბედა ხომ არ არი.

— ცუდად არ მუშაობთ, თითქმის კარგადაც, — გაამხნევა ჩასუქებულმა. ხმაში უფრო შეერია ფოლადი. რაო, ერთი საცოდავი მაღაზიის თანამშრომელი რევიზორად მომეჩვენაო! ვინ იცის, იქნებ განგებ იგონებს? ახლა ეს მოდაშია. სულაც არა ჰგავს ვაჭრობის მუშაკს მაგათ შორიდანვე ვიცნობ. რამდენი დეფიციტური საქონელი გამომიტანია მაგათგან ჩემი გოგოსთვის!! მაგრამ რა სარგებელს ნახავს ასეთი სიცრუით? არა, რა თქმა უნდა ვაჭარია, მაგრამ ინტელიგენტობას ჩემობს. რაში მჭირდება ნიჩბები, წერაქვები, საღებავები. გამგისათვის შესაფერის ტონზე გადავიდა.

— როგორღაც ისე მოხდა, რად გინდათ, რომ გიამბოთ, — დაიწყო შეცბუნებულმა ზაურყანმა, — უკვე ერთ წელზე მეტია, ჩემი შვილი არ მინახავს. მეტი მოთმენა აღარ შემეძლო და ახლა...

— გასაგებია, გასაგები, ჰმ... — ხმა ჩაიწმინდა ჩასუქებულმა. აჭრაჭუნდა, აცახცახდა მაგიდა, სკამი, — ცოლი ბავშვიანად მიატოვე და გაიქეცი. გააგიჟეს ჩვენი მამაკაცები დამსვენებლებმა. ამას წინათ ჩვენმა მეზობელმა ზაფასმა მიატოვა ცოლი და ჩავლილი წყალივით გაქრა. რა გაჩვენეს ნეტა ისეთი ამ დამსვენებლებმა? აი, ბატონო, ახლა ხომ დაბრუნდი ცარიელი. ბავშვის ნახვა მოგინდა? ჰმ!...

— არა, მთლად ასე არაა საქმე... — რაც შეიძლება რბილად თქვა ზაურყანმა.

— მაშინ მოიღეთ მოწყალება და ამიხსენით, როგორ მოხდა?

— როგორ აგიხსნა გენაცვალე, როცა მე თვითონაც არ მესმის. რუსულად რომ ვთქვათ, Роковое стечение... — თავი შეიკავა. რა საჭიროა ასეთი მაღალფარდოვანი სიტყვები?

— კარგი ნათქვამია, ჰმ. — Роковое стечение, როცა შენი საქმეები მდინარესავით მიედინება.

—დიახ, დიახ, ჯერ არც დამიმთავრებია და უკვე გაიგე, როცა შენი საქმეები გაზაფხულის ხანმოკლე ნაკადულებივით მიედინება. კარგად თქვი. საქმე ისე ცუდადაა, როგორც ხანმოკლეა გაზაფხულის ნაკადების დინება, — მესამედ გაიმეორა ზაურყანმა თავისთვის და რომ არ გადაეხარხარა, სიცილი დაიგუბა. — მაშასადამე, დღეს ჩემი შვილი ბაღში არ არის? ბათალი ჰქვია, ბათალი ეუაძე.

— ასეთი სახელისა და გვარის მქონე ბავშვი ჩვენ არა გვყავს. ჩვენს იქით, ნავმისადგომთან, კიდევ არის ერთი სა-

ბავშვო ბაღი. იქნებ იქ არის შენი შვილი.

— იქნებ არ გახსოვს, აქ იმდენი ბავშვია.

— არა, ძვირფასო, მე ჩემი ბაღის ბავშვებს ისე ვიცნობ, როგორც ჩემს ერთადერთ გოგონას, — ეწყინა ჩასუქებულს.

— ხომ გითხარი, რომ აქ უკვე ვიყავი. ერთ აღმზრდელს ფოტოსურათი ვუჩვენე და მან მითხრა, რომ ასეთი ბავშვი არის მათთან, ოღონდ დღეს არ მოუყვანიათო. როგორც კი ვაჩვენე სურათი, მაშინვე იცნო, თუმცა წელიწადზე მეტია, რაც გადაღებულია. სურათი ისე ვაჩვენე, როგორც წინათ, საქმის გამოძიებისას ვიცოდი ხოლმე.

— რა საქმის, ვისი საქმის, — ყურები ცქვიტა ქალმა.

— ისე წამომცდა, იურისტებისაგან გამიგონია, — ზაურყანმა წიგნაკიდან სურათი ამოიღო და გაუწოდა. ბავშვის გვარის დაუსახელებლად, თვალმოუშორებლად ჰკითხა:

— იცნობთ ამ ბავშვს?

— აა, ეს ხომ ბათაა, თაფლისფერთვალება, როგორ არ ვიცი!.. — წამოიძახა ჩასუქებულმა, როცა სურათს დახედა. ნათელმა ღიმილმა გაუპო ტუჩები. მისი სიხარულის გამოხატვამ ზაურყანს გული გაუთბო.

— რაშია საქმე, სურათზე ყველა ცნობს, გვარი კი არავინ იცის. — ჩაილაპარაკა მან. — ეს სურათი რომ გადავუღეთ, სულ პატარა იყო. — თავისდაუნებურად, ბავშვის დედაც იგულისხმა და მაშინვე თვალწინ დაუდგა ის დღე, სურათი რომ გადაუღეს.

ფოტოგრაფი სახლში მოიყვანა. მთელი ოჯახით — ერთად, ცალ-ცალკე, მჯდომარე, მდგომარე — მრავალი სურათი გადაიღეს.

„ეს არასოდეს გაგიკეთებია, რა საჭიროა?“ — ჰკითხა ზულფამ.

იქნებ შორეულ მივლინებაში წავიდე, ან კოსმოსში გავფრინდე. იქნებ იქაც საჭირო იქნეს რაიმე საქმის გამოძიება, — იხუმრა მან.

ზულფა ვერაფერს მიხვდა.

იმ დღეებში ოჯახური უსიამოვნებები მიწყნარდა. არცერთი მკვახე სიტყვა არ უთქვამს. ქალმა მხოლოდ ის შეამჩნია, რომ ქმარს ღიმილი შეეცვალა. რაღაც უცნაური გახდა.

ზულფა რომ მიმხვდარიყო მის მტკიცე გადაწყვეტილებას, იქნებ შეენარჩუნებინა ოჯახი. მაგრამ მას რომ საერთოდ ასეთი მიხვედრის უნარი ჰქონოდა, მათი დამოკიდებულება აქამდეც არ მივიდოდა.

ადამიანს სულ გაშლილ მინდორზე სიარული არ უწერია. არ შეიძლება ერთხელ მაინც არ მიადგეს ციცაბო, ქვიან ხრამს. თითქოს მას მიწა სცდის.

ალბათ ასევეა სიყვარული და ადამიანთა შორის ურთიერთდამოკიდებულება.

საკმარისია ფეხი დაგიცდეს, რომ ხრამში გადავარდე.

ღმერთმა ჩააქროს, დაამსხვრიოს ის ჭაღი!

მოგონებებში ჩაეფლო, სადღაც წავიდა. სულ დაავიწყდა მის წინ მჯდომი ქალი. მან კი უკვე აღმზრდელი გამოიძახა და ბავშვის მოყვანა დაავალა.

ეს ჩვევა ცოტა ხნის წინათ დასჩემდა და მისი ძალიან ეშინოდა: ვინმესთან საუბრის დროს, მოულოდნელად გონება სხვაგან გაურბოდა, მოსაუბრეს ვეღარ ამჩნევდა.

შენ სადღაც დაფრინავ, — უთხრა ერთხელ შეხვედრისას თემურმა.

გამომძიებლად მუშაობის დროს კი, ის არამარტო უსმენდა თანამოსაუბრეს, არამედ ცდილობდა გამოერკვია, რა იმალებოდა ნათქვამს იქით, მიეკვლია მთავრისთვის.

აღმზრდელი შემოვიდა და გამგეს უთხრა, რომ ბავშვი დღესაც არ მოიყვანეს საბავშვო ბაღში.

— მაშ არ მოიყვანეს დღეს ბათა-ღონიერი? კრავივით მშვიდი ბიჭია, ყველას უყვარს, ჰმ, — ქალი ყოველი ფრაზის ბოლოს ღრმად სუნთქავდა და ხმას იწმენდდა. — შენ ისეთი გვარი მითხარი, არც გამიგონია. ბათა-ღონიერს ასე არა

ჰქვია! — სურათი მას ისევ ხელში ეჭირა.

— განა მისი საიდუმლო მეტსახელი გითხარით, მე მხოლოდ ნამდვილი სახელი და გვარი ვთქვი.

— როგორ თქვი მისი გვარი?

— კუაძბა. ბათალ კუაძბა. საქმე ისაა, რომ მე — მამამისი, ჩემი მამა და მისი მამაც სულ კუაძბები ვიყავით. მეც კუაძბად დავიბადე და რადგან ასეა, ჩემი შვილიც კუაძბაა. — ზაურყანმა ნაძალადევად გაიღიმა, თუმცა მისი თვალები ნისლს დაებურა.

— შენი, მამაშენის, მამაშენის მამის და მისი მამის გვარი მე არ ვიცი. მაგრამ ბათა-ღონიერის გვარი მშვენივრად ვიცი. აი, თუ არ გჯერა, აგერ წერია ჟურნალში — აწანბა, — აწანბა ბათალ.

ზაურყანს უკვე აღარ ესმოდა, რას ლაპარაკობდა ჩასუქებული. იჯდა მთლად განადგურებული. თითქოს მხრებზე მძიმე ტვირთი დააწვაო, ძლივს წამოდგა. გამოუმშვიდობებლად, ფეხათრევით მიჩანჩალდა კარებთან.

ეს არ უნდა გაეკეთებინა ზულფას. პირდაპირ სულში მოახვედრა. როგორ დაწერა ბავშვი მამინაცვლის გვარზე! მე ხომ ცოცხალი ვარ. თითქოს უკანონო შვილი იყოს... უფლებაც არა ჰქონდა. ყველაფერი-ყველაფერი, მაგრამ ამას კი არ მოველოდი მისგან.

ქალმა არ იცოდა, რა მოხდა, რა ეთქვა, დაბნეული იჯდა. ზაურყანი უკვე ზღურბლს გადაბიჯებული იყო, რომ გაკვირვებულმა დარჩენილ ჩემოდანზე შეახსენა. ვიღაც დამთხვეულია, არანორმალური. თავისი ბავშვის გვარიც არ იცის. ახსოვს კი თავისი სახელი? საიდან გაჩნდა?

ზაურყანი ჩემოდნის ასაღებად შემობრუნდა.

—აიღე სურათიც. თუ არ გჭირდება, მაჩუქე.

— არა, მხოლოდ ესღა შემრჩა. — არც დაუხედავს, ისე ჩაიდო პიჯაკის ჯიბეში. — მისი ხნის ბავშვი ხომ არა გყავთ?

— ჩემი ქალიშვილი სტუდენტია. თბილისში, სამედიცინოზე სწავლობს. რატომ მკითხე?

— ჩემოდანში მისთვის ტანსაცმელი მქონდა. შენ რომ გყავდეს იმხელა, მოგცემდი.

— გმადლობთ. არ დაგეკარგოს, ვინც მოგყიდა, უკან დაუბრუნე.

ეზოში სიცილითა და ხმაურით თამაშობდნენ ბავშვები. ჭიშკართან ფრთებჩამოყრილი მტირალი ტირიფი იდგა. ის არასოდეს არ სწევდა ვარჯს კენწეროს მაღლა, რომ ცისთვის შეეხედა.

რკინის ჭიშკრიდან გამოვიდა. ყელში რომ ბურთი გაეჩრებოდა, თავს მაღლა ასწევდა და ცას შეხედავდა ხოლმე, თითქოს მას შეეძლო ეშველა.

„ვარაიდა გუშა, ვარაიდა!“ იმღერე ახლა რამდენიც გინდა. ეს ხომ კანონის დარღვევაა. არც კი მკითხეს და ჩემს შვილს ჩემი გვარი წაართვეს. მენახა მაინც ის კაცი, ვისი შვილიც გახდა ჩემი შვილი. შენი შვილი — სხვისი შვილია. ვარაიდა გუშა-რა ვარაიდა! თუ ჩვენმა შემქმნელმა თავისი მსგავსები შექმნა ქვეყნად, რა ცუდი შექმნილი ყოფილა თვითონ შემქმნელი!

ზულფას ასეთი რამის გაკეთება მარტოს არ შეეძლო. როგორი ნაკლიც არ უნდა ჰქონდეს, ასეთი უგული არაა. აბა, დაიწყე ეხლა ისეთი კარგი თვისებების მიწერა მასზე, რაც არა აქვს. ძალიანაც კარგად შეეძლო ამის გაკეთება. მისი თანხმობის გარეშე ვის შეეძლო ბავშვისთვის გვარის წართმევა. რა გვარია ის, ჩემი გვარით რომ ცდილობს თავისი შთამომავლობის გამრავლებას? — აწანბა. მისი ბინის კარებზე წარწერაა — „აწანბა“. ალლო, როგორა ხარ აბხანაგო აწანბა? როგორ მიდის საქმეები, ბიჭო, მე ვინა ვარ? მე აბაზთქალაქიდან ვარ. საიდან გიცნობ? დიდი ხნის წინ გნახე. მამაშენს იცნობ? მართალია, როგორ არ უნდა იცნობდე. იქნებ ეგ ისაა, ღამეები რომ არ ეძინა და შენს აკვანს არწევდა? ვინ იცის, იქნებ ეგ ელოდებოდა სამშობიაროს წინ დედაშენს მთელი ბოხჩა შენი თეთრეულით? იქნებ ავად რომ გახდი, ეგ დარბოდა მუხლჩაუკრეფავად

და მოჰყავდა ექიმები? ვინ იცის, იქნებ ეგ ისაა, სამსახურში, რძის ფულის უქონლობის გამო, გულმოკლული რომ მიდიოდა. საიდან შეიძლება იცოდე ყველაფერი ეს შვილო ჩემო? შენ არაფერში არა ხარ ღამნაშავე, განა რა ჩაიდინე, რომ საკუთარი გვარი წავართვეს?. მაშინ აფხაზეთიდანაც გაგაძეონ. ასეთი იყო ძველი ადათი. მხოლოდ სისხლის აღმრევსა და მოღალატეებს ართმევდნენ გვარს და სამშობლოს. რა ჰქვია მის საყვარელ ქმარს? რა გვარია მისი ბებერი ბრიყვი? რატომ მაინცდამაინც ბებერი ბრიყვი? ამბობენ, ბევრი იშრომა და ვადაზე ადრე გავიდა თადარიგშიო... თურმე ჯანმრთელობამ უღალატა. ალბათ ძლიერი კუნთები აქვს თვითმფრინავის საჭის დამჭერ კაცს, როგორ ეწყობიან ერთმანეთს შენი მშობლები: მამაშენს თვითმფრინავის დასმა შეეძლო თავის ადგილზე და დედაშენი რა ბედენაა. შენ ეს ვერ შესძელი. აი, რა, ძვირფასო ზაურყან, — ის, რაც შენ გადაგდე, მან აიღო. კი არ გადაგდე, დაკარგე, დაკარგე. განა ხის ტოტებს ხისვე სურვილის მიხედვით ამტვრევენ? ან მისი სურვილის მიხედვით უხმება ფესვები? მართალია, ზულფას უნდა ეკითხა შენთვის. კანონიც, როგორც მოგეხსენება, ამასვე ამბობს, მაგრამ ხომ იცი, ამ მუხლის გვერდით არის მეორეც, რომელიც შენ ადრე დაარღვიე. თითქოს არ სარგებლობდი ნაცნობობითა და თანამდებობით. ზულფამ სრულებითაც არ იცოდა, რომ შენ ბინა მის სახელზე გააფორმე. არაფერი არ იცოდა არც მაშინ, როცა ქორწინება დაარღვიე და განქორწინების ცნობა მოუტანე. შენ ყველაფერი იცოდი, როგორ გაგეკეთებინა კანონიერად. ვითომ სამჯერ გამოიძახეს სასამართლოზე და არ გამოცხადდა... გეშინოდა დავიდარაბისა და უსიამოვნებისა, განქორწინების გამო. უფრთხილდებოდი შენს სამუშაოს, თანამდებობას, თითქოს მათ გარეშე ცხოვრება არ შეიძლებოდა, გეშინოდა, რომ იქ ეს ხელს შეგიშლიდა. მეგობრების დახმარებით ზულფას სიურპრიზი მიართვი. ახლა კი მინ ქალაგერო გადაგიხადა. ესეც შენ! — რაც ცაცმა თავის თავს უყო, — ქვეყანა მიადგა და ვერ უქნაო.

დასასვენებელ სახლში დაბრუნდა. არავისი ნახვა არ სურდა, არავისთან საუბარი არ სიამოვნებდა. ოთახის კარი ჩაკეტა და გაუხდელად მიწვა. თვალები აუწყლიანდა. აურაცხელი პაწაწა თეთრი ყვავილი და ნამის წვეთები ტრიალებდა თვალწინ. ისე ხედავდა მათ, როგორც ეკრანზე. რაღაც უნდა მოიფიქროს. გაზაფხულზე დაიწყო ფიქრი. გაზაფხულმა გაზარდა მინდვრის ყვავილები, მან მოიტანა ცვარ-ნამიც, ობობის ქსელი ნამის წვეთებითაა მოოჭვილი, ალბათ, ვინმეს ყელზე უნდა დაჰკიდოს მძივებად. მხოლოდ გაზაფხულზეა ასე ბევრი ქსელი. სხვადასხვაფერად ბრჭყვიალებენ, ელვარებენ დილის მზის სხივებზე. ძალიან ლამაზია. ეს სილამაზე ატყუებს ფუტკრებს. დაიფრინდებიან ქსელს და ის კი იჭერს. ფუტკარი ფრთხიალებს, ცდილობს ფეხებით გაწყვიტოს ქსელი, მაგრამ რაც უფრო მეტად ფრთხიალებს, მით უფრო მაგრად ეხვევა ქსელში. ვინ იცის, იქნებ უკეთესი იყო, რომ ქსელში მოხვედრისას კი არ ებრძოლა, არამედ ბედს შერიგებოდა. ახლა კი მას დაწნულ სასიკვდილო სარეცელზე აკვანივით არწევს ქარი. სანამ ქსელში გაეხვეოდა, ნიავი მიაფრენდა. აი, აქ ყვავილებია, ნექტრით სავსე, აქ, გაზაფხულზე, ნექტარი ცვრად ედება ბალახს, აქეთ მოფრინდიო. რა იცის ფუტკარმა, რომ ამჯერად უღალატა ნიავმა. ზაურყანმა ისე ცხადად წარმოიდგინა ეს, რომ ყურებში თითქოს ფუტკრის ბზუილიც ჩაესმა. უკეთესი იქნებოდა იმ სულელისთვის, ქსელში ფრთებგახვეული არც განძრეულიყო.

ვინ იცის, იქნებ ყველაფერი იმ დღეს დაიწყო? ალბათ, იმ დღეს, სინამდვილეში კი უფრო ადრე ჩაისახა. უბრალოდ, მან თავისთავზე გაბრაზებულმა, მთელი დანაშაული მის მიერ იმ დღეს ჩადენილ საქციელს დააბრალა. კიდევ

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ განმეორდეს მსგავსი რამ, ალბათ, რაც არ უნდა ემუქრებოდეს, იმასვე გაიმეორებს. იმდენად მახლობელი იყო ადამიანი, ვისთვისაც ეს ჩაიდინა. პირველად უსაყვარლესი არსება მოატყუა. დედას ეშინოდა, უფრთხილდებოდა შვილს, არ უნდოდა, რომ მოეშორებინა კალთიდან. მან კი უთხრა, სტუმრად მივდივარ მეგობართანო და ეხლოლოდ დაბრუნების შემდეგ გამოუტყდა, რომ რუსეთში მოეწყო სასწავლებლად.

შიში და სიხარული შეერია ერთმანეთს დედის გულში. ეს პირველი სიცრუე სასიხარულო სიმართლედ გადაიქცა.

მეორე სიცრუე კი სიცრუედ დარჩა. ვერც მოასწრო გამოსტყდომოდა, რომ დაობლდა კიდეც.

დედა ერთი კვირის დაწოლილი იყო საავადმყოფოში.

„ნუ მოხვალ, ნან, სამსახურს ნუ გააცდენო", — ეუბნებოდა, როცა სანახავად მივიდოდა.

ზაურყანი ხედავდა, რომ დედას კარგად არ უვლიდნენ. მოხუცი ძალიან ცდილობდა დაემალა ეს შვილისთვის, მაგრამ მაინც აშკარა იყო.

„შენც ხედავ, ნან, რა ექიმიცაა, შენი თანამდებობა რომ იცოდეს, ან სხვა რამ, უფრო ყურადღებიანი იქნება. ეს იმ ჯილაგისაა, ვისი სინდის-ნამუსიც იოტისოდენაა, მაგრამ რას იზამ... წადი, ნან, ნუ დაიგვიანებ სამსახურში".

დედა ბედნიერი იყო, რომ შვილი გამომძიებელი ჰყავდა. მისთვის ეს დიდი თანამდებობა იყო. ექიმს რომ უთხრა ამის შესახებ, მან მხოლოდ გაიცინა. ქალს ეგონა, უფრო ყურადღებას მომაქცევსო, ალბათ, არც დაიჯერა, რომ ასეთ სუსტ, დალეულ დედაბერს შვილი ასე დიდი კაცი ეყოლებოდა. ეს რომ მისთვის თვითონ ზაურყანს ეთქვა, სირცხვილისაგან ცივ ოფლს დაასხამდა. არც ეტყოდა. როცა დედა ვინმეს ამაზე მისი თანდასწრებით ეუბნებოდა, საშინლად წითლდებოდა.

და აი, ზაურყანმა ძალიან ღრმად შესტოპა ფუტკარი თვითონ გაეხვია ქსელში. სხვა გამოსავალი არ იყო.

დამუშტულ ხელს ხან ამოიღებდა ჯიბიდან, ხან ისევ შიგ მალავდა. ყოველთვის, როცა უხერხულ მდგომარეობაში ვარდებოდა, შუბლი უსველდებოდა, ახლა კი რატომღაც, ხელი დაუსველდა. მთელი ფიქრები, იმედი, შიში, სასოება, სინდის-ნამუსი, რომლისთვისაც არასოდეს უღალატია, ყველაფერი სასწორზე შეაგდო.

ზედ უფსკრულის პირას იდგა. გრძნობდა, ფსკერამდე ვერ ჩასწვდებოდა, მაგრამ ყველაფერს იქ გადაჰყრიდა, რასაც უფრთხილდებოდა.

ექიმი, ვისაც ყველაზე ძვირფასი ადამიანის გადარჩენა შეეძლო, საავადმყოფო ფურცელს ავსებდა.

ზაურყანი წარამარა შუბლს იწმენდდა და ფეხზე ძლივს იდგა.

ექიმი თავაუწევლად, ჯიუტად წერდა, თითქოს ამ ქაღალდს ყველას მორჩენა შეეძლო.

—რატომ დგახარ ახალგაზრდავ? მე ხომ გითხარი დედაშენის ჯანმრთელობის ამბავი. არ ვიცი, ვნახოთ. ავადმყოფი ბევრია, ჩვენ კი — მკურნალები ცოტანი ვართ, რას ვიზამთ, ვერ ვასწრებთ.

თეთრი ხალათი მოჩვენებასავით ბუნდოვნად აღმართულიყო ზაურყანის თვალწინ. — არც პირი ჰქონდა, არც ცხვირი. მხოლოდ თეთრი ხალათი და სხვა არაფერი. ახლა, თუ ფეხს გადადგამდა თეთრი ხალათისაკენ, თეთრი ნისლით ამოვსებულ უფსკრულში მოადენდა ზღართანს. ფეხები უკანკალებდა. ჯიბეში ჩაშმუჭნულ ქაღალდებს ხან გაასწორებდა, ხან ისევ მუჭაში ჭმუჭნიდა. თითო ქაღალდში ნახევარი თვის ხელფასი იყო. თეთრი ხალათი ისევ წინ ციალებდა, თითქოს ეძახდა — მოდი, ჩემთანო. მათრახშემოკრული ცხენივით მკვეთრად გადადგა ნაბიჯი მისკენ. თვალთ დაუბნელდა. მხოლოდ ისღა მეამჩნია, რომ თეთრმა ხალათმა თითქოს ხახა დააღო-

შეცვლილი სახით დაბრუნდა პალატაში ზაურყანი.

დედის დათოვლილი თავი ბალიშზე იდო. ბალიშისპირიც თეთრად ქათქათებდა, ზეწარიც.

ისევ ხახადაღებული და ავად აღმართული თეთრი ხალათი მოეჩვენა. თვითონაც ჩაეტევა მის ხახაში.

„საჭირო არ არის, მადლობთ“. — თეთრი ხალათის ეს სიტყვები მანამდე ჩაესმოდა ყურში, სანამ პალატის წამლების სუნი არ იგრძნო. იქნებ, კიდევ რაღაცას ამბობდა თეთრი ხალათი, მაგრამ იგი ტყვიასავით გამოვარდა ოთახიდან.

— ბედნიერი სიბერე გაქვს, ჩემო არდუშნა, — უთხრა დედას პალატის მეზობელმა.

— მაგათ შემოევლე. ეს აქ მუშაობს გამომძიებლად, მეორე კი, შინ კერას არ აქრობს. —გაეპასუხა დედა, თითქოს ეშინოდა, რომ ერთის შექება მეორეს არ წყენოდა.

— ბედნიერი სიბერე გაქვს.

— მაგას ვენაცვალე, თვითონ გამოვიდა ხალხში, თორემ მე რა შემეძლო. მითხრა, მეგობართან სტუმრად მივდივარო და სინამდვილეში კი რუსეთში რომელიღაც ცნობილ ინსტიტუტში მოეწყო და სტუდენტად დამიბრუნდა. მაინც არ მინდოდა ასე შორს გაშვება, სხვა სხვის ტკივილს ვერ გაიგებს. ბავშვობიდან ბევრი სიმწარე ნახა. მეშინოდა, რაიმე ხიფათს არ გადაჰყროდა, მერე როგორღა უნდა მდგომოდა პირში სული, — ძლივს ამოთქვა დედამ დაღვენთილი სანთელივით ჩამქრალი ხმით. — მომიახლოვდი, ნან, რაღაც ფერი არ გადევს, ცუდად ხომ არა ხარ?

— ჯანმრთელად ვარ. რად მეკითხები? ჰო, ფერმკრთალი რომ ვარ? ეს იმიტომ, რომ დავიღალე, დედა, — ხელისგულებში მოიმწყვდია მისი ბამხდარი ხელები, თითქოს უნდოდა ახალგაზრდული სისხლი ჩაეღვარა მათში.

— რაღაც ხშირად მიოფლიანდება შუბლი.

— ცხელა, გაივლის. შენ გამოკეთდები. ექიმი ახლა უკეთ მოგხედავს. დედა, გახსოვს, ერთხელ ბავშვობისას, მეზობლის — გაჩის ბაღში რომ კვერცხი ავიღე და შინ მოვიტანე? მაშინ პატარა ვიყავი, მაგრამ ახლაც მახსოვს, შენ რომ მცემე და კვერცხი უკანვე წავიღე.

— ხელები გაუხმეს დედაშენს!

— ბაღში ქათამს დაედო. მე რომ არ ამეღო, სულერთია, რამე შეჭამდა, ღორი, ან რამე.

— ღორი, იმიტომაც არის ღორი, ნან! როგორ აიღე სხვისი საკუთრება? ამას უნამუსო ადამიანები სჩადიან, ეს თავის გალანძღვაა. ნურასდროს ჩაძვრები სხვის ჯიბეში და ნურც მისცემ უფლებას, შენს ჯიბეში ჩაძვრეს.

— თეთრი, ქათქათა კვერცხი წავიღე და თვითონ გაჩს მივეცი.

— რატომ გაიხსენე დღეს ეს, დედა შემოგევლოს?

— განა მარტო დღეს? ეს ყოველთვის მახსოვს.

— ხელები მოსტყდეს დედაშენს, თითქოს ახლა დამერტყას, გული მეტკინა, როცა გამახსენდა, რომ გცემე.

— ძალიან მკაცრი იყავი, აუტანელი, — ხუმრობდა ზაურყანი, და ხელებზე ეფერებოდა.

— ეს კარგი სიმკაცრეა, ნან. შენ ხუმრობ, მაგრამ ხუმრობაში სიმართლის ნაპერწკალია. ახლა უკვე დავსუსტდი, დავჩაჩანაკდი, მაგრამ როცა საჭირო იყო, მკაცრი ვიყავი. ამიტომ არც სხვისთვის მიმიცია ჩემი და არც სხვისი მიმითვისებია. დედის მხრიდან თქვენ ყალბი დიდება არა გაქვთ. არაფინ დაგაყვედრით, ცუდი არდუშნას შვილები ხართო. ახლა უკვე დიდები ხართ. იცხოვრეთ ისე, როგორც ჭკუამ გაგიჭრათ. რა გითხრა, ნან, ექიმმა? თურმე აქ ნამდვილი ექიმიც ყოფილა, მაგრამ ამბობენ, შვებულებაშიაო. ამ ექიმს ცოტა სინდისი აკლია. ხომ გეუბნებოდი, რომ გეთქვა სად მუშაობ...

— ახლა უკვე ყურადღებას მოგაქცევს, სხვა თვალით დაგიწყებს ყურებას. აი, ნახავ.

— შენ შეგრცხვებოდა და არაფერს ეტყოდი, ალბათ, თვითონ გაიგო. მე რომ ვუთხარი, არ დაიჯერა, მხოლოდ გაიცინა.

— თანდელი ჩამოვიდა? — იცოდა, რომ ძმა უკვე იყო, მაგრამ საუბრის თემა რომ გამოეცვალა, იმიტომ იკითხა.

— იყო, ნან, გუშინ რძალიც ჩამოვიდა. ვთხოვე, მეტად აღარ ჩამოვიდეს, არ შეწუხდეს, თანდელი ხომ სულ მოუცლელია, აქეთ კოლმეურნეობა, იქით სახლი. მეშინია, ბავშვებს არაფერი მოუვიდეთ, მარტო რომ ტოვებენ. არ მინდა გული გატკინოთ, მაგრამ ჩემი სენი, ალბათ უბრალო რამ არ არის. სიზმრებიც ცუდი მაქვს, — ნაძალადევად გაიღიმა და ჩამქრალი ხმით დაუმატა. — როდემდე შეუძლია მამათქვენს იქ მარტო იყოს? წუხელ მთელი ღამე მასთან ერთად დავბოდიალობდი ჩვენს ბაღში. ღმერთმა ჩვენს სიკვდილზე მეტი სიმწარე ნუ გაჩვენოთ. მე პირნათელი წარვსდგები მის წინაშე, მარტოს დამიტოვა შვილები დასაზრდელად და თვითონ წინაპრებს მიაშურა. ახლა, როცა მივალ მასთან, ვეტყვი, რომ შევძელი ჩემი კაი ქალობა დამემტკიცებინა.

— განა დამნაშავეა, რომ ადრე მიგვატოვა?

— დამნაშავეა, ძალიან დამნაშავე. ძალით არავინ მიათრევდა ომში. აქაც საჭირო იყვნენ ადამიანები. დარჩი, ეუბნებოდნენ სასოფლო საბჭოში, მაგრამ, როცა ჩემი მეგობრები ომობენ, მე რომ კერასთან ვიჯდე, ეს რა ვაჟკაცობაა? ატყდა და დატოვა ოჯახი დაობლებული. კარგად გამოვუფხიკავ იმ ყურებს როგორც კი მასთან მოვხვდები.

— ახლა თირკმელების მიზეზით არავის მოკლავენ, გამაგრდი. დღეიდან ექიმი უკეთესად მოგივლის, უკეთ მოგხედავს, კარებისაკენ გაიხედა. ეშინოდა, მის წასვლამდე არ შემოსულიყო თეთრი ხალათი.

ამ დღიდან, სადაც არ უნდა წასულიყო ზაურყანი, თეთრი ხალათი ყველგან თან დასდევდა სიკვდილს მოციქულივით.

დედამ მთელი ზაფხული საავადმყოფოში გაატარა. ზამთარში, უკვე ფინ მოიყვანეს. ხან იწვა, ხან ფეხზე იყო. მხოლოდ გაზაფხულზე, ამ დროს სამუდამოდ მიიძინა. მაშინაც ასე გაახალგაზრდავებული იღვიძებდა ბუნება. ეს უფრო აძლიერებდა დედისადმი დარდს და შვილის ნახვის სურვილს.

ახლაც, დედის გახსენებაზე, თვალწინ დაუდგა თეთრი ხალათი. რატომღაც ორივე ერთად გაახსენდა: თეთრი ხალათიც და კისერა ოფიციანტიც, მისი ყოფილი მასწავლებელი. თითქოს მათი ფესვები, ერთმანეთშია გადახლართული, თითქოს ერთმანეთთან რაღაცით არიან დაკავშირებული.

ვერ გაიფანტა ფიქრები.

ადგა, ტელეფონი აიღო, რომ ზულფასთვის დაერეკა, უნდოდა ეთქვა, რომ არასწორად მოიქცა. ნაქმარევზე გაჯავრებულს შვილი არ უნდა დაესაჯა. თუ კარგად დაუკვირდებოდა, არც ქმრის საქციელი იყო გასაჯავრებელი. როგორი გაშმაგებულიც არ უნდა ყოფილიყო და როგორადაც არ უნდა სდომებოდა ჩემთვის სამაგიეროს გადახდა, ბავშვისთვის გვარი არ უნდა წაერთმია. ეს ყველაფერი ახლავე უნდა უთხრას.

ყურმილი ყურზე მიიკრა.

დაფიქრდა.

არ უნდა აჩქარდეს.

რამდენი ვნება მოუტანა თავის თავს აჩქარებით.

ჩემი ცოლი, ქალი, რომელსაც გავეყარე, სხვა მამაკაცს მისთხოვდა, უშვილოს. მე რა დავაშავე? ჩემი გვარი არცთუ ისე მრავალრიცხოვანია. მაგრამ ბევრიც რომ ვიყოთ, მაინც ჩემგან გაჩენილს ჩემი გვარი უნდა ჰქონდეს. იქნებ აღარც მექნეს სხვა ოჯახი, აღარც მეყოლოს შვილი, და ათიც რომ მეყოლოს, ჩემმა შვილმა ჩემი გვარი უნდა ატაროს. არ უნდა დაერეკა მისთვის ჩამოსვლისთანავე: განა რა უთხრა? ჰკითხა, რომელ საბავშვო ბაღშია ჩემი შვილი. მეტი არაფერი, არავითარი გესლი. გავიყარენით... ბევრნი იყრებიან. შინიდან არაფერი წამიღია. ყველაფერი

მას და ბავშვს დავუტოვე; მეტი არ შემეძლო. ყველანი განმიდგნენ, ქვის კედელით გამომეყვნენ. ჩემს საჰუშაოს, როგორც ვარსკვლავს ისე ვუცქერდი და მასთან ერთად კედლის მიღმა აღმოვჩნდი, რამდენიც არ ვცადე, მასთან ერთად კედელში ვერ შევაღწიე. ვერ ვიპოვე ისეთი გზა, ჩვენ რომ შეგვარიგებდა.

ყურმილი დადო.

ცოტა ხანს იწვა თავქვეშ ხელებამოდებული.

მერე ისევ აიღო ტელეფონი. საქალაქათაშორისო აკრიფა, მორიგეს სთხოვა მალე შეეერთებინა აბაზთქალაქთან. „ოჰ, მართლა, მაპატიეთ, თქვენ ხომ არ იცით ასეთი ქალაქი. გეთაყვა, ჩაიწერეთ“. — დაასახელა თავისი ქალაქი, ტელეფონის ნომერი. „დიახ, დიახ, სამსონი ჰქვია, პატივცემული სამსონი, ყოვლისშემძლე სამსონი, სასწრაფო? დიახ, გმადლობთ. ველოდები.

დღე მიიწურა. ეზოში დამსვენებლები შეიკრიბნენ. ფერხულის მოცეკვავეებივით წრე შეჰკრეს და ხელიხელჩაკიდებულებმა სიმღერა წამოიწყეს.

ფანჯრიდან გადახედა მათ ზაურყანმა.

ერთ-ერთმა ცარიელი ბოთლი მოიტანა, თამაშის წესი ყველას გააცნო, მერე ეს ბოთლი წრის შუაგულში დადო და დაატრიალა.

ბოთლის პირი ერთი ხანშიშესული ქალისაკენ შებრუნდა.

დამტრიალებელი მასთან მივიდა და აკოცა.

ყველამ ტაში დაუკრა და გაიცინა.

შემდეგ ამ ქალმა დაატრიალა ბოთლი.

ასე გაგრძელდა, ატრიალებდნენ ბოთლს და კოცნიდნენ, ვისკენაც ბოთლის პირი შემოტრიალდებოდა. თუ ხანშიშესულებს კოცნიდნენ, იცინოდნენ, ხოლო თუ ახალგაზრდას, შვებით ამოიოხრებდნენ ხოლმე.

იცინოდნენ, თამაშობდნენ მხიარულად, იგრძელებდნენ დღეებს.

მცირე საუზმის შემდეგ ზაურყანს პირში ხემსი არ ჩასვლია. შიმშილისაგან კუჭი უწრიალებდა. მოთამაშეთა ხმაური და გნიასი სულ უფრო ძლიერდებოდა. ფანჯარა დაკეტა, ყურმილი აიღო და ანას დაურეკა. პირველი საუბრის შემდეგ მისი ხმა არავისში აერეოდა. მაშინვე იცნო რბილი, ხავერდოვანი ხმა, მაგრამ ნეტავ ქალმა თუ იცნო? იქნებ სჯობია, დადოს ყურმილი?

— გისმენთ, ალო! — ხმა უფრო ახალგაზრდულად ჟღერდა.

ზაურყანს დილანდელი შეხვედრა გაახსენდა. მისალმების შემდეგ დაწყებული საუბარი გააგრძელა. კიდევ თქვა რაღაც სასაცილო აბაზთქალაქზე. ქალის სიცილი კარგ ხასიათზე აყენებდა, სულიერად ამაღლებდა. კარგ მელოდიასავით მთელი გულისყურით უსმენდა. გაჩუმდებოდა თუ არა, ისევ რაიმე სასაცილოს წამოიწყებდა და ისევ აცანებდა. მთავარი კი ვერ მოასწრო ეთქვა, საუბარი მოულოდნელად შეწყდა.

— ალო, ალო! დიახ, შევუკვეთე. გმადლობთ, შემაერთეთ, ალო, ეს შენა ხარ, სამსონ? სალამ-ალეიკუმ, სამსონ, დიახ, ეს მე ვარ. შენი ხმა მომენატრა. როგორა ხართ? მიიღე საქონელი? სასიამოვნოა. როგორც გინდა გაყიდე, ვისაც გინდა, მიეცი. რა არის კიდევ ახალი სამსონ? სამსონ, ძვირფასო, ყოვლისშემძლე სამსონ, მოგატყუა, გაგკრიჭა არა, დალიემ? დალიემ მეთქი, გეუბნები. შეგიძლია დაასხა. კარგი ასეც იყოს, მე მეთქვას დაასხი. ისე გითხარი, გაგეხუმრე. მართალია, არ მინდოდა დაგერეკათ, ჩემთან ჩამოსულიყავით. რა მოხდაო, მეკითხები, გემი ისევ ღრმად შეიჭრა კილით ქვიშაში? უკეთ მითხარი. მიმავალ გემზე ანძას არ ჩავებღაუჭები და არ დავიწყებ იმის მტკიცებას, რომ არ მივცურავ. მართალია, ხელი გავუშვი ანძას, მაგრამ ახლა ამავე ანძასავით სწორი გზა მაქვს. როდის გავუშვი? დიდი ხანია, იმ დღიდან, რაც შენთან გადმოვედი, იმ ხნიდან, რაც თავს ვუთხარი, ყველაფერი ამაოა მეთქი. ტყუილად ხომ არ დავეხმარე შენს გემს. არ ღაგავიწყდეს, მე რომ არა, შენი გემი ჩაიძირებოდა. აი, ასე არ დაივიწყო. ჩემი

გემი მივატოვე და შენი გადავარჩინე, რომ მის გემბანზე ფეხიფეხ შემოდებული დავჯდე. რატომ გეუბნები ამას? სამსონ, ჩაჯექი შენს მანქანაში, აიღე ორი ნაჭერი, დამბას რომ ვეძახი, ისა და ხვალვე აქ გაჩნდი. დაგავიწყდა დამბას რას ვეძახი? ის, რაც მე და შენ და ყველას გვაკავშირებს. ორი ნაჭერი, როგორც თქვენ ამბობთ და როგორც მალე მეც ვიტყვი. დირგუნიც გამოიყოლე. არა, რა მანქანის ყიდვა! დავლევთ, ვიპურმარილებთ და კიდევ ერთი საქმისათვის მჭირდება. იყოს ორი ნაჭერი, თუ დარჩება, არ დაიკარგება. დირგუნი არ დაგავიწყდეს, ვიხუმრებთ მაგაზე და გულზე გასკდება, თვითონ კი ამ მოგზაურობას ცხოვრების შესწავლას დაარქმევს. რა მოხდა?! ჩამოხვალთ და გიამბობთ. დასვენება დამთავრდა. ტატიანას? ტატიანა, საყვარელი ტატიანა... არა, არ უთხრა. თუ მიკითხოს, ხომ იცი, როგორ უყვარს ფული. უთხარი რაც გითხარ: თუ შენ ისევ გიყვარს ის, რაც გიყვარს, მეც ასევე მიყვარს ის, რაც მიყვარს-თქო. ჰო, აქ კალამბურების მოგონების მეტს არაფერს ვაკეთებ. ერთს სცდი, გადაყლაპავ და თავისუფლად ამოისუნთქავ. რომ ჩამოხვალ, ერთს კიდევ გეტყვი, აქ მოვიფიქრე. მოკითხვა ყველას. — ყურმილი დაკიდა.

„ტელეფონმა დაისვენა", მერე ისევ აიღო ყურმილი და ანას ნომერი აკრიფა.

რესტორანის მთლიანი მინის კედლებიდან მოჩანს შორეული ზღვაცა და ცხვირწინ აზიდული მაღალი მთებიც. ახლა ისინი თითქოს უფრო მოახლოებულიყვნენ და ერთ მხარეს მუქ ფარდად ჩამოფარებულიყვნენ ფანჯრებზე, მეორე მხარეს კი ზღვა გარინდულიყო წყნარ კამკამა ტბასავით. სიბნელე ეშვებოდა. ანას რომ არ მოეწყინა, ზაურყანი ცდილობდა ეხუმრა. ქალი ისედაც კარგ გუნებაზე იყო, ჰყვაოდა ახალგაზრდობით. ბევრი რამით შეეძლო ანას მამაკაცის მოხიბვლა: შუაზე გაყოფილი, სქელი წაბლისფერი თმით, ცისფერი თვალებით, მოგრძო სახით.

ალბათ, მეტისია, — გაიფიქრა ზაურყანმა. — მეტისები ძალიან ლამაზები არიან. თუ დიდი ბრძენი არაა, სამაგიეროდ გულისხმიერია.

დიდხანს ეხვეწა სანამ ერთად ვახშმობაზე დაითანხმებდა. ზაურყანს მოსწონდა კიდეც, ქალი რომ არ ეთანხმებოდა, მიხვდა, რომ ეს სიამაყით მოსდიოდა. თითქოს დააკნინებდა ეს ვახშამი, სხვის თვალში. მართალიცაა, ვინ არის მისთვის ზაურყანი, თუმცა თვითონ კი სთქვა, რომ იგი რაღაცით არ ჰგავდა სხვა დამსვენებლებს.

„ადგილობრივები თავშეკავებულები არიან, პატივს სცემენ საკუთარ თავს. ოჯახმა არ გაუმართლა. უყვარს თავისი შვილი, ალბათ, იმისთვის მეპატიჟება რომ მარტოობას გაექცეს", ფიქრობდა ქალი.

ზაურყანმა კილოზე შეატყო, რომ ქალს მასთან შეხვედრა უნდოდა. ამან უფრო გააღვივა ცეცხლი. მის სასიყვარულო თავგადასავლებში ქალის მიერ წარმოთქმული „არა" იმ ნიავს ჰგავდა, რომელიც ცეცხლის დანთებას უწყობდა ხელს. რაც უფრო უბერავდა ქარი, მით უფრო ძლიერდებოდა ცეცხლი. მას შემდეგ, რაც პირველი კოცონი გაქრა, დანარჩენები მხოლოდ ბურბუშელებივით ხანმოკლედ ენთებოდნენ. კლებულობდა ქარი და ქრებოდნენ ნაპერწკლებიც. ბოლოს იგი გაციებულ ფერფლთანღა რჩებოდა.

წარამარა თავს დასტრიალებდათ ოფიციანტი თვალების ხამხამითა და ალმაცერი მზერით, თითქოს ბაგიდის ქვეშ იხედებაო. ნუთუ სინათლეს ვერ მიეჩვია მისი თვალები? ალმაცერად ყურება, გვერდულად სიარული. ხამხამა თვალების ცარიელი მზერა! — არაფერი შეცვლილა.

რამდენი წელი კი გავიდა! მხოლოდ ხმა შესცვლია.

წინათ წვრილი კისერი ჰქონდა და თავს ძლივს იჭერდა, ახლა კი ზვავგადავლილ ფერდობივით ჰქონდა დამრგვალებული და ციცარივით ხორკლი ეყარა.

ბავშვებს ისე უყურებდა ხოლმე, როგორც გარეული კატა წიწილებს. მუდამ გრძელი, განიერი სახაზავი ეჭირა, წვრილი, ჟღარუნა ხმით გაიძახოდა: „თქვე ველურებო!“ ალბათ, ხმის ამოსასვლელი დაეანგული ჰქონდა. ახლა კი ეს ყელი ქონით იყო გაპოხილი. ხმა ჩახლეჩოდა, ნაწყვეტ-ნაწყვეტად ლაპარაკობდა თითქოს იხრჩობაო.

— ამას რისთვისაც ვამბობ, ბოლოს გეტყვი. — სიჩუმე დაარღვია ზაურყანმა, სკამზე თავისუფლად დაჯდა და გააბოლა. — ჰკითხავ, ზოგიერთს მოწმეობის დროს, ან ფარისეველური სადღეგრძელოს თქმისას — შემთხვევითაც არავის წამოსცდებოდა, რომ მშობელი დედა არ უყვარს. უდიერად მოიხსენიებ და წამსვე დაჭრილ გარეულ ტახად გადაიქცევა. მაგრამ ეს თავმოყვარეობის გამო მოსდის. შეურაცხყოფილია, რომ აბუჩად აიგდე. რა თქმა უნდა, არიან დედის უსაზღვროდ მოყვარული შვილები, რომ იტყვიან ხელისგულზე ერბო-კევრცხს მოიწვავსო, მაგრამ თუ იმათი ნახვა გინდა, ვისზედაც მე ვლაპარაკობ, სასამართლოში მოდი. არაერთ დედას დაინახავ შვილებისაგან მიტოვებულს. მეც მომიწია ერთხელ ასეთ საქმეზე ჯახირი. ამასვე ჰგავს მასწავლებლებისა და მოსწავლეების დამოკიდებულება. ვისაც არ უნდა ჰკითხო, ხნიერებს და ღრმად მოხუცებულებს, ყველანი იტყვიან, რომ მათ ბავშვობისას შესანიშნავი მასწავლებლები ჰყავდათ და რომ დღემდე უყვართ ისინი. სინამდვილეში კი, ნაღვლობენ არა მასწავლებლებზე. არამედ დაუბრუნებელ ბავშვობაზე. პირადად მე ჩემი ზოგიერთი მასწავლებლის გახსენებისას მხოლოდ ბრაზი და ზიზღი მერევა. მახსოვს, ერთი მასწავლებელი მყავდა მესამე კლასში, რომელსაც დღემდე პატივსა ვცემ, მაგრამ სამწუხაროდ იგი მხოლოდ ერთ წელს მასწავლიდა. მერე ომში წავიდა და დაიღუპა. სხვა უგერგილო მასწავლებლებმა, როგორიც ესაა, საჭმელს რომ გვაწვდის, ისიც ვერ შესძლეს, რომ ჩაეჭროთ პატივისცემა, რომელიც სანთელივით ენთო იმ მასწავლებლის მიმართ... იქნებ ეს სიყვარული იმიტომაც არ გაქრა, რომ მან იგი საკუთარი სიცოცხლით განამტკიცა. ხომ ხედავ, ეს როგორ დასუნსულებს სუნდაკრულ ყვავივით. „ველურებო!“ ხაფანგში ფეხჩავარდნილივით დაგვღრიალებდა ბავშვებს. ქალაქელი რომ იყო, თავი მოჰქონდა და ყველაფრის მცოდნესავით იქცეოდა. ყვირილით რომ მოიღლებოდა, სახაზავის ქნევით წამოხტებოდა სკამიდან და ვაი მას, ვისაც დაარტყამდა. იმდენად ცემა არ იყო საშინელება, რამდენადაც მისი მოლოდინი. ყველაზე მეტად ეს ლოდინი მიჭირდა. ძლივს ვიკავებდი თავს, რომ არ წამოვმხტარიყავი და სახაზავისთვის თავი არ შემეშვირა, ან ხელიდან არ გამომეტაცა, თვითონვე ჩამერტყა თავში და შემდეგ ისევ დამებრუნებინა. მაგრამ მეშინოდა, რომ თუ მივუახლოვდებოდი, მაგრად მიმტყეპავდა, ყვირილით გულს რომ მოიძღობდა, ბრაზი ცოტათი უნელდებოდა. იქნებ თქვა ბავშვების ცემის უფლება ხომ არ იყოო? მართალია, მაგრამ ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, როგორ სკოლაში სწავლობდი. პატარები კი ვიყავით, მაგრამ პირველად ამას მივხვდით. მაშინ ძალა ლაპარაკობდა, სიმართლე კი დუმდა. როგორც დღე არ ჰგავს ღამეს, ისე არ ჰგავდა წიგნში დაწერილი ცხოვრებაში მომხდარს. მადლობა ღმერთს, ყველაფერი თოვლჭყაპივით მალე დადნა.

— რა მოგიტანოთ დასალევად? — ძლივს ამოღერღა კისერამ, რომელსაც ხელში ფანქარი და წიგნაკი ეჭირა. ეტყობოდა, ზაურყანი ვერ იცნო. სად გაახსენდება! დაუვიწყარია ის, ვინც ძალიან გიყვარს, ან ასევე გძულს. კისერასათვის ყველა ბავშვი ერთნაირად უცხო იყო. და როცა მათ უღიმოდა, არცერთი მათგანის ტუჩებზე ღიმილი არ კრთებოდა.

— გმადლობთ, არაფერს არ ვსვამ. — თქვა ანამ.

— ერთმანეთის სადღეგრძელო მაინც

დავლიოთ. მოიტანე, ამხანაგო, ერთი ბოთლი შამპანური და კიდევ...

— გვეყოფა. — ჩაერია ანა.

— მართალია, გვეყოფა. არა ოფიციანტო, სამვარსკვლავიანი მოიტანე.

— ვინ დალევს ამდენს? რატომ უკვეთავ ზაურყან? — გაუკვირდა ანას.

— მოიტა. აიღე ეს და სწრაფად მოგვემსახურე. შენ ეს ძალიან მოგიხდება. — და წითელი ქაღალდი მისცა. თითქოს მზეს შეხედაო, კისერას თვალები აუხამხამდა.

— გმადლობთ, არ იყო საჭირო, — წელში მოხრილი გაეცალა მაგიდას.

— თურმე შესძლებია სწრაფი სიარული. რუკისაკენ რომ სახაზავის ქნევით მიდიოდა, მაშინ არ ჩქარობდა.

— ბოდიში, რომ გეუბნები, მაგრამ ძალიან უხერხულია ფულის ასე აშკარად მიცემა. თანაც ისე მიაჩეჩე, თითქოს ვალს უბრუნებდი.

— მართალი ხარ, ანა. არ გეგონოს ვტრაბახობდე, მაგრამ მერწმუნე, ყოველთვის ასეთი არ ვიყავი. თუნდაც გუშინ რომ შევხვედროდით ერთმანეთს, ამ რესტორანში არც შემოვიდოდი. გუშინ კიდევ ბევრი რამის იმედი მქონდა. კისერა, მოდი აქ!

— ჰმ, შენი ჭირიმე მე ასე არა მქვია! თუმცა არაფერია, ასეც მეძახდნენ. კისერა!.. ჰმ, ერთ სოფელში გამგზავნეს, რომ ბავშვებისათვის თვალი ამეხილა და იმ გაფუჭებულებმა კი კისერა შემარქვეს. ერთხელ გავიგონე კიდეც, როგორ დამიძახა მთელმა ჯგუფმა ასესულ თავები ვახეთქებინე ერთმანეთზე. ჰმ, ეს არც ისე ცუდად თქვი... მართლაც მივეჩვიე თავის ცოტა გვერდზე დაჭერას.

— ოფიციანტო, ეს სამვარსკვლავიანი უკან წაიღე და ოთხვარსკვლავიანი მომიტანე. ვიცი, ანა, არა სვამ და არც მე მინდა, მაგრამ დაე მოიტანოს.

— ნუ ნერვიულობ ზაურყან, ასე ნუ განიცდი. თუ დღეს ვერ ნახე ბავშვი, ხვალ ნახავ. — ბრძილად თქვა ანამ.

— რატომღაც სულ ჩემზე ვლაპარაკობთ. როგორ მიხვდი, რომ კისერასთან ვცდილობ ყველაფრის დავიწყებას?

— არ დაგიმალავ და ამისთვისაც დაგთანხმდი შეხვედრაზე. შეგატყვე, რომ ძალიან დაბნეული იყავი.

— როგორ ამბობენ? — ადამიანი რომ მარტო არ იყოს, — გაიღიმა ზაურყანმა, — რომ დამსვენებლებმა კარგად დაისვენონ, როგორც არასოდეს, უნდა შესრულდეს მშრომელთა კულტურული მომსახურების ვალდებულება. ჰა, ჰა! მაპატიე, ანა, სულელური სიცილი. ნახე, რა სიტყვებია. ასეთი სიტყვები ჩემმა მეგობარმა, დიდმა მწერალმა დირგუნმა მასწავლა. მისი წიგნების გმირები ასეთი სიტყვებით ლაპარაკობენ.

ანა იცინოდა მხოლოდ იმიტომ, რომ ზაურყანი იცინოდა. მას სიამოვნებდა, რომ რაც არ უნდა იყოს, შესძლო ზაურყანის გამხიარულება.

— მე ვერ გაგამხიარულე, მაგრამ... იცინოდა და ანას სიტყვებზე ფიქრობდა. თურმე არც ისე უჭკუო ყოფილა, როგორც პირველად ეგონა.

— კისერა, არ შემიძლია ოთხვარსკვლავიანის დალევა, წადი, ხუთვარსკვლავიანი მომიტანე, — დაუქნია ხელი ზაურყანმა. კისერამ პირი დააღო რაღაცის სათქმელად, მაგრამ თავი შეიკავა.

— ზაურყან, არ შეგფერის, ნუ შვრები ამას, — სთხოვა ანამ, როცა ოფიციანტი წავიდა.

არა, ეს აზრიანი ქალია. მინდოდა თავი დამერწმუნებინა, რომ იგი არც ისე ჭკვიანია. ეს იყო და ეს. სილამაზის პოვნა ჭკუასთან ერთად ისევე ძნელია, როგორც დღისით ცაზე ვარსკვლავების შემჩნევა. თუ ქალი ლამაზიცაა და ღმერთმა დაიფაროს ჭკვიანიც, როგორღა უნდა მოშორდე?

— გმადლობთ, ანა, რომ ასეთი ქცევა ჩემს შეუფერებლად ჩათვალე. ვიცი, ხვალ ვინანებ, მაგრამ თავს ვერ ვიკავებ. განსაკუთრებით დღეს. ასეთ რაძეს გუშინ არ ჩავიდენდი. გუშინ ამ რესტორანის ზღურბლსაც არ გადმოვაბიჯებდი. აქლემს ბალახის ერთმა

ღერმა წელი მოსწყვიტა. სწორედ ასეთი შეიქმნა ჩემთვის დღევანდელი დღე. ქრისტიანული ყველაფრის მიტევებაა, სიავეს სიკეთით უპასუხო... ჰა, ჰა, ჰა! უბრალოდ რომ ვთქვათ, შენი მტერი პურმარილით დაამარცხო. ეშმაკსაც წაუღია ყველაფერი! ეი, სად დაიკარგე კისერა. სულაც არ მინდა კონიაკი. წაიღე ეს ხუთვარსკვლავიანიც. ჩემს ხარჯზე მიეცი მებუფეტეს, კონიაკით ხალტურის გაკეთება ხომ ადვილია.

მიმტანი უხმოდ იდგა. ბრაზი ედებოდა. თვალები ჩვეულებრივზე მეტად შეძვრნენ „გამოქვაბულში“ და ადრინდელზე მეტად ახამხამდნენ. უნდოდა რაღაც მწარე ესროლა, მაგრამ ზაურყანმა ისეთი ჯებირი დაახვედრა, რომელიც მოწოლილ სიბრაზეს აკავებდა და აქრობდა. უხმოდ, თითქოს არაფერს ამჩნევს და არაფერიც არ მომხდარაო, იჯდა დამშვიდებული ზაურყანი. აი, ესესაა წყეულმა მასწავლებელმა მის წინ მჯდომ ამხანაგს ხელებზე სახაზავი დაარტყა, „რომ ხელში კალამი ვეღარ დაიჭიროს!“ და ახლა მისკენ მიემართება. აი, საცაა, დაარტყამს.

— რაღაც ლიქიორის დალევა მომინდა. ჰო, ლიქიორი კონიაკს სჯობია! ოფიციანტო, ლიქიორი მომიტანე, — სიტყვებს ტკეპნიდა ზაურყანი.

— ამხანაგო!.. — კისერა გაიჭიმა, მაგრამ საყელომ ყელში წაუჭირა და ხმა ვეღარ ამოიღო.

— ნუ ნერვიულობ, ძვირფასო ოფიციანტო, მოიტა, ლიქიორი, აჰა, აიღე! — დაკვირვებით დახედა წითელ ქაღალდს და ხელში შეაჩეჩა. როგორ ჰგავს მისი ჯიბეები თეთრი ხალათის დაღებულ ხახას: ნათელი, კეთილი მზე ყველას დაგვნათის. ყველას ერთი დიდი ჯიბე გვაქვს. კისერამ ფული ჯერ ჯიბეში ჩაიდო, შემდეგ კი აჩქარებით ჩაჰყო ხელი უკანვე ამოსაღებად, მაგრამ, ალბათ, ასეთ შემთხვევებში მისი ხელი გონებას არ ემორჩილებოდა. როგორც კი ხელი ფულს მოხვდა იქვე დარჩა და ზედ „მიეჯაჭვა“. კიდევ უფრო გამაგრდა ჯებირი. ჯებირმა მოათვინიერა ტალღები, რომელთაც მისი გადაქცევა სურდათ, ქარიშხლიანი ზვირთცემა შეაკავა მან.

ნაბიჯი გადადგა, შეჩერდა, ისევ გადადგა ნაბიჯი, ისევ შეჩერდა და ბუფეტისაკენ წავიდა.

— ასე სჯობია, ვიდრე ყველაფერი გაახსენო, ლანძღო და შეურაცხჰყო. ეს უფრო დამამცირებელია. ეს თოფის სროლაზე უარესია. მაპატიე, ანა, იქნებ ოდესმე მაინც მნახო უფრო ადამიანური. მე მარტო ყოფილ მასწავლებელს კი არა, ჩემს თავსაც დავცინი. გულზე მომეშვება. სკოლა დავამთავრე, გავიზარდე და სულ იმის ცდაში ვიყავი, გავქცეოდი მის სიყალბეს. ამბობენ, ბავშვობაში სწავლა ქვის მოჩუქურთმებას ჰგავსო. მთელი ცხოვრება ვიბრძოდი, რომ ეს ჩუქურთმა წამეშალა. თურმე ეს არც ისე იოლია. რაც დიდ ფენას აცლი, მით უფრო ღრმად აჩნდება.

ერთმანეთს ჯანმრთელობა უსურვეს და ჭიქები ასწიეს. ანა ტუჩებით ოდნავ შეეხო და ისევ დადგა. ზაურყანმა რაც შეეძლო მჭევრმეტყველურად დალია მისი სადღეგრძელო. უნდოდა ამით მაინც გაემართლებინა თავი, გამოესყიდა დანაშაული. სადღეგრძელოს ამბობდა, მაგრამ მოგონებები რატომღაც ბავშვობისაკენ მიაქროლებდა. მამით ობლობა, მასზე დარდი, მისი ბავშვური ძვლებისთვის მძიმე, ფიზიკური შრომა, მუშაობისაგან მოხრილი დედა. მამა რომ ცოცხალი ყოფილიყო, მისი გზა უეჭლო იქნებოდა. გუთანი ძმას ეჭირა. არც ის იყო დიდი, მაგრამ ცოტათი უფროსი იყო და უფრო ჯანიანიც. თვითონ კი წინ მიუძღოდა ხარებს და რქებზე ჩაბმულ თოკს ეწეოდა. ხანდახან ხარი ბუზის მოსაგერიებლად რომ თავს გაიქნევდა, თოკზე ჩაჭიდებულ ზაურყანს მიწაში ცხვირს წააყოფინებდა ხოლმე...

— დავლიოთ, რომ ქვეყნად არცერთი ბავშვი არ დაობლდეს. მე მგონია, ეს არ არის ცუდი სადღეგრძელო. ჯერ ეს არ დაგვილევია. დაე, იყვნენ ბავშვები მშობლებისაგან განუყრელნი. დავ-

ლიოთ, რომ ის რაც მე გადამხდა, სხვას არ დაემართოს. დავლიოთ, რომ სანამ ცა და მიწა არსებობს, ბავშვს საკუთარი გვარი არ შეეცვალოს.

— ამ სადღეგრძელოს ბოლომდე დავლევ, — უპასუხა ანამ. — ზაურყან, იქნებ უმჯობესია მე დავრეკო და გავიგო, რატომ არ იყო შენი ბავშვი საბავშვო ბაღში?

— გმადლობთ. რა არის გაუგებარი? ყველაფერი გასაგებია. შეეშინდათ, რომ ვნახავ და არ მოჰყავთ. ჰმ, „შენი" კარგადა სთქვი, — ნისლში მზის სუსტი სხივივით გაკრთა მის ტუჩებზე ღიმილი. — სადა, გენაცვალე, სადა მყავს შვილი?! ანა, გეუბნები როგორც ჩემს ერთგულ მეგობარს, გაყრილთა უმრავლესობა იშვიათი გამონაკლისის გარდა, ამბობს, რომ თვითონ მიატოვეს ცოლები. ჩამოგითვლიან მათ ნაკლს, გეტყვიან, რომ ცოლებმა ვერ გაუგეს. მე კი არ შემიძლია ცოდვა დავიდო. რა თქმა უნდა, ჩემი ნაცოლარი უნაკლო არ არის, მაგრამ აქ მე ვარ დამნაშავე. მესმის, რომ იგი შეგნებულად არ სჩადიოდა ცუდს. უბრალოდ ასეთი იყო. მართალია ის კაცი, რომელიც მეორეს ჩააცივდება, რატომ ხარ ასეთი და არა ისეთი? ადამიანმა ის იცის, რაც გაუგონია, უნახავს, რასაც ეხებოდა. მანაც მხოლოდ ეს იცოდა. ახლა, ჩემს დაუკითხავად, თავის ქმართან ერთად ჩემს შვილს საკუთარი გვარი რომ წაართვა, ჩემი ბრალია, — მე ხომ მის დაუკითხავად დავარღვიე ქორწინება. დავუშვათ, რამდენიმე კაცი ჩამწკრივებული მიდიოდა და ერთი წაბორძიკდა. დაცემისას, წინას წააწყდა, ის წინა თავის წინას, ის კიდევ თავის წინას და ასე ბოლომდე. მზეს რომ სითბო არ ჰქონდეს ,მისი სხივები მინასავითაა. ჩვენ ყველანი მინის კედლებიან სახლში ვართ გამომწყვდეული. აი, ამიტომ ჩვენდა შეუმჩნევლად, ყოველი კარგი და ცუდი ჩვენში ერთმანეთზეა გადაჯაჭვული.

შეჩერებაა საჭირო. საკმაოდ აივსე იმით, რასაც თრგუნავდი, ახშობდი შენში. თუ ქალთან ზიხარ, სასიამოვნო რამეზე უნდა ელაპარაკო, — დატუქსა თავი ზაურყანმა. ე. ი. ქალს ისეთი რამ უნდა უთხრა, რომელიც საწოლისაკენ უბიძგებს, არა? მხოლოდ მამაკაცებს უნდა ელაპარაკო საქმეზე — რამდენი ბურღი მივიღეთ? რამდენ ლურსმანს მომცემთ, რამდენ ლილას, თეთრას, საღებავებს, ფოცხებს...

— რაღა შორს წავიდეთ, მაგალითად მე... — განაგრძო მან. — ვიღაცამ სადღაც ჩემს გულში მარცვალი ჩააგდო. იმ მარცვალს სუფთა სული, სინდისი ერქვა. ეს სინდისი ყველა აფხაზისათვის უბედურების, ბედნიერების, სიხარულის საფუძველია. ვიღაცამ ის ჩემში, ჩემს სისხლში ჩააბნია, რომ გაზრდილიყო, აყვავებულიყო, ფესვები გაედგა. ამაში მას დედა დაეხმარა. გაზრდილი მარცვალი ტოტებს იყრის, ბუჩქდება. ჩემთვის კი რა გამოვიდა აქედან, გენაცვალე? კარგი იქნებოდა ეს მარცვალი ჩემში დარჩენილიყო, აქედან იგი გადავიდოდა ჩემს შვილში, მის შვილში, ჩემს შვილიშვილში. ახლა მე ვეჭვობ, კარგი კია ეს მარცვალი?

— ხანდახან ადამიანი ისეთ ხასიათზეა, რომ ყველაზე საყვარელ ადამიანსაც კი აძაგებს. ახლა შენც ასე ხარ, ზაურყან. დაე, შენი მარცვალის გარდა, სხვა მარცვალი ნუ გადაეცეს შენს შთამომავლობას, — შეეპასუხა ანა.

— არ ვიცი. იქნებ მართალი ხარ, არ ვიცი. — გაჭიანურებით თქვა ზაურყანმა. შეჩერებაა საჭირო. ეს რა გულახდილად მივუშვი ლანქერით ადიდებულ მდინარესავით. გააახსენდა პირველი შეყვარებული ქალიშვილი. მასთან კი არაფერში იყო დამნაშავე. დაშორდნენ. ქალი სხვა სიყვარულზე ოცნებობდა. თვითონ კი იმაზე, რომ სიყვარულს სხვა, ოცნების ქვეყანაში წაეყვანა. იქნებ მაშინ დაიწყო მისი ახლანდელი გზა. დარჩა ცისქვეშ, მარტოდმარტო, არაფრის მქონე ცარიელ-ტარიელი. მთელი ცხოვრების დაწყება მოუხდა თავიდან.

ილაპარაკეს დამსვენებლებზე, ამ ქალაქ-კურორტზე. მოსწონდა ანას მსჯე-

ლობა. „იგი ან მართლა საუცხოო ქალია, ან ჩემს წარმოდგენაშია ქალებს შორის უკეთესი“.

— ანა, — თვალებში ჩახედა ქალს, — რატომ ეძნელება ადამიანს გამოტყდეს, რომ თავს კარგად გრძნობს? ბევრჯერ მიფიქრია ამაზე.

— მე მგონია, ადამიანი ყოველთვის უკეთესს ეძებს და ეს არის მიზეზი!

— მართალია, მაგრამ მეჩვენება, რომ ადამიანი იმ ედემზე ნაღვლობს, საიდანაც ადამი გამოდევნეს, მას არ სურს შეურიგდეს იმ აზრს, დაიჯეროს, რომ ედემში დასაბრუნებელი გზა მოჭრილია. ამ ქვეყნად მოსვლის დღიდან სიკვდილს დასდევს და ამას იგი არასოდეს შეურიგდება. გულს არ უნდა დაიჯეროს, რომ სამოთხე სამუდამოდ დაკარგულია.

გადმოხეთქა ნიაღვარმა. გაზაფხულმა ყინული გააღლო და დაძრულ ნიაღვარს ვეღარ შეაჩერებ, სანამ თავის კალაპოტს არ დაიდებს და კლდეს არ შეეხლება. მერე ხვალ, ალბათ, ინანებს, დღევანდელი ნაპირის დანგრევას, მაგრამ სანამ შეიძლება ყველაფერი გულში ჩაიტიო და არავის უთხრა?

უშიშრად, უხერხულობის გარეშე ლაპარაკობდა ანასთან. ესაუბრებოდა და ფიქრობდა თავის თავზე.

— ანა, მართალია, რასაც ამბობენ დასასვენებელ სახლზე? — გადაიტანა საუბარი სხვა თემაზე. ხანდახან ჭორებსაც მოაქვთ სარგებლობა.

— ეგ ისა, მდიდარ თავადსა და მის საყვარელზე რომ ლაპარაკობენ? სიმართლის ნაპერწკალი, ალბათ, არის. ამბობენ, არიან მოხუცები, რომელთაც ახსოვთო. ახლა კი ამ შენობის დიასახლისი მე ვარ. რაკი ასეა, მეც შემეძლო ვყოფილიყავი რომელიმე თავადის საყვარელი. თუმცა ყველასათვის ცნობილი ოფიციალური თავადისა არა და, ჩემი საკუთარი თავადის შეყვარებული კი ვიყავი. — გაიცინა ანამ.

— როგორც ერთმა დამსვენებელმა თქვა: თუ ვაქკაცი ხარ, ამ თავადის მსგავსი უნდა იყო.

— დასასვენებელ სახლს ისე ახსენებ, თითქოს აქ ისვენებ...

— არც მე ვისვენებ და არც ამ სახლის დიასახლისს ვაძლევ დასვენების საშუალებას...

— აი, აქ რომ ვსხედვართ, ესეც დასვენებაა. რატომ არ შეიძლება დაჯდე ჭკვიან კაცთან და ისაუბრო?

— ძალიან მაქებ. გმადლობთ, სიმართლესთან ახლო არაა, მაგრამ მაინც სასიამოვნოა. ხდება ხანდახან, რომ კაცს სურვილი აქვს მოატყუონ. შენთან აქ ჯდომა ჩემთვისაა დასვენება, თუკი ვინმეს არ ეწყინება. წინააღმდეგ შემთხვევაში ამ ჯაჭვის რგოლში შეიძლება შენც მოექცე.

— ეს არავის გაანაწყენებს. როგორც იტყვიან, თავისუფალი სიყვარული...

— აქაური ხარ?

— აქ არ დავბადებულვარ და გავზრდილვარ.

— მაშ როგორ მოხვდი, სამუშაოდ გამოგგზავნეს?

— თვითონ ჩამოვედი. ოცდარვა წლის ქალი თუ იტყვის, რომ არავინ ჰყვარებია, ან ტყუის, ან მახინჯია. მიყვარდა ერთი, ჩემი ქალაქელი. რამდენიმე წლის განმავლობაში ჩვენი ქალაქი ჩვენთვის სამოთხე იყო. შემდეგ კი გაჩნდა კინკლაობა უბრალო წვრილმანებზე, შემდეგ შერიგებები. შემდეგ დავკარგეთ ერთმანეთი, შემდეგ ისევ ვიპოვეთ. შემდეგ თამაში ბედნიერებითა და ახალგაზრდობით. შემდეგ ისევ დაკარგვა და პოვნა. შემდეგ... შემდეგ კატა ათამაშებდა მომაკვდავ თაგვს, ახლა კი აქ ვზივარ. ის კი ალბათ, სხვაგან ზის, სხვასთან. ჰა, ჰა! ხშირად ვამბობთ, რომ გვესმის სხვისა, სინამდვილეში კი საკუთარ თავში ვერ გავრკვეულვართ. ბოლო? — გავთხოვდი.

— სიყვარულით? — დაინტერესდა ზაურყანი.

— არ ვიცი, ვიცი მხოლოდ, რომ ყოველთვის მის დაბრუნებას ველოდები. ზღვა... ის ზღვაში შრომობს. „ზღვიდან ზღვაზე, ტალღიდან ტალღაზე, დღეს აქ, ხვალ იქ...“ აქ კი მე სხვასთან

ვზივარ. ზღვა... — მან ღამის სიბნელით მოცული ზღვისკენ გაიხედა.

— ზღვა... აფხაზების ბედისა და უბედობის მიზეზი. სიკვდილის მოციქულივით ეხეთქებოდნენ ტალღები ნაპირებს, თითქოს ჩასანთქავად საუკეთესო, შვილებს მოითხოვდნენ. აფხაზებიც აძლევდნენ ყველაზე გულად პირმშოებს. დაეხეტებოდნენ ბნელ გზაზე ადამიანები და არწყულებდნენ ზღვას თავიანთი სისხლით. მძიმე იყო აფხაზების გზა სინათლისაკენ. ალბათ, როგორც მოხუცები ამბობენ, სტუმართმოყვარეობამ, პურმარილიანობამ გადაარჩინა ისინი. ახლა სულ სხვაგვარადაა საქმე... დაგღალე ლაყბობით. ყველაფერი ეს იმიტომ გითხარი, რომ შენი ქმარი მეზღვაურია, რომ ზღვაზე დაცურავს შენი ბედი.

— კარგად სთქვი. ლოდინი ბედნიერებაა, იქნებ ბედნიერებაზეც მეტი. იქნება ეს არის თვით ბედნიერება? ჰაჰა!

ზაურყანს მოეჩვენა, რომ ქალი მას სიცილში აჯავრებდა. თვითონაც ასე იცინოდა ხოლმე, როცა არასასიამოვნო რამეს ამბობდა. იგი მდუმარედ ეწეოდა პაპიროსს და ანას შესცქეროდა. სიამოვნებდა ამის ფიქრი, რომ ლამაზად შეეძლო მოეწია პაპიროსი. არაფერზე არ უნდოდა ლაპარაკი. ძნელი არ იყო გაერკვია, სად იყო სიმართლე და სად საკუთარი თავის დაცინვა ანას საუბარში. საკმაო გამოცდილება ჰქონდა იმისა, რომ მსუბუქი ყოფაქცევის ქალი გამოეცნო. მისი აზრით, საკმარისი იყო თვალებში შეეხედა და ყველაფერს მიხვდებოდა.

გაახსენდა, რა გაიფიქრა ანაზე პირველი შეხვედრისას. ახლა რცხვენოდა იმ სიტყვებისა, რაც მაშინ უთხრა და რასაც ფიქრობდა. როგორ სცდებოდა მაშინ? ეგ იმათ რიცხვს არ ეკუთვნის. იქნებ ეგ იმათგანია, ვისაც უნდა დავუკავშირდეთ. ამ დიდ ქვეყანაში ჩვენ გაფანტულები ვართ, არ ვიცნობთ ერთმანეთს. მზის სხივებმა მინის სახლი აგვიგეს. ნეტავ რას ამეკვიატა დღეს ეს მინის სახლი?

— მგონი არც შენ გწყალობს გაზაფხული, ანა. — თქვა მან.

— გაზაფხული მარტო ადამიანებს კი არა, ხეებსაც არჩევს. ხომ არიან ხეები, რომელთაც გაზაფხულზე ფოთლები სცვივათ.

— გაზაფხულის ფოთოლცვენა... რას ვამბობ. ნამდვილად დავთვერი. როდის ცვივა ფოთლები, გაზაფხულზე თუ შემოდგომაზე? არა, სწორადა ვთქვი, გაზაფხულის ფოთოლცვენა. უცნაური ქმნილებები არიან ხეები! ამბობენ, ისინი ადამიანებივით გრძნობენ ტკივილს. გაზაფხულის ფოთოლცვენა. ცვივა ფოთლები, ამოდის ახლები, ისევ ცვივა, ისევ ამოდის. ფოთლები მარადიული მასპინძლის ხანმოკლე სტუმრები. დაე, იყოს ასე, ზოგი ფოთოლი შემოდგომაზე ცვივა, ზოგი — გაზაფხულზე. ე. ი. კისერა! კისერა მარადიულია. დავთვერი, მაპატიე. მთვრალი საძაგელი ვარ.

— შენ გინდა სთქვა, რომ მთვრალს და სულელს ყველაფერი ეპატიება?

— თუმცა მე არც ისე ჭკვიანი ვარ, მაგრამ მოსულელოსთვის ყველაფერი ადვილია. სიყვარულით არის შექმნილი კისერა, რაც არ უნდა ირბინოს კურდღელმა, ურემი მაინც დაეწევა. ხედავ, როგორ იხედება კისერა? თითქოს ამბობს, ძალიან ცდილობდი გამქცეოდი, მაგრამ ბოლოს მაინც ჩემთან მოხვდიო. ოდითგანვე ზღვას ერთვიან მდინარეები. ერთვიან, მაგრამ ზღვა არ ივსება, ნაპირებიდან არ გადმოდის. კისერასაც არაფერი ჰყოფნის. არ ივსება, ნაპირებიდან არ გადმოდის მისი სინდის-ნამუსი. მოდი აქ, ჩემო საყვარელო კისერა, შენი სახაზავიანად მოდი. რამდენი გინდა? რამდენიც არ უნდა მოგცე, შენს სიკეთეს ვერ გადავიხდი.

— ჩვენი დიდი მოვალეობაა, კარგად მოვემსახუროთ კლიენტს. — ძლივს ამოღერღა კისერამ.

— აი, აიღე ჭამა-სმის საფასური. ამ ლიქიორს კი მიწაზე თავი წაუქციე და

ჩემი ბავშვობის ხსოვნისა შესვი. წავიდეთ, ანა, ჯანდაბას ჩემი თავი ყველაფერი ჩამოვფქვი. მე თუ მამაკაცი ვარ, თავის დაცვა უნდა შეშეძლოს. ეშმაკმა დალახვროს!

— როგორ დათვრა ეს კლიენტი! — მიადევნა კისერამ და კისერი უფრო ძალიან მოეღრიჯა. ვერ გაიგო, რატომ სთხოვა ჭიქის თავის წაქცევით დაელია მისი ბავშვობის ხსოვნისა. ლიქიორს მებუფეტეს დაუბრუნებს და ფულს გამოართმევს. მოეჩვენა, რომ სადღაც უნახავს ეს კაცი, მაგრამ ვერ გაიხსენა. კიდევაც რომ გახსენებოდა, მაინც ვერ მიხვდებოდა, რატომა თქვა ასე ზაურყანმა, ახლაც დარწმუნებული იყო, რომ ცუდად მოექცნენ, როცა „ნასწავლი ხალხის“ ომიდან დაბრუნების შემდეგ სკოლიდან ისე გამოაგდეს, როგორც ღორი ყანიდან. აკი ბევრი ეუბნებოდა სადღეგრძელოში, რამდენი შრომა გასწია ბავშვთა აღზრდისთვის, რამდენს აუხილა თვალები და მისცა განათლება. ასეთებს რომ ისმენდა, დასტურის ნიშნად თავს უქნევდა, თვალებს ახამხამებდა და მხოლოდ აქაიქ ჩაურთავდა ხოლმე — ძალ-ღონეს არ ვიშურებდი, თავს არ ვიზოგავდი, ბატონო.

— გმადლობთ, — თავის დაკვრით ამოღერღა კისერამ, როცა ზაურყანი კარებთან მისკენ შემობრუნდა. იგი შესცქეროდა ყოფილ მასწავლებელს. რა იქნებოდა, რომ ჯებირი გადმოელახა! ფულს უკან მომახლიდა, ბოთლს მოისროდა, ლიქიორს დაღვრიდა და მეც შემეძლებოდა მეთქვა, რომ ჩემი მასწავლებელი ადამიანი იყო. კისერამ კი მხოლოდ მადლობა თქვა.

— ნათქვამია, ცხენს ვერა დააკლო რა და უნაგირი დაამტვრიაო. რას ჩავაცივდი?! რა დააშავა? ისეთია, როგორიც არი. ვინ იცის, ანა, იქნებ კისერაც უბინაოდ დარჩა და ხელფასით ოჯახი ვერ შეინახა. ან იქნებ ისიც იძულებული იყო რაიმე ადათის დაცვისთვის ვალი აეღო, იქნებ ისიც მეჯვარედ იყო ქორწილში? იქნებ მისი ცოლი და სიდედრიც ვალით ყიდულობდნენ ძვირფას ჭაღს? ჰა, ჰა! ეტყობა, მაგრად დავთვრეთ!

გრილი ნიავი სხეულზე ელამუნებოდათ და აახალგაზრდავებდათ. ზაურყანის ბოლო ნათქვამი ანამ ვერ გაიგო, მაგრამ არ უკითხავს. მისეირნობდნენ სანაპიროზე და ფიქრობდნენ თავიანთ საფიქრალზე. მთვარის გაფანტული სხივები გამდნარი ვერცხლივით ბრწყინავდა ზღვის ზედაპირზე, ფიქრებში ჩაძირული ზაურყანი უაზროდ გასცქეროდა ტალღებზე მოციმციმე მთვარის ბილიკს. გამიგონია, ახლადდაბადებულს ანგელოზები მოევლინებიან, შუბლზე დააწერენ მის მომავალს და მერე მთვარის ბილიკით ბრუნდებიან უკან. თუ ზღვა კეთილია და არ ღელავს, ბილიკიც არ იძვრის, ანგელოზებიც მშვიდად მიდიან. ბავშვის ნომავალიც ასეთივე მშვიდი და ბედნიერი იქნება. ისიც ივლის მდელოზე გაკვალულ ბილიკზე და წინ ღორღი არასდროს დაუხვდება. ხანდახან კი ზღვა შფოთავს, არხევს ბილიკს და ანგელოზებს აქეთ-იქით ახეთქებს. ასევე ეცემა, დგება, შეცდომებს უშვებს, უკან იხევს, ის, ვისი ცხოვრებაც იწინასწარმეტყველეს ასეთ ღამეს ანგელოზებმა. ნეტა, როგორი იყო ზღვა, ჩემი ანგელოზები რომ მიდიოდნენ ბილიკზე? ჰა-ჰა! — მწარედ გაიცინა ზაურყანმა. სწორედ კარგ დროს კი გაიხსენა ეს ზღაპარი. იქნებ, ვინმესგან გავიგე, ან თვითონ მოვიფიქრე, არ მახსოვს. თუკი ადამიანებს ვიგონებ, რატომ არ უნდა შევთხზა ზღაპარი? არა, სჯობია კალამბურები გამოვიგონო. მაგრამ ტვინი სასმელით იყო დაბინდული და კალამბური თავში არ მოდიოდა. უმჯობესი იყო გონების დაკარგვამდე დამთვრალიყო.

მაღლა, მთებს ზემოთ ნახევარმთვარე ეკიდა. ცაზე ღრუბლის ნასახიც არ ჩანდა. ქვეყანა დიდი, ფართო და კეთილი იყო. ამის დამნახველი იტყოდა, რომ მთვარის ქვეშ არავითარი უბედურება არ ხდებოდა, ყველგან სიკეთე იყო, ადამიანებს ერთმანეთი უყვარდათ და ერთმანეთს ეხმარებოდნენ.

დილით მაშინ გაეღვიძა, როცა ზღვის ზედაპირზე მზის სხივები აელვარდნენ. მშვიდად, ღრმად ეძინა. დიდი ხანია ასე არ სძინებია. მწოლიარე ათვალიერებდა რომელიღაც ძველ გაზეთს.

„რატომ არ მოიძებნა სხვა გამოსავალი, რამ შეუშალა ხელი?“

ორი დღეა, რაც ამ კითხვებმა დაასვენეს. თითქოს მძიმე ტვირთი მოეხსნაო, ცოტა შეისვენა. უხაროდა, რომ შვილს ნახავდა. კარგი რეჟისორივით წარმოედგინა მასთან შეხვედრის სცენა. შეიძლება ბათალმა დაირცხვინოს და ვერ გაბედოს ახლოს მისვლა, მხოლოდ შორიდან დაუწყოს თვალთვალი. იგი არ გაუწყრება ბავშვს, ხმას არ აუწევს... თითქოს არაფერი მომხდარიყოს, ხანგრძლივი მივლინებიდან დაბრუნებულივით აუჩქარებლად მივა მასთან და ეტყვის, რომ კარგი რამეები ჩამოუტანა, სათითაოდ ამოალაგებს ჩემოდნიდან და აჩვენებს. ან იქნებ ისე გაიზარდა, რომ ესმის მამის დანაშაული. სანამ პატარაა, ბავშვურ წყენას ვერ დასძლევს და შეიძლება ასე იფიქროს. არა უშავს, გაიზრდება და ნუთუ იმოდენა ჭკუა არ ექნება, რომ გაიგოს — თუ ხე გახმა, ფესვებია დამნაშავე. რაში სჭირდება ასეთი მამა? სხვა გამოსავალი არ ჩანდა, ამ გზიდან სხვა მხარეს გადახვევა შეუძლებელი იყო. იმავე გზით რომ ევლო, შეიძლება მერე ეთქვა, მრცხვენია ასეთი მამა რომ მყავსო. მაშინ ირტყი თავში ხელები, იბაგუნე მუშტები მკერდში — არაფერი უშველის. მოსახლეჩ ტოტს ბოძკინტი მანამდე უნდა შეუდგეს, სანამ მოიხლიჩება.

პირველი სიყვარული დაკარგა. შემდეგ სხვა ქალებში მხოლოდ ლამაზ სხეულს ხედავდა. პირველ სიყვარულს კი ისე უჩინრად დაატარებდა, როგორც ვარსკვლავი დადის დღის ცაზე. მაგრამ ვარსკვლავსაც არ შეუძლია მარადიულად ანათოს. რაც უფრო ნათელია დღე, მით უფრო მკრთალია მისი შუქი და ბოლოს ვისაც უნათებდა, მისთვის მხოლოდ მოგონებადღა რჩება. იქნებ სიყვარულმა გაიღვიძა მის გულში, როცა ზულფა დაინახა, მაგრამ დღეს გრძნობს, რომ ეს უფრო სიყვარულის ნატვრა იყო. სისუფთავე, სილამაზე, წმინდა სიყვარული, ოცნება და ყველაფერი ამის სასოწარკვეთილი მონატრება.

ეს იყო სიზმარი, ან უღვინოდ სიმთვრალე, თუკი ასეთი რამ არსებობს, ან ნისლი, რომელმაც დააბრმავა და, როგორც მონადირეს, გზა აუბნია.

ერთი საქმისთვის ჩამოვიდა სოფელში, სადაც ზულფას შეხვდა. კოლმეურნეობის ბუღალტერი და მოლარე გულუბრყვილო კოლმეურნეებს ატყუებდნენ, იმის ნახევარსაც არ აძლევდნენ, რაზეც ხელს აწერინებდნენ. საჭირო იყო მრავალი მათგანის გამოძახება და დაკითხვა. ერთ კვირაზე მეტ ხანს დაყოვნდა იქ...

ქალი კლუბში მუშაობდა. აი, სად იყო ის სისუფთავე, რაც მათ დაკარგეს... აი, ვარსკვლავი, რომლის შუქისკენ განუწყვეტლივ მიისწრაფოდა.

მეორედ რომ ჩამოვიდა სოფელში, ზულფას თვალებში პირველად დანახული შუქი უფრო გაიზარდა. ქალი ელოდა. ვაჟი რომ დაინახა, სახეზე სიხარული გამოეხატა. თვითონაც ხომ სოფლიდან იყო, სოფელში გაზრდილი. ირწმუნა, რომ ყველაფერს დაიბრუნებდა, რაც ქალაქში დაკარგა. რაღაცრაღაცები მართლაც დაიბრუნა, მაგრამ ქალმა თან მოიტანა ისიც, რაც განგებ დაივიწყა და მოიშორა.

პირველად რომ წამოსცდა: ოჯახში ნივთები გამეფდაო, მან ნივთებს ქალიც მიაკუთვნა. დაუფიქრებლად თქვა. თვითონაც არ იცოდა, როგორ წამოსცდა. გადააბიჯა ზღურბლს და წამოსცდა, როგორც ცარიელი ხუმრობა. ეს სიტყვები მისი სურვილის გარეშე დაბინავდნენ სადღაც ტვინში.

იმ დღეს წვიმდა. იგი ისევ ზღურბლზე იდგა.

— ლაბადა მანდ არ გაიხადო, საკიდი დასველდება, სავარძელზე არ დაჯდე, ტრიუმოს არ გაეკარო, — ჩამოთვალა ზულფამ ყველაფერი, რაც ძვირფასი იყო მისთვის.

— ცხვრებმა ადამიანები რომ შეჭამეს, გაგიგია? — იხუმრა მან, — ეს ავსტრალიაში მოხდა.

— გამიგია, გამიგია. — გაღიზიანებულად უპასუხა ქალმა. — შენი განათლებით და დიპლომით ყელამდე ვარ სავსე.

უკვე თვითონაც მიხვდა, რომ ქალს ეწყინებოდა. არც ისე გაუნათლებელი იყო, რომ ვერ მიმხვდარიყო, სასწავლებელი ჰქონდა დამთავრებული. თუმცა ისეთი არაფერი უთქვამს, რასაც სკოლაში არ ასწავლიდნენ. ქალი კი მაინც მის უმაღლეს განათლებას გადასწვდა. ალბათ ბავშვმა დაქანცა და ხასიათზე ვერ იყო. კარგ გუნებაზე ხომ არ იტყოდა ამას. მან ხომ იცოდა, რომ ქმარი ასეთ რაიმეს ვერ იტანდა.

„— ჩვენ, ადამიანები სტუმრებად ვიქეცით... ცხვრებმა ადამიანები შეჭამეს...“ — ისევ ბუტბუტებდა ზულფა.

— დიახ, ეს სკოლაში ვისწავლეთ. მაშინ ისტორიას კისერა არ გვასწავლიდა, თორემ იგი ამას ისე მოგვიყვებოდა, ვითომ თვითონ შეესწრო იქ და მოხარშული ხორცის ნაჭერიც წინ ედო.

— თითქოს თვითონ არ უყვარდეს სილამაზე, — ისევ ბუზღუნებდა ზულფა, — რუსეთშიც იყო, ნახევარი ქვეყანა მოიარა, ნუთუ ვერ ნახა, როგორ ცხოვრობენ ადამიანები?! სად გინახავს ასეთი რამ? გვეყო. რაც უბინაოდ ვიტანჯეთ... ბოლოს და ბოლოს, საკუთარში ვცხოვრობთ. სხვებზე ნაკლებად რად უნდა მოვრთოთ. ამასწინათ გამომიცხადა: ჩვენი ბინა სავსე ფინჯანივითაა, ხოლო რაც ზედმეტია და ვადმოდის, ეს ჩვენა ვართო. წარმოგიდგენია? გავჩუმდი, თითქოს არც გამეგონოს. რამდენის მოთმენა შეიძლება? დღეს რა განაცხადა, გაიგე? ცხვრებმა ადამიანები შეუჭამესო. ეს ჩვენს ავეჯზე თქვა. — თითქოს დედას, ან ვინმე ქალს მიმართავდა ზულფა.

შენიშნული ჰქონდა: თუ თოლიები, როგორც ახლა, გუნდ-გუნდად ისხდნენ წყალზე, ამინდი ფუჭდებოდა. „ნეტავ დღეს არ იქნებოდეს წვიმა. დღეს ბევრი საქმე მაქვს. მალე სამსონი და დირგუნი ჩამოვლენ. სადაც არ უნდა იყოს, დღეს ბავშვი უნდა მოვიყვანო“.

საცაა უკვე შუა გაზაფხული იქნება, ზამთარი კი არ ნებდება. მთების მწვერვალებზე, ღრმა ხეობებში ძაღლივით მიმალული, სანაპიროს ცივად უვლის. კვირტები დასკდნენ და ფოთლები პატარა ბავშვის ხელებივით ცახცახით იკუმშებიან ღამღამობით, დღისით შიშით შლიან ხელისგულებს, ხოლო ღამით ისევ სცემს ქარი. ასე ებრძვიან ერთმანეთს ცივი ქარი და თბილი ზღვის სუნთქვა.

სანაპიროსკენ დაეშვა და პარკში მერხზე დაჯდა.

ეტყობა, პარკს კარგად უვლიდნენ. რასაც კი შეხედავდი — მაღალ, გაქერქილ ევკალიპტებს, ქაფურის ხეებს, აფხაზი სასიძოებივით ტანად კვიპაროსებს, ვერსად შეამჩნევდი გამხმარ ტოტებს, ყველაფერი მოვლილი იყო. ბალახისფრად ახლადშეღებილი მერხები ბრწყინავდნენ.

ჩამოსვლის პირველ დღესვე შეამჩნია ზაურყანმა, რომ ეს საკურორტო პატარა ქალაქი მაჭანკლის მომლოდინე გაპუდრულ და შეღებილ საპატარძლოსავით მოუთმენლად ელოდა ახალ სეზონს. არა ჰგავს აბაზთქალაქს, აქ უფრო სიმშვიდეა.

ადგილობრივებსა და დასასვენებელ სახლებში საგზურებით ჩამოსულთა გარდა ჯერ არავინ იყო. ზაურყანი ყოველთვის გაურბოდა ბევრ ხალხს, განსაკუთრებით უსაქმურებს. რაც მეტი იყო ხალხი, მით უფრო გრძნობდა თავის მარტოობას.

იქვე, პარკის უკან, სამსართულიან სახლში ცხოვრობს ანა.

გუშინ საღამოს, გაცილებისას დაიხსომა. როგორც თვითონ თქვა, ახლა იგი მარტოა.

აიღოს შამპანური, შოკოლადი, ფორთოხალი და ჩუმად ავიდეს მასთან. უთხრას ნაცადი სიტყვები.

„შეგობრები ჯერ არ მოსულან?“

„რა ,უნდა მოსულიყვნენ?“

„მაშ, როგორ, ხომ უნდა მოგილოცონ დაბადების დღე!“

„მე დღეს არა მაქვს დაბადების დღე“.

„დღეს არა? მე კი მეგონა დღეს. მაშინ დავლიოთ იმისა, რომ დღეს არ დაბადებულხარ“.

„ჰა, ჰა, ამგვარად დაიწყო ჩემი რომანი ტატიანასთან, საყვარელ ტატიანასთან.

ცოლმა და სიდედრმა ვალით (მას ხომ, როგორც გამომძიებელს, არ გაუჭირდება ვალის გადახდა, მისი ყველას ეშინია) იყიდეს საკომისიოში ბროლის ჭაღი, სწორედ ის, რომელმაც საბოლოოდ აავსო მოთმინების ფიალა.

იმ დღესვე იგი მშვიდად, უჩხუბრად, სიტყვის უთქმელად გამოვიდა სახლიდან და ტატიანასთან წავიდა.

ქალს გაუკვირდა, როგორც მერე თვითონ ამბობდა: კაცი, რომელიც ვერც კი ამჩნევდა, ამაყად ჩაუვლიდა ხოლმე გვერდით, შეღამებულში მასთან მივიდა საჩუქრებითა და სასმელით.

როგორ არა ჰგავს ანას. ანას პირველი სიყვარულიდანვე გათხოვება უნდოდა, ტატიანა კი ამას არც ფიქრობდა. ოჯახი ძველ გადმონაშთად მიაჩნდა. ბავშვობიდან შთაინერგა, რომ ლამაზი იყო და მხოლოდ თავისი თავისთვის უნდა ეზრუნა. გათხოვილ ქალს, მოგეხსენებათ, თავის თავისათვის აღარა სცალია. მისი სილამაზე ქრება. სხვანაირად სილამაზე კი მე არა მსურს. ქმარს უნდა გაურეცხო, საჭმელი მოუმზადო. ჩაიცვი გარეცხილი პერანგი, საყვარელო? აიღე სუფთა ცხვირსახოცი, ძვირფასო? მალე დაბრუნდი, ჩემო სულო. უფრო უარესი, თუ ბავშვი გაჩნდება. ჭუჭყიანი ჩვრების რეცხვა, დილით უძილობისგან ჩაცვენილი თვალებით ადგომა. მე ეს არ შემიძლია. და მერე კიდევ, ერთი სიყვარული გულს აბერებს. ახალი სიყვარული — ახალი გაზაფხულია. — ასეთ საფუძველზე ააგო მან თავისი ცხოვრება.

— ტატიანა, საყვარელო ტატიანა, — ეუბნებოდა ზაურყანი ნახევრად ხუმრობით, — ბევრისთვის, ნამდვილად ჩვენ კიდევ ვიქნებით საყვარელი.

— ასე ნუ ამბობ, ჩემო მზეო. გულს მიხეთქავ, — ასეთივე ხუმრობის კილოთი პასუხობდა ქალი. მერე მთელი ღამე ისე უყვარდათ ერთმანეთი, რომ ორი ღამეც რომ გადაებმათ, არ იღლებოდნენ.

მაგრამ ერთხელ, ღამით, მან არამარტო ფიზიკური, არამედ სულიერი სწრაფვა იგრძნო ქალისკენ.

სამსახურში ჯდომისას ზოგჯერ ყურმილს იღებდა და ურეკავდა. მოსწონდა მისი ხმა. უთხრა კიდეც, რომ მისი ხმა გამუდმებით ჩაესმის, რომ მას ლამაზი ტუჩები აქვს, მისი ტანი მარმარილოსგანაა გამოკვეთილი, რომ უყვარს მისი გრძელი, კოხტა თითების ალერსი.

ქალმა ერთი რამ კარგი გააკეთა — არ გაიცინა მის სიტყვებზე. ხედავდა, რომ მამაკაცს სჯეროდა ის, რასაც ლაპარაკობდა.

საიდან ჰქონდა ამდენი გამოცდილება, ხომ მასზე უმცროსი იყო და მერე არც ისე გაქელილი ცხოვრებისაგან, რომ შესძლო არ დაეფრთხო ეს სიყვარული, არ უარეყო მისი წინადადება და შეენარჩუნებინა ძველი დამოკიდებულება?

ქალმა ისე მოაწყო ყველაფერი, რომ ზაურყანი შეუმჩნევლად გადაიქცა მის ფარულ საყვარლად.

მას შემდეგ, რაც ქალმა უარი უთხრა ცოლად გაყოლაზე, რამდენიმე დღის განმავლობაში ტელეფონში ახლად გამოგონილ კალამბურს იმეორებდა, რომ შეურაცხყოფა მიეყენებინა მისთვის და გული ეტკინა:

ის რაც მე მიყვარდა, ახლაც მიყვარს, თუკი შენ გიყვარს ისევ ის, რაც აქამდე გიყვარდა.

ქალი ვითომ ვერ ხვდებოდა მის აზრს. იცოდა, რომ ზაურყანი გულით არ ამბობდა ამას.

ეს რომ პირველად უთხრა, ფულის

დაჭმუჭნული დასტა ამოიღო და მისცა, როგორც მისი საყვარელი ნივთი.

ქალმა მშვიდად, ღიმილით დაუბრუნა ფული. იცოდა, რომ როცა სიბრაზე და წყენა გაუვლიდა, თვითონვე ინანებდა. მას არ უნდოდა ის ეთქვა, რაც ქალს მართლაც უყვარდა — დამოუკიდებლობა, თავისუფლება და ცხოვრება ისე, როგორც სურდა.

შემდეგ, როცა ზაურყანსაც ყელში ამოუვიდა ოჯახური ცხოვრება, შეშურდა ტატიანასი და მისი ცხოვრება ნამდვილ ცხოვრებად ჩათვალა.

როგორი ნათელიც არ უნდა ყოფილიყო დილა, მას უნდა ეფიქრა საღამოზეც. საღამო კი მუქი ღრუბლებით იყო დაბნელებული. მაშ რატომ არ დასთანხმდა ცოლობაზე? მაშინ ხომ გაქრებოდა ის, რაც იზიდავდა ზაურყანს, — მისი თავისუფლება. ქალს ეს კარგად ესმოდა. მას სიტყვაც არ დაუძრავს, რომ დასასვენებლად გაჰყოლოდა, ან ჩამოსულიყო მის სანახავად. არ უნდოდა შეევიწროებინა, ან შეეზღუდა. დატკბი შენი შვილის ცქერით, ვინ იცის, იქნებ ცოლსაც შეუყრიგდე. ასეც ხდება.

გაახსენდა გამოსათხოვარი საღამო წამოსვლის წინ. ასეთი რამ არასოდეს ჩაუდენია. იცოდა, რომ ახალგაზრდა დალამაზი იყო. მინისტრი, ვისი მდივანი-მემანქანეც იყო, ალბათ ასე ბებერი რომ არ ყოფილიყო, აუცილებლად შეცდებოდა. ისეთი ნაზი იყო იმ ღამეს, რომ ზაურყანი თავდავიწყებამდე მივიდა.

დილით, რომ ეთხოვებოდა, მისმა ცრემლებმა მკერდი დაუსველა.

კარგად ახსოვს რას ფიქრობდა, უხმაუროდ, მეზობლების ჩუმად კარი რომ გაიხურა და თავისი ნაქირავები ბინისკენ გაეშურა. ლანძღავდა და აგინებდა თავის თავს, რომ უფრო დაეინებით, მტკიცედ არ მოსთხოვა ცოლად გაყოლა. უნდა განემარტა, დაეჯერებინა, რომ მომავლისთვის, როცა გაივლიდა ახალგაზრდობა, ასე იყო საჭირო, რომ სილამაზე მუდმივი არაა. მაგრამ თუ მისი აზრით გათხოვება უარესია? როცა ორი ბოროტება უპირისპირდება ერთმანეთს, — უნდა აირჩიო ის, რომელიც ნაკლებია.

ოჯახიდან რომ წავიდა, მალე სამსახურიც მიატოვა, მაღაზიაშიც გადავიდა სამუშაოდ. თითქოს ის უფრო სუფთა სინდისის მქონეა, ვინც იგი შეცვალა, ან თითქოს იქ უფრო მეტი სიწმინდეა, სადაც გადავიდა! მცირე ბოროტება... ეს რა, ნაკლები ბოროტებაა? ყველა ბოროტება ოდესღაც მცირე იყო. არსებობს მოკლე დღე, გრძელი დღე, მაგრამ არ არსებობს დიდი და პატარა ზეცა. მცირე ბოროტება, დიდი ბოროტება, განა არის ასეთი რამ?

ამ კითხვამ თვითონაც შეაშინა, რამდენჯერმე გაიმეორა თავისთვის. ჯერ უხილავი და გაუგონარი სამყარო აღიმართა მის წინაშე. თითქოს უეცრად ცა გაიხსნა და სხვა, წარმოუდგენელ და შეუძლებელ ქვეყანაში გაახედა. არ არსებობს დიდი და მცირე ბოროტება. რა უბრალო ჭეშმარიტებაა! რამდენჯერ გაუგონია ბავშვობისას, სოფელში, უსწავლელი გლეხებისაგან, მაგრამ თვითონ რომ მისულიყო ამ დასკვნამდე, რა ძნელ გზებზე მოუხდა სიარული. აი, იმ ხელიხელჩაკიდებულ ახალგაზრდა წყვილს რომ უთხრას, არ არის დიდი და მცირე ბოროტებაო, სასაცილოდ აიგდებენ, მხოლოდ ახლა, გაჭაღარავებულმა გაიგე ესაო.

ვინ იცის, იქნებ არც ისე ცუდი რამ ჩაიდინეს, ჩემს ბიჭს რომ გვარი გამოუცვალეს.

ტყუილად როდი იჯდა იგი აქ, ანას ელოდებოდა. აქედან მიდის სამუშაოდ. სანამ დასასვენებელ სახლამდე მივიდოდეს, ისაუბრებენ. ავი ენებიც ვერაფერს იტყვიან, სთხოვს კიდეც, თუ დრო აქვს, ამ საღამოსაც შეხვდეს, თუ ერთმანეთი მოეწონებათ, შეაერთებენ თავიანთ ბედს. ქალი აქაურობას დატოვებს, ზაურყანი — აბაზთქალაქს და წავლენ შორს აქედან. ისინი ხომ ჯერ კიდევ ახალგაზრდები არიან. ერთად შეხვდებიან სიბერეს. საკუთარი კერა... ბავშვური ფანტაზია... წამოდგა და

თითქოს საჩქარო საქმეზე აგვიანდებაო, სწრაფად წავიდა დასასვენებელი სახლისკენ.

ქუჩა გადაჭრა კიბეზე, ჩუსტებითა და მხარზე გადაკიდებული პირსახოცით ჩამომავალ ნაცნობ დამსვენებელს შეხვდა, ამ შენობის ამბავი რომ უამბო. მას ვიღაც ქერათმიანი ახალგაზრდა მიჰყვებოდა. ჯერ ისევ გრილოდა, მაგრამ საბანაოდ უკვე მიდიოდნენ.

— რამდენი გეძებეთ, სად დაიკარგეთ, ზაურყან? — ჰკითხა თავმოტვლეპილმა.

ერთმანეთს მიესალმნენ.

— მეძებდითო, ამბობ?

— შენთან ვიღაც მამაკაცები ჩამოვიდნენ, გეძებეთ, მაგრამ სად გიპოვიდით? შენ ხომ ჩვენთან არც კი სადილობ.

— ვიცით, სადაც დადიხარ.

— რა იცი? — გაუკვირდა ზაურყანს.

— ზოგი შურით, ზოგი სიამაყით ლაპარაკობდა დღეს ამაზე. ძალიან ერიდებოდა ჩვენი ადმინისტრატორი მამაკაცებს, მაგრამ შენ მაინც გამოამწყვდიე ხაფანგში. ძალიან მოგვწონს, დიახ, დიახ, ძალიან მოგვწონს, რომ ჩვენი გატრიზავებისათვის სამაგიერო გადაუხადე. აი, პეტია დამემოწმება, რომ ამ ლამაზი ქალის მორჯულება მხოლოდ შენ შეგიძლია. — აღფრთოვანებით გახარებული ისე მიმართავდა თავმოტვლეპილი, როგორც მონადირეების წინამძღოლს, რომელსაც აქვეიფშაამ[1] წყალობით გადმოხედა.

პეტია წყნარად იღიმებოდა.

ზაურყანს ასეთი რამ მამაკაცისთვის საამაყოდ არ მიაჩნდა. არ მოეწონა ეს ტიპი. ყველაფერს ბერავდა, აზვიადებდა. რა თქმა უნდა, ყველა დამსვენებელი დაინტერესებული იყო ასეთი რამეებით და ახლა საკმარისი იყო ეს ერთი კაციც, რომ ეს ამბავი ყველას გაეგო. ახლა, ამ სახლის ამბის მოყოლისას ანას სახელსაც მიაწებებდნენ ზედ. — ყოველ წელს, ვითომ დასასვენებლად ჩამოდის ერთი, რომელიც მისი საყვარელია. ერთმანეთისთვის არიან დაბადებული. მაგრამ სხვადასხვა ბედი აქვთ. გულს იჯერებს ამ ნალაყბევით და მერე, ალბათ, სხვას დაუტოვებს ანდერძად, როცა საგზურის ვადა გაუთავდება.

— ისინი მანქანით არიან, — სთქვა აქამდე ჩუმად მყოფმა ახალგაზრდამ.

— ქალები არ ახლავთ? — წამოსცდა ზაურყანს, თუმცა გულში ღრმად ჰქონდა ჩამალული ეს კითხვა. რა ქალი, ვინ წამოვიდოდა მათთან? ტატიანა? მაგრამ თვითონ ხომ უთხრა არ წამოიყვანოთო. ხომ შეეძლოთ, თვითონ მოეფიქრებინათ, მაგრამ განა ისეთი მეგობრები აირჩია, რომელთაც შეეძლოთ დამოუკიდებლად რაიმე მოეფიქრებინათ? ერთი მათგანი, თუ არ იკითხა, მაღაზიაში ნაბიჯს არ გადადგამს, მეორეკი სხვის კიდობანში ხელი თუ არ ჩაჰყო, ვერცერთ ჭკვიანურ სიტყვას ვერ იტყვის. მხოლოდ ერთმა, თემურმა იცოდა, რა გაეკეთებინა. ეს მან მოიფიქრა აბაზთქალაქი, ეს იგი იცინოდა მრავალმნიშვნელოვანი სიცილით. უნდა წამოეყვანათ ტატიანა. როცა წყარო შრება, მხოლოდ მაშინ გრძნობ, რომ უიმისობა შეუძლებელია.

— ჰო, რა მანქანაა, ცხენივით მარდი და მოქნილი, მერე რა ფერია, — ყავისფერი... — აღფრთოვანებით ლაპარაკობდა პეტია.

ზაურყანმა შეხედა მას და გაეცინა. ენის წვერზე ადგა, რომ ეთქვა სად მუშაობდა თვითონ და ვისი იყო ეს მანქანა. უთხრას რომ იგი უამრავი ხელით. არის ნაყიდი? ურთიერთდახმარებით? ის ურთიერთდახმარება კი არა, რომელიც ახლობლის დაკარგვის ან ხანძრისგან დაზარალების დროს არის საჭირო, არამედ სხვა. ეს დახმარება მის მონაწილეთათვის უხილავია. ზაურყანმა თავი შეიკავა, არაფერი სთქვა. არ შეიძლება სამსონზე ყველაფრის თქმა. კესერა რომ გაბრაზდა, ხომ

[1] აქვეიფშაა — ცხოველებისა და ფრინველების ღმერთი.

უნდოდა რაღაც ეთქვა, მაგრამ გაჩუმება არჩია ჯებირის გამო.

გაშორდა მათ და კიბეებს შეუყვა.

— გუშინ მთელი ღამე ერთთან გაატარა და ახლა კითხულობს იმ მამაკაცებს ქალი ხომ არ ჩამოუყვანიათო. იქნებ ფიქრობ, ცოლზე ეკითხებოდა? ცოლთან გაშორებულია. ასეთი ლამაზი გარეგნობისა და მახვილი ენის მქონე მამაკაცს სინდისის გარდა ვერაფერი შეაჩერებს. თუ შეუშვა ხელი ლაგამს, ვინ იცის, რამდენ ბოროტებას ჩაიდენს! — ეტყობა, იფიქრა ახალგაზრდისთვის ეს კარგი ჭკუის სასწავლებელიაო და გზადაგზა მარგალიტებს აბნევდა მელოტი.

ზაურყანს ვერ გადაეწყვიტა მისულიყო თუ არა ზულფას ბინაში.

უთხრას, ჯერ უნდა გაიგო, ბავშვი შინ არის თუ არაო, თუ სადმე გაგზავნეს, შეიძლება დაეწიოო.

მან დაიჟინა, ამის გაგება ტელეფონითაც შეიძლებაო და დარეკა.

ეტყობა, ქალმა მისი ხმა იცნო და თითქოს მგლის ყმუილი გაიგონაო, ყურმილი დააგდო.

ზაურყანმა ქალის ხმის გაგონება მოასწრო. ნუთუ ზულფაა? არა, ამას იგი არ ჩაიდენდა. თუმცა დიდმა სიყვარულმა დიდი სიძულვილიც იცის. მაგრამ ზულფა არაა ასეთი. თუ ასე აპირებენ ცხოვრებას ისა და მისი პენსიონერი, ღიმილიც დაავიწყდებათ. მე ჯერ არ დავნებებულვარ, ხელები არ ამიწევია. თუ მოვინდომე, ისე გავუხდი საქმეს, რომ თვითონ მოგიყვანონ ბავშვი. ამის გაკეთება ძნელი არ არის. ამბობენ, მისი ქმარი უჭკუო არ არისო. ჯარისკაციც ვერ შეასრულებს ისე უდრტვინველად გენერლის ბრძანებას, როგორც ზულფა ასრულებს თურმე მის ყოველ სურვილს. საინტერესოა, რას იზამდა, ცოლმა რომ მის დაუკითხავად ვალით იყიდოს ძვირფასი ჭაღი? ამბობენ, წესიერი კაცია, სუფთა სინდისის მქონეო. არ მინდა ვაწყენინო. ვინც შენგან გადაგდებულს პატივი სცა, იმას პატივისცემით უნდა მოექცე. ამასთან, შენი შვილის მამინაცვალია. მამინაცვალი... მამინაცვალი, კი არა მამა.

— ნელა იარე სამსონ, არაფერს დაგვაჯახო!

ის, ვინც დანაშაულს ჩაიდენს, მოულოდნელად გაებმება. ერთ არასწორ ნაბიჯს გადადგამს, ან ცერად გამოიხედავს და საქმე გაიხსნება. რისთვის დავრეკე პირველსავე დღეს, თითქოს დიდი მოყვარული ცოლ-შვილი მელოდებოდა. მივლინებიდან დავბრუნდი, დიახ, დიახ, დავბრუნდი, აეროპორტში ვარ უკვე, თვალისდახამხამებაში მანდ ვიქნები.

დაავიწყდა, რომ ის დრო წავიდა, როცა ასე იქცეოდა, გულს კი მაინც არ უნდოდა ამის დაჯერება, ამ აზრთან შერიგება.

— სამსონ, ისე ჩქარობ, თითქოს შენ ეძებდე შვილს, — თქვა ზაურყანმა.

— დრო! დრო! — უპასუხა სამსონმა.

— მართალია, დრო — ფულია, ფული — დრო, — იხუმრა ზაურყანმა.

მას თავი გამოეყო ფანჯრიდან და ირგვლივ იხედებოდა.

სახლები ერთმანეთს ჰგავდნენ და ეშინოდა, არ არეოდა.

ბნელდებოდა და ნომრები ძნელი გასარჩევი ხდებოდა. გვალვისგან გამხმარი სიმინდის ფოთლებივით უდროოდ გაჭაღარავებულ თმებს ქარი უწეწავდა.

უკანა სავარძელზე დღევანდელი დღით კმაყოფილი თვლემდა დირგუნი. მისთვის სულერთი იყო, სად მიდიოდნენ, ვის ეძებდნენ, რატომ? ასეთივე იყო მისი ნაწერებიც. მის ყველა წიგნს ერთნაირი შინაარსი ჰქონდა. კალაპოტიდან გადაგდებულ ზედმეტ წყალს ჰგავდა. წყალუხვად უმიზნოდ მიედინებოდა გაზეთებისა და ჟურნალების ფერცლებზე და დავიწყების მღვრიე ტბაში ეშვებოდა. მაგრამ დირგუნი დარწმუნებული იყო, რომ ეს ზედმეტი,

მდორე წყალი ოდესმე ნიაღვრად გადმოსკდებოდა ტბიდან. რა სიყვარულით შეუქმნია იგი შემქმნელს, რომ ასეთი თვითდარწმუნება მიუნიჭებია! ბუნებამ არ მისცა, მაგრამ თვითონ შექმნა თავისი ვარსკვლავი. მაღლა, მთებს ზემოთ მიამაგრა ცაზე. როცა დირგუნი მაგიდასთან ჯდება საწერად, იგი ფანჯრიდან უნათებს მას. მაშინ იწყებენ კანკალს ყველას კუთვნილი ფასდაუდებელი სიტყვები. დირგუნის კალამი ისე ტრიალებს მათ შორის, როგორც ტყეში შეჭრილი ბრაკონიერი. არავის ძალუძს კალმის წართმევა მისი ხელიდან, რადგან მისი ნაწერები წყლის ამოსაცლელი ხაპივით სავსეა შინაარსით. რას არ აკეთებინებს, რა ძალას არ აძლევს ეს ბავშვის სათამაშოსავით შექმნილი ვარსკვლავი! ო, დაგვლოცონ ჩვენმა ვარსკვლავებმა, ბედნიერების ნაცვლად რომ მხოლოდ გვინათებენ.

ეს იყო ერთი იმ მიზეზთაგანი, რისთვისაც ზაურყანი დირგუნთან მეგობრობდა. ხედავდა, რომ მას ჯერ კიდევ შერჩენოდა ის, რაც თვითონ დაკარგა. ამიტომ ყოველთვის ფრთხილობდა მისი ნაწარმოების შეფასებისას...

— ალბათ, გავცდით სახლს, ეშმაკმა დალახვროს, სამსონ. — ზაურყანმა სახეზე შეათვალიერა სამსონი, რომ ნამთვრალეობა შეემჩნია, — უკეთესი იყო საჭესთან მე დავმჯდარიყავი, მაგრამ რად მინდა სხვისი მანქანა! არ უნდა შევსულიყავით კისერას რესტორანში (უკვე ასე ეძახდა ამ რესტორანს), სჯობდა უკან დაბრუნებისას გამოგვევლო. მანქანა კი არა, კისერას კონიაკი მიფრინავს.

— მიფრინავს და მერე როგორ! — იცინოდა სამსონი, რომელსაც ქონიანი კისერი გაოფლიანებოდა.

მანქანის მობრუნება სცადა.

— ჩავუფრინეთ იმათ სახლს.

— აა, მივფრინავთ? სად მივფრინავთ? — შეკრთა მთვლემარე დირგუნი.

მზადაა გაფრინდეს გინდ მანქანით, გინდ თვითმფრინავით. მთავარია, რომ ის ზაურყანთან არის. ზაურყანი მოვლენილია იმისთვის, რომ მისი ტალანტი დაიცვას, იზრუნოს მასზე. პატარა ნაკადულს თუ წინ ქვის ლოდი, ან რაიმე წინააღმდეგობა დახვდება, ვინმემ უნდა გაუთავისუფლოს გზა. სამაგიეროდ, ვინც ამ წყლით წყურვილს მოიკლავს, დალოცავს წყაროს გადამრჩენის მარჯვენას.

— სამსონ, ა, სამსონ! — დაუძახა ზაურყანმა.

— აქ ვარ.

— მეშინია არ დაგკარგო, სამსონ!

— აქა ვართ, — უპასუხა მუდამ მზად მყოფმა სამსონმა. თავისთავზე იგი პატივისცემით, ნრავლობით რიცხვში ლაპარაკობდა. მიხვდა დირექტორის ირონიას. სამსონი ამის ოსტატი იყო. იგი დირექტორის ხმის ინტონაციას უფრო მეტ ყურადღებას აქცევდა, ვიდრე აზრს. ზაურყანს ნათესავები ან საპატივცემულო ხალხი დეფიციტური საქონელისთვის რომ მოაკითხავდა, იგი მაშინვე სამსონს გამოიძახებდა ხოლნ:

— ამ კაცისგან დავალებული ვარ. თუ სადმე გაქვს, რაც მას უნდა, მიართვი, — ავალებდა მას.

ინტონაციის მიხედვით სამსონმა იცოდა, ეძებნა თუ არა საჭირო ნივთი. განსაკუთრებით აკვირდებოდა სიტყვებს: „დავალებული ვარ“. თუ მართლაც დავალებული იყო, ამ სიტყვებს ჩუმად, თითქოს შემთხვევით ამბობდა. თუ უნდოდა ეჩვენებინა, რონ ძებნა არ ღირდა, ხმამაღლა ამბობდა.

როგორც არ უნდა ეთქვა ზაურყანს. სამსონი მზად იყო.

— რა თქმა უნდა, მოვძებნით. რა გნებავთ? პოლონური ლაქი? იატაკისთვის ყველაზე კარგია. ან ჩეხური ფილები? მიწიდან ამოვთხრით. თქვენისთანა კაცისთვის ყველაფერს ვიშოვით. — იგი უზარმაზარი ცხვირსახოცით იწმენდა ზამთარ-ზაფხულ ოფლიან კისერს.

ზაურყანი არ შენცდარა, მის მაღაზიაში წასვლა რომ გადაწყვიტა. სულში

ჩახედა სამსონს და ამოიცნო. მაშინ გამომძიებლობას თავს ანებებდა, სხვა გამოსავალს ვერ პოულობდა. ბევრი უძილო ღამე ათია ამაზე ფიქრში. ისე ზომავდა ყველაფერს, რომ მეწისქვილეც ვერ შესძლებდა ასე ზუსტად ნარცვლეულის აწონვას. „მცირე ბოროტება... დიდი ბოროტება... სადაც ადამიანის ცრემლი არ არის, იქ მცირეა...“

— ო, სამსონ, რა მაგრად გიჭირავს საჭე! ვერ გაგეჭცევა შენი თეთრი რაში. — ზაურყანს თავიც არ მოუბრუნებია სამსონისკენ, ბავშვთან შეხვედრაზე ფიქრობდა

— თეთრია თუ შავი, ასეთ ცხენს შენც არ დაიწუნებდი, — გამოეპასუხა სამსონი, — ვიყიდოთ?

— კარგი იქნება, — წამოსცდა ზაურყანს. სამსონის ტონი არ ნოეწონა. ეტყობა, უიმისოდ სხვაგვარი ხუმრობა ისწავლა. შიშს თუ მოერია, უფრო თამამად დაუწყებს ლაპარაკს, საჭიროა მაგრად ამოსდოს ლაგამი.

— თუ გინდა, ხვალვე გაინავარდებს შენს ეზოში, — განაგრძო სამსონმა.

— მე ნიყიდე, — თვლემით თქვა დირგუნმა.

— მართალი ხარ.

— ვიხუმრე.

— აა, იხუმრე? რატომ არ გამაფრთხილე, რომ უნდა გეხუმრა? — ჰკითხა ზაურყანმა, — ვიფიქრე, სერიოზულად ამბობდი. ხედავ, რა მიუწვდომელია ჩვენთვის შენი გაგება. ახლანდელი ხალხი შენ ვერც გაგიგებს.

— სიმართლე რომ ვთქვა, მანქანა არც მჭირდება. ხელს შემიშლის წერაში. მწერლის მანქანა მაგიდაა, — კონიაკისგან თავდამძიმებულ დირგუნს ლაპარაკის საღერღელი აეშალა.

— ნაშასადამე, წერაში ხელს შეგიშლის, არა? ისე კარგად თქვი, როგორც არასდროს. წიგნების წერაში ხელს შეუშლის, ჰა, ჰა! რაც გიცნობ, მხოლოდ ერთხელ თქვი ჭკვიანური.

ზაურყანს უფრო მეტად დაეუფლა შვილზე დარდი. ცუდ ხასიათზე დადგა. არ არიან მართლები ზულფა და მისი ქმარი.

— მოვედით, — გააჩერა მანქანა სამსონმა.

— ყველამ ვიცით, რა უნდა ვაკეთოთ, — ზაურყანი თითქოს თავდასხმას ამზადებდა. — სანსონ, შენ, როგორც ყოველთვის, იტყვი, რომ საჭეს უზიხარ და არ დალევ. დირგუნ, ცივი წყალი გადაივლე და შეუდექი შენს მთავარ საქმეს — ჭამა-სმას. ამასობაში შვილის ცქერითა და ფერებით გულს ვიჯერებ, გვარის შესახებ მოველაპარაკები და წამოვალთ. გაიგეთ? წითელი ჩემოდნიანად გამოვიდა ზაურყანი მანქანიდან.

ახსნა-განმარტება ზედმეტი იყო, არც ისე ხამად იყვნენ ასეთ რამეებში მისი ამფსონები. მათ მანქანას შემოუარეს, საბარგულიდან კონიაკი და შამპანური აღოიღეს და კიბეს შეუყვნენ.

კარი საშუალოზე მაღალმა, ხმელ-ხმელმა, მკვრივი გარეგნობის წაბლისფერთვალებიანმა მამაკაცმა გააღო. მას სპორტული კოსტუმი ეცვა, შავ თმებში, თითქოს ფერფლი შეაყარესო, ჭაღარა გარეოდა, თუნცა ორმოც წელზე მეტისა არ ჩანდა. მამაკაცის გამოხედვაში ძალა იგრძნობოდა — ძალა ფიზიკური და სულიერი.

ზაურყანს თითქოს სიცივემ დაუარა.

— აქ ცხოვრობს...

— შეგეშალათ ამხანაგო, იქ, ზევით, — ღიმილით უჩვენა მამაკაცმა მაღლა სართული.

იქ, მაღლა ორი ქალი ცხოვრობდა, ვისთანაც საღამოობით ნამაკაცები მიდიოდნენ ხოლმე სასმელებით ხელში.

— ვინ არის, რა უნდათ? — სიღრმიდან ქალის ხმა მოისმა.

ზაურყანმა ზულფას ხმა იცნო. თავისი გულის რეკვა შემოესმა. ფლოსტების ფლასტუნით ახლოვდებოდა იგი.

— ვიღაც ახალგაზრდებს ბინა შეეშალათ, —უპასუხა მამაკაცმა.

— არ შეშლიათ, ჩვენთან არიან,— ჩავარდნილი ხმით თქვა ზულფამ, რო-

ცა ზაურყანი დაინახა. კარგა ხანს შეჰ-ყურებდნენ ერთმანეთს. ქალს არ გაკ-ვირვებია მისი მოსვლა. — გამხდარა, თვალის უპეებთან ნაოჭები გასჩენია, საფეთქლებთან თმა შეჭაღარავებია.— გაიფიქრა თავისთვის.

— თუ ჩვენთაი ხართ, კეთილი იყოს თქვენი მობრძანება, შემობრძანდით. ვიცნობდეთ ერთმანეთს. ნე მურატი მქვია, ავიაციის მაიორი მურატ მიხეილის ძე აწანბა.

— აწანბა? — თითქოს არ იცოდა, თითქოს პირველად ესმოდა ძველისძველი აფხაზური გვარი, მწარედ ამოღერღა ზაურყანმა.

მისალმებისა და გაცნობის შემდეგ შევიდნენ და მასპინძლის ნითითებისამებრ დასხდნენ.

ზაურყანს თავგზა აებნა. თითქოს ვერ ხედავდა ზულფას, მის გაფურჩქნულ სილამაზეს, უხერხულად იჯდა.

მაგიდის ზემოთ ოქროთი მოვარაყებული ბროლის ჭაღი ეკიდა, შემოსვლისთანავე შეამჩნია იგი ზაურყანმა. თითქოს მის თავს ზემოთ დახვეული გველი ყოფილიყოს, მაგიდის სკამი გასწია და გვერდზე დაჯდა.

— როგორ ბრძანეთ? — ჰკითხა ზაურყანმა, სანამ ბავშვზე რაიმეს იტყოდა — აწანბა თქვით?

— კარგი გვარია აწანბა, — გაბედულად გამოეხმაურა დირგუნი.

— თუ ასე მოგწონს, დაირქვი, — გულმოსულად ესროლა ზაურყანმა.

— შემიძლია დავირქვა, როგორც ლიტერატურული ფსევდონიმი. ბევრ დიდ მწერალს ჰქონდა.

მურატი დუმდა. მან, იცოდა, რაზეც იყო ლაპარაკი და ჩუმად ადევნებდა თვალყურს.

— აწანბა.. .მართლა, საბავშვო ბაღში თქვა გამგემ რაღაც ამის მსგავსი, — აწანუა და მეგონა, რომ ასე გერქვა.

— გვარს ვერ დასცინებ, — ზულფა საუზმეულს ალაგებდა, — კარგია, თუ ცუდი, მისი გვარია. მურატმა თვალით ანიშნა, რომ გაჩუმებულიყო. ქალი მორჩილად გაჩუმდა.

„ან ძალიან უყვარს, ან ეშინია მისი“, — გაიფიქრა ზაურყანმა. — „ან იქნებ, ერთიცაა და მეორეც“.

— მაშ, კარგია თუ ცუდი, მისი გვარია, არა? — ზაურყანი თვალებით ბავშვს ეძებდა. — ჩემიც, ცუდია თუ კარგი, ურიგო არ იქნებოდა მეტარებინა...

— შენ რომ მას გაფრთხილებოდი...

— შენს ქმარს ველაპარაკები, შენ არ გეკითხები.

— საბავშვო ბაღში რა გითხრეს არ ვიცი, მაგრამ ჩემი გვარია — აწანბა — თქვა მურატმა.

ეტყობა, იგი არც ისე სუსტად დგას მიწაზე. ალბათ, ჟრენის დროს ისწავლა მიწაზე სიარული. ჩვენ კი, არამფრინავები, ღრუბლებში დავფრინავთ.

— მდიდარი თუ ხარ, შენც კარგი ხარ და შენი გვარიც, ხოლო თუ ღარიბი ხარ, ჩაჩბაც რომ იყო, არ გიშველის. — ჩაერია სამსონი.

— ვიცოდი, რომ აფხაზეთში სისხლის აღმრევსა და მოღალატეებს გვარს არ-თმევდნენ, — თქვა ზაურყანმა.

— ან მამისაგან მიტოვებულ ბავშვებს, — ცრემლმორეული ხმით თქვა ზულფამ.

მურატი დუმდა. სხვა საქმეში იგი სიტყვით ან სხვა საშუალებით იმოქმედებდა, მაგრამ ახლა შებოჭილი იყო, არ იცოდა, რა ეთქვა.

ზულფამ სამზარეულოში გული მოიოხა, ცრემლები მოიწმინდა და დაბრუნდა.

ზაურყანს სურვილი შემოენთო დაემშვიდებინა ქალი, ახლა უფრო მწვავედ მოუნდა მოფერებოდა, ვიდრე მაშინ, როცა მისი ცოლი იყო. რა დააშავა? იქნებ უკეთესიცაა, რომ მის შვილს სხვა გვარი მისცა.

— ავწიოთ ჭიქები. — ჩავარდნილი ხმით თქვა მურატმა.

— გთხოვთ ავწიოთ და დავლიოთ, — ისე რიხიანად თქვა დირგუნმა, თითქოს მასპინძელი თვითონ ყოფილიყოს.

— დაიცა, — წამოიძახა სამსონმა და ცხვირსახოცით ოფლიანი კისერი მოიწმინდა.

დირგუნს სიტყვა გაუწყდა.

ზაურყანს გაეცინა. რა უძლეველი ძალა აქვს სამსონს!

— ასეთი საპატივცემულო სტუმრების მოსაწონი არაფერი გვაქვს, მაგრამ ჩვენი გაცნობის სადღეგრძელო მაინც დავლიოთ. — შესთავაზა მურატმა.

— თურმე ჩვენი ადათ-წესების კარგად მცოდნე ხალხთან ვყოფილვართ სტუმრად, — მწარედ ჩაურთო ზაურყანმა, — მაგრამ სანამ თქვენს ბურ-მარილს გავეკარებოდეთ, მთავარ საქმეზე უნდა მოვილაპარაკოთ.

— უკვე ყველაფერი გასაგებია. მე პირველად ვხედავ შენს ამხანაგებს, — რბილად, მავედრებელი ხმით ამოთქვა ზულფამ.

— როცა ახალ ცხოვრებას იწყებ, მეგობრებსაც ახალს ეძებ. — შენიშნა ზაურყანმა. ყურთან ხალი რომ ჰქონდა, გაეზარდა, თუ რა? უბრალოდ, უფრო შესამჩნევი გახდომია გასუქებისაგან. ძალიან გათეთრებულა, თითქოს გაზრდილა, — მინდოდა ბავშვი მენახა, თუ მომცემდით ამის უფლებას...

— არავინ გართმევს შენს უფლებებს. შენს წინაშე დამნაშავენი ვართ, მაგრამ მისთვის ასე აჯობებს... — თითქოს ძლიერმა ქარმა გაფანტა, მურატში რომ სულიერი ძალა იგრძნობოდა.

— ბავშვი აქ არ არის, სოფელშია. — თქვა ზულფამ. — მთელი კვირები, მთელი თვეები გელოდებოდით, ვეგონა დაბრუნდებოდი. შენ კი არც გაგხსენებია ცოცხალი ვართ თუ არა, მხოლოდ ალიმენტს იხდიდი. უკანვე წაიღე, შენს ხარჭას — ტატიანას მიეცი. ახლა გამოგვეცხადე! ბავშვის ნახვა გნებავს! არ არის ბავშვი, გესმის, აქ არ არის! — ცრემლები ახრჩობდა ზულფას.

მურატი მივიდა მასთან და დამშვიდება დაუწყო.

— სადაც არ უნდა მიხვიდე, უბედურება მიგაქვს. შებრალების ღირსი არ არის, მაგრამ ის ტატიანაც მეცოდება, არ იცის, რომ ვერასდროს ბედნიერებას ვერ მიანიჭებ. მის შვილს გვარი წაართვეს! თითქოს შენი გვარი თუ ატარა, დიდი ბედნიერი იქნება. კარგია, არა, მზამზარეულად გაზრდილი. „არ შემიძლია ოჯახის სამსახურს შეუთავსო, ერთ-ერთი უნდა ავირჩიო!“ და აი, შენც აირჩიე. მაგრამ ვაი, რომ სამსახურიც ოჯახივით მიატოვე. ალბათ, ისიც უღირსი აღმოჩნდა შენთვის, როგორც მე. ახალი სამსახური და ის ქალი მორიგდნენ, შეთავსდნენ ერთად, ხომ მართალია? წადი მასთან. იქნებ გინდა, ბავშვიც მან აღზარდოს? ან იქნებ გინდა, ბავშვს შენი ახალი ხელობა ასწავლო? როგორც კი დარეკე, მაშინვე სოფელში გავგზავნე. დიახ, დავმალე. წადი, მიჩივლე. ფული გაქვს, კანონები კარგად იცი, შეგიძლია ისარგებლო. დიახ, არ მქონდა უფლება, ეს უკანონობაა, მაგრამ შენ, შენ არ დაარღვიე კანონი? მოგვეშვი, თუ სინდისის ნატამალი მაინც გაგაჩნია, დაგვანებე თავი.

— კარგი ახლა, გაჩერდი! — თქვა მურატმა.

ზაურყანი სახეზე შეყინული უცნაური ღიმილით უსმენდა. თავი ასწია, ჭაღს შეხედა და თითქოს მისი შეეშინდაო, კიდევ უფრო უკან დაიხია. ძალიან გადააჭარბა ზულფამ, მაგრამ ზაურყანი არ დაფიქრებულა, სად მართალს ამბობდა და სად აზვიადებდა ქალი. უკვირდა მხოლოდ, რა ძალიან შეცვლილა. თუ ბევრი რამ კიდევ არ ესმის, ეს არ არის მთავარი. საქმე ისაა, რომ აღარ არის ისეთი, როგორც სოფლიდან წამოიყვანა. თურმე მაინც შეიძლება ბავშვობისას ქვაზე ამოჭრილის წაშლა. ის, რაც ჯერ კიდევ არ წაშლილა, დროთა განმავლობაში წაიშლება.

— „ბავშვიც, ბინაც და ყველაფერი შენი იყოს“, გავიდა და თავის მეძავთან წავიდა. ახლა კი... მე... ბავშვი... — სამზარეულოდან ისმოდა ზულფას ხმა. სლუკუნი უშლიდა ლაპარაკში. სამზარეულოს კარებთან დუმილით ეწეოდა პაპიროსს მურატი.

— კამჩატკაზე რომ დამალოთ, ბავშვს მაინც ვიპოვით, — განაცხადა სამსონმა.

— პირადად მე ბოდიშს ვიხდი, — თქვა მურატმა.

— შენს მტერს გაუხდეს საქმე ბოდიშის სახდელად. შენ არაფერ შუაში ხარ. პირიქით, მე მაპატიე. თურმე არ ყოფილხარ ცუდი კაცი. მე შენს ოჯახში საჩხუბრად არ მოვსულვარ. იყავით განუყრელნი და ბედნიერნი. — ზაურყანმა სირჩა აიღო, დალია და დადგა. — წავიდეთ, მეგობრებო!

— არ გაუშვა, ვთხოვოთ! — დაეწია ზულფას ხმა.

— ხვალვე ჩამოვიყვან ბავშვს, — თქვა მურატმა.

— თავს ნუ შეიწუხებთ, — უპასუხა სამსონმა და ზაურყანს შეხედა, აქაოდა, მოეწონა თუ არა ჩემი ნათქვამიო. ზაურყანი დუმდა.

— დაიცა, რაღაც უნდა გითხრა, — შეეეედრა ზულფა.

— თუ ოდესმე გაიგებ, რისი თქმაც ჩემთვის გინდა, შვილს უთხარი. ვიცი, რაც უნდა მთხოვო. წავედით.

— ჩვენ გაწყენინეთ, მაგრამ...

— მარტო თქვენზე კი არა, ზაურყანი ღმერთზეც გამწყრალია, — თქვა დირგუნმა. — იცი, რა გამოიგონა? „თუ ჩვენმა შემქმნელმა თავისი თავის მსგავსად შეგვქმნა, რა ცუდად შექმნილი ყოფილა თვითონ შემქმნელიო“. ვეხვეწები, მომეცი-მეთქი, — დირგუნმა პური აიღო, წვენში ამოავლო და ხახაში გაგზავნა.

— წამოდი, კისერას გაახარებ, — უთხრა ზაურყანმა.

— ეს უკვე სხვა საქმეა. აქ ვერ ვიპოვეთ საერთო ენა, მაგრამ მასთან ადვილად ვიპოვით.

ზულფა არ გამოსულა მათ გასაცილებლად. გამოსვლისას ზაურყანი შეჩერდა და მისკენ გაიხედა. კარებში ისე გაიჩხირა, თითქოს ეძნელებოდა გაბრაზებული ნაცოლარის დატოვება, მაგრამ უკვე ვეღარაფერს იტყოდა. ყველაფერი, რის თქმასაც აქ მოსვლამდე აპირებდა, უთქმელი დარჩა. ყველაზე მეტად იმას ნანობდა, რომ ზულფასთან მარტო ლაპარაკი ვერ მოახერხა. უნდოდა ესაუბრა მათ გაყრაზე (თითქოს შეიძლებოდეს რამის დაბრუნება, ან რამე მნიშვნელობა ჰქონდეს ლაპარაკს), ისეთ რამეებზე, რასაც ქალი ვერ წარმოიდგენდა. უნდოდა ეთქვა, რომ იგი მოხარულია მისი ბედნიერების, რომ ალიმენტი, რომელზეც მან უარი თქვა, ბავშვის სახელზე შეაქვს სალაროში (როცა გაიზრდება და პასპორტს მიიღებს, როგორ შესძლებს ფულის გამოტანას სხვა გვარით? რამე უნდა მოიფიქროს), ქმრის დაუნახავად უნდოდა მიეცა წინასწარ ჯიბეში ჩადებული ფულის დასტა, რათა თავისთვის, ან ბავშვისთვის მოეხმარა... ყველაფერი, რაც მოფიქრებული და გადაწყვეტილი ჰქონდა ადრევე, მასთანვე დარჩა. შორს გასახედავად მაღალ ხეზე უნდოდა ასვლა, მაგრამ ჯერ კიდევ ხის ძირში იდგა, რადგან პირველივე ტოტი, რომელსაც ხელი წაავლო, მოუტყდა. წინასწარ მოფიქრებული გეგმა ჩაეფუშა და მხოლოდ სიბრაზემ და წყენამ იძალა, ამან კი ყველაფერი დაამსხვრია.

სიკეთე... მემკვიდრისათვის ყველაზე დიდი სიკეთე — სახელოვანი მშობელია. რომ იტყვიან, ის ამისა და ამის შვილიაო და არ გაწითლდება, მაშასადამე, კარგი მამა ჰყავდა, რომელმაც ქვეყნად სიკეთე დატოვა.

გვიან ღამით მეგობრები სასტუმროში დააბინავა და თვითონ დასასვენებელ სახლში დაბრუნდა. ცა მთლიანად ღრუბლებით იყო დაფარული. ნესტიანი ქარი მომაბეზრებლად უბერავდა მთებიდან. წინათ იგი ყველაფერს ღვინოში ჰკლავდა. ახლა კი იჯდა თავის თავში ჩაკეტილი. გარეგნულად მშვიდი ჩანდა, როგორც ცა ღრუბლებში, მაგრამ სულში ქაოსი სუფევდა და ფიქრები ისე ირეოდნენ, როგორც თოვლის ფანტელები ქარში. კისერა ლაზათიანად ემსახურებოდათ. ზაურყანი კი ვერც ამჩნევდა, თითქოს არც არასდროს ენახა.

მერე ზღვის პირას მიმავალი, ისევ და ისევ უბრუნდებოდა ჩაფუშულ შეხვედრას. ხვალ, დილით ადრე წავალ სოფელში და ბავშვს ვნახავ. ვუყიდი ბევრ

სათამაშოს, მივცემ ამ ნივთებს, ალბათ მოეწონება. ბებიამისი, ყოფილი სიდედრი, ძალიან მძულს. მასთან შეხვედრა სიკვდილთან შეხვედრას უდრის, მაგრამ რომ არ შევხვდე, არ შეიძლება. თავიდანვე ყრონტში მტაცა ხელი და მახრჩობს, ამოსუნთქვის საშუალებას არ მაძლევს. ერთი თვის შემდეგ ისევ ვნახავ შვილსა და მასაც. იქნებ ამითი ბავშვს ვავნო? კისერზე ხელები რომ შემომაჭდოს და თან წაყვანა მთხოვოს, სად წავიყვანო? არა, იგი ჩემია. ამ უსულგულო დირგუნმა კი განაცხადა, აწანბა კარგი გვარიაო. რაო, ჩემს ხარჯზე უნდა სხვისი გვარი ამრავლოს? ოდესმე გამიგებს ჩემი შვილი და დამიბრუნდება. მანამდე? მაშინ? ალბათ, მაშინ მარტო აღარ ვიქნები. ალბათ, ახალი კერის გაჩაღება მომიწევს. ჰა, ჰა! ამაზე კალამბური უნდა შევთხზა, თორემ ასეთი მხიარული აზრებისაგან შევთვრები კიდეც.

ანას ფანჯრებიდან სინათლე გამოკრთოდა, თითქოს ჩამავალ მზეს გაუშუქებიაო.

ზაურყანს ერთბაშად მოეხსნა ყველა ტვირთი და შვება იგრძნო. გაუხარდა ფანჯარაში შუქის დანახვა. ანას არ სძინავს. შევა. რად უღირს ახლა მასთან გულახდილი საუბარი. საათს დახედა. არ ეგონა, თუ ასე გვიანი იყო. ისრები ორს გადასცილებოდნენ. იქნებ სძინავს და შუქი არ გამორთო? როცა ქალები ვინმეს ელოდებიან, ასე იციან ხოლმე. ასე აკეთებს ტატიანა.

ზაურყანი კვიპაროსის ტანს მიეყრდნო.

ალბათ, ცივმა ქარმა აჯობა ზღვის თბილ სუნთქვას, ჰაერი ნესტიანი და გამჭოლავი იყო. გათენებისას ვარსკვლავები ისე ცრიალდება, როგორც ახლა შუქი ანას ფანჯრებიდან.

ერთხელ, სტუდენტობისას, პირველ შეყვარებულ გოგონასთან ერთად გაათენა ღია ცის ქვეშ. იმ ღამეს ვარსკვლავები თითქოს სხვანაირები იყვნენ, სამუდამოდ დაამახსოვრდა. კარგად ახსოვს, როგორ უთხრეს ერთმანეთს ყველაფერი და დაღლილები მისი სახლის სადარბაზოსთან დაშორდნენ. გოგონა წავიდა, თვითონ კი იდგა და შეჰყურებდა, როგორ უფერულდებოდნენ ვარსკვლავები. ალბათ, ისინიც დაიღალნენ და დასაძინებლად მიდიოდნენ.

ისევ ანას ფანჯარას შეჰყურებდა. უეცრად მზერა სიგარეტის სუსტ შუქს მოხვდა. შუქი ხან კლებულობდა, ხან მატულობდა, ციმციმებდა ციცინათელასავით. დააკვირდა და ფანჯარაში მამაკაცის სილუეტი დალანდა.

ზაურყანსაც უყვარს ფანჯარასთან დგომა და გაბოლება. ხან მთვარე მიცურავს ცაზე, ხან კოკისპირული წვიმით ირეცხება ტატიანას ფანჯარა, ხან ქარი შემოუბერავს. ფარდები ყოველთვის სუფთა და დაუთოვებულია. ის კი, თეთრ მარმარილოსავით ჩამოქნილი, ზღვის ქაფიდან დაბადებულ ქალღმერთივით შიშველი წევს. ჩამოშლილი შავი თმა წელამდე ფარავს. ასეთი ქალები ხშირად თმას იღებავენ წაბლისფერი, ქერა, თეთრი, ყველანაირი ფერებით.

ტატიანას ნაწნავები კი ბუნებრივია, საკუთარი ფერის.

ერთხელ, ღამით, როცა ფანჯარაში სავსე მთვარე იხედებოდა, ფარდა გადასწია და მძინარეს მთვარის ვერცხლისფერი სხივები დაეფინა. ქალს კანის ფერი შეეცვალა ვაჟი მის მრგვალ, მკვრივ მკერდს ხან მსხალსა და ხან მოუმწიფებელ ნესვს ადარებდა.

ასევე აბოლებს პაპიროსს და შეჰყურებს ცას ფანჯარასთან მდგარი.

წყნარად გაეშურა პარკისაკენ. მისი სულივით დაღვრემილი ცა მიწაზე ჩამოეშვა. წვიმის წვეთები აწკარუნდნენ აქა-იქ. შემდეგ მთიდან მოდენილმა ყრუ გუგუნმა ჩაახშო ტალღების ხმაური. წვიმამ იძალა.

ზაურყანმა თითები გაშალა და ხელისგულები შეუშვირა. ჰა, ჰა, დაუშვი, დაუშვი წვიმავ, გარეცხე ყველაფერი, გააახლე ქვეყანა, ძალიან გამტვერიანდა ირგვლივეთი.

წვიმა ევკალიპტის ხმელ სამოსელს ეხლებოდა და ხმაურით აკაკუნებდა.

კოკისპირულის გუგუნი მატულობდა და გულს ახარებდა.

პარკში თითქოს ჩიქჩიქით ჩაითოხარიკეს ცხენოსნებმა. თავსხმა შენელდა. რბილად, სუსტადღა ეცემოდა წვეთები ფოთლებს.

ქარი კი, თითქოს ხეების ერთად დაჯგუფებას ლამობსო, პარკში ტრიალებდა და მათრახით სცემდა ტოტებს. ზოგს ჩრდილოეთისაკენ ერეკებოდა, ზოგს — სამხრეთისაკენ, ვერ შეაგროვა ერთად ქედმოუხრელნი:

ნელა, თითქოს დარიან ამინდში მისეირნობსო, აუჩქარებლად მიაბიჯებდა წვიმასა და ბნელში ტანსაცმელგაჟიებული ზაურყანი. ზღვაშიც ვერ დასველდებოდა ამაზე მეტად. ტანსაცმელი ვერც ფარავდა, წვიმის ნაკადი ზურგზე უტყლაშუნებდა. სიბნელეში უცებ რომ იჭექებდა, ტანში აურჟოლებდა. ელვა საშუალებას აძლევდა სრულიად უცხო გაუგონარი სამყაროსთვის მოეკრა თვალი. ისეთი გრძნობა ჰქონდა, თითქოს წვიმის ნაკადი მასში გადიოდა. ფეხთ გაიხადა და ხატისკენ მიმავალი წმინდანივით ფეხშიშველა გაემართა. ქუჩებში წყლის ნიაღვრები მიედინებოდა. ბავშვობისას, ზაფხულის ნაწვიმარზე ასევე მხიარულად მიტოპავდა ხოლმე გუბეებში. მან იხილა ცოდვისა და წყენის არმცოდნე, ახალგაკვირტული ფოთოლივით სუფთა, სუფთა სამყარო.

ყველაფერს რეცხავდა და ასუფთავებდა კოკისპირული წვიმა.

დილით, რომ გამოეღვიძა, მთელ სხეულში სიმძიმეს გრძნობდა. ნაცემივით მძიმედ იდო საწოლზე. გათენებისას მხოლოდ ოდნავ მოხუჭა თვალი. ფარდა გადასწია. მთებს განბანილი ცა ეხურა თავზე. ზღვის ზედაპირზე ისეთი ორთქლი იდგა, როგორც ცეცხლიდან გადმოდგმულ მდუღარე ქვაბს ზემოთ. ცაზე ბეწვზე ეკიდა ნახევარმთვარე. ახლა გათენება მოუსწრებს და ცას დაეკარგება, შემდეგ ისევ გამოჩნდება ახლადდაბადებული, შემდეგ ისევ დაბერდება, ისევ გაქრება, ისევ... და ბუდამ ასე...

თავში ათასი ფიქრი უტრიალებდა. ფანჯარასთან იდგა. დავიწყებოდა, ვინ იყო და აქ რა უნდოდა. რომელიღაც ზღვაზე, სადღაც ტალღებში ქანაობს მისი ნავი. ნიჩბები ხან მაგრად უჭირავს, ხან ხელიდან უვარდება.

თითქოს ქალმა სამგლოვიარო ტანსაცმელი მოიცილაო, ისე განთავისუფლდნენ მთები ბნელი ღამისაგან. ცა მაღლდებოდა. დასასვენებელი სახლის ეზოში ხეებიდან წვიმის წვეთები ისევ წვეთავდა.

ათასი ფიქრისა და აზრის ტყვეობაში იდგა ზაურყანი... გაბრუებული ზედიზედ ეწეოდა სიგარეტს. ბოლოს მაგიდასთან მივიდა და სასტუმროში დარეკა, მეგობრებთან.

— შენა ხარ, სამსონ? სალამი.. ადრე გირეკავ, მომენატრე. მართალია, არ შემიძლია არ გაგეხუმრო. ჰო, ჰო, მომენატრე. ზოგჯერ ადამიანს სიკვდილიც მოენატრება. უკვე ადექი? გაღვიძებული წევხარ? ეს კარგია. რა თქმა უნდა, შენცა გაქვს ძილის გატეხის მიზეზი... ისე რაც შენ არ გაძინებს, აღარც მე **მაძინ**ებს. რა თქმა უნდა, ესეც ემატება ყველაფერს. დაინახე, ან გაიგონე, **რა** დელგმა იყო წუხელ? ძლივს გააშველა ღამემ დაჯახებული ცა და მიწა. კარგი იქნებოდა, ჩვენთვისაც მოსულიყო ასეთი წვიმა. დირგუნიც გავაღვიძე? მაგას არაფერი აწუხებს — მთელი ქვეყანა მაგისთვის წყნარი ვაკეა. მოდით, გელოდებით. ბავშვის სანახავად არ წავიდეთ? არ ვიცი. კარგად უნდა მოვიფიქრო, როგორ სჯობია ბავშვისათვის. ვიცი, რა თქმა უნდა, მივაღწევთ მაღაზიის გაღებამდე, იქნებ ჩავძიროთ ჩვენი გემი? არ იქნებოდა ცუდი. გზად კისერასთან გავიაროთ, გუშინ რომ ვიყავით. ვადღეგრძელოთ და გავემგზავროთ.

გარეთ წითელი ჩემოდნის ქნევით გამოვიდა.

თარგმანი **ნათელა მიშველაძისა**
და **ლადო მრელაშვილისა.**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ალექსანდრე ჟუთათელი

სიზმარი

ავი სიზმარი ცხადად ამიხდა,
როცა დავშორდი ჩემს მეგზურ გლეხებს,
გასიპულ ქვაზე ფეხი დამიცდა
და კლდიდან ხევში გადავიჩეხე...
აქ გამოვცადე ძალუმი მაჯა
და ბასრი თვალის სისწრაფე ძველი:
ჯუჯა ბუჩქს ხეშეშს, ეკლიანს, არჯალს
სალ კლდის კედელზე წავავლე ხელი,
მაგრამ ჯაგ-ბუჩქმა იწყო ღალატი
და ამოძირკვა ურჩმა ფესვებმა,
სისხლმა შეღება თეთრი ხალათი
და შიშის ზარით გული მევსება.
ვერ მოვიკიდე სალ კლდეზე ფეხი,
ხელს ნაიარევს მოაკლდა ძალა,
მხრებზე მაწვება სიმძიმის კეხი,
თანაც მზედაკრულს მისკდება ქალა.
კლდესთან ამაო ბრძოლით გარჯილი,
ღონემიხდილი, შიშით გვემული,
სიკვდილ-სიცოცხლეს შორის გაჩრილი
ვარ შავ უფსკრულზე დაკიდებული.
მაღლა ვარვარებს მზე — ცის ლამპარი, —
დამწვავს, დამბუგავს, თუ დავაყოვნე,
ქვეშ ჩანს ნაპრალი — ლეშთა საფარი,
თვალჩაუდგამი შავი საყორნე.
თავს დამტრიალებს, მზვერავს არწივი,
ჩაექანება შავ კლდეს ყორანი.
მზისგან გრძნეული გველი არ წივის,
გალობს, მაძინებს ჩასაყორავი,
უდაბურ მთაში არავინ მოვა,
რომ გამოიხსნას თვისი მოკეთე.
მთის სიჩუმეში ჩამდგარა გლოვა
და გულ-ღვიძლს მიღრღნის მუნჯი როკეთი.
ქედიდან მოდის კვნესა, გოდება
ვამბობ: იქნების ამირანია?
აღარაფერი არ მაგონდება,
მხოლოდ ვჩურჩულებ: „წმინდა მარიამ“!
ჩაქრა მზის შუქი, აწ რამე ხერხი
გადასარჩენად არ მიხმარია.
შორს ლაღუმივით სკდება კლდის ქერქი
და კვლავ ვჩურჩულებ: „დაო მარიამ“!
თვალს ეფინება შავი ოლარი,
უკვე დაღამდა. გულს უხარია
ხმანაღვლიანი ჰანგი, ხორალი,
ბავშვთა გალობა: Ave Maria!
მაგრამ ვერ არღვევს ღამის უკუნეთს
ღაღადი ღვთისკენ ხელის გაშვერა.
აჰა, ვეტმფრენი ცაში გუგუნებს
გამოგზავნილი კაცის საშველად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვენორი ქვაჩახია

მატერიალურიც, მორალურიც!

კონსტანტინე ლორთქიფანიძის წიგნი — „რა მოხდა აბაშაში“.

ეს წიგნი სულ ახლახან მიიღო მკითხველმა. წიგნის პირველ ნაწილს გასული წლის თებერვალში, მეორე ნაწილს ივლისში გავეცანით გაზეთ „კომუნისტის“ ფურცლებზე. მთელი წიგნი რომ გაზეთში გამოქვეყნდეს, ეს იშვიათი შემთხვევაა. საკითხის მნიშვნელობამ გამოიწვია ეს გამონაკლისი. მატერიალური სტიმულირების აბაშაში გამოყენებული მეთოდის შესახებ მანამდეც საკმაოდ იყო ლაპარაკი. ავტორიტეტული ტრიბუნებიდან გაისმოდა — დიდი მოსავალი მიიღეს და ეს მესიმინდეობაში სამაგალითო უნდა გახდესო. სხვებს ეს მეთოდი მიუღებლად მიაჩნდათ.

ჩვენი სახალხო მეურნეობისათვის დიდმნიშვნელოვნად მიმაჩნდა ეს საქმიანობა და „ქრონიკებს“ გაზეთში გამოქვეყნებისთანავე გამოვეხმაურე. მოხდა, ისე რომ კონსტანტინე ლორთქიფანიძემ წერა გააგრძელა, მეორე ნაწილიც გამოაქვეყნა და ჩემი გამოხმაურების დაბეჭდვას საკუთარი გამოხმაურებით დაასწრო — მეტად დამაჯერებელი უწოდა ჩემს წერილს თავის „ქრონიკებში“, ვრცელი ამონაწერი მოიყვანა ჯერაც გამოუქვეყნებელი ჩემი წერილიდან, დასკვნაც გააკეთა — ამ სიტყვებს ახსნა-განმარტება არ სჭირდებაო. ამან კი უფრო განმიმტკიცა სურვილი გარკვეული მოსაზრებები გამეზიარებინა მკითხველისათვის „ქართული სოფლის ქრონიკებისა“ და მასში წამოჭრილი პრობლემების შესახებ. ეს მით უფრო, რომ 1974 წლის ოქტომბერში უკვე გვქონდა შესაძლებლობა გავცნობოდით ამ სიახლეს აბაშის რაიონში და სათანადო შეფასება მიგვეცა მისთვის. მაშინაც, შემდეგაც ამ მოვლენის მიმართ აზრთა სხვადასხვაობა იყო და არის ამჟამადაც. სწორედ ამ კუთხით მინდა აზრის გამოთქმა. საამისოდ მინდა სწორედ ძალზე მოკლედ წარმოვადგინო 1974 წლის ამბავი, კერძოდ კი ის, რომ მაშინ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამოყენებითი სოციოლოგიის კათედრამ აბაშის რაიონის მშრომელთა საზოგადოებრივი აზრი შეისწავლა ანაზღაურების ახალ მეთოდთან დაკავშირებით, გააანალიზა და სრულიად გარკვეული დასკვნა წარუდგინა ცენტრალურ კომიტეტს.

იმჟამად ჩვენ სხვა დავალება გვქონდა —მზადდებოდა დიდი მსჯელობა

კონტროლის ეფექტიანობის საკითხებზე ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დონეზე და ამ მიზნით სოციოლოგიური გამოკვლევის ჩატარება გვქონდა მონდობილი რესპუბლიკის მასშტაბით. გამოკვლევის ჩასატარებლად არჩეულ რაიონთა შორის აბაშაც შევიტანეთ, ამასთან დამატებითი მიზანიც დავისახეთ — საზოგადოებრივი აზრის ანკეტური შესწავლის პარალელურად გამოკვლევის სხვა მეთოდით — ინტერვიუს მეთოდით სწორედ ამ რაიონში გამოგვეკვლია სტიმულირების ახალი მეთოდისადმი რაიონის მშრომელთა დამოკიდებულება, ამასთან ისე, რომ ეს საკითხი კონტროლის ეფექტიანობასთან ყოფილიყო დაკავშირებული.

ახალი მეთოდის დანერგვის საკითხზე საკუთარი მოსაზრება გამოვკითხეთ პარტიის რაიონული კომიტეტის, აღმასკომის, კომკავშირის რაიკომის, რაიონული გაზეთის რამდენიმე მუშაკს, ძირითადად კი საბჭოთა მეურნეობის, კოლმეურნეობების წარმომადგენლებს.

გამოკითხულთა 100-მა პროცენტმა დასმულ კითხვას — როგორ აფასებენ მატერიალური სტიმულირების იმ მეთოდის ეფექტიანობას, რომელიც 1973 წლიდან ინერგება რაიონში, აშკარად დადებითი პასუხი გასცა. ბევრი მათგანი გამოთქვამდა აზრს — საჭიროა ეს მეთოდი მთელს რესპუბლიკაში გავრცელდესო. პასუხთა უმეტესობა შეიცავდა არა მხოლოდ დადებით დამოკიდებულებას ამ მეთოდისადმი, არამედ ამ დამოკიდებულების, ამ შეფასების დასაბუთებას, გამართლებას. ეს ყოველივე გამოთქმული იყო მოკლედ, მაგრამ შთამბეჭდავად. საჭიროდ მიმაჩნია მოვიყვანო ზოგიერთი მათგანი:

„მატერიალური წახალისების ახალი წესი სრულიად მართებულად მიმაჩნია, ვინაიდან იგი პირდაპირ პასუხობს სოციალიზმის ძირითად ეკონომიურ კანონს“;

...„ის ამტკიცებს შრომის ორგანიზაციას, შრომის დისციპლინას, ყოველმხრივ ზრდის შრომის ნაყოფიერებას“;

...„ახალი პრინციპი სწორია და ეგი წარმოადგენს ამჟამად სოფლის მეურნეობაში შრომის ნაყოფიერების გადიდების ერთ-ერთ ძირითად საშუალებას“;

...„ამ პრინციპმა გამოიწვია შრომაში ჩაბმულთა დაინტერესება“;

...„ადრეც იყო ასეთი მეთოდი, მაგრამ ასეთი შედეგები არ იყო, რადგანაც ეს ტარდებოდა ფორმალურად და ხელმძღვანელობა ნაკლებ ყურადღებას აქცევდა“;

„მადლობას ვუცხადებ რაიონის ხელმძღვანელობას ასეთი პრემიალური სისტემის შემოღებისათვის“;

„პრემიალური სისტემის შემოღებამ კოლმეურნეები უფრო მეტად დააინტერესა და შედეგიც კარგია. არ რჩება დაუმუშავებელი მიწის ნაკვეთი, ხდება მისი აგროვადებში დამუშავება“,

...„1972 წელს საშუალოდ ერთ ჰექტარზე მიღებული იყო 14 ცენტნერი სამარცვლე სიმინდი, ხოლო 1973 წელს — 29 ცენტნერი. შედეგი მიღწეულ იქნა წამახალისებელი ღონისძიებების გატარებით“;

...„ეს მეთოდი იწვევს შრომის ნაყოფიერების ამაღლებას, პროდუქციის ზრდასა და მშრომელთა ცხოვრების მატერიალური დონის ამაღლებას, აგრეთვე მუშახელის მიზიდვას და დასაქმებას მეურნეობაში“;

...„მეთოდმა დიდი როლი ითამაშა შრომის დისციპლინის განმტკიცებასა და მშრომელების სოფელში დამაგრებაში“;

...„კარგი იქნება ეს მეთოდი დაინერგოს მთელს ჩვენს რესპუბლიკაში“;

... „ამით შესაძლებელი ხდება მუშახელის დამაგრება ადგილზე, დენადობის ლიკვიდაცია და, რაც მთავარია, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების განმტკიცება... უნდა დაინერგოს მთელს რესპუბლიკაში“;

...„გადაწყდება ორი პრობლემა — სოფლის მეურნეობის მუშაკთა ანაზ-

ღაურებისა და სოფლად მშრომელთა დამაგრების პრობლემა. მეთოდის სისწორე პრაქტიკამ დაადასტურა".

„სურვილი მაქვს ახალი მეთოდი დაინერგოს მთელს რესპუბლიკაში";

კოლმეურნეები და მუშები დიდი გულისყურით გამოთქვამდნენ ნაგრძნობსა და ნაფიქრს, რომ „ეს მეთოდი ხალხის საკეთილდღეოა", „შრომისადმი კეთილსინდისიერ დამოკიდებულებას ზრდის", „შრომის დისციპლინას ამაღლებს", მომავალი თაობის კომუნისტურად აღზრდას უწყობს ხელს" და ა. შ.

„მატერიალური სტიმულირების ახალი პრინციპის სიკეთის დანახვა არ უნდათ მხოლოდ იმათ, ვისაც არაფრად მიაჩნია მშრომელი კაცის ინტერესები" — ეს სიტყვები ეკუთვნის პარტიის რაიონული კომიტეტის მუშაკს და განზრახ მოვიყვანე ეს მოსაზრება სხვათა შემდეგ, ბოლოს, როგორც ერთგვარი შეჯამება, სადაც ნაგრძნობი და გამოხატულია ერთგვარი საფრთხეც, რაც შეიძლება ამ კარგ საქმეს შეექმნას.

როგორც უკვე ვთქვით, თვით აბაშის რაიონის მშრომელები ამაში არ ეჭვობდნენ, სრულ ერთსულოვნებას გამოხატავდნენ უკვე მაშინ და არა მარტო იმ პასუხებით, რაზეც ზევით იყო ლაპარაკი, არამედ იმ დიდი შრომითი ენთუზიაზმით, რაც თვალში ეცათ გამოყენებითი სოციოლოგიის კათედრის წევრებს, როდესაც აღნიშნულ გამოკვლევას აწარმოებდნენ — „როდესაც ამ ადამიანების მუშაობას ვუყურებთ, ნამდვილად გვჯერა, რომ ისინი ახალ ცხოვრებას აშენებენო" — ასეთი იყო მათი დასკვნა.

ვინმეს ეჩვენებოდა ახალი მეთოდი სოციალისტური მშენებლობისათვის მიუღებლად? არსებობდა კი ასეთი თვალსაზრისი?

სამწუხაროდ, იგი არსებობდა მაშინაც და არსებობს ამჟამადაც.

სწორედ იმ პერიოდში, ერთ-ერთ ჩვენს გაზეთში გამოქვეყნდა ძალზე მწვავე, საჭირო მასალა აფხაზეთის მეთამბაქოეობაში მოკალათებული საქმოსნების შესახებ; დასანანია, რომ რედაქციას რატომღაც მხედველობიდან გამორჩა წერილის ავტორის მიერ კომბინატორთა ამ შავბნელი საქმეების დაკავშირება ნაკვეთებზე ინდივიდიალური პასუხისმგებლობით მიმაგრებასთან. ნუთუ მართლა ასეთი შინაგანი კავშირია ამ ორ მოვლენას შორის? ამ ლოგიკას რომ გავყვეთ, კომბინატორთა და წამგლეჯთა ყველა სხვა შემთხვევა, რაც ცოტა როდი იყო გამოვლენილი, არაინდივიდუალური ე. ი. კოლექტიური პასუხისმგებლობით დამუშავებას უნდა დავუკავშიროთ. მოვიძიეთ და აღმოჩნდა, რომ წერილში გამოთქმულ ამ მოსაზრებას არ იზიარებდა გაზეთის რედაქცია. არც ვინმე ზემდგომის მოსაზრება იყო იგი.

მეთოდი, რომელზედაც ლაპარაკია, თავისი არსებით სოციალისტურია და მისი დაპირისპირება მეურნეობის სოციალისტურ წესთან — აქაოდა ინდივიდუალური მეურნეობისათვის გზის გახსნაა, ყოველგვარ საფუძველს მოკლებულია, პრაქტიკულად მავნეა, ხელს უშლის ჩვენი ეკონომიკის ზოგიერთი ხარვეზის გამოსწორებას და ამით ხელს უწყობს აშკარა და კანონიერი გზით მატერიალური კეთილდღეობის მიღწევის ნაცვლად ქურდობისა და დატაცების იდეოლოგიასა და პრაქტიკას.

როგორ შეიძლება მეთოდი, რომელზეც ლაპარაკია, დავუპირისპიროთ საკოლმეურნეო ან საბჭოთა მეურნეობის სისტემას, მაშინ, როდესაც ჯერ ერთი (და ეს არის უმთავრესი) აქ ყველა ძირითადი საშუალება ჯგუფური (საკოლმეურნეო) ან სახელმწიფოებრივი (საბჭოთა მეურნეობის) საკუთრებაა. მეორე და (ესეც ერთ-ერთი არსებითი მომენტია) ამ მეთოდით მიღებული, აშკარად გაზრდილი შრომის პროდუქციის უმნიშვნელოვანესი ნაწილი ჯგუფური (საკოლმეურნეო) და სახელმწიფოებრივი (საბჭოთა მეურ-

ნეობის) საკუთრება ხდება, რომ ისევ მოხმარდეს ჯგუფს (კოლმეურნეობას), სახელმწიფოს გზების, სკოლების საავადმყოფოების და სხვათა და სხვათა სახით.

ყველაფერი ეს ასე არ იქნებოდა, საწარმოო საშუალებები და, შესაბამისად, შრომის შედეგად მიღებული პროდუქტი (თუნდაც ნაწილობრივ) კერძო მესაკუთრისა რომ იყოს. საქმე კი სულ სხვაგვარადაა და, მაშასადამე, ახალი მეთოდის კრიტიკოსები ან საქმის ვითარებას არ იცნობენ, ან აშკარად მტრული პოზიციებიდან ებრძვიან სიახლეს, რომელიც რესპუბლიკისათვის ამჟამად საარსებო ამოცანათა გადაწყვეტის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ეკონომიკური ბერკეტი უნდა გახდეს.

ამრიგად, მატერიალური სტიმულირების ახალი მეთოდი არა თუ არ ეწინააღმდეგება სოციალისტური მეურნეობის წესს, არამედ იგი არის სავსებით გამართლებული გზა სოციალისტური მეურნეობის სრულქმნისა.

ცენტრალური კომიტეტისათვის შედგენილი მოხსენებითი ბარათი გაგზავნილ იქნა სხვა მისამართითაც: გამოყენებითი სოციოლოგიის კათედრის თანამშრომელი კვლავ იქნა მივლინებული აბაშაში ამ მოხსენებითი ბარათით. ჩანაფიქრი ასეთი იყო: შეუძლებელი იქნებოდა რაიონის ხელმძღვანელობას, რომელსაც გასაცნობად და შენიშვნებისათვის გაეგზავნათ ეს მოხსენებითი ბარათი, განსაკუთრებული გულისყური არ გამოეჩინათ მასში მოცემული ანალიზისა და ინტერპრეტაციისადმი. ამასთან, მათგან მოვითხოვდით სპეციალურად შედგენილი ფორმებით მოეწოდებინათ მონაცემები რაიონის მუშაობის შესახებ 1970-1974 წწ. დინამიკა ამ მონაცემებისა ობიექტური საზომი იქნებოდა იმ შეხედულებათა სისწორისა, რაც საზოგადოებრივი აზრის გამოკვლევამ გვიჩვენა.

რაიონის ხელმძღვანელობა გაეცნო მოხსენებით ბარათს, არ შეუტანია მასში არავითარი ცვლილება (ვთხოვდით რაც შეიძლებოდა მეტი შეეტანათ), არ გამოუთქვამთ არავითარი შენიშვნები. მოთხოვნის შესაბამისად გამოგზავნეს რაიონის მაჩვენებლები. ეს მაჩვენებლები სავსებით ადასტურებენ ზემოთ ჩამოყალიბებულ შეხედულებას; განსაკუთრებით საყურადღებო იყო სიმინდის, ეთერზეთოვანთა და ბოსტნეულის მოსავლის გადიდება, ასევე ხორცისა და რძის წარმოების ზრდა, საგრძნობლად იყო გაზრდილი შრომისნაყოფიერება, გამოიკვეთა ტენდენცია რაიონიდან ადრე წასულთა უკან დაბრუნებისა და ა. შ.

ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ აბაშის რაიონის შესახებ სოციოლოგიური გამოკვლევა კონტროლის ეფექტიანობის სოციოლოგიური გამოკვლევის პარალელურად და მასთან კავშირში ჩატარდა. ზემოთ დასაბუთებული თვალსაზრისის სისწორე სავსებით დაადასტურა აბაშის რაიონში კონტროლის ეფექტიანობის შესახებ საზოგადოებრივი აზრის შედარებამ საერთო რესპუბლიკურ მაჩვენებლებთან.

მოვიყვან ცალკეულ მონაცემებს:

კითხვაზე — „თქვენი აზრით, რამდენად გაძლიერდა კონტროლი უკანასკნელ წლებში?“ — აბაშის რაიონში გამოკითხულთა 56,4 პროცენტი პასუხობდა — „იგრძნობა კონტროლის განსაკუთრებული გაძლიერება“. რესპუბლიკის მასშტაბით შესაბამისია 34,1 პროცენტი.

აღსანიშნავია, რომ პასუხები „არსებით ცვლილებებს ვერ ვხედავ“, „მიძნელდება გიპასუხოთ“, აბაშის რაიონში არც ერთი არ იყო; საერთოდ რესპუბლიკაში კი ამ პასუხების ჯამი 17 პროცენტს შეადგენდა.

„როგორ ფიქრობთ, მოსახლეობის მომარაგებასა და მომსახურებაში მიღებულ დადებით ცვლილებებში რა როლი ითამაშა კონტროლის გაძლიერებამ?“ ამ კითხვაზე აბაშის რაიონში გამოკითხულთა 46,4 პროცენტი პასუხობდა — „კონტროლის გაძლიერებამ გადამწყვეტი როლი ითამაშა“ (შესაბ-

ამისად რესპუბლიკაში 36,1 პროცენტი). „კონტროლის გაძლიერებამაც ითამაშა ამ ცვლილებებში ერთგვარი როლი“ — 48,4 პროცენტი (აბაშა), 42,2 პროცენტი (რესპუბლიკაში). პასუხები: „ამ საქმეში კონტროლის როლი არ იყო შესამჩნევი“ და „მიძნელდება გიპასუხოთ“ კი, პირიქით, მცირეა აბაშაში (სულ 6 პროცენტი), მეტია საერთოდ რესპუბლიკაში (20 პროცენტამდე).

რატომ, რით უნდა ავხსნათ ასეთი მკვეთრი განსხვავება? ყველაზე მეტად ის უნდა ვიფიქროთ, რომ მატერიალური სტიმულირების ახალი ეკონომიკური სისტემა წესიერების, კანონიერების დაცვის ურყევი საფუძველია, ამ პირობებში კონტროლის ფორმების გამოყენება სათანადო ეფექტს იძლევა.

ეკონომიური ბერკეტები, მატერიალური სტიმულირება, შრომის პრემიალური ანაზღაურება... სწორედ ამას აცხრებიან ამ საქმის კრიტიკოსები! არიან კრიტიკოსები მარჯვნიდან და კრიტიკოსები მარცხნიდან. მარჯვნიდან კრიტიკოსებისაგან გვესმის — აი, ხომ ხედავთ, ბატონო, ყველაფერია კერძო ინიციატივა, საკუთრებითი მატერიალური დაინტერესება. გასაგებია, თუ „საით ჰქრის მათი გონება“. მემარცხენეები სხვა მხრივ გვაფრთხილებენ — „ეს იქნებ კარგი იყოს, მოსავალი, დოვლათი მეტია ამ გზით, მაგრამ ამით ხომ კერძომესაკუთრეობას ვუთმობთ და ხელს ვიღებთ სოციალისტურ მეურნეობაზე“. ცნობილია თქმა — მარჯვნივ წახვალ, მარცხნივ მოხვალო. მოცემულ შემთხვევაშიც ორივე ჯურის კრიტიკოსები ერთ პუნქტში იყრიან თავს — ესაა კერძო საკუთრება, მატერიალური დაინტერესება. პირველთათვის ეს არის ერთადერთი ხსნა, მეორეთათვის საფრთხობელა. არც თუ ისე უმნიშვნელო ამოცანაა როგორც ერთი უკიდურესობის, ასევე მეორის მცდარობის სრული და დამაჯერებელი გამოვლენა. ეს ამოცანა იმიტომ არის მნიშვნელოვანი, რომ არ შეიძლება თავი იმით დავიმშვიდოთ, რაკიღა უკიდურესობებია, თავისთავადაც ცხადი იქნება მათი მცდარობაო. ერთსაც ჰყავს გარკვეული რაოდენობა მომხრეებისა, მეორესაც. მათ შორის. ზოგიერთი, ასე ვთქვათ, კეთილად არის შემცდარი, ზოგიერთი გამოუსწორებელი ფრაზიორი და დემაგოგია, ალბათ, ზოგიერთი ისეთიც არის, ვისაც რაც არ უნდა უმტკიცო, ფასი არა აქვს. ამ უკანასკნელთა „სიძლიერე“ იმაშია, რომ ისინი არც დაგიდევენ მართალია, თუ მცდარი აზრი, რასაც მათ უმტკიცებენ. თუ მათ მათთვის სასურველს ეუბნება მათთვის სასურველი პიროვნება, აშკარად მცდარზეც თავს დებენ, თუ კი, პირიქით, მათ რამეს უმტკიცებს მათთვის რატომღაც არასასურველი პიროვნება, თუნდაც წმინდაწყლის ჭეშმარიტება იყოს, ქვას ააგდებენ და თავს შეუშვერენ, ცხვირთან რომ მიუტანო და დაანახვო, თვალს დახუჭავენ, ვერაფერს ვამჩნევო, არ დამინახავს და რა გინდაო. ასეთების დაჯერება ძნელია. ამათ კი საქმის დაზიანება ჯერ კიდევ შეუძლიათ.

მთავარი ის არის, რომ ამ კრიტიკოსთაგან ბევრს თითი თითზე არ დაუკარებია არც თეორიულად, არც პრაქტიკულად, არც სიტყვით, არც საქმით; მით უფრო, არ მოეთხოვებათ სიტყვისა და საქმის ერთიანობით მიღწეული დადებითი საქმიანობა. მათ სურთ სხვათა საქმის ჩრდილში ყოფნა, რომ იქ მიართვან გაშლილი სუფრა, თავიანთი კაიკაცობაზე და სამშობლოზე სადღეგრძელოების გასაბრტყელებლად. მათი საქმე , თუ ამასაც საქმე ეწოდება, არის კრიტიკა, დაწუნება, გაკილვა, ცხვირის აბზუება, ქირქილი. მათ თავიანთი ჭკუით, მეტად მოხერხებული პოზიცია აქვთ — ჩასაფრებულნი არიან და ტალახი მუდამ მომზადებული უჭირავთ იმათთვის, ვისაც ნამდვილი საქმიანობის ჟამს შეიძლება ყველაფერი არც გამოუდის, როგორც საჭიროა. ჰო, რა ბევრს მოითხოვენ ისინი სხვების-

აგან და ხშირად რა მომწამლავია მათი შხამიანი სისინი! თავად სწორი და მნიშვნელოვანი კი არა, მცირეც რომ არაფერი მოუნდომებიათ, მით უფრო არ გაუკეთებიათ, სხვების ნამოღვაწარს მიწასთან ასწორებენ, რეალური შესაძლებლობისათვის ანგარიშგაუწევლად, თანაც ყოველივე ეს კეთდება მამულიშვილობას ამოფარებით.

ამას რომ ვწერ, მე მხედველობაში სხვები არა მყავს, თავად ვყოფილვარ ასეთი კრიტიკის მომსწრეც და საგანიც, ზოგჯერ აშკარად, უმეტესად კი ფარულად, ანონიმურად. ეს ყოველივე კი ისევ აბაშის ამბებთან დაკავშირებით მოვიტანე. ამ სამიოდე წლის განმავლობაში ბევრი მსმენია ავიც და კარგიც ამის თაობაზე. ახლა რომ ვუკვირდები, მათ შორის, განსაკუთრებით კრიტიკოსებში, ზემოთ ჩამოთვლილი ყველა კატეგორიის ადამიანი იყო — კეთილად შემცდარიც, გამოუსწორებელი დემაგოგიც, მარჯვნიდან კრიტიკოსიც და მარცხნიდანაც. საქმე, ნამდვილი საქმე ზარალობს ამით.

კონსტანტინე ლორთქიფანიძის შესანიშნავი მხატვრული ნარკვევი უაღრესად დროული და იმედის მომცემია. ამაშია მისი დიდი მნიშვნელობა. რა იყო და რა არის — დასურათებულია ისე, რომ ახლა უკვე თამამად შეგვიძლია უფრო ღრმად ჩავწვდეთ საკითხის არსს, წინ წავწიოთ და უკან კი არ ვიყუროთ, ვაი თუ ეს სულაც არ არისო ასე.

წინ წაწევა საკითხის არსში გარკვევასაც უნდა ნიშნავდეს და პრაქტიკული სფეროს გაფართოებასაც. დასაწყისშივე რომ მოვიტანე გამონათქვამი — მესიმინდეობაში ახლა აბაშის მაგალითისამებრ უნდა მოვიქცეთო, ეს, რა თქმა უნდა კარგია. მესიმინდეობა მესიმინდეობად, აბაშა — აბაშად. საქმე არც მარტო მესიმინდეობაზეა და არც მარტო ერთ რაიონზე. მარტო მესიმინდეობაზე რომ არ არის საქმე, ეს შესანიშნავად ჩანს ლორთქიფანიძის იმავე ნარკვევიდან — წარმატებები მიღწეულია მებოსტნეობაშიც, მეცხოველეობაში, ეთერზეთოვანთა წარმოებაში. არც მარტო ამაზე უნდა იყოს საქმე, ესეც არაა ძნელი დასადგენი. ეს ე. წ. ახალი მეთოდი მატერიალური წახალისებისა სტიქიურად, თანდათანობით ხან აქ იჩენდა თავს, ხან იქ. ამის შესახებ ზოგჯერ თუ ითქმოდა აშკარად. საქმე ის იყო, რომ ვერც თეორიული დასაბუთება მოეძებნა ამ საქმეს, ვერც სისტემატური პრაქტიკული ხასიათი მიიღო. ყოველ შემთხვევაში, ასეა ეს ყველაფერი დღემდე ცნობილი, თორემ აბაშის მაგალითი მაშინ რაღა ცალკე განსახილველი გახდებოდა!

მდგომარეობა ასე რომ მესახება, ამიტომაც მინდა რამდენიმე მოსაზრება გამოვთქვა.

„ქრონიკების" მკითხველი შეამჩნევს — კოლმეურნე გლეხთა გამდიდრებისა ეშინოდათ, ამასთან, ვითომდა საზოგადოებრივი, სახელმწიფოებრივი ინტერესები ამოძრავებდათ, ამის გამო არ აძლევდაო ძველი ხელმძღვანელობა გასაქანს ანაზღაურების ახალ წესს. თუ ჩავუკვირდებით, საკითხის სიმძიმე სწორედ აქ არის. ამიტომაც გამოვყავი ზემოთ — ეკონომიური ბერკეტები, მატერიალური სტიმულირება, შრომის პრემიალური ანაზღაურება. ეს არის ყველაზე მთავარი.

სამწუხაროდ, „ქრონიკებში" ცოტა უზუსტობა შეიმჩნევა. ერთ-ორგან შეგხვდებათ ფრაზა — „ვინ იყო გამგონი: სახელმწიფო არაფერს ზარალობდა, გლეხის ბაგას კი ზოგიერთი ხელმძღვანელი არ დაეძებდა". არ არის ეს ზუსტი და ეწინააღმდეგება წიგნის მთელ ძირითად აზრს, მის პათოსს, ცალკეულ გამოთქმებს რომ თავი დავანებოთ, მაგალითად, ასეთს: „სინამდვილეს დაშორებული გეგმა არა მარტო გლეხებს, არამედ სახელმწიფოსაც აყენებდა ზარალს" და ა. შ. აბაშის ცხრამეტი მეურნეობიდან ცხრამეტივეს ზარალი მოჰქონდაო — ვკითხულობთ „ქრონიკებში", ე. ი. სახელმწიფ-

ოც ზარალობდა და ხალხიც. მაგრამ საქმე ცალკეული გამოთქმებით არ არის. ძირითადი და სავსებით უტყუარი კი ისაა, რომ კოლმეურნეობამაც მეტი მიიღო და კოლმეურნემაც — ესაა კარგად დასაბუთებული და დასურათებული „ქრონიკებში". ამაშია მისი ძალა.

რაც შეეხება კერძო გამდიდრებას და მის გზებს, ამის თაობაზეც საჭიროა ითქვას. ითქვას იმიტომ, რომ ახლაც ხშირად გაიგონებ — რას ერჩოდნენ, ხალხი შოულობდა, გამდიდრდა, კარგად ცხოვრობდაო. ეს, რა თქმა უნდა, აბაშას არ ეხება, საერთოდ არის მთელს რესპუბლიკაზე ნათქვამი.

ჩვენც ზოგადად ვიმსჯელოთ, საერთოდ რა და როგორ უნდა იყოს, იმას მივაქციოთ ყურადღება. ეს მეტად მწვავე საკითხია მთელს ჩვენს ამჟამინდელ ცხოვრებაში და საქმიანობაში. ამიტომ თქმასაც ნუ მოვაკლებთ სათანადო სიმწვავეს. მშრომელთა გამდიდრებისა კი არ უნდა გვეშინოდეს, უშრომლად თუ უკანონო გარჯით გამდიდრება და მასთან დაკავშირებული ათასი მიუღებელი, ადამიანთა გამხრწნელი გზაა საშიში. გამდიდრების აი ასეთი გზები იყო მოჭარბებული, ეს აღმოჩნდა დამღუპველი და არის ახლაც. დროა, დრო, ვთქვათ პირდაპირ, რამდენ ჭკვიან, ინიციატივიან, მონდომებულ და უნარიან ადამიანს გადავუკეტეთ გზა გამოეჩინა ინიციატივა და დაინტერესება, გადავუკეტეთ სწორი გზა, უფრო ზუსტად ვერ გავხადეთ ეს სწორ და კანონიერ გზად და ამითაც ვუბიძგეთ მაქინაციების, დასაგმობი საქმიანობის, უკანონობის ხვრელებისაკენ! ნუ მოგვერიდება იმისი აღიარებისაც, რომ თუ ყველაზე ვერ ვიტყვით, ისეთებიც ცოტა როდია დღეს საზოგადოებას ჩამოშორებული, ვინც სწორედ თავისი ინიციატივიანობით სასარგებლო იქნებოდა საზოგადოებისათვის და არა ხორცმეტი, სასარგებლო, იქნებ სულაც სანაქებო საქმეს გააკეთებდა, და თუ ეს ასე არ მოხდა, მათი ცოდვების ნაწილი მაინც, უსათუოდ უნდა იტვირთონ იმათაც, ვინც ინიციატივას სამზეოს, სააშკარაოს არ აჩვენებდა და ამითაც ბნელი საქმეებისაკენ, ამ გზით გამდიდრებისაკენ ერეკებოდა ბევრი ასეთ ადამიანს. დიდი არაფერი პრობლემა არც გვექნებოდა დღეს, ეს რომ მარტო მესიმინდეების საქმე იყოს და ისიც მხოლოდ აბაშაში! ლორთქიფანიძის „ქრონიკების" პათოსიც სწორედ ასე იკითხება. ხომ თქმულია პოეტის მიერ — „ზვარში დგას კაცი, ნუ ჰკადრებ ტყუილს, ეს კაცი შენი მარჩენალია."

ეს მხატვრული სახეა და ესეც მარტო მეზვრეს როდი გულისხმობს. ეს ბევრს ეხება, და ვაი, რომ ასე ვერ შეხედეს საქმის ძირს იმათ, ვისაც ეს ევალებოდა. თავად კი არც რა უჭირდათ, იმ უკანონობის წუმპის ამღვრეულ წყლებში მარტო ღორჯოების ჭერას არც იკადრებდნენ, ოქრო და ბრილიანტებიც ამოაწყობინეს, გაფუვდნენ და სასახლეების გაჩახჩახებული ჭაღების ქვეშ წარბშეუხრელთა, ზევიდანაც დაჰყურეს იმ სხვების ბედს... ნარკვევში ძლიერ შთამბეჭდავია ბევრთაგან ერთი ასეთი შრომისმოყვარული კაცის კარლო გრიგოლიას ბედი.

ახლა კი უფრო მივუახლოვდეთ ძირითად სათქმელს: მატერიალური სტიმულირებაო, ვამბობთ დღეს. ეს არის ძირითადი აზრი ლორთქიფანიძის ნარკვევისა. ღმერთმა დაიფაროს, სადაოდ არ ვხდი ამის სისწორეს! და მაინც მეჩვენება, რომ საქმის არსს მეორე მხარეც აქვს, ახლა უკვე ამაზეც ვიფიქროთ, ეს უფრო მეტად წარმოვაჩინოთ.

რაკიღა მკითხველმა უკვე იცის ამ წერილის სათაური, მოლოდინიც, რა თქმა უნდა, ჯერ, რომ ძირითადი სათქმელი შესაბამისად იქნება ჩაფიქრებული. ჩაფიქრებული ასეც მაქვს, თუ კი მომიხერხდა მისი განხორციელება. თითქოს ძნელი არც უნდა იყოს ეს, ამასთან ძალზე ძნელიც არის. ძნელი იმ-

იტომ არის, რომ, როგორც მკითხველმა იცის, იმ ანალიზში, სოციოლოგიის კათედრამ რომ გააკეთა თავის დროზე და ნაწილობრივ ზევით მოვიტანე, ეკონომიურ, მატერიალურ სტიმულირებაზეა არსებითად ლაპარაკი. სწორია, გამართლებულია ეს ყველაფერი. და მაინც საჭიროა საკითხი სხვა კუთხითაც დავსვათ. ეს იმიტომ, რომ ეს კრიტიკოსები რეალურად არსებობენ და მათი ხმა აგერაც ჩამესმის — „გამოტყდით, გამოტყდით, მთავარი მაინც ხომ მატერიალური სტიმული და მოგება ყოფილაო!"

დიახ, მე პირადად დიდი ხანია მიმაჩნია, რომ ამისი უგულვებელყოფა არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება; ამას დიდ სიძნელეებთან, უარყოფით მოვლენებთან მივყავართ. ამისგან უკან არ დავიხევ. და მაინც საკითხის სხვა მხარეც მიმაჩნია ძალზე მნიშვნელოვნად.

მოდით, დავსვათ საკითხი ასე, თითქოსდა სრულიად მოულოდნელად — ეს ყველაფერი მორალური სტიმულირება ხომ არ არის? გაუგებრად არის საკითხი დასმული? შეიძლება! ერთი რამ არ მეეჭვება — ასე უფრო კარგად გავარკვევთ საქმის შინაარსს, თუ კი შევძელით არ გავიხლართოთ საკითხის ასე დასმით შექმნილ ლაბირინტში. გულწრფელად მჯერა, თუ ჭეშმარიტების ძიების ჟინი გვექნება, საქმის ინტერესები აგვამოძრავებს და არა ერთმანეთის გამოჭერის ქვეგრძნობანი, ამ ლაბირინტიდან გამოსავალი მოიძებნება.

„სოფლის ქრონიკებში", სხვაგანაც არაერთხელ არის ნათქვამი — „შრომის დამატებითი ანაზღაურების ახალი წესი", „შრომის განაღდების წესის გადასინჯვა", „შრომის პრემიული ანაზღაურება" და სხვა. ეს ყველაფერი, რა თქმა უნდა, ეკონომიური კატეგორიებია, აქ ყველგან სწორედ მატერიალური სტიმულირების შესახებაა ნათქვამი. ხელფასი (მცირე რიყო და ახლა მეტია), ფულადი პრემია (რომ არ იყო და ახლა არის), სიმინდი პრემიად (რომ არ ეძლეოდათ და ახლა ეძლევათ), კაპიკები (რომ ეძლეოდათ), მანეთები, ათასები (ახლა რომ ღებულობენ), გრამები, კილოგრამები (შრომადღეებზე რომ ნაწილდებოდა), ცენტნერები, ტონები (ახლა რომ ნაწილდება) — ესეც ეკონომიური კატეგორიებია. ძველსა და ახალს შორის განსხვავება ამ კატეგორიებითაა გამოხატული. სავსებით სწორია! ფაქტებით, ციფრებით, წლებით არის დადასტურებული და ნუთუ ამაზეც უნდა იდაოს ვინმემ! არა! ამაზე ვერ იდავებენ. სხვა რამეზე მოესურვებათ დავა — ზევითაც ითქვა, — ეს ყოფილაო მთავარი, ამას მოყვებაო წარმატება, ამან ე. ი. მოხვეჭამ განაპირობაო ადამიანთა ამოძრავება.

ახლა მეორე მხარეც ვნახოთ შედლისა. ზემოთ უკვე ვთქვით, ავტორს არაფერში ვედავები. დასადასტურებლად ნათქვამისა, ლორთქიფანიძის წიგნიდან მოვიყვან სხვა მონაცემებს.

ჩატეხილი ხიდის აღდგენის ხიბლი და გატაცებაო, საკითხი ის იყოო — ენდობოდა თუ არა ახალ წამოწყებას კოლმეურნე გლეხობა; „ზნეობრივი გარემოს შექმნა", ნდობა თუ ეჭვი, რწმენა თუ ურწმუნოება, გულგატეხილობა, სიტყვის გატეხა, პირის შერცხვენა (თავადაც მოტყუებული თავმჯდომარისა), ნდობის დაკარგვა და სიტყვის ფასის აღდგენა, რწმენის დაკარგვა და რწმენის აღდგენა და ბევრი სხვა ამისი მსგავსი — ეს როგორი კატეგორიებია? დავა არ შეიძლება, ეს ნამდვილად ეთიკური, მორალური, ზნეობრივი კატეგორიებია. ვერავინ ჩათვლის მათ ეკონომიურ ცნებებად და ნურც ნურავინ დაგვიწყებს მტკიცებას, შეძენის სურვილია აქ გადამწყვეტი და არა სირცხვილ-ნამუსის ზნეობრივი პრინციპებიო. არც პირიქითაა! ეკონომიურ-მატერიალური და ზნეობრივ-მოქალაქეობრივი აქ ერთი მთლიანობაა. მე პირადად მიჭირს რომელიმე და-

ვაყენო წინ, მეორე უკან დავსწიო. აქედან რომ შევხედავთ — ესაა მთავარი, მეორე მხრიდან შევხედავთ — მეორეა. ორივე მთავარია!

ვიცით, დღეს ყველამ კარგად ვიცით, სიმინდით ადრე განთქმულ აბაშაში სიმინდი რომ ერთჟამს სანატრელი გახდომიათ, ამან შეაწუხა აბაშელები. სწორია, რომ ეს ეკონომიკაა, მატერიალურია. ადრე იმ ონტოფოში და ზანათში, ქოლობანში და გაზათში რომ უჭირდათ, მაშინ განა ისევე არ უჭირდათ დღეს წარმატებული რაიონები რომ არიან, იქაურ სოფლებშიც? იმათაც ხომ არ ჰქონდათ საკმარისი არც სიმინდი, არც ლობიო, არც სხვა დოვლათი და სარჩო და მაინც ერთნაირადაც იყვნენ თავდადებით, შრომით, ომით, გმირობით იმ უძნელეს, ახლა უკვე წარსულ, მაგრამ დაუვიწყარ წლებში დიდი სამამულო ომისა? როგორც სხვები, ისევე არ იყვნენ ის არველაძეები, სვანიძეები, ესიავები, მელქაძეები, ნადარეიშვილები, თოდუები, ჭანტურიები, კვერნაძეები, გრიგოლიები, გუგუშვილები, ცომაიები, მარღანიები, კეკელიძეები, გვაძაბიები, ჩაგანავები, ლიპარტიანები, ჩოჩუები, ბოკერიები და მგელაძეები! წუწუნებდნენ მაშინ იაკობი თუ მარგო, ტატიანა, ლოლა და გოგოლა? ბათლომე თუ ლიზა, კარლო თუ გურამი? ნაკლებ უჭირდათ? კოლმეურნეობიდან მეტი გრამი თუ კილოგრამი მიჰქონდათ სახლში? და სავსებით სამართლიანად, ყოველივე ამას მორალურ-პოლიტიკური სიმტკიცე ეწოდა, ქვეყნისათვის, საკუთარი სოფლისათვის თავდადება ეწოდა. ამან გაიტანა დიდი სამშობლოც და პატარა სოფლებიც — სამიქაო, ზანათი თუ ონტოფო. მაშინ ხომ არ იყო წუწუნი ეგრეთწოდებულ მატერიალურ წახალისებაზე? არ იყო! ახლა რამ გახადა იგი ასე გადამწყვეტი? ვიცი შემედავებიან და მაინც ვწერ, ვბედავ და ვწერ — ისევ იმ მორალურ-პოლიტიკურმა ფაქტორმა, ის არის ამ შემთხვევაში მთავარი, თორემ დღეს შიმშილით მკვდარი აბაშელი არავის უნახავს ისევე, როგორც არ უნახავთ ოქლაველი, ზუგდიდელი, გუდაუთელი, ძახარაძელი ან ქობულეთელი.

ისე მივდივარ, ვატყობ, გაუგებრობის ტყეში შევიჭერი და აქ ჩემი გამოჭერა არც თუ ისე ძნელია. გასაგებს დავუბრუნდები, ჩვენებური, ქართული ყოფის სრულიად გასაგებ დეტალს მოვიშველიებ. თუ გლეხს სხვა მიზეზი არ ბოჭავდა, ისე ვერ მოაბამდა თავს მეურნეობას და სარჩო-სამყოფს ვერ მოიწევდა, იმ ოჯახში საჭმელი არ იჭმევაო რომ იტყოდნენ სოფელში, ეს იყო ყველაზე მკაცრი განაჩენი პიროვნებისათვის და ამგვარ კაცს პატივისცემა დაკარგული ჰქონდა. და პირიქით, თუ გლეხი მოსაზრებულობას, გამჭრიახობას მარტო სიტყვით კი არა, საქმიანობაში, გარჯაში იჩენდა, მეურნეობას კარგად უძღვებოდა, სწორედ ამგვარი სოფლელი კაცის სიტყვას ჰქონდა ფასი და ღირებულება. ეს იყო დაუწერელი, ზნეობრივი კანონი.

ვიფიქროთ, რომ ჩვენს რაიონებში, კერძოდ აბაშაში ეს დიდებული ტრადიცია სრულიად მოშლილი იყო? მე პირადად არა ვარ საამისოდ განწყობილი, და თუ სხვა ვინმე ამას ამტკიცებს, მეც და ბევრი სხვაც ეყოლება პასუხის გამცემი. შრომის საფასურად ასე მცირედს რომ მაძლევთ, ღორებში ჩამრიცხეთო, მოყვანილია ლორთქიფანიძის ნარკვევში ერთ-ერთი მშრომელის სიტყვა. როგორ? ამისი მთქმელი ოდნავადაც მიიკარებს ღორობის რაიმე ნიშანს? პირიქით! ეს უაღრესი სინდისის, პატიოსნების, ადამიანური ღირსებით გაბრწყინებული თავმოყვარეობის ამოძახილია — ასე ნუ გვექცევით, ამას ხომ არამც და არამც არ ვიმსახურებო.

ეს რაც შეეხება პიროვნულ თავმოყვარეობას, ასე დიდად რომ ულირს ნამდვილ ადამიანს, კაცურ-კაცს. ახლა ეს ვნახოთ, რამდენჯერმე რომ არის ლორთქიფანიძის წიგნში ნახსენები — რაიონიდან გასვლის შემდეგ საკუთა-

რი რაიონის ხსენებისა ერიდებოდათ. ეს რაღა არის? ეს ხომ პიროვნულზე უფრო დიდი სატკივარია, ეს სატკივარი ხომ იმ კაცობის გამოვლენაა, რომლისთვის სულერთი არ არის ის, თუ როგორია თავად და მისი მშობლიური რაიონი. სრულიად ბუნებრივია ამისი გაგრძელება — თუ როგორია მისი რესპუბლიკა, მისი ქვეყანა საერთოდ. კუთვნილი სიმინდი და ჩალა უკან რომ მოატანინეს მშრომელ კაცს მისად წოდებულ ქვეყანაში, აქ ხომ ეკონომიური (აუნაზღაურებელი შრომით მიყენებული დანაკლისი) და მორალური (თავისთავთან და მის ხელმძღვანელად მიჩნეული კაცის გამო სირცხვილი) გადანასკვულია. ესაა მთავარი; ვინც მართლა არ განიცდის, რომ ეს ქვეყანა,ეს წყობილება, ეს სისტემა მისია, იმას შეიძლება არც მატერიალური დანაკლისი ენაკლისოს, არც ამგვარი უხამსობისა შერცხვეს...

ამრიგად, შრომა, შრომის ანაზღაურება — ეკონომიური კატეგორიებია. დაუფასებელი შრომით რწმენის დაკარგვა და დაფასებული შრომით სიამაყე — ზნეობრივი, მორალური კატეგორიები. ეს თუ ჩვენი, სოციალისტური ცხოვრების კანონია — ეს კი ასე არის, მაშინ სავსებით სწორია ისიც, რომ მისგან ყოველი გადახვევა ძვირი გვიჯდება ეკონომიურადაც და მორალურადაც. ესეც უნდა ვაღიაროთ ჩვენი ცხოვრების კანონად. ვენდოთ, ვემორჩილოთ და ვემსახუროთ ცხოვრების ამ კანონს — ეს აუცილებელია.

კონსტანტინე ლორთქიფანიძის წიგნის მეორე ნაწილიდან მოვიყვან შემდეგ სიტყვებს: „შრომის სამართლიანი ანაზღაურება — ეს არ არის, როგორც ზოგიერთი ფიქრობს, მხოლოდ კაი ჭამა-სმისა და კაი ჩაცმა-დახურვის საკითხი, ადამიანის ნივთიერი უზრუნველყოფის საკითხი.

როდესაც კაცს ამუშავებ და შრომას არ დაუფასებ, მაშინ იმას კუჭზე მეტი სული ეწვის. მისი კაცური ღირსება ითელება, კაცი ზნეობრივად ბეჩავდება და თავისი სულიერი წყობით, მონას ემსგავსება".

დიახ, სწორია, ასეა! და თუ კაცი თავისი სულიერი წყობით მონას დაემსგავსა, მაშინ უკვე სწორედ კუჭი, სმა-ჭამა ხდება უმთავრესი და ასე წარმართულ დაქვეითებას ძირი არა აქვს... თუ დღეს ძალზე ბევრი გვიხდება ლაპარაკი მატერიალურ წახალისებაზე, ეს არა იმიტომ, რომ ესაა და მეტი არაფერი, ესაა, ყველაფრის თავი და თავი! და მარტო ეს. არა! გვიხდება იმიტომ, რომ ამისი უგულვებელყოფა საზიანოა, დამღუპველია.

განა იქვე, იმავე აბაშაში კომპლექსური მექანიზაციის გამოყენებას ნაკლები ყურადღება მიექცა? ესეც „ქრონიკებშია" შესანიშნავად აღწერილი. და ისევ ანაზღაურების სწორი მეთოდის გამოყენებით ხორციელდება ეს გადამწყვეტი მნიშვნელობის მქონე სიახლე, უმძიმესი ფიზიკური შრომის — თოხთან დაკავშირებული დასაბამიდან უმძიმესად მიჩნეული შრომის შეცვლის პრობლემა...

ზევით რამდენჯერ ითქვა; არც მარტო აბაშის და არც მარტო მესიმინდეობის შესახებაა მსჯელობა. საკითხი უფრო ფართოა, უფრო ზოგადია, უფრო არსებითია. ლორთქიფანიძის „ქრონიკების" მეორე ნაწილში არა მარტო კომპლექსური მექანიზაციის გამოყენებასთან დაკავშირებული დიდი შემოქმედებითი საქმიანობაა აღწერილი, არამედ კიდევ ერთი უაღრესად მნიშვნელოვანი საკითხია გარჩეული და წინ წამოჩინებული. მოვიყვან რამდენიმე მონაცემს კონსტანტინე ლორთქიფანიძის წიგნიდან: 1973-1975 წ. წ. ხორცის დამზადების თითქმის ნახევარი (45,5 პროცენტი) საკარმიდამო მეურნეობიდან მოვიდა, ყურძნის დამზადების ერთი მეათედი, ხილისა და ციტრუსების ორი მესამედი... ეს რესპუბლიკის მაჩვენებლებია. მაგრამ ეს არ არის მარტო ჩვენი რესპუბლიკის პრობლემა. აი საკავშირო მონაცემები: 1975 წელს საკარმიდამო მეურნეობი-

დან ქვეყანამ მიიღო 31 პროცენტი ხორცი და რძე, 34 პროცენტი ბოსტნეული, 39 პროცენტი — კვერცხი, 59 პროცენტი კარტოფილი... საკარმიდამო ნაკვეთების საერთო მოცულობა კი სულ 2 პროცენტიც არ არის (საკავშირო მონაცემებია). არის თუ არა აქ პრობლემები? არის! ამიტომაა, რომ საკავშირო პრესა ამ ბოლო დროს გაიგსო შესაბამისი მასალებით.

აქაც იგივე მოხდა, რაც სტიმულირების ახალი მეთოდების გამო იყო — ამ საკითხს ყურადღება მიაქცია ამხანაგმა ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევმა და შემდეგ უკვე ყველამ დაიწყო წერა და ფიქრი ამ საკითხებზე.

საწერი, საფიქრალი და საზრუნავი უამრავია ამ საკითხებზე, სხვა საკითხებზეც. მით უფრო, რომ განსხვავებული პოზიციები არსებობს, ყველა პოზიციას აქვს არსებობის უფლება, გამართლებულიცაა, თუ კი საქმის ინტერესებია გამოსავალი. რომ დავასრულო ეს წერილი, უნდა ვთქვა მთავარი — გულთან მივიტანოთ ქვეყნის საზრუნავი, ხალხის საზრუნავი. ხალხი, მშრომელი ხალხი არასოდეს განზე არ გაუდგება ასეთ საქმეს. და არა მარტო მეტი მატერიალური სტიმულის გამო. დიდია და ყოვლისშემძლე მორალური ძალა ჩვენი ხალხისა.

რა მოხდა აბაშაში? სწორედ ეს მოხდა და ამან გაიმარჯვა. კ. ლორთქიფანიძის „ქრონიკებში" ესაა აღწერილი, ამით მიიპყრო მან ასეთი დიდი ყურადღება.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვლადიმერ ჯიბუტი

ლეო ქიაჩელის ლიტერატურული შეხედულებები

როდესაც ლეო ქიაჩელის თხზულებათა მეხუთე ტომს ვკითხულობდი, ჩემი ყურადღება მიიპყრო წერილმა „დავით კლდიაშვილი“.

დავით კლდიაშვილზე ბევრი კარგი ნარკვევია დაწერილი, ხშირად არის გადმოცემული მისი ნაწარმოებების იდეურ-მორალური შინაარსი. მაგრამ ხულ სხვაა ლეო ქიაჩელის წერილი; იგი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს ნაწარმოების კომპოზიციურ მხარეს და ამ ნიადაგზე ავლენს მწერლის შემოქმედებით თავისებურებას.

რა თქმა უნდა, დავით კლდიაშვილი თვითმყოფი, უშუალო მხატვარია, მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს თითქოს მის შემოქმედებას კავშირი არ ჰქონდეს იმ გზებსა და კომპოზიციურ ხერხებთან, რომელთა საშუალებით, ლეო ქიაჩელის სიტყვებით რომ ვთქვათ, ფერხორცი ესხმება მხატვრულ განზრახვებს საერთოდ. საქმე ისაა, რომ მსოფლიო ლიტერატურაში, — რასაც ხაზგასმით აღნიშნავს ლეო ქიაჩელი, — ყველაზე უფრო გავრცელებული და უძველესი სახე არის გმირის მოგზაურობა ერთი ადგილიდან თუ ქვეყნიდან მეორეში რაიმე დასახული მიზნის შესახრულებლად.

ლეო ქიაჩელს ჩამოთვლაც კი შეუძლებლად მიაჩნდა იმ განუმეორებელი, უკვდავი ქმნილებებისა, რომლებიც ამ კომპოზიციურ პრინციპზე არიან აგებულნი. „ამნაირმა კომპოზიციამ, — წერს ქიაჩელი,—კლასიკური გამოხატულება ჰპოვა ხერვანტესის „დონ კიხოტში“ (აგრეთვე „ვეფხისტყაოსანში“, მხედველობაში მაქვს ავთანდილის მოგზაურობა ფრიად მნიშვნელოვანი დავალების შესახრულებლად).“

უახლოეს ქართულ ლიტერატურაში კი, — როგორც ლეო ქიაჩელი გვარწმუნებს, — ეს ხერხი ისე ბრწყინვალედ არავის გამოუყენებია, როგორც ეს დავით კლდიაშვილმა გამოიყენა „სამანიშვილის დედინაცვალში“, ამიტომ ლეო ქიაჩელს მეტად საგულისხმოდ მიაჩნია ამ პატარა ქართული მოთხრობის შეხვედრა ამ მხრივ მსოფლიო ლიტერატურის შედევრებთან (ეს ახალი და მოულოდნელი აზრია).

„რა თქმა უნდა, „ამ შეხვედრას, — ვკითხულობთ წერილში, — ის მნიშვნელობა არ ექნებოდა, რომელიც მე მინდა მას მივაკუთვნო მოთხრობის ღირსების აღსანიშნავად, იგი რომ მიბაძვის შედეგი, ნასესხები ყოფილიყო. ჩვენ გვიბლავს ხშირად ის გარემოება, რომ „სამანიშვილის დედინაცვლის“ კომპოზიცია, ისევე როგორც თუ გნებავთ, გოგოლის „მკვდარი სულების“ ამნაირივე კომპოზიცია, ორგანულად შერწყმულია ნაწარმოების მთავარ იდეასთან, როგორც მისი ერთადერთი აუცილებელი ფორმა, მისი სრულიად ბუნებრივი სამოსელი“.

ამრიგად, ლეო ქიაჩელს უდავოდ მიაჩნია ის ფაქტი, რომ „მხატვრული განზრახვის დაბადებას მწერლის თავში თან დაპყვება ინტუიტური მიგნება გამოსახვის ისეთი საშუალებისა, რომელიც მას ყველაზე უფრო სრულყოფილად განახორციელებს“.

ლეო ქიაჩელის აზრით, პლატონ სამანიშვილის მოგზაურობა იმერეთის სოფლებში, მაშვლის როლში, მოხუცებულ ბეკინასათვის „ორი ქმრის ხელში ნამყოფი“ და მაინც უშვილო „დულცინეას“ საძებრად სამაგალითო და საკვირველი ამბავია, შემოქმედებითი ფანტაზიის უბრწყინვალესი ნაყოფი. დავით კლდიაშვილის მხატვრული ალღო აქ თავის უმაღლეს მწვერ-

ვალს აღწევს. ამ მწვერვალიდან, ლეო ქიაჩელის ღრმა რწმენით, ორი დიდი სამყარო მოჩანს. ერთი თვითონ დავით კლდიაშვილის შინაგანი სამყარო, მისი ნიჭის ხასიათი და ბუნება, ხოლო მეორე — იმერეთი მთლიანად აღებული, როგორც დავით კლდიაშვილის შემოქმედების ფანტასმაგორიული სამყარო და, ამავე დროს, უზუსტესად მოხაზული სინამდვილე.

მაგრამ „სამანიშვილის დედინაცვალს" მეორე მხარეც აქვს — ეს ეხება საკუთრივ მხატვრობას. და აქაც ლეო ქიაჩელი ორიგინალურ მკვლევარად გვევლინება.

ბუნებრივად იბადება კითხვა, თანამედროვე ლიტერატურაში არის თუ არა გამოყენებული მოგზაურობის ხერხი, როგორც ხასიათის მკვეთრად გამოკვეთის საშუალება? რა თქმა უნდა, არის. მისილ ჯავახიშვილის „კვაჭი კვაჭანტირაძე" სწორედ ამ კომპოზიციურ პრინციპზეა აშენებული. ვინაიდან მკითხველისათვის კარგად არის ცნობილი რომანის გმირის ერთი ქალაქიდან მეორეში მოგზაურობის მიზანი, ამიტომ აქ მხოლოდ იმას ვიტყვით, რომ „კვაჭი კვაჭანტირაძე" იმ საუკეთესო ნაწარმოებთა რიცხვს მიეკუთვნება, რომლებიც აგებულნი არიან მსოფლიო ლიტერატურაში ამ საკმაოდ გავრცელებულ ხერხზე.

აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ „კვაჭი კვაჭანტირაძე", ისე როგორც „სამანიშვილის დედინაცვალი", დამოუკიდებელი შემოქმედების შედეგად შექმნილი რომანია.

საერთოდ ლეო ქიაჩელი მხატვრული ანალიზის იშვიათი ოსტატი იყო. ამას მოწმობს თუნდაც წერილი „აკაკის „ბაში-აჩუკი". აქ იგი უმთავრესად ეხება მოთხრობის სიუჟეტს, კომპოზიციას, იმ ხერხებს, რომელიც გამოყენებულია მასში და წერს: „ბაში-აჩუკი" სრულიად ეთანაბრება ამავე ჟანრის ნაწარმოებთა საყოველთაოდ ცნობილ ავტორთა ოსტატობას".

ეს უბრალო განცხადება როდი გახლავთ. მან პარალელებით და შედარებით ცხადყო ზემოთ ნათქვამის ჭეშმარიტება.

ლეო ქიაჩელის აზრით, „ბაში-აჩუკი" თხრობის ხერხებისა და კომპოზიციური წყობის მხრივ ემყარება ამავე ხასიათის ცნობილ ევროპულ ნაწარმოებებს (აქ მას მხედველობაში აქვს ვალტერ სკოტის რომანები), მაგრამ მოთხრობა მაინც არ მკარგავს თავის ორიგინალობას და მალალმხატვრულ ხარისხს.

ეს გარემოება, ერთხელ კიდევ ამტკიცებს იმ ფაქტს, რომ ხელოვნებაში როგორც თემას, ისე ხერხებს თავისთავად დამოუკიდებელი ღირებულება არა აქვთ. შეიძლება — წერს ლ. ქიაჩელი, — ისინი მეორდებოდნენ საუკუნეების მანძილზე და მიუხედავად ამისა, ახალ ხელოვნურ ნაწარმოებს ავლენდნენ. მთავარი სხვაა. აი, ერთი სახე იმისა, რაც მთავართაგანია ხელოვნებაში: შეიძლება „ბაში-აჩუკი" რამდენჯერმე წაიკითხოთ თავით ბოლომდე და ერთხელაც აზრად არ მოგივიდეთ, რომ ავტორი რასმე ხერხს მიმართავდეს იმ მხატვრული ემოციების გამოსაწვევად. რომლებიც თქვენ გიპყრობთ მოთხრობის კითხვის დროს. მაგალითად, „ბაში-აჩუკში" სიზმარი გამოყენებულია, როგორც ხერხი. მაგრამ ეს საკმაოდ გაცვეთილი ხერხი აკაკი წერეთელმა ისე თავისებურად გამოიყენა, ისე ჩააქსოვა მოთხრობის სხეულში, რომ სრულიად გააბუნებრივა და როგორც ლეო ქიაჩელი ამბობს, ხერხის სახე დაუკარგა და სიუჟეტის განვითარების ერთ-ერთ მამოძრავებელ ძალად გახადა.

ეს ითქმის მოთხრობის მეორე მხატვრულ ხერხზეც, რომელიც ლეო ქიაჩელის სიტყვებით რომ ვთქვათ, აკაკის შემოქმედების ლაბორატორიაში აგრეთვე დეტალურად არის დამუშავებული: ეს არის მოთხრობის მთავარი გმირის პირველი ჩვენების ხერხი. ბაში-აჩუკი რომ უშიშარი კაცია, ეს ჩვენ რომანის პირველ გვერდებიდანვე ვიცით, მაგრამ მისი ვინაობა მაშინ, როცა იგი გადაეშვა აზღვავებულ წყალში და არაგვის საშინელ მორევს არ მოერიდა, არ ვიცოდით. ეს მხოლოდ შემდეგ თავებში ირკვევა. მაგრამ მან რომ სტიქია დაძლია, უკვე გმირია. გმირის გაცნობის ეს ხერხი, რომელიც პირველადვე მოხაზავს იმის ხასიათს და ერთხელ და სამუდამოდ აღბეჭდავს მკითხველის წარმოდგენაში წერს ლეო ქიაჩელი, — გამოყენებულია ვალტერ სკოტის რომანში „კვენტინ დორვარდ"; აღსანიშნავია რომ დორვარდიც გაუვალ მდინარის გაცურვით ამყარებს თავის გმირობას. ერთი სიტყვით, — განაგრძობს ლეო ქიაჩელი, — „ბაში-აჩუკის" ეს ადგილი კომპოზიციურად ემთხვევა ვალტერ სკოტის რომანს. არც ისე იშვიათი მოვლენაა ლიტერატურაში დიდი მწერლების ფანტაზიის დამთხვევა. განსაკუთრებით ისტორიული რომანის ხფეროში, რომელსაც ახასიათებს მხატვრული ხერხების ერთიანობა. ამ ასპექტში უნდა გავიხსენოთ გოეთე, რომელიც ამბობს: „უახლოესი ხანის ყველაზე ორიგინალური მწერლები ორიგინალური იმიტომ კი არ არიან, რომ რაღაც ახალს გვთავაზობენ, არამედ იმიტომ, რომ მათ უნარი აქვთ საგნებზე ისე ილაპარაკონ, თითქოს იგი ადრე არასოდეს თქმულიყოს".

„ბაში-აჩუკი", რომელშიც საქართველო ჩანს მთლიან ურთიერთობაში და ისმის მთელი ერის მაჯისცემა, უკვდავი ნაწარმოებია, მას დიდი და თვალსაჩინო ადგილი უჭირავს ქართული პროზის ისტორიაში.

მრავალნაირად საყურადღებო და საინტერესო წერილია აგრეთვე „რომანისა და სიუჟეტის შესახებ". აქედან ჩანს, რომ ლეო ქიაჩელს არ სწამდა უსიუჟეტო არა მარტო რომანი, არამედ მოთხრობა და ლექსიც კი.

ლეო ქიაჩელის ღრმა რწმენით, სიუჟეტი მთავარი მამოძრავებელი ძალაა ყველა მხატვრული ნაწარმოების, განსაკუთრებით კი რომანისა. მაგრამ — წერს იგი, — ჩვენში შეიძლება „ბევრმა არ გაიზიაროს ეს დებულება, განსაკუთრებით იმათ, ვინც მოდერნისტულად არის განწყობილი, ამათ ჰგონიათ, რომ უსიუჟეტო რომანი უკანასკნელი სიტყვაა ევროპული ლიტერატურის და დიდ ფრანგ რომანისტსა და ესთეტიკოსს გუსტავ ფლობერსაც ეშველიებენ თავისი აზრის დასამტკიცებლად“.

რა თქმა უნდა, ყველა ისინი ვინც ფიქრობს თითქოს ფლობერი მომხრე იყო უსიუჟეტო ნაწარმოებისა, მკაცრად ცდება. არსად არ ჩანს, რომ იგი უარყოფდა სიუჟეტს. ფლობერი კი არ უარყოფდა სიუჟეტს, პირიქით. მუდამ ეძებდა მას; იგი წერდა: „იმას არ ვაკეთებ, რაც მინდა. ნეტავი თუ ოდესმე მოხდება, რომ ჩემს სიუჟეტს ეცანახავ? ნეტავი თუ მომეყლინება ოდესმე ისეთი იდეა (სიუჟეტი), რომელიც ჩემი ტემპერამენტის შესაფერი იქნება. ნუთუ ვერ შევძლებ დავწერო წიგნი, რომელიც მთელი არსებით გამიტაცებს! ხანდახან მგონია, რომ მივხვდი უკვე, თუ რა უნდა იყოს რომანი“. სავსებით მართალია ლეო ქიაჩელი, როდესაც ამბობს, რომანის განვითარების ისტორიაში ფლობერი, ეს დიდი სტილისტი და ესთეტი, უდიდესი უღელტეხილია. მისი დღიურებიდან ირკვევა, თუ რა მნიშვნელობას აძლევს იგი სიუჟეტის საკითხს; აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ ფლობერი სიუჟეტში იდეას გულისხმობდა, რომელზედაც უნდა აგებულიყო მისი ახალი რომანი. აქედან უფრო ცხადი ხდება, — წერს ლეო ქიაჩელი, — თუ რა დიდ მნიშვნელობას აკუთვნებდა ფლობერი სიუჟეტს, რომლის მაძიებელი იყო იგი მთელი თავისი შემოქმედებითი ცხოვრების მანძილზე.

აქვე ლ. ქიაჩელი დასძენს: „და თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ დღეს რომანის განახლება სწორედ სიუჟეტის დამუშავების ნიადაგზე წარმოებს და ახალი რომანის გეზი აქეთკენ არის მიმართული, ჩვენთვის უფრო ნათელი შეიქმნება სიუჟეტის როლი და მნიშვნელობა თანამედროვე რომანისათვის“.

ლეო ქიაჩელი დიდი რეალისტი იყო და სავსებით გასაგებია, რომ იგი იდეური ჩანაფიქრის გაბსნის საშუალებებს განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა. შინაარსის გაშლისა და მოქმედების განვითარების ეს ბრწყინვალე ოსტატი დიდად აფასებდა ეგნატე ნინოშვილს, რომელიც ესოდენ მარჯვედ იყენებდა სიუჟეტის ყველა კომპონენტს. ლეო ქიაჩელის აზრით, და ეს აზრი სავსებით სწორია, ეგნატე ნინოშვილმა ახალი შინაგანი იდეური ძალა შემატა მეცხრამეტე საუკუნის ქართულ პროზას, თავისი ეპოქის ახალი მოწინავე სულისკვეთება შთაბერა მას და სრულიად ახალი სახეებით და ხასიათებით გაამდიდრა.

დიახ, ე. ნინოშვილმა შექმნა საკუთარი, განუმეორებელი გალერეა მხატვრული სახეებისა. მათი დანახვა და მიგნება, როგორც ამას ლ. ქიაჩელი ამბობს, ცხოვრების ზღვაში შეიძლებოდა მხოლოდ იმ მკვეთრი თვალით, რომელიც ეგნატე ნინოშვილს გააჩნდა, იმ დიდი სიყვარულით ანთებული გულით, რომელიც ნინოშვილის უფაქიზესი ბუნების სამკაულს წარმოადგენდა.

სავსებით სწორია ის აზრიც, რომ უსპეტაკესი სიყვარულია ხიდად გადებული ეგნატე ნინოშვილისა და მის გმირებს შორის. ეს ითქმის ლეო ქიაჩელის მიმართაც, რომლის მოთხრობებსა და რომანებში სინამდვილე და ცხოვრების გარდატეხის მომენტები არაჩვეულებრივი სიუჟეტური ორგანიზაციით არის ასახული.

ერთი სიტყვით, წერილები გამოჩენილ ქართველ, რუს და ევროპიელ მწერლებზე მოწმობს ავტორის დიდ ლიტერატურულ განათლებაზე; მართალია, ლეო ქიაჩელის პოპულარობა ემყარება „ტარიელ გოლუას“, „გვადი ბიგვას“, „მთის კაცის“, „თავადის ქალი მაიას“, „ბაკი აძბას“ მხატვრულ ღირსებას, მაგრამ არანაკლები მნიშვნელობა აქვს მწერლის კონცეფციას, გამოთქმულს ლიტერატურულ წერილებში. აქაც ნათლად ჩანს მწერლის პოზიცია. მაგალითად, ლეო ქიაჩელის წერილში, „მაქსიმ გორკი“, ნათლად ჩანს თუ რაში მდგომარეობს სოციალისტური რეალიზმის თავისებურება. ამ აღიარებული პრინციპით შექმნილ ნაწარმოებებში ცხოვრება დანახულია განვითარების პროცესში, სოციალისტური მსოფლმხედველობის ნიანთლის შუქზე. საილუსტრაციოდ „გვადი ბიგვაც“ კმარა. ამით ჩვენ იმის თქმა გვინდა, რომ ლეო ქიაჩელი როგორც მხატვარი და მოაზროვნე, ერთი მთლიანი პიროვნება იყო. აქ ისიც უნდა ითქვას, რომ მისი წერილები ლაკონიზმით გამოირჩევა. ამის მაგალითად, ილია ჭავჭავაძეზე დაწერილი ორგვერდიანი წერილიც კმარა. მასში ვკითხულობთ: „სფერო ილია ჭავჭავაძის შემოქმედებისა ისე ვრცელი და მრავალსახიანია, როგორც კაცობრიობის გრძნობისა და გონების უსაზღვრო სამყარო“. ლეო ქიაჩელის აზრით, მეცხრამეტე საუკუნეში პირველად მოხდა ქართულ მწერლობასა და აზროვნებაში საკაცობრიო მორიზონტების დამკვიდრება. „ეს იყო, — განაგრძობს იგი, — ილია ჭავჭავაძის წყალობა. მან პირველად მიაგნო და ჩამოძერწა ფართო დიაპაზონის ხალხური სახეები, და ქართულ მხატვრულ სიტყვას მანამდე უჩვეულო გასაქანი მიანიჭა, ჩაბერა ახალი ცხოველმყოფელი სული, რომლითაც ქართული ლიტერატურა და ხელოვნება დღესაც იკვებება“. დიახ, ილია ჭავჭავაძის ლიტერატურული ტრადიცია დღესაც გრძელ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დება, ხალხის სიმართლე და ღირსებათა ურღვევი რწმენა ნათელ ზოლად მისდევს მთელ თანამედროვე ქართულ მწერლობას, კერძოდ, ლეო ქიაჩელის შემოქმედებას, რომლის ცენტრში დგას უბრალო მშრომელი ადამიანი — ნამდვილი გმირი და შემოქმედი ისტორიისა.

ლეო ქიაჩელი გულითადი ადამიანი იყო, ხოლო გულითადობა იშვიათი თვისებაა; ლეოს ახლობელი მეგობრები იყვნენ ნიკო ლორთქიფანიძე, გერონტი ქოქოძე, თედო სახოკია, ილია აგლაძე, ილია ნაკაშიძე, ლევან ასათიანი, ლადო სირბილაძე... სანიმუშო და სამაგალითო იყო მათი ურთიერთობა. აქვე მინდა გავიხსენო ერთი აღგილი მისი ცრემლით სავსე წერილიდან: „წელიწადმა განვლო, რაც ლევან ასათიანი აღარ არის, ხოლო მისი დაუვიწყარი ღიმილი ისე ბრწყინავს ჩემს მოგონებაში, როგორც ოდესღაც სინამდვილეში. ჩემთვის ის დარჩა გარეშე წუთისოფლის წარმავლობისა, ისევე როგორც ლევანის შემოქმედება, სათნოება და სიხპეტაკე, რომლებითაც. სიცოცხლე მარად უპირისპირდება სიკვდილს ჩვენს შეგნებაში“.

ლევან ასათიანს პირადად მეც კარგად ვიცნობდი და ისევ ლეო ქიაჩელის სიტყვებით მინდა გამოვხატო ჩემი მისადმი ესოდენ უზომო პატივისცემა: ლევანი იყო დიდი გაქანების მწერალი და მეცნიერი, შეუნელებელი სიყვარულით იყო გამთბარი მისი ყოველი სიტყვა ლიტერატურასა და სამშობლოზე და რა მკვეთრი, ნათელი და ღრმა იყო მისი აზროვნება, როცა ის მშობლიური მწერლობის საჭირბოროტო საკითხებს შეეხებოდა.

ლეო ქიაჩელმა ბრწყინვალე წერილები მიუძღვნა თავის ძვირფას მეგობრებს, რომლებიც საერთოდ ერის დიდებას წარმოადგენენ; ასე რომ, ლეო ქიაჩელის თხზულებათა მეხუთე ტომი, როგორც მთელი მისი მხატვრული შემოქმედება, ის ერთი მთლიანი დიდი წიგნია, რომლის შესახებ ამბობენ ხოლმე: ერთი თაობის მიერ მეორე თაობისათვის დატოვებული ხელიერი ანდერძია.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

იონა ანდრონიკი

ზაქსენჰაუზენის ტუსაღი

დოკუმენტური ნარკვევი

არის დედამიწის ზურგზე ადგილები, ყოველი მტკაველი მიწისა ტანჯულ ადამიანთა სისხლით რომ არის გაჟღენთილი. ასეთ ადგილად იქცა განვლილ ომში ბერლინის სიახლოვეს მდებარე სააგარაკო დაბა — ზაქსენჰაუზენი. იქ ფაშისტებმა, გაჩეხილი ფიჭვნარის ადგილზე, უზარმაზარი საკონცენტრაციო ბანაკი მოაწყვეს. ამ ბანაკში დახვრიტეს, დასწვეს და აწამეს ასი-ათასზე მეტი ადამიანი. დღეს იმ ადგილას აღმართულია გრანიტის ობელისკი — საერთო საფლავის ქვა; ობელისკის კვარცხლბეკზე დგას ქვისაგან გამოკვეთილი ორი ტუსაღი და საბჭოთა ჯარისკაცი-განმათავისუფლებელი. მათ უკან კი შემოუნახავთ კრემატორიუმისა და ბანაკის ციხის ნანგრევები, საგუშაგო კოშკები და ბარაკები...

ზაქსენჰაუზენი გოლგოთად იქცა ევროპის ხალხთა საუკეთესო შვილებისათვის, აქ წამებისა და სიკვდილისათვის მორეკეს ანტიფაშისტები ევროპის ცხრამეტი ქვეყნიდან. ამ ბანაკში იტანჯებოდა და დახვრეტილ იქნა ტელმანის მეგობარი ერნსტ შნელერი — გერმანიის კომპარტიის იატაკქვეშა ცენტრალური კომიტეტის წევრი. აქ მოუწიათ პატიმრობაში ყოფნა ოტო გროტეოლს, მაქს რეიმანს და ანტონინ ზაპოტოცკის. ზაქსენჰაუზენის სატანჯველი გაიარა შეუდრეკელმა საბჭოთა პატრიოტმა გენერალმა კარბიშევმა, რომელსაც ჰიტლერელებმა ომის დამთავრებამდე ცოტა ხნით ადრე მხეცური წამებით აღმოხადეს სული უკვე სხვა საკონცენტრაციო ბანაკში. 1945 წლის თებერვალში ზაქსენჰაუზენში მოუღეს ბოლო ბანაკის ანტიფაშისტთა წინააღმდეგობის ერთ-ერთ ხელმძღვანელს: გენერალ-მაიორ სიმონ აკიმის ძე ტკაჩენკოს. აქვე, ზაქსენჰაუზენში, 1943 წლის 14 აპრილს დაიღუპა უფროსი ლეიტენანტი იაკობ იოსების-ძე ჯუღაშვილი.

აგერ უკვე ოცდაათ წელზე მეტია რაც ყოველწლიურად გაზაფხულზე, გამარჯვების დღესასწაულზე, ჩვენ ვიხსენებთ ამ გამარჯვების შემომქმედთ — ცოცხლებს, თუ დაღუპულებს, სიამაყით წარმოვთქვამთ მათ სახელებს დამოუკიდებლად მათი სამხედრო წოდებისა, საზოგადოებრივი მდგომარეობისა, წარმოშობისა თუ გვარიშვილობისა. ვიხსენებთ იმათაც, ვინც საუბედუროდ, ფაშისტურ ტყვეობაში აღმოჩნდა, მაგრამ, ღირსეულად ატარა საბჭოთა ადამიანის მაღალი წოდება ჰიტლერული საკონცენტრაციო ბანაკების ჯოჯოხეთში. ამ მხრივ, უფროსი ლეიტენანტის ჯუღაშვილის დაღუპვის ისტორია, მიუხედავად მთელი მისი დრამატიზმისა, მცირედ თუ განსხვავდება სხვა ლეიტენანტების, რიგითი ჯარისკაცების, უფროსი და უმცროსი ოფიცრების ტრაგიკული ბედისაგან, რომლებმაც ნაცისტურ ტყვეობაში შეინარჩუნეს სამშობლოს ერთგულება წამებისას თუ სიკვდილის პირას. მათი ხსოვნა ცოცხალია ჩვენ მეგობრებს შორისაც, საბჭოთა კავშირის ფარგლებს გარეთ. ამერიკელი კომუნისტების გაზეთი „დეილი უორლდი“ 1974 წლის 25 ოქტომბერს აღნიშნავდა: „მეორე მსოფლიო ომის დროს, მრავალ საბჭოთა ტყვეთა შორის, რომლებმაც არჩიეს დაღუპულიყვნენ გერმანიაში, ოღონდ არ ეღალატათ სოციალისტური სამშობლოსათვის, იყო ლეიტენანტი იაკობ ჯუღაშვილი“.

არავინ არის დავიწყებული, არაფერია დავიწყებული — ამ აღთქმამ ამაღებინა ხელში კალამი, როდესაც სახლიდან შორს, საშუალება მომეცა წამეკითხა ნაალაფარი გერმანული

დოკუმენტები აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის არქივიდან, სადაც წლების განმავლობაში საიდუმლოდ ინახებოდა ჰიმლერის ხელქვეითთა ჩვენებები, უფროს ლეიტენანტ ჯუღაშვილის მკვლელობაზე.

ვისი შვილი იყო ლეიტენანტი, ეს არც ისე მნიშვნელოვანია დღეს. უფრო მნიშვნელოვანია, დანამდვილებით ვიცოდეთ, თუ როგორ დაიღუპა იგი. მისი ისტორიაც ხომ დიდი სამამულო ომის უსასრულო მატიანის ერთ-ერთი პატარა ნაწილია.

„საქმე № ტ-176“

ვაშინგტონის ცენტრში, პომპეზური სვეტებით დამშვენებულ შენობაში, რომელიც აშშ-ს ნაციონალურ არქივს ეკუთვნის, მე-13 სართულზე განლაგებულია სპეციალური „განყოფილება ნაალაფარი უცხოური დოკუმენტებისა“. სწორედ იქ, აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტთან მოლაპარაკების და კონსულტაციების შემდეგ, გადმომცეს არქივიდან „საქმე № ტ-176“.

საქმე შეიცავს ორმოც ნაბეჭდ გვერდს გერმანულ ენაზე. მხოლოდ ორი დოკუმენტია შედგენილი ინგლისურად. პირველში წერია:

„ვაშინგტონი. 1945 წლის 30 ივნისი. დღის 2 საათი. აშშ-ს სახელმწიფო მდივნის მოვალეობის შემსრულებელის გრიუს დეპეშა აშშ-ს ელჩს საბჭოთა კავშირში ჰარიმანს.

ამჟამად გერმანიაში სახელმწიფო დეპარტამენტის ექსპერტთა ჯგუფი და ბრიტანეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო შეუდგა გერმანული საიდუმლო დოკუმენტების გარჩევას. აღნიშნული დოკუმენტები ეხება იმას, თუ როგორ მოკლეს სტალინის შვილი საკონცენტრაციო ბანაკიდან ვითომდა გაქცევის მცდელობის დროს. ამ საკითხთან დაკავშირებით აღმოჩენილია: ჰიმლერის წერილი რიბენტროპთან მომხდარი ამბის შესახებ, ფოტოსურათები და დოკუმენტაციის რამოდენიმე ფურცელი. ბრიტანეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ ურჩია ინგლისისა და ამერიკის მთავრობებს გადაეცათ ამ დოკუმენტების დედანი სტალინისათვის. საამისოდ დაევალა ინგლისის ელჩს საბჭოთა კავშირში კლარკ კერის ეუწყებინა ნაპოვნი საბუთების შესახებ მოლოტოვისათვის, ეკითხა მისთვის რჩევა თუ რა გზით იქნებოდა უკეთესი დოკუმენტების სტალინისათვის გადაცემა. კლარკ კერის შეეძლო განეცხადებინა, რომ ამ დოკუმენტებს მიაკვლიეს ინგლისელებმა და ამერიკელებმა და გადასცემენ საბჭოთა კავშირს ბრიტანეთის სამინისტროს და აშშ-ს საელჩოს სახელით. მაგრამ გამოითქვა აზრი, რომ საბუთების გადაცემა საჭიროა მოხდეს სახელმწიფო დეპარტამენტის და არა საელჩოს სახელით. საელჩოს აზრი სტალინისათვის დოკუმენტების გადაცემის ხერხზე საესურველია იცოდნენ სახელმწიფო დეპარტამენტში. თქვენ შეგიძლიათ მიმართოთ მოლოტოვს, თუ ჩათვლით ამას საჭიროდ. იმოქმედეთ კლარკ კერისთან ერთად, თუ მასაც ანალოგიური ინსტრუქციები გააჩნია.

გრიუ“.

მაგრამ სამი კვირის შემდეგ ამერიკის ელჩმა მოსკოვში მიიღო ახალი დირექტივა: არაფერი არ ეცნობებინათ საბჭოთა ხელმძღვანელებისათვის იმ დოკუმენტების შესახებ, რომლებიც ეხებოდა საბჭოთა მთავრობის მეთაურის შვილის დაღუპვას. 1945 წლის 5 ივლისს ეს დოკუმენტები გადატანილ იქნა მაინის ფრანკფურტიდან ვაშინგტონში და იმ დროიდან მოყოლებული ინახებოდა სახელმწიფო დეპარტამენტის გასაიდუმლოებულ არქივში. თითქმის მეოთხედი საუკუნის შემდეგღა გადაწყვეტილ იქნა გამოექვეყნებინათ ომისდროინდელი დოკუმენტები. ამასთან დაკავშირებით, სახელმწიფო დეპარტამენტის არქივარიუსებმა 1968 წელს შეადგინეს ცნობა „საქმე № ტ-176-ის“ გასაიდუმლოების გასამართლებლად. ამ ცნობაში ვკითხულობთ:

„ამ საქმის და მისი არსის უფრო გულდასმით შესწავლის შემდეგ ბრიტანეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ გამოთქვა აზრი უკუეგდოთ თავდაპირველი გეგმა დოკუმენტების გადაცემისა, რადგან მათი არასასიამოვნო შინაარსი ძლიერ გულსატკენი იქნებოდა სტალინისათვის. საბჭოთა თანამდებობის პირებს აღარ აცნობეს არაფერი და სახელმწიფო დეპარტამენტმა 1945 წლის 23 აგვისტოს გაუგზავნა ჰარიმანს დეპეშა, რომელშიც აუწყებდა მიღებულ გადაწყვეტილებას — არ გადაეცათ დოკუმენტები სტალინისათვის“.

ნუთუ მართლა ასე უფრთხილდებოდნენ სტალინს, ეშინოდათ გული არ ვატკინოთო. რაღაც არა ჰგავს ეს იმ ადამიანების საქციელს, ვინც ომის შემდგომ წლებში ჩერჩილისა და ტრუმენის უახლოეს თანამშრომლებად ითვლებოდნენ! უფრო სწორი იქნება თუ ვიფიქრებთ, რომ თვითონ მათ „ეტკინათ გული“, როცა შეიტყვეს საქმე № ტ-176-იდან, რომ ჰიტლერელების მიერ მოკლული პატიმარი ბოლომდე დარჩა მტკიცე და გაუტეხელ საბჭოთა პატრიოტად. ზოგიერთებს ხელს აძლევდათ გებელსის მიერ გავრცელებული ხმები, რომლებიც ჩრდილს აყენებდნენ საბჭოთა არმიის უმაღლესი მთავარსარდლის ვაჟს.

ომის დამთავრების შემდეგ დასავლეთში ცოტა როდი იყო მითქმა-მოთქმები, ვითომდა იაკობ ჯუღაშვილი ცოცხალია და ხან საფრანგეთში უნახავთ, ხან იტალიაში და ხანაც ლათინურ ამერიკაშიო. გამოჩნდნენ ცრუ თვითმხილველნიც და თვითმარქვიები. დაწერილ იქნა უამრავი სტატია და რამდენიმე წიგნი,

ათასნაირი დაუჯერებელი და ფანტასტიკური ვარაუდებით და ჭორებით სავსე. ამ დროს კი სიმართლე, ცხრაკლიტურში დამალული, ინახებოდა გასაიდუმლოებულ არქივებში. ფარდა ამ საიდუმლოებას აუხადა მხოლოდ „ციცი ომის“ ყინულის გალღობისა და საბჭოთა კავშირ-ამერიკის შორის ურთიერთობის გაუმჯობესების წყალობით. როგორც ნათქვამია, სჯობს გვიან, ვიდრე არასოდეს.

დავუბრუნდეთ 1945 წლის გაზაფხულს. აქ ზედმეტი არ იქნება გავიხსენოთ საბჭოთა კავშირის მარშლის გ. ჟუკოვის მიერ თავის მემუარებში მოტანილი საუბარი სტალინთან ღაბლოებით შვიდი კვირით ადრე გამარჯვებამდე. ჟუკოვი წერს:

„მე ვკითხე:

— ამხანაგო სტალინ, დიდი ხანია მინდოდა გამეგო თქვენი შვილის იაკობის ამბავი. არის თუ არა რაიმე ცნობა მის ბედზე?

ამ კითხვაზე უცებ არ მიპასუხა. გაიარ-გამოიარა ოთახში და მითხრა რაღაც უცნაური, ჩაყრუებული ხმით.

— ვერ გამოაღწევს იაკობი ტყვეობიდან, დახვრეტენ ის მხეცები. შეკრებილი ცნობების თანახმად, სხვა სამხედრო ტყვეებისაგან იზოლირებულადა ჰყავთ და აგიტაციას უწევენ სამშობლოს ღალატზე.

ერთი წუთის შემდეგ მტკიცედ დაუმატა:

— არა, იაკობი მოკვდება და სამშობლოს არ უღალატებს.

იგრძნობოდა, რომ მძიმედ განიცდიდა შვილის ბედს. დიდხანს იჯდა მაგიდასთან ჩუმად და საუმლისათვის პირი არ დაუკარებია. შემდეგ კი თითქოს თავისი საფიქრალი განაგრძოო, მწარედ თქვა:

— რა საშინელი ომია. რამდენი ადამიანის სიცოცხლე წაიღო უკვე. ალბათ, ცოტა თუ დარჩება ოჯახი, ახლობელი, რომ არ დაღუპოდეს...“

სტალინმა მაშინ არ იცოდა, რომ უკვე ორი წელიწადი იყო გასული, რაც მისი უფროსი ვაჟი ცოცხლებში აღარ ეწერა.

ომის ვეტერანთა საბჭოთა კომიტეტში ამ სტრიქონების ავტორს აცნობეს, რომ საბჭოთა არმიის მთავარი პოლიტიკური სამმართველოს უფროსის მოადგილე, აწ განსვენებული გენერალ-ლეიტენანტი მ. პრონინი თავის დროზე იხსენებდა, რომ ომის დამთავრების შემდეგ სტალინს მოსკოვში ჩამოსულ ვილჰელმ პიკისათვის უკითხავს თავისი შვილის ბედის შესახებ. პრონინის სიტყვით, ვილჰელმ პიკს უპასუხნია:

— სამწუხაროდ, დადგენილია მხოლოდ ის, რომ იაკობი ერთ-ერთ ნაცისტურ საკონცენტრაციო ბანაკში დაიღუპა.

დღეს კი ცნობილი გახდა ამ საკონცენტრაციო ბანაკის სახელი, — ზაქსენჰაუზენი. ცნობილია სხვა საკონცენტრაციო ბანაკებიც, სადაც უფროს ლეიტენანტ ჯუღაშვილს მოუწია ყოფნა. ცნობილია აგრეთვე მისი ტყვედ ჩავარდნის გარემოებანი და მისი მკვლელების სახელებიც. ყველაფერი ეს ფიქსირებულია საქმე № ტ-176-ში.

პირველი დაკითხვა

— „თქვენი სახელი?

— იაკობი.

— სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის ნათესავი ხართ?

— დიახ, სტალინის უფროსი შვილი ვარ..“

ასე იწყება სამხედრო ტყვის იაკობ ჯუღაშვილის დაკითხვის სტენოგრამა. ტყვეს დაჰკითხავდა გერმანიის არმიის დაზვერვის მაიორი ვალტერ ჰოლტერსი, რომელიც ომის შემდეგ ამერიკელთა სპეცსამსახურმა გადაიბირა. ჰოლტერსის ჩვენებების თანახმად, დაკითხვაში კიდევ აბვერის ოთხი თანამშრომელი მონაწილეობდა — კადრის ოფიცრები და თარჯიმნები; დაკითხვა შედგა 1941 წლის 18 ივლისს, ხოლო იაკობი ტყვედ იგდეს 16 ივლისს. რატომ მაშინვე არ დაჰკითხეს? ამის შესახებ საქმეში სიტყვა არ არის თქმული. მხოლოდ უკვე ჩვენს დღეებში დასავლეთგერმანული ჟურნალის „შტერნის“ თანამშრომლებმა გამოჰკითხეს გფრ-ში ყველა გადარჩენილ ჰიტლერელს, რომლებსაც რაიმე კავშირი ჰქონდათ ამ საქმესთან. მათი სიტყვებიდან დაადგინეს შემდეგი:

„ტყვეობის პირველ დღეებში იაკობ ჯუღაშვილის ვინაობა არ იყო გარკვეული, მაგრამ შემდეგ რომელიღაც სამხედრო ტყვემ, რომელსაც სული ძლივს ედგა შიმშილისაგან, აცნობა, ვისაც ჯერ არს უფროსი ლეიტენანტის ვინაობა, რათა მიეღო თავისი მცველებისაგან იუდას კერძი — საუმლის დამატებითი ულუფა. მოგეხსენებათ, ერთი ქვეითანი ცხვარი ფარაში მუდამ გამოერევა.

18 ივლისს, საღამოს, ტყვე სასწრაფოდ გადაიფარინეს ფელდმარშალ კლუგეს შტაბში. დაკითხვისათვის განკუთვნილ ოთახში, დიდ მაგიდაზე გაშალეს ქაღალდები და რუკები. მათ ქვეშ კი დამალეს მიკროფონები. დაკითხვა დიდხანს გაგრძელდა: ტყვეს ას ორმოცდათზე მეტი კითხვა მისცეს. უპირველეს ყოვლისა, ეკითხებოდნენ მისი ტყვედ ჩავარდნის ამბავს.

— ნებაყოფლობით ჩაბარდით ტყვედ, თუ შეგიპყრეს?

— ნებაყოფლობით არ ჩავბარებულვარ — იყო პასუხი, — შემიპყრეს.

ამას მოჰყვა კიდევ უამრავი დამატებითი კითხვა, რომლებზედაც მიცემულ იქნა ასეთი პასუხი: „16 ივლისს ჩვენი ნაწილი ალყაშემორტყმული აღმოჩნდა. ჯარისკაცები სისხლის უკანასკნელ წვეთამდე იბრძოდნენ. მერე ჩემს

გარშემო აღარავინ დარჩა. გადავწყვიტე დივიზიის მეთაურის ბოვნა, მაგრამ მეთაური თავის ავტომანქანასთან ვერ ვნახე. მანქანის გარშემო შეკრებილიყვნენ წითელარმიელები დამხმარე ქვედანაყოფებიდან. დამინახეს თუ არა, მომმართეს: „მეთაურო, გაგვიძეხ შეტევაზე“. მართლაც, გადავედით შეტევაზე, მაგრამ ამ დროს დაიწყო ძლიერი დაბომბვა, შემდეგ კი ქვემეხების სროლა ატყდა და მე კვლავ მარტო აღმოვჩნდი. ვეცადე ჩვენებამდე მიმეღწია და მათთან ერთად წავსულიყავი, მაგრამ გერმანელები მოულოდნელად ყოველი მხრიდან შემომეხვიენ...“

— რაღა დაგიმალოთ, — თქვა ტყვემ, — თავს მოვიკლავდი, დროზე რომ დამენახა, რომ სრულიად მოწყვეტილი ვიყავი ჩვენებისაგან.

— ტყვეობას სამარცხვინოდ მიიჩნევთ?

— დიახ, სამარცხვინოდ მიმაჩნია.

— გქონდათ საუბარი მამასთან ომის დაწყებისას?

— დიახ, უკანასკნელად 22 ივნისს.

— რა გითხრა მან განშორებისას?

— მითხრა: „წადი და იბრძოლეო“.

იაკობ ჯუღაშვილი ომის დაწყებიდან ორი დღის შემდეგ წავიდა ფრონტზე. იგი პირდაპირ მოწინავე ხაზზე მოხვდა სწორედ იმ დღეებში, როცა ვიტებსკთან ჰიტლერელებმა ფრონტი გაარღვიეს. იაკობს შეეძლო თავისი სახელის წყალობით უფრო უხიფათო ადგილი ეპოვა არმიის ზურგში, მაგრამ მან ეს არ იკადრა. როგორც მისი ნაცნობები იგონებენ, იაკობი ომამდეც არ ეძებდა პრივილეგიებს და იოლ გზებს. მამას პატივს სცემდა, მაგრამ ცდილობდა მისი მფარველობის ქვეშ არ ყოფილიყო. სტალინს კი აღიზიანებდა შვილის ასეთი ქცევა, ეს იწვევდა მის განრისხებას, რაც ზოგჯერ სასტიკი თვითნებობით თავდებოდა. მხოლოდ ომის ბოლოს მამამისმა, გაიგო რა შვილის სიმტკიცე ტყვეობაში, მოიხსენია იაკობი თბილად და უზომოდ შეწუხებული იყო მისი ბედით.

იაკობის დედა — ეკატერინე სვანიძე, გარდაიცვალა 1910 წელს, ტიფით. მაშინ იაკობი სულ ორი წლისა იყო. დედამისმა ხანმოკლე და მძიმე ცხოვრება განვლო, დღიურად მუშაობდა სხვათა სახლებში, რეცხავდა და კერავდა, რათა ერჩინა თავისი პატარა ბიჭი და მიშველგბოდა ქმარს, რომელიც იმ დროს ხან მეფის ციხეებში, ხან კი გადასახლებაში იმყოფებოდა. ბავშვობაში იაკობი დეიდასთან ცხოვრობდა, შემდეგ კი მამას ჩაუყვანეს მოსკოვში. იქ დაამთავრა ათწლედი და მალე ლენინგრადში გადავიდა, სადაც ელექტროსადგურზე დაიწყო მუშად მუშაობა. შემდეგ ცოლიც შეირთო, ისე, რომ მამისათვის რჩევა არ უკითხავს, რითაც კვლავ გამოიწვია თავისი მშობლის უკმაყოფილება. იაკობი მაშინ ცალკე ცხოვრობდა და მამას იშვიათად ხედავდა. ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ მოსკოვის ერთ-ერთ ქარხანაში წავიდა ინჟინრად.

1938 წელს მამამ უთხრა იაკობს, რომ შესაძლოა სამშობლოს მალე დასჭირდეს კარგი მეომრები, და იაკობიც მისი რჩევით ძერჟინსკის სახელობის სამხედრო აკადემიის მსმენელი გახდა. იქ მან შეისწავლა საარტილერიო საქმე. 1941 წლის ივნისში უფროსი ლეიტენანტი ჯუღაშვილი, აკადემიის სხვა კურსდამთავრებულებთან ერთად, სასწრაფოდ ფრონტზე იქნა გაგზავნილი. აქ წყდება ცნობები იაკობ ჯუღაშვილის შესახებ. იწყება მისი ორწლიანი ტანჯვა-წამების გზები ფაშისტურ ტყვეობაში.

„ჩვენ მტრები ვართ“

განვაგრძოთ დაკითხვის სტენოგრამის გაცნობა და რამდენადაც საშუალებას მოგვცემს ადგილი, მოვიყვანოთ საკვანძო კითხვები და მასზე გაცემული პასუხები.

„— როგორ ფიქრობთ, შესწევს თქვენს ჯარს უნარი შეაბრუნოს ომის მსვლელობა?

— ვთვლი, რომ ბრძოლა გაგრძელდება.

— როგორ გგონიათ, რა მოხდება, თუ ჩვენ უახლოეს მომავალში დავიკავებთ მოსკოვს, დავამხობთ თქვენს მთავრობას და ხელში ავიღებთ ქვეყნის მმართველობას?

— არ ძალმიძს ამის წარმოდგენა.

— ჩვენ უკვე ძალიან ახლოს ვართ მოსკოვთან, და რატომ არ შეგიძლიათ წარმოიდგინოთ, რომ მალე ავიღებთ კიდეც.

— ნება მომეცით კონტრკითხვა დაგისვათ: თქვენ თვითონ რომ მოხვდეთ ალყაში? ხომ იყო შემთხვევები, როცა თქვენმა ჯარებმა გაარღვიეს ჩვენი საბრძოლო მწყობრი, მაგრამ მოგვიანებით მომწყვდეული და განადგურებულნი იქნენ...

— რისთვის არიან საბჭოთა არმიაში კომისრები? რა ევალებათ მათ?

— კომისრები ანხორციელებენ პოლიტიკურ ხელმძღვანელობას და განამტკიცებენ ჯარისკაცთა საბრძოლო სულისკვეთებას.

— ყოფილა შემთხვევა, რომ კომისარი გაეძევებინოთ საბრძოლო ნაწილიდან?

— ასეთი შემთხვევა არ არის ცნობილი. კომისარი — მეთაურის მარჯვენა ხელია პოლიტიკურ საკითხებში. კარგი კომისარი ჯარისკაცებს უყვართ და პატივს სცემენ.

— როგორ ფიქრობთ, ახალი წყობილება რუსეთში უფრო შეესაბამება მუშათა და გლეხთა ინტერესებს, ვიდრე ძველი?

— რა თქმა უნდა. აბა ჰკითხეთ მათ როგორ ცხოვრობდნენ მეფეების დროს. ჰკითხეთ და მოუსმინეთ რას გეტყვიან.

— თქვენთვის ცნობილია, რომ კომისრები

მოუწოდებენ მოსახლეობას უკანდახევის დროს დასწვან ყველაფერი, რასაც ფასი აქვს, გაანადგურონ ყოველგვარი მარაგი, ამით კი თვით საკუთარ ხალხს აგდებენ საშინელ დღეში?

— ნაპოლეონის დროსაც ჩვენ ზუსტად ასე ვიქცეოდით.

— განა ეს სწორია?

— სწორია. .

— რატომ?

— რა საჭიროა თვალთმაქცობა. ჩვენ მტრები ვართ. მტერთან ბრძოლაში ყველა შესაძლებლობა უნდა გამოიყენო. ადამიანმა უნდა იბრძოლოს უკანასკნელ ამოსუნთქვამდე.

— მაშ, თქვენი აზრით სწორი იქნება, თუ საბჭოთა ხელისუფალნი დასწვავენ მოსკოვს და მწყობრიდან გამოიყვანენ სამრეწველო საწარმოებს. განა ეს თვითმკვლელობა არ არის?

— რატომ გგონიათ, რომ აუცილებლად აიღებთ მოსკოვს?

—თქვენ იცით რამდენი თვითმფრინავი დაკარგეს რუსებმა?

— არა, არ ვიცი.

— შვიდი ათასზე მეტი.

— თქვენ თვითონ რამდენი დაკარგეთ?

— ორასზე ნაკლები.

— რაღაც არ მჯერა.

— ნუთუ არ გინახავთ თქვენი აეროდრომები განადგურებული თვითმფრინავებით?

— ვნახე საზღვართან, აქ კი არ მინახავს.

— გამოდის, რომ თქვენ გჯერათ რუსეთის ავიაციის ნარჩენებისა.

— მჯერა, როგორც თქვენ აღნიშნეთ ჩვენი ავიაციის „ნარჩენებისა“.

ამით მთავრდება იაკობ ჯუღაშვილის დაკითხვის სტენოგრამა. ეტყობა, აბვერის ოფიცრებს მობეზრდათ ურჩ ტყვესთან კამათი: შესთავაზეს წერილის დაწერა ოჯახისათვის — უარი თქვა. შესთავაზეს მისი წერილის რადიოთი გადაცემა სამშობლოში — ისევ უარით უპასუხა. ფრთხილად გადაუკრეს სიტყვა შეედგინა საგიტაციო ფურცელი მოწოდებით საბჭოთა ჯარისკაცებისადმი ტყვედ ჩაბარდითო — მასხრად აიგდო მათი განზრახვა. ცხადია, მაშინ მიხვდნენ, რომ ჯუღაშვილი აბვერისათვის უნაყოფო ნადავლი იყო. ამიტომაც გადასცეს სხვა ნაცისტურ ორგანოებს.

ᲒᲖᲐ ᲡᲐᲙᲝᲜᲪᲔᲜᲢᲠᲐᲪᲘᲝ ᲑᲐᲜᲐᲙᲘᲡᲐᲙᲔᲜ

იაკობ ჯუღაშვილის შემდეგი დაკითხვა ფელდმარშალ ბოკის არმიათა ჯგუფის შტაბში ჩატარდა. ტყვეს დაკითხავდა კაპიტანი შტრიკ-შტრიკფელტი — პროფესიონალი მზვერავი, რომელიც სრულყოფილად ფლობდა რუსულ ენას. მთელი ხიცოცხლე შტრიკ-შტრიკფელტი ჯაშუშობას ეწეოდა საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. ომის დროს, მისი უშუალო უფროსი იყო რეინჰარდ გელენი, რომელიც სათავეში ედგა გერმანელთა გენშტაბის სადაზვერვო განყოფილებას — „აღმოსავლეთის უცხოური არმიები“, ხოლო ომის შემდეგ ხელმძღვანელობდა დასავლეთ გერმანიის საიდუმლო სამსახურს.

1941 წლის ზაფხულში გელენმა შტრიკ-შტრიკფელტს უაღრესად საიდუმლო ბრძანება მისცა: ყოველგვარი ღონე ეხმარა, რათა ტყვე საბჭოთა მეთაურებს შორის ეპოვნა ადამიანი, რომელიც მზად იქნებოდა ეღალატა სამშობლოსათვის, დაეწყო პროპაგანდა საკონცენტრაციო ბანაკებში და დაეყოლიებინა ტყვეები გერმანელებთან თანამშრომლობაზე. ეს ბრძანება შესრულებულ იქნა მხოლოდ ერთი წლის შემდეგ. 1942 წლის შემოდგომაზე, როცა ფაშისტების მხარეზე მოღალატე გენერალი ვლასოვი გადავიდა, სწორედ ეს შტრიკ-შტრიკფელტი ხელმძღვანელობდა მის მოქმედებას დღიდან მისი ღალატისა ომის ბოლომდე. ომის შემდეგ, სიკვდილის დღემდე, 1977 წლის შემოდგომამდე, შტრიკ-შტრიკფელდი უზრუნველად ცხოვრობდა გფრ-ში და ოთხი წლის წინ გამოაქვეყნა მოგონებების წიგნი, სადაც სხვათაშორის გაიხსენა 1941 წლის ზაფხულში ფაშისტთა ცდა გამოეყენებინათ იაკობ ჯუღაშვილი ვლასოვის ამპლუაში, რომელიც მაშინ ჯერ კიდევ ვაკანტური იყო.

„ჩვენ შევთავაზეთ მას საჭმელი და მაგარი სასმელი, მაგრამ უარი მივიღეთ“ — იხსენებს შტრიკ-შტრიკფელტი იაკობ ჯუღაშვილის დაკითხვის დასაწყისს, — ამის შემდეგ შევეცადეთ გვემოქმედა მასზე სხვა გზით. ვარწმუნებდით მას გერმანული კულტურის რასობრივ და სულიერ უპირატესობაში, რაზეც მან გვიპასუხა, რომ რუსეთში დაიბადნენ მთელს მსოფლიოში ცნობილი მწერლები, კომპოზიტორები, მეცნიერები, ფილოსოფოსები“. შტრიკ-შტრიკფელტის მიხედვით, ტუსაღს უთქვამს:

— თქვენ გვიყურებთ, როგორც სამხრეთის ზღვების კუნძულებზე მცხოვრებ პრიმიტიულ ადამიანებს, მაგრამ მას აქეთ რაც თქვენს ხელში ვარ, არა მქონია მიზეზი ქვევიდან ზევით შემომეხედა თქვენთვის.

შემდეგ მან გერმანიის თავდასხმა საბჭოთა კავშირზე „შეუნიღბავ ბანდიტობად“ გამოაცხადა და დაუმატა, რომ დამპყრობლები აუცილებლად მიიღებენ საკადრის პასუხს.

„მას არ სჯეროდა გერმანიის საბოლოო გამარჯვებისა“ — წერს შტრიკ-შტრიკფელტი, და მოჰყავს იაკობ ჯუღაშვილის დაკითხვის ფინალი:

— მაშ, თქვენ აცხადებთ, რომ არ გჯერათ გერმანიის გამარჯვება?

— დიახ, არ მჯერა. — იყო პასუხი.

სალაპარაკო მეტი აღარაფერი იყო. შტრიკ-შტრიკფელტი საკმარისად მიხვედრილი კაცი გახლდათ. გამოცდილებაც გააჩნდა საბჭოთა ხასიათის შესწავლაში, და ისღა დარჩენოდა, რომ ეღიარებინა თავისი სრული ფიასკო. მან ასევე უშედეგოდ დაკითხა შემდგომში კიდევ ბევრი ტყვე, სანამ, როგორც იქნა, არ შეხვდა მოღალატე ვლასოვს. ეს გადაგვარებული ადამიანი ანტიპოდი იყო საბჭოთა ოფიცრებისა, ამის შესახებ დღეს ყველგან იციან და არა მარტო ომის ისტორიის დოკუმენტებიდან, არამედ მსოფლიო ეკრანის ისეთი პოპულარული შედევრიდან, როგორიც არის საბჭოთა კინო-ეპოპეა „განთავისუფლება“. ეს ფილმი დიდი წარმატებით იქნა ნაჩვენები მრავალ ქვეყანაში, მათ შორის აშშ-ში. როგორც ცნობილია, ამ სურათში ნაჩვენებია მშვენიერი ეპიზოდი იაკობ ჯუღაშვილზე, როცა იგი უარს ამბობს მოღალატე ვლასოველებთან თანამშრომლობაზე ზაქსაენჰაუზენში, ოღონდ უკანასკნელი ცნობების თანახმად, ეს მოხდა არა ზაქსენჰაუზენში, არამედ ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტზე, იაკობის ზაქსენჰაუზენში გადაყვანამდე.

საჭიროა ითქვას, რომ ნაცისტები 1941 წლის შემოდგომის ბოლომდე ყოველნაირად ცდილობდნენ გამოეყენებინათ მათ მიერ შეპყრობილი ეს განსაკუთრებული ტყვე. იგი ჯერ ბერლინში ჩაიყვანეს და გებელსის დეპარტამენტს გადასცეს. ამ ხანებში ტყვეს გესტაპო ზედამხედველობდა. ზემოთ მოხსენიებული დასავლეთ გერმანული ჟურნალი „შტერნი“ გვაუწყებს:

„ჯუღაშვილი გადაიყვანეს გესტაპოს მთავარი რეზიდენციიდან პრინც ალბერტ-შტრასეზე მდიდრულ სასტუმრო „ადლონში“,... გებელსი კვლავაც იმედოვნებდა, რომ მოახერხებდა ეს ტყვე გადაექცია ანტისაბჭოთა პროპაგანდისტად, მაგრამ იაკობი მტკიცე კომუნისტი გამოდგა და მაინც თავისაზე იდგა. სწორედ ამიტომ პირველხარისხოვან სასტუმროში მცხოვრები გებელსის სტუმარი ისევ ჩვეულებრივ სამხედრო ტყვედ აქციეს; იგი გაგზავნილ იქნა ოფიცერთა საკონცენტრაციო ბანაკ ლიუბეკში, შემდეგ კი ჰამელბურგის საკონცენტრაციო ბანაკში. მართალია, იგი მეტად ძვირად ღირებულ მძევლად ითვლებოდა, მაგრამ ძალიან სახიფათო იყო, რადგან, როგორც კი საშუალება მიეცემოდა, არწმუნებდა თავის ამხანაგებს ტყვეობაში, რომ გერმანია უთუოდ წააგებდა ომს და ბოლშევიზმი გაიმარჯვებდა“.

მავთულხლართს იქით

საკონცენტრაციო ბანაკი ლიუბეკი ჰამბურგის მახლობლად სპეციალურად იყო შექმნილი განსაკუთრებით „ურჩი“ ტყვე-ოფიცრებისათვის. აქ იმყოფებოდნენ ტყვეები სხვადასხვა ქვეყნებიდან და ამიტომაც საკონცენტრაციო ბანაკს „საერთაშორისო საჯარიმო“ ერქვა. ბანაკის ტუსაღებს ყოველგვარი სიბინძის გარეშე ხვრეტდნენ. მასობრივი მკვლელობები ჩვეულებრივ საღამოობით ეწყობოდა. მცველები მოულოდნელად სასტვენით აძლევდნენ ბარაკებიდან გამოსვლის ნიშანს და მაშინვე ხვრეტდნენ მათ, ვინც ვერ ასწრებდა დაუყოვნებლივ შეესრულებინა ბრძანება. შემდგომში, უკვე ზაქსენჰაუზენში ყოფნისას უფროს ლეიტენანტ ჯუღაშვილს უთქვამს თავისი ბარაკის მეზობლებისათვის, რომ ლიუბეკში მას ხშირად ათავსებდნენ კარცერში, უთქვამს აგრეთვე, რომ მის ამხანაგებს შორის, ლიუბეკის ტყვეობაში, ბევრი იყო პოლონელი ოფიცერი.

როდესაც ჩემი ჟურნალისტური საქმეების გამო ვარშავაში მომიხდა ყოფნა, შევეცადე მეპოვა მოწმეები, რომლებიც იაკობ ჯუღაშვილთან ერთად იყვნენ ნაცისტურ საკონცენტრაციო ბანაკ ლიუბეკში. ამიტომ დახმარებისათვის მივმართე პოლონეთის ომის ვეტერანთა და საკონცენტრაციო ბანაკების ყოფილ ტუსაღთა კომიტეტს. მართალია მაშინ ვერაფერი გამოვარკვიე, მაგრამ მოგვიანებით ვარშავიდან მივიღე პოლონეთის ყოველკვირეულის „პოლიტიკის“ ორი ნომერი. ამ ნომრებში გამოქვეყნებული იყო რამდენიმე მკითხველის წერილი, რომლებიც ომის დროს ლიუბეკის ბანაკის ტუსაღები იყვნენ.

„მახსოვს, — წერს ვინსენტ კოვალეკი, — ერთ-ერთი შემოწმების დროს საკონცენტრაციო ბანაკში მოიყვანეს სამხედრო ტყვე, საბჭოთა მუნდირი რომ ეცვა. მეორე დღეს, შემოწმებისას, გერმანელებმა მას პოლკოვნიკი მაკაროვი უწოდეს. მაგრამ რამდენიმე დღის შემდეგ ჩვენ უკვე ვიცოდით, რომ ეს კაცი სტალინის შვილი — იაკობ ჯუღაშვილი იყო. გასაგებია, რომ ინტერესი მისდამი ძალიან დიდი იყო, მაგრამ იაკობი ორი მცველის მუდმივი მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფებოდა და კონტაქტი მასთან შეუძლებლად გვიჩვენებოდა. ჯუღაშვილს არ ჰქონდა უფლება მიეღო ამანათები, წერილები, გაზეთები; მიუხედავად ამისა, ორი დღის შემდეგ გავიგეთ, რომ მოხერხდა მასთან კავშირის დამყარება. დავიწყეთ მისთვის პროდუქტების, პაპიროსების შეგროვება — გადაცემას ვახერხებდით სხვადასხვა გზით. სამხედრო ტყვეები მისდამი კეთილგანწყობას იჩენდნენ. როცა რამდენიმე ხნის შემდეგ გერმანელებმა დაიწყეს ჯუღაშვილის ბარაკიდან გასასეირნებლად გამოყვანა ბანაკის სპეციალურად გამოყოფილ ტერიტორიაზე, ჩვენ მას ძალიან თბილი შეხვედრა მოვუწყეთ. ბანაკში სამხედრო ტყვეებმა საბჭოთა კავშირის მეგობრობის საიდუმლო წრე შექმნეს, ეს წრე მალულად აწყობდა ლექცი-

ებს საბჭოთა კავშირზე; უკვე ომის შემდეგ გავიგე, რომ ასეთი სახის წერე ერთ-ერთი პირველთაგანი იყო საკონცენტრაციო ბანაკებში. ეს მაშინ, როცა ლიუბეკის კომენდანტი პოლკოვნიკი ფრაიჰორ ფონ ვაიხმაისტერი ტყვეებს ხვრეტდა მხოლოდ და მხოლოდ თავის გასართობად. ეს მისი ჰობი იყო. ტყვეებს ესროდნენ „სპორტული ინტერესის გამო". ასე მოკლეს არა ერთი ტუსაღი... მე ვფიქრობ, რომ მიუხედავად იმისა, რომ მრავალი წელი გავიდა, საჭიროა ამ ამბების ბოლომდე გარკვევა".

ლიუბეკის ყოფილი ტუსაღი პოლონელი იან გავრონი ასევე აღწერს იაკობ ჯუღაშვილის ყოფნას ამ ბანაკში და უმატებს, რომ იგი უეცრად წაუყვანიათ სხვაგან. დღეისათვის ცნობილია, რომ იაკობი გადაიყვანეს ოფიცერთა საკონცენტრაციო ბანაკ ჰამელბურგში.

ჰამელბურგს თავისი სპეციალური დანიშნულება ჰქონდა. იქ მყოფ ტყვე-ოფიცრებს საბჭოთა კავშირიდან, საფრანგეთიდან, იუგოსლავიიდან და სხვა ქვეყნებიდან ყოფდნენ ორ ჯგუფად: ვინც მზად იყო სიკვდილის შიშით ეთანამშრომლა ნაცისტებთან და ვინც არ თანხმდებოდა გამხდარიყო მოღალატე და ამიტომ განწირული იყო მოსასპობად. ურყევი ანტიფაშისტები სიკვდილით დასასჯელად მიჰყავდათ სხვა საკონცენტრაციო ბანაკებში, მათ შორის, ზაქსენჰაუზენში, ბუხენვალდში, მაუტჰაუზენში, მაგრამ უფრო ხშირად დახაუში, სადაც შებორკილ და გაშიშვლებულ ტუსაღებს ესესის სპეციალური რაზმის ჯალათები ხვრეტდნენ. ასეთნაირად, 1941 წელს მოკლულ იქნა 652 ჰამელბურგის ტუსაღი, საბჭოთა ოფიცერი; მათ შორის ვინც არ უღალატა სამშობლოს და მაინც რაღაც სასწაულით გადაურჩა დაღუპვას, იყო ორი საბჭოთა ადამიანი — კაპიტანი ალექსანდრე კონსტანტინეს-ძე უკინსკი და პოლიტხელი პეტრე პავლეს-ძე კაშკაროვი. ისინი ახლა მოსკოვში ცხოვრობენ. აი რას ჰყვება უკინსკი.

„მე უკვე ჰამელბურგის საკონცენტრაციო ბანაკში ვიმყოფებოდი, როცა 1942 წლის გაზაფხულზე იაკობ ჯუღაშვილი ჩამოიყვანეს. მე მას სახეზე ვიცნობდი. ომამდე, მოსკოვის სამხედრო-საინჟინრო აკადემიაში სწავლისას, ზოგჯერ დავდიოდი სავარჯიშოდ ძერჟინსკის სახელობის აკადემიის სპორტულ დარბაზში, სადაც ხშირად ვხედავდი ჯუღაშვილს. მაშინდელთან შედარებით ძალიან შეცვლილიყო. სახე გახდარი და ჩაშავებული ჰქონდა, თვალები ღრმად ჩაცვენილი, გამოხედვა მძიმე და დაღვრემილი. ეცვა დაგლეჯილი ფარაჯა და ძონძებადქცეული გიმნასტიორა, თავზე საბჭოთა სამხედრო პილოტური ეხურა, ფეხზე კი ხის ლანჩიანი ფეხსაცმელი ეცვა.

მე დავინახე, როგორ მივიდა მასთან ბანაკის ერთი მცველთაგანი ჭილა საღებავით და ფუნჯით ხელში და მკერდზე დააწერა ასოები Su (Soviet Union). ასეთ ნიშნებს ყველას უკეთებდნენ მკერდსა და ზურგზე. მაგრამ იაკობ იოსების-ძეს მკერდზე, ზურგზე შარვალზე, სახელოებზე, მხრებზე და ქუდზეც კი დააწერეს. სანამ მცველი ფუნჯს იქნევდა, ჯუღაშვილი მიუბრუნდა შორიახლო შეგროვილ ტყვე ოფიცრებს და ხმამაღლა დაიძახა:

— დაე, წერონ! „საბჭოთა კავშირი" — ასეთი წარწერა ღირსებას მმატებს. მე ვამაყობ ამით!

ამ სიტყვებმა დიდი შთაბეჭდილება მოახდინა: იაკობ იოსების ძის ასეთი ვაჟკაცური საქციელი ჩვენ, რათქმა უნდა, ძალიან მოგვწონა. სულის სიმტკიცის შენარჩუნება არც თუ ისე ადვილი საქმე იყო მაშინ. ყოველ დღე ბარაკებიდან გამოჰქონდათ ჩვენი ამხანაგები, დახოცილნი გამოფიტვისა და შიმშილისაგან. ყოველ დილას, ესესელები ჩაგვამწკრივებდნენ მოედანზე და რიგიდან გამოჰყავდათ მორიგი მსხვერპლი. შემდეგ ავტომატ-დამიზნებულს მიერეკებოდნენ ბანაკიდან. ჩვენ ვიცოდით, რომ ველარასოდეს ველარ ვნახავდით ამ ოფიცრებს.

იაკობ იოსების-ძეს ერთი ტყვე მიუჩინეს, რომელიც მოღალატე გამხდარიყო. ეს კაცი თვალს აღევნებდა ჯუღაშვილს და ხშირ-ხშირად შეუჩნდებოდა ხოლმე ანტისაბჭოთა ლაბარაკით. ერთხელ იაკობ იოსების-ძემ ველარ მოითმინა, ტაბურეტს დაავლო ხელი და პროვოკატორს დაემუქრა:

— არამზადავ, თუ ერთხელ კიდევ შეურაცხყე სამშობლო, თავს გაგიტეხავ!

იმ დღეებში მზადდებოდა მასობრივი გაქცევა ჰამელბურგში მყოფი გენერალ-მაიორი ტხორის მეთაურობით. დავაზუსტეთ მავთულხლართების გადაჭრის ადგილები, შევადგინეთ მიდამოს რუკა და თვითნაკეთი კომპასების აწყობა დავიწყეთ. იმ ხანებში მე ძლიერ დავუახლოვდი იაკობ იოსების-ძეს. იგი გაძლიერებული მეთვალყურეობის ქვეშ იყო და გაქცევის შანსი პრაქტიკულად არ ჰქონდა, მაგრამ მან იცოდა ჩვენი გეგმების შესახებ და თხოვნით მომმართა:

„წარმატების შემთხვევაში, ყველაფერი უამბე სამშობლოში. გადაეცი, რომ არასოდეს დავნებდები. გერმანელები ბერლინშიც და აქაც ჩემს დაყოლიებას ცდილობენ, მაგრამ მე არასოდეს არ გავხდები მოღალატე. მეზიზღებიან ისინი მთელი სულითა და გულით! ჩემს შესახებ მონაჭორ ფურცლებს ავრცელებენ, მაგრამ მე მჯერა, რომ ჩვენები ყველაფერში გაერკვევიან ფაშისტები სიკვდილით მემუქრებიან. თუ დავიღუპები, შეატყობინე სამართლე ჩემზე..."

მე მოველაპარაკე ამხანაგებს და მათი თანხმობით იაკობ იოსების-ძე ჩავაბი კომპასის

ისრების დამზადებაში, რისთვისაც მაგნიტური ფოლადისგან გაკეთებულ სამართებლის პირს ვიყენებდით. მაგრამ მალე გაქცევის გეგმები ჩაგვეფუშა. ფაშისტებმა როგორღაც შეიტყვეს გაქცევის მომზადების შესახებ და დაიჭირეს ბევრი ოფიცერი, რომლებიც ახლოს იყვნენ გენერალ ტხორთან. თვით გენერალი ჰამელბურგიდან წაიყვანეს და ბოლო მოუღეს. სადღაც წაიყვანეს იაკობ ჯუღაშვილიც. და ომის დამთავრებამდე მე მის შესახებ აღარაფერი გამიგია“.

გენერალ კარბიშევის რჩევა

უკინსკის ერთ ამხანაგს, ასევე ჰამელბურგის ტუსაღს, — პეტრე პავლეს-ძე კაშკაროვს, ომი რომ დაიწყო, ერთ-ერთი პოლკის შტაბის უფროსის პოსტი ეჭირა. ეს ნაწილი ბრესტის ციხე-სიმაგრეს იცავდა. მის დამცველებთან ერთად, კაშკაროვმა უთანასწორო ბრძოლაში მიიღო მონაწილეობა და შემდეგ ჰამელბურგში აღმოჩნდა, უფრო მოგვიანებით კი ნიურნბერგში. იგი გენერალ კარბიშევის მეგობარი და უახლოესი თანაშემწე გახდა. ის ახლა მოსკოვში მუშაობს ერთ მსხვილ ავტობაზაში. სწორედ იქ შევხვდი მას და ჩავიწერე ჰამელბურგის ყოფილი ტუსაღის კიდევ ერთი ნაამბობი:

„როცა 1942 წლის აპრილში ჰამელბურგში ტუსაღებით დატვირთული ეშელონი მოვიდა საკონცენტრაციო ბანაკ ზამოსტიეიდან, მათ შორის შევამჩნიე დიმიტრი მიხეილის-ძე კარბიშევი, რომელსაც ადრე ვიცნობდი. მივუახლოვდი და მივესალმე. მან შემატყობინა, რომ გზაზე მათი ეშელონიდან გაქცევა მოეხერხებინა გენერალ ოგურცოვს. ეს ძლიერ სასიხარულო ცნობა იყო. ჩვენც ჰამელბურგში ხომ სულ გაქცევაზე ვოცნებობდით. ჩვენი იატაკქვეშა ორგანიზაციის სათავეში ტხორი, ნიკიტინი და ალავერდოვი იდგნენ. კარბიშევი მაშინვე მათ შეუერთდა. თქვენთვის დღეს ალბათ ცნობილია მისი სიტყვები: „ტყვეობა — მებრძოლის საშინელი ტრაგედიაა, მაგრამ სანამ ომი გრძელდება, უნდა ვებრძოლოთ მტერს მავთულხლართის შიგნიდანაც!“

რამდენიმე დღის შემდეგ მე ვკითხე კარბიშევს:

— ამხანაგებს აინტერესებთ შეიძლება თუ არა ვენდოთ აქ მყოფ იაკობ ჯუღაშვილს, კარბიშევმა მიპასუხა:

— იაკობ იოსების-ძე ურყევი საბჭოთა პატრიოტია. იგი ძალიან პატიოსანი და თავმდაბალი ამხანაგია. ლაპარაკის მოყვარული არ გახლავთ და განმარტოებით უჭირავს თავი, რადგან იცის, რომ მუდმივი მეთვალყურეობის ქვეშ არის. ეშინია საქმე არ გაუფუჭოს მათ, ვინც მასთან დაამყარებს ურთიერთობას.

მე მივხვდი, რომ კარბიშევს და სხვა ორგანიზაციის ხელმძღვანელებს საიდუმლო კავშირი ჰქონდათ ჯუღაშვილთან. შემდგომში მეც გავიცანი იგი და დავრწმუნდი, რომ მართლაც ნამდვილი საბჭოთა ოფიცერი იყო. კარბიშევის მიერ მოცემულ დახასიათებას მინდა დავუმატო მხოლოდ ის, რომ იაკობ ჯუღაშვილი განსაკუთრებით გულისხმიერი ადამიანი იყო. ხშირად თვითონ შიმშილობდა, მაგრამ პურს უყოფდა ავადმყოფ და დასუსტებულ ამხანაგებს.

ჯუღაშვილი და კარბიშევი ჰამელბურგში დარჩნენ, ხოლო მე, ტყვეთა ნაწილთან ერთად, ნიურნბერგში გადამიყვანეს. რამდენიმე ხნის შემდეგ კარბიშევიც შემოგვიერთდა. როდესაც ჯუღაშვილზე ვკითხე, მიპასუხა:

— იაკობ იოსების-ძე საკონცენტრაციო ბანაკიდან სადღაც წაიყვანეს, ჰიტლერელები მასზე კბილებს ილესავენო...“

ჰამელბურგის ერთ-ერთი მცველი ესესელი იოსებ კაუცმანი, რომელიც ომის შემდეგ სასჯელს გადაურჩა გფრ-ში, იმ ზომამდე გათავხედდა, რომ 1967 წელს დასავლეთ გერმანული გაზეთ „ბილდ ამ ზონტაგის“ ფურცლებზე ჩიოდა იმას, თუ რა ძნელი იყო მისი მეთვალყურეობის ქვეშ მყოფი ტუსაღების მოთვინიერება:

— სტალინის შვილს, როცა კი შემთხვევა მიეცემოდა, თავის ქვეყანას იცავდა. იგი ღრმად იყო დარწმუნებული, რომ რუსები გაიმარჯვებდნენ.

ჰამელბურგში ყოფნის უკანასკნელ დღეებში უფროს ლეიტენანტ ჯუღაშვილთან ჩამოვიდა ქართველი ხალხის მოღალატე რამდენიმე ბურჟუაზიული ნაციონალისტი, რომლებსაც უნდოდათ თავის მხარეზე გადაებირებინათ იგი. მათ შეხვედრას შეესწრო აწ განსვენებული პოლკოვნიკი ფესენკო. ფესენკომ ეს ამბავი ჰამელბურგის ყოფილ ტყვეთა შეხვედრაზე გაიხსენა ჯუღაშვილს ხმამაღლა განუცხადებია მოღალატეთათვის:

— დაბრუნდით იქ, საიდანაც გამოგგზავნეს და გადაეცით, რომ ერთად-ერთი ჯარისკაცი რომ დარჩეს ჩვენი მიწის უკანასკნელ ნაგლეჯზე, ის მაშინაც არ შეწყვეტს ბრძოლას სისხლის უკანასკნელ წვეთამდე თქვენს ბატონებთან!

მაშინ ერთმა მოღალატემ წამოიძახა, რომ იაკობს დიდი ხნის სიცოცხლე აღარ დარჩენია. მაგრამ ამ ნათქვამის გარეშეც იმ დღეს იაკობ ჯუღაშვილმა ნათლად დაინახა, რომ ახლო იყო გარდუვალი დასასრული.

გაქცევის ცდის დროს

იმ დროს, როცა უფროსი ლეიტენანტი ჯუღაშვილი ზაქსენჰაუზენში მოხვდა, დღედაღამე გაუჩერებლად მუშაობდა ნაცისტური სიკვდილის კონვეიერი. ბოლავდა კრემატორიუმის მილი და ავრცელებდა დამწვრობისა და სიმაგრ-

ლის სუნს, რადიორეპროდუქტორებიდან გრიალებდა მუსიკა — აუცილებელი აკომპანემენტი ტუსაღთა მასობრივი დახვრეტისა. სრული დატვირთვით მუშაობდა გაზის კამერა. ბანაკის შიგა ციხე „ცელენბაუში“ ტუსაღებს აწამებდნენ, უმტვრევდნენ ძვლებს და მხოლოდ ამის შემდეგ ხოცავდნენ. სწორედ „ცელენბაუში“ მოათავსეს პირველად იაკობ ჯუღაშვილი. იმ დღეებში მის ბედს ამ ციხის უფროსი, ესესელი კურტ ეკარიუსი განაგებდა. ომის შემდეგ იგი ტრიბუნალის წინაშე წარსდგა ბერლინში და ისეთი ჩვენებები მისცა, რომელთა გახსენებისას დღესაც თმები ყალყზე დგება. აქ მოვიყვან მოკლე ამონაწერს სასამართლოს სხდომის ოქმიდან:

„პროკურორის კითხვა: დასჯის რა სახეებს იყენებდით თქვენს კარცერულ ციხეში?

ეკარიუსი: გაროზგვა, ბოძზე ჩამოკიდება, დაპატიმრების სხვადასხვა სახე, სიკვდილით დასჯა.

პროკურორი: როგორ ხდებოდა ბოძზე ჩამოკიდება?

ეკარიუსი: ადამიანს ზურგს უკან ხელებს უკრავდნენ და ამის შემდეგ გადმობრუნებული ხელებით კიდებდნენ ბოძზე, რომელსაც თვითონ ტყვეები წინასწარ ამაგრებდნენ მიწაში.

პროკურორი: რამდენ ხანს ეკიდნენ პატიმრები ამ მდგომარეობაში?

ეკარიუსი: ჩვეულებრივ, ნახევარი საათი მაგრამ მათი გამოტეხვის მიზნით, ორ საათამდე.

პროკურორი: იყენებდით კიდევ რაიმე სახის წამებას?

ეკარიუსი: პატიმრებს სცემდნენ და ფეხებით თელავდნენ, ასხამდნენ ყინულოვან წყალს, ზამთარში, კარცერის გარშემო ფეხშიშველა არბენინებდნენ და ა. შ.

პროკურორი: მართალია, რომ კარცერის ციხეში იმდენად არაადამიანური პირობები იყო, რომ პატიმრები ხშირად თავს იკლავდნენ, რადგან ამდენი წამების ატანა ჯერ შეეძლოთ?

ეკარიუსი: ზუსტად ასე იყო, ოცმა თუ ოცდახუთმა კაცმა თავი მოიკლა.

სასამართლოს თავმჯდომარე: სწორია თუ არა, რომ თქვენ გზავნიდით პატიმრებს დასაწვავად კრემატორიუმში?

ეკარიუსი: დიახ, მე ვგზავნიდი“.

აი ასეთი ჯალათი თავისუფლად დასეირნობდა ომის შემდეგ, თუმცა შვიდი წლის წინ მიუნხენის პროკურატურამ აღძრა ეკარიუსის წინააღმდეგ საქმე და წაუყენა ბრალდება იაკობ ჯუღაშვილის მკვლელობაში მონაწილეობისათვის. ეს ბრალდება ემყარებოდა ეკარიუსის ყოფილი თანაშემწის, ესესის უნტერშარფიურერის ვალტერ უსლეპის ჩვენებებს, რომელიც აგრეთვე გფრ-ში ცხოვრობს. მან თავისი ტყავის გადარჩენის მიზნით განაცხადა, რომ მისი უფროსი მონაწილეობდა ჯუღაშვილის დახვრეტაში. თურმე მკვლელობამდე ცოტა ხნით ადრე ლეიტენანტი მხეცურად უცემიათ, იმის გამო, რომ ხმამაღლა უყვირია: ჰიტლერს მალე მოეღება ბოლო.

მიუნხენის პროკურორმა კარლ ვაისმა გამოძიების მსვლელობის დროს საჯაროდ განაცხადა: „საკონცენტრაციო ბანაკის ოფიციალურ აქტებში რამდენიმეჯერ იხსენიება, რომ რუსების დახვრეტისას ლიკვიდირებული იყო აგრეთვე იაკობ ჯუღაშვილიც“.

მაგრამ პირდაპირი დამამტკიცებელი საბუთები ეკარიუსის დანაშაულისა ნაპოვნი ვერ იქნა და ეს საქმე მიაფუჩეჩეს.

ზაქსენჰაუზენის ყოფილმა ტუსაღმა № 73025, რომელიც აქტიურად მონაწილეობდა ბანაკის იატაკქვეშა წინააღმდეგობაში, მოსკოველმა მარკ გრიგოლის-ძე ტილევიჩმა მითხრა:

— ჩვენი იატაკქვეშა წინააღმდეგობის შტაბმა არაფერი არ იცოდა მაშინ იაკობ ჯუღაშვილის ბედზე, თუმცა ჩვენი ხალხის წყალობით ზედმიწევნით გათვითცნობიერებული ვიყავით ყველაფერზე, რაც ბარაკებში, ციხეში და სიკვდილით დასჯის ადგილებში ხდებოდა.

ამრიგად, ერთადერთი საბუთი უფროსი ლეიტენანტი ჯუღაშვილის უკანასკნელ დღეებზე, ეს ნადავლი ჰიტლერული დოკუმენტებია.

საქმე № ტ-176-ში შესული ესესის პატაკი იაკობ ჯუღაშვილის სიკვდილის შესახებ მოწმობს, რომ იგი ჯერ მოუთავსებიათ სპეციალურ ბარაკში, რომელიც ზაქსენჰაუზენის ბანაკის ტერიტორიაზე, სრულიად იზოლირებულ ბლოკში მდებარეობდა. ამ ბლოკს დარაჯობდა ესესელთა სპეციალური ყარაული და გარშემორტყმული იყო მავთულხლართებით, რომლებშიც 550 ვოლტი ძაბვის დენი გადიოდა. ჯუღაშვილთან ერთად ბარაკში იმყოფებოდა კიდევ ერთი საბჭოთა სამხედრო ტყვე, ვინმე კოკოშინი, რომელიც, როგორც თვლიდნენ, თავის ნამდვილ გვარს მალავდა. მისი სახელი უცნობი დარჩა ჩვენთვის, რადგან ეს კაცი რამდენიმე თვის შემდეგ დაიღუპა სადღაც სამხრეთ გერმანიაში. მის გარდა, ამ სპეციალურ ბლოკში ცხოვრობდა ოთხი ინგლისელი ტყვე, მათგან ორი — მერფი და ო'ბრაიენი ცოცხლები აღარ არიან, დანარჩენი ორი კი — კუშინგი და უოლში დღეს ინგლისში იმყოფებიან. ამ ორი კაცის ჩვენება, რომელიც ჩართულია საქმე № ტ-176-ში, გვაძლევს საფუძველს ვიფიქროთ, რომ კუშინგი და უოლში 1943 წელს ზაქსენჰაუზენში ძალზე უნამუსოდ მოიქცნენ...

ტომას კუშინგი და ენდრიუ უოლში კალესთან ბრძოლის დროს, 1940 წელს ჩაუვარდნენ გერმანელებს ტყვედ და მაშინვე განაცხადეს თავის მზადყოფნაზე, ეთანამშრომლათ ფაშისტებთან. ისინი გერმანელთა დაზვერვას გადასცეს, დაბინავეს ბერლინში და დაიწყეს მათ

მზადება საიდუმლო დივერსიული დავალებების შესასრულებლად.

კუშინგს წვრთნიდნენ ლათინურ ამერიკაში გადასასროლად, სადაც მას მისნაირი მზვერავების ჯგუფთან ერთად უნდა აეფეთქებინა პანამის არხის სარაბო ნაგებობანი. უოლშის ჩამოგდებას პარაშუტით გეგმავდნენ შოტლანდიაში, სადაც მას აფეთქებები უნდა მოეწყო თავდაცვითი მრეწველობის საწარმოებში. დღეს, როგორც აღიარებს უოლში, მის ყოფილ თანამებრძოლ კუშინგს მიღებული ჰქონდა გესტაპოსაგან დავალება ეჯაშუშა დანარჩენ სამ ინგლისელზე და ისიც გულმოდგინედ ასრულებდა ამ ამოცანას. მაგრამ ამ ოთხეულმა ვერ მოასწრო დივერსანტი გამხდარიყო, რადგან მოულოდნელად ისინი ზაქსენჰაუზენში გაგზავნეს და მოათავსეს იმავე ბლოკში, სადაც ჯუღაშვილი იყო ჩამწყვდეული.

ეს უცნაური მეზობლობა იმით დაიწყო, რომ ინგლისელები ცდილობდნენ აეძულებინათ ჯუღაშვილი და მისი თანამემამულე, როგორც მოსამსახურეებს დაელაგებინათ მათი ლოგინები, მაგრამ როდესაც სასტიკი უარი მიიღეს, ყოველნაირად ცდილობდნენ შეურაცხყოფა მიეყენებინათ მათთვის.

ესესის დოკუმენტები ადასტურებენ, რომ ინგლისელები ყოველ ღონეს ხმარობდნენ უსაჭმელოდ დაეტოვებინათ საბჭოთა ტყვეები და მიმართვისას მხოლოდ „ბოლშევიკურ ღორებს“ უწოდებდნენ (გესტაპოს შეფის მიულერის და მის თანაშემწეთა საყვარელი გამოთქმა იყო). ერთხელ ო'ბრაიენმა სახეშიც კი გაარტყა კოკოშინს. ახლა, მრავალი წლის შემდეგ, კუშინგი ყველა ამ საძაგლობის გასამართლებლად იძლევა ასეთსავე უტიფარ ახსნას: „ჩემი და ჩემი მეგობრების ნერვებზე ძალიან მოქმედებდა ჯუღაშვილის გაუთავებელი პროპაგანდისტული გამოსვლები“. სინამდვილეში ეტყობა, კუშინგს და მის კომპანიას მიცემული ჰქონდათ დავალება გამოეწვიათ შეტაკება იაკობ ჯუღაშვილთან, რის დროსაც შეიძლება მომხდარიყო „უბედური შემთხვევა“, სასიკვდილო დასასრულით. სხვადასხვა ქვეყნიდან პატიმრების ასეთ ერთმანეთზე დაგეშვას ხშირად მიმართავდნენ ზაქსენჰაუზენში.

ესესის პატაკი იაკობ ჯუღაშვილის დაღუპვის შესახებ გვაუწყებს, რომ სიკვდილამდე ცოტა ხნით ადრე პატიმარს განუცხადებია:

სულ მალე გერმანელ დამპყრობლებს ჩვენს ძონძებს გადააცმევენ და ყველას, ვისაც მუშაობა შეუძლია, რუსეთში გაგზავნიან, რათა ხელახლა ააშენონ ყველაფერი, რაც კი დაანგრიეს...

საფიქრებელია, რომ ამ განცხადების შემდეგ სს-ს მეთაურებმა გადაწყვიტეს, დაუყოვნებლივ გასწორებოდნენ ურჩ მსხვერპლს. 1943 წლის 14 აპრილს, როგორც გვაცნობებს ესესის პატაკი, იაკობ ჯუღაშვილი თითქოს „ადარ დაემორჩილა მცველებს, უარი თქვა საღამოთი ბარაკში შესვლაზე და პირდაპირ გასწია „სიკვდილის ზოლისაკენ“, რომელიც მავთულხლართის წინ იყო განლაგებული. მცველის გაფრთხილებაზე კი უპასუხა: „მესროლეთ!“ ამის შემდეგ იგი თითქოს თვითონ გადაწოლილა მავთულზე, რომელშიც ელექტრული დენი გადიოდა და ესესელმა მცველმა კონრად ჰარფიშმა, ყარაულის უფროსის კარლ იუნგლინგის თანდასწრებით, ესროლა იაკობ ჯუღაშვილს.

1943 წლის 22 აპრილს ჰიმლერმა ნაცისტთა საგარეო საქმეთა სამინისტროში რიბენტროპის სახელზე, გრიფით „სრულიად საიდუმლოდ“, გაგზავნა ესეს-ის პატაკი და პირადი დეპეშა იაკობ ჯუღაშვილის დაღუპვაზე. დეპეშაში ნათქვამია:

„ძვირფასო რიბენტროპ!

გიგზავნი პატაკს იმ გარემოებათა შესახებ, რომელთა დროს სამხედრო ტყვე, იაკობ ჯუღაშვილი, სტალინის შვილი იქნა მოკლული სპეციალურ ბლოკიდან გაქცევის ცდის დროს, ზაქსენჰაუზენში ორანიენბურგის მახლობლად.

ჰაილ ჰიტლერ!

თქვენი ჰაინრიხ ჰიმლერი“.

შენიღბული მკვლელობა

უფროს ლეიტენანტ ჯუღაშვილის დაღუპვის ფაქტი ფიქსირებულ იქნა ესეს-ის რაპორტის გარდა, სამედიცინო დასკვნაში მისი სიკვდილის შესახებ. გადაღებულ იქნა აგრეთვე რამდენიმე ფოტოსურათი, მოკლულის სხეულით მავთულხლართებზე. დღეს ამ ფაქტს ადასტურებენ კუშინგი და უოლში, აგრეთვე გფრ-ში მმვიდად მცხოვრები იუნგლინგი და ჰარფიში, რომელსაც ჟურნალისტებთან შეხვედრისას განუცხადებია: „ზუსტად ასე იყო, მე ვესროლე მას“.

მართლა მოხდა მკვლელობა „გაქცევის მცდელობის დროს“, თუ ტყვე გულცივად დახვრიტეს და შემდეგ გვამი მავთულხლართებზე დაადგეს — გაქცევის ინსცენირებისათვის? იაკობ ჯუღაშვილი, უეჭველია, ოცნებობდა განთავისუფლებაზე, მაგრამ ამასთან ერთად არ შეიძლება არ სცოდნოდა, რომ გაქცევა მავთულხლართიანი ხაფანგიდან, რომელიც 550 ვოლტი ძაბვის ქვეშ იყო, შეიარაღებული მცველების თვალწინ, სრულ უაზრობას წარმოადგენდა.

ესესელთა ტრაფარეტული ფრაზის ქვეშ „მოკლულია გაქცევის ცდის დროს“ ჩვეულებრივ იმალებოდა ნაციზმის მოწინააღმდეგეთა უსმაურო მოსპობა. ზაქსენჰაუზენში ამგვარად იქნა მოკლული მრავალი ადამიანი, რაზეც მოგვითხრობს ომის შემდეგ გამოქვეყნებულ მემუარებში ამ საკონცენტრაციო ბანაკის ყოფი-

ლი ტუსაღი, გერმანიის გაერთიანებული სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი, გერმანიის კომუნისტური მოძრაობის ვეტერანი ზეპ ჰაანი. 1943 წლის მაისში, ზაქსენჰაუზენში ესესელებმა დახვრიტეს 70 ამერიკელი და ინგლისელი ტყვე მფრინავები, შემდეგ კი გამოაცხადეს, რომ მათი მოკვლა გაქცევის მცდელობის დროს მოხდაო. ერთ-ერთი ზაქსენჰაუზენის ესესელი ჯალათი, ვინმე ვილჰელმ შუბერტი,1947 წელს წარსდგა სასამართლოს წინაშე და დაუფარავად განაცხადა: „ზემი ხელით 636 რუსი სამხედრო ტყვე მოვკალიო“.

ესეს-ის პატაკში იაკობ ჯუღაშვილის დაღუპვაზე და მისი მკვლელი ესესელების ჩვენებებში ნათქვამია, რომ იგი თითქოსდა პირველად ელექტროდენიან მავთულზე დაეცა და მხოლოდ ამის შემდეგ ესროლეს. მაგრამ არც პატაკში, არც ესესელთა ჩვენებებში და არც სამედიცინო დასკვნაში მის სიკვდილზე, სიტყვა არაა თქმული მოკლულის სხეულის დამწვრობის ნიშნებზე ანდა ელექტროშოკის შედეგებზე, თუმცა მავთულში მაღალი ძაბვის დენი გადიოდა; სამედიცინო დასკვნაში, რომელიც დივიზიის „მკვდარი თავის“ ბატალიონის ექიმის მიერ არის შედგენილი, ნათქვამია:

„1943 წლის 14 აპრილს, მე გავსინჯე პატიმრის გვამი და დავადასტურე სიკვდილის ფაქტი თავში ტყვიით მიყენებული ჭრილობიდან. ტყვიის შესავალი ნახვრეტი განლაგებულია ყურიდან დაახლოებით ოთხი სანტიმეტრის ქვემოთ, ღაწვის თავთან. სიკვდილი მოხდა დაუყოვნებლივ, გასროლის შემდეგ. სიკვდილის აშკარა მიზეზი — ტვინის ქვედა ნაწილის დაზიანებაა“.

ჭრილობის განლაგების მიხედვით ძნელი არ არის იმის მიხვედრა, რომ იაკობ ჯუღაშვილს ესროლეს ან უკანიდან ან გვერდიდან; როგორც ამტკიცებს დღეს იუნგლინგი, უფროსი ლეიტენანტი ჯუღაშვილი დაიღუპა 14 აპრილს, დაახლოებით საღამოს 9 საათზე. ესეს-ის პატაკი აბუსტებს დროს. „საღამოს 9 საათსა და 30 წუთის შემდეგ დაბინდებისას“. ჰარფიში იარწმუნება, რომ ზუსტად ისროლა მიზანში მხოლოდ ერთხელ, მიუხედავად სიბნელისა. ყველაფრიდან გამომდინარე, როგორც ჩანს, მან მართლაც ერთხელ ესროლა, ოღონდ მიბრჯნით, თავისი უფროსის საიდუმლო ბრძანებით და არა „გაქცევის მცდელობის დროს“.

ესესელმა მკვლელებმა ბრძანება მიიღეს ხმა-კრინტი არ დაეძრათ მომხდარ ამბავზე. წინააღმდეგ შემთხვევაში, დახვრეტით დაემუქრნენ. როგორც ჩანს, ჯალათთა ხელმძღვანელები სტალინგრადის ბრძოლის შემდეგ, ცდილობდნენ მიეჩქმალათ თუნდაც მხოლოდ ზოგიერთი თავისი ავკაცობა.

იბადება კითხვა: რაში დასჭირდა ჰიმლერს არა მარტო ეცნობებინა რიბენტროპისათვის იაკობ ჯუღაშვილის დაღუპვა „გაქცევის მცდელობის დროს“, არამედ დაერთო კიდეც თავისი აშკარად ყალბი ცნობისათვის შესაბამისი ესეს-ის დოკუმენტები და ფოტოსურათები? ჰიმლერი ხომ ომის წლებში განუზომლად ძლიერი იყო ნაცისტთა საგარეო საქმეთა მინისტრზე და მას სულაც არ ევალებოდა ანგარიში ჩაებარებინა რიბენტროპისათვის ესესის ბინძურ საქმიანობაზე. და კიდევ ერთი დეტალი: ჰიმლერის უწყებამ იზრუნა ომის ბოლოს თითქმის მთელი მათი სახელის გამტეხი დოკუმენტაციის განადგურებაზე. ეს დოკუმენტები დაწვეს, ჩაძირეს ტბებში და ჩამალეს შახტებში, მაშინ როცა ჰიტლერელთა საგარეო საქმეთა სამინისტროს არქივი, თითქმის მთლიანად შემოინახა და ფაშისტური გერმანიის მოწინააღმდეგეთა სამხედრო ნადავლი გახდა. საფიქრალია რომ ჰიმლერს სტალინგრადის ბრძოლის შემდეგ, ცუდი წინათგრძნობები აწუხებდა და მომავალზე ფიქრით გააყალბა მკვლელობა ზაქსენჰაუზენში 1943 წლის 14 აპრილს.

საბოლოოდ ნათელის მოფენა ამ მკვლელობისათვის ალბათ მხოლოდ ერთ კაცს შეეძლო, მაგრამ მან გაჩუმება არჩია. ეს კაცი, ახლა პენსიაზე გასული დასავლეთ გერმანიის ფედერალური სამართველოს სამეგბრო პოლიციის უოფილი კრიმინალ-დირექტორი კურტ ამენდია. ომის დროს ის ესეს-ის ჰაუპტშტურმფიურერი იყო. სწორედ მან შეადგინა ესეს-ის პატაკი იაკობ ჯუღაშვილის დაღუპვაზე, სწორედ მას ემორჩილებოდნენ მკვლელები სპეციალურ ბლოკიდან. ყველა ესენი დღეს უზრუნველად ცხოვრობენ და არც სინდისის ქენჯნა აწუხებთ, თითქოს შესაძლებელი იყოს დაივიწყოს კაცობრიობამ ზაქსენჰაუზენის სისხლიანი კოშმარი, ათასობით წამებული ანტიფაშისტი.

მაგრამ ხსოვნა ამისა ისევე მტკიცეა, როგორც ევროპელი ხალხების ნება არ დაუშვან წარსული ომის ტრაგედიის განმეორება. და დღეს ზაქსენჰაუზენის საკონცენტრაციო ბანაკის ნანგრევებზე, ევროპის ცხრამეტი ქვეყნის მონაწილეობით, რომელთა შვილები იტანჯებოდნენ და იღუპებოდნენ იქ, აგებულია ფაშიზმისადმი ევროპელთა წინააღმდეგობის მუზეუმი. ის აღმართულია ათასობით ტუსაღის ფერფლსა და ნეშტზე. მათ შორისაა უფროსი ლეიტენანტი ჯუღაშვილი, რომლის ცხედარი დასწვეს იქვე, საკონცენტრაციო ბანაკის კრემატორიუმში, 1943 წლის 15 აპრილს.

მოსკოვი-ვარშავა-ვაშინგტონი.
1971-1977

ეროვნული ბიბლიოთეკა

გზა ფართოვდება

„მოწოლილ სევდას რა ეთქმის, თორემ ვის გააღვიძებ ზარით — კრძალულით“ ეს სტრიქონები ზაალ ებანოიძის ერთ-ერთი ლექსიდან მოვიტანე, ლექსში გამოხატული განწყობილება და სათქმელი სხვა შინაარსისაა, მაგრამ ციტირებული სტრიქონი სხვა კუთხითაც იკითხება და ამჯერად ეს არის საინტერესო. პოეტური მოდელებისა და პოეტური კონსტრუქციების სიმრავლე ყოველთვის იყო და, მით უმეტეს ჩვენს დროში არის შემოქმედის დაფიქრების საგანი. საკუთარი ხმისა და საკუთარი ადგილის პოვნის მარადიული საზრუნავი დღეს, ალბათ, მეტი სიცხოველით ბრუნავს პოეტის ფიქრში. თითო ოროლა პოეტი თუ იბადება იმთავითვე გამორჩეული სათქმელით, ინტონაციითა და სტილით, მაგრამ ლიტერატურის ისტორიამ არაერთგზის დაგვიმტკიცა, რომ ნიჭიერი მხოლოდ ამ „ბედნიერ ვარსკვლავზე“ დაბადებულთ არ ეთქმით. სხვა ბუნების შემოქმედიც იცის ლიტერატურის ისტორიამ, გვიან, ზოგჯერ ძალიან გვიანაც რომ პოულობს შემოქმედი თავის თავს, ნელ-ნელა, რომ იზრდება, თანდათან რომ თავისუფლდება ტრაფარეტისა და ბანალობის არტახებისაგან და ბოლოს თავის ნამდვილ სახეს დაგვანახვებს. არ ვგულისხმობ მარტოოდენ ზრდასა და დაოსტატებას. ნიჭის გამოვლენის პროცესია უფრო მნიშვნელოვანი. ზრდისა და დაოსტატების გზა, უბრალოდ აუცილებელია. მაგრამ მთავარ სიტყვას მაინც სხვა რამ ამბობს. თვით ნიჭის არსი ამბობს. იგი ზოგჯერ იმთავითვე იჩენს თავს, ზოგჯერაც მრავალ ფორმას გაცვეთს, სანამ საკუთარ ხმას იპოვიდეს. ნიჭის ბუნება მაქვს მხედველობაში და არა მისი. მასშტაბები.

როდესაც პოეტი გრძნობს, რომ ვერ უთქვამს მთავარი სათქმელი, სრულად ვერ გაუმჟღავნებია პოტენციური შესაძლებლობანი, როდესაც გრძნობს სულიერი ენერგიის ანგარიშგასაწევ მარაგს, მაშინ ფეხს იკიდებს უკმარისობის ძლიერი გრძნობა — ამაღლებული და კეთილშობილური გრძნობა.

ამ გრძნობამ ათქმევინა ზემოთ მოტანილი მოკრძალებული სიტყვები ზაალ ებანოიძეს.დღეს როდესაც ხელთა გვაქვს პოეტის მეორე წიგნი, საგულისხმოა, რომ უკმარისობის გრძნობა უფრო გამძაფრებულია პირველ წიგნთან შედარებით. არა იმიტომ, თითქოს პირველი წიგნი სჯობდეს ამ მეორეს ან ერთ დონეზე დარჩენილიყოს პოეტი, არამედ იმიტომ, სხვა პოეტური ხმებისაგან განსხვავებულობის შინაგანი მოთხოვნილება კიდევ მეტად არის გაზრდილი. მეორე წიგნი გაცილებით მაღლა დგას პირველზე სათქმელი სიღრმითაც, ოსტატობითაც, თავისთავადობითაც. მაგრამ, როგორც მოსალოდნელი იყო, სწორედ ამ გარკვეულმა ამაღლებამ, დაანახა ავტორს საკუთარი შესაძლებლობანი უკეთ. და დაანახა ისიც, რომ სასურველი სისრულით ეს შესაძლებლობანი ჯერ კიდევ. გაუმჟღავნებელია. ზემოთ თქმულს მინდა დავუბრუნდე — ზრდისა და დაოსტატების გზა ზაალ ებანოიძისათვის ამ წიგნში განიცდება როგორც ნიჭის გამოვლენის პროცესი. და აი, გამუდმებული სულიერი წვა, რომელსაც შინაგანი შესაძლებლობა აღვივებს, არ ანებებს ავტორს გატკეპნილი გზით სიარულს, შერიგებას ცნობილ მოდელებთან, ტრაფარეტად ქცეულ ფორმებთან. ყველაზე სასიამოვნო ნიშანი, რაც ასე ცხადად საგრძნობია ზაალ ებანოიძის ახალ წიგნში, სწორედ ეს შინაგანი მოთხოვნილებაა, პასუხისმგებლობის გრძნობაა.

პოეზია ოდითგან დიდი შეჯიბრების არენა იყო. ნიჭი სახელთან არის დაკავშირებული და უკეთესად თქმის სურვილი ამიტომაც ასე ცხოველმყოფელად ფეთქს ყოველი რანგის შემოქმედში. მაგრამ ყველაში არ ფეთქს იგი! ბევრი ურიგდება თავის უმნიშვნელო როლს, თითქმის არაფრისმთქმელ სახელს და შინაგანად არაფერი არ ავალებს სიახლისაკენ სწრაფვას. ასე ჩნდება ტრაფარეტული, ბანალური პოეზიის ფენები, უსახო სივრცე, რომლის წიაღში ითქვიფება ათასობით სახელი.

ზაალ ებანოიძის ლექსები დიამეტრულად განსხვავებული ბუნების ავტორს წარმოგვიჩენს. მაგრამ შეურიგებლობა, სიტყვასთან ჭიდილი, ნაცნობი პოეტური კონსტრუქციების ტყვეობიდან გაქცევის მძაფრი წყურვილი ზოგჯერ უნებლიედ იწვევს მიძალებას ფორმაზე,

სიახლის ილუზიის დამკვიდრებას ნამდვილი სიახლის ნაცვლად. აქ გარკვევით მინდა შენიშნო ავტორს, რომ ძიების პროცესში ზომის დაცვაა სასურველი, რადგან მისი შესაძლებლობის პოეტს არ სჭირდება ხელოვნური ფორმების გამოყენება. საკუთარი ხმის დადგენა ისევე არ შეიძლება ფორმაზე მიძალების გზით, როგორც მეორე შემთხვევაში — ტრაფარეტულ ყალიბებთან შეგუებით, „თავის აუტკივებლად“ წერისას. მინიშნებული ტენდენცია გარკვეული სიფხიზლით მოპყრობას მოითხოვს. ზაალ ებანოიძის მთელ რიგ ლექსებში მკაფიოდ ისმის საკუთარი ხმა, კარგად შესამჩნევია თავისთავადობისა და ნიჭიერების კვალი. საკუთარი სათქმელი და საკუთარი ხედვა ამ ლექსებს ერთიანად გამსჭვალავს. აი ერთი მათგანი:

რა ჰქვია მაინც, — რა ამინდია? —
გამოღმა სოფლის მყუდრო ბინდია.
სარკმლიდან ვხედავ: პატარა დაბა
როგორ იხურავს თოვლიან საბანს.
საკუთარ თავთან და გულთან მარტოს,
რა გაგონდება მითხარი ამ დროს,
აკაციების ღარიბი ჩრდილი
განათებული დეკემბრის თრთვილით
რა ზარებს რეკავს? — მოუხმობს რა გზას?
ან რას ინატრებ უწმინდეს საგზლად
ამ ფაფუკ თოვლის და სახის მერე, —
როს მოძალადის შეცივნულ ხელებს
მარადისობა შეგვახებს ერთ დროს?
— საიდან საით? — გვითხარი, ღმერთო,
მიგვიდის ეს გზა თუ თეთრი რული,
ან როცა გვიხმობს, — რად გვწყდება
გული?

. . .

მაინც აქ არის ალბათ მთავარი
და ციდან თოვლი ჩამომავალი, —
უჭირავს სოფელს, ვით თეთრი დროშა
და დროშის იქით სიბნელე მოჩანს.

თავისუფლად მოძრაობს სტრიქონებში ლექსის ხმა. ნამდვილ განცდას თვითვე ახლავს თავისი ფორმა. „და ციდან თოვლი ჩამომავალი უჭირავს სოფელს, ვით თეთრი დროშა და დროშის იქით სიბნელე მოჩანს“. სადად და ღრმად არის გამოხატული ამ სტრიქონებში მოქცეული აზრი. უსაზღვრო ცისქვეშეთში მდგომი ადამიანის სევდასაც გვიმეღავნებს და უსასრულოს დამთრგუნავ სიდიადესაც განგვაცდევინებს. ზაალ ებანოიძის წიგნში არცთუ ისე იშვიათია ფიქრით დატვირთული მეტაფორები, ფართო ხედვაზე რომ მიგვანიშნებს:

მერე ვიღაცის შეცივნულ ბაგეს
ჩამოტყდა სიტყვა:
შენ ხარ ფენიქსი, — წინაპრის სულით
საკუთარ ფერფლში აღმოცენდი
და ისრის წვერით ამოლამბულ ქამზე
იხარე.

ასეთი სტრიქონები მასთან არც შემთხვევითია და არც ხელოვნური, ეს კი ცხადად მეტყველებს, რომ ზაალ ებანოიძის ლექსების პოეტური სინტაქსი დღითიდღე მდიდრდება და მისი სტრიქონების ქსოვილი მაღალხარისხოვანი ხდება. აქვე იღვიძებს სურვილი, რომ პოეტის საუკეთესო ლექსებში სტრიქონებს შორის მეტი ლოგიკური კავშირი იგრძნობოდეს. განწყობილების სიმკვრივე და მთლიანობა სულიერი წყობის გამოხატულებაა, უპირველეს ყოვლისა, და ფრიად ანგარიშგასაწევი ფაქტორიც ამავ დროს. ამავე ლექსში („ოცხე“), საიდანაც ეს სტროფი მოვიტანე, ზოგად პლანს ნაკლებ ერწყმის სტრიქონები — „ღამის ტევრიდან გამოდის კაცი, ვისაც ფრთიანი ლექსი მოსწონდა“ ლექსის თემა დამსხვრეული მოგონებების შეკოწიწება არ არის, სხვა სათქმელი აქვს მას და ლადო ასათიანის გახსენება ზედაპირულ ასოციაციას უფრო ჰგავს, ვიდრე ლექსის დედააზრის ორგანულ მოთხოვნილებას

კრებულის ღირსებას განსაზღვრავს ძალდაუტანებელი ფორმითა და შინაარსით გამსჭვალული ლექსები, რომლებშიც გონივრული ძიების კვალიც ჩანს და სინედლის გრძნობაც იქცევს ყურადღებას. ზაალ ებანოიძისათვის უცხო არ არის ქართული პოეზიის ვერსიფიკაციული სიახლეები, უფრო სწორად ის ცვლილებები, რაც ქართული ლექსის ბუნებაში მიმდინარეობს. ეს ცვლილებები მის ლექსებში ჯერ ნაწილობრივ თუ ვლინდება. მაგრამ ფაქტია, რომ ავტორი ძალზე ცხოვლად რეაგირებს ყველაფერს, რასაც კი პოეზიის გზაზე განვითარება ჰქვია. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით საინტერესოა ლექსი „თეთრი მხედარი“. წუთისოფლის რაობაზე დასაბამიდან მოუცილებელ ფიქრსა და კითხვებს ყოველი პოეტი თავისებურად პასუხობს. ზაალ ებანოიძეც თავის მხრივ პოეტურ ენაზე გაეხმაუროს უძველეს კითხვებს.

„—საით გარდახდა იმ გორიდან თეთრი მხედარი — ამოლებული გაზაფხული? — ეჰეი, ვინ ხარ? — დასაბამიდან ამდაგვარად რომ გვერეკები? ოკრობოკროა, ჯაგნარევი თუმცა გზაკვალი, მაინც წუთებით იზომება. მოვყვები, როგორც ხეიბარი ჯოხის კანკალით?“ — ასე თავისუფლად, შეუფერხებლად მოედინება ლექსი ბოლომდე, არ აცხადებს საიდუმლოს შეცნობის პრეტენზიას. სამყაროს სიდიადით გაოცებას გვიმეღავნებს და ადამიანის გზაზე თანამდევ მარადიულ კითხვებს კიდევ ერთხელ მიაპყრობს ჩვენს ყურადღებას.

„თეთრი მხედარი“ თავისუფალი ლექსია. მასში ავტორი საგანგებოდ ცდილა სტრიქონი დინამიური, მოქნილი ყოფილიყო, ერთგვარად შეენარჩუნებინა ტრადიციული ლექსის რიტმისათვის დამახასიათებელი ექსპრესიულობა და ვერლიბრისათვის ნიშანდობლივი ფორმის თა-

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

ვისუფლებაც. ლექსს ამით არაფერი წაუგია. პოეტის ცდა უშედეგოდ არ დამთავრებულა, იქნება იმიტომაც, რომ ლექსის ამგვარი სტრუქტურა შეესაბამება ზაალ ებანოიძის პოეტურ ბუნებას. თავისთავად კი ვერლიბრი არ საჭიროებს რაიმე დახმარებას, რაიმე სინთეზს, მისი სიმდორე გულისხმობს საჭირო რიტმსაც, ექსპრესიულობასაც და ემოციურობასაც. ეს კია, ექსპერიმენტი საქმეს არ ვნებს და ნიუანსების შეცვლით არაფერი შავდება. მით უმეტეს, რომ „თეთრი მხედარი“ კარგად არის დაწერილი. აქ უფრო ცდაა საინტერესო პოეტის მხრივ, ცდა, რომელიც გულისხმობს, საკუთარ ბუნებასთან ახლოს იდგე მუდამ. საკუთარი ხმა საკუთარ გზას ეძიებს და ლექსის არც ერთი ფორმა არ უშლის ხელს, თუკი მას ხელოვნურად არ გამოკეტავთ. თითიდან გამოწოვილი ფორმების ჯავშანში. ამ თვალსაზრისით, როგორც უკვე ითქვა, ზაალ ებანოიძის ლექსების წიგნი დაფიქრების მიზეზს იძლევა. უშუალობითა და ბუნებრივობით აღბეჭდილი ლექსების (იგულისხმება ფორმაც და შინაარსიც) გვერდით კრებულში, ვხვდებით ძიების კვალით აღბეჭდილ ფორმაზე მიძალების ნიმუშებს. ტექნიკურად ეს მეორე რიგის ლექსები თითქოს უნაკლოდ არის შესრულებული. მათი საერთო ნაკლი ფორმაზე მიძალების ტენდენციაა.

რაც შეეხება ლექსებს: „თეთრი მხედარი“, „ოცხე“, „მამულო“, „ვაჟა-ფშაველა“, „აივნიდან ხორბალს გადმოვაბნევ“, „ვაშა ამ წუთებს“, „რწმენა“, „ეს რა ირხევა შენს თვალებში“, „დეკემბერი, გაზაფხულის მონატრება“, „ჩემი მეზობელი“, „მარტოობის ჩიტი“, „სალამო, პატარა დაბა“, „ბერიკაცი“, „იდგა ბალახი“, „აბასთუმანი“, „მონატრება“, „მშობლიური მდინარე“, „ნიკო სამადაშვილისადმი“, — ისინი უშუალოდ, ბუნებრივად გვიხსნიან გზას პოეტის შინაგანი სამყაროსაკენ. უშუალობას ხაზს ვუსვამ საგანგებოდ, რადგან შესრულების თვალსაზრისით მეორე რიგში ნაგულისხმევი, ფორმაზე მიძალების ნიმუშად მიჩნეული ლექსები მათზე დაბლა არ დგანან. აი, ერთ-ერთი მათგანი:

მთვარის სიგრილის
ელვარება
დააქვთ არეებს,
სად ტყეებს
ცივი დუმილი დარჩათ
და ჩამავალი სინათლეა
ახლა მინდვრის
დიბა და ფარჩა.
შეეცილები შეღამებას,
შემთვარულ ნაყოფს,
თუ მოლოდინის
ერუანტელში
გიჟირავს ნარი
და დგახარ ისევ
ტყეების ფერხთით,
ჩაძინებული გუგულების
სიზმრებიდან
დაძრულ ბილიკზე.
და გაფიქრების ნირვანაში
მცურავი იქვი
უკანასკნელი სანთელივით.
კარგავს სინათლეს.

ლექსი ე. წ. ასოციაციებით არის გამართული. დავუშვათ, რომ მათი შინაგანი კავშირი ლოგიკურია. აქ სხვა რამ არის საგულისხმო. ზაალ ებანოიძის ლექსების საერთო მიმართულებას არ ენათესავება ეს ლექსი. სხვა პოეტის ხელწერა ილანდება მასში. საკუთარი ხასიათიდან რაკი არ იღებს დასაბამს, ამიტომ ხელოვნების ნიშანიც ახლავს სტრიქონებს. მიძალების კვალი ჩანს, ავტორის გამოკვეთილი სურვილი, ორიგინალურ ხელწერას ფლობდეს, შინაგან გარკვეულობას იწირავს მოტანილ ლექსში. ამიტომ სტრიქონი „სად ტყეებს ცივი დუმილი დარჩათ“ იმავე ორიგინალურობის სურვილით თუ ითმენს გვერდით მომდევნო სტრიქონებს „და ჩამავალი სინათლეა ახლა მინდვრის დიბა და ფარჩა“. გაურკვევლობას ლექსში შეიძლება თავისი ფუნქცია ჰქონდეს, თუკი იგი შესატყვისი ბუნების პოეტის თვითგამოხატვად გვევლინება. მაგრამ თუ ზაალ ებანოიძის ბუნება პირიქით, ნათელი განწყობილებისა და სათქმელის გზით მოდის? აი, თუნდაც ამ ლექსში გამეღავნებული ნათელი განწყობილების გზით.

ეს რა ირხევა შენს თვალებში, ეს რა
ჩრდილია?
ბალახებიდან ვინ წამოდგა, ცას ვინ
უმღერა?
ვის მიანებეს მზის წუხილი და იდილია?
ვინ შეაგროვა მზე აგვისტოს გამხმარ
ჩალებზე?
და შემკრთალ მოლზე დადგა ზვინებად?
დღეს წეროებით გზას ვინ დაეძებს,
ან ციდან ზარის ჩამორეკვა
ვინ მოინება?

ვიმეორებ, სასურველი კულტურაა გამოვლენილი ორივე რიგის ლექსებში.

მო-ცა-გვხვდა ბედად
ღრუბლის ტოტი — მოსარხეველი?
თუ მოგიცოცხლდა ყვავილები...
წავლოს ცოტაᲔ
ამნაირ დარით.

რაიმე განსაკუთრებულის შთაბეჭდილების შექმნის სურვილი ილანდება ამგვარად მობრუნებულ სიტყვებში. ერთგვარი ცდუნების ნაყოფია.

მნიშვნელოვან სიღრმეებთან ზიარობას სრულებითაც არ უშლის ხელს ზაალ ებანოიძისათ-

ვის ნიშანდობლივი სისადავე და სიმარტივე. ცოტას როდი ამბობს თუნდაც ეს სახე:

მიწიდან მიაქვს
თეთრი ვარდების გვირგვინები
პლანეტების გამტვერილ ჭრიალს.

„პლანეტების გამტვერილი ჭრიალი“ — ეს სახე არც თამამ პოეტურ აზროვნებას ხდის ზაალ ებანოიძისათვის უცხო ხილად. ფორმის სინედლის ნიშანიც არ აკლია მას. არც სავსებით მარტივი სტრიქონები ზღუდავს პოეტის წრფელ განცდას. ერთი კითხვაგარეული ამოძახილი ბევრ რამეს განგვაცდევინებს:

თქვი, რა გატკინა ვეება ტვირთმა
ყველაზე უფრო — სული თუ ხორცი?!
(„ნიკო სამადაშვილისადმი“).

ზაალ ებანოიძე დღევანდელი დღის სუნთქვით გაჟღენთილი პოეტია, უსაზღვროდ შეყვარებული ქართულ პოეზიაზე. რაც მთავარია, იგი შინაგანად არის მიდრეკილი ყოველი სიახლისაკენ, სინედლისაკენ. უკმარობის გრძნობა მოუსვენარ სულიერ წვას ავალებს. იგი, როგორც ამას მეორე წიგნი თვალნათლივ გვიდასტურებს, უშეღავათოა თავისი თავის მიმართ და არასდროს არ მიუტევებს თავს წამიერ ჩათვლემას. ყველაფერი ეს ახლის შექმნის წყურვილის ხარჯზე ხდება. მაძიებელი პოეტის გზა ყოველთვის კეთილი შედეგით ბოლოვდება.

პოეტის მიმართ შენიშვნების გამოთქმისას მხოლოდ ერთი სურვილი მამოძრავებდა — შეღავათი არ გამეწია, რათა ის შეღავათი შეურაცხყოფად არ აღექვა ფხიზელი გონებისა და გემოვნების კაცს. იქნება ამიტომაც შენიშვნები ზედმეტად მკაცრადაც გამოიყურებოდეს.

ჯანსულ ღვინჯილია

62/38

ფასი 80 კაპ.

ИНДЕКС
76128

ეროვნული
ბიბლიოთეკა

„МНАТОБИ“

ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ
И ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ ЖУРНАЛ

ИЗДАТЕЛЬСТВО ЦК КП ГРУЗИИ